ზ. ავალიშვილი.

# საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში.

## მოგონებანი. ნარკვევები.

პარიზი 192[illegible] წ.

თ ა რ გ მ ა ნ ი.

[illegible] წინასიტყვაობით

ტფილისი

1925

საქართველოსთვის აღსრულებულთა
ხსოვნას

ახალთ საიმედოდ

MORTUIS PRO GEORGIA
IN MEMORIAM

JUNIORIBUS
IN SPEM

# POST-SCRIPTUM

# წინასიტყვაობის ნაცვლად

„ჩემი სურვილი არის, საქართველო ისეთივე ძლიერი იყოს, როგორც წინად იყო; რომ არავითარი დახმარება უცხოელთა არ სჭირდებოდეს მშვიდობიანობისა და ომის დროს.

მაგრამ რაკი დროთა ბრუნვისა, ანუ დაუდგრომლობის მიზეზით, ანუ, შესაძლოა, ამ ორსავ მიზეზით ერთად, ისეთ დაუძლურებამდის მივედით, რომ სხვებს უნდა დავემორჩილოთ, მე უფრო გონივრულათ მიმაჩნია, იმათგან ვიყოთ დამოკიდებული, ვინც უფრო ზომიერი და მართლის მოყვარეა და ვინც მეგობრობას თავის მოკავშირეებთან უფრო მტკიცეთ ინახავს“...

ეს სიტყვები გუშინ არ არის ნათქვამი, მაგრამ მათი თქმა შეიძლებოდა ჩვენს დროშიაც; ასი წლის წინათაც; და საერთოდ ყოველთვის, როცა კი საქართველო იძულებული ხდებოდა ხალხთა ბედის გადამწყვეტ მეზობელ იმპერიებში აერჩია ერთ-ერთი პოლიტიკური დამოკიდებულების შესაკრავათ.

მოყვანილი გრძელი ტირადა ამოღებულია იმ სიტყვიდან, რომელსაც ათქმევინებს ძველი, ბიზანტიელი ისტორიკოსი ჰაიეტს „დიდებულს... ყოველივე რომაულის მოძულეს, სპარსელების მუდმივ მომხრეს“. წარმოთქმული კი იყო სიტყვა (რომელშიაც საქართველოს მაგიერ ნახმარია ლაზიკა-კოლხიდა, უფრო ზედმიწევნით: სახელმწიფო ანუ რესპუბლიკა კოლხთა) 554 წ. ქ. დ. შ. სადღაც, მთის მივარდნილ ხევში სახალხო, საიდუმლო ყრილობის წინაშე, რომელიც თათბირობდა დღიურ პოლიტიკურ კითხვებზე: მაშინდელ ამიერ-კავკასიისთვის ეს იყო ერთ-ერთი დრამატიზმით გაჟღენთილი ისტორიული წამი, როცა მათ

მიწაზე და მათ გამო წარმოებდა ბრძოლა სპარსელთა და რომაელთა, ე. ი. ბიზანტიელთა შორის; ადგილობრივი ხალხებიც არ იდგენ გულხელდაკრეფილი. ჰაიეტის სიტყვებში საკვირველი სინათლით და მოკლეთ გამოთქმულია დასაბუთება იმისი, რასაც ეხლა უძახიან პოლიტიკურ ორიენტაციას საქართველოსას, ანუ, რომელიც უნდა იყოს, ეგრედ წოდებულ მცირე ერისას და რომელიც, ასეთსავე პირობებში,— ძლიერ იმპერიათა ბრძოლის დროს— იცავს თავის დამოუკიდებლობას*).

კავკასიის ერებს მე-VI საუკუნის შუაში, აღმოსავლეთ რომის იმპერიის ძალმომრეობასა და ირანის სასსანიდთა წინააღმდეგობის შორის, ერთ-ერთი რამ უნდა აერჩიათ, მაგრამ იმ დროის მოღვაწეებს, უკან რომ მიიხედავდენ, შეეძლოთ, მოეგონებიათ არა ერთი წარსული ორიენტაციის შეცვლა. სხვა რა იყო, თუ არა შესაფერად არჩეული მიმართულება ძლევა-მოსილ, კეთილად-განწყობილ, შორეულ რომთან კავშირის დაჭერა, რომლის შესახებ ხსოვნა, უეჭველია, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და რომლის შესახებ, მცხეთაში ვესპასიანის ცნობილ წარწერებზედაც რომ არაფერი ვთქვათ, ანგორის შესანიშნავ ძეგლზე (Monumentum Ancynarum) ავგუსტოსის მოღვაწეობის მოკლე ცნობები დღემდეა შენახული (Jndex rerum gestarum divi Augusti: თავისი ელჩების პირით იბერთა, ალბანთა მეფეებმა... სთხოვეს რომის ხალხს მეგობრობა).

წინა საუკუნეში, პომპეებისა და ლუკულლების დროს, რესპუბლიკისა და მიტრიდატ ევპატორ პონტიელის შორის ბრძოლაში, განა კავკასიას არ უმტყუნა კამათელმა და არ წააგო თავისი საქმე შემცდარი „ორიენტაციის“ გამო? შორს, საუკუნეთა სიღრმეში, შეეძლო მე-VI საუკუნის კოლხეთ-ლაზიკის ანუ იბერიის მამულიშვილს გადაეხედნა და ბევრი რამ მეხსიერებაში აღედგინა. მაგრამ მან არ იცოდა, თუ რა მზადდებოდა და რა მოჰქონდა მომა-

---

*) შეადარე, ჰაიეტის საკუთარი სიტყვები, რომელთაც მიაკუთვნებს მას: Agathiae Historiarum III. 9. გვ. 156 გამოც. 1828 წ. Corpus scriptorum historiae byzantinae. რუსული თარგმანი ტექსტში ამოღებულია კრებულიდან: ლაზიკა და იბერია К. Ган. Известия древних писателей о Кавказе. Ч. II. Тифлис 1890 г.), და ოდნავ ჩემ მიერ არის შეკეთებული. განს ბერძნული დედნის **კოლხიკე პოლიტეია** უკანონოდ აქვს გადათარგმნილი— „კოლხთა სამეფო“.

ვალს: არც საუკუნეებით გაწამებული მდგომარეობა კავკასიისა, მეომარ ისლამსა და იმდენადვე შეურიგებელ ქრისტიანობას შორის; არც ბედი ამ ქვეყნებისა, რომელნიც მუდმივ შემოსევათა ურის გრდემლათ გახდებოდენ; არც შემდეგი საუკუნეების ცვალებადობა, რომელსაც მიჰყავდა საქართველო ხალიფების ბაღდადიდან და ძოწეულმოსილ იმპერატორთა კონსტანტინეპოლიდან—სპარსეთის აღორძინების ისპაჰანშიაც, ამურატების სტამბოლშიაც, და „უწყნარესი“ მეფეების მოსკოვშიაც; არ იცოდენ, რო ჩვენს დროში, რომანოვების პეტერბურგის იმპერიასთან ერთი საუკუნის კავშირის შემდეგ, ისტორიის მსვლელობა გაგზავნის საქართველოს 1918 წელს ბერლინისაკენ, 1919 წ.—ლონდონისაკენ და 1921 წელს ისევ მიიყვანს მოსკოვის, ეხლა კი უკვე ლენინის მოსკოვის ხელისუფლებამდე.

მაშინ, მე-VI საუკუნეში, არ შეეძლოთ წინათ განსჭვრეტა, რომ უნდა ასრულებულიყო საქართველოს სრული დამოუკიდებლობის ოცნებაც,—რაც ასე იზიდავდა ჰაიტესს წ ა რ ს უ ლ შ ი. მართლაც, დადგა წუთი, როცა ხალხის, შრომით, მმართველთა გონიერებით და ეროვნული ენერგიის დაძაბვრით გამაგრებული საქართველო აღარ საჭიროებდა „ორიენტაცია“ აერჩია, არამედ ლაღად ცხოვრობდა ბრძოლასა და შრომაში (ამას ხელს უწყობდა აწონ-დაწონილი და ხერხიანათ გამოყენებული გარეშე პირობები): დავით აღმაშენებლიდან თამარ მეფემდე (XI-XIII საუკ.), (აახლოვებით იბნ-მისანის მიერ სახელმწიფოთა აყვავებისათვის დადებულ დროის განმავლობაში, საქართველომაც გაატარა სიხარულისა და კეთილისმყოფელი დუღილის დიდი ხანა.

მიგდებულსა და კინაღამ დავიწყებულს წარსულის ფურცლებს მეცნიერთა და მწერალთა ახალმა თაობებმა მზრუნველის ხელით თან და თან გადასწმინდეს ფერფლი, და ეს წარსული ახლად თვალახელილთათვის, იწყებს ელვარებას ათასი პატიოსანი ფერადებით, ვით მუყვარტლ-გადაწმენდილი ფრესკი. აღდგენილ იქმნა ძველი ზნე-ჩვეულება, რომელიც მუდამ იყო კულტურული და კაცთმოყვარე.

წარსულთან ასეთის კავშირისა და წარსულის ასე გათვალისწინების შემდეგ, უნაყოფო და ამაო იქნებოდა, საქართველოს და კავკასიის სხვა ერების დღევანდელ პოლიტიკურ მოძრაობაში ვხედვიდეთ გარეშე გარემოებათა, ინტრიგებისა და პატივმოყვარეობის შემთხვევით ნაყოფს. იგი, უეჭველად, ფესვებით ღრმად ნიადაგში ჩასული ძველი ხის ახალი ყლორტია.

როცა ავტორი ფესვებს იხსენიებს და მოგიწოდებსთ ერთი თვალი გადააველოთ წარსულს, იგი სრულიად არ აპირებს მკითხველის ყურადღება დააშოროს ჩვენი დროის პოლიტიკურ კითხვებს. ეს წიგნი ცდილობს მეხსიერებაში აღბეჭდოს მხოლოდ რამდენიმე ძაფი ცხოვრების განწყობილებათა უსაზღვრო რთულ ქსოვილისა, რომელსაც ისტორია, ეს მარადიული ფეიქარი, თვალწინ გვიშლის. თუ სასარგებლოა მოთხრობას, რომელიც შეიცავს 1918-1921 წლების ამბებსა და შთაბეჭდილებებს, წარუმძღვაროთ რამდენიმე სიტყვა შორეულ წარსულის შესახებ,—არც თუ ისე შორეულის,—როგორ ღა დავტოვოთ უბოლოსიტყვაოთ მოთხრობა, რომელიც დამთავრდა საქართველოსთვის ისეთის დიდი მოვლენით, როგორიც არის იქსაბჭოთა წყობილების დამყარება, 1921 წელს კომუნისტთა შემოსევის შემდეგ?

ეს უფრო სპეციალურად გვაახლოვებს ამ წიგნში განზრახულ განვლილ ისტორისს ნაკვეთს.

როცა ავტორი სწერდა საქართველოს დამოუკიდებლობის კითხვაზე 1918—1921 წ. ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაში, იგი სრულად არ ეხებოდა ან ოდნავ ეხებოდა თვით საქართველოს ამავე წლების შინაგან ისტორიას. თითქოს ყოველთვის წინდაწინვე მიღებული იყო, რომ საქართველოს მდგომარეობა საერთოთ დამაკმაყოფილებელია და რომ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, უნარიანი დემოკრატია შინაურ საქმეებში თან და თან ჰქმნის წესრიგს. ასეთი, სრულიად ზოგადი დაფასება, არ იყო მაინცა და მაინც სინამდვილეს დაშორებული: სიმართლეს არ იყო მოკლებული, დაკვირვებანი და ცნობები, რომელსაც უგზავნიდენ თავიანთ მთავრობებს დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელნი და რომელთა გავლენით საქართველომ მიიღო ბალტიის რესპუბლიკებთან ერთად თავისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობა.

დიდი სახელმწიფოები კი არ ყოფილან საქართველოსადმი ყოველთვის და ძლიერ კეთილ-განწყობილნი, მაგრამ საბჭოთა პოლიტიკის მეოხებით, საქართველოს წარმომადგენლობითი დემოკრატია უეცრათ, და მრავალთათვის სრულიად მოულოდნელადაც კი, დაეცა 1921 წ. დასაწყისში. ამიტომ უაღრესად საჭიროა ზოგიერთი შესწორება იქნეს შეტანილი საქართველოს 1918—1921 წლების დემოკრატიის ზემო აღნიშნულ დაფასებაში.

შესწორებამ უნდა მოგვცეს აგრეთვე საშვალება გავარკვიოთ, თუ რამ შეუწყო ხელი საქართველოში საბჭოთა გამარჯვებას. სა-

გარეო პოლიტიკის შეცდომებზე ლაპარაკი აქ არ არის სავალდებულო, რადგან თვით წიგნშია ნაჩვენები. უმთავრესად ისინი დაჰბადა მარქსის მოძღვრებით თავის გაბრუებამ, სახელმწიფოს მართვის წესების დარღვევამ, რაც დიდ ზარალს აყენებდა საქართველოს შინაგან საქმეებშიაც.

საქართველოს მეთაურებს თავიანთი მთავრობა საბჭოთა წყობილებისაგან გასარჩევად წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც დემოკრატიული.

ნამდვილათ კი საქართველო, რა თქმა უნდა, ჯერ სრულიად ვერ აკმაყოფილებდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოთხოვნილებას. უკანასკნელის გარეგანი ფორმები მხოლოდ ჰფარავდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიქტატურას.

ეს არ იქნებოდა უბედურება. იგი სასარგებლოც კი იყო, რადგან რევოლიუციის დროს მთავრობას საშვალება ეძლეოდა პირველ ხანებში კარგად შეკავშირებულ, გავლენიან პარტიას დაყრდნობოდა. მაგრამ მდგომარეობასთან შედარებით საკმაოთ ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება პარტიულ დოქტრინისაკენ მეტის-მეტად იხრებოდა და ადვილად არღვევდა სახელმწიფოს მართვის, თუმცა დაუწერელს, ინტუიციით შესაგნებს, მაგრამ უჭეშმარიტეს წესებს.

თანაც საქართველოს მთავრობა ასეთ ზნეს დღითი დღე კი არ ასუსტებდა, არამედ აღრმავებდა. 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ყრილობა თითქოს წარმოადგენდა მთელი ხალხის მთლიანობის სურათს, და ადამიანი იფიქრებდა, რომ იგი გვპირდებოდა ეროვნული პოლიტიკის წარმოებას. 1921 წლის დასაწყისში კი, როგორც მთავრობა, ისე დამფუძნებელი კრება წარმოადგენდა პარტიული ორგანიზაციის უბრალო კრეატურას. სახელმწიფოებრივ საქმეებში გამოუცდელ დოქტრინიორების დაუღალავი ჯიუტობით ავიწროებდენ ისინი თავიანთი არსებობის, საკუთარი მომავლის ნიადაგს.

თავის გზის ბოლოში საქართველოს მთავრობა ისეთ ვიწრო კარაბაზე მოემწყვდა, რომ უბრალო წკიპურტით შესაძლო შეიქნა მისი ჩამოგდება.

ზევით ნათქვამი შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. რევოლიუციის წიაღიდან გამოსული საქართველოს მთავრობა დარჩა ბევრათ უფრო სოციალური დემაგოგიის, ვიდრე დემოკრატიული და ეროვნული პოლიტიკის, მთავრობათ. იგი უნდა გამხდარიყო და შეეძლო კიდეც ასე გარდაქმნილიყო, მაგრამ ეს არ მოხდა.

უმთავრესათ მიწის მფლობელების განიავება შეადგენდა ამ მთავრობის უღრმეს სურვილს და მისწრაფებას.

აგრარული რეფორმის საჭიროებას უკარნახებდა მათ გლეხობის ნამდვილი მოთხოვნილებაც და რუსეთის რევოლიუციის წარმტაცი მაგალითი და ზედ-გავლენა და, გარდა ამისა, დემაგოგიური რევოლიუციონური შეჯიბრების საშვალება. რეფორმა გარდუვალი იყო, მაგრამ ისეთი ფორმები მიიღო, რომელნიც არ იყვენ შეფარდებული არც სოფლის მეურნეობის პირობებთან, არც მომავლის მოთხოვნილებებთან, არც საქართველოს კლასებათ დაუყოფელ ერის ზნე-ჩვეულებასთან.

შეგნებულათ ანადგურებდენ მოსახლეობის მრავალრიცხოვან ჯგუფებს, შედარებით განათლებულ და საჭირო ნაწილს ხალხისას*).

ამავე დროს, მას შემდეგ, რაც გლეხებს დაურიგეს წინანდელ მესაკუთრეებისაგან ჩამორთმეული მიწები, გაძლიერდა ჩვეულებრივი გულგრილობა გლეხებისა პოლიტიკური წყობილებისადმი, შესუსტდა ყოველივე ინსტიქტი გარედან შემოსეულ ძალის მიმართ, რადგან უკანასკნელისაგან არ იყო საშიშროება უკვე დაყოფილ მიწების წართმევისა. ერთის სიტყვით, საქართველოს აგრარული პოლიტიკა არ იყო მიმართული ევროპისაკენ და მისი სამოქალაქო კანონმდებლობისაკენ და არ იყო შეფარდებული დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

სულმოკლეობისა და უმეცრების გამო განგებ არ უნდოდათ, გულდასმით მოეწყოთ, შესაძლებელ თავდასხმის დროისთვის საჭირო შეიარაღებული ძალა (თუნდაც 1918 წლიდან კომუნისტების მაგალითისამებრ); ამის მიზეზი იყო საქართველოს მთავრობის იგივე ძირითადი მოძღვრება, მოძღვრება კლასთა ბრძოლისა, რომელმაც შეუშალა მას ხელი გამხდარიყო ეროვნულ მთავრობათ.

აგრარულმა რეფორმამ ზოგი დასცა და ბოგანოთ გახადა; ზოგი დაასაჩუქრა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ფ ი ნ ა ნ ს ი უ რ ი და ს ა მ ხ ე დ-

---

*) მხედველობაში არ გვყავს ყოფილი მთავრების და დიდებულთა მცირერიცხოვანი შთამომავალნი; ხალხის ზნე-ჩვეულების უარისყოფამ პოლიტიკურ ორარაობათ გახადა ისინი და სულიერათ გამოფიტა. ჩვენ ვგულისხმობთ ფართო ფენს—მიწის მცირე და საშვალო მესაკუთრეებისას, რომელნიც მჭიდროთ არიან დაკავშირებული ხალხთან და მიწასთან, და რომელნიც საყურადღებო შემატება და სასარგებლო თანამშრომელი იქნებოდა საქართველოს დემოკრატიის, თუ კი ეგი მოისურვებდა სახელმწიფოებრივათ მოწყობილიყო.

რო ბ ე გ ა რ ი ს დ ა უ კ ი ს რ ე ბ ლ ა დ; ასეთმა პირობებმა მეტათ გაა ძნელა სულ მცირე ჯარის მოწყობა იმ ქვეყანაში, რომელიც მდიდარი იყო მწყობრი ჯარის ოფიცრებით და იმ ხალხში, რომელმაც მრავალი საუკუნეთა განმავლობაში უებარი მეომარის სახელი მოიპოვა.

როდესაც საქართველო მ ი ი ყ ვ ა ნ ე ს საბჭოთა რუსეთთან შ ე ტ ა კ ე ბ ა მ დ ი ს, თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გ ა უ წ ე ვ ი ა თ წითელ არმიელთა არც თუ მაინცა და მაინც დიდ ძალისათვის. ყველაფერი იყო ნამოქმედარი, რომ თავდამცემ საბჭოთა ლაშქარს წინ დახვდომოდა არა „შეიარაღებული ხალხი“, არამედ პარტიის მეთაურთა ჯგუფი, დიდი საზოგადოება პიროვნებათა, რომელიც სარგებლობდა სახელმწიფოებრივ ხელისუფლებით და მათთან მცირე წრე ერთგულ თავდადებულთა.

მათი შავ ზღვაში გადაგდება ოდნავ სიძნელესაც არ წარმოადგენდა.

საქართველოს შინაგან საქმეების ბეჯითმა ცოდნამ—სამხედრო ორგანიზაციის სრულმა უქონლობამ—მისცა მოსკოვის მთავრობას აზრი „მოენელებინა საქართველო“, როგორც კი გარეშე პირობები (რაზედაც წიგნი თვით გვამცნობს) ხელსაყრელად მოეწყო.

ძლიერ გამოიყენა მოსკოვმა საბჭოთა მაცდური ლოზუნგებიც, რომელთაც უნებლიეთ შეჰქონდათ საქართველოს მთავრობის მიმდევართა და საეჭვო საფუძვლათ მდგომ ფართო მასებში კლასობრივი ბრძოლისა და მიწის ჩამორთმევის იდეები.

ეს იყო სწორეთ ის, რაზედაც იზრდებოდა საქართველოში ხალხი. რაღა გავლენა უნდა ჰქონოდათ სქოლასტიკურ შენიშვნებსა და განმარტებებს, როცა მათივე ლოზუნგები ნათლად მოსჩანდა მომხდური ჯარის ბაირაღებზე, და რუსეთის ძლიერების ჩვეულებრივი სიდიადე ღებულობდა ჯერ კიდევ გუშინ თაყვანსაცემ წითელ ბაირაღის სახეს.

მშობელი ერისა და შემოსეულ უცხოელის უკანასკნელ წამში დაპირისპირება, უეცრათ გადასვლა საერთაშორისო სოციალისტური ყრილობების კილოდან მამულიშვილურ და ეროვნულ პათოსის ენაზე— უკვე დაგვიანებული და უიმედო საქმე იყო. 1918 წლიდან რომ მიეღოთ ამ მხრით სრულიათ საშუალო სახელმწიფოებრივი ზრუნვა, ასეთი უეცარი და უშედეგო ფერისცვალება აღარ იქნებოდა საჭირო.

და აი საქართველოს დემოკრატიის გარდუვალი და თავდაუხწეველი დაცემა მოხდა სწორეთ მაშინ, როცა თავის კმაყოფილი და

თავის მოიმედე, იგი დაჯდა მის მიერვე შეყვარებულ პარტიული განკერძოების ვიწრო კარაბეზე, 1921 წელს, საქართველოს საერთაშორისო სრული ცნობის შემდეგ, და წინასწარ სტკბებოდა კიდევ უფრო მეტი და კიდევ უფრო მშვიდი განცხრომით, რომელიც ნაყოფი იყო მისი მრავალ მხრით მადლიანი შრომისა. აი, ამ დროს, როგორც ნათქვამი იყო, იგი ძლიერ ადვილათ ჩამოაგდეს.

განა საჭიროა დაუმატოთ, თუ რამდენათ ხელს უწყობდა ამას ის, რომ ვერ მოახერხეს ისტორიის გაგიჟებით სრბოლასთან შეეთანხმებიათ მეზობლებთან ზავის გათავების სისწრაფე და მათთან კავშირის შეკვრა? ნუ თუ დაუმატოთ, რომ ბევრ რამეში წარმატებით ჩატარებული საგარეო პოლიტიკის შემდეგ, საქართველო ჩააყენეს სავსებით განმარტოვებულ მდგომარეობაში, ანგორისა და მოსკოვის თავდასხმის საშიშროების მოლოდინში.

შევჩერდეთ განა იმაზე, რომ პირველითაც და მეორითაც ისარგებლა მოსკოვმა, და თავის წარმატებას კავკასიაში ხელი შეუწყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო შეერთების პროგრამით, როცა ძალით გააკეთებინა ის, რაც მათ არ ისურვეს გაეკეთებინათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე? გავჩერდეთ ოსმალეთთან საზღვრების დადებაზე, რომელიც მოახდინა მოსკოვის მთავრობამ საქართველოსა და განსაკუთრებით სომხეთისათვის სამძიმო პირობით, (ყარსის დათმობა) მაგრამ რომელიც კითხვის ერთგვარი გადაწყვეტა მაინც იყო—იგი სასიამოვნოთ რჩებოდა ბევრს, რომელთაც მიუზომეს რევოლიუციით მოპოვებული მიწა, რადგან საშვალებას იძლეოდა მყუდრო მუშაობისას?

---

აქ საკმაოა აღვნიშნოთ ეს უმთავრესი ხაზები; როცა დაუბრუნდებით ისტორიულ დაკვირვებათა სტილს, ვიტყვით, რომ საქართველოს დემოკრატია 1918—1921 წ. იყო დიქტატურა სოციალ-დემოკრატიისა, ე. ი. მარქსიზმის მემარჯვენე ფრთისა და იგი იყო საქართველოში საბჭოთა დიქტატურის გამარჯვების მომმზადებელი ხანა. სოციალური პოლიტიკის მთელი შინაარსით და თავის სულით დემოკრატია იგი, მიუხედავათ ეროვნული შეგნებისა, რომელიც უეჭველათ იღვიძებდა მასში, საქმით მიმართული იყო არა ევროპისაკენ, არამედ მოსკოვისაკენ. ამით იბადებოდა ძირითადი

წინააღმდეგობა ევროპაზე ორიენტაციასთან, რომელსაც ბეჯითად მიჰყვებოდა საქართველო საგარეო პოლიტიკაში 1921 წლის ზაფხულამდე.

როცა 1921 წელს, თებერვალ-მარტის მძიმე დღეებში, საქართველო გააწვინეს მაგიდაზე და გამოცდილმა ქირურგმა—საბჭოთა ხელისუფლებამ—სასტიკი ოპერაცია გაუკეთა, მან იცოდა რომ ავადმყოფი გააბრუა და ოპერაციისათვის უკვე მოამზადა მასზე არა ნაკლებ გამოცდილმა, თუმცა არა მასავით გამბედავმა ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ.

ის, რაც პოლიტიკურათ და სუბიექტიურად შეადგენდა ბრძოლას და ჰგავდა გადატრიალებას, ისტორიულათ და ობიექტიურათ ჩაითვლება უბრალო შრომის განაწილებათ და თან და თან განვითარებათ.

ეს იყო და ეს. სამწუხაროა, მაგრამ ასეთი პოლიტიკური გაუგებრობა დიდმნიშვნელოვანათ არ გვეჩვენება იმ ხანაში, როცა სიცოცხლით სავსე, ჯანსაღი ახალგაზრდობა მილიონობით ისპობა, თითქოს არაფერიაო!

კაცობრიობის ისტორია ზოგჯერ იღებს გაგიჟებული ცეკვის სახეებს. გარეგან ბოდვისებურ ფორმებში, მოვლენათა სწრაფ თრთოლაში, საჭიროა მოვნახოთ ძირითადი თემები, მუდმივი განმეორებული მტკიცე ძაფები.

ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისადმი, დამოუკიდებელ შემოქმედებითი არსებობისადმი, საიდუმლოებით მოცული ერთობა ეროვნულ კოლექტივისა—აი ეს არის ერთი ამ თემათაგანი, ერთი მხოლოდ მოჩვენებით გაწყვეტილი ძაფთაგანი.

დამოუკიდებლობა საქართველოსი და მისი მეზობელ კავკასიის ხალხების მიუხედავათ 1920—1921 წლების ამბებისა, სრულიად არ არის გუშინდელი უბრალო შემთხვევა, რომელიც სიჩქარით იძირება ისტორიაში; პირიქით, იგი ჩვენი დროის და ახლო მომავლის ცოცხალ თემად დარჩება. ამიტომაც ეს წიგნი შორს არის იმ გრძნობიდან, რომელიც გამოთქმულია ცნობილ:

Victrix causa diis placuit, sed victa Catoni.

და თუ აქ არაფერია დამატებული იმის შესახებ, თუ რა პირობებში და რა ცვლილებებით მიმდინარეობს საქართველოს ცხოვრება ეხლა, საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებთან ძალდატანებულ ერთობაში; როგორ სახეს იღებს პოლიტიკური და სამეურნეო განვითარება კავკასიისა რუსეთის რევოლიუციის მიერ შექმნილ პირო-

ბების ზედ-გავლენით; და სინამდვილეში როგორი განწყობილება დამყარდა კავკასიის ერთა შორის, ყარსის ზავის თანახმად ტერიტორიის საგრძნობი ნაწილის ოსმალეთისათვის დათმობის შემდეგ 1921 წ.;—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აქ უკვე ჩვენ წინ ჩნდება ისტორიული ქსოვილის ახალი, რთული ნაკვეთი, რომელიც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია ფეიქარს და რომლის განხილვა ნაადრევი იქნებოდა.

საქართველოც, სომხეთიც, აზერბაიჯანიც არსებობს; მათზე გადავლილმა, ყველას გამათანასწორებელმა ეტლმა ისინი ვერ გასრისა: მათი ისტორია არ შემწყდარა 1921 წელს; იგი მიმდინარეობს სხვა პირობებში.

წიგნისთვის, რომელიც დაფუძნებულია პირად განცდაზე და ნაგრძნობზე, ასეთი ზოგადი შენიშვნებიც საკმაოა. ჩვენი რესპუბლიკების პოლიტიკურ ბედზე 1921 წლიდან ავტორს შეეძლო ლაპარაკი, მხოლოდ როგორც ცნობის მოყვარე მკითხველს, რომელსაც ბევრი რამ დარჩა უცნობი.

ამგვარათ, გაგრძელება არ არის შეწყვეტა; და არავინ არ უნდა ჩაეჭიდოს წარსულს. აწმყოში ბევრათ მეტია სინამდვილე, მომავალში კი—მიმზიდველობა.

რაც შეეხება მრავალ პირთ, რომელთაც ავტორი თავის თავსაც მიაკუთვნებს, რომელთაც პოლიტიკურ აღრევის გამო ბევრი რამ გადაიტანეს (მაგრამ რამდენჯერ ნაკლები, ვიდრე ომში ხმლით დაღუპულებმა ან და სამოქალაქო შეტაკებაში დაფლეთილებმა!) საკუთარ ჭრილობებს არ აძლევენ მნიშვნელობას და არ ურევენ იმ საქმის ბედ-იღბალში, რომელსაც ემსახურებოდენ—მათ დარჩენიათ მოიგონონ ჭკვიანი კაცის სიტყვები, რომელიც დიდი ხნის წინათ სწერდა თავისა და მათ მაგიერ:

„si l'evenement me bat, s'il, favorise le party que j'ay refusé, il n'y a remede; je ne m'en prens pas à moy; j'accuse ma fortune, non pas mon ouvrage; cela ne s'appelle pas repentir“. (Montaigne. Essais. Livre III, chap. II.).

პარიზი, სექტემბერი, 1924.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: განზრახული იყო ეს თხზულება შეგვევსო მეორე ტომით, რომელშიაც მოთავსებული იქნებოდა ავტორის მიერ დაწერილი ნოტები და მემორანდუმები, სხვა და სხვა ხელის მოწერით შეტანილი სხვა და სხვა დროს საქართველოს საქმეების გამო ევროპის სატახტო ქალაქებში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დიდ სახელმწიფოთა მიერ მისი იურიდიული ცნობამდე (1918—1921 წ.). ეს საბუთები წარმოადგენენ კავკასიისა და საქართველოს უახლოეს ისტორიის მცირე კრებულს და, რადგან ერთ და იმავე პირის მიერ არიან შედგენილი, ერთგვარ მთლიან აზრსა და სტილს გამოხატავენ. ამ ფრანგულ ნაწერებს წინასიტყვაობის და განმარტების სახით უნდა დართოდა კავკასიის პოლიტიკის რამოდენიმე ძირითადი კითხვის მოკლე მიმოხილვა, მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი უნდა აგვეღო, რაც მკითხველსა და უფრო მეტათ კი ავტორს შეუმსუბუქებს ტვირთს.

ზედმეტი არ იქნება, მგონი, აგრეთვე ავხსნათ, თუ რათ გამოდის ეს წიგნი-არსებითად ქართული და კავკასიური-რუსული ენაზე: ავტორს სახეში ჰქონდა, რომ ევროპაში გაფანტული კავკასიის შვილებისათვის და კავკასიასთან დაკავშირებული რუსებისათვის—ე. ი. შესაძლებელი მკითხველთა წრეებისათვის—რუსული ყველაზე უფრო გასაგები საერთო ენაა.

ეს თხზულება (წინასიტყვაობით) გადაცემული იყო დასაბეჭდათ, სანამ მოვიდოდა ცნობები საქართველოში მომხდარ აჯანყების შესახებ. (სენ. 1920 წ.)

# საქართველოს
# დამოუკიდებლობა
# 1918—1921 წლების
# საერთაშორისო პოლიტიკაში

გასრულდა მათი ამბავი,
ვითა სიზმარი ღამისა.

**რუსთაველი.**

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილებამ საქართველოში თავი იჩინა რუსეთის რევოლიუციის პირველსავე დღეებში. სხვა გვარათ არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთება მოხდა არა ნორმალურ პირობებში; თავის დროზე (1801 და შემდეგ) იგი უმტკივნეულოდ არ ჩატარებულა.*)

თუმცა გამარუსებელი პოლიტიკა დიდ ენერგიას ხარჯავდა, შესახედავათ ნაყოფიერიც იყო, თუმცა საქართველოსთვის სრულიად შეუძლებელი ხდებოდა ეროვნული ცხოვრების მოწესრიგება, მაინც საკმაო შ ე ე რ თ ე ბ ა და შ ე დ უ ღ ე ბ ა რუსეთსა და საქართველოს შორის არ მომხდარა.

რუსული კულტურა, ზოგჯერ გამანადგურებელი, უფრო ხშირად კი სასარგებლო, ყოველ შემთხვევაში აქ ღრმა და მრავალ გავლენას ახდენდა. საქართველოს რუსეთის იმპერიისადმი პოლიტიკური ლოიალობა მთელი საუკუნის განმავლობაში მტკიცეთ, ურყევათ რჩებოდა, მაგრამ საქართველოს გარუსება; ყოველივე ს ა კ უ თ ა რ ი, ეროვნული მისწრაფების საბოლოოდ უარისყოფა ისევე ვერ იქმნა მიღწეული საქართველოში, როგორც არ იყო მიღწეული დანარჩენ „სხვა ტომთა“ („ინოროდცების“) განაპირა ქვეყნებში. მართალი რომ ვსთქვათ, გარუსების თვით გეგმა ამჟღავნებდა მხოლოდ სახელმწიფოებრივი შემოქმედების სიღატაკეს და „იმპერიის

*) იხ. ამის შესახებ ზ. ჭავჭავაძე: „საქართველოს რუსეთთან შეერთება“. მეორე გამოცემა 1906 წ. არსებობს ‹გრეთვე ძველი წიგნი ნ. დუბროვინისა. კარგი პატარა გამოკვლევა ხელთუფლიშვილისა (მოსკოვის იურიდიულ უწყებებში 1890 წლებში) და სხვა, მაგრამ კითხვა ჯერ კიდევ საკმაოთ არ არის დამუშავებული.

ალმშენებლობითი“. ცხოველმყოფელი წყაროების ამოშრობას თვით რუსეთის სახელმწიფოებრივ ცენტრში.*)

რა თქმა უნდა: მხოლოდ 1917 წლის რევოლიუცია იძლეოდა საიმედო საშვალებას საქართველოს კითხვა დაყენებულიყო, როგორც საჯარო სამართლის კითხვა რუსეთში, მაგრამ მხოლოდ ბოლშევიკურმა გადატრიალებამ და დიდი ომის პოლიტიკურმა კონიუნკტურამ, 1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ, შესაძლოთ გახადა ამ კითხვის საერთაშორისო სამართლის ნიადაგზე (ბევრისათვის მოულოდნელი) გადაწყვეტა, და საქართველოს სრული დამოუკიდებლობის გამოცხადება.

საქართველოს კითხვის განვითარების სწორეთ ამ საერთაშორისო საფეხურს (1918—1921 წ.) ეკუთვნის აქ მოყვანილი ფაქტები, დაკვირვებანი და მოგონებანი. მაგრამ საგნის ნათლად წამოსადგენად, ჩვენ მოგვიხდება დავიწყოთ ზოგიერთ უფრო ადრინდელ (განსაკუთრებით 1917 წლის), ხან პოლიტიკურ და ხან შინაურ ყოფაცხოვრების ეპიზოდებიდან, რომელთაც, ყოველ შემთხვევაში, პირდაპირი კავშირი აქვთ ამ წიგნის უმთავრეს, წმინდა პოლიტიკურ თემასთან.

---

*) ომისა და რევოლიუციის წინადღის საქართველოს ეროვნული კითხვის საერთო ნაკვთი ჩემ მიერ დაწერილი იყო კრებულისათვის: „ეროვნული მოძრაობის ფორმები ევროპასა და რუსეთში“, რომელიც გამოვიდა 1909 წ. (ს. პ. ბ. „საზოგადო სარგებლობა“); მეორე ჩემი ეტიუდი კავკასიის პოლიტიკის პრობლემების შესახებ დაბეჭდილი იყო პ. ბ. სტრუვეს „რუსეთის აზრში“ (1911 წ.). შესაძლებელია, რომ ამ შრომებში ნაჩვენებია ის ფესვები, რომლიდანაც 1918 წლის ხელოვნურ სითბოს დახმარებით გაიზარდა საქართველოს დამოუკიდებლობის ხე-

## თავი პირველი.

# რუსეთთან ერთად!

### 1

როცა პეტროგრადში ამოხეთქა თებერვლის რევოლიუციამ ე. ი. სხვა სიტყვებით, როცა რომანოვების სამფლობელომ დაიწყო ნგრევა და დაშლა, საქართველოში არვის (გამონაკლისი ძლიერ მცირე იყო) უფიქრნია და არ უთქვამს: „დადგა დრო მოვიშოროთ რუსეთის უღელიო“. მიხვედრილი კი იყვნენ, რომ კავკასიის ტრადიციული სამხედრო-პოლიციური დიქტატურის საშვალებით მართვას ბოლო ეღება, რომ იმპერატორთა ხელისუფლებასთან ერთად ეცემა კავკასიის პროკონსულობა, როგორც იგი შემუშავდა რუსების ასი წლის ბატონობის დროს. კავკასიის ხალხების სახელმწიფოებრივი თვითმმართველობა, რომელიც გუშინ მიუწდომელ ოცნებით იყო აღიარებული, უეცრათ უდავო და გადაწყვეტილ საგნათ იქმნა ცნობილი.

მაგრამ დროებითი მთავრობა (პირველი შემადგენლობის) სრულიადაც არ აპირებდა 'უარი ეთქვა კავკასიაში რუსეთის სამფლობელოებზე ან სხვა რომელიმე რუსეთის ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილზე: პირიქით, იგი წინააღმდეგი არ იქნებოდა ეს მემკვიდრეობა გაეფართოებინა. მეორეს მხრით, არც საქართველოს და არც კავკასიის სხვა ნაწილს ფიქრადაც არ მოსვლია ჩამოშორებოდა რუსეთის იმპერიას. (იმპერატორები აღარ იყვნენ, იმპერია კი, საერთო აზრით, განაგრძობდა არსებობას). ეგონათ, რომ რევოლიუცია ეხლა კი მისცემს ყველას საშვალებას შეერთდენ სიამოვნების და კეთილდღეობის ნიადაგზე. როგორც ეტყობოდა, ასეთის გრძნობით აგზავნიდა დროებითი მთავრობაც „ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს“ თფილისში (ამაზე ქვევით ვიტყვი რამდენიმე სიტყვას).

რუსეთთან მთლიანობის აზრით უნდა გაგებულ იქნეს ის განცხადებებიც საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, რომელნიც 1917 წლის მარტიდან დაწყებული გამოქვეყნებული იყო საქართველოშიაც და მისი საზღვრების გარეშეც.

ამ განცხადებებს, შეიძლება, არც ჰქონდათ პირდაპირი პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგრამ მათის საშვალებით ადვილი ხდებოდა შეემჩნია ადამიანს, თუ რა ბუნებრივათ მიმდინარეობდა საზოგადოებრივი აზრის პოლიტიკური ჩამოყალიბება თვით საქართველოში და მთელ რუსეთში გაფანტულ ქართულ ახალშენებისა. ამ ჩამოყალიბების ღერძი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ე. ი. შექმნა საკუთარი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისა, მაგრამ იმ პირობით, რომ საქართველო დარჩენილიყო სრულიად რუსეთის სახელმწიფოებრივ კავშირის ფარგლებში.

ამ აზრზე იყო დამყარებული, მაგალითად, 1917 წლის მარტის პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა კრების მიერ ერთხმად მიღებული რეზოლიუცია. თფილისის უნივერსიტეტის საფუძვლის მომავალმა ჩამყრელმა, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ი. ჯავახიშვილმა ამ კრებაზე წარმოსთქვა ზეშთაგონებული სიტყვა: მისი ბაგეთა საშვალებით რაღაც ახალ კილოზე უეცრად ალაპარაკდა საქართველოს ათასი წლის პოლიტიკური ტრადიცია.*)

მაგრამ საქართველოს ყველაზე უფრო დარაზმული და მრავალ რიცხოვანი პარტია (ს.-დ.) რევოლიუციის ხანის უპირველეს თვეებში რაღაც გაურბოდა ამ საერთო ხალხურ მისწრაფებისა და იმედების აგრე ბუნებრივ და მარტივ მიმდინარეობას.

საქართველოს სოც.-დემოკრატები მუდამ იმყოფებოდენ რ უ ს ე თ ი ს სოც.-დემ. პარტიის შემადგენლობაში; საქართველოში ისინი სასტიკათ და, როგორც მათ ეგონათ, წარმატებით ებრძოდენ საქართველოს ავტონომიის მომხრეებს „ცენტრალიზმის“ დასაცავათ.

ბუნებრივია, რომ აძეთი პოზიცია შეინარჩუნეს მათ დროებითი მთავრობის დროსაც, სანამ რუსეთის „მენშევიზმს“, რომლის პოლიტიკური მიმდევრები და პაებით მონაწილენი იყვნენ, გავლენიანი ადგილი ეჭირა რევოლიუციის ხელმძღვანელობაში; ამ დროს ისინი მაინცა და მაინც კეთილის თვალებით არ უცქეროდენ საქართველოს და რუსეთის სხვა განაპირა ქვეყნების „დამოუკიდებლობის“ ლოზუნგს.

---

*) მე პატივი მქონდა ამ კრების თავმჯდომარე ვყოფილიყავი.

ამას ჰქონდა თავისი მიზეზები და განმარტებები, რომლის აქ მოყვანა უადგილო იქნებოდა. ვიხსენებ კი მხოლოდ იმ მიზნით, რომ აღვნიშნო, რომ დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებამ ქართველ საზოგადოებაში თავი იჩინა რევოლიუციის პირველ დღეებშივე; მაგრამ მხოლოდ ოქტომბრის (საბჭოთა) გადატრიალების და მის მიერ გამოწვეულ ქართველ სოციალ-დემოკრატების ქართულ ეროვნულ პროგრამის ფრონტზე გადასვლის შემდეგ, რომელიც გამაგრებული იყო ამიერ-კავკასიის (დროებითი: „დამფუძნებელ კრებამდე“) სეპარატიზმით, ქართველი ხალხის მისწრაფებათა ჩამოყალიბებამ მიაღწია სასურველ სისრულემდე.

ეს მიღწევა მჭიდროთ დაკავშირებულია 1917 წლის ნოემბრის საქართველოს ეროვნულ ყრილობასთან (თფილისში), სადაც გამომზეურდა ნამდვილი, თუ გნებავთ, „წმინდა“, ერთსულოვნება საქართველოს ხალხის ყველა კლასებისა და ჯგუფებისა.*)

## 2

მაგრამ არავის უფიქრია რუსეთთან სახელმწიფოებრივი ნასკვნის გაწყვეტა; ისე როგორც ეს არ უფიქრიათ ესტონიაში, ლატვიაში, ლიტვაში და რუსეთის სხვა განაპირა ქვეყნებში. საქართველო, შეიშლება ითქვას, მიდიოდა ამ მხრივ სხვებთან ფეხ-შეწყობით.

მე შემეძლო ამაზე უფრო ადვილათ შემედგინა აზრი, რადგან 1917 წ. (ისე როგორც წინათ 1905-1906 წ.) პეტერბურგში მე მომიხდა მონაწილეობა მიმეღო იმპერიის ფედერატიულათ გარდაქმნის მომხრეთაგან შემდგარ განაპირა ქვეყნების მოღვაწეთა თათბირში.

ამ თათბირს მონდობილობით (იგი ჩვეულებრივ იკრიბებოდა ესტონიის ერთ საკრედიტო საზოგადოებაში, დიდი კონიუშენნის ქუჩაზე) მე შევადგინე სქემატიური პროექტი ამ წყობილების ზოგიერთი ძირითადი დებულებისა: ვინც იგი განიხილა, ზოგის კვალიც აღარა სჩანს, ზოგი კი შეიქმნა დამოუკიდებელ რესპუბლიკათა სა-

*) ამ შემთხვევაში, სრულიად ბუნებრივია, რომ ზოგი აფასებდა უმთავრესად ეროვნული გაერთიანების ფაქტს, როგორც გარდუვალ ნიადაგს სახელმწიფოებრივ ფორმათა შექმნისათვის; ზოგი კი, თავდაპირველათ, ცდილობდა გაემაგრებინა და დაეცვა საქართველოს ჩარჩოებში, ანდა მთელ ამიერ-კავკასიაში ის, რასაც უძახდენ „რევოლიუციის მონაპოვარს“. სინამდვილეში ორივე ეს საგანი მჭიდროთ იყო ერთმანეთთან გადასკვნილი.

ხელმწიფო მოღვაწე, როგორც მაგ. პიიპი, შემდეგში—ესტონიის პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი.

1917 წლის თათბირი იყო პირდაპირი გაგრძელება 1905—6 წლების ასეთივე თათბირებისა, განსაკუთრებით „ავტონომისტების“ კონფერენციისა, რომელიც მოწვეული იყო 1905 წ. პეტერბურგში, ლესგაფტის კურსების ბინაზე. კონფერენციას თავმჯდომარეობდა ცნობილი ლინგვისტი პროფ. ბოდუენ-დე-კურტენე, და დამთავრდა იგი ბიუროს მინდობილობით რუსეთის განაპირა ქვეყნების ავტონომიურათ მოწყობის ჩემ მიერ შედგენილი რეზოლიუციის მიღებით.*)

თათბირი, რომელმაც მოიწვია კონფერენცია შემდეგ, 1906 წელს, ცდილობდა პირველ სახელმწიფო სათათბიროში შეექმნა ავტონომისტთა ცალკე კავშირი. სახელმწიფო სათათბიროს ამ ერეტიკული აზრით შეპყრობილ წევრთა მიღება „თათბირმა“ მოაწყო ესტონიის აწ უკვე განსვენებულის, პატივცემული მოღვაწის, დოქტორ გელლატის ბინაზე. „ავტონომისტთა კავშირი“ პირველ სახელმწიფო სათათბიროსთან მართლაც დაარსდა (თავმჯდომარეთ იყო ა. ი. ლედნიცკი, მდივნათ ვ. ლ. გელოვანი), მაგრამ ვერ მოასწრო რითიმე თავი გამოეჩინა,

მაგრამ მე სრულიად არ ვაპირებ დავსწერო 1917 წლის რევოლიუციის წინაწლების ავტონომიის და ფედერაციის ლოზუნგების ისტორია. რუსეთში ბევრმა, ვინც წინათ ამ იდეებს სთვლიდა ბოროტმოქმედებათ, უკეთეს შემთხვევაში, უაზრობათ ან უცნაურობათ მაინც, 1917—1920 წლებს შემდეგ იგი შეითვისა; სამწუხაროთ, მათი აზრის შეცვლის დროს უკვე აღარ არსებობდა უმთავრესი პირობა იმპერიის ფედერატიულათ გარდაქმნისათვის: აღარ არსებობდა თვით იმპერია. ახალ პირობებში კი, ე. ი. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ,— ავტონომიის ლოზუნგი თითქმის თავისთავად იცვლებოდა დამოუკიდებლობის ლოზუნგათ. ასე მოხდა კერძოთ საქართველოში, მთელს ამიერ-კავკასიაში, რომ არაფერი ვთქვათ სხვა განაპირა ქვეყნებზე.

მაგრამ უბრუნდები დროებითი მთავრობის დროს.

## 3

1917 წ. მარტის დასაწყისში (ჯერ კიდევ ძველის სტილით) მე გამომიწვიეს ტელეფონით იუსტიციის სამინისტროში ა. ფ. კე-

---

*) რამოდენიმე ხნით ადრე, იმავე 1905 წელს, მე დავბეჭდე ეტიუდი „სათემო სეიმები. ფედერალიზმი“ კრებულში „კონსტიტუციონალური სახელმწიფო“, რომელიც გამოსცა ს. პ-ში. ბ. ი. ვ. გესსენმა და ა. ი. კამინკამ.

რენსკისთან. „ოლონდ ღვთის გულისათვის, დიდხანს ნუ დარჩებით“- მემუდარებოდენ დერეფანში ქალები, რომელნიც ზრუნავდენ ახალგაზრდა მინისტრზე—„დაიქანცა და უნდა ისაუზმოს“.

მართლაც, კერენსკი მეტად დაღლილი იყო (მიზეზიც ჰქონდა!) „ჩვენ გადავწყვიტეთ,—ბოლოს დაიწყო მან გადატრიალების პირველი მებრძოლი დღეების ჩახლეჩილის ხმით,—ამიერ კავკასიის სათავეში დავაყენოთ კომიტეტი, რომელშიაც შევლენ სახელმწიფო სათათბიროს წევრები. მე ვთხოვ აგრეთვე პერევერზოვს*) მათ გაჰყვეს. ჩვენ გვინდა ამ კომიტეტში თქვენი შეყვანა. თანახმა ხართ? თუ თქვენის აზრით-გულწრფელათ მითხარით—უკეთესი იქნებოდა ამ კომიტეტის წევრათ დაგვენიშნა კიტა აბაშიძე“?**)

ა. ფ. კერენსკი ახლო განწყობილებაში იყო კავკასიის ფრონტზე 1915 წელს დაღუპულ სახელმწიფო სათათბიროს წევრთან ვ. ლ. გელოვანთან და ქართველ სხვა მოღვაწეებთან და ამიტომ კავკასიის პოლიტიკურ მიმართულებებსა და საკითხებს იცნობდა. მე მხარი დაუჭირე კიტა აბაშიძის კანდიდატურას. კერენსკის მერყეობა ემჩნეოდა. ეს მერყეობა გაიფანტა, და კერენსკი დათანხმდა, რომ ხსენებული კანდიდატურა სასურველი იყო (დროებითმა მთავრობამაც ჩვენი არჩევანი დაადასტურა). მე გამოვემშვიდობე მომავალ დიქტატორს.

---

არსებითად „ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“ იყო ამიერ-კავკასიის მმართველად გამოგზავნილი რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენილი. უკანასკნელისაგან ღებულობდა იგი, როგორც ძალა-უფლებას, ისე მის სისუსტეს. კავკასიაში ძლიერ მალე დაარსდა რუსეთის მაგალითით რევოლიუციონერული ორგანიზაციები; მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა საბჭოები და სხვა. მათი „ძალმომრეობისა“ და სხვა მიზეზების გამო „ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“ ნამდვილათ არას დროს არ ყოფილა

---

*) ცნობილი ნაფიცი ვექილი, შემდეგ, აგრეთვე იუსტიციის მინისტრი (დროებით მთავრობაში).

**) კიტა (ნათლობის სახელი-ივანე) აბაშიძე, თვალსაჩინო ქართველი ლიტერატორი, სოც.-ფედ. პარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი, გადაიცვალა 1917 წელს ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის წევრის ადგილზე.

იმ პეტერბურგიდან დანიშნულ „ამიერ-კავკასიის მთავრობათ“, რასაც იგი არსებითად წარმოადგენდა.*)

საეჭვოა, რომ დროებით მთავრობას ჰქონოდეს დრო რუსეთსა და კავკასიის განწყობილებაზე უფრო საფუძვლიანათ დაფიქრებულიყო.

დროებითი მთავრობა ფიქრობდა, რომ თფილისში განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომის“) გაგზავნით მან მოაწყო ამიერ-კავკასიაში მისთვის საჭირო დროებითი ორგანო. არსებობდა რაიმე შემდეგი გეგმა? არ ვიცი. ინერციით, ჩვეულების ძალით „კავკასიის“ საქმეები განსახილველად აღწევდა „სათანადო ცენტრალურ დაწესებულებებსა და უწყებებს“. ზოგიერთი, თვალსაჩინო კითხვა, ირჩეოდა დროებით მთავრობაში: მაგალითად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; უფრო გვიან-ამიერ კავკასიაში ერობის შემოღების კითხვა.**)

უმთავრეს კითხვაში (კავკასიის მართვა, თებერვლის რევოლიუციის მიერ შექმნილ პირობებში), როგორც ნათქვამია, დაკმაყოფილდენ, ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შედგენით.

ზოგიერთს, მგონი, მიაჩნდა რომ „ოზაკომ“ საკმაოთ ვერ უზრუნველჰყოფს ამიერ-კავკასიის კავშირს რუსეთთან, მთავრობის ცენტრთან პეტროგრადში, და რომ სასურველია ხელახლავ შეერთებული იქმნეს (როგორც რევოლიუციამდე იყო) უმაღლესი მმართველობა „ოზაკომის“ სისტემის მიერ გათიშულ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიისა.

ამ მიზნით ფიქრობდენ ორივე კავკასიისათვის დაენიშნათ უ მ ა ღ ლ ე ს ი კ ო მ ი ს ა რ ი. ამ გვარათ ახალ ფორმებში აღდგენილი მეფის მოადგილეობა განზრახული იყო, მგონი, ჩაებარებიათ ფ. ა. გ ო ლ ო ვ ი ნ ი ს ა თ ვ ი ს რომელიც წინათ-მეორე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეთ, ამ ხანად კი—იმპერატორის სასახლის სამინისტროს კომისრათ იყო.

---

*) თავმჯდომარეთ იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი ხარლამოვი (კ.-დ.) წევრებათ:—ა. ჩხენკელი, ი. აბაშიძე, მ. პაპაჯანოვი და მ. ჯაფაროვი—რუსეთის ხელმძღვანელობით ქართველ-სომხურ-თათრულ ერთობის ერთგვარი სახე. მაგრამ ეს „სიმბოლიზმი“ შეადგენდა, მგონი, კომიტეტის ერთად ერთ ღირსებას.

**) მე სრულიადაც არ შევეხები აქ ამ ორ საგანს, თუმცა პეტერბურგში, 1917 წლის გაზაფხულში და ზაფხულში, მათ შესახებ სათათბიროთ მიწვეული მეც ვიყავი.

გეგმა ახლად ჩასახული და ბუნდოვანი იყო, მაგრამ ამაზე უკვე ლაპარაკობდენ ფ. გოლოვინთან საზამთრო სასახლეში ერთ კერძო თათბირზე, სადაც მეც ვიყავი მიწვეული, როგორც „მცოდნე პირი“.

მეორე თათბირი ამავე საგანზე მოხდა უფრო მცირე რიცხოვან წრის თანდასწრებით და უგოლოვინოთ ვ. დ. ნაბოკოვთან, რომელიც, როგორც დროებითი მთავრობის საქმეთა მმართველი, ფორმალურათ აკავშირებდა უკანასკნელს კავკასიასთან. თათბირს არაევითარი შედეგი არ ჰქონია. ამ დროში ყველაფერი ეს დამთავრებული ეპოქის ოცნება და ილიუზია-ღა იყო.

უფრო ავტორიტეტის მქონე (ყველაფერი შედარებითია!) ამიერ-კავკასიის მთავრობა დაარსებულ იქმნა ცოტა უფრო გვიან ქ ვ ე ვ ი-დ ა ნ, სახელდობრ რევოლიუციის წიაღიდან წარმოშობილ ორგანიზაციების ადგილობრივად შეერთებულის ძალით;—იმ ორგანიზაციების, რომელნიც ერთგულნი დარჩენ დამფუძნებელი კრებისა და რომელთაც არ იცნეს საბჭოთა ხელისუფლება; ეს მოხდა 1917 წელს, ნოემბერში და შექმნილ მმართველობას ჰქვიოდა ა მ ი ერ-კ ა ვ კ ა-ს ი ი ს კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ ი.

ამის შემდეგ ფორმალური გამოყოფა რუსეთისაგან და ცალკე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაარსება დამოკიდებული იყო მხოლოდ გარეშე პირობებისაგან.

---

# თავი მეორე.

## ქართული კომიტეტი პეტროგრადში.

### 4

1917 წლის ბოლოს და 1918 დასაწყისში მე მომიხდა პეტროგრადის ქართულ ახალშენის „ეროვნულ კომიტეტის“ წევრათ ყოფნა. რევოლიუციის შემდეგ ასეთი კომიტეტები სოკოსავით ჩნდებოდა ყოფილი იმპერიის ყოველ ნაწილში, პოლონეთიდან მშვიდ ოკეანემდე, სადაც კი იყო ქართული ჯიშის თუნდაც მცირე ჯგუფი. ეს ორგანიზაციები არსდებოდენ ერთ და იმავე დროს, თავის თავად, რაც მოწმობს, თუ გნებავთ, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა ბუნებრივი და ხელთ-უქმნელი იყო.

პატრონის ნებართვით პეტროგრადის კომიტეტს ეჭირა ფურშტატის ქუჩაზე გრაფინია პანინის ცალკე სახლი.

ჩვეულებრივ მის—არა სახლის, არამედ კომიტეტის-ფუნქციებს ჰქონდა საკონსულო (მნიშვნელოვანი საგანია, როცა ძნელი ხდება პიროვნებისა და ქონების დაცვა) და სასურსათო (სასარგებლო საგანია, როცა პური იშვიათად საპოვნელი ხდება) ხასიათი. აქ, კომიტეტში, მოდიოდა მცირე ცნობები საქართველოდან; აქ იკრიბებოდენ ფინჯანი ჩაის ირგვლივ, როგორც კლუბში, სამასლაათოთ—დრო ჰქმნიდა ასეთს სულიერ განწყობილებას. განსაკუთრებულ შემთხვევების გამო იმართებოდა ქართული ახალშენის საერთო კრება.*)

---

*) საბჭოთა ხელისუფლება პირველ ხანებში საკმაო მოთმინებით ეპყრობოდა ამ ეროვნულ კომიტეტებს. შემდეგ, ტერორის გაძლიერებასთან ერთად, დაიწყო სხვა და სხვა შევიწროება. თავმჯდომარეთ თავიდან იყო ა. ქორქია, შემდეგ ა. ჩერქეზიშვილი, დიდი ხნის წევრი „ს. პეტერბურგის უწყების“ რედააქციისა (+).

ორგანიზაციის პრაქტიკული სარგებლობა იქვს არ იწვევდა: კომიტეტმა არა ერთხელ მოახერხა საბჭოთა პოლიციის ხელიდან გაენთავისუფლებინა უმიზეზოთ დაჭერილი; არა ერთხელ მან—გამოკვება შეღავათიან პირობით მიღებულ სხვა და სხვა სანოვაგით მის მზრუნველობაში მყოფნი. იყო შემთხვევა, რომ მისი წყალობით ყველა ჩვენ ვიკვებებოდით მრავალი დღის განმავლობაში... ხბოს ტვინით! შემდეგ იყო კვირა „ჭვავის“ და სხვა...

ვშიშობ, რომ ჩვენ პოლიტიკურ მიზანს—(რამდენათაც შეიძლებოდა დახმარება გაგვეწია პეტროგრადიდან და პეტროგრადში ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ „აღმშენებლობისთვის“) უფრო ნაკლებათ ვაღწევდით, ვიდრე უბრალო „მეზობლურათ“ ხელს უწყობდით ჩვენი წრის წევრებს.

როგორც ცნობილია, ამიერ-კავკასიამ არ გაიზიარა 1917 წლის ოქტომბრის საბჭოთა გადატრიალება. წესიერი მიმოსვლა ტფილისსა და პეტროგრად შორის შესწყდა. რუსეთისა და ამიერ-კავკასიის ისტორიული გზები ერთმანეთს თვალსაჩინოდ შორდებოდა.

ჩვენ ვიცოდით, რა თქმა უნდა, რომ ამიერ-კავკასიაში დაარსდა ფაქტიურად დამოუკიდებელი ხელისუფლება („კომისარიატი“); ვიცოდით, თუ რა პროგრამა მიიღო საჯაროთ ტფილისში 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ. ვიცოდით უმთავრესიც—სახელდობრ, თუ რა სავალალო მემკვიდრეობა დარჩა ამიერ-კავკასიას ყოფილი რუსეთ-ოსმალეთის ფრონტიდან: რუსის ჯარის დაშლის შემდეგ ამ მხარისა და ეროვნულ ახალგაზდა ორგანიზაციებს უნდა ეკისრნათ საზღვრების დაცვა. მაგრამ ამ მხრით რაიმე დახმარების გაწევა პეტროგრადიდან შეუძლებელი იყო.

## 5

პეტროგრადის და მოსკოვის ქართველებში, განსაკუთრებით კი სომხების წრეებში, გავრცელებული იყო გადაჭარბებული და ბუნდოვანი წარმოდგენა ამიერ-კავკასიელ ჯარისკაცთა რიცხვზე, რომელნიც განთავისუფლდენ რუსეთის ფრონტებიდან და მიეჩქარებოდენ სამშობლოში; ამბობდენ, ვითომ ისინი მზად იყვნენ „იქ“, ადგილობრივ, დაეცვათ სამშობლო მტრების შემოსევისაგან.

მახსოვს ერთი დარბაზობა „სმოლნში“ სომხების კომიტეტის წარმომადგენელ გენერალ ლ. ფ. ტიგრანოვთან ერთად. ჩვენ მიგვიღო პიროვნებამ, „რომლისგანაც იყო ყველაფერი დამოკიდებული“

—ა. ენუქიძემ; იგი დაგვპირდა, „ხელი შეეწყო“ ევროპის ფრონტიდან განთავისუფლებულ სომხების და ქართველების შინ დაბრუნებისათვის და აგრეთვე მოეცა შეარაღებისათვის საჭირო სხვა და სხვა ნივთი, რომელიც ძლიერ აკლდა კავკასიის ფრონტს.

არც ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, არც მოცემულ დაპირებებს, რა თქმა უნდა, არავითარი გავლენა არ მოუხდენია მოვლენათა მსვლელობაზე.

იმ დროს საბჭოთა მთავრობის ერთად-ერთი „განმავლობის სფერო“ იყო ზავი რუსეთსა და გერმანიის კოალიციის შორის, რომელიც მაშინ მზადდებოდა, და რომელშიაც საბჭოთა მუშაობას უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერ-კავკასია კი, ფაქტიურათ, თავის ანაბარათ იყო დატოვებული.

„საქართველო და სომხეთი რომ ერთმანეთს ხელს ჩასჭიდებდენ, როგორც საჭიროა,—მეუბნებოდა ტიგრანოვი (გენერალური შტაბის ყოფილი ოფიცერი), როცა სმოლნიდან ვბრუნდებოდით—.ისინი ეხლაც კი მოახერხებენ ოსმალეთს გაუმკლავდენ; შემდეგისათვის კი შექმნიდენ მათი დამოუკიდებლობისათვის საჭირო საიმედო ჯებირს. მოიგონეთ რუქა“ და სხ.

სამწუხაროთ, საქართველოც და სომხეთიც უკანასკნელ წუთამდი დარჩენ მარტოოდენ „გეოგრაფიულ სიტყვებათ“; დროებითი მთავრობა ეწინააღმდეგებოდა ჯართა ეროვნულ ნაწილების შედგენას. ისიც საკითხავია, შეიძლებოდა თუ არა ასე სწრაფათ და იმდენი ჯარის მოწყობა, რამდენიც საჭირო იყო? უეჭველია მხოლოდ, რომ კავკასიის ფრონტიდან მიმავალ, რუსეთის გახრწნილ ლაშქრის ადგილზე აღარავინ ჰყავდათ დასაყენებელი. მაგრამ არ შევჩერდები ამ ფაქტებზე, არც სხვა და სხვა „კომიტეტების“, „ყრილობების“ და პიროვნებათა ცდაზე შეეკავშირებინათ, კერძოთ რუსეთში მყოფი ქართველი სამხედრო ელემენტები და გაეგზავნათ საქართველოში. გარემოცული წრისა და „მიმდინარე მომენტის“ ზედგავლენით („მიმდინარე მომენტი“ უაზრო, მაგრამ კავკასიაში ჩვეულებრივი წინადადებაა რუსული პოლიტიკური კილოსი!) ამ ორგანიზაციებს იტაცებდა აგრარული კითხვაც, პარტიების პროგრამული კამათიც, და ამიტომ ბევრი ვერაფერი გააკეთეს საქართველოს და კავკასიის სამხედრო ძალის გასადიდებლათ.

6

მერყეობის დღეებში, რომელიც წინ უძღოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელის მოწერას (იანვარი—მარტი 1918 წ.) პეტერბურგში შიშიანობა სუფევდა. ზოგჯერ დღითი-დღე ელოდებოდენ გერმანელი ჯარების მიერ სატახტო ქალაქის დაპერას. გამოთქვამდენ სხვა და სხვა გრძნობას, მაგრამ „მცხოვრები“ არ იყო, მგონი, წინააღმდეგი ნევის სამზირზე დაენახა „პრუსიელთა ქუდები“. მაშინ გადაჭარბებით სწამდათ გერმანული წეს-რიგის სასწაულ-მომქმედი ძალა; და ამ რწმენაში სხვებს არ ჩამორჩებოდენ ისინი, ვისაც განსაკუთრებულათ სძულდა გერმანელები 1914—1915 წლებში.

მდგომარეობა ისეთი იქმნებოდა რომ „ეროვნულ საზოგადოებებს“ უნდა მოეფიქრათ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, თუ გერმანელები შემოვიდოდნენ. ამის გამო საქართველოს კომიტეტს სომხების კომიტეტთან ერთად თათბირიც კი ჰქონდა. განხილული იყო სხვა და სხვა ფორმალური კითხვა, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა არ მისცემია, რადგან გერმანელები პეტერბურგში არ შემოსულან.*)

დაახლოვებით იმავე დროს—პეტროგრადში ბეჭედითი სიტყვაც მაშინ ჯერ კიდევ საკმაოთ თავისუფალი იყო—პროფ. ბ. ე. ნოლდეს თხოვნით, მე დავსწერე ჟურნალ, „საერთაშორისო პოლიტიკ“-ისათვის წერილი**) ბრესტ-ლისტოვსკის ხელშეკრულების სპეციალურათ იმ დადგენილებების გამო, რომელნიც კავკასიას შეეხებოდენ.

ამიერ-კავკასიის კომისარიატსა და საბჭოთა მთავრობის შორის სრული გათიშვა მოხდა დამფუძნებელი კრების გარეკვის შემ-

---

*) ერთ დროს ბოლშევიკები ისე იპერდენ თავს, თითქოს მზად ყოფილიყვნენ, თუ საჭიროება მოითხოვდა, გერმანელებისთვის წინააღმდეგობა გაეწიოთ, ამიტომ ოფიცრების ერთმა ჯგუფმა ხელი მიყო მოხალისე „ივერიელთა“ პოლკის შედგენას. (ამ მიზნისათვის მაშინ შეიძლებოდა საბჭოთა მთავრობიდან ავანსის მიღება). ამ დასაწყისს არავითარი შედეგი არ მოუტანია: ჯერ კიდევ მოუწყობელი პოლკი უნდა დაშლილიყო; მისმა შემადგენლობამ კი (მგონი, რამოდნიმე ათეული კაცი იყო) ნება მიიღო დაბრუნებულიყო კავკასიაში ცალკე ეშალონით. ამ საქმეს საქართველოს კომიტეტი თავიდანვე სთელიდა მოუფიქრებელ ნაბიჯათ და აშკარა უარყოფით ეკიდებოდა.

შემდეგ მომიხდება გიამბოთ, თუ როგორი იყო მისი მოულოდნელი და ტრაგიული დაბოლოება.

**) „ბათომი და ყარსი“ წერილების მთელ რიგში ჟურნალმა მოიყვანა სრული შინაარსი და დაფასება ბრესტ-ლიტოვსკის ტრაქტატის დადა აზრისა და შედეგებისა.

დეგ (11 იანვარი 1918 წ.). უტყუარი ცნობები, თუ რა ხდებოდა 1918 წლის პირველ თვეებში თფილისში, ჩვენ პეტერბურგში არ გვქონია, მაგრამ ჩემ წერილში მე შემეძლო საკმაო-საფუძვლიანობით მეთქვა, თუ როგორ შეხვდებოდენ საქართველოში და სომხეთში ბათომისა და ყარსის ოსმალოებისათვის დათმობას, რადგან მე ვიცნობდი ქართველებისა და სომხების აზრსა და კიდევ უფრო მათ გრძნობებს. მე გამოვთქვი რწმენა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება უეჭველათ გამოიწვევს ამიერ-კავკასიისა და ოსმალეთსა და სხვა სახელმწიფოთა შორის ახალ მოლაპარაკებებს და ხელს შეუწყობს ამ ქვეყნის რუსეთიდან სრულ ჩამოშორებას. ფორმალურათ ასეც მოხდა*). წერილის დასკვნის სტრიქონებში დამატებული იყო, რომ, თუ ასეთი გადაწყვეტილება საერთაშორისო მდგომარეობის შედეგია, შესაძლებელია, იგი მხოლოდ დროებითი იქნეს; მე ვსწერდი, შეიძლება რუსეთის მიერ საქართველოს შთანთქმიდან დაწყებულმა რუსეთთან მტკიცე ფედერატიულ კავშარამდე მიმავალმა გზამ რუსეთისაგან ჩამოშორებაზედაც გადალახოს თქო.

ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ ხუთი წელიწადი ძლივს შესრულდა, და საქართველომ და მთელმა ამიერ-კავკასიამ, რომელიც მართლაც ჩამოშორდა რუსეთს და დამოუკიდებლობით გამაგრდა, ისევ განიცადა საბჭოთა ჯარების თავდასხმა (1920—1921); 1923 წლის დასაწყისიდან ფორმალურათაც აღადგინეს კავშირი რუსეთთან. ამ კავშირს ჰქვია ფედერატიული. იქნება თუ არა იგი მტკიცე?

1918 წლის დასაწყისის ჩემი მკითხაობა, სამწუხაროთ, ასრულდა 1922—1923 წელს.

ამ ხნის განმავლობაში მე წილათ მხვდა მემუშავნა, რომ იგი... არ ასრულებულიყო; ყოველ შემთხვევაში, რომ არ ასრულებულიყო არც ასეთის ფორმით და არც ასეთის პირობებით.

---

ძნელი იყო პეტერბურგში დამშვიდებული ჯდომა იმ დროს, როცა საქართველო და მთელი კავკასია იძულებული ხდებოდა გამოერკვია და ეწარმოებინა თ ა ვ ი ს ი პოლიტიკა. საქართველო მკვდრეთით აღსდგა. გვსურდა იქ ყოფნა, თვალით გვენახა, თუ რა ხდებოდა.

---

*) მე მხოლოდ არ მოველოდი, რომ ამიერ-კავკასიის სეიმს ფიქრად მოუვიდოდა ოსმალეთთან საომარ განწყობილების აღდგენა.

პეტროგრადში იმ თვეებში*) მე მაჩერებდა მხოლოდ გამომცემლობა „ოგნში“ მუშაობა. როცა გამომცემლობის ხელმძღვანელობა ნ. ბ. გლაზენბერგს გადაეცა, მან ფართო მიზნები დაისახა.

სპეციელურად ჩემი საზრუნავი იყო წიგნების სერია — „ცნობის წრე“, რომელმაც გამოსცა 1917—1918 წლებში პეტროგრადის საუკეთესო სამეცნიერო სალიტერატურო ძალების თხზულებათა მთელი რიგი. დავასახელებ აკადემიკოსებსა და პროფესორებს: ზელინსკი, როსტოვცევი, ბარტოლდი, კარსავინი, პრესნიაკოვი, ფარმაკოვსკი და სხვ.

პოლიტიკური ატმოსფერა, ეტყობა, არ შეეფერებოდა ამ მოღვაწეობას. აშკარავდებოდა დამფუძნებელ კრების სისუსტე, და მზადდებოდა სამოქალაქო ომის სასტიკი ამბები—ჩვენ კი „ოგნის“ საბჭოს მორიგ სხდომებზე ე. ა. ლიაცკის თავმჯდომარეობით ვთათბირობდით კ. ა. სომოვის „მარკიზას წიგნის“ ან ბენუას, „რუსეთის ხელოვნების ისტორიის“ ხელმეორეთ გამოცემაზე და სახელმძღვანელოთა ბეჭვდის მოწყობის შესახებ. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში ხდება, დროის, ან თანადროულობის შეუფერებლობა მხოლოდ მოჩვენებითი იყო...

თფილისში მაინც უნდა გავმგზავრებულიყავი. ზაფხულისათვის საჭირო იყო უკანვე დაბრუნება, რომ გამეგრძელებინა ლიტერატურულ-გამომცემლობითი მუშაობა. წასვლით თფილისში წავედი, დაბრუნება კი „წმ. პეტრეს ქალაქსა შინა“ აღარ მომიხერხდა.

---

*) 1917 წელში მე ვიყავი 1-ლი (ადმინისტრატიული) დეპარტამენტის სენატორად. პეტრე დიდის მიერ შექმნილი უმართებულესი სენატი, ოდესღაც საამაყო, გაუქმებულ იქმნა 1917 წლის 1 დეკემბერს.

## თავი მესამე.

## სანიტარული მატარებელი № 133.

### 7

1918 წელს, გაზაფხულში, რკინის გზის მიმოსვლა რუსეთის სატახტო-ქალაქებსა და კავკასიის შორის სრულად არ იყო მოწესრიგებული. მხოლოდ საჭირო საბუთებით აღჭურვილს და საშვალო ბედის მქონე უბარგო მოგზაურს შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ დანიშნულ ადგილს მიაღწევდა. სადღაც—დონის თუ ყუბანის ოლქში წარმოებდა ომი ბოლშევიკებსა და „კორნილოვცებთა“ შორის; უტყუარი ცნობების უქონლობისა და მდგომარეობის ცვალებადობის გამო ეს ყველაფერი ბურუსით იყო მოცული და არ იწვევდა შიშს.

მაგრამ მარტო წამოსვლა, მარტო ჩემს ბედზე დაყრდნობა არ მომიხერხდა. საქართველოს ეროვნულ კომიტეტს უნდა ეზრუნა, ბევრი სხვა და სხვა მიზნით თფილისში, ბაქოში და სხვაგან მიმავალი, გაეგზავნა სამშობლოში; ნამდვილ „ქვეშევრდომთა“ გარდა საევაკუაციო ჯგუფში მიღებას თხოულობდა მრავალგვარი ხალხი, რომელთათვის დახმარება უნდა გაგვეწია.

ასე წარმოიშვა კითხვა თბილისში მოქალაქეთა გაგზავნისა, იმ მოქალაქეთა, რომელნიც კომიტეტის მზრუნველობაზე იყვნენ და სურდათ ცალკე მატარებლით „სამშობლოში დაბრუნება“. სმოლნის ხელისუფლებამ პრინციპიალურათ ნება დართო. მაგრამ გვითხრეს: მოძებნეთ შესაფერი „შემადგენლობა მატარებლისა“, და თუ იპოვით სადმე, თქვენს განკარგულებაში გადმოგცემთო; ასედაც მოიქცენ. კომიტეტმა გაიგო, რომ იაროსლავში ჩარჩენილია და უსარგებლოთ დგას ქალაქ ბაქოს მიერ მოწყობილი სანიტარული მატარებელი, და გაგზავნა იაროსლავში მოხერხებული „დამხმარე“, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს მოიყვანა ეს მატარებელი და დააყენა პეტროგრადის რკინისგზის კვანძის ერთ-ერთ მივარდნილ ლიანდაგზე.

ამასთანავე მიღებულ იქნა ფორმალური ნებართვა „სანიტარული მატარებლის № 133“ გაგზავნისა (პეტროგრადი-ბაქო-თფილისის გზით) კომიტეტის პასუხის მგებლობით, რომ იგი უკანვე იქნებოდა დაბრუნებული; შეადგინეს მგზავრების სია მათი ავადმყოფობის აღნიშვნით (ამას გვაიძულებდა მატარებლის სახელი—„სანიტარული“).

28 მარტს, ჩვენსავე განსაცვიფრებლათ, ჩვენ ფინლიანდიის სადგურიდან შეუდექით გზას. უკანასკნელ წუთამდი გვეშინოდა, რომ რომელიმე უწყება, დაწესებულება ან გავლენიანი პირი მოისურვებდა წაერთმია ეს ძვირფასი, განგებით ბოძებული მატარებელი!

დონის როსტოვამდე გზაში ერთი კვირა გავატარეთ. უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდენ გაცარიელებული სადგურები; უკვე ეტყობოდა ჩამოქვეითება, რკინის გზებს მოკლებოდა სიცოცხლე, ისინი მოქმედებდენ არა სავსებით, არამედ ნაწილობრივ; მაგრამ ჯერ კიდევ საგრძნობი იყო ძველი წეს-რიგის ინერცია. შეგვხვდა დაბრკოლებები; ბოლოს და ბოლოს თავს მაინც ვაღწევდით. სანოვაგეს ჩვენვე ვიმარაგებდით; სამხრეთში ზოგი რამ იშოვებოდა; რამდენიმე ტყვე ავსტრო-უნგრელი, რომელნიც მატარებლის მოსამსახურეებათ ითვლებოდენ, ჩვენ გამოგვადგენ.

როსტოვში ორიოდე დღე ჩავრჩით. აქ წაგვართვეს რონოდების ნაწილი, იმ კანონიერის საბუთით, რომ მატარებელში მგზავრთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო. ვგრძნობდით, რომ წინ სწარმოებს ომი; თვით როსტოვში სუფევდა მოუსვენრობა; სადგურის მიდამოში უეცრათ დაფრთხებოდა ხალხი; აყენებდენ და ხსნიდენ სამხედრო ყარაულს, მოაგორებდენ ტყვიის მფრქვეველებს, და ძნელი გასაგები იყო ვინ აწყნარებს, ვის აწყნარებს, ვინ არის სეირის მაყურებელი და ვის ხელშია უფლება. საერთოდ, უსიამო მდგომარეობაში ჩავვარდით: მატარებლის მხიარულმა და უდარდელმა „მოსახლეობამ“ საკმაოთ მოიწყინა.

...კარგათ არც კი ვიცოდით, რომ ჩვენ ნელ-ნელა უახლოვდებოდით სამოქალაქო ომის ნამდვილ ასპარეზს. სადგურ კავკაზსკაიაზე გვიოხრეს, რომ წინ ვეღარ გაგვიშვებდენ; ადგილობრივ ხაბეჭოთა ხელისუფლებასთან ამაოთ გავმართეთ მოლაპარაკება. მავთულით ველაპარაკეთ ეკატერინოდარს, მათ ყურადღებას ვაქცევდით საბუთებზე, სმოლნზე—ვერაფერი გავახწიეთ. გამოირკვა, რომ ეკატერინო-

დარის*) რაიონში ომის წარმოების გამო საბჭოთა მთავრობისათვის მეტად საჭირო იყო სანიტარული მატარებელი (რომელსაც თან ჰყავდა მთელი შტატი და ჰქონდა მოწყობილობა); ამიტომ პეტროგრადიდან მიცემული განსაკუთრებული დანიშნულება მატარებლისა დაარღვიეს და გადაწყვიტეს იგი ჩვენთვის ჩამოერთმიათ. როგორ შეურაცყოფილათაც არ ვგრძნობდით თავს, სიტყვის შებრუნება მაინც არ შეგვეძლო და, მართალი რომ სთქვას კაცმა, ამ განკარგულებას სავსებით ამართლებდა მაშინდელი საშინელი დღეების მოთხოვნილება. რაკი იყენენ დაჭრილები, სამართლიანობა მოითხოვდა, რომ მატარებელი მათთვის დაგვეთმო. ჩვენ კი სამაგიეროთ მოგვცეს რამდენიმე ,,ტეპლუშკა''. რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი ბარგი გაჩხრიკეს. ერთის სიტყვით, მოგვაყენეს ყველა უსიამოვნება, რომელნიც რევოლიუციის შემდეგ უეცრათ და სამარცხვინოთ გახდენ რუსეთის ცხოვრების ჩვეულებათ.

ბოლოს ჩვენ გაგვიშვეს ერთი მატარებლის უკან, რომლის შემადგენლობაში, როგორც გამოირკვა სადგურ კავკაზსკაიაზე, იყო ერთ ვაგონში მოთავსებული დაშლილი „ივერიელთა„ პოლკის ეშალონი. ამ „ივერიელთა“ პოლკის შესახებ წინათ გვქონდა ორიოდე სიტყვა ნათქვამი**).

მღელვარება ისე დიდი იყო რომ დრო არ გვქონდა უკვე გაღატაკებულ, გაძვალტყავებულ შიდა რუსეთიდან ნოყიერ, პურით სავსე და ყოვლით მდიდარ ყუბანის ველზე გადასვლა შესაფერად დაგვეფასებია.

## 8.

შეურაცყოფა არ მოუყენებიათ, მაგრამ გაჭირვებით გავიარეთ სადგური ტიხორეცკაია. თვით სადგურ არმავირის წინ (ეს იყო 7-8 აპრილს 1918 წ.) დიდი ხნით გაგვაჩერეს; სადგურის ბაქანთან შეიძლებოდა მეორე მატარებლის და მის ირგვლივ აუარებელი ხალხის დანახვა. მაგრამ იქ რა ხდებოდა, ამის გარჩევა შეუძლებელი იყო.

---

*) 28 მარტს ეკატერინოდარი მოხალისეებმა დაიპირა; 29 ისევ დაიბრუნეს უკან ბოლშევიკებმა. ღამით 30—31 მარტს ეკატერინოდართან მოკლეს გენერალი კორნილოვი, მაგრამ მაშინ ჩვენ ეს ფაქტები დაბეჯითებით არ ვიცოდით.

**) იხ: გვ. 33.

ბოლოს, როდესაც გზა განთავისუფლდა და ჩვენი მატარებელი სადგურს მიადგა, მეტათ აღელვებული ხალხი უკვე დაშლას იწყებდა. აქ ბევრი იყო, როგორც წინათ ეძახდენ „საზოგადოების ნაძირალები“, ჩამოხეულ, ჩამოკინკული, უსიამო შეხედულების ხალხი, რომელიც ყოველთვის ავსებდა ყუბანის ოლქის რკინის გზის ცენტრებს; მთელი ბრბოები გზა-გადამცდარ ჯარის კაცთა, სახის მტრულის გამომეტყველებით; ბევრად უფრო ცოტა იყო ყაზახი-რუსები, მკვიდრი ყუბანელები, რომელნიც გონება-დაბნეული გამოიყურებოდენ.

ახლოვდებოდა რაღაც ცუდი.

ჩვენს მატარებელს მაშინვე ალყა შემოატყეს და გვიბრძანეს ვაგონებიდან არ გამოვსულიყავით.

ბაქანზე ლაპარაკის ნაწყვეტები გვესმოდა „ტეპლუშკის“ კარში; ჩვენ გავიგეთ, რომ წინა მატარებელში აღმოაჩინეს იარაღი და „ოქროს ეპოლეტებიანი“ „კორნილოვცები“ „ბეჭდებით“.

მე გამაცვიფრა ერთმა მოხუცმა გლეხის ქალმა: იგი განსაკუთრებით ჩასცივებოდა ამ „ბეჭდებსა“ და „ოქროს ეპოლეტებს“, რისთვისაც მათ „უსათუოდ დახვრეტენ“. ეს დასკვნა მისთვის ყოვლად გარდაუვალი იყო; მაშ როგორ იქნება ისინი ხომ „კადეტები“ „კორნილოვცები არიან“—განმარტებას იძლეოდა ეიღაცა ახლოს მდგომი. როგორ არ სთქვა კაცმა: sancta simplicitas! მაგრამ ასეთის სიწმინდისაგან ღმერთმა დაიფაროს ყოველი ჩვენგანი.

ჩვენ მოხვდით სამოქალაქო ომის ან და მის მიერ წარმოებულ უწესოების ერთ ერთ ადგილობრივ კვანძში: ჩრდილოეთიდან მოსული ყოველი თავისუფალი მოქალაქე (არა ჯარის კაცი) მათში იპვეს იწვევდა, რომ იგი კორნილოვის მომხრე იყო.

ჩვენი მატარებლის გასაჩხრეკათ მოვიდენ ახალგაზრდა კაცები; ზოგს სურდა ეჩვენებინა, რომ იგი თავზე ხელაღებულია; ზოგის სადა სახეს კი დამნაშავის გამომეტყველება ჰქონდა; მათთან იყვნენ სამხედრო გუნდები, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ ყოფილი დისციპლინის ნიშნები. ჩვენ შორის იყვნენ ძლიერ შეძლებულნიც, რომელთაც თან ჰქონდათ ბევრი ძვირფასი და თან უსარგებლო ნივთი; ისინი თრთოდენ—ეშინოდათ, რომ ყველაფერს, „უკანასკნელ ცხვირსახოცსაც“ კი წაართმევდენ (ასეთი ხმები ადადიოდა). ნამდვილათ კი თითქმის არავისთვის არაფერი წაურთმევიათ. რა თქმა უნდა, რევოლვერებს უნდა გამოვთხოვებოდით. მაგრამ ჩვენს „ტეპლუშკებს“ ყარაულები უდგა და ჩვენ არა ვიცოდით რა.

უეჭველი იყო რომ აქ, არმავირში, მოგველოდა ტერორი—შესაძლებელია შემთხვევითი, წეს—გარეშე, მაგრამ მით უფრო საშიშარი. როგორ დაგვეხწია თავი? ა. მ. ხოშტარიასთან*) თათბირის დროს, ჩვენ მალე ვპოვეთ გზა. მას ბეჯითად ახსოვდა, რომ მის ნაცნობს, ჩვენს თანამემამულეს ჟ-ს არმავირში ეპირა რაღაც ადგილი. მას შეეძლო დახმარება გაეწია. მაგრამ როგორ მოგვენახა? სრულიად უბრალოთ. „აქ არის ბუფეტი, ვსჯელობდი მე, და ამ ბუფეტის პატრონი და მოსამსახურეები უეჭველათ ქართველები იქნებიან. გავგზავნოთ „ნარზანზე“, მოგვიტანს ლაქია, უსათუოდ მოხერხებული და „შეგნებული“—იგი ერთ წუთში მონახავს თქვენს მხსნელს“. ახლო მიმავალი რკინისგზელი მცირე გასამჯელოთი დავითანხმეთ გამოეგზავნა ჩვენთვის „მინერალური წყალი“—და ორიოდე წამის შემდეგ წყალს ჭიქებში ქაფი ადიოდა. სანამ ის შუშხუნებდა, ხოშტარიამ მოასწრო ყველაფერი, რაც საჭირო იყო, ეთქვა; ახალგაზდა კაცი კი ყველაფერს მიხვდა და საჭირო პასუხიც მისცა.

გვერდში მდგომმა ყარაულმა, შავი-მიწის გულუბრყვილო გლეხმა დაიღრიალა: „აქ აღკრძალულია თქვენებურათ ლაპარაკი“ – მას, უეჭველია, არ ესმოდა, რომ გამოთქვამდა მთელ სახელმწიფოებრივ პროგრამას! მაგრამ ბუფეტის მოსამსახურემ შეუღრინა: „განა არ გესმის, რომ ეხლა თავისუფლებაა, და რომ ყველას შეუძლია თავის ენაზე ილაპარაკოს?!“ (ესეც პროგრამა!)—და აღშფოთებული უკანვე გაიქცა.

ერთი საათის შემდეგ, ბაქანის ბოლოში გამოჩნდა და ჩვენ ჩაგვიარა, ვითომც სრულიად ჩვენთვის უცხო კაცი ყოფილიყოს, რკინის-გზის ამ კუთხის მილიციის უფროსმა—ეს იყო ჟ.

ღამე ვაგონებში გავატარეთ. დარაჯი დაგვიყენეს. დილით ცხელი წყალი მოგვცეს, შემდეგ გამოგვიცხადეს რომ საპატიმროში წაგვიყვანებენ. არეულობა, ჩოჩქოლა, ქალების გოდება. მაშინ აგვიხსნეს: მთლად საპატიმროში კი არა, არამედ განსაკუთრებულ კომისიაში, და იქედან... დავეწყვეთ რიგებათ, შემოგვერტყენ სადარაჯო ჯარის კაცები, და გავსწიეთ კომისიისაკენ; მთელი არმავირი გადავიარეთ; ქუჩებზე, ვინც კი შეგვხდებოდა გვიყურებდა, როგორც ბედის განაწირებს. ვიქნებოდით, მე ვფიქრობ, ასე 50-60 სული; დაკითხვა გაგრძელდა. კომისიის წევრები უბრალო, ცრუ-სამხედ-

*) ცნობილი მესაკუთრე ჩრდილო სპარსეთის კონცესიებისა; საქმის კაცი, დიდის ინიციატივით და „ამერიკულის უნარით“.

რო გამომეტყველების ახალგაზრდა კაცები, ჩვენს განმარტებებს შედარებით მოწყალეთ ისმენდენ. ჟ-ს უკვე მიეღო ზომები და „საქმის წარმოებაში“ მონაწილეობას იღებდა წარმომადგენლათ... ქართველთა ადგილობრივ კომიტეტისა. სავსებით ლიბერალური ქცევაა! დაკითხვა გათავდა, და გამოგვიცხადეს, რომ თავისუფალი ვართ. ამას რაღა სჯობდა? ჩვენ მართლა შეგირდებათ ვიგრძენით თავი. ჩვენი თანამგზავრების უმრავლესობა მაინც იმავე დღეს არმავირიდან ტუაპსეში გაემგზავრა: მათ გზა კეთილი აირჩიეს. უმცირესობა კი (10-12 კაცი) არმავირში დარჩა; ღამით ჩვენ მოგვასვენეს არმავირელმა ქართველებმა. მე და ს. კედიამ ვისარგებლეთ ჩვენი თანამემამულის სტუმართმოყვარეობით, რომელიც არმავირში მსახურებდა სააქციზო უწყებაში, და მიმართულებით კი იყო ეროვნულ-დემოკრატი: მას ძლიერ უხაროდა, რომ წილად ერგო პატივი ღამე გაეთევინებინა პარტიის ცნობილ მეთაურისთვის—ს. კედიასთვის, ჩემთვისაც ეს მოხერხებული იყო.

სიხარული ნაადრევი გამოდგა: დილით ქართველთა კომიტეტში შეგვატყობინეს, რომ არმავირში ჩვენი ჩამოსვლის დღეს დაპატიმრებულ ოფიცრებს და სხვებს (40-ამდე სულს) აბრალებენ, რომ ისინი ეკუთვნიან მოხალისეთა ორგანიზაციას, და რომ მათ გაასამართლებენ ჯარის-კაცთა მიტინგზე. არმავირი სავსებით კავკასიის ფრონტიდან წამოსულ ჯარის კაცთა ხელშია. არც ყაზახთა ხელისუფლებას და არც საბჭოთა ორგანიზაციებს არ შეუძლიათ მათი დამორჩილება.

როგორც ამბობდენ, ამ სამხედრო პირთ დაჭერის დროს აღმოჩენიათ იარაღი, უმთავრესად თოფები; ისინი ვაგონების ქვეშ ყოფილან მიკრული და საფიქრებელია, რომ ეკუთვნოდენ „ივერიელთა პოლკის“ რამდენიმე მთიელს, რომელნიც ბრუნდებოდენ თერგის ოლქში. ბეჭდები და სხვა საკანცელარიო მასალები აგრეთვე ეკუთვნოდენ ამ პოლკს. რაც შეეხება ოფიცრებს, ზოგი მათგანი ბრუნდებოდა თფილისში სამსახურის გამო, ისინი, ვინც გაგზავნილი იყო პეტროგრადში კავკასიის ფრონტისთვის ჯავშნიანი ავტომობილების საშოვრათ; სხვები მიდიოდენ შინ, ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ქალაქში.

დაპატიმრებულთა შორის ბევრი სრულიად შემთხვევით მოხვდა სამხედრო ვაგონში: მაგ. ორი სტუდენტი, მგონი, სადგურ კავკაზსკაიაზე ჩვენი მატარებლიდან ოფიცრებთან ბანქოს სათამაშოთ გადავიდა. ყველა მათ, უკლებლივ 39 კაცს, ჯარის კაცთა მიტინგმა

მიუსაჯა იმავე დღეს სიკვდილი; ქართული კომიტეტის და სხვა ორგანიზაციების ყოველმა ცდამ (განსჯილთა შორის იყო 13 ქართველი) ამაოთ ჩაიარა. სასჯელი იქვე მოიყვანეს სისრულეში ტყვიის-მფრქვეველით და ისეთის ულმობელობით, რომელიც მაშინ კიდევ ანცვიფრებდა ადამიანს, ეხლა კი აღარავის გააკვირვებს.

მთელი არმავირი თითქო გაქვავდა. თავაღებული ჯაჭვ-აყრილი მხეცი ყველასთვის საშიშარო იყო, მით უმეტეს რომ არმავირი სავაჭრო, მდიდარი ადგილია.

დადუმებული, წელგაწყვეტილი ვიჯექით ჩვენ ქართულ კომიტეტის ბინაზე; უეცრათ მოირბინა კომიტეტის ერთმა წევრმა და გადმოგვცა, რომ ჩვენ გვეძებენ, რომ ჯარისკაცები ღრიალებენ გუშინდელ შეღავათზე—ნამდვილ „კორნილოვცების“ განთავისუფლებაზე და რომ თვით ისინი აპირებენ ჩვენ გაგვისწორდენ; თანაც კომიტეტს ელის საშიშროება, რადგან ეგიც საეჭვოთ მიაჩნიათ—ერთის სიტყვით, საჭიროა არმავირს თავი მალე დავახწიოთ.

ჟ-ს მოხერხებით და მისი განწყობილებების წყალობით მაშინვე შევასრულეთ შემდეგი „გეგმა“: „ტეპლუ'მკა“ს ჩვენი ბარგით დარაჯათ დაუდგება სადგურის გზებზე ჟ-ს მილიციონერები; ჩვენ, ყურადღება რომ არ მივიქციოთ, ორ-ორი, ან თითო წავალთ სადგურზე, როგორც კი შეღამდება; ნაშვალამევს ტიხორეცკიდან მოვა მატარებელი და ღამითვე წავა სადგურზე „მინერალური წყლები“ (უკანასკნელი მატარებელი, რადგან მეორე დღეს სათბობი მასალის უქონლობის გამო მიმოსვლა უნდა შემწყდარიყო); აი ამ მატარებელს, უკანასკნელ წუთში მიაბმენ ჩვენ „ტეპლუშკას“, მჭიდროთ დახურულს, როგორც საბარგო ვაგონს—და ამ გვარათ გადავრჩებით არმავირს.

როგორც კი შებინდდა, ჩვენ სხვა და სხვა გზით გავსწიეთ სადგურისაკენ, შევძვერით ვაგონში, დავჯექით ბარგზე და დავიწყეთ ცდა. „ყოველი უეცარი შემთხვევისათვის“ ჩვენთან დაჯდა ჟ-ს სანდო მილიციონერი თოფით. მეორეს გარიდან „ეჭირა თვალ-ყური.“ სადღაც გადაგვიყვანეს; მერე ყველაფერი მიდუმდა. ვიჯექით უსინათლოთ; ვლაპარაკობდით ხმადაბლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტათ. მილიციონერი უგულოთ გვიამბობდა 39 კაცის დასჯის ამბავს, რომელიც დილით თვითონ ნახა. „ჯარის-კაცებს ვერაფერს მოუხერხებ, თქვენც, ეტყობა, გეძებენ. უეჭველია აქ მოვლენ მატარებლის შესახვედრათ, მაგრამ, არ მგონია, რომ მოგნახონ.

„კაპიტანმა არ ისურვა მიწის თბრა, და მას იდაყვი კონდახით გადუმტვრიეს“... ისევ უბრუნდებოდა თავის შეწვეტილ ამბავს ჩვენი დარაჯი.

ჩამოვარდება შემზარავი, უხმო სიჩუმე. შემდეგ გვიამბობენ „წასულ კვირაში მოწყალების დაზე აღმოაჩინეს ტყვიის მფრქვეველი. არტილერისტი გვერდში უდგა; მოუქნია ხმალი და მთელი მხარი ჩაუჩეხა; ქალი კი, თითქოს არიფერიაო, განაგრძობდა გზას; მაშინ მეორემ მეორე ხელზე შემოარტყა“ და სხვა.—ჩვენი დარაჯი ისე გულგრილათ გადმოგვცემდა ამ ამბებს, თითქოს სრულიად „ჩვეულებრივი რამ‘‘ ყოფილიყოს.—მაგრამ ეს ხომ მართლაც „ჩვეულებრივი ამბავი“ იყო. გაისმა ვიღაცას ქვითინი, რომელიც სასწრაფოთ იქმნა ჩაჩუმებული: „საბარგო ვაგონი“ ხომ კრინტს არ უნდა სძრავდეს.

ხანგრძლივი მდუმარება. შემდეგ—უეცარი სტვენა, კიდევ სტვენა—მახლობელი მატარებლის თქართქარი და მას მერმე სადგურის ჩვეულებრივი გუგუნი, რომელიც მალე წყდება. ხელახლავ რაღაც ალიაქოთი, მაღალი ხმები სადგურზე. „თქვენ უნდა გეძებდენ‘‘ ჩაგვიფუჩუნა დარაჯმა.

ისმოდა მატარებლების საცდელი მიმოსვლის ხმაურობა. ერთი შეგვანძრიეს, სადღაც წაგვიყვანეს, მეორე გზაზე გადაგვიყვანეს, რაღაცას მიგვაბეს. მალე ვიცანით ჟ-ს ხმა, რომელიც გვერდით ელაპარაკებოდა ერთ-ერთ მილიციონერს. შემდეგ ჩვენმა დარაჯმაც გააღო ,,ტეპლუშკის‘‘ კარი და უხმოთ დაიმალა ბნელ ღამეში; ახალი სტვენა, და მატარებელი დაიძრა არმავირიდან, სადაც 39 ნაწამები ადამიანი ჩაგდებული იყო მათგანვე გათხრილ ორმოში.

## 9.

როცა სადგურ ,,მინერალურ წყლებზე‘‘ მივედით, გავიგეთ, რომ მიმოსვლის შეწყვეტა ყოველ წუთში მოსალოდნელია და რომ საეჭვოა, ვლადიკავკავამდე მოვასწროთ მიღწევა. იძულებული შევიქენით დავრჩენილვიყავით და აგარაკების საზღვრებში აგვერჩია საცხოვრებელი ადგილი. დავდექით პიატიგორსკში—„ტეპლუშკა“ უეცრათ შევცვალეთ პირველხარისხოვან სასტუმრო „ბრისტოლის‘‘ ნებიროვბაზე. ამ დროს, ე. ი., 1918 წლის აპრილის შუა რიცხვებში პიატიგორსკში და ამ რაიონის სხვა დაბა-სოფლებში შედარებით მყუდროთ ცხოვრებდენ. საზოგადოებრივი ძალების წონასწორობა

როგორღაც ჯერ კიდევ რჩებოდა და საბჭოთა მთავრობის ცნობას ეგუებოდა. მოსული მცხოვრებთა რიცხვი შედარებით მცირე იყო, და ყველაფერი უხვათ იშოვებოდა.

პიატიგორსკში ჩვენამდი მოაღწია ხმამ, რომ ტრაპეზუნდის კონფერენცია შეწყდა, დაეცა ყარსი და ბათომი, და ამიერ-კავკასია ფორმალურათ დამოუკიდებლათ იქმნა გამოცხადებული. კიდევ უფრო მიგვიზიდა თფილისმა, მაგრამ იძულებული ვიყავით უსაქმოთ გვეარა, გვესუნთქა მაკურნებელი ჰაერი და გვეცადა დაბრუნებისათვის ხელ-საყრელ შემთხვევისათვის.

მე კინაღამ დროგით არ გავსწიე კავკავში; გზა-ტკეცილით გაზაფხულზე მოგზაურობა საამოც კი არის; მაგრამ ქართული კომიტეტის (ასეთი რევოლიუციის მიერ შექმნილი კომიტეტები-საკონსულოები ყოველ აგარაკზე არსებობდა) წევრებმა ჩემს აზრზე უარი მათქმევინეს; „უსათუოდ, მოგკლავენ და გაგცარცავენ“ აი, ვფიქრობდი მე, pax rossica, რომლის მნიშვნელობაზე კავკასიაში ოდესღაც ვწერდი ჟურნალ: „რუსკაია მისლ“-ში!

როგორც იქმნა, პიატიგორსკის კეთილ ცხოვრებაში და სანოვაგის სიუხვეში (შემდეგ აქაც ყველაფერი ძირიან-ფესვიანათ მოსპო ორფეხა კალიამ!) დამთავრდა ჩვენი მგზავრობის მოულოდნელი შეწყვეტა. ზოგ ჩვენგანს მიემატა სიმძიმე; მართალია, შემთხვევით და დროებით მოვხვდით ცხოვრების ყოფილ ჩვეულებრივ პირობებში, მაგრამ ისინი ამ სწრაფ-წარმავალს უყურებდენ, როგორც მუდმივს; წინანდელმა ოპტიმიზმმა და წინანდელმა რწმენამ იჩინა თავი, როცა მიიღეს დილის ვანნა და მიირთვეს კარგათ დამზადებული საუზმე. მაგრამ გულუბრყვილო ოპტიმიზმის სიცოცხლის ასეთი უნარი ხომ არ არის ერთ-ერთი მამოძრავებელ ძალთა, ეგრედ წოდებულ „ბურჟუაზიულ წყობილებისა“ ე. ი. ყოველგვარ, ადამიანის საქმიანობაზე დამყარებულ, წყობილებისა?

---

## თავი მეოთხე.

## კ ა ვ კ ა ს ი ა ზ ი.

### 10

როგორც კი აღდგენილ იქმნა მოძრაობა, ჩვენ განვაგრძეთ გზა, წინანდებურათ, საბარგო ვაგონით; ხელახლა გაგვჩხრიკეს, ისევ ვაძლევდით განმარტებებს „ფრენჩიან“ სხვადასხვა ახალგაზრდა კაცებს, რომელთა ჯიში ომის დროს ზედ-მეტათ გამრაელდა, რომელსაც სასურველ საზრდოს აწვდიდა სამხედრო და ნახევრათ სამხედრო ორგანიზაციები (ერობისა და ქალაქების კავშირები, წითელი ჯვარი და სხვა) და რომელიც ბუნებრივათ და აუცილებლივ გამოიყენა რევოლიუციამ; გვხვდებოდენ რუსეთში დაბრუნებული ეშალონები, და ვრწმუნდებოდით, რომ 1914—1918 წლების ომი ხალხისთვის უცხო და გაუგებარი, ამასთანავე რუსეთის მხრით უდიდესი, სისხლიანი შეცდომა იყო.

აქ ნათლად ვხედავდით, რომ იმპერიის ხელოვნური წონასწორობა ირღვევა, და ყოველი მისი შემადგენელი ცოცხალი ძალა, ანდა შემთხვევითი ნაძირალი ყალიბდება საკუთარი თავისებურობითა და სიცოცხლის უნარიანობის მიხედვით: აი ყაზახობა; აი მთიელები; აი ქალაქის პროლეტარიატი; აი იმპერიის ყოფილი ლაშქარი, რომელიც შეიარაღებულ მაწანწალათა ჯგუფებათ ხდება და სხ.

ადამიანს ეგონებოდა, რომ ბუნების ძალნიც განზე ვერ გაუდგებიან ამ საერთო გადაჯგუფებებს, როცა მილიონების ძალამ და ხალხთა მასსების აღრევამ ყველგან შეარყია სახელმწიფოთა ძველი საზღვრები, და თითქოს დაწყებულია ახალი „გენერალური გამიჯვნა“; თითქოს ეს მთაგრეხილიც უბრუნდებოდა თავის პირველ-ყოფილ გეოგრაფიულ მნიშვნელობას—ყოფილიყო ქვის, საზარ მიჯნათ, რომელიც დაგდებულია რუსეთის თვალ-უწვდენელ ველის ბოლო-

ში, რათა ამ ნაკვეთზე მიეცეს ბოლო და სახე უსახოსა და უსაზღვროს.

---

კავკავში ცოტა ხნით დავრჩით. ქართველების ახალ-შენს ჰგონებოდა, რომ ჩვენ მოვხვდით არმაგირში დაღუპულთა შორის და ემზადებოდა ჩვენზე პანაშვიდი გადაეხადა, რომელსაც ჩვენ ადვილი შესაძლებელია, მოუსწრებდით, მაგრამ, როცა ცოცხალი დაგვინახეს, პანაშვიდის მაგიერ გაგვიმართეს საზეიმო სადილი. პირადათ მე თანამგზავრებს ჩამოვშორდი, ვიშოვე ტფილისში დაბრუნებულ ავტომობილში ადგილი და გავსწიე იქეთ.

კავკავში ჩვენ შევხვდით ამიერ-კავკასიის მთავრობის აგენტებს, რომელნიც ჩამოსულიყვნენ ხორბალის საყიდლათ. იმათგან გავიგეთ უფრო დაწვრილებით, თუ როგორ იქმნა გამოცხადებული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, როგორ შესდგა მთავრობა ა. ი. ჩხენკელის თავმჯდომარეობით და როგორ აპირებენ უახლოეს დღეებში, ბათომში განაახლონ ოსმალოებთან მოლაპარაკება, რომელმაც ტრაპეზუნდში უნაყოფოთ ჩაიარა.

მდგომარეობამ აიძულა ამიერ-კავკასია საერთაშორისო პოლიტიკაში გამოსულიყო ცალკე, ურუსეთოდ. მე ძლიერ მაინტერესებდა ამ გამოსვლის პირობები და მიზნები: სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას ამ შრომაში. კავკავიდან ჩემთან ერთად წამოსული ქართველი ს.-დ. (მენშევიკების) მეთაურებთან ახლო მყოფი ა—ძე მარწმუნებდა, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა, უეჭველია, მოინდომებს ისარგებლოს ჩემის სამსახურით, და ჩემზეა დამოკიდებული, დავეთანხმები თუ არა.

კავკავის განაპირაზე, მოლოკანთა უბანში, ჩვენ წავაწყდით საყარაულოს. თავიდან-ფეხებამდის შეიარაღებულმა, გრძელ-წვერიანებმა, რომელთაც ტომრების გასასინჯათ ხელში რკინის შანთებიც კი ეჭირათ, გაგვჩხრიკეს, (მხეცობა არ გამოუჩენიათ; საერთოდ კი მოლოკანთა საყარაულო ითვლებოდა ყველაზე უფრო სასტიკ საყარაულოთ) და ჩვენ გავსწიეთ საქართველოს სამხედრო გზის იმ ნაწილით, რომელსაც ზედამხედველობდენ მთიელი ინგუშები. საერთოდ აქედან ტფილისამდე ისე ვიმოგზაურეთ, რომ დაბრკოლება და შეჩერება არ შეგვხვედრია.

## 11

როგორც ყოველთვის, მთების სიდიადესთან შედარებით სასაცილოთ და წვრილმანათ გვეჩვენებოდა ადამიანების შფოთი, მათი ერთმანეთის მოსპობისა და გაწვალების მისწრაფება; უფრო მშვენიერი და წმინდა, ვიდრე ოდესმე, იყო ზეგით თოვლი და უფრო მიუდგომელი სალი კლდე მის ქვეგით; მეზობელ ხეობის მცხოვრებნი, იშვიათათ რომ შეგხვდებოდენ გზაზე, ისე დაშორებული იყვნენ იმას, რაც ჩვენ რუსეთში დავტოვეთ და სამაგიეროთ, ისე ახლო იდგენ ადამიანისა და ბუნების სამარადისო ურთიერთობასთან.

ცარიელი იყო საქართველოს სამხედრო გზა. უღელტეხილი თოვლისაგან მხოლოდ მაშინ იწმინდებოდა. მდგომარეობაც არ უწყობდა ხელს მოენახულებინათ ეს ადგილები კოსტრომისა და მოჟაისკის იმ ათას „ვოლოდიებსა“ და „შუროჩკებს“, რომელნიც წარსულ წლებში ქვაზე, კლდეზე და კედელზე სახელის აღბეჭდას მოვალეობად სთვლიდენ, და ჩვენ კი ამით გვიჩვენებდენ ჭია ადამიანის სურვილს ამ საბრალო წინწკლებით მოგვაგონოს თავი იქ, სადაც ოცნება პრომეთეოსის დიდის ტანჯვის ღირსეულ ჩარჩოს ეძებს.

„თამარ დედოფლის კოშკთან“ მაგონდება აკადემიკოსის ნ. ი. მარრის გაკვირვება, თუ რისთვის გარდაქმნა ლერმონტოვმა საქართველოს ისტორიის დიადი, ხატათ მიჩნეული თამარი, დარიალის კლდიდან შემთხვევითი საყვარლების გადამგდებ დიაცათ. მე კი მგონია, რომ ეს უფრო გაართობს „ვოლოდიებსა“ და „შუროჩკებს“.

ჩვენი ავტომობილი სუსტი გამოდგა. ღამის გათევა ფასანაურში მოგვიხდა, სადაც ყველა „ვაკანსია“ უკვე დაეჭირათ ოსმალთა შემოსვლის შიშით ტფილისიდან გამოქცეულ სომხების ოჯახებს. მძიმე ურო აღმართული იყო ამიერ-კავკასიაზე და ვაი სუსტებსა და მოუწყობელთ!

დილით გავსწიეთ ანანაურში, მცხეთაში. ყველას ახსოვს მთაგრეხილის აქეთა მხარის სანახაობა—ახალგაზრდა, ხუჭუჭა ტყით დაფარულ მთებისა და მთის გვერდების ნაზი მოხაზულობა, ათასი ფერით აჭრელებული რბილი მინდვრები, ჩანჩქერთა მუსიკა. ამ სურნელებაში ანანურის ციხის კოშკები და ეკლესია ღაღადებენ ძველ საქართველოზე, რაინდთა დროზე, წრფელი სარწმუნოებისა და წრფელი ზნე-ჩვეულების დროზე.

დუშეთთან საკვირველი შეხვედრა: თეთრი ზედსაფენიანი ფურგუნების გაუთავებელი ქარავანი, რომელშიაც გაბმულია ოთხი ცხენი და რომელზედაც აწყვია ყოველგვარი ბარგი-ბარხანა და დოვლათი, სხედან ბავშები, ქალები, მოხუცებულები. მამაკაცები გვერდით მიჰყვებიან და მიჰყავთ ძროხები, ცხენები. ასობით მიდის ასეთი ფურგუნი ჩრდილოეთისაკენ. ეს არიან ყარსის ოლქიდან ყუბანში გადასახლებული მოლოკანები; ისინი ალალ-ბედზე არ წასულან: მათ წარმომადგენლებს უკვე დაუთვალიერებიათ იქაური ადგილები. ძლიერი ხალხია—ახალ ადგილზე მხოლოდ მოიგებენ. 1914 წლიდან, საომარ ასპარეზის სიახლოვის გამო, მათთვის ყარსის ოლქში ცხოვრება საძნელო იყო. რუსის ჯარის მოხსნის შემდეგ მათ თვით არჩიეს გადასახლება, სრულიად მიტოვება იმ ადგილების, სადაც მოწყობილიყვნენ: სარაყამიშის ზემოტევის სახსოვარ დროიდან, როცა ისინი იძულებული იყვნენ 1914 წლის დეკემბერში პურმარილით შეხვედროდენ სადგურ ახალ-სელიმთან ოსმალოებს, მათ დაეკარგათ რწმენა, რომ რუსეთი გაიმარჯვებდა.

რევოლიუციის შემდეგ დაწყებული რუსების ახალ-შენების ამიერ-კავკასიიდან უკანვე რუსეთში მნიშვნელოვანი, ყურადსაღები და სტიქიური დაბრუნება ხომ არ წინასწარმეტყველობს, რომ სამარადისოდ დამთავრდა ის კოლონიზაციური პოლიტიკა რუსეთის მთავრობისა, რომელსაც მე-XX საუკუნეში ენერგიულათ აწარმოებდენ, და რომლის უმაღლესი გამოხატულება იყო „ეფრატის ყაზახობის“ (სომხების კითხვის გადაწყვეტის რუსული ვარიანტია) შექმნის პროექტი? ყოველ შემთხვევაში ასეთი პოლიტიკა ამიერ-კავკასიის ხალხთა თავისუფალ განვითარებასთან ერთად, შეუსაბამო იქნებოდა.

## 12

მაგრამ... ჩვენ უკვე მივედით ტფილისში. დღე მზიანი და თბილი იყო; სიცოცხლით სავსე ქუჩები, ხალხის მხიარული და სავსებით მშვიდი გამომეტყველება სრულიად არ ჰგავდა იმას, რასაც ჩვენ მივეჩვიეთ უკანასკნელ წელში რუსეთში: ჩვენ ვიგრძენით, რომ აქ არა თუ მარტო ჰაერია სხვანაირი, არამედ რომ წრეც სხვაგვარია: ემჩნევა, რომ რევოლიუცია თავის საქმეს აქაც აკეთებს, მაგრამ გზა და ფორმები სხვაა.

მთლიანი რუსეთის რევოლიუციის გამთიშველი ძალა აქ შეხვდა ხალხების ეროვნულ და სახელმწიფოებრივ თვითგანმტკიცებისადმი მისწრაფებას, რომელიც ამავე რევოლიუციამ გაანთავისუფლა და წააქეზა. ეს იყო ერთი მიზეზთაგანი, რომ 1917—1918 წ. კავკასიაში რევოლიუცია შედარებით უფრო თავშეკავებით და ზომიერათ მიმდინარეობდა.

ასეთი შთაბეჭდილება მივიღე ტფილისში 1917 წელს შემოდგომაზე და ეხლა 1918 წლის გაზაფხულზე. მე საშვალება არ მქონდა შთაბეჭდილება იგი გამეღრმავებია: ტფილისში (9 აპრილიდან უკვე დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის სატახტო ქალაქში) მე გავატარე მხოლოდ რამდენიმე დღე.

დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია! არ შეიძლება ითქვას, რომ ფორმალური გამოსვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან მომხდარიყოს ეროვნული თავდავიწყებული გატაცებით. არა, იგი გამოწვეული იყო პრაქტიკული საჭიროებით, ხელი უნდა მოეწერათ ზავისათვის—თავის „ბრესტ-ლიტოვსკის ზავისათვის"; ამავე დროს ამიერ-კავკასიამ 25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება არ გაიზიარა.

მრავალ მხრივ მნიშვნელოვანი იყო, რომ ამიერ-კავკასიის ხალხებმა უარყვეს ოქტომბრის გადატრიალება—მათ აშკარათ გამორიცხეს თავი მთლიან რუსეთის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ჩარჩოებიდან.

1917 წ. 15 ნოემბერს (ახალი სტილით) ე. ჰ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით დაარსებული ამიერ-კავკასიის კომისარიატი წარმოადგენდა რევოლიუციურ და ეროვნულ ორგანიზაციათა კოალიციას; იგი იყო ფაქტიურად ამიერ-კავკასიის პირველი დამოუკიდებელი მთავრობა. ამ მთავრობას მიზნათ ჰქონდა დამფუძნებელი კრების (სრულიად რუსეთის) არჩევნების მოწყობა და კავკასიის ფრონტის დახმარება.

დამფუძნებელი კრების 1918 წლის იანვრის დამარცხების შემდეგ, რუსეთსა და ამიერ-კავკასიის შორის მხოლოდ ომისა და ზავის კითხვა დარჩა ერთად-ერთი შემაერთებელი ძალა, და ეს ძალაც მოსპო ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა. ამიერ-კავკასიის მთავრობა შეეცადა თავისი ინტერესები დაეცვა ოსმალეთთან პირდაპირის მოლაპარაკებით (ტრაპეზუნდის მოლაპარაკება 1917 წ. თებერვალსა და მარტში) და იარაღით („ამიერ-კავკასიის დემოკრატია" „ოსმალეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ). ტრაპეზუნდში დიპლომატიური

მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა; იარაღით თავის დაცვის ცდა ძლიერ მალე და ძლიერ სამარცხვინოდ დამთავრდა—ყარსისა და ბათომის დაკარგვით (1 აპრ.); იძულებული გახდენ, ზავისათვის მართლაც მოეწერათ ხელი; ემზადებოდენ ახალი კონფერენციისათვის, ეხლა უკვე ბათომში. ზავზე ხელის მოწერისათვის ამიერ-კავკასია უნდა გამხდარიყო უფლება-მოსილ მხარეთ, და ამ სამწუხარო მიზნისათვის იძულებული იყვენ გამოეცხადებიათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. შესდგა ახალი მთავრობა; თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ა. ი. ჩხენკელი, რომელიც ტრაპეზუნდში ამიერ-კავკასიის მთავარ დელეგატათ იყო. ეროვნული ჯგუფების კოალიციიდან შემდგარი მთავრობა რუსეთთან რაიმე კავშირის გარეშე იდგა და მიზნათ დასახული ჰქონდა, ამიერ-კავკასია ომიდან დაეხსნა.

ოსმალოებს ეჭირათ არა მარტო ბათომი, არამედ ოზურგეთი, ახალციხე და აბასთუმანი; სხვა გვარათ რომ ვსთქვათ, მტერი პირდაპირ ემუქრებოდა ტფილისსა და ქუთაისს; სომხეთის პროვინციები ზოგი უკვე დაჭერილი იყო, ზოგს კი დაჭერა მოელოდა. ტფილისელ სომხობას ოსმალოთა შემოსევის განსაკუთრებული შიში უნდა ჰქონოდა: ბევრი გარბოდა ჩრდილოეთისაკენ, და ჩვენ მათ შევხვდით საქართველოს სამხედრო გზაზე...

. . . . ასეთი მდგომარეობის მიუხედავად როცა, 27 აპრილს 1918 წელს, ჩვენი ავტომობილი გაჩერდა სახაზინო თეატრის წინ, ვიმეორებ, მე მომეჩვენა, რომ ტფილისის ხალხი უდარდელი და სიცოცხლით სავსე იყო.

„დაგვეხმარეთ“—„მზათა ვარ, რითაც შემიძლია გემსახუროთ“—არსებითად ასე მარტივი იყო დიალოგი ჩემსა, ამიერ-კავკასიის მთავრობის მეთაურის ჩხენკელისა და ნ. ჟორდანიას შორის; უკასასკნელი მთავრობაში არ შედიოდა, მაგრამ მთავარი სულის ჩამდგმელი იყო ამ მხარის პოლიტიკური ორგანიზაციებისა (საბჭოების), და ემყარებოდა მის ხელმძღვანელობაში მყოფ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

ჩხენკელის თავმჯდომარეობით კომისია იწყებდა მუშაობას ამიერ-კავკასიის კონსტიტუციის შესადგენათ. წინადადება მომცეს ამ კომისიაში მიმეღო მონაწილეობა. არ მეეჭვნიკა. „კონსტიტუციის კითხვა და თვით არსებობა ამიერ-კავკასიისა გადაწყდება ბათომში—შესაძლებელია, მე იქ ვიქნე თქვენთვის სასარგებლო?“ გადაწყდა ჩემი სამსახური გამოეყენებიათ ბათომში.

საკონსტიტუციო კომისიის ერთს სხდომაზე (4 მაისს) მაინც მომიხდა დასწრება. იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა საერთო კითხვის შესახებ—თუ რა საფუძველზე უნდა იქნეს აგებული ამიერ-კავკასიის ფედერაცია (ახალი სახელმწიფო ოფიციალურად უკვე იწოდებოდა ფედერატიულ რესპუბლიკად).

სხვა და სხვა აზრი გამოითქვა. ზოგიერთი თანდამსწრე მაჰმადიანი ფიქრობდა, რომ ამიერ-კავკასიის სამივე შემადგენელ ნაწილს უნდა ჰქონოდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკის უფლება.

ბაქო ბოლშევიკების ხელში იყო, ოსმალოები კი აზერბაიჯანის საზღვრებთან იდგენ: ჩვენი თურქებისათვის სასურველი „საგარეო პოლიტიკა“ შესაძლებელი იყო სასიამოდ არ დარჩენოდათ სომხებს და სხვა... ეს ყველაფერი ნათლად სჩანდა: ახირებული იყო მხოლოდ უეცარი შეერთება სხვა და სხვა გვარი მისწრაფებისა. „ამიერ-კავკასიის ფედერაციის“ ბაირაღით ან და „ამიერ-კავკასიის დემოკრატიის“ სახელით.

არა!... 1918 წლის მაისში, გადაჭრით უნდა ითქვას, უდროოდ იყო ამიერ-კავკასიის კონსტიტუციის შემუშავებაზე ზრუნვა.

მაგრამ ძალა ბევრი იყო და ეს ძალა სამოქმედოდ იწევდა.

რევოლიუციის ლოზუნგები სასწაულმომქმედ თილისმათ მიაჩნდათ.

ადგილობრივმა დემოკრატიამ დიდი ხნის წინად დაიკავა ყოფილი მეფის მოადგილის სასახლე; დემოკრატიასთან ახერხებდენ ცხოვრებას კავკასიის ფრონტის ჯერ კიდევ ინერციით სულის მღაფველნი დაწესებულებანი.

მას შემდეგ, რაც 1917 წლის ნოემბერში ჯუღელის მეთაურობით ეგრეთ-წოდებულმა წითელმა გვარდიამ აიღო თოფხანა, ქალაქი უზრუნველყოფილი იყო რუსეთისაკენ მიმავალ ეშელონების ყოველგვარი მაენებლობისაგან და წესრიგს, საერთოდ, გვარიანათ იცავდენ; ერთის სიტყვით, ოსმალეთის საშიშროებას რომ ხელი არ შეეშალა, შესაძლებელია, ამიერ-კავკასიას კიდევაც მოეხერხებინა შინაური გაპივრება თავიდან მოეშორებინა. სხვა და სხვა წრისაგან შეკრებილ მთავრობაში, ეროვნულ საბჭოებში, სეიმში საკმაოთ ნათლად მჟღავნდებოდა მცხოვრებთა საჭიროებანი და გრძნობანი, და რესპუბლიკანურ, ფედერატიულ წყობილების დამყარების ძნელი მუშაობა, ვინ იცის, იქნებ დაწყებულიყო.

მაგრამ... ბათომში უნდა წავსულიყავი.

## თავი მეხუთე

## ბათუმში ოსმალოებთან.

### 13

1918 წლის ბათომის კონფერენციის თანადამსწრის შთაბეჭ-დილებებს სასარგებლო იქნება წარუმძღვაროთ რამოდენიმე სიტყვა იმ მოვლენებისა და მდგომარეობის შესახებ, რომელთაც გამოიწვიეს კავკასიის ხალხებისა და ევროპის სახელმწიფოების ეს პირველი დიპლომატიური დაახლოვება, რადგან ისტორიულად და პოლიტიკურად მთელი ძალა ევროპის სახელმწიფოებში იყო, თუმცა ლაპარაკი უმთავრესათ ოსმალეთთან სწარმოებდა*).

1917 წლის ნოემბერში, როცა ამიერკავკასიის კომისარიატი შესდგა, არავის იქვს არ იწვევდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე ოსმალეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელება შეუძლებელი იყო და გადაწყვეტილი იყო ამ სახელმწიფოსთან დაედვათ დროებითი ზავი. ამ ზავის პირობები შეადგინა რუსის ფრონტის სარდლობამ, რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული თავისი გარეგნული (სამწუხაროთ მხოლოთ გარეგნული) არსებობა, და თვით დროებითი ზავი ხელმოწერილი იქმნა ერზინჯანში 5 (18) დეკემბერს 1917 წელს. ამასთანავე ოსმალეთის აზიაში, შავი ზღვიდან ვანის ტბამდე მეომარ მხარეთა შორის გაყვანილ იქმნა გამმიჯვნელი ხაზი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, 1918 წლის იანვრის დასაწყისში (ძვ. სტ.) ოსმალეთის მთავრობის თაოსნობით აღიძრა კითხვა, ამიერკავკასიასთან საზავო მოლაპარაკების შესახებ.

კომისარიატმა კარგად არ იცოდა დამფუძნებელი კრების ბედი, უცდიდა თუნდაც სამხრეთ-რუსეთში მაშინ არსებულ სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ (არა საბჭოთა) ახლად-წარმოშობილ ორგა-

---

*) იხ. საქართველოს მთავრობის გამოცემა: საბუთები და მასალები ამიერკავკასიის და საქართველოს საგარეო პოლიტიკისა. თფილისი 1919 წ.

ნიზაციებიდან დასკვნას კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, და ამიტომ არ შეეძლო მიეცა ოსმალეთისთვის მის წინადადებაზე გარკვეული პასუხი.

ამ მერყეობაში, რომელიც გამოწვეული იყო არა მარტო ძნელი მდგომარეობით,—არამედ „იმპერიისადმი" ლოიალობის გრძნობით და აგრეთვე რუსეთის რევოლიუციისა და დემოკრატიის მთლიანობის შესახებ ჯერ კიდევ ცოცხლად არსებულ აზრის მიხედვით, იკარგებოდა ძვირფასი დრო; ფრონტი სრულიად ირღვეოდა; გამმიჯნავი ხაზი, რომელსაც ამ მხრიდან არ დარაჯობდენ, აღარ აჩერებდა ოსმალოებს; და 1918 წლის იანვრის ბოლოში (ძვ. სტ.) მათ მოიმიზეზეს, რომ სომხების სამხედრო ნაწილებმა ძალდატანება იხმარეს მუსლიმანის მოსახლეობაზე და დაიწყეს წინსვლა რუსეთ ოსმალეთის საზღვრის მიმართულებით.

ბოლოს ამიერ კავკასიის სეიმის მოწვევის შემდეგ (1918 წ. 10 თებ.) —საქმის ახალი გაჭიანურებით—მიღებულ იქმნა გადაწყვეტილება: აწარმოონ დამოუკიდებელი მოლაპარაკება ოსმალეთთან ზავის შესახებ, მოლაპარაკების ადგილათ აირჩიონ ტრაპეზუნდი (მაშინ იგი კავკასიის ჯარების ხელში იყო) და ოსმალეთთან მოლაპარაკებაში ეცადონ, შეინარჩუნონ 1914 წ ლ ი ს სახელმწიფო საზღვრები და ო ს მ ა ლ ე თ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი მ ი ა ღ ე ბ ი ო ნ ს ო მ ხ ე თ ი ს ა ვ ტ ო ნ ო მ ი ა (16 თებ. ძვ. სტ.); ეს იმ დროს, როცა კავკასიის ფრონტი, როგორც გამომპალი შენობა, ყველგან ინგრეოდა.

ვერ მოასწრეს ამ გადაწყვეტილებაზე შეჩერება, რომ 17 თებ. მოვიდა კარახანის დეპეშა, რომლითაც იგი იტყობინებოდა, რომ საბჭოებს გადაწყვეტილი აქვს ხელი მოაწეროს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას და ამ აქტით ოსმალეთს უთმობს ყარსს, ბათომსა და არდაგანს ე. ი. კავკასიის საზღვრები 1914 წლისა ძირითადად იცვლებოდა ოსმალეთის სასარგებლოთ.

სეიმის მიერ ზავის განზრახული საფუძველი ცხადია ღებულობდა უტოპიურ ხასიათს.

რა თქმა უნდა, ოსმალეთმა არ დააყოვნა მოეთხოვნა, რომ სრულიად დაეცალათ დათმობილი ტერიტორია, რომელთაც მათი ჯარი უკვე ფაქტიურად მიუახლოვდა (25 თებ. ძვ. სტ.); ამიერ კავკასიის მთავრობამ კი მანამდის (17 თებ.) განაცხადა პროტესტი ამიერ-კავკასიის პროვინციების დათმობის შესახებ იმ აქტით, რომელიც

„შეკრული იყო ამიერ-კავკასიიის გაუგებლად და ნება დაურთველად“ *)

ტრაპეზუნდის კონფერენცია, თუმცა ეს ძლიერ საკვირველია, მაინც შესდგა.

რუსეთის ხელით ოსმალოებმა მიიღეს სამი სანჯაყი და ესწრაფოდენ მის დაფლობას, მაგრამ თანაც, როგორც ეტყობა, მათ სურდათ ეს შენაძენი ამიერ-კავკასიის ბეჭდითაც დაედასტურებიათ.

ამიერ-კავკასიის დელეგაციას კი, როგორც ეტყობა, იმედი ჰქონდა სისრულეში მოეყვანა მისდამი დაკისრებული მოვალეობანი, მიუხედავათ იმისა, რომ პოლიტიკური მდგომარეობა ბრესტ-ლიტოვსკის შემდეგ ძირათადათ შეიცვალა და ფრონტი ფაქტიურად გაირღვა: ეხლა ტრაპეზუნდი უკვე ისევ ოსმალოების ხელში გადავიდა.

ტრაპეზუნდის კონფერენციას, რომელიც დაიწყო 27 თებ. (ძვ. სტ.) და დამთავრდა ამ.-კავკასიის დელეგაციის უკან თფილისში გაწვევით 1 აპრილს (ძვ. სტ.) მოჰყვა ასეთი დიპლომატიური შედეგი: ოსმალოების ულტიმატიურ მოთხოვნის თანახმად ამიერ-კავკასიამ იცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება მისი საქართველოსა და სომხეთისათვის მძიმე, მაგრამ ამ მომენტში თავდაუხწევი პირობებით; საბოლოო ზავი ამიერ-კავკასიას უნდა შეეკრა, რა თქმა უნდა, არა მარტო ოსმალეთთან, არამედ მის მოკავშირეებთანაც (გერმანიასთან, ავსტო-უნგრეთთან და ბულგარეთთან); მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ წინასწარ გამოცხადება. შეთანხმებაც კი მოხდა—თუმცა კერძო ხასიათის—რომ ამიერ-კავკასიის დელეგაციის მუშაობაში ხდება მხოლოდ შეჩერება. მაგრამ ასე მსჯელობდენ მხოლოდ ტრაპეზუნდში; თფილისში კი სეიმმა აშკარა ეკზალტაციის ზეგავლენით მას შემდეგ რაც წერეთელი ირწმუნებოდა, რომ „ჩვენ არ შეგვიძლია დავთანხმდეთ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებს: ხალხი მას არ მიიღებს“-ო და გეგეჭკორის განცხადების შემდეგ, რომ „ეხლა მთავრობას არ შეუძლია სხვა გადაწყვეტილება გამოიტანოს, გარდა ოსმალეთთან ომის დაწ-

---

*) თავის დროზე—დიდის დაგვიანებით—ამიერ-კავკასიის მთავრობას გადასცეს მოწოდება, მონაწილეობა მიეღო ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაში. ეს წინადადება, როგორც ეტყობა, პრაქტიკულათ არ ყოფილა განხილული, რადგან მიიღეს ცნობა, რომ ბ.-ლ. მოლაპარაკება შეწყვეტილია, მაგრამ ამიერ-კავკასიის მთავრობა უკვე მზად იყო დაეწყოთ კერძო მოლაპარაკება ზავზე ოსმალეთთან და საერთოთ ოთხთა კავშირის საბელმწიფოებთან.

ყების შესახებ, აუცილებლად სცნო ომის გაგრძელება*)“ ამ მიზეზის გამო დელეგაცია გამოწვეულ იქმნა (31 მარტი ძვ. სტ.) ტრაპეზუნდიდან. ერთი სიტყვით გადაწყვეტილი იყო ბედის ცდა ომში. და ეს მაშინ, როდესაც არ იყო საიმედო ჯარი და სეიმის მაჰხმადიან წევრებმა აშკარად განაცხადეს: „ამ ომში ჩვენ ვერ მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას და ამიტომ აქტიური პასუხისმგებლობაც ჩვენ არ გვედება“-ო.

ამ პირობებში რევოლიუციონური რეტორიკა, საპარლამენტო სიტყვები, მიმართვები ხალხებისადმი, სხვა და სხვა ორგანიზაციების მოწოდებები: „ყველანი ფრონტზე!“ და სხვა სწევდენ საერთოდ იმის მაგიერობას, რასაც ჩინეთის ძველებურ ომებში ასრულებდნენ გველეშაპის და სხვა საფთხობელების გამოსახულებანი.

გაუგებრობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა.

იმავე დღეს, როცა ენტუზიაზმით გაჟღენთილი სეიმის სხდომის ბოლოს ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ „ჩვენ ოფიციალურად ესდგებით საომარ ნიადაგზეო“, ოსმალოები სრულიად „ოფიციალურად“ შევიდენ ბათომში. ამავე დროს ისინი უახლოვდებოდენ ყარსს, რომელიც დაიკავეს კიდეც 12 აპრილს (ძვ. სტ.)

ნათლათ სჩანდა, რომ „სამხედრო“ გეზით არაფერი სახეირო გამოდიოდა, და გადაწყდა ისევ დაყრდნობოდენ დიპლომატიურ გზას,

ცხრა აპრილს გამოცხადდა ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. მაშინვე გადაწყდა მიეღოთ ზომები სასწრაფოდ ზავის შესაკვრელად, მაგრამ ამავე დროს სრულიად ბუნებრივათ მდგომარეობასთან იყო შეფარდებული, რომ გეგეჭკორის მთავრობა გადადგა და მისი ადგილი დაიჭირა პირველმა და თანაც ერთად ერთმა ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის კაბინეტმა, რომელიც შეადგინა ა. ი. ჩხენკელმა.

ამიერ-კავკასიის სარდლობამ 10 აპრილს გასცა ბრძანება საომარ მოქმედების შეჩერების შესახებ; ოსმალოებმა უპასუხეს ასეთივე განკარგულებით, მაგრამ არ დაუცადეს სანამ მეთოდიურად და სავსებით დასცლიდენ ყარსს, გამოიტანდენ იქიდან სახაზინო ქონებას

---

*) საყურადღებოა შევადაროთ ამიერკავკასიის სეიმში რევოლიუციონერული ომის დასაცავათ (31 მარტს ძვ. სტ.) ნათქვამს უბრალო მოსაზრება ლენინისა რომელიც თითქმის ასეთსავე შემთხვევაში ლაპარაკობდა ომის წინააღმდეგ (28 თებ. ცენტ. კომ-ში): „ომისათვის საჭიროა ჯარი, ჯარი არა გვყავს, მაშასადამე უმდა მივიღოთ პირობები“ და სხვა,

და მათ კი გადასცემდენ გაცარიელებულ ციხეს, და ამიტომ მაშინ-ვე დაიკავეს იგი 12 აპრილს.

ამის შემდეგ ოსმალეთის მთავარ სარდალს მეტი არაფერი დარჩენოდა, რომ შეეტყობინებინა ტფილისში ოსმალეთის მთავრობა სცნობს ამერ-კავკასიას დამოუკიდებელ ქვეყნად და თანახმად ტფილისის სურვილისა ნიშნავს შემდეგი მოლაპარაკების ადგილათ ბათომს—(15 (28) აპრ. 1918 წ.) ოსმალოებმა უკვე დაიჭირეს ბრესტ-ლიტოვსკში შეძენილი პროვინციები; ამასთანავე დადასტურებულ იქ-მნა, რომ შეუძლებელია მოუწყობელ და ანგრეულ ამიერ-კავკასიი-სათვის სრულიად უბრალო საომარი ოპერაციების წარმოებაც კი.

სწორეთ, ასეთ პირობებში იკრიბებოდა ბათომის კონფერენცია..

## 14.

ამბობენ რომ, როცა ტრაპეზუნდში მოსალაპარაკებლათ გაგ-ზავნილი ამიერ-კავკასიის დელეგაცია გადმოვიდა დამხმარე კრეისე-რის „კაროლ კარლოსიდან“ ნაპირზე (ეს იყო 27 თებ. ძვ. სტ. 1918 წ.), ერთმა ოსმალომ შენიშნა: „თუ ეს არის პირობის შემკვრელ მეორე მხარის მთელი მოსახლეობა, მაშინ მოსულთა რიცხვი მცირეა და თუ ეს მხოლოდ დელეგაციაა, მაშინ მათი რიცხვი მეტად დიდია *).

ბათომში გასაგზავნათ დანიშნული დელეგაცია შესდგებოდა 45 კაცისგან—რიცხვი რასაკვირველია ძლიერ დიდია, მაგრამ იგი აიხსნება, გარდა სხვა მიზეზებისა სპეციალური პოლიტიკური პირო-ბებითაც: ამიერ-კავკასიის მთავრობა იყო შემდგარი სხვა და სხვა ეროვ-ნულ ერთეულებისაგან, ხოლო ცალკე პოლიტიკური ერთეულები ერთმანეთს არ ენდობოდენ.

ნამდვილი დელეგატი იყო ექვსი: საქართველოდან—ჩხენკელი და ნიკოლაძე; აზერბაიჯანიდან-გაჯინსკი და რასულ-ზადე; სომხე-თიდან—კაჩაზნუნი და ხატისიანი. გარდა ამისა იყვნენ მრჩევე-ლები, უწყებების წარმომადგენლები, „ეროვნული მდივნები“ საქარ-თველოსი, სომხეთის და მუსლიმანების; სამხედრო მისია, რომელიც შესდგებოდა ორი გენერლისა და სამი პოლკოვნიკისაგან და სხვა და სხვა.

---

*) ჯერ კიდევ სომხეთის მეფეს ტიგრანს მიაწერდენ თითქო მას ლუკუ-ლლის მცირე ჯარის დანახვის დროს ეთქვას: „თუ ეს ელჩებია—ბევრია: თუ ეს მტერია—ცოტაა“.

ყველაფერს ემჩნეოდა სიჩქარე: არც დრო იყო, არც სიმშვიდე საქმის დინჯათ მოსამზადებლად.

გამგზავრება დანიშნული იყო 5 მაისისათვის განსაკუთრებული მატარებლით, რომელშიაც ბევრი მოეწყო, ვისაც სურდა თავის კერძო საქმის გამო ჩასულიყო ოსმალეთის მიერ დაკავებულ ბათომში; ძნელი იყო უავტომობილოთ სადგურზე მისვლა; მაგრამ კიდევ უფრო ძნელი იყო მატარებელი ადგილიდან დაძრულიყო, მაგრამ როგორც იქნა იგი დაიძრა გვიან ღამით.

...დილით ადრე მივედით ყვირილაში. როგორ არ შეაქო კაცმა ზემო იმერეთის საგულდაგულოდ დამუშავებული ველების მშვენიერება გაზაფხულზე! სოფლების თეთრი ეკლესიები; მწვანე ხეობებში აქა-იქ კოშკების ნანგრავები—მდიდარია საქართველო რომანტიული სანახაობით.

ეს არის მისი სიღარიბის ერთ-ერთი ნუგეში. სხვები ამ ნუგეშს მიუმატებდენ შემოსავალსაც.

...გურიის ბუნებრივი მდებარეობის სინაზე (ჩვენ უკვე გურიაში ვართ) ვერ ეგუება იმ აზრს, რომ აქვე ახლოს გაყვანილია სანგრები, და აქ არის ოსმალოების საომარი ხაზი.

სუფსაში ხელ-ახლავ შევჩერდით: გამოცხადდა ქარველი ნაწილებიდან საპატიო ყარაული, ცხენოსნები, ქვეითები და არტილერისტები, ყველა ქვეითათ, უარაღოთ.

ჩხენკელმა სამხედრო პირების თანხლებით ზლაზვნით ჩაუარა რაზმს; წარმოსთქვა სიტყვა—ოფიცრებისა და თავის ნებით ჩარიცხულ ჯარის კაცების თვალში თითქოს გაიელვა ნაპერწკალმა, თვით ჯარის კაცებს კი არაფერი ეკარება. საპასუხო ძახილი არ ისმის.

რუხ შინელებში ჩაცმულთა შორის ვხვდები თფილისელ ვექილსმოხალისეს. ბევრია ლაპარაკი, თუ როგორ დაეცა ბათომი, ჩოლოქის ბრძოლის შესახებ, სადაც, როგორც აქ გვარწმუნებდენ, ოსმალოები საგრძნობათ დაზარალდენ (ბათომის დაკავების შემდეგ).*) ოზურგეთის ოპერაციის უდროოდ შეჩერების შესახებ „სწორეთ იმ დროს, როცა იგი უკანვე გადმოდიოდა ჩვენს ხელში“ და სხვა.

---

*) სწორეთ აქ ჩოლოქზე თავ. ი. მ. ანდრონიკაშვილის წინამძღოლობით 1854 წ. რუსის ჯარმა სასტიკათ დაამარცხა ოსმალოები. ამ საქმეში „დიდებით შეიმოსენ“, როგორც წინათ ამბობდენ, ქართული მილიცია და კერძოთ თავად-აზნაურობის ცხენოსანი რაზმი. 1878 წ. ბერლინის კონგრესზე რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებზე მსჯელობის დროს, ზოგი ვინმე ერთმანეთში ურევდა ამ ჩოლოქს უფრო ცნობილს და უფრო სამხრეთით მდებარე ჭოროხს.

გურიის გლეხობამ ამ გაზაფხულზე ომის განახლების გამო, რომელიც სეიმმა ნაჩქარევათ და მოუსაზრებლათ გადაწყვიტა, ბევრი იზარალა. ოსმალოებისთვის საქმით წინააღმდეგობა არავის გაუწევია, ფორმალურად კი ისინი თითქოს ბრძოლით შევიდენ ბათომში.

მთელი ჩვენი მდგომარეობა მომავალ მოლაპარაკებაში გააფუჭა ძალის ამ ნაადრევმა და, რაც უმთავრესია, ზედმეტმა ცდამ.

ყარსი და სომხების მიერ მისი დაცვა სავსებით ამთავრებდა საერთო სურათს.

....თეთრი ბაირაღი ფრიალებს ჩვენს მატარებელზე. აი ოსმალოების სანგრები, მას შემდეგ დაბანაკებულია თვით ჯარი. დალმეჭილი, უხეში ჯარის კაცები, დრაგომიროვის „რუხი ხვადაგი" (серая скотинка)... და შეიძლება „სწმინდა" ხვადაგიც ჩავდივართ ბათომში, ვთავსდებით ზღვის პირათ საზღვაო საბაჟოს გვერდით Hotel Oriental-ში.

## 15.

თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც სეიმში ნათქვამი იყო გრძნობით სავსე სიტყვები თემაზე: „ან ბათომი ან სიკვდილი! უბათომოთ რაღათ ღირს სიცოცხლე!" და აი დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის დელეგატები მოხვდენ ბათომში, მაგრამ არა მასპინძლებათ თავის სახლში, არამედ ოსმალოების სტუმრებათ (6 მაისი 1918 წ.).

სეიმში დეპუტატები არ აჭარბებდენ, როდესაც აფასებდენ ბათომის მნიშვნელობას ამიერ-კავკასიისათვის და განსაკუთრებით კი საქართველოსათვის; მართლაც მისი, მნიშვნელობა აღურაცხველია და საერთოდ ცნობილი. მაგრამ წინათ ნაანგარიშევი იყო, რომ ბათომსაც და ყარსაც დაიკავდა დიდი შეიარაღებული ძალა, რადგან ეს პუნქტები წარმოადგენდენ ნაწილს რუსეთის იმპერიის სამხედრო საზღვრების ვეებერთელა მოწყობილობაში. სათანადო პირობებში მათ შეეძლოთ გამხდარიყვნენ (და ოდესმე შეიძლება გახდენ) საკუთრივ კავკასიის ან ამიერ-კავკასიის სამხედრო გეგმაზე შედგენილ მოწყობის ნაწილებათ, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა უცბათ მომხდარიყო, 1917 და 1918 წლების მიჯნაზე, როცა ყველაფერი ინგრეოდა.

ერთი სიტყვით, შეუძლებელი შეიქმნა ოსმალოების შემოსევისაგან საზღვრების დაცვა, მაგრამ ადვილი დასანახავი იყო, რომ მტრის მიერ, მაგალითად, ბათომის დაკავება სრულიად არ ჩაითვლებოდა ს ა ბ ო ლ ო ო დ: ბათომის ბედი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რო-

გორ დამთავრდებოდა ომი. მაშასადამე საჭირო იყო მხოლოდ გამოგვერკვია ერთგვარი modus vivendi უმთავრესათ ბათომის ამიერ-კავკასიასთან ეკონომიური კავშირის უზრუნველსაყოფათ. მაგრამ საქართველოს საზოგადოებრივი აზრი ამ კითხვას მეტის მეტ ძარღვვბ აშლილი უთვალთვალებდა; განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები, რომელთაც ბათომში ჰყავდათ ერთი უმთავრესი თავისი მრეველთაგანი, ვერ ურიგდებოდენ იმას, რასაც ისინი ნაადრევათ და გადაჭარბებით სთვლიდენ საქართველოს სასიკვდილო ჭრილობათ. ეშინოდათ აგრეთვე, რომ ამ დანაკლისით დიდათ დაზარალდებოდა რევოლიუციისა და დემოკრატიის საერთო საქმე.

გასაგებია, რომ სომხებს თაუზარი ეცემოდათ: ოსმალოების ყარსში დაბრუნება საფრთხეს უმზადებდა, სომხეთის მომავალსაც კი: რუსეთში მდებარე სომხეთის პროვინციები, რომელნიც თითქოს ასე კარგათ დაცულად სჩანდენ, ეხლა ვარდებოდენ უშვალო და სასიკვდილო განსაცდელში. უეჭველია, სომხების წარმომადგენელნი ჩამოვიდენ ბათომში კიდევ უფრო მწარე გრძნობით, ვიდრე ქართველები.

სხვა გვარ მდგომარეობაში იყვნენ აზერბაიჯანლები. ოსმალოებში ისინი ხედავდენ თავიანთ მონათესავეებს, რომელთაც შეეძლოთ მათთვის დიდი დახმარება გაეწიათ; მათ არაფერი აიძულებდა ტრაგიკულათ შეეხედათ მომავალ მოლაპარაკებისათვის ბათომში.

ასეთ სხვა და სხვა მიზეზების, შეფასების, საფრთხის მოლოდინისა და მიზნებისაგან საჭირო იყო ამიერ-კავკასიის საერთო პოლიტიკის გეზის დასახვა.

წარმოვიდგინოთ აგრეთვე ოსმალოების გრძნობა ბათომის დაკავების დროს. ისინი თითქოს ბრუნდებოდენ ორმოცი წლის შემდეგ და თუმცა ის, რაც მათ აქ ნახეს 1918 წ., ცოტათ ჰგავდა იმ ბათომს, რომელიც დასტოვეს 1878 წ., ისინი მაინც უყურებდენ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დათმობილ პროვინციებს (სანჯაყებს), როგორც კუთვნილებისამებრ უკან დაბრუნებულ ოსმალეთის თავისებურ ელზას-ლოტარინგიას*). ამ განსაკუთრებულ გრძნობას უფრო ზოგადი რამ ემატებოდა: ოსმალოები დიდი ხნიდან მიეჩვიენ პროვინციებისა და ქალაქების დაკარგვას. მას შემდეგ რაც სულთანების ძა-

*) ამ ტერიტორიებში, რომელნიც სისხლით არიან შეკავშირებული საქართველოს და სომხეთის ისტორიასთან, ძველი ქრისტიანული კულტურა საუკუნეების განმავლობაში ნელ-ნელა გამოძეებულ იქმნა ისლამის მიერ.

ლამ დაიწყო კლება, ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ოსმალოების ჯარმა დაიკავა საკმაოდ ცნობილი და მნიშვნელოვანი ქალაქი, და ასეთი წარმატება სტამბოლის პატივ-მოყვარეობას ძლიერ აღიზიანებდა. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ეს მაინც ნუგეში იყო ბაღდათისა (1917 წ. მარტში) და იერუსალიმის (1917 წ. დეკ.) დაკარგვის შემდეგ.

აი რატომ უბრწყინავდათ სახე ოსმალოების ოფიცრებსა და მოსამსახურეებს ბათომში 1918 წ. გაზაფხულზე, და აი რატომ, ასე ნათლად მოსჩანდენ ყველა საზოგადოებრივ და სახაზინო შენობებზე ოსმალეთის წითელი ლეინის ბაირაღები.

ამ კონფერენციაზე ოსმალეთის მთავარ დელეგატათ იყო იუსტიციის და (დროებით) საგარეო საქმეთა მინისტრი ხალილ-ბეი, „ერთობისა და პროგრესის“ ჯგუფის თვალსაჩინო მოღვაწე, ადამიანი აპოპლექტიური ტანისა და ოსმალოებისათვის ჩვეულებრივი ყალბ-ფრანგული მიმოხრით. ბათომშივე იმყოფებოდა ამ დროს კავკასიის ფრონტის ოსმალოთა მთავარ სარდალი, ფართო მხარ-ბეკიანი, დასისხლიანებული თვალებით, უკან უომრათ დახეულ ჯარებზე გამარჯვების მომპოვებელი გმირი ვეჰიბ-ფაშა. ჩვენ დროს ჩამოვიდა კონსტანტინოპოლიდან საზღვაო მინისტრი ჯემალ-ფაშაც, წარმოსადგენი და თვალსაჩინო პიროვნება, ცნობილი ტრიუმვირატის--სამთა კავშირის--წევრი (თალაათ-ენვერი-ჯემალი).*) ჩვენს მოსვლამდის ბათომში ყოფილიყო ენვერ-ფაშაც, რომელსაც შეხვდენ დიდის ზეიმით. ენვერი, როგორც ამბობენ, ხელცარიელი არ დაბრუნებულა უკან.

უმთავრეს ყურადღებას იწვევდა გერმანიის დელეგაცია. გერმანიისადმი მტრული გრძნობა მცხოვრებლებს არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონებოდა. გერმანელებს უყურებდენ, როგორც ევროპის კულტურის, ევროპის ცოდნის და უნარის კარგ წარმომადგენლებს; მათშივე ხედავდენ უებრო მეომრებს—ბალტიის მხარის, პოლონეთის, უკრაინის და რუმინეთის დაპყრობელებს. ბათომში გერმანიას ჰქონდა ოსმალეთისთვის ამოდებულ ლაგამის მნიშვნელობა, და ეს იყო ამ დროს ყველაზე მეტი; ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო ამიერ-კავკასიის ქრისტიან მოსახლეობის ალღო. საღმრთო სიძულვილს გერმანელებისადმი, სლავიანო-ფილური ან სხვა-გვარი მიდრეკილებით—ეს სიძულვილი მგონი, რუსის, ხალხშიც არ ყოფილა

---

*) ჯემალ-ფაშა მოკლულ იქმნა თფილისში, 1922 წ., ავღანისტანიდან დაბრუნების დროს.

ღრმად ჩასული—რა თქმა უნდა, ვერ იგრძნობდენ ვერც ქართველები, ვერც სომხები და ვერც მუსლიმანები.

გერმანიის იმპერიის სრულ უფლებიან წარმომადგენლათ იყო ბავარიის სამსახურში მყოფი გენერალ-მაიორი ფონ-ლოსოვი*). იგი ამ დროს იყო გერმანიის უმაღლეს სარდლობის წარმომადგენელი ოსმალეთის მთავრობის წინაშე. მისმა სადა ქცევამ და რაინდობამ ძალიან ჩქარა გამოიწვია ყველასი ღრმა პატივისცემა მისდამი. დელეგაციის შემადგენლობიდან აქ დავასახელებ ომამდის თფილისში მყოფ გერმანიის გენერალურ კონსულს გრაფ შულენბურგს**) და დიდათ განათლებულს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა დიპლომატს, ახლო აღმოსავლეთის სპეციალურათ მცოდნეს ო. ფონ-ვეზენდონკს***). ფ. ვეზენდონკი რიჰარდ ვაგნერის მეგობარი-მფარველი ცნობილი მატილდა ვეზენდონკის შვილის-შვილი და გამოჩენილი ჰელმღოლცის ნათლულია, მაგრამ-ეს აშორებს ჩვენს ყურადღებას ბათომს.

ამიერ-კავკასიის ე. ი., მეტის სისწორით რომ ვსთქვათ, ამიერ-კავკასიის სამს ეროვნებას ჰყავდა ძლიერ სხვა და სხვა გვარი წარმომადგენლები. დელეგაციის თავმჯდომარე, ა. ი. ჩხენკელი, ამიერ-კავკასიის მთავრობის მეთაური, რომელმაც ქამსა მას სახელმწიფოს მე-4 სათათბიროს წევრობისასა გამოიჩინა თავი საგარეო პოლიტიკის კითხვების დიდ მოტრფიალეთ, ჩვეულებრივ გამოდიოდა ამ კითხვებში სოციალ-დემოკრატების სახელით. თავის პარტიაში ის სხვებზე მეტს ჰფიქრობდა ეროვნულ კითხვაზე და საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე; იგი იცავდა ავტონომიას, მაშინ, როცა ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის ასეთი ქცევა ურიგოთ ითვლებოდა. მის ბუნებრივ პატრიოტიზმს, უეჭველია, ფესვი ჰქონდა ქართველ სამღვდელოების საუკეთესო ნაწილის ღრმა ეროვნულ ტრადიციაში; ჩხენკელი გამოვიდა საღმდელოების წრიდან. ამასთანავე მისი თავისგამოდგომა და ლოიალობა მთელი ამიერ-კავკასიის ინტერესების გამო არავისში იწვევდა ეჭვს.

---

*) ბეჭედით სიტყვაში გენ. ფონ-ლოსოვის სახელი ხშირად იხსენიებოდა ბავარიისა და გერმანიის შინაურ არეულებასთან დაკავშირებით 1923 წ. ბოლოს (გიტლერისა და ლიუდენდორფის საქმე და სხვა); იგი ბავარიის საიმპერიო შეიარაღებულ ძალას განაგებდა.

**) ებლა (1923 წ.) გერმანიის ელჩათ არის თეირანში.

***) 1923 წ. თბილისში გერმანის გენერალური კონსულია.

მეორე ქართველი დელეგატი ნ. ი. ნიკოლაძე მეტად ადვილათ ატარებდა თავის 75 წლის სიმძიმეს. რამდენმა წყალმა ჩაიარა მას მერმე, რაც იგი ჰაბუკურათ თათბირობდა ჰერცენთან, თუ როგორ გაერტყმია სილა მაშინდელ რუსეთის ჟანდარმთა შეფისათვის! ანდა რამდენმა დრომ განელო მას შემდეგ, რაც მან, როგორც თფილისის გაზეთ „ობზორის“ რედაქტორმა, ისეთი განგაში ასტეხა მთელს რუსეთში თავისი ლიტერატურული პროცესით, რომ თვით ანატოლ ლერუა-ბოლიე დაწვრილებით მოიხსენიებს ამ ამბავს თავის წიგნში „Empire de Tsars!“ (მაგრამ ეს ხომ წარღვნის წინა დროის ამბეა!). ულევი მეხსიერება, ცოდნა ოსმალეთ-კავკასიის დამოკიდებულებისა, მუსაიფის მჩქეფარე ნიჭი, თვალებში ცეცხლის ნაპერწკლები თეთრ წვერთან და წარმოსადეგ შეხედულებასთან ერთად, ყველაფერი ეს ძლიერ სასარგებლოთ ჰქმნიდა მის ყოფნას ბათომში.

სომხეთის მთავარ დელეგატათ იყო ხატისიანი, განათლებით ექიმი, ტომით თფილისელი სომეხი, რამოდენიმე წელს ქალაქის თავათ ნამყოფი; persona gratissima მეფის მოადგილის სასახლეში ვორონცოვების დროს; ტიპიური და მომქმედი წარმომადგენელი იმ სომხური მიმართულებისა, რომელიც იცავდა და აფართოებდა ყოველგან კავკასიაში სომხების მიერ დაპერილ პოზიციებს და იმედოვნებდა, რუსეთის საშუალებით მოეწყო აგრეთვე ოსმალეთის სომხეთიც. ხატისიანი გამოცდილი, ყოველგვარ გაჭირვების ქარცეცხლში გავლილი, სიცოცხლით სავსე, წითელ ლოყებიანი მოღვაწეა.*) დანარჩენი სამი აღნიშნულ დრომდე ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ საქმეებში შედარებით ნაკლებ ცნობილი იყვნენ, თუმცა ყველა ისინი მოწოდებული იყვენ თავის ხალხების ბედის წერაში თვალსაჩინო როლი შეესრულებინათ. რ. კაჩაზნუნი მალე შეიქმნა სომხეთის მთავრობის მეთაურათ; ეხლა კი ამიერ-კავკასიის მთავრობაში ის ითვლებოდა „სახელმწიფოებრივ შეწყალების მინისტრათ“. როგორც ხატისიანი და კაჩაზნუნი, მ. გაჯინსკიც (ორი უკანასკნელი ინჟენერია) შედიოდა ჩხენკელის მიერ შედგენილ მთავრობაში; მას მინდობილი ჰქონდა ვაჭრობისა და მრეწველობის პორტფელი**).

---

*) შემდეგში ხატისიანი იყო სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურათ.

**) მაგრამ პორტფელების ამ დარიგებას სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონია, ე. ი. პორტფელების დარიგების იქით საქმე არ წასულა, რადგან ამიერ-კავკასიის მთავრობა მალე გაჰქრა.

აზერბაიჯანის მეორე დელეგატმა რასულ-ზადემ ძალიან მალე გამოიჩინა თავი სეიმში; მან სახელი გაითქვა სპარსეთშიაც, როცა იგი მუშაობდა სპარსეთის განახლების მოღვაწეებთან ერთად თეირანის ბექვდით სიტყვაში. მშვენივრათ იცოდა სპარსულიც და ოსმალურიც და საკუთარის მაგალითით გვაჩვენებდა, რამდენათ თვალსაჩინო და ფართო შეიძლება იქნეს პოლიტიკური ურთიერთობრივი განწყობილება აღმოსავლეთ ამიერ.კავკასიისა, როცა უკანასკნელი პოლიტიკურათ განვითარდება.

## თავი მეექვსე.

## ბათუმის კონფერენცია.

### 16.

ეხლა გადავალ თვით კონფერენციაზე, რომლის გარეგანი მატიანე შეიძლებოდა ყოფილიყო მოკლე: ბათომის კლუბში 11 მაისს შესდგა ერთად ერთი სხდომა.

ხალილ-ბეიმ წარმოსთქვა (ოსმალურათ) მისასალმებელი სიტყვა, რომელშიაც მოიხსენია „მშვენიერი ვარსკვლავი თავისუფლებისა" ამოსული კავკასიაზე, სურვილი ოსმალეთისა დაამყაროს კეთილი, მეზობლური განწყობილება და სხვა და სხვა. ოხრან-ბეიმ წაიკითხა სიტყვის თარგმანი ფრანგულათ (იგი იყო ოსმალოების მდივნათ ბრესტ-ლიტოვსკშიაც).

შენდეგ იმსჯელეს იმაზე, დაუშვან თუ არა კონფერენციაზე მონაწილეთ ჩრდილო-კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ჰაიდარ-ბეი ბამატი.

მთიელების მოღვაწეებს ოსმალეთთან თვალსაჩინო ურთი-ერთობა ჰქონდათ და ამიტომ, თავიანთ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ისინი ეძიებდენ დიპლომატიურ და ყოველგვარ დახმარებას კონსტანტინოპოლში. იქ კი იყო იმათი მთავრობის თავმჯდომარე აბდულ-მეჯიდ-ბეი ჩერმოევი, ტომით ჩერქეზი, წინათ სასახლის რაზმის საპატიო მეყარაულე (კონვოეცი), შემდეგ „კავკასიის ველურ დივიზიის" ოფიცერი*) და ამავე დროს საქმის

---

*) აქედან სჩანს როგორ მწარედ სცდებოდა ვ. როზანოვი, როდესაც სწერდა, რომ ყველა ომების, აჯანყებების, შამილისა და სხვ. შემდეგ კავკასიის მთიულებმა დაამთავრეს თავისი ისტორია მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარ დამცველ რაზმში სამსახურით.

ქაცი (ძალიან დაინტერესებული გროზნის ნავთით). დეპეშაში, რომ-ლითაც ვეჰიბ-ფაშა იტყობინებოდა ოსმალეთის მიერ დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის ცნობას (15 აპრ. ახ. სტ.) თანდართული იყო, რომ ოსმალოებთან ერთად კონსტანტინოპოლიდან ბათომის კონფერენ-ციაზე მოვლენ მთიელი დელეგატებიც.

მთიელთა რესპუბლიკის საერთო კავკასიის ფედერაციაში შესვლას ყველა ძალიან თანაუგრძნობდა და ჰ. ბამატის მონაწილეო-ბის მიღებამ კონფერენციაში, რასაკვირველია, არავითარი წინააღმ-დეგობა არ გამოიწვია.*)

საქმის დაწყებისთანავე აღმოჩნდა ძირითადი განხეთქილება ამიერ-კავკასიის და ოსმალეთის დელეგატთა შორის მოლაპარაკების საფუძვლათ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების შესახებ. ჩხენკელმა გაიმეორა უკვე ტრაპეზუნდში (უკანასკნელ მომენტში) შე-ტანილი განცხადება, რომ ამიერ-კავკასია ღებულობს ამ ხელშეკრულე-ბას სავსებით, ისურვა, რომ ტექსტი მისი ყოფილიყო მოლაპარაკების ერთად ერთი საფუძველი, რომ ამიერ-კავკასია იძულებული არ გამხდა-რიყო გარდა ბ.-ლ. ხელშეკრულებით აღნიშნულ ტერიტორიისა, კი-დევ დაეთმო ოსმალოებისათვის ახალი ტერიტორია. ხალილ-ბეიმ პირი-ქით, მიიღო მხედველობაში ეს განცხადება, მაგრამ აღნიშნა, რომ დიპლომატიური მოლაპარაკება შეწყვეტილი იყო, რომ განახლებული იყო საომარი მოქმედება ოსმალეთსა და ამიერ-კავკასიას შორის ე. ი. აღნიშნა ახალი ფაქტები, რომლის გამო ოსმალეთი არ არის თანახ-მა ხელშეკრულება ჩასთვალოს ერთად-ერთ საფუძვლათ მომავალ მო-ლაპარაკებისათვის და იტოვებს უფლებას წამოაყენოს ა ხ ა ლ ი მოთ-ხოვნილებანი. ამიტომ ხალილ-ბეიმ წინადადება შემოიტანა, მოლა-პარაკებების საფუძვლათ გამხდარიყო ოსმალოების მიერ უკვე დამზა-დებული საზავო ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც იქვე იყო წარ-მოდგენილი.

გერმანიის წარმომადგენელი დაკმაყოფილდა იმით, რომ მხედ-ველობაში მიიღო ოსმალეთის და ამიერ-კავკასიას შორის მომხდარი უთანხმოება*).

---

*) რწმუნებების შემამოწმებელ კომისიაში შედიოდენ: გრაფი შულენბურგი თურქების იურისტკონსულტი ნუსტეტ-ბეი, თითონ ბამატი და მე (ამიერ-კავკა-სიის დელეგაციიდან).

**) ამავე სხდომაზე ამიერ-კავკასიის დელეგაციამ, სხვათა შორის, პირვე-ლათ მიიღო ოფიციალური ტექსტი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებისა. აქამ-

ბოლოს ჩვენმა დელეგაციამ განაცხადა თანხმობა... გაეცნოს ოსმალეთის გეგმას, და ამით კონფერენცია დაიხურა.

## 17.

ოსმალეთის გეგმა „ზავი და მეგობრობის ხელშეკრულებისა ოსმალეთის საიმპ. მთავრობასა და ამ.-კავ. კონფედერატიული რესპუბლიკას შორის“ შესდგებოდა 12 მუხლისაგან; ამასთან იყო სამი დამატება (დროებითი წესები ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ; მოსაზღვრე ადგილებში ურთი-ერთობის საწარმოებლად განსაკუთრებულ შეღავათების შესახებ; ხელშეკრულების განმარტების დროს უთანხმოების გამოსარკვევად წესების შესახებ).

და ბოლოს, ძირითადი ხელშეკრულების დამატებითი ხელშეკრულება ეხებოდა კითხვებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ოსმალეთის წმინდა საომარ ინტერესებთან ამ მომენტში.

უეჭველია, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთის ახალმა ტერიტორიალურმა მოთხოვნილებამ.

პროექტში აღნიშნული საზღვრები საქართველოსთვის ნიშნავდა ჩამოშორებას იმ ძველი (შემდეგ გამაჰმადიანებულ) ოლქებისას, რომლებიც რუსეთმა შეიძინა ანდრიანოპოლის ზავით 1828 წ. და რომლებიც მჭიდროთ იყვნენ დაკავშირებული ყოფ. ტფილისის გუბერნიასთან: აქ ლაპარაკია ახალციხის და ახალქალაქის მაზრებზე (უკანასკნელზე პრეტენზიას აცხადებდა სომხეთი, რადგან, ჯერ კიდევ მე-XIX საუკუნეში იქ იყვნენ დასახლებული სომხეთიდან გადმოხვეწილები).

სომხეთისათვის ახალი საზღვარი უდრიდა მის სრულ მოსპობას: ალექსანდროპოლი და უმეტესი ნაწილი ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრებისა—ე. ი. უმთავრესი, ასე ვსთქვათ, სომხური ნაწილი სომხეთისა, გადადიოდა ოსმალეთში, რკინის გზის ლიანდაგით ყარსი—ალექსანდროპოლი და ალექსანდრეპოლი—სპარსეთის საზღვარი.

---

დის, მე, ყოველ შემთხვევაში, მქონდა ტექსტი გამოცემული როსტოვ-დონზე „მემარცხენე სოც. რევ. ინტერნაციონალისტების პარტიის ზატერმენიცკის ორგანიზაციის მიერ“ და დაბეჭდილი მუშათა და მოსაზსახურეთა კოლექტივის ტიპოგრაფიაში „განახლება.“

ამ პირობებში ოსმალეთი უზრუნველყოფდა არა თუ პოლიტიკურ კონტროლს მთელ კავკასიაზე, არამედ მჭიდრო ტერიტორიალურ დაახლოებას აზერბაიჯანთან და სპარსეთთან (ე. ი. სპარსეთის აზერბაიჯანთან), სხვანაირად რომ ვსთქვათ, იმ ქვეყნებთან, რომლის მცხოვრებნი არიან თურქებისავე მოდგმის და ლაპარაკობენ თურქულათ.

ოსმალეთის პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი შესდგებოდა მოთხოვნილებებისაგან, რომლებსაც მიზნათ ჰქონდა შეემსუბუქებია საომარი ოპერაციები ინგლისელების წინააღმდეგ ჩრდილოეთ სპარსეთში. უმთავრესათ ამ მიზნისათვის მხედველობაში იყო მიღებული ამიერ-კავკასიის რკინის გზების და აგრეთვე ბაქოს ნავთსადგურის გამოყენება კასპიის ზღვაზე შესაძლებელ ოპერაციებისათვის.

ყოველ შემთხვევაში, კითხვები იყო დასმული სრულიად ნათლად. ყველასათვის გასაგები იყო, რომ ოსმალეთის მოთხოვნილებები არსებითად არ იქნებოდა შემსუბუქებული; რომ მათთვის წინააღმდეგობის გაწევა იარაღით ჩვენ არ შეგვეძლო. და რომ ამ პირობების მიღება ძირს უთხრიდა ამიერ-კავკასიას, როგორც კავშირს სამი ერისას, რადგან სომხეთისგან ამ ახალ „გამიჯვნის“ შემდეგ ცოტა რამ ღა დარჩებოდა.

## 18

1918 წ. გაზაფხულის პირობებში, მას შემდეგ, რაც ოსმალოებმა დაიუფლეს ბათომი და ყარსი, ბევრი ჩვენთაგანისთვის არ იყო მოულოდნელი, რომ ისინი მოითხოვდენ ახალციხეს და ალექსანდროპოლს.

იბადებოდა საკითხი, როგორ მოვქცეულიყავით?

თუ შეიძლებოდა ოსმალოების წინააღმდეგ რაიმე დახმარების მიღება შეიძლებოდა მხოლოდ დიპლომატიურის და ისიც გერმანელებისაგან. ინგლისელებისა და ფრანგებისაგან, რომელთა მხარეზე 1914 წლიდან ჩვენმა ხალხმა მთელ რუსეთთან ერთად გადაიტანა ომის ჭირვარამი, დახმარების მიღებაზე ფიქრი შეუძლებელი იყო. ჩრდილოეთ-სპარსეთში მყოფ ინგლისელებზე გვაშორებდა დიდი მანძილიც, ბოლშევიკების ბაქოში ყოფნა და საერთოთ მათთან ურთი-ერთობის დაჭერის შეუძლებლობა.

პირადათ ჩემთვის ტერიტორიალურ კითხვებს ძლიერ დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან საზღვრების დადება არ შეიძლე-

ბოდა ყოფილიყო სამუდამო, სანამ ომი არ გათავდებოდა. ბათომში მივდიოდი სრული დარწმუნებული, რომ ამიერ-კავკასია გერმანიას აინტერესებს არა მარტო მისი სხვა და სხვა გვარი დოვლათის ომის მიზნისათვის გამოსაყენებლათ, არამედ კიდეე უფრო მეტათ ახლო აღმოსავლეთში შესვლის მიზნით ე. ი. გერმანიის საერთო გეგმის განსახორციელებლათ. ვფიქრობდი, რომ არც საერთო ომის წარმოების ფარგლებში, არც საკუთარ მოთხოვნილებებში რომლის დასაბუთება ოდნავ მაინც შეიძლება და რომელთა შესრულება ცოტათი მაინც დაასაჩუქრებს ოსმალეთს გაწეულ შრომისათვის, გერმანია ხელს არ შეუშლის თავის მოკავშირე ოსმალეთს, მაგრამ ოსმალეთი, უეჭველია, გამოვა ომის საჭიროების საზღვრებიდან ანდა მოითხოვს მეტს ვიდრე „ერგება“.

აი აქ, რამდენათაც ოსმალეთი თავს ნებას მისცემდა თავისებურათ და თავისუფლათ ემოქმედნა, თითქოს შესაძლებელი იყო მისი უფროსი, უფრო ძლიერი და უფრო გონიერი მოკავშირის-გერმანიის მიერ კონტროლის განხორციელების მოპოვება, ანდა მისივე ვეტო ოსმალეთის მოქმედებაზე. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ სათანადო მიდგომა, გარემოების მიხედვით საქმის მომზადება.

ოსმალოებს დაკავებული აქვს ბათომი, ოზურგეთი და ახალციხე: თფილისის დაკავების აზრი ბაქოსთან შესაერთებლათ და სხვა წარმატებისათვის მეტათ წარმტაცი იყო! ამას უ ნ დ ა ხელი შეუშალოთ და ამის ჩაშლა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა; შეიძლება და სავალდებულოა ოსმალეთის შეჭრა საქართველოს შუა გულში შეეაჩეროთ.

ვინ იცის იქნებ აზერბაიჯანმა კიდეეაც მოისურვოს ბაქოში შესულ ბოლშევიკებთან საბრძოლველათ და ანარქიის საწინააღმდეგოთ ოსმალოების დახმარება! რა უნდა ვქნათ! საქართველოს კი ოსმალოები არ უნდა. სომხეთი? არც ცალკე, არც საქართველოსთან ერთად მას ოსმალეთთან ომი არ შეუძლია—ძველი ფრონტი დაიშალა, ახლის შექმნა, როცა მტერი ჩვენს ქვეყანაშია შემოსული და როცა მესამე მონაწილე აზერბაიჯანი გულ-ახდილათ, გადაჭრით აცხადებს, რომ ოსმალეთს ა რ ე ო მ ე ბ ა, შეუძლებელია.

გერმანია დაეხმარება სომხეთს როგორმე გადარჩეს ამ ქარიშხალს, სომხების დელეგატებს საშუალება აქვთ უშვალოთ მოელაპარაკონ ამაზე გერმანიის წარმომადგენელს. ამ შესაძლებლობას ისინი არც ჰკარგავენ. კეთილათ დამთავრდეს თქვენი ცდა! მაგრამ ამ ხანათ სომხეთი უნდა გაინაბოს და უარი სთქვას შეიარაღებულ წინა-

აღმდეგობაზე, რომელიც ისედაც უმიზნოა. შემდეგ ყოველივე გამოირკვევა.

ამ გვარათ იწყება ამიერ-კავკასიის პოზიციის უილაჯობის გამორკვევა და ჩნდება—ქართველებისათვის მაინც—საქართველოს პოზიციის მომზადების საჭიროება და შესაძლებლობა. და ეს ხდებოდა არა მხოლოთ იმ მიზნით, რომ თავი დაგვეხწია სასტიკ პირობებიდან, რომელშიაც ჩავარდა ამიერ-კავკასია და საქართველო 1918 წ. ზაფხულში რუსეთის იმპერიის სრული დანგრევის გამო; არა, ამ დღის სასწრაფო და მწვავე ამოცანის უკან იდგა, რა თქმა უნდა, უფრო ღრმა ისტორიული მოვალეობა ჩვენი თაობისა, დახმარებოდა, რამდენათაც კი შესაძლებელი იყო კავკასიელ ხალხებს, რათა მათ აღედგინათ ან ახლად შეექმნად მომავლისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საფუძვლები, როდის და ვის უნდა ჩაეყარა ეს საფუძველი თუ არა ეხლა და ჩვენვე.

უნდა გვერსარგებლნა მდგომარეობით და უნდა მოგვენახა გზები და ფორმები განსახორციელებლათ იმისა, რაც იყო ჰაერში როგორც მომწიფებული განსახიერებისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ უსახო სინამდვილე. ორი სიტყვით: ჩვენ უნდა დაგვეცვა უკანასკნელ წუთამდის ამიერ-კავკასია იმ სახით, როგორც ის შემთხვევით დაარსდა; მერმე უნდა გადავსულიყავით ეროვნულ პოზიციაზე და გვემოქმედნა ცალკე. მაგრამ რაც უმთავრესია, დამოუკიდებლობის აზრი მტკიცეთ უნდა გაგვემაგრებია ჩვენი ყოველი ხალხის სახელმწიფოებრივ შეგნებაში; და პირველ შეძლებისთანავე განმტკიცებულ საფუძველზე დაგვემყარებია პოლიტიკური მთლიანი ამიერ-კავკასია ანდა კავკასია!

ამ გეგმის პირველი ნაწილი შეასრულა ამიერ-კავკასიის დელეგაციამ; შემდეგ საქართველოს დელეგაციამ ბათომში, და ქართველმა მოღვაწეებმა თბილისში მოამზადეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით გარდასვლა მომავალ კონსოლიდაციაზე ცალკე საქართველოსი, სომხეთის და აზერბეიჯანის.

ასეთი აზრი ჰქონდა ამ პროცესს. გადაწყვეტილებანი ჩემგან არ იყო დამოკიდებული, მაგრამ შემეძლო მათზე გავლენა მქონოდა, როგორც დელეგაციის და მისი ქართული განყოფილების მრჩეველს ყველა უმთავრეს კითხვებში.

19.

ჩვენ მაშინვე დავიწყეთ დავა ოსმალოებთან მათ მიერ წარმოდგენილ გეგმების გამო: ჩვენს საკმაოთ სავალალო მდგომარეობაში ერთად-ერთი იარაღი დაგვრჩენოდა — მემორანდუმები და ნოტები!

„შეჯიბრების ქალალდებში“ — მათი შედგენა მე მქონდა მონდობილი — ჩვენ დავდექით სასტიკ ფორმალურ ნიადაგზე; ოსმალეთის წინააღმდეგ ჩვენ ვცდილობდით მიგვებრუნებია ბრესტ-ლიტოვსკის სწორეთ ის ხელშეკრულება, რომლითაც ჯერ კიდევ ტრაპეზუნდში ოსმალეთს უნდოდა ქედი მოეხრევინებინა ამიერ-კავკასიისათვის.

აქ, ბათომში, ოსმალეთმა მოგვაწოდა, როგორც ნათქვამი იყო, პირველი, ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება, მეორე განსაკუთრებული კონვენცია სამხედრო კითხვების შესახებ და, ბოლოს, განსაკუთრებული შეთანხმება მხარეთა „კეთილ მეზობლური“ განწყობილებისათვის.

ამ გეგმის შესახებ ჩვენ უპასუხეთ ასე: ძ ი რ ი თ ა დ ი საზავო ხელშეკრულება და მისი დამატებითი კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა სამხედრო საგნების შესახებ უნდა დადებულ იქნეს არა მხოლოთ ოსმალეთთან, არამედ ოთხთა შეთანხმების ყ ვ ე ლ ა სახელმწიფოებთან; დანარჩენი წარმოდგენილი შეთანხმებანი („კეთილმეზობლური“), მართალია, შეიძლება შეკრულ იქნეს მარტო ოსმალეთთან (ამიერ-კავკასიის დელეგაციის მემორანდუმი 13 მაისიდან).

ამის წინააღმდეგ ოსმალოებმა მოგვცეს შემდეგი პასუხი: „თქვენი საქმე არ არის მსჯელობა იქონიოთ, თუ რომელი კითხვაა ოთხ მოკავშირეებისათვის საერთო და რომელი შეეხება მხოლოდ ერთ მათგანსა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას. ამის შესახებ ნება მოგვეცით ჩვენ თითონ მოკავშირეებმა ვიმსჯელოთ“,

პასუხის ჩვენი პასუხი: „მაშასადამე თქვენ გვეთანხმებით, რომ არის თემები, რომელთა შესახებ მოლაპარაკება უნდა სწარმოებდეს ყველა ოთხ სახელმწიფოსთან, არის თემები, რომელიც გვეხება მხოლოთ ჩვენ და თქვენ. ძლიერ კარგი. მივიღებთ მხედველობაში, მაგრამ თქვენ ფიქრობთ, რომ ამის განსაზღვრისათვის თვით მოკავშირეები მიიღებენ ზომას, ჩვენ კი, ამიერ-კავკასიამ, ამ შემთხვევაში უნდა დავდუმდეთ. მაგრამ სრულიად არ შევდივართ იმის გარჩევაში, თუ რა უნდა იქნეს შეტანილი საერთო ხელშეკრულებაში, და რა კერძო სპეციალურში! ჩვენ მხოლოთ ვამტკიცებთ, რომ ს ა ე რ თ ო ხელშეკრულება ჩვენ მიერ დადებული იქნება არა მარტო ოსმალეთ-

თან, არამედ ოთხივე სახელმწიფოსთან. ჩვენ, როგორც ხელშეკრულების ერთ მხარეს ნება უნდა გექონდეს, მგონი, გავითვალისწინოთ თუ ვინ გამოდის მეორე მხარეთ? (ამიერ-კავკასიის დელეგაციის ნოტა 17 მაისი).

ჩვენ აღვნიშნავდით იმასაც, რომ ოსმალოებს არ აქვთ უფლება, მოითხოვონ იმაზე მეტი, რაც დათმობილი აქვთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით. აქ ჩვენი პოზიცია სუსტობდა; ჩვენ მაინც უნდა დავყრდნობოდით ამ მოსაზრებას, რადგან ტრაპეზონის კონფერენციის ბოლო დროიდან, ეს იყო ა. ჩხენკელის უმთავრესი საბუთი. ამ მოსაზრებას ასუსტებდა (ე. ი. იმ მოსაზრებას, რომ „ახალი ისეთი არაფერი მომხდარა, რასაც შეეძლო ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა შეეცვალა—მაშასადამე არ შეიძლება ახალ მოთხოვნილების წამოყენება") ისეთი ფაქტები, როგორც არის ბათომისა და ყარსის ოსმალოთაგან დაცლის უარზე სეიმის მიერ შეტანილი საომარ პატრიოტული ხმაურობა, მთელი რიგი სამხედრო გადაწყვეტილებებისა, ტრაპეზონის დელეგაციის გაწვევა და სხვა...

ასეთი ფაქტების გამო ოსმალოები ამტკიცებდენ, რომ ა. ჩხენკელის განცხადებას ტრაპეზონში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ცნობის შესახებ დაკარგული აქვს მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარის ე. პ. გეგეჭკორის მოქმედებით და რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მიერ ომის განახლებამ გამოიწვია ცვლილება საერთაშორისო მდგომარეობაში, რაც ოსმალეთს უფლებას აძლევს წამოაყენოს ახალი მოთხოვნილენილები.

ერთი სიტყვით, ამ კითხვებისათვის ურყევი საფუძველი არ გვქონდა. მით უფრო ბეჯიდათ მივმართეთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მახვილი ოსმალეთის წარმოდგენილ გეგმის წინააღმდეგ.

„როგორ?"--ვამბობდით ჩვენ: „თქვენ ოტტომანის იმპერიას თქვენის პროექტით უმატებთ იმ ტერიტორიებს, რომელთა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მოწესრიგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის პირობებით არის შემოზღუდული? იქ ხომ „მეზობელ სახელმწიფოთა" უფლებებიც წინასწარ მიღებულია; მეზობელთა თანხმობით ბათომის, ყარსის და არდაგანის მოსახლეობამ უნდა შეიმუშაოს ამ მიწა-წყალის ახალი წეს-წყობილება. მეზობელი სახელმწიფოები არიან უპირველეს ყოვლისა ოსმალეთი, მაგრამ შემდეგ ამიერ-კავკასიაც; თქვენ კი პირდაპირ მიგაქვთ ეს პროვინციები, სცვლით, არა მარტო თქვენ მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რომელიც ამ საქმეში განსაზღვრულ წილს ჩვენც გვითმობს. ასე

არ შეიძლება“ (იხ. 16 მაისის ამიერ-კავკასიის მემორანდუმი) ერთი სიტყვით, ეხლა უკვე ჩვენ გამოვდიოდით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამცველებათ!

უკანასკნელი მოსაზრება განსაკუთრებულათ არ ესიამოვნა ოსმალოებს; მათი პასუხი (18 მაისს) გარდა იმ ფაქტების აღნიშვნისა, რომელთაც ამიერ-კავკასიის დელეგაციის გაწვევის დროს და მას შემდეგაც შესცვალეს მხარეთა მდგომარეობა, შეიცავდა შემდეგ მუქარას: ამიერ-კავკავკასიის დელეგაციის ცდამ თავისი აზრი გამოსთქვას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ (ე. ი. მე-4) მუხლის შესახებ შეიძლება იქონიოს ეხლანდელ მოლაპარაკების მიმდინარეობისთვის ძლიერ სერიოზული შედეგები.

მაგრამ მაშინ ბათომში ჩვენ შეგვეძლო ჩვენი თავისთვის მიგვეცა ნება გვეკამათნა, უმთავრესათ იმიტომ რომ ჩვენ შეგვეძლო გაგვეხსენებია ოსმალეთისთვის (იხ. 16 მაისის მემორანდუმი): გერმანიის იმპერიის დელეგაციის აქ დასწრება ცხადი დამტკიცებაა, რომ ოსმალეთის მოკავშირე და მასთან ერთად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოები უშვალო მონაწილეობას იღებენ მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე დამთავრების საქმეში.

ამ მუხლში ჩვენ შეჯიბრება არ წაგვიგია. ჩვენ დაუმტკიცეთ და ვაჩვენეთ ოსმალეთს, რომ მას მარტო არ შეუძლია განაგოს ჩვენი ბედ-ილბალი.

## თავი მეშვიდე.

## ამიერ-კავკასიის დაშლა.

### 20.

წმინდა დიპლომატიური მოქმედების კითხვა საკმაოთ ირკვეოდა, შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ გერმანიის დახმარებით წარმოდგენილი მოთხოვნილებები რამოდენამდე შეგვიმსუბუქდებოდა. მაგრამ არ იყო არავითარი იმედი, რომ ამიერ-კავკასია ომს სრულიად გადარჩებოდა, დაიჭერდა ნეიტრალურ ქვეყნის მდგომარეობას და დაიწყებდა მის დამშვიდებასა და დალაგებას. მისი რკინის გზები ეჭიერებოდა მეომარ მხარეებს: დამოუკიდებლათ გამოცხადებული, მაგრამ ყველასაგან დამოკიდებელი ამიერ-კავკასია იყო სუსტი; მის რკინის გზებს კი შეეძლო გაეძლიერებია ის („დიდი"), ვინც პირველი ჩაიგდებდა მას ხელში.

ყველა უპირატესობა იმ შეთანხმების მხარეზე იყო, რომელსაც ხელმძღვანელობდა გერმანია, რადგან ოსმალოებს უკვე ეჭირათ (1918 წლის აპრილიდან) ყარსი და ბათომი და ამგვარათ ხელში ჰქონდათ ოსმალეთისა და სპარსეთის საომარ ასპარეზების რკინის გზების ერთი ბოლო. როგორც ყველამ იცის, იგივე გზა მიდის ბაქოს ნავთისა და თურქესტანის ბამბამდე.

სხვა პირობებში საქმე ადვილათ მოეწყობოდა რკინის გზებით სარგებლობის განსაკუთრებულ შეთანხმების საშუალებით; ამიერ-კავკასიის მთავრობაც იძულებული იყო ამ გზას დადგომოდა. მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ ამიერ-კავკასიის საზღვრებში ოსმალოების შემოჭრა მაშინათვე და საბედისწეროთ იწვეედა საქმის სხვა და სხვა საშიშარ გართულებას. სპარსეთისკენ მიმავალი რკინის გზა გადადიოდა სომხების პროვინციაზე; ოსმალოებს ხიბლავდა შესაძლებლობა გაეგრძელებიათ აქაც ის სომხეთის მომსპობი პოლი-

ტიკა, რომელსაც ისინი აწარმოებდენ ოსმალეთში ომის დროს; ამით სომხებისა და თათრების მოსახლეობის შორის იწყებოდა ერთმანეთის ამომწყვეტი მტრობის მოძრაობა, რომელიც ჩანერგილი იყო რუსეთის ბატონობის დროს. აგრეთვე ამოძრავდა ყველა, ვინც ისტორიული ტრადიციით, რელიგიური და რასობრივი ერთობის გრძნობით, ანდა „რაიმე საჭიროებით“ თავის თავს სთვლიდა ოსმალეთის ბუნებრივ კლიენტათ ან და ეხლა ცდილობდა გამხდარიყო მისი კლიენტი. ყველა ეს ძლიერდებოდა, ღრმავდებოდა ოსმალეთის გამარჯვების ილიუზიით, რომელსაც ხელოვნურათ აღვივებდა მრავალრიცხოვანი საიდუმლო და აშკარა მისი აგენტი. ოსმალეთმა კავკასიაში ხომ გამოგზავნა „ისლამის ლაშქარი“.

აი რატომ იყო, რომ მარტივმა კითხვამ ალექსანდროპოლ-ჯულფის ხაზით ოსმალეთის ჯარების გაშვების შესახებ (ინგლისის ჯარების საწინააღმდეგოთ, როგორც სწერდა ვეჰიბ-ფაშა) გამოიწვია დიდი უკმაყოფილება ამიერ-კავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციებს შორის.

ალექსანდროპოლი*) ეკავა ოსმალეთის ჯარს; სომხის ნაწილებმა იგი ვერ დაიცვეს. სომხები, ისე, როგორც სხვა დელეგატები, აუცილებლად სთვლიდენ დაეთმოთ ოსმალეთის სარდლობისათვის რკინის გზა; მაგრამ სასურველი იყო, რა თქმა უნდა, ასეთი საჭოჭმანო კითხვის შესახებ სათანდო გარანტიები და წინასწარი ურთი-ერთი შეთანხმება; ოსმალოები კი აღნიშნავდენ, რომ საომარ მდგომარეობის გამო დროის დაკარგვა შეუძლებელიაო, და არ ცხრებოდენ.

ბევრი ტანჯვა მიაყენეს ადგილობრივ სომხის მოსახლეობას, და ბევრი უსიამოვნება წილად ხვდა ამიერ-კავკასიის დელეგაციას. ოდნავ შეიძლებოდა საქმისთვის შველა, თუ გერმანელების დახმარებით გამოვარკვევდით ჩვენსა და ოთხთა კავშირის სახელმწიფოების ურთიერთ განწყობილებას. პროტესტები და განცხადებები „სუვერენიტეტის დარღვევის“ გამო, რომელსაც არდგენდა ა. ჩხენკელი ამ საქმის შესახებ მიწერ-მოწერა'ში, საჭირო იყო, მაგრამ თანაც უნაყოფოთ რჩებოდა.

საქმის ასეთი გართულება კონფერენციაზე ჭქმნიდა მეტად ძნელ მდგომარეობას. ამასთანავე მეთაურები სრულიად არ იძლეოდენ სიდინჯისა და თავდაჭერის მაგალითს.

---

*) სომხედრო ბანაკი და ტფილის-ყარს-ჯულფის ხაზის კვანძი.

არ იყო არც პროპორციის გრძნობა, არც მშვიდი გარჩევა შესაძლებელსა და ფანტასტიურს შორის, არც დაფასება პირველ და მეორე ხარისხოვან კითხვებისა, არც შეგნება მუდმივისა და გარდამავალისა.

კონფერენციის მრავალ რიცხოვან და ძარღვებ აშლილ კულისებში უეცრათ ჩნდებოდენ და ჰქრებოდენ ხან ტფილისიდან ჩამოსული მოღვაწე-გასტროლიორები, პარტიების, ერების ან ჯგუფების წარმომადგენლები, ხან კერძო მოხალისე პოლიტიკოსები, რომელთა შორის ზოგჯერ ნამდვილი ავანტიურისტები ერია. უსაქმობის გამო სევდით შეპყრობილი ბათომის ადგილობრივი მოღვაწეები; ჩვენი ტყვედ წაყვანილი ოფიცრები; მთელი კავკასიის სხვა და სხვა მუსლიმანურ პროვინციებიდან ჩამოსული პოლიტიკური შუამდგომლები, ახალ ფესკებში გამოწყობილნი, რაც მათ სახეებს უკვე აძლევდა „ოსმალურ'' გამომეტყველებას; კავკასიელი თურქები— ყველაფერი ეს გუგუნებდა მთლიან ხროვათ და ირეოდა ჩვენს ირგვლივ.

აი რამდენიმე ამონაწერი იმ დროინდელ უბის წიგნაკიდან.

მაისი 1918 წ.

ბათომში მუდამ ისე გრძნობ თავს, თითქოს მცენარეებისთვის გაკეთებულ გამთბარ შუშაბანდში იყო. ბათომის ჰაერის ცნობილი დანალექი ჰქმნის ბამბუკს, ჩაის და სუბტრაპიულ მცენარეებს; მაგრამ მისივე დანალექი ბუნდოვანად ხდის ჰორიზონტს, იშვიათად შეიძლება მთების მოხაზულობის ნათლად გარჩევა, და ბუნება მუდამ მზათ არის წვიმისათვის.

,,ბულვარი'', რა თქმა უნდა, მუდამ მორთულია; და სამხრეთის ზღვა მოვალეა ლამაზი იყოს. მაგრამ თვით ბათომში ცოტა რამ არის საყურადღებო, რადგან ცოტაა დამახასიათებელი. ქუჩები გვარიანია... სუფთა. მგონი, ერთად ერთი კუთხე, რომელიც საერთოდ სხვებს არა ჰგავს, არის, ეგრეთ წოდებული, ბერძნების ქუჩა.

მე ვთქვი ,,სუფთა'', მაგრამ სისუფთავე მალე შეილანძღება. სასტუმროს ფანჯრიდან მე ერთი კვირაა, უკვე უყურებ ქუჩაზე მკვდარ კატას, რა იქნება ერთი ორი წლის მერე? მაგრამ დარჩებიან კი აქ ოსმალოები?

ყველგან მოსჩანს წითელ არშიაზე ნახევარი მთვარე ვარსკვლავით; ფესკები გამრავლდა; მაგრამ ეს არის ნაწილობრივ პოლი-

ტიკური მასკარადი, ნაწილობრივ ფესკები დროებით მოსულებისაა; ნავთსადგურში გემები ცოტა სდგას; სამაგიეროთ იქ ამოძრავდა თავიანთ იალქნიან ნავებთან ანატოლიის ნაპირის ხალხი და მარადიული ლევანტინელი ბრბო.

---

ჩვენი დელეგაციის შედგენის პირობები ისეთი იყო, რომ შეუძლებელი შეიქნა შეუსაბამოსა და საარაკო რამესაგან თავი დაგვეხწია.

რაღაც უნებურათ მაგონდება დომხალი, pot-pourri და სხვა ასეთი საგნები.

რა კარგია, რომ უმრავლესობას არ ესმის და არ გრძნობს თავზე დაცემულ უბედურების სიმძიმეს. უბრალო ყოველ დღიური აზრები და გრძნობები სჭარბობენ. ადამიანები ტრიალობენ, როგორც გამხმარი ფოთლები შემოდგომის ქარის დროს.

დამტვრეული ინსტრუმენტის კლავიშების შეუწყობელი გრიალი.

გაუქონავი ურმის აუტანელი ჭრიალი.

---

ოსმალეთის სამი დიდ-კაცის დარბაზობა: ჯემალ-ფაშა, ხალილ-ბეი და ვეჰიბ-ფაშა. მათ უნდოდათ ჩვენი დელეგატების ახლო გაცნობა. სამივე დაჯდა მდივანზე და მტკიცეთ დაიკავეს იგი. მოგვართვეს ყავა. მეორე მხარეზე პატარა მისაღებ ოთახში კუნძულების კრებულებათ დალაგდენ ამიერ-კავკასიის დელეგატები. მე მიწვეული ვარ, როგორც „თანამშრომელი". დასაწყისში თავისუფალი მუსაიფი; შემდეგ სტუმრები გვთხოვენ, ყოველმა ეროვნულმა სექციამ გამოსთქვას გულწრფელათ თავისი აზრი.

ჩხენკელი ყოველთვის აღტაცებულია, როცა საშუალება ეძლევა გააბას „საერთაშორისო" მუსაიფი: აქ მის წინ ოთომანის პორტას სამი სვეტი სდგას კავკასიის ერების სამ ქადაგის პირდაპირ. ამ რიცხვმა „სამმა" მისტიურათ იმოქმედა ჩხენკელზე და მან, თუმცა თვალწინ ჰყავდა სამი მაჰმადიანი, ამგვარად დაიწყო: „თუმცა მე,

როგორც სოციალისტი, დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ სარწმუნოებრივ დოგმატებს, მაგრამ როგორც სამ სახოვანი ღმერთი ერთია, ისე ამიერ-კავკასია, თუმცა შეიცავს სამს ერს, მაგრამ" და სხვა და სხვა. როგორია ღვთის მეტყველების დედოს*) და ატავიზმის ძალა!

შემდეგ ილაპარაკა ნიკოლაძემ სადათ, მოკლეთ, საბუთიანათ თვით ოსმალეთისთვის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის სარგებლობაზე, იმის შესახებ, რომ საჭიროა თავიდანვე არ წაერთვას ამიერ-კავკასიას ის ელემენტები, რომელიც აუცილებელია მისი სიცოცხლისათვის და სხვა. ხატისოვმა თემათ აირჩია სომხეთის კითხვა, გაიხსენა ჯემალ-ფაშას სარდლობა პალესტინაში და კეთილი განწყობილება ქრისტიანებისადმი, ოსმალეთის რევოლიუციის თანამებრძოლი ამხანაგი—სომხები (ზოჰრაბი და სხ.)

ხატისოვი, უეჭველია, შეეხო მტკივნეულ ადგილს: ჯემალ-ფაშა მოიღუშა და ურჩია,—მას შემდეგ რაც მოხდა, ამ კითხვას არ შეხებოდა. (ოსმალოების ღრმა რწმენით, 1914, 1915 წ. ომის დროს სომხებმა ოსმალეთში მათ ზურგში დანა ჩასცეს).

მესამე სიტყვა წარმოსთქვა მაჰმედ-ჰასან გაჯინსკიმ. იგი თავაზიანათ ლაპარაკობდა; გამოსთქვამდა იმედებს, სიხარულს და გონივრულათ გვერდს უხვევდა თეოლოგიასა და ეროვნულ მწვავე კითხვებს.

ცოცხალი საერთო ბაასის შემდეგ ჩვენი სტუმრები წავიდენ.

## 22

ვინც ბათომში იყო 1918 წ. მაისში, რუსეთი ეჩვენებოდა მეტათ დაშორებულ ქვეყნათ. საბჭოთა ხელისუფლება არ ვრცელდებოდა ამიერ-კავკასიაზე. დამოუკიდებლობა გამოცხადებული იყო. ჩრდილო-კავკასიაში გამოურკვეველი ცვალებადი მდგომარეობა იყო; ბუნებრივი საზღვრის მთა-გრეხილის წყალობით თითქოს უზრუნველყოფილი ვიყავით რუსეთის ქარ-ბუქისაგან. ბაქოში (რომლის წინ იდგა ამიერ-კავკასიის სამხედრო საფარი) და კასპიის ზღვის სხვა და სხვა ნაპირებზე, მართალია, არსებობდა საბჭოთა სხვა და სხვა გრძელი და რთული სახელებიანი ჯგუფები, მაგრამ საერთოთ, დიდი მოუწყობელი სივრცეები ჯერ-ჯერობით კიდევ ყოფდა ამიერ-

*) ჩხენკელი სასულიერო სემინარიაში სწავლობდა.

კავკასიას საბჭოთა რუსეთის ნამდვილ ცენტრებიდან, თუმცა უკანასკნელის მოწინავე ბანაკები გაბნეული იყო ახლო-მახლო.

ევროპის ომმა მიაღწია უმაღლეს წერტილს. გერმანია მეტად დაინტერესებული იყო, აღმოსავლეთში დაემყარებინა, თუნდაც დროებითი, წონასწორობა. ამ მიზანს ემსახურებოდენ ბრესტ-ლიტოვსკისა და ბუქარესტის ხელშეკრულებანი და „განაპირა ქვეყნების მთელი პოლიტიკა“ ბალტიის მხარიდან დაწყებული შავ ზღვამდე; ამიტომაც სცდილობდა გერმანია შეეთანხმებია ამიერ-კავკასიისა და ოსმალეთის ინტერესები.

აგრეთვე უნდა გამოგვერკვია საბჭოთა რუსეთისა და ამიერ-კავკასიის ურთიერთ შორის განწყობილება. ეს საჭირო იყო საერთოდ როგორც ბათომის კონფერენციის მუშაობით ამიერ-კავკასიაში დასამყარებელ წეს-წყობილების განსამტკიცებლათ, ისე კერძოთ ბაქოსა და ბაქოს ნავთის კითხვის მშვიდობიანათ გადასაწყვეტათ (ეს კითხვა ყოველთვის მწვავე იყო რუსეთისათვის, მაგრამ ეხლა იგი მწვავე შეიქმნა სხვა და სხვა მისწრაფების წყალობით გერმანიისთვისაც, ოსმალეთისთვისაც და აზერბაიჯანისთვისაც).

გერმანიის მთავრობამ მაისის შუა რიცხვებში, სწორედ ბათომის კონფერენციის გამალებულ მუშაობის დროს მოსკოვს წინადადება მისცა, მიეღო თავის თავზე შუამავლობა ამიერ კავკასიისა და საბჭოთა შორის შეთანხმების მიზნით. მირბახის მიერ გადაცემულმა წინადადებამ გამოიწვია სახალხო კომისარიატის პასუხი, რომ ბათომის კონფერენციაზე საჭიროა მიწვეული იქნეს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი; თანაც აღნიშნავდა, რომ „ეგრედ წოდებული ამიერ-კავკასიის მთავრობა“, რომლის წინააღმდეგ მასსებს გამოაქვთ დადგენილებები, სახელის უკანონოთ მიმთვისებელი და სხვა.

ჩვენთვის ძნელი არ იყო, ამიერ-კავკასიის მთავრობის უფლებამოსილობის ასეთი შეფასება, დაგვერღვია (19 მაისი). ეტყობა, თვით კომისრებიც არ აძლევდენ ამ განცხადებას მნიშვნელობას, რადგან საბჭოთა მთავრობას არ დაუყოვნებია მ ი ე ღ ო გ ე რ მ ა ნ ი ის შუ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა რუსეთის მიერ ამიერ-კავკასიის ცნობის კითხვაში. ფონ ლოსსოვი, როცა გვატყობინებდა ამ ამბავს, დასძესდა, რომ მას განზრახვა აქვს აცნობოს მირბახს მოსკოვში რომ ბოლშევიკები ემუქრებიან ამიერ-კავკასიას ბაქოსა და სოხუმის მხრით (ასეთი მუქარა მართლაც არსებობდა) და რომ საერთოდ გერმანია დაბეჯითებით ურჩევს რუსეთის მთავრობას ამიერ-კავკასიას არ შეუტიოსო.

1918 წელს ასეთი შემოტევისათვის კიდევ არ იყო მოსაბადებული დრო. მაგრამ ბათომის კონფერენციაშიც ვერ მიიღო საბჭოთა წარმომადგენელმა მონაწილეობა. გერმანიის შუამავლობით მხოლოდ დადებული იყო პირობა, რომ ამიერ-კავკასიის წარმომადგენელი მოლაპარაკებას დაიწყებს რუსეთის მთავრობასთან სადმე საბჭოთა ფედერაციის საზღვრებში, ამიერ-კავკასიასთან ახლოს (გერმანიის მთავრობის მიერ დასახელებული კიევი ჩიჩერინის აზრით უხერხული იყო*), მაგრამ ეს აზრიც მდგომარეობის შეცვლის გამო განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ აქ პირველად დაისვა კითხვა, რუსეთის მიერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლათ ცნობის შესახებ; და გამოირკვა, რომ 1918 წლის პირობებში ამ დამოუკიდებლობის ცნობის კლიტი ბერლინში იმყოფებოდა.

## თავი მერვე.

## ახალი გზა.

### 23

ოსმალოების მოთხოვნილებებით გამოწვეულმა აღელვებამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, როცა გენერალ ფ. ლოსსოვისაგან ჩვენმა დელეგაციამ მიიღო ფორმალური წინადადება, რომ იგი დაგვეხმარება როგორც შუამავალი, რადგან სხვაგვარათ არ ხერხდება ოსმალეთისა და ამიერ-კავკასიის დელეგატებს შორის კეთილი განწყობილების დამყარება (19 მაისი). უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ამ წინადადებას უნდა ჩავსჭიდოთ ხელი. მხოლოთ მუსლიმანებს, როგორც დელეგაციის თათბირზე გამოირკვა, ეშინოდათ შუამავლად გერმანიის არჩევით შეურაცყოფა არ მიეყენებიათ ოსმალოებისთვის: მათის აზრით საჭირო იყო დაეკითხებოდით ოსმალოებსა და სხვა. გაჯინსკიმ გამოსთქვა აზრი, რომ საერთოდ არ არის საჭირველი მოლაპარაკების გაჭიანურება. „ასე თუ ისე, უნდა გავათაოთ,—სთქვა მან: ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილისათვის არსებული უთანხმოება უმნიშვნელოა“. ეს უთანხმოებები ძლიერ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს და სომხეთისათვის. ჩვენ ვიდე-

*) მიწერ-მოწერა ამ კითხვის შესახებ იხ. ib. №№ 146, 151, 152, 156.

ქით ჯვარედინზე: ზოგიერთს ოსმალოებთან ერთი გზა ჰქონდათ, სხვებს კი არა.

ფონ-ლოსსოვს მაშინვე უპასუხეთ, რომ მის წინადადებაზე თანახმა ვართ.

ახლოვდებოდა დასასრული. გამარჯვებული ოსმალეთი, როგორც ძლიერ მომქმედი რეაქტიეი, შლიდა ამიერ-კავკასიის ჯერ კიდევ სუსტს, მოუწყობელს, ომითა და რევოლიუციით შერყეულს კრებულს. მას ბუნებრივათ შორდებოდა მუსლიმანური აზერბაიჯანი, რომელსაც ოსმალეთი ანდამატურის ძალით იზიდავდა. ტომებრივი ხმა უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე საუკუნეების იქვეითნობა შიიტებისა სუნიტების წინააღმდეგ; ასე იყო განსაკუთრებით იმ განათლებულ ფენებში, რომელთა შიიტური გატაცება საკმაოთ შენელდა რუსულ-ევროპიული კულტურის გავლენით.

ასეთი მდგომარეობა საშუალებას უკარგავდა ამიერ-კავკასიას, ეწარმოებინა ერთი მთლიანი პოლიტიკა, ე. ი. ერთი საგარეო პოლიტიკა. ყოველ ნაწილს უნდა ეზრუნა თავის თავისთვის.

ბათომში ჩვენ ჩავედით დარწმუნებულნი, რომ საქართველო მომზადებულია ასეთი მოქმედებისათვის, რადგან იგი შედარებით უფრო მოწესრიგებულია. რომ საქართველომ უნდა იმოქმედოს დამოუკიდებლათ, ეს საესებით გამოირკვა მას შემდეგ, რაც ოსმალოებმა საქართველოს მთელი სამაჰმადიანო ნაწილი დაიჭირეს ბათომიდან ბორჯომის ხეობამდე და შეუჩერებლივ მიისწრაფოდენ კასპიის ზღვის ნაპირებისაკენ.

ჩვენთვის არ იყო სახარბიელო თუნდაც დროებით ვყოფილიყავით „ისლამის ლაშქრის“ გასასვლელ დერეფნათ. ოსმალოების განდევნა ძალით ჩვენ არ შეგვეძლო.

ერთად-ერთი გამოსავალი იყო—გერმანიის გამოყენება „ლაგამათ“, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ასპარეზზე გამოსვლა დამოუკიდებელი საქართველოსი, შეთანხმება გერმანიასთან და გერმანიის განსაზღვრული დახმარება.

დღის პრაქტიკული მოთხოვნილება გვაიძულებდა სწორედ ასე დაგვეყენებინა კითხვა, მაგრამ ბევრათ უფრო ღრმა მისწრაფებაც იმავე გზაზე გვაყენებდა. ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადგვეღო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის; როგორ არ გვეფიქრა იმათზე, ვინც კიდევ მოვა! რამდენი მოდგმა ჰქმნიდა ქართველ

ერს და ამაოთ ეძებდა მზის ქვეშ მისი თავისუფალი განვითარების პირობებს! აი დამოუკიდებლობამ კარებზე მოაკაკუნა, და როგორ არ შეეგებოთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გაუშვით, რა პასუხი გაეცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა! ნუ თუ ეს ხალხი დაბადებულია მხოლოდ მონობისათვის, მორჩილებისათვის და იგი უნდა გადიქცეს „ეთნოგრაფიულ მასალათ“, რომლიდანაც პირობების ბიხედვით გამოდიან ხან სპარსელები, ხან ოსმალოები, ხან რუსები! არა, მას ახსოვს, მას სურს წამოდგეს და იქმნეს თავის-თავადი. მას არ სურს ეს? თავის საპყრობილეზე ამოიოხრებს ის, როგორც ბაირონის „შილიონის პატიმარი“? ბარემ ეხლავე გამოაშკარავდეს ეს! იშლება ისტორიის ახალი გვერდი.

მაგრამ ასეთი მსჯელობა არ იყო საჭირო: ზოგიერთმა, მცირე რიცხოვანმა წრემ, ეს დიდი ხანია იცოდა. სხვები უფრო ტაქტიკური მოსაზრებით იმსჯვალებოდენ ამავე აზრით- უმრავლესობას ასეთი კითხვაც არ დაბადებია: ნების ყოფას, ინსტიქტს, ქვეშეგნებას მიჰყავდა ისინი ამ მხრით. რთული ანგარიშიც არ იყო საჭირო: უპირველესათ ყოვლისა, უნდა დავმყარებოდით გერმანიას, ოსმალოებისაგან თავი დაგვეფარა და ორგანიზაციულათ შეეკავშირებულიყავით, გაერთიანებულს როგორც ერს, გვეცადა მსოფლიო ომის დაბოლოებისათვის—ჩვენი მდგომარეობა მაშინ გამოირკვევა, თანაც ჩვენ თვით ვიქნებით, თუმცა პატარა, მაგრამ მისივე გადამწყვეტი ერთ ერთი ფაქტორი. რუსეთთანაც განწყობილება იმავე გზით გამოირკვევა.

---

გერმანიის დელეგაციის წევრებთან გულახდილ ბაასში მომზადდა საქართველოს მომავალი პოზიცია—ჩვენ წინდაწინვე ვგრძნობდით, რომ ამიერ-კავკასიის კოალიცია აუცილებლათ დაიშლება. საიდუმლოება იცოდა რამოდენიმე კაცმა. თავმჯდომარე საქართველოს ეროვნული საბჭოსი, სოც.-დემ. პარტიის ბელადი, როგორც ამიერ-კავკასიის სეიმში, ისე საქართველოში, ტფილისიდან ჩამოსული ნოე ჟორდანია თავის მდგომარეობით იყო სწორეთ ის პიროვნება, რომელსაც თავის თავზე უნდა მიეღო მოვალეობა ტფილისში ამ განზრახვისთვის საჭირო ძირითადი აქტების გატარებისა (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, და ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ

თავის თავის დაშლა), მას ეტყობოდა რყევა, რაც სავსებით გასაგები და კანონიერია: საქართველოს დამოუკიდებლობა არ შეეფერებოდა არც მის წინანდელ მუშაობის მოძღვრებას, არც რუსეთის სოც.-დემ. პარტიის წევრობას. მაგრამ, როცა „ირწმუნა", ახალი პროგრამის ჩატარებას გამოცდილის ხელით შეუდგა.

22 მაისს ის დაბრუნდა ტფილისში. მუშაობა „გერმანია-საქართველოს" და „ამიერკავკასია-ოსმალეთის" პარალელურათ დასისწრაფით სწარმოებდა.

24 მაისს ფონ-ლოსსოვმა შეგვატყობინა, რომ მისმა ცდამ შუამავლობის შესახებ ფუჭათ ჩაიარა. 25 ამიერ-კავკასიის დელეგაციის თავმჯდომარეს გენერალმა შეატყობინა, რომ, რადგან, როგორც მას ცნობები აქვს, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა დაშლას აპირებს, და ამით იცვლება მდგომარეობა, მისთვის საჭიროა პირდაპირი დამოკიდებულება იქონიოს თავის მთავრობასთან ,და ამიტომ იგი სტოვებს ბათომს დღესვე საღამოს და მიემგზავრება გემით — „ნინა ჰორნ".

მართლაც, იმავე საღამოს გერმანიის დელეგაცია გავიდა ბათომიდან.

26 მაისს ამიერ-კავკასიის დელეგაციამ მიიღო ოსმალეთის ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვდა 72 საათის განმავლობაში მიგვეღო უკლებლივ ოსმალეთის ყველა წინადადება (ოსმალეთის სასარგებლოთ საზღვრების შეცვლის დამატებებით). ულტიმატუმის მიღების წუთში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა უკვე არ არსებობდა: სწორეთ 4 საათის წინეთ ტფილისში გამოცხადებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ აი რამოდენიმე ნაწყვეტი დღიურიდან, რაც უფრო კარგათ გამოსთქვამს მოვლენათა ცვლილებას.

ბათომი 21 მაისი 1918 წ.

დილით ნ. ჟორდანია, ნიკოლაძე და მე რუქაზე ვათვალიერებთ ჩვენთვის საჭირო საზღვრებს. უკიდურეს შემთხვევაში თანახმა ვართ „მივცეთ" ზაქათალის ოლქი. არავითარ საზღვრების სხვა შესწორებას აზერბაიჯანის სასარგებლოთ ჩვენ არ დაუშვებთ. ოსმალოები პირდაპირ გვახჩობენ, მაგრამ ახალციხე და ხერთვისი საქართველოში უნდა დარჩეს.

დღისით თათბირი აქვთ თურქებსა და ქართველებს ურთიერთ საზღვრების გამო. ერთის მხრით ნიკოლაძე, ჟორდანია, სურგულაძე და მე; მეორეს მხრით ხან-ხოისკი, ხასმამედოვი, საფიკურდსკი, პეპინოვი, უსუბეკოვი, ჯაფაროვი. სომხებმა უარი განაცხადეს ელისავეტპოლის გუბერნიაზე (ყარაბაღი), და მუსლიმანები... დათანხმდენ ამიერ-კავკასიაში ცალკე სომხური კანტონის დაარსებაზე (დაახლოვებით, ახლო წარსულის დროის ერობის ოცნების სხემით „ალექსანდროპოლის გუბერნია“). მზათ არიან ჩვენ წაგვგლიჯონ სილნაღის, ტფილისის და ბორჩალოს მაზრების ნაწილები (როგორ მიღებდენ ამ ამბავს მცხეთის სამარეში მდებარე მეფეები!); მაგრამ აქ შეთანხმება შესაძლებელია: ისინი დაგვითმობენ. ახალციხის შესახებ პეპინოვი თვით-გამორკვეის პრინციპს აყენებს (ფიქრობს, რომ ოსმალეთს შეუერთდება).

საერთოდ ჩვენი მეგობარი მუსლიმანები გვარწმუნებენ, რომ „სამსახოვან“ მთლიან ამიერ-კავკასიას ყოველ გვარად დაიცავენ; მაგრამ რა ვქნათ, ამბობენ ისინი, თუ ოსმალოები არ დაგვეთანხმენ და ერთი განზრახული „კანტონთაგანი“ არ იარსებებს! ამ შემთხვევაში მათ სურთ ამიერ-კავკასია შეინარჩუნონ ორ სახოვნათ...

ჩვენ უპასუხეთ, რომ თუ ამიერ-კავკასიას ასეთი უბედურება დაატყდა ბათომში, მაშინ ჩვენ თავს თავისუფლათ ჩავთვლით და ყოველი მხარე მდგომარეობას ასწონ-დასწონის.

ნუ თუ ნაადრევი არ იყო ტფილისში ამიერ-კავკასიის კონსტიტუციის შეთხზვის დაწყება!

---

შემდეგ ვისეირნეთ „ამიერ-კავკასიის“ ავტომობილით; ჩემი თანამგზავრები—ჩხენკელი და ჟორდანია—ერთი წელიწადია, რაც შეეჩვიენ რევოლიუციის ხელისუფლების ამ ძვირფას ნიშანს. ჭოროხის ხეობის აღმა აჭარის-წყლის შეერთებამდის. რამდენათ უფრო სასიამოვნოა ეს სანახაობა, ეს მედგარი ფესვ-გადგმული ხეები ზღვის ნაპირის „სუბტროპიულ“ ნაჯახირევზე.

დატვირთული სახედრების ჯგუფები და მათი გამყოლები, საეჭვოა გამოცვლილიყვნენ მას შემდეგ, რაც ჩვენი ნეტარ-ხსენებული მამა გრიგოლ ხანძთელი აქ ახლოს, კლარჯეთში—ამ ქართულ თიბაიდაში—სხვა ბერებთან ერთად ლოცულობდა ჩვენი ცოდვებისათვის ათასი წლის წინათ.

ეს-არიან გამოქცეულები, რომელნიც ქვეყანას მოჰფინა რუსოსმალეთის შეტაკებებმა და რომელნიც ეხლა შინ ბრუნდებიან.

გვიან ღამით ვეხმარები გენერლებს ოდიშელიძესა და ყორღანოვს ოსმალეთის ორ ოფიცერთან ერთად სპეციალურ სამხედრო შეთანხმების გადახედვაში. მეცოდება გენერლები.

22 მაისი.

რადგან ამიერ-კავკასიას მოელის დაშლა, გადამწყვეტი თათბირია დანიშნული საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადების შესახებ. ძირითად დებულებათ მიღებულია ის, რასაც მე, როგორც „მრჩეველი“ დიდი ხანია ვამტკიცებ, და რისი თანახმაც არიან ჩხენკელი და სხვები. საქართველოს დამოუკიდებლობა და მიწა-წყლის მთლიანობა უზრუნველყოფილია გერმანიის მიერ. ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთს ეძლევა მოქმედების თავისუფლება, და ეწყობა ოსმალოების დახმარებით. სომხებმაც უნდა გამოაცხადონ თავიანთი დამოუკიდებლობა; ამ წუთში მათი უმთავრესი საზრუნავი საგანია გადაარჩინონ მცხოვრებლები ოსმალოების ჩვეულებრივ მოქცევისაგან. ისინი ცდილობენ მოიპოვონ გერმანიის დახმარება და მიზანსაც მიაღწევენ. შემდეგ, იმათაც და ჩვენც შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ უფრო სამართლიანათ გავიმიჯნებით ოსმალეთთან. მაგრამ ეს, ისე, როგორც ამიერ-კავკასიაში ურთი-ერთ განწყობილების დამყარება, მომავლის კითხვაა.

დავწერე სანიმუშო პროექტი საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადებისა—დადგა დრო საქმის ჩამოყალიბების და მოქმედებისა.

ჩხენკელმა, ჟორდანიამ, ნიკოლაძემ და სურგულაძემ მოიწონეს. ჟორდანიამ ეს პროექტი წაიღო ტფილისში, გამოთხოვების დროს ჩვენ განსაკუთრებულის გრძნობიერობით ვართმევდით ერთმანეთს ხელს. მან ძლიერ სერიოზული პიესა უნდა დადგას. საშინელებაა მთელი ეს ტევრი ყოველგვარი ორგანიზაციებისა, საბჭოებისა და კიდევ უფრო მეტათ საშინელია უტეხი ტყე ცრუმორწმუნოებისა. მაგრამ მან, ეტყობა, უკვე მოამზადა უკანასკნელი აქტი: დარჩენია, მხოლოდ ააწევინოს ფარდა.

23 მაისი.

მოღრუბლულ, მეტად ცივ დარების შემდეგ სხივმფენი მზე.

გადავწყვიტეთ, რომ დროებითი შეთანხმება გერმანიასთან, რომელსაც სასწრაფოთ ვამუშავებთ, უნდა იქნეს, როგორც ბრესტ-ლიტოვსკმა პირველათ შემოიღო, ორ ენაზე: გერმანულათ და ქართულათ (უფრო სწორია ვსთქვათ შეთანხმებანი, რადგან იგი რამოდენიმე საბუთს შეიცავს). სხვათა შორის, დღეს ვკითხულობთ შეთანხმების პროექტს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ საბარგო ყველა გემების ტონაჟის დროებითი სარგებლობისათვის გერმანიისადმი გადაცემის შესახებ.

თუ კონტრაგენტს სიამოვნებს, რატომ არ უნდა დაუთმოთ ის, რაც ბუნებაში არც კი არსებობს? როგორია! ხელშეკრულება საქართველოს ტონაჟის შესახებ! გერმანიასთან!

24 მაისი.

სწარმოებს გაცხარებული მუშაობა. მე და ვეზენდოკი ვკითხულობთ საბოლოო პროექტს. ბევრი მიხდა, რომ სცენის უკან უხმო მუშაობაა და დეკორაციები იცვლება. გვიან ღამით ვადგენ შემდეგ დეპეშას, რომელიც იგზავნება ღამით ა. ჩხენკელის ხელისმოწერით:

ტფილისი, გენერალ კვინიტაძეს:

„გადაეცით საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კიდევ დაგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანელების შუამავლობის ცდა არ მოხერხდა. დაგვრჩენია ერთად ერთი: ოსმალოების შემოსევას წინ დაუყენოთ დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც მხარის დამჭერათ ეყოლება გერმანია. მის წარმომადგენლათ საქართველოს მთავრობასთან იქნება გრაფი შულენბურგი, რომელიც საჭიროა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იქმნეს ცნობილი... გამზადე-

ბულია ხელმოსაწერათ რამოდენიმე დროებითი შეთანხმება გერმანიასთან... უკდი ამ აქტის შესახებ უსწრაფეს ცნობას".

ეს დეპეშა გენერალმა ოდიშელიძემ საკუთარის ხელით შიფრით დასწერა. წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი (იაპონიის ომისათვის), ყოფილი სამხედრო გუბერნატორი სამარყანდის ოლქისა, დასავლეთ ფრონტის რუსეთის ერთ-ერთი ლაშქრის შტაბის უფროსი და სხვა და სხვა..!

სანამდი მიდით, გენერალო! ის კი გახარებულია.

25 მაისი.

კულისების უკანა მუშაობას საჩქაროთ ვათავებთ.

გერმანელები „Minna Horn"-ით საღამოს სტოვებენ ბათომს. უკანასკნელ წუთში ტექსტების წასაღებათ შემოიარა ფონ-ლოსსოვის ადიუტანტმა. მივეცით ყველაფერი, რაც მზათ იყო...

საყვირი. „Minna H"-ნი წავიდა—არავინ იცის სად. ჩვენ კი ვიცით. ოღონდ არ დაიგვიანოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ!

გვიან ღამით ჩხენკელთან და ნიკოლაძესთან ვარჩევთ, თუ რა შეგვიწყობს და რა შეგვიშლის ხელს. ტფილისიდან მოვიდა დეპეშა: დამოუკიდებლობა გამოცხადებული იქნება ხვალ, 26 მაისს. კითხვა გატარებულია ყველა ინსტანციებში. მხოლოდ თურქები თხოულობენ დავიცადოთ.

26 მაისი, კვირა.

ვწერ ტფილისისათვის ზოგიერთი აქტის პროექტს, აგრეთვე წერილს გენერალ ფონ-ლოსსოვისადმი, რომელსაც წაიღებს ფოთში არტურ ლეისტი. დელეგაცია ნელ-ნელა ჰქრება, მაგრამ უნებურათ კულისების უკან ნაწარმოები მუშაობა არავის შეუმჩნევია. მგონი იპვიც კი არავის შეუტანია, თუ რა მოხდება დღეს და ხვალ.

სუფრაზე ჩვეულებრივი მუსაიფია. ჩემი მეზობელი საქართველოს შეზრდილი გერმანელი-ლიტერატორი ლაპარაკობს რომზე. საუცხოო თემაა, როცა ირგვლივ სტირიან ზოგი ახალციხეზე და ზოგი ალექსანდროპოლზე.

შემდეგ ვშოულობ რამოდენიმე წუთს, რომ ზღვის პირას დავისვენო. ეგერ, თვით წყალთან ხალილსა და ვეჰიბ-ფაშას მიუწევიათ ერთმანეთისკენ სავარძლები და ნდობითა და დინჯათ რაღაცაზე თათბირობენ.

ზღვა ლურჯია, როგორც არასოდეს. მიხვდები, რომ ირგვლივ მთის ტყეები მწვანეა – მას ფარავს ნახევრათ გამჭვირვალე ლურჯი ნისლი. ზღვის ღორის დინგი გამოჩნდება და იმალება—რა უდრეკი და სველია იგი! თევზ-ყლაპია (ჩიტი) დასცურავს, ჩაიყურყუმალებს და დიდხანს რჩება იქ. ზღვის პირათ ჯგუფ-ჯგუფათ სეირნობენ კონსტანტინოპოლელი მოხელეები (ახალგაზდობა, რომელსაც მზა-მზარეული ტანისამოსის მაღაზიის მანეკენის შეხედულება აქვს), ოსმალოელი ოფიცრები, ოსმალურ ტანისამოსში გამოწყობილი გერმანელები, ძველი რეჟიმის მოხელეები რაღაც გულგრილის გამომეტყველებით, მათი ჩასუქებული ქალები და ჩვენი ოფიცრები, რომელთაც არ ეტყობათ რომ ტყვეობაში არიან.

ახლოს უკრავს მუსიკა რაღაც უგვანო-გულუბრყვილოს; ზევით დაიგუგუნა აეროპლანმა; იალქნიანმა ნავმა მარდათ ჩაუარა ნაპირს.

ასე თუ ისე, როგორც რუსები იტყვიან, სოლი სოლით უნდა ამოაგდოთ! ჩვენ თავს დავიფარავთ გერმანელებით ოსმალოებისაგან. „საფარი“ უფრო სიმბოლიურია, რადგან გერმანელებს აქ ჯარი არ ჰყავთ; ნატანებში, მაინც შემდგარა გერმანელებისაგან (სამხედრო ტყვეებისაგან) სადარაჯო მცირე რაზმი. კითხვა იბადება, ქალაქების სიახლოვე და ნადავლის შოვნის იმედი არ შეაცდენს ოსმალოებს?

სხვა გზა არ არის: ჩვეს ვაცხადებთ დამოუკიდებლობას, გერმანია კალთებზე სტაცებს ოსმალეთს ხელს; სამაგიეროთ ჩვენგანაც რამეს მიიღებს. აზერბაიჯანი ამ ხანათ იქნება ოსმალეთის გავლენის ქვეშ. სომხეთს მიაწვება ოსმალეთი, მაგრამ ამას შეასუსტებს გერმანელების აქ ყოფნა.

---

საღამოს 9 საათზე მე და ნიკოლაძე გაგვიწვიეს დელეგაციის თავმჯდომარესთან. მოსულა პაკეტი ხალილ-ბეიდან. აუცილებელ მოთხოვნილებას გვიყენებენ, 72 საათის განმავლობაში უკლებლივ შევასრულოთ 11 მაისს ოსმალეთის მიერ გადმოგზავნილი პიროებები. ამასთანავე ოსმალოებმა ეხლა მოისურვეს ნახიჩევანის მაზ-

რაც (ერევ. გუბერ.) ე. ი. მთელი რკინის გზა ყარსი—ალექსანდროპოლი—ჯულფა.

ამ ულტიმატუმის თავი და თავი აზრი ჩვენმა მუსლიმანებმა დილითვე იცოდენ. მისი დასაბუთება გაადვილებულ იყო თურქების ზოგიერთი ცნობილი წრეების საჩივრით: ხალილ-ბეის რომ დაუგდოს კაცმა ყური, მუსლიმანებს ყველგან ყელს სჭრიან, არბევენ, და ოსმალოებს არ შეუძლიათ ისინი რევოლიუციონერებს—აბრაგებს შესაჭმელათ ჩაუგდონ ხელში და სხვა.

ოსმალეთი ისევ იკავებს ახალციხის მაზრას, ძველს მესხეთს; რიონის ვაკის სამხრეთით შემოვლებული მთაგრეხილი, რომელიც მშვენივრად სჩანს მარტვილის მონასტრის სამიტროპოლიტო სახლის აივნიდან, ისევ ხდება ისლამსა და საქართველოს შორის საზღვრათ.

წარმოდგენილია ულტიმატუმი—ჩვენი შეთანხმებანი კი გერმანიასთან ჯერ ხელ მოუწერელია. ვა

რა დროს საბებიო ინსტიტუტია! ამიერ-კავკასია სამი ერის ფედერაციათ უფრო ადრე გამოაცხადეს, ვიდრე ყოველ ნაწილს ორგანიზაციულათ მოაწყობდენ. მართალია, მრავალმა მიზეზმა გვაიძულა შენობა დაგვეწყო სახურავიდან და არა ბალავერიდან, ახალი პირობები გვაიძულებენ დაუბოუნდეთ დასაწყისს ე. ი. ჯერ მოვაწყოთ, როგორც დამოუკიდებელი ერთეული ცალკ-ცალკე საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რომელთა კავშირით გაერთიანება უნდა მოხდეს პირველ შეძლებისთანავე, ე. ი. როგორც კი ოსმალეთი შესწყვეტს დამქსაქსავ ფაქტორის როლის შესრულებას.

რადგან კითხვა ამ გვარათ გვეელინება,—მაგრამ იგი უკვე დღეს გ ა დ ა წ ყ დ ა—თფილისი, როგორც ყოველთვის ყოფილა, საქართველოს სატახტო ქალაქი იქნება, სომხებს აქვთ ერევანი, თურქები კი, სანამ ბაქოს გაანთავისუფლებდენ, მოეწყობიან განჯაში.

# თავი მეცხრე.

## ზეზი ზერმანიაზე.

25

გერმანიის დელეგაციასთან შეთანხმებულნი ვიყავით, რომ ბათომში შემუშავებული დროებითი შეთანხმებები ხელ-მოწერილი იქნება ფოთში, სადაც გერმანელები, როგორც ვნახეთ, გაემგზავრენ საღამოს, 25 მაისს; იქ ისინი უნდა შეხვედროდენ ა. ჩხენკელსა და ნ. რამიშვილს; ა. ჩხენკელი გერმანიის დელეგაციასთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო ბერლინში გერმანიის მთავრობასთან უფრო საფუძვლიანი და მწყობრი მოლაპარაკების გასამართავად.

გერმანიის დროებით წარმომადგენლათ ტფილისში ინიშნებოდა გრაფი შულენბურგი, საკონსულოს წარმომადგენლათ ფოთში— ბ. ანდერსი; საქართველოს მთავრობამ მათი ამ თანამდებობაზე მიღების შესახებ უკვე აცნობა გენერალ ფონ-ლოსსოვს.

მაგრამ ოფიციალურად ჩვენ ვბრუნდებით ტფილისში მდგომარეობის შეცვლის გამო. ამიერ-კავკასიის მაგიერ ბათომში უნდა ჩამოსულიყო სამი ახალი რესპუბლიკის დელეგაციები.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ორომ-ტრიალი დადგა Hotel Oriental-ში 27 მაისს, როცა ყველამ გაიგო, რომ ამიერ-კავკასიამ სული განუტევა. გადავწყვიტეთ, იმავე საღამოს, განსაკუთრებულის მატარებლით გამოვსულიყავით. დარჩენ ზოგიერთები სამხედრო მისიიდან, დრაგომანი, ექიმი ღამბაშიძე და სხვა.

სადგურზე მთელი საუკუნე უცდით მატარებლის წასვლას. დიდხანს გვიხდება მუსაიფით გავართოთ ყოფილი ამიერ-კავკასიის დელეგაციის წევრების გასაცილებლად მოსული ვეჰიბ-ფაშა. მისი სიტყვით იგი სულ 42 წლის არის; შეხედულება კი მოხუცი კაცისა აქვს. რამდენი ღამე მომიხდა მე, სარდალს, გამეტარებია ავტო-

მობილში და რამდენჯერ უნდა დავკმაყოფილებულიყავი სადილზე ერთი მაგრათ შემწვარი კვერცხითა და ერთი ჭიქა რძით! ტომით ალბანელია იანინიდან, დედა კი ჰყოლია ქართველი—მუსლიმანი ახალ-ქალაქიდან. მათ ოჯახში 17 ოფიცერია, 3 ლაშქრის სარდალნი არიან. ნუსრეტ-ბეი იურისტკონსულტი, აგრეთვე ალბანელია—იანინიდან *).

ბოლოს გავედით ბათომიდან. ნატანებში (სადგური საზღვარზე) პოლკოვნიკ კ-ს ენერგიული ფიგურა. თავისუფალ საქართველოს ჯარის-კაცთა ჯგუფები. გერმანელი ოფიცერი კასკაში—ეს ახალი ამბავია. ეს ჩვენის დახმარებითაც გრაფ შულენბურგის იმპროვიზაციაა. საფრთხობელა—ოფიცერი, აშკარაა, ბალტიის მხრიდანაა, მაგრამ აქ უმთავრესი კასკაა: ეს ნიშანია, რომ აქ ოსმალოებს ადგილი არა აქვთ. ზოგიერთ ჩვენ თანამგზავრს კასკა არაფრათ ეჭაშნიკება: მასში ხედვენ ფესკის დაჩრდილვას. რამდენ „სხვადასხვაობას“ ამჟღავნებს ეს ორი სხვადასხვა თავსახურავი.

კვანძის სადგურზე—სამტრედიაში—მოხსნეს ის ვაგონი, რომელშიაც სხედან ფოთში მიმავალნი, ხოლო მატარებელი განაგრძობს გზას ტფილისისაკენ: იქ მსხდომთა შორის იშვიათად თუ ვინმემ იცის, რომ ფოთში დანიშნულია პაემანი.

ღამით ტფილისიდან ჩამოვიდა ჩვენი პრემიერი—რამიშვილი, რომელსაც პირველად ვხედავ. წარმოსადეგი, საკმაოდ სასიამოვნო შეხედულება აქვს. მაგრამ რა იმალება ზედა-პირს უკან?

დილით ადრე, გერმანიასთან შეთანხმების მომავალ ხელისმოწერის გამო თათბირი გვაქვს რამიშვილთან და ჩხენკელთან. ამასობაში მატარებელი უახლოვდება ფოთს. სუფრასავით სწორი, შეტბორილი მიდამოები, საუკუნეების სიგრძეზე ელიან დრენაჟსა და მელიორაციას (ქართველების ერთ-ერთი უსაყვარლესი თემა ზეპირსალაპარაკო პროექტებისათვის).

ფოთში გვხვდებიან ნაცნობი პირები—აქ არის გერმანიის მისსიასთან მყოფი პ. სურგულაძე, ი. გოგოლაშვილი, ახლად-დაბადებული რესპუბლიკის უკვე დამზადებული ბეჭდებით, ქაღალდებით და სხვა საკანცელიარიო ნივთებით, გრაფი შულენბურგი. მივდივართ ნავთსადგურში. ხანდაკზე ფრიალებს ქართულ ბაირაღის მოლოდინ-

---

*) ეხლა (1924) ვეპიბ-ფაშა ემიგრანტი არის იტალიაში, ნუსრეტ-ბეი კი—ანგორის საგარეო საქმეთა სამინისტროს რწმუნებულათ არის კონსტანტინოპოლში.

ში გერმანიის ბაირაღი. ზღვიდან ამოსავალთან დგას კონსტანტინოპოლიდან მოსული გერმანელი სტაციონერი Loreley; გვერდით მედიდურათ აღმართულია ვაჭრის ცოლი „Minna Horn".

ზეიმით ავდივართ გემის ჩამოკიდულ კიბეზე: მე მომყვება ჩხენკელი; „მის აღმატებულებას" მისდევს ორდინარეცი ახმეტ-ბეგ ბეჟანიძე—ქართველი მუსლიმანი, წარმოსადეგი შეხედულების ოფიცერი და სხვები... სცენა, რომელიც ღირსია... კინემატოგრაფის კვირეულ ქრონიკაში იქნეს მოთავსებული.

გენერალი ფონ-ლოსსოვი ძლიერ გვაჩქარებს: რაც უფრო მალე გავემგზავრებით, მით უკეთესია. ყველა შეიკრიბა თუ არა და სხვა... გვაკლია მხოლოდ ნიკოლაძე, რომელიც უკანასკნელ წუთში მოვა. ამავე დროს ვიწყებთ მუშაობას... ცოტა ხნის შემდეგ მივდივარ რამიშვილის მოსაყვანათ, რომელიც თვითონ ამოდის ზევით... დარაჯები ბაქანზე სალიუტით (სამხედრო საპიტიო სალამით) ხვდებიან. სამი საათის თათბირის შემდეგ შეთანხმებებს, ბოლოს, ხელს აწერენ.

შულენბურგის თხოვნით, გერმანელი ლეიტენანტი ბარონ პ—სთვის, რომელიც იგზავნება სოხუმში მცირე სადარაჯო რაზმით, ვწერთ ქაღალდს.

კიდევ მუსაიფი ნავთ-სადგურის ბაქანზე გერმანიის კონსულთან და გრაფ შ—გთან, რომელიც გვთხოვს გერმანიისთვის სალამის გადაცემას. წასვლა ახლოვდება: ბაქანზე თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა... ბოლოს დავიძერით, მგონი, 5 საათზე. ნაპირი სწრაფად გვშორდება: თავისუფალ საქართველოს ერთი თვალიც კი ვერ გადავავლე!

## 26

რა დედა-აზრი ჰქონდა 28 მაისს 1918 წ. გერმანიისა და საქართველოს დროებით შეთანხმებას? კითხვა არ არის მოკლებული ისტორიულ ინტერესს იმათთვის, ვინც არკვევს მსოფლიო ომის დასასრულის დროს გერმანიის მეთოდებსა და მიზნებს, ან და ვინც დაინტერესებულია საერთოდ ახლო აღმოსავლეთის ისტორიით ან კერძოთ საქართველოსა და კავკასიის ბედით რუსეთის რევოლიუციის შემდეგ.

ძირითადი „დროებითი შეთანხმება გერმანიისა და საქართველოს შორის წინასწარ ურთი-ერთ განწყობილების დამყარების შე-

სახებ", დადებული ფ ო თ შ ი გერმანიის საიმპერატორო მთავრობასა—საკაროლო (სამეფო)—ბავარიის გენერალ-მაიორის ფ ო ნ ლ ო ს ს ო ვ ი ს სახით და საქართველოს მთავრობის მიერ საგარეო მინისტრის ა. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი ს სახით შესდგებოდა სულ ხუთი მუხლისაგან:

1-ლი მუხლით საქართველო სცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის 8 მარტის 1918 წ. ხელშეკრულებას გერმანიის იმპერიასთან ურთიერთ განწყობილების საფუძვლათ.

მე-2 მუხლით საქართველო ნებას აძლევს გერმანიის მთავრობას ომის დასრულებამდე ისარგებლოს საქართველოს რკინის გზებით ოთხივე მოკავშირე სახელმწიფოების ჯარების გადასაყვანათ და სამხედრო მასალის გადასატანათ. რკინის გზების ამ მიზნით ზედამხედველობისათვის ტფილისში არსდება გერმანიის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული კომისია, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთავრობასთან ერთად. გათვალისწინებულია აგრეთვე გერმანიის მცირე რაზმების (კამანდების) დაყენება რკინის გზის სადგურებზე და ფოთის ნავთსადგურში.

მე-3 და მე-4 მუხლი შეეხება ერთმანეთთან დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის დაარსებას; და, დასასრულ, მე-5 მუხლი ამბობს, რომ ეს შეთანხმება, რომელიც ძალაში შედის ხელის მოწერისთანავე, რამდენათაც კი შეიძლება სასწრაფოთ უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის ოფიციალური ტრაქტატით იმდენათ, რამდენათაც საერთო ხელშეკრულება არ იქნება დადებული ერთის მხრით საქართველოს მთავრობასა და მეორეს მხრით ოთხთა მოკავშირე მთავრობების (ე. ი. გერმანიასა, ავსტრო-უნგრეთისა, ოსმალეთისა და ბულგარეთს) შორის.

ამ (ძირითადი) შეთანხმების უმთავრესი ძალა, რა თქმა უნდა, იმაში მდგომარეობს, რომ ა) გერმანიის მთავრობა ფაქტიურათ სცნობს საქართველოს მთავრობას და ბ) მყარდება ომის განმავლობაში საქართველოს რკინის გზებზე გერმანიის ზედამხედველობა.

ამავე დროს დადებული იყო ორი დამატებითი შეთანხმება. პირველი შეეხება იმ სამეურნეო კითხვებს, რომელთა გადაწყვეტას მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოს მთავრობის მიერ გერმანიაში სესხის აღებაზე. ეს იყო ამ სესხთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიური შეთანხმების ერთგვარი გეგმა.

რადგან ფიქრობდენ, რომ რკინის გზისა და ფოთის ნავთსადგურის შემოსავალს შეეძლო სესხის უზრუნველყოფა, საქართველოს მთავრობა წინასწარ (1 მუხლი) აცხადებდა, რომ საქართველოს რკინის გზები სახელმწიფო საკუთრებას შეადგენენ და ფოთის ნავთსადგური გადავა მთავრობის მართველობაში, და რომ მთავრობა თანახმა არის აღნიშნული გზებისა და ნავთსადგურის ექსპლოატაციის კონტროლისათვის დაარსდეს განსაკუთრებული ქართულ-გერმანული კომისია (თუ კი მათი შემოსავლით უზრუნველყოფილი იქნება სესხის დაფარვა).

მუხლი მე-2 განზრახული იყო პარიტეტული წესით ქართულ-გერმანული სამთო-სამრეწველო საზოგადოების დაარსება, რომელსაც საქართველოს მთავრობა გადასცემს მადნების ექსპლოატაციის განსაკუთრებულ უფლებას; მთავრობა კი წინასწარ კანონმდებლობის წესით დაადასტურებს თავის მონოპოლიურ უფლებას სამთო მრეწველობაში.

ამ საზოგადოებას სახელმწიფო გაუწევს ზედამხედველობას; არსებული სამთო სამრეწველოების და შეძენილ უფლებების ლიკვიდაცია მოხდება განსაკუთრებული კანონების საშუალებით, რომელნიც დამყარებულნი იქნებიან შეთანხმების პრინციპზე.

თუ აქ გადმოცემული სხემა სავსებით შეეფერება განსაკუთრებით ომის დროს გავრცელებულს სახელმწიფოებრივ სოციალიზმის იდეას და შეერთებულ გეგმიან მრეწველობას, მე-3 მუხლში გამომჟღავნდა გერმანიის უდიდესი ინტერესი ნედლ მასალისადმი, რომლის მთელი რაოდენობა ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ შეეძლო შეეძინა და გაეზიდნა გერმანიას.

მე-4 მუხლში გერმანია გვპირდებოდა მოეწყო გემთა მიმოსვლა საქართველოსთან და შეემსუბუქებინა საქარხნო საქონლის, ნახევრად დამუშავებულ საქონლის და სანოვაგის ჩამოტანა საქართველოში.

მეორე დამატებით შეთანხმებას მხედველობაში ჰქონდა გერმანელ-კოლონისტების (ახალშენების) ინტერესები; ეს დამატება შესდგებოდა ორი მუხლიდან და სტოვებდა წინანდელ მათ უპირატესობას, გერმანიაში თავისუფლათ დაბრუნების უფლებას, და გერმანიის უფლებას მოსარჩლეობა გაუწიოს ახალშენებს, რომელნიც მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაასახლა რუსის მთავრობამ საქართველოში.

ზევით მოყვანილ სამი შეთანხმების გარდა, რომელნიც მთლიანად შეადგენდენ საფუძველს საქართველოსა და გერმანიის ურთიერთ განწყობილებისას, ფოთში ხელმოწერილი იყო კიდევ სამი ცალკე კონვენცია: გერმანიის ვალიუტის, როგორც გადახდის საშუალებას ადგილობრივ ფულებთან ერთად დროებით დაშვების შესახებ, განსაკუთრებულის კურსით და ამ კურსის წესის დასამყარებლად მთავრობათა შორის განსაკუთრებულ შეთანხმების შესახებ; დაჩქარებით ტყვეების გაცვლის საშუალებებისა და ზომების შესახებ (ეს იყო ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულების დებულებების დამატება), გადაცემა გერმანიის მთავრობის განკარგულებაში საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ ტონაჟისა.

ამ სპეციალურ კონვენციებიდან პირველი საჭირო იყო უმთავრესად იმ გერმანელ ჯარების ნაწილების ჩამოსვლის გამო, რომელსაც საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით მომავალში მოელოდენ (ასეთივე კონვენციები გერმანიას ჰქონდა თავის დროზე დადებული ბულგარეთთან და რუმინეთთან); მეორე კონვენცია განსაკუთრებულ განმარტებას, მგონი, არ თხოულობს; მესამის მნიშვნელობა მცირე იყო.

---

ფოთის შეთანხმებანი აწესრიგებდენ ომის მდგომარეობიდან გამომდინარე საჭირბოროტო კითხვებს; მეორეს მხრით ისინი ითვალისწინებდენ გერმანიის დახმარებას, ე. ი. გერმანიის კაპიტალის დახმარებას უმთავრესად სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში და საქართველოს ეკონომიურ განვითარებაში. გერმანია უზრუნველყოფდა საქართველოში თავისთვის, განსაკუთრებით მომავალში, მნიშვნელოვან უპირატესობას; მაგრამ საქართველოც ამ ხელშეკრულებიდან პოულობდა უშვალო სარგებლობას.

ხელშეკრულების მეოხებით საქართველო განთავისუფლდა ოსმალეთის მიერ დაპერის საშიშროებიდან: და ა რ ა ვ ი ს, გარდა გერმანიისა, არ შეეძლო, 1918 წლის ზაფხულში მაინც, ეს მოემოქმედნა. გერმანია გამოვიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ნათლიათ—და იმ წუთში მხოლოდ მას შეეძლო ეს როლი შეესრულებინა. მხოლოდ მისი დახმარებით კითხვამ მიიღო საერთაშორისო მნიშვნელობა.

საქართველოს მთავრობისადმი მიმართულ საიდუმლო წერილში გენერალი ფონ-ლოსსოვი მაშინვე, ე. ი. 28 მაისს 1918 წელში, ფოთში თავის თავზე ღებულობდა მოვალეობას მოეხერხებინა, რათა „გერმანიის მთავრობას გამოეცხადებია, რომ იგი მზათ არის დაეხმაროს საქართველოს მთავრობას რუსეთის მთავრობასთან რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან გამოსვლის გამო მოლაპარაკებაში და, გამოყოფის შემდეგ, იცნოს საქართველო თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთ“. გერმანიის რწმუნებულიც აგრეთვე კისრულობდა ზომები მიეღო, რათა „გერმანიას დახმარება გაეწია საქართველოსთვის საზღვრების დაცვაში და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთი-ერთ განწყობილების დამყარებაში“.

იმავე წერილში საერთოდ აღნიშნული იყო საქართველოს მიწა-წყალი: მისი საზღვრები შეიცავდენ ყოფილ გუბერნიებს ტფილისისას, ქუთაისისას და სოხუმის ოლქს.

ამ განმარტებით ბათომის ოლქი გამორიცხული იყო საქართველოს საზღვრებიდან (რაც ეთანხმებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას); მაგრამ ოსმალეთის მიერ ბათომში ახლად განცხადებულ პრეტენზიებს ტფილისის გუბერნიის ორ მაზრაზე (ახალციხისა და ახალქალაქის) გერმანიის წარმომადგენელი მხედველობაში არ ღებულობდა. ეს იყო ჩვენი მოლაპარაკებისა და ცდის ნაყოფი. რა თქმა უნდა, მხოლოდ შემდეგ, ბერლინში გამოირკვეოდა, რამდენათ მოისურვებდა გერმანია თავის თავზე მიეღო ასეთი მოვალეობანი, რომელთა სასარგებლოთ ყოველგვარ მუშაობას დაგვპირდა ფონ-ლოსსოვი.

საყურადღებოა წერილში მოყვანილი ერთი შენიშვნაც: სოხუმის ოლქი (გაგრიანათ) შეადგენს საქართველოს ნაწილს მანამდის, სანამ საქართველო კავკასიის საზღვრებში დამოუკიდებელია. თუ კი შესდგა კავკასიის ხალხების კონფერენცია და ამ კონფერენციაში შევიდა საქართველო, მაშინ სოხუმის ოლქის მცხოვრებთ უნდა მიეცეს უფლება თვითონვე გადასწყვიტონ თავისი მდგომარეობა კავკასიის ქვეყნებს შორის.

სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, აფხაზეთის მცხოვრებთ შეეძლოთ აერჩიათ, შეერთებოდენ საქართველოს, შესულიყვნენ მთიელთა კავშირში, ან, როგორც ცალკე სახელმწიფო-კანტონს, მონაწილეობა მიეღო კავკასიის კონფედერაციაში.

აქედან ცხადია, თუ რა მნიშვნელობა ეძლეოდა კავკასიის ხალხების პოლიტიკურ გაერთიანების გეგმას, მაშინაც კი, რო-

ცა მდგომარეობა აუცილებლად ხდიდა ამიერ - კავკასიის კავშირის დაშლას!

დაგვრჩა დაუმატოთ, რომ ზემოაღნიშნული წერილი გენ. ფონ-ლოსსოვისა თავდებოდა ცნობით, რომ ფოთში ჩამოდის გერმანიის ჯარის ნაწილები: ეს კი მომასწავებელი იყო რომ, საქართველოს შეუძლია აღარ ეშინოდეს ოსმალეთის შემოსევისა და ხელი მიჰყოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირველ საფეხურებს. ამგვარათ პირველი ჩვენი ამოცანა სრულდებოდა. უფრო გარკვეული შედეგები (ოსმალეთთან გამიჯვნა, საქართველოს კითხვის რუსეთის მდგომარეობასთან შეთანხმება და სხვა) შეიძლებოდა მხოლოდ ბერლინში მიგვეღო: გზასაც იქეთ მივყავდით.

# თავი მეათე.

## QUO VADIS, GEORGIA?

## (ვიდრე ხვალ, საქართველო?)

პირდაპირი სავალი გეზით მოვდიოდით კონსტანცაში—1918 წლის ამ თვეებში შავი ზღვა პირდაპირ გერმანელების ტბა იყო. მშვენიერი დარები იდგა; გვაქანებდა მცირეთ; დელეგაციების გარდა მგზავრი არავინ იყო; თავისუფალი დრო ბევრია: ყველაფერი ხელს გვიწყობს თავისუფლათ გაუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი აზრი.

გარდა გენერალ ფონ-ლოსოვისა, ო. ფონ-ვეზენდოკისა და გერმანიის დელეგაციის ორი წევრისა, ჩვენი თანამგზავრები იყვნენ: გენერალური შტაბის ერთი პოლკოვნიკი, რომელიც კონსტანტინოპოლში ბრუნდებოდა და ბათომშივე ყოფილი „ფრანკფურტის გაზეთის“ თანამშრომელი, ჟურნალისტი ვეიცი. ჩვენთან მოდიოდენ სომხეთის დელეგატები: ა. ზურაბოვი (აწ გარდაცვალებული) რომელიც სატყეო ინსტიტუტის მრისხანე სტუდენტათ მახსოვს პეტერბურგში. ტემპერამენტითა და მოქმედების ხასიათით პროფესიონალი-რევოლიუციონერი, სოც. დემ. პარტიით, იგი იყო მე-2-ე სახელმწიფო სათათბიროს წევრათ თურქესტანიდან; მაშინ აურ-ზაური ატეხა ჯარის წინააღმდეგ რაღაც მეტიჩრობით; ეს-ლა კი მიდიოდა ბერლინში, რომ დახმარება მოეპოვნა თანამემამულეთათვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმედებს ამყარებდა არა „გენერლების“ გერმანიაზე, არამედ genossen-ებზე (ამხანაგებზე). ცოტა მსგავსება ჰქონდა მასთან სომხეთის მეორე რწმუნებულს, ექიმ ამაზასპ („ამო“) ოგანჯანიანს—იგი იყო მეოცნებე-რევოლიუციონერი, პატრიოტი და ხალხის მოტრფიალე.

საქართველოს დელეგაცია შესდგებოდა ჩხენკელის, ნიკოლაძის და, როგორც გერმანელები იტყვიან, „ჩემ უმცირესობისაგან.“*)

---

*) მას მერმე რაც ჩვენი ს. დ. „კომიტეჯი“ მთელი თავისი ორგანიზაციით, თუნდაც უნებურათ, ჩაებენ საქართველოს სახელმწიფოებრივ მუშაობაში, სავალდებულოთ მიმაჩნდა მათთან მუშაობა. ბერლინში წასვლას სრულიად არ ვაპირებდი, მერჩია ფოთიდან თბილისში დავბრუნებულიყავი. სამწუხაროთ უკანასკნელ მომენტში გამოირკვა, რომ ჩემი წასვლა საჭიროა, და მაიძულეს კიდეც.

ჩვენთან იყო აგრეთვე დამსახურებული ჟურნალისტი და პარტიის მუშაკი, სოციალ-დემოკრატი, ყოფილი სემინარისტი, ცოტაონად შემდეგ გერმანიაში ნასწავლი ლადო ახმეტელი. იგი მოდიოდა, როგორც საქართველოს ს.-დ. დეპუტატი გერმანიის ამხანაგებთან; იგი საქართველოს იმ პროვინციიდანაა, რომელიც განთქმულია კამეჩებით ძლიერი გლეხობით და უთვალავ მღვდლის შვილებით.*)

დასასრულ მოვიხსენიებ ჩვენს თანამგზავრს გვარდიის ყოფილ ოფიცერს, კავკასიის მოადგილეობის დროს დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ადიუტანტს თდ. ტუნდუტოვს. ეხლა იგი ითვლებოდა ასტრახანის ყაზახ-კალმიკების ატამანათ; მის გვარს ამ ხალხში ტრადიციული პატივი აქვს. ეს თავაზიანი ახალგაზდა-კაცი, მონღოლური ტიპის ჯიშიანი სახით მიდიოდა ბერლინში, რომ დახმარება ეშოვა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ბაქანზე იყო 200-მდე სამხედრო-ტყვე, უმთავრესად ავსტრიელები. სამხედრო ბიულეტენებს ღებულობდენ უმავთულო ტელეგრაფით, შიფრს არჩევდენ გერმანიის დელეგაციის უცროსი წევრები გვიან ღამით და დილას უკითხავდენ ტყვეებს, ე. ი. ტყვეობიდან განთავისუფლებულებს. ყოველ დღე ახალ-წარმატებაზე იყო ცნობა (ეს იყო ძლევა-მოსილი და, როგორც ფიქრობდენ, საფრანგეთზე გადამწყვეტი შეტევის დრო). მსმენელთ არ ეტყობოდათ აღფრთოვანება. აღტაცება ომის ცნობების კითხვის დროს გულისხმობს გეოგრაფიულ ფანტაზიის, განსაკუთრებულ, ნამდვილ საგაზეთო აღზრდას და რაც უმთავრესია — ფსიხოლოგიურად ომის ასპარეზზე ჩამოშორებას.

გერმანელი ჩვენი თანამგზავრები, ძალიან განათლებული და ცნობის მოყვარე ხალხი, ჩემთვის და ნიკოლაძისთვის მეტად სასიამოვნო მოსაუბრენი იყვნენ: დიდის ხალისით გვისმენდენ და გვიზიარებდენ თავის ფართო გამოცდილებასა და ცოდნას. ჩვენ საკმაო

---

*) ახმეტელი და ჩხენკელის პირადი მდივანი, უფრო კი, საეკლესიო ენით რომ თქვათ, მორჩილი ს. კ. გემზე სუფრაზე დააჯდინეს არა დელეგატებთან კაიუტ-კომპანიაში, არამედ მეორე სართულში, გემის უცროს ოფიცრებთან: ეს ამბავი იყო გერმანიის რევოლიუციამდის, მაგრამ ისტორია საყვარელ ახმეტელს მალე უმზადებდა სრულ რევანშს: გენერლების იერარქიული გერმანია დაეცა, და ახმეტელი შეიქნა საქართველოს ელჩი ბერლინში.

დრო გვქონდა გადაგვეთვალიერებია აღმოსავლეთთან დაკავშირებული ყველა კითხვა ჰერკულესის სვეტებიდან პამირამდე. უფრო სპეციალური და განსაზღვრული ბაასი ჩვენ გვქონდა, ბუნებრივია, ფონ ლოსსოვთან და ვეზენდოკთან საქართველოზე და კავკასიაზე.

დასავლეთის ფრონტის სამხედრო მდგომარეობას ჩვენ გვიხსნიდა, მართალი უნდა ითქვას ძლიერ თავდაჭერილად, ბავარელი პოლკოვნიკი. გერმანულ გაზეთების თანამშრომელი კი გვიამბობდა თავის შთაბეჭდილებას, აღმოს. ანატოლიის შესახებ. მისი სიტყვით რუსეთის მიერ გაყვანილი ვიწრო ლიანდაგიანი გზა სარაყამიში—ერზერუმისკენ ინგრევა: „მათ ხელში ყველაფერი უეჭველად გაფუჭდება“.

საქმიანი თათბირიც გვქონდა გერმანიის დელეგაციასთან გემის ბაქანზე 29 მაისს. აქ ისევ ვმსჯელობდით ამიერ-კავკასიის მთლიანობის აღდგენის შესახებ. ჩვენ ავღნიშნეთ, რომ არ არის სასურველი ქრისტიანების და მუსულმანების ფრიად მკაცრად დაპირდაპირება მაშინ, როდესაც მათი ინტერესები მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან, და რომ არ არის სასსურველი ამით ორი გამიჯნული სფეროს შექმნა. ჩხენკელის აზრით გერმანია განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა მოეპყრას თათრებს, რომელთაც ესმით გერმანიასთან ეკონომიური დამოკიდებულების მნიშვნელობა და სხვა.

გენერალი ფონ-ლოსოვი თავის მხრით იმ აზრის იყო, რომ დღეს-დღეობით გერმანიას შეუძლია იზრუნოს მხოლოდ საქართველოსა და სომხეთზე, რომლის წარმომადგენელებმა დახმარებისათვის გერმანიას მიმართეს. თურქები გერმანიის დახმარებას არ თხოულობენ; ისინი მოელიან დახმარებას ოსმალოებისაგან და სრულიად არ მიმართავენ გერმანიას ოსმალოების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ზურგის გასამაგრებლათ.

ასეთ პირობებში „გენერალის აზრით“ სრულიად არ არის საჭირო, რომ გერმანიამ თურქებს თავისი სამსახური—მეაჩეჩოს. უნდა მიღწეული იქნეს შეთანხმება ოსმალეთთან, და დაცულ იქმნეს საქართველო ოსმალეთისაგან. ეს არის საფუძველი ჩვენი მუშაობისა, რომელიც შემდეგ მეთოდიურათ უნდა იქნეს გაგრძელებული.

ვიკვლევდით საბუთებს, რომლითაც გერმანიას შეეძლებოდა ოსმალეთი დაეთანხმებია უარი ეთქვა საქართველოს მიწა-წყალის მიმართ უკანასკნელად წამოყენებულ მოთხოვნილებაზე. ვარჩევდით აგრეთვე კითხვას მთიელთა რესპუბლიკის ხასიათისა და მის მნიშვნელობის შესახებ. გენერალს ძლიერ აღელვებდა საშიშროება რო-

მელიც მოელოდა სომხეთის მოსახლეობას. ,,გერმანიისათვის-ვამბობდით ჩვენ, ამ მოსახლეობის სიცოცხლის დაცვა პატიოსნების კითხვას შეადგენდა". უნდა მოვახერხოთ, რომ ოსმალოებმა დასცალონ განსაზღრული რაიონებიო—ასეთი იყო ფონ-ლოსოვის პრაქტიკული დასკვნა. მაგრამ ამ კითხვის შესახებ ის სპეციალურად ეთათბირებოდა სომხების დელეგატებს.

31 მაისს თითქმის სამი დღის მოგზაურობის შემდეგ ჩვენ მივედით კონსტანცაში: ეს საკმაო სისწრაფეა „ვაჭრისათვის", რომელიც თანაც გახვრეტილ იქმნა მარმარილოს ზღვაში ტორპედით, გამოთრეულ იყო წყლიდან და შემდეგ დაკერებულ იქმნა.

უკვე გამოჩდენ შენობები, ელევატორი, ნავთის შესანახი ქვაბები. ნავთსადგური მკვდარია: არც გემებია, არც ხალხი. მხოლოდ სამხედრო ტყვეებს—ბელგიელებს გადმოაქვთ ქვანახშირი. არიან ჯარის კაცები ოსმალოები, გერმანელები, ბულგარელები. განცხადებები სამ ენაზეა დაწერილი.

შევდივართ ქალაქში განსაკუთრებული ნებართვით. გერმანელები აქ პირველობენ: ამბობენ, მოსახლეობისთვის ბულგარიის მიერ ამ მხარის დაჭერა მეტად აუტანელი იყო.

ზღვის მშვენიერი ნაპირი ცარიელია. ქუჩები სუფთაა. ოვიდიუსის ძეგლთან ახალგაზრდა ბულგარელი პრაპორშჩიკი გერმანულ ენაზე ეარშიყება რუმინელ ქალიშვილებს.

უკანასკნელად ვჯდებით სუფრაზე გემ „Minna Horn"-ზე; როგორც ყოველთვის, სუფრაზე მოაქვთ და ჩვეულებრივ კეთილ შედეგებს იწვევს, ტფილისის ყოფილ საუფლისწულო მამულის სარდაფების კახური ღვინო: ის გერმანიის დელეგაციას უთავაზა საქართველოს მთავრობამ. Habeant sua fata... vina.

1-ლ ივნისს დილით ადრე განსაკუთრებული მატარებლით ჩვენ გავემგზავრეთ ბერლინში. ჩერნავოდის განთქმული ხიდი დუნაიზე 1916 წელს რუმინიის კამპანიის დროს იყო აფეთქებული: მდინარის ამ ტოტზე (Borcea) ჩვენ გადავედით ბორანით, შემდეგ ფეხით მივედით Fetesci, საიაც ჩვენ გვიცდიდა ახალი მატარებელი.

გერმანიის დელეგაციის ერთი ნაწილი ბუხარესტში ჩამოგვშორდა. ისინი მიდიოდენ კონსტანტინოპოლში.

მივდიოდით დიდსა და მცირე ვალახიაზე. დღე იყო ცხელი; ყველგან მოსჩანდა სიმიდის, ლობიოს და პურის მწვანე ჯეჯილი. ქალები, ბავშვები, მარგლავდენ ყანებს. სოფლის მეურნეობის ნამ-

დვილი სამეფოა! ეს ქვეყანა დროებითაა დაპყრობილი. ნუ თუ იგი დაჰკარგავს მთელ დობრუჯას და კონსტანცს?..

კრაიოვის შემდეგ ქვეყანა კიდევ უფრო ამწვანებულია. დაიწყო ტყეები ერთის მხრით არის ტრანსილვანიის ალპების ქედები, მეორე მხრით—დუნაის ახლო მდებარე მაღლობი. იქ სერბიაა დამორჩილებული, გასრესილი, რომელსაც მძიმედ დააწვა გამარჯვებული.

მეორე დღეს მივჰქრით და სიგანეზე ვსერავთ უნგრეთს; საუცხოოდ დამუშავებული ველები. პური, სიმინდი, ვენახები, ხეხილის ბაღები, ყველაფერი ამწვანებულია; ყანები ნაზად ტორტმანობს; რასაც კი თვალი მიწვდება, ყველაფერი დამუშავებულია. საკვირველი არ არის, რომ გერმანია იძულებულია გამოკვების საქმეში დაეხმაროს ავსტრიას?! აქ ქადებსაც კი მიირთმევენ და „რაციონების“ მოწყობა კი ვერ მოუხერხებიათ!

ბუდაპესტში ჩვენ მიგვაბეს ჩვეულებრივ ექსპრესს. 3 ივნისს დილით ჩვენ ჩავედით ბერლინში, კონსტანციდან გამოსვლის სრულ ორმოცდა რვა საათის შემდეგ, (რა ბრწყინვალე სისწრაფეა); დიდი ომის ბერლინი—საიდანაც ასე მომსპობად სწარმოებდა მოქმედება ყბად-აღებულ „შინაური ხაზებით“.

## 28

ბერლინში 1918 წლის ივნის-ნოემბერში ჩვენ ჭეშმარიტად ვიყავით მოწმეები გერმანიის იმპერიის სიდიადისა და მისი დაცემისა. მოქმედებაც მოგვიხდა პირველად ამ „სიდიადესთან შეფარდებით“, და შემდეგ კი ამ „დაცემისაგან‘‘ თავის დასაღწევათ.

1917 წლიდან უკვე გამოირკვა, რომ საქართველოს შეუძლია მოაწყოს შინაური სახელმწიფოებრივი წყობილება ეგრეთ წოდებული ,,რევოლიუციის მონაპოვართა‘‘ ნიადაგზე. ზევით ჩვენ ვნახეთ, თუ შემდეგ რა მრგომარეობამ გამოიწვია მისი სრული პოლიტიკური განცალკევება. მაგრამ საქართველოს ეხლა, რა თქმა უნდა, არ ქონდა არც საშვალება, არც მიზეზი მიეღო რაიმე მონაწილეობა მსოფლიოს ორომტრიალში.

რადგან 1918 წლის ზაფხულში გერმანიას, უეჭველია, სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობა ჰქონდა შავი ზღვის ირგვლივ და ოსმალეთის მიმართაც—ის აშკარა ჰეგემონი იყო; ჩვენ შეგვეძლო

ოსმალოების გადაჭარბებულ სურვილების წინააღმდეგ დაგვეყენებია მხოლოდ ერთად ერთი რამ—გერმანიის კონტროლი. ჩვენც ვეცადეთ რაც კი შეიძლება მეტი სარგებლობა გამოგვეტანა თვით გერმანია-ოსმალეთის საკავშირო დისციპლინიდან.

ამოცანა, რომელიც დადგა ბათუმში ჩვენს წინაშე, მოითხოვდა სწორეთ ასეთს, თანაც დაუყონებლივ, გადაწყვეტას, ჩვენ მივაღწიეთ მაშინვე ფოთის შეთანხმებით ასეთს modus vivendi-ს ამიერკავკასიაში და საქართველოში, რომლის მეოხებით როგორმე შესაძლებელი შეიქმნა არსებობა.

ბუნებრივია, რომ ბერლინში ჩვენ ვცდილობდით უპირველესად ყოვლისა, უზრუნველგვეყო და გაგვემაგრებია მიღწეული და უშუალო ნაყოფი, მაგრამ ჩვენ ეხლა მიუახლოვდით ბევრად უფრო რთულ კითხვას საქართველოსა და გერმანიის განწყობილებისას, რომლის საფუძველი იყო საქართველოს აღიარება და მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ხოლო გერმანიისათვის განსაზღვრული ეკონომიური უპირატესობის მინიჭება.

მეორე ამოცანის გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იყო ომის ბედზე, რომლის სისწორით წინათ განკვრეტა 1918 წლის მაის—ივნისში მეტად ძნელი იყო.

მაგრამ ჩვენს მოლაპარაკებაში ჩვენ გამოვდიოდით და ბუნებრივია, უნდა გამოვსულიყავით იმ მოსაზრებიდან, რომ გერმანია ამ ომიდან გამოვა გამარჯვებული ან და, ყოველ შემთხვევაში, პატივდებული; ამ ფიქრით (ზოგჯერ კი რწმენით) ბევრი რამ ხდებოდა, მზადდებოდა და მოისაზრებოდა თვალუწვდენ სივრცეზე ,,ფინეთის ცივ კლდეებიდან ცეცხლოვან კოლხეთამდე''!—ასეთი წინასწარი აზრი უნდა გვქონოდა საქართველოს პოზიციის მომზადების დროს, რადგან სწორედ ასეთი გზით, ე. ი. ,,მომავლის მუსიკით'' ჩვენთვის შესაძლებელი ხდებოდა ჯერ ერთი გაგვემტკიცებია ჩვენი ქვეყნისთვის დღეს-დღეობით საჭირო modus vivendi; მეორე, გერმანიის დახმარებით შეგვეძლო იმედი გვქონოდა მოწესრიგებულიყო განწყობილება საბჭოთა რუსეთთან, და, დასასრულ, მოულოდნელობისა და ცალკე შემთხვევების დროს საერთოდ ვამაგრებდით საქართველოს მდგომარეობას, როგორც ხახელმწიფოებრივ, მოწესრიგებულ ერთეულისას.

უეჭველია, გარდა მომავალი სარგებლობისა, გერმანია უშუალოთ ღებულობდა დღესვე მისთვის საჭირო ნედლეულის ძლიერ მცირე რაოდენობას, რომელიც ჩვენ მომარაგებული გვქონდა; მაგ-

რამ თუ კი ომი გაგრძელდებოდა და მესოპოტამიასა და სპარსეთში ოპერაციები ინგლისელების წინააღმდეგ განვითარდებოდა, გერმანიასა და ოსმალეთს ამიერ-კავკასიაში ექნებოდა მოქმედების დასაყრდნობი ადგილი.

ასეთი იყო საქმის სარჩული, მაგრამ ამიერ-კავკასიას, მით უმეტეს მარტო საქართველოს თავისი ძალით არ შეეძლო და არც უცდია მიეღო თავის თავზე ისეთი მოვალეობა, რომელიც თვით რუსეთისათვის სამძიმო იქნებოდა, სახელდობრ დაეკეტა გერმანიისა და ოსმალეთისათვის ამიერ-კავკასიის სპარსეთისაკენ მიმავალი გზები. ამაზე უნდა ეზრუნა ინგლისს. შესაძლებელია ინგლისი რომ თავის დროზე გამოჩენილიყო ტფილისში, თუნდაც მცირე ძალით იგი შესძლებდა ოსმალეთის წინააღმდეგ ადგილობრივ თავდაცვის მოწყობისათვის საკმაო დახმარება გაეწია. ინგლისს ასეთი აზრი ჰქონდა; მაგრამ აზრიდან ნების ყოფამდე, მით უმეტეს განხორციელებამდე დიდი გზაა.*) 1918 წლის ზაფხულის დასასრულს ბაქოში ინგლისელების სავალალო ჩასვლამ ნათლად გვაჩვენა, რამდენათ სამართლიანი იყო, იმედი არ დაგვემყარებია ამ მხრიდან დახმარების მიღებაზე.

---

*) ამ მხრით საყურადღებო ცნობები იხ. წიგნში; Maior-general L. C Dunsterville. The aduentures ot Dunsterforce F. 1920. როცა კავკასია-სპარსეთის ფრონტმა იწყო დაშლა (1917 წ. შემოდგომიდან) ინგლისელების აზრით მდგომარეობის გამოკეთება შეიძლებოდა, თუ ტფილისში დაუყონებლივ იქნებოდა გაგზავნილი ბრიტანეთის განსაკუთრებული მისია, რომელიც მოაწყობდა ოსმალეთისაგან თავდაცვის საქმეს და შეაერთებდა ადგილობრივ სამხედრო ნაწილებს—რუსებს, ქართველებსა და სომხებს. ავტორს ის დასკვნა გამოპკავს, რომ რადგან ოსმალეთის ჯარის დონე შედარებით 1916 წელთან საკმაოთ დაეცა, მიზანის მიღწევა შეიძლებოდა შედარებით მცირე საშუალებით და ძალით. მისიის სათავეში დაყენებული იყო თითონ ავტორი, რომელიც 1918 წლის იანვარში გაემგზავრა ბაღდათში მოწინავე ჯგუფით. მაგრამ ფაქტიურათ ყველაფერი დამთავრდა ინგლისელების ექსპედიციით რეშტიდან ბაქოში; აქ ინგლისელები გადმოსხდენ 1918 წ. შუა აგვისტოში, იქიდან კი უკანვე გაბრუნდენ 15 სექტემბერს, რომ უფრო გვიან, ოსმალოების საერთო კაპიტულიაციის შემდეგ, ისევ დაბრუნებულიყვნენ.

1917—1918 წ.-წ. ინგლისის დახმარება ამიერ-კავკასიისათვის უნდა მოსულიყო ძლიერ შორის და თავდარებულ გზით—ბაღდადი, სპარსეთი, კასპიის ზღვა! სამწუხაროა, რომ ინგლისის ეს პლანი არ განხორციელდა. ამიერ-კავკასია ამით მოიგებდა. სხვა საკითხია, რას იტყოდენ რუსები, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ინგლის-კავკასიის ფრონტი შექმნილიყო.

ყოველ შემთხვევაში ბერლინში შეიძლებოდა ლაპარაკი მხოლოდ საქართველოსა და ოსმალეთს (მოკავშირეებითურთ) შორის მშვიდობიანობის უზრუნველყოფის პირობებზე; რა თქმა უნდა, სიტყვაც არ დაძრულა და არც შეიძლებოდა დაძრულიყო, რომ ჩვენ მივიღებდით მონაწილეობას ომში ოთხ მოკავშირეთა მხარეზე! სწორი იყო თუ შემცდარი, ქართული პოლიტიკის ძირითადი გეზი იყო ნეიტრალიტეტი კავკასიის უღელტეხილის იქით სამოქალაქო ომში, ნეიტრალიტეტი საერთაშორისო ომში (რამდენათ შესაძლებელი იქნებოდა!). ომისა და რევოლიუციის ვითარებამ აგრეთვე გეოგრაფიულმა მიზეზებმა (სრუტეების დაკეტვამ ჩამოგვაშორა დასავლეთს) ჩვენ მიგვიყვანა ბერლინში და ჩვენ ჩავედით შეთანხმების განსაზღვრული გეგმით. შეთანხმება ხელმოწერილი იყო გერმანიის მხრით, რომელიც ფორმალურად წარმოადგენდა გერმანიის მთავრობას, მაგრამ საქმით უფრო დაკავშირებული იყო გერმანიის უმაღლეს სარდლობასთან. ეს ინსტანცია იყო გადამწყვეტი, მაგრამ ჩვენ გვიხდებოდა ეხლა საქმე დაგვეჭირა გერმანიის საგარეო პოლიტიკის მუდმივ იარაღთან—საგარეო საქმეთა უწყებასთან, რომელსაც არ შეეძლო ჩვენი საქმის „წარმოებაში“ არ შეეტანა თავისი მეთოდები და ჩვეულება, რაც ახასიათებს ასეთი სიდიდის და მოწყობის მანქანას.

ამ საჭირო განმარტებების შემდეგ მოვიყვან რამოდენიმე ამონაწერს ჩემი მაშინდელი შენიშვნებიდან.

# თავი მეთერთმეტე.

## ბერლინში (იანვარი 1918 წელი).

4 ივნისი. დავიწყე წერილობით განმარტება იმისი, თურისთვის ჩამოვედით და რას ეძებს საქართველო.

გავეცან ომის დაწყებიდან აქ დარჩენილ ქართველ-ემიგრანტების ჯგუფს, რომელიც რაღაც საშვალებით ომიდან მოელოდა სამშობლოს განთავისუფლებას. მათ გიჟებათ სთვლიდენ; ეხლა მათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ ისინი იყვნენ მართალი. შეცდომაა! რაც, 1917 წელში მომხდარ ამბების შემდეგ, გონივრული და აუცილებელი გახდა 1918 წ. პირობებში, 1914—1917 წლებში იყო უნიადაგო უსაფუძლო, და ამიტომ ფუჭი, მაგრამ მათმა მუშაობამ, პროპაგანდამ ბევრი რამ მოამზადა.

5 ივნისი. დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში ჯერ გრძელი ბაასი გვქონდა საიდუმლო მრჩეველთან, ფონ-როზენბერგთან*) და დ-რ გეპპერტთან**), შემდეგ მიგვიღო მინისტრმა რ. ფონ-კიულმანმა;—მის მშვენიერ კაბინეტში ჰკიდია ლენბახის ნახატი ბისმარკის სურათი. კიულმანმა ჩემზე დასტოვა დიდი საქმის კაცის შთაბეჭდილება, მაგრამ მთელი ქვეყნის დიდი მოხელეები ისე ჰგვანან ერთმანეთს!

საღამოს გენერალი ფონ-ლოსსოვი წავიდა ვილჰელმთან, ბანაკში; მას გაჰყვა კალმიკთა ატამანი ტ.

6 ივნისი. ფ.-როზენბერგთან და გეპპერტთან ერთად „ვაღრმავებთ“ საქართველოს ფორმალურათ ცნობისა და საქართველოსა და რუსეთის შორის ურთი-ერთ განწყობილობის და სხვა თემებს.

---

*) 1923 წ.—საგარეო საქმეთა მინისტრი.

**) ეხლა 1924 წ.—ელჩათაა ჰელსინგფორსში.

მე ურჩიე ჩხენკელს, როგორც მინისტრს, არ დასწრებოდა ასეთს თათბირებს; დამეთანხმა. კარგი თვისებები აქვს: იერიში და დაჟინება. ზედ მეტია მხოლოდ, რომ იგი ასწავლის გერმანელებს, რაა მათთვის სასარგებლო, რამდენათ დაეცამა მათი სახელი თუ არ მოიმოქმედის ესა თუ ის და სხვა.

8 ივნისი. ბერლინი წარმომიდგა, როგორც დამშვიდებული, დარწმუნებული, დინჯი და დაღლილი ქალაქი.

უეცრათ ავათ გამხდარ ჩ-ს მაგიერ მე მომიხდა მოუმზადებლათ გამეკეთებინა გრძელი მოხსენება რეიხსტაგში პარტიების წარმომადგენელთა თათბირისათვის ამიერ-კავკასიის ამბებზე, საქართველოზე და კავკასიის მომავალ კონფერენციაზე. დაესწრენ შეიდემანი, ერცბერგერი, ფ. ბაუმანი, დავიდი და სხვა წარმომადგენელთა მთელი რიგი.

მომცეს სხვა და სხვა გვარი კითხვები. განსაკუთრებულ ცნობის მოყვარეობას იჩენდენ ერცბერგერი (რომელიც ყოველთვის საუზმობს ჩვენ სასტუმრო—Adem-ში) და „შუა ევროპის" ავტორი ნაუმანი.

9 ივნისი. ხანგრძლივი იყო ჩემი ბაასი საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორთან. დ-რ კრიგთან. ჩემს შესვლამდის მასთან იყო იოფფე,

კრიგე სდგას მკაცრ ფორმატიურ თვალსაზრისზე: რუსეთი ჩვენთან მშვიდობიან განწყობილებაში არის, და ჩვენთვის ძნელია ერთი მისი ნაწილი დამოუკიდებლათ ვიცნოთ, როცა ეს არ მოგვიმოქმედნია ბრესტ-ლიტოვსკში. ჩვენ არ შეგვიძლია რუსეთს წავეჩხუბოთ, როცა ძალების ასეთი დაჭიმვა გვჭირდება საფრანგეთის ფრონტზე: ხალხთა თვითგამორკვევის უფლება აღიარებული აქვს რუსეთის მთავრობას, მაგრამ ამ აღიარებაზე დამყარება არ შეუძლია მესამე სახელმწიფოს და სხვა.

---

უფრო გვიან, სხვებთან ერთად ვიყავი დარბაზობაზე ფ. ვ-თან. იქ იყვნენ ახალგაზრდა დიპლომატები, ჟურნალისტები, ორიენტალისტები. საყურადღებო იყო სპარსეთის ცნობილი რევოლიუციონერის ტაკი-ზადეს გაცნობა; მის შესახებ ბევრსა სწერდენ 1906 წელ. თავრიზისა და ტეჰერანის ამბების გამო.

10 ივისი. საერთოდ კრიგეს დასამშვიდებლათ საჭიროა წარვადგინოთ დამტკიცებები, რომ საქართველო ისე ჩამოშორდა რუსეთს, რომ უკანასკნელის უფლებები არ დაურღვევია. თავსამტვრევი ამოცანაა.

ტუნდუტოვი დაბრუნდა გენ. ფონ-ლოსსოვთან ერთად ბანაკიდან. გენერალს ფ.-ლოსსოვს ხუმრობით მე „იმპრესსარიო"-ს ვეძახი.

დუნდუტოვის სიტყვით იგი იმპერატორმა კარგათ მიიღო და მასთან ხანგრძლივ იმუსაიფა; იმპერატორი იმ აზრისაა, რომ რუსეთი უნდა გაიყოს 4 ნაწილათ: ველიკო-როსსია, უკრაინა, ციმბირი და სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი კავკასიით (ცენტრი—თფილისი). ო, ხომ არ ეშლება ტუნდუტოვს? თუ ორივეს ეშლება?

ტ. გერმანელ ოფიცრებთან ერთად დღეს მიემზგავრება ნოვოჩერკასკში ვარშავა-კიევის გზით. კალმიკების ველიდან და როსტოვიდან, შეთანხმებით იმოქმედებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ნეტავი ვიცოდე ამ კითხვის შესახებ, რა „დასკვნას" გააკეთებს დ-რი კრიგე! აი განსხვავება „ლეგალურ" და „უპასუხისმგებლო" დიპლომატთა შორის.

თუ ტ.-ს დაუჯერებთ, ბელგიაში „ბევრი არაფერი საშინელება სჩანს—ხალხი კარგათ არის გამოწყობილი, ქადები, ხალისი... იგივეა საფრანგეთში". ადვილი გასაგებია, სადაც „იმპერატორი" და „ქადებია"—იქ ყველაფერი მშვენივრათ მიდის *)!

---

გენერალ ფონ-ლოსსოვისთვის ვილჰელმს უთქვამს, რომ, როგორც ბავშობიდან ახსოვს, მამა მისი, ტახტის მემკვიდრე ფრიდრიხი, დაესწრო ალექსანდრე მე-3-ის ჯვარის წერას, სადაც ნახა „საქართველოს დედოფალი, რომელსაც თავს ედვა რომაული ციხის მგზავსი გვირგვინი". საყურადღებოა გერმანიის იმპერატორის მეხსიერება და რომანტიული აზროვნება. როგორ მოგწონთ: საქართველოს გვირგვინი!

რაც შეეხება თვით ფაქტს, იგი სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს. წარსული საუკუნის მე-60-ცე წლებში საქართველოს

---

*) ყოფილ იმპერატორის ვილჰელმის მემუარებში მოხსენებულია თავ. ტუნდუტოვთან ბაასი.

„არც ერთი დედოფალი“ ცოცხალი არ ყოფილა. შეიძლება ეს იყო ოდიშის უკანასკნელი მთავრის მეუღლე? მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა.

ფონ-ლოსოვი ამბობს, რომ საგარეო საქმეთა საქაური სამინისტრო სავსებით არ იზიარებს იმ პოლიტიკას, რომელსაც იგი ურჩევს, და ყველაფერს გადაჭარბებულის სიფრთხილით, ფორმალურათ უყურებენ. მაგრამ თვით იმპერატორი, ჰინდენბურგი და ლიუდენდორფი —სხვა საქმეა. ტყუილად კი არ მოისწრაფოდა ის ფოთიდან აქეთკენ. ეხლა საჭიროა ჩვენ საჩქაროთ წარვადგინოთ ჩვენი საავარაუდო გეგმა. მისი აზრით, საქართველოს გერმანიასთან კავშირი უნდა იყოს მჭიდრო, და საქართველო უნდა დარჩეს სრულიად დამოუკიდებელი. ამ ერთობის ფორმა კი შეადგენს სპეციალურ კითხვას, რაშიაც იგი არ არის საკმაოთ ჩახედული.

იგი ხშირათ უბრუნდება თავის აზრს, სომხეთის კითხვაში გერმანიის პასუხისმგებლობის შესახებ და რომ საჭიროა მომავალში ამოკვეთილ იქმნეს სომეხთა ამოჟლეტა.

---

მივიღე პირი რწმუნებულების ქაღალდისა, კანცლერის გრაფ ფონ-გერტლინგის ხელმოწერით, რომელშიაც გენერალი ბარონი კრესს ფონ-კრესსენშტეინი ინიშნება საქართველოს მთავრობის წინაშე გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლათ; ეს არის ნამდვილი წარმატება. ბარონ კრესსი აქ ითვლება იშვიათ, თვალსაჩინო პიროვნებათ *). იგი, როგორც ფონ-ლოსსოვიც, ბავარელია.

ფოთში ჩავიდა გერმანელი ქვეითა ჯარის ორი ბატალიონი. ერთის სიტყვით ჩამოყალიბებას განიცდის ჩვენთვის ყველაფერზე

---

*) ასე ახასიათებს მას ოსმალეთის გერმანელ მისიასთან ყოფილი უფროსი, ლიმან ფონ-სანდერსი: „der Oberst Frei herr v. Kress, ein ganz hervorragender, tüchtiger offizièr“ იხ. Liman von Sanders, gen. der Kavalerie. Fünf Jahre Türkei B. 1920. j. 58. ბარონ კრესსი იყო მეოთხე არმიის შტაბის უფროსათ ჯემალ-ფაშასთან (უკანასკნელი ამასთანავე იყო საზღვაო მინისტრადაც იხ. ზევით გვ. 37) სუეცის არხის ცნობილი ოპერაციების დროს 1915 წ. იგივე კრესსი იცავდა გზას ინგლისელებიდან.

უფრო მნიშვნელოვანი ფაქტიური მდგომარეობა. აქ კი ჩვენ ნელ-ნელა შევისწავლით მდგომარეობას და მოვისაზრებთ, რა მოუხერხოთ „უწყების რუტინასა“ და როეორ გადავლახოთ დ-რ კრიგეს ყოყმანი.

11 ივნისი. Wilhelmstrasse-ზე გეჰაიმ-რატ დ-რ სიმონსთან.*) ეს უფრო ლმობიერია, ვიდრე კრიგე და მეტად სასიამოვნო კაცია. მე გავაცანი ჩემი მემორანდუმის დებულებები, რომელიც მხოლოდ ხვალ გაიგზავნება. უფრო და უფრო ცხადათ ვხედავ, როგორ შორდება ერთმანეთს სამოქალაქო (კიულმანი) და სამხედრო (ლიუდენ-დორფი) ხაზი. მაგრამ ეს დაშორება უფრო ფორმასა და საშვალე-ბებს შეეხება, ვიდრე საფუძველს.

12 ივნისი. თფილისიდან მივიღეთ პირველი ცნობა (რადიო ჯერ ცუდათ მუშაობს), ოსმალეთთან ზავზე იძულებითი ხელის მო-წერისა და ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის წართმევის შესახებ.

ცნობა რამდენადმე მომტირალი არის- აშკარაა, ბრძოლა ვერ შესძლეს და იძულებული შეიქნენ ხელი მოეწერათ. თუ რისიმე მიღ-წევა საერთოდ შეიძლება, აქ მივაღწევთ.

საღამოს ჩვენ მიწვეული ვართ სადილზე კლუბში „Deutsche Gesellschaft 1914 წ;“ გვპატიჟებს საგარეო საქმეთა სამინისტრო. კარგი ნიშანია, თუ გამოკვების ასეთ მძიმე დროს, სურთ გაგვიმას-პილძღნენ.

გენერალ ლოსსოვთან ერთად გავსწიეთ მთელი „დასით“— ჩხენკელი, ნიკოლაძე, მე, მ. წერეთელი, გ, მაჩაბელი, ერ. ბერნ-შტეინი (საქართველოს ქვეშევრდომი, ტომით გერმანელი, გერმანი-ისა და საქართველოს დაახლოებით თავს ისე კარგათ გრძნობს, რო-გორც თევზი წყალში).

ფორმალურათ მანსპინძლათ არის ელჩი ფონ-როზენბერგი. გერ-მანელების მხრით იყვნენ: ფონ-კიულმანი, სიმონსი, გეპპერტი, იოჰან-ნესი (საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური დეპარტამენტის დირექტორი), ფონ-ვეზენდოკი და მრავალი სხვა. რეპორტერის ენით რომ ვთქვათ, სადილზე სუფევდა სადა ძალდაუტანლობა; განცხოვე-ლებული ბაასი გაგრძელდა დიდ ხანს და სხვა.

ჩხენკელმა მოიკალათა ფ. როზენბერგის ახლო, კიულმანი კი ჩემსა და ნიკოლაძის შუა დასხეს. დიდათ კულტუროსან და გამოც-დილ მინისტრს ბაასის საუცხოო უნარიც აღმოაჩნდა: არაფერი ადა-მიანური მისთვის უცხო არ არის. კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოს მრჩევლათ ყოფნის დროს, კიულმანს კავკასიაც მოუნახუ-

*) საგარეო საქმეთა სინისტრი გერმანიისა 1920—21 წ.

ლებია. თბილისზე საუკეთესო მოგონებები აქვს: იგი აფასებს „თფილისის საზოგადოების მაღალ სოციალურ დონეს“, მაღალი წოდების ერთ ქორწილსაც კი დასწრებია იქ და სხვა. მან გაიხსენა სახელები; იკითხა, თუ რა ბედი ეწვია დიდ მთავარს ნიკოლოზ მიხეილისძეს, რომელსაც იცნობდა, ბორჯომში... როცა მე უპასუხე, რომ სწორეთ ეს წრე აუცილებლათ და სასტიკათ დააზიანა რევოლიუციამ—თუმცა საქართველოში ჯერ უფრო ლმობიერი წყობილებაა, ვიდრე რუსეთში—კიულმანმა დაწვრილებით გამომკითხა, თუ როგორი მოცულობის იყო ჩვენი ქვეყნის სოციალური შერყევანი და რა ხასიათისაა საქართველოს მთავრობა, „რომლის შესახებ გაუგონია, რომ იგი პარტიულია და მეტათ რადიკალურათ არის განწყობილიო“. მე შევეცადე შესაფერისად დამეკმაყოფილებია მისი ცნობის-მოყვარეობა, დაუხატე ჩვენი მინისტრების სახელმწიფოებრივი მისწრაფებანი, მათი მუშაობა ამიერ-კავკასიის მთავრობის რიგებში, მათ მიერ მაშინ გამოჩენილი ხერხიანობა და სხვა. მომყავდა ნამდვილი ფაქტები, მხოლოდ იმ „სტილით“, რომელიც შეეფერებოდა წარმომადგენლობის მიზანს ბერლინში და ჩვენი ქყეყნის ინტერესებს.

რა არის მიზეზი ბოლშევიკების დიდი ხნის*) წარმატებისა რუსეთში—ეს კითხვა დიდ ყურადღებას იპყრობდა ჩემი მოსაუბრისას, რომელსაც გამარჯვება ჰქონდა მოპოებული ბრესტ-ლიტოვსკში. მიზეზი, აშკარაა, ბევრია; მაგრამ უმთავრესია, ნების-ყოფის საფუძვლის აღდგენა, სახელმწიფოს ხელის-უფლების ნების-ყოფის დაჭიმვა, სახელმწიფოსი, რომელიც 1917 წ. მარტში კატასტროფიულათ დაინგრა; ის მოხერხება, რომლითაც ზავი დაიდვა და თანაც გაიშალა აგრარული რევოლიუცია, გაცამტვერდა ბურჟუაზიული ძალა—უხილავი ქაოტიური გადასვლა მატერიალური სიმდიდრისა (ფულის, საგნების, სახლების...) ერთი ხელიდან მეორეში, რამაც გამოიწვია შექმნა მოსახლეობის ისეთი მრავალრიცხოვან ჯგუფების, რომელნიც სამკვდრო-სასიცოცხლოთ გადაბმულნი არიან ახალ წეს-წყობილებასთან და მზათ არიან იგი დაიცვან, ან და მოითმინონ და სხვა.

ბევრს გვეკითხებოდა კიულმანი პეტერბურგის ერმიტაჟის, კრემლის და საერთოდ რუსეთის სამხატვრო სიმდიდრის ბედიღბალზე.

---

*) ეს დიდი ხანი მაშინ შეადგენდა სულ 7 თვეს!

სიტყვა ჩამოვარდა საზამთრო სასახლის ღვინის სარდაფების დარბევის შესახებ: „ეს დარბევა და ტფილისის სასახლის სარდაფის ხელ-უხლებლობა ასურათებს ამ ორი რევოლიუციის სხვა და სხვაობას. ოღონდ... ტფილისისის სარდაფზე სიტყვა არ დაგცდესთ თქვენ მოკავშირეებთან—თქვენ გესმით ვისაც ვგულისხმობ“. „ო, რა თქმა უნდა, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ“.

ამის შემდეგ კიულმანი შემეკითხა ნიკოლაძის ვინაობის შესახებ, და გადავიდა მის განკარგულებაში; ნიკოლაძემ კი იგი „განბანა“ ნედლეულით, საშვალო აზიის ბაზრების და ბ. ფ. პ-ს *) შესახებ აზრებით. მე მივმართე მარცხენა ფრთას—დ-რ სიმონსს, რომელთანაც ხვალ მექნება საქმეზე ლაპარაკი: დღეს ვმუსაიფობთ გერმანიის ლიტერატურაზე, უნივერსიტეტზე, ახლად გარდაცვალებულ პროფ. ლაბანდაზე, რომელმაც იურიდიული ცნებებედან ასე მშვენივრათ ააშენა მთელი გერმანიის იმპერია... პეტერბურგელ ზოგიერთ საერთო ნაცნობებზე.

13 ივნისი. საგარეო საქმეთა სამინისტროში დ-რ სიმონსთან. ჩვენი თემაა: გერმანიისა და საქართველოს ურთიერთ-განწყობილების შესაძლებელი ფორმა. საქართველოს პოლიტიკური მიზანია: განამტკიცოს თავისი სახელმწიფოებრივი არსებობა, შექმნას პირობები ეროვნულ, თვითისუფალ განვითარებისათვის... გერმანიაზე დაყრდნობით... უკანასკნელთან კავშირი, აშკარაა, უნდა იქმნეს საკმაოთ მჭიდრო: უბრალო კავშირი აქ არ იკმარებს.

დ-რ სიმონსი ჰფიქრობს, რომ, გეოგრაფიული დაშორება რომ ხელს არ უშლიდეს, საქართველოსთვის ყველაზე უფრო მართებული იქნებოდა შესულიყო გერმანიის ფედერაციაში (!). გეოგრაფია წინააღმდეგობას გვიწევს, უპასუხებ მე.

საქართველოს მდგომარეობა (სამხრეთში) შესაძლებელია ყველაზე უფრო შევადაროთ ფინლიანდიის მდგომარეობას (ჩრდილოეთში), მაგრამ იგი უფრო რთულია, რადგან დაკავშირებულია ამიერკავკასიის ან კავკასიის კონფედერაციის შექმნის კითხვასთან. საქართველოს გამაგრება და მისი ნეიტრალურ სახელმწიფოთ გამოცხადება—აი მიზანი, რომლის დასახვა საესებით ბუნებრივია იმ დროში, როცა რუსეთის იმპერიამ დაიწყო გადადუღება, როგორც ეტყობა,

---

*) ბფპ—ჩემ მიერ სიმოკლისათვის წარდგენილი ფორმულა, რომელიც შეიცავდა ნ. ი. ნიკოლაძის თამამ იდეებს, შუა-ევროპის შორეულ-აღმოსავლეთთან ვაჭრობის ფოთზე გატარების შესახებ (ბერლინი-ფოთი-პეკინი).

ფედერატიულ საფუძველზე. საქართველო უმთავრესი ნაწილია კავკასიაში ასეთი ,,ბუფერულ'' შენობისა. როცა გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს დიპლომატიური დახმარებით და პოლიტიკური განმაელობით, მაშინ იგი ნახავს საკმაოდ მნიშვნელოვან ეკონომიურ ხეირს და სხვა. გერმანიისთვის ფაქტიურათ სასარგებლო მდგომარეობის შექმნა სავსებით ეთანხმება საქართველოს ფაქტიურ დამოუკიდებლობასაც.

ამ შეხედულებამ გამოიწვია დ-რ სიმონსის სრული თანაგრძნობა. რაც შეეხება მართებლობის ფორმას, დ-რ სიმონსი თანახმა იყო, რომ ეს საქართველოს შინაგანი საქმეა. ,,როგორ უყურებენ ამ კითხვას თქვენში? არიან იქ მონარქიის მომხრენი?''

,, საქართველოში სულიერი განწყობილება აშკარა რესპუბლიკანურია—ძველი მონარქიული ტრადიციები დავიწყებულია, ახალი მიმართულებანი არ არსებობენ და რუსეთში მონარქიის დაცემამ კიდევ მეტათ შეარყია იგი იდეა. სიმპატია მონარქიულ ფორმისადმი, შესაძლებელია, დარჩა ზოგიერთ წრეებში; რესპუბლიკანელებიც მოიძებნებიან, რომელნიც ფიქრობენ, რომ საქართველოს საშიშარ გეოგრაფიულ მდებარეობის გამო, თუ საჭირო იქნა შუა-ევროპის იმპერიებზე დამყარება, მონარქიული ფორმა მისაღები და სასარგებლო იქნება საქართველოსთვის. ასე ვთქვათ, ეს არის მონარქიზმი ანგარიშითა და გონიერებით გამოწვეული, როგორც ეს იყო ნორვეგიაში 1905 წ., ანდა ფინლიანდიაშია ეხლა. მაგრამ ამ ,,ფერს'' საქართველოში ეხლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს''.

უეჭველია, რომ ყველა ის ,,გვირგვინები'' ცოტათი აინტერესებთ Wilhelmstrasse-ზე: ოცნებები იბადებიან სხვა წრეებში.

დასასრულ მე ვაძლევ ჩემს მოსაუბრეს შემდეგ ,,დიაგნოსტიურ'' კითხვას: ,,როგორ წარმოვიდგინოთ მომავალში გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში?''—,,ფორმალურათ იგი ჩვეულებრივი დიპლომატიური წარმომადგენელი იქნება; არსებითად, შეიძლება, უახლოვდებოდეს ინგლისის რეზიდენტს ინდოეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან''. რა თქმა უნდა, მე მხედველობაში მაქვს იურიდიული სქემა და არა შინაური ყოფა-ცხოვრების ან და სოციალურ-პოლიტიკური მხარე... მე ვიცი რომ ქართველები ინდოელები არ არიან''.

14 ივნისი. საღამოს ფ. ვ—სთან დარბაზობა· ისევ ახალგაზრდა დიპლომატები, ორიენტალისტები და სხვა. სხვათა შორის

იყო სპარსული ნოხებისა და მატყლის მსხვილი იმპორტიორი (ფოთი—თფილისი—თავრიზის ხაზი!) და საიმპერიო ბანკის ერთი მთავარ-მმართველთაგანი ფონ-გლაზენაპი, რომელიც გამოდგა თფილისის 1-ლ კლასიკური გიმნაზიის მრავალ თაობათა გერმანული ენის მასწავლებლის კ. ფ. განის უნივერსიტეტის ამხანაგი.

## 30.

16 ივნისი. დღეს დელეგაციის „საერთო კრებულმა" მოისმინა ჩემი მეორე მემორანდუმი; პირველი აღნიშნავდა, თუ ვინა ვართ ჩვენ; მეორე აღნიშნავს, თუ არსებითად რა გვინდა მივიღოთ გერმანიიდან.

მ. წერეთელი და გ. მაჩაბელი — ძვირფასი არიან ჩვენთვის; მათ დაჰყავთ ა. ჩხენკელი და კარგი საკმაზი არიან ამ დინჯ, მაგრამ ძნელათ მოსანელებენ, საშმლისათვის.

ჩვენ კანცელარიაში „დამჟავებული" წეს-რიგი კოჭლობს. მდივნის ვალდებულებანი დააკისრეს სპირდონ კედიას, საქართველოში იშვიათ პარლამენტარულ მოღვაწეს, მშვენიერ ორატორს, ჟურნალისტს: იგი ეხლა თფილისში უნდა მუშაობდეს და არა „აწესრიგებდეს საქმეებს".

17 ივნისი. გენერალმა ფონ-ლოსოვმა შეგვატყობინა, რომ ოსმალოები თავრიზში არიან. ვეჰიბის ადგილზე დანიშნულია მისივე ძმა ესსად-ფაშა. ბათომიდან ხალილ-ბეის დაბრუნების შემდეგ კონსტანტინოპოლში გამოცხადებულ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ ბათომში ხელ-მოწერილი შეთანხმებანი არ არის საბოლოოლოსსოვის აზრით ეს უკვე უკან დახევაა. ჩვენს მემორანდუმებს იგი აგზავნის მთავარ ბანაკში.

18 ივნისი. ჩვენ სამმა (ჩხენკელმა, ნიკოლაძემ და მე) ვინახულეთ სახალხო მეურნეობის სამინისტროს (Reichsvirtschaftsamt) შენობაში ამ დარგის სახელმწიფო მდივანი ბარონი ფონ შტეინი. ის ფიქრობს, რომ უმჯობესია საქართველოს მადნების საწარმოოთ ერთი საზოგადოების დაარსების მაგიერ (იხ. ზემოთ) მოეწყოს სხვა და სხვა დარგისათვის მთელი რიგი საზოგადოებებისა.

შტეინს, როგორც ყველა მათ, აინტერესებს ბამბა, მატყლი და სხვა.

თფილისში გერმანელთა ორი ბატალიონი (1800 კაცი) უკვე სდგას. შეიძლება ჩამოვიდეს კიდევ არტილერია.

საქართველოში მხოლოდ სამი კვირისთვის სამყოფი ნავთია; ნავთის მხრივ სრულიად დამოკიდებული ვართ ბაქოდან.

კიდევ ცნობა (გერმანული წყაროებიდან): ბორჩალოს მაზრაში „ბანდებმა“ მოითხოვეს აზერბაიჯანთან შეერთება, საქმე არ გართულებულა, რადგან წინააღმდეგობა გაუწიეს.

სადგურ ევლახზე თურქებმა მოჰკლეს ავსტრიელი ოფიცერი. თურქების ამ კბილთა ღრჭენაში საგრძნობია ოსმალოთა გაბოროტება მოკავშირეებზე—ქრისტიანებზე.

მართლა, ავსტრო-უნგრეთიც აგზავნის თფილისში თავის წარმომადგენელს—ბარონ ფონ-ფრანკეშტეინს.

საღამოს სამივე ისევ საგარეო საქმეთა სამინისტოში ვიმყოფებით—ჯერ ფონ-როზენბერგთან და დ-რ გეპპერტთან. მოკლეთ ვაცნობ მათ ჩვენი მეორე მემორანდუმის დებულებებს, რომელსაც მათდამი ჯერ არ მიუღწევია: საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა; გერმანიის მდგომარეობის უპირატესობანი, რომელნიც გამომდინარეობენ ხელშეკრულებათა კრებულიდან და სხვა. შემდეგ დიდ ხანს ვისხედით მინისტრის თანაშემწესთან, ბარონ ფონ-ბუშესთან. როცა მასთან მივდიოდით, ფონ-როზენბერგმა სთქვა: ჩვენ კი გვეგონა, რომ ლაპარაკი იქნებოდა გერმანიასთან უფრო მჭიდრო კავშირზე და საქართველო იქნებოდა ჩვენი „Schutzstaat'ი“. მე უპასუხე: „არსებითად მე პროტექტორატის არ მეშინია; მაგრამ ახლა ტერმინი Schutzstaat ყურს მხვდება, როგორღაც... როგორ ვსთქვა... აფრიკანულათ.

---

როცა დავბრუნდით ბუშედან, განვაგრძეთ ბაასი. ჩხენკელი თავის ჩვეულებისამებრ ამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიულ უფლებას, რომელიც „რუსების წასვლის“ შემდეგ ავტომატიურათ აღსდგა 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე და სხვა. ამ საბუთებს გეპპერტი სკეპტიკურათ უყურებს.

მაგრამ ასეთ საგნებზე კამათი უნაყოფო იყო. რუსეთისაგან ჩამოშორებისათვის რომ მომზადდეს უფრო პრაქტიკული საფუძველი, რატომ არ უნდა მივმართოთ პლებისციტს?

მათი მეორე რჩევა იყო: ვეცადოთ, ბაქოს ნავთის სამრეწველო რაიონი სავსებით არ ჩამოშორდეს რუსეთს; მათის აზრით მაშინ გაადვილდება რუსეთის მიერ საქართველოს ცნობა,

ვფიქრობ რომ ეს მოსაზრებანი ძლიერ საყურადღებოა: ისინი გვიჩვენებენ, გერმანიის დიპლომატიის პრაქტიკულ ცდას გამონახონ მოსკოვისა და თფილისის მთავრობათა შორის რაიმე საკომპრომისო გზა, ჩხენკელს კი არ მოსწონს: „ჩვენ,—ამბობდა იგი—რუსეთმა ისედაც უნდა გვიცნოს, ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვქონდა, ჩვენ არ დაუპყრივართ, როგორც კავკასიის სხვა ნაწილები და სხვა.

---

საღამოს აქ დიდხანს იჯდი Paul Rohrbach, პუბლიცისტი, გერმანიის იმპერიალიზმის „იდეოლოგი", იგი ბალტიელია გვარწმუნებდა, რომ გერმანიას ძლიერ მალე შეუძლია კურლიანდიის კოლონიზაცია (ახალშენებით მოფენა), რადგან ლატიშები სუსტათ მრავლდებიან; რორბახი ხშირათ ყოფილა საქართველოში, სვანეთსა და მესხეთსაც კი იცნობს. ბევრს რასმეს გამომკითხავდა, სხვათა შორის მართვა—გამგეობის ფორმაზე. „არიან თუ არა საქართველოში ძველი დინასტიის შთამომავალნი".

რორბახი ამტკიცებს, რომ რეიხსტაგის ყველა წევრთა შორის ოცდაათმაც კი არ იცის, სად არის საქართველო. (ნუთუ ამას ისეთი მნიშვნელობა აქვს, როცა თფილისში 1800 გერმანელი ჯარისკაცია?).

20 ივნისი. გენერალი კრესსი გუშინ უნდა გამგზავრებულიყო კონსტანტინოპოლიდან ფოთში.

კონსტანტინოპოლში ჩავიდენ საქართველოს დელეგატები: გეგეჭკორი, ოდეშელიძე, გვაზავა და სხვები. აქ რაღაც მიზეზით წარმოიდგინეს, რომ ეს ძლიერ ცუდი ამბავია, რომ ოსმალეთი ჩაფუშავს ჩვენს მუშაობას ბერლინში. საერთო შიში! ყველაფერი დაიღუპა—გაიძახის ნიკოლაძე (!?) მიხ. წერეთელმა გააბა წუწუნი. მე ვცდილობდი დამემტკიცებია მათთვის, რომ დელეგაციის კონსტანტინოპოლში ჩასვლით, ჩვენ მხოლოდ მოვიგებთ. (მაგრამ რათ არის იგი ასე მრავალრიცხოვანი?); რომ ოსმალეთთან უნდა მოვილაპარაკოთ მეგობრულათ; რომ ასეთი უშუალო მოლაპარაკება იქ, გვამაგ-

რებს ჩვენ აქ, და აიძულებს თვით გერმანიას დააჩქაროს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა,

კიდევ მეტს ვიტყვი: არა დიპლომატიურათ მოიქცა ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომ პირდაპირ აქეთ წამოვიდა. თითქოს ყურადღებას არ აქცევდეს კონსტანტინოპოლს—პირიქით იქ რომ ყოფილიყო არ დაფარავდა ჩვენს აქაურ მუშაობას.

ჩხენკელმა დეპეშით გამოიწვია ბერლინში გეგეჭკორი.

21 ივნისი. მე და ჩხენკელი მივედით საგარეო საქმეთა სამინისტროში, ნამდვილ საიდუმლო მრჩეველ დ-რ კრიგესთან რომ გადაჭრით მოგველაპარაკნა, თუ რამდენათ შესაძლებელია გერმანიამ ფორმალურათ იცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა. გენერალმა ფონ-ლოსსოვმა, რომელსაც, როგორც სამხედრო პირს, მოსწყინდა რეგულიარული დიპლომატიის გადაჭარბებული აწონ-დაწონვა, გვირჩია უფრო ენერგიულათ მოვლაპარაკებოდით კრიგეს და დავმყარებოდით საქართველოს განსაკუთრებულ უფლებებზე: ეს „განსაკუთრებული უფლებები“ და 1783 წლის ტრაქტატი მხნე გენერალს ჩხენკელმა შეაზილა.

ამ გვარათ ჩვენ დავიწეეთ ლაპარაკი ცნობაზე.

კ რ ი გ ე. ამას გერმანია რუსეთზე უფრო ადრე ვერ იზამს, რადგან ასეთი ცნობა, მას შემდეგ რაც ბრესტ-ლიტოვსკის ზავი შეკრულია, იქნებოდა მტრული მოქმედება რუსეთის მიმართ. იქ, ბრესტ-ლიტოვსკში, რუსეთი წინადადებას გვაძლევდა, მიგვეღო ხალხთა თვითგამორკვევის უფლება ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო პ რ ი ნ ც ი პ ი ს მნიშვნელობით. მაშინ ეს წინადადება ჩვენ გადაჭრით უარვყავით; როგორ ღა შეგვიძლია ეხლა, რუსეთის ერთი ნაწილი, საქართველო, რომელმაც თავი დამოუკიდებლათ გამოაცხადა, ვიცნოთ მხოლოდ მისი გამოცხადების აქტის ძალით? ჩვენ დავემსგავსებოდით იმ გლეხს, რომელმაც უარი განაცხადა დანიშნულ ფასათ ეყიდა ცხენი, და შემდეგ კი თვალიდან მოინდომა ცხენის გამოყვანა იმ საფუძვლით, რომ მას წინადადებას აძლევდენ ცხენი ეყიდნა.

თქვენ ამბობთ, რომ საქართველოს აქვს განსაკუთრებული უფლებები... არ შევდივარ მათ კრიტიკულ განხილვაში, მაგრამ ვიტყვი, რომ თუ საქართველო იყო სახელმწიფო, იგი ასეთი აღარ არის. შემდეგმა ფაქტებმა შექმნეს ახალი მდგომარეობა. და ყოველ შემთხვევაში: გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ უ ფ ლ ე ბ ე ბ ზ ე დაყრდნობა შეიძ-

ლება რუსეთსა და საქართველოს და არა რუსეთსა და მესამე სახელმწიფოს განწყობილებაში.

არ აჯობებს კითხვა პლებისციტით გადაწყდეს? ამის წინააღმდეგ, მგონი, ბოლშევეკებიც ვერაფერს იტყვიან.

---

ჩხენკელი, რა თქმა უნდა, დაჟინებით იცავდა საქართველოს განსაკუთრებულ უფლებებს; უკვირდა, როგორ შეიძლებოდა მათი საკამათოთ გადაქცევა; ამტკიცებდა, ამ უფლებებს იცნობენ ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში (!) და მხოლოდ გერმანია რაღაც მიზეზის გამო მათ არ ცნობს. მე აღვნიშნე, რომ ზეიმით გამოცხადებულ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ უხერხულია პლებისციტის მოხდენა, რომ აგიტაცია არ არის სასურველი ასეთ დროს და სხვა.

კ რ ი გ ე. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობით ზოგიერთი ნაწილი გამოვიდა რუსეთის შემადგენლობიდან; სხვებისთვის შექმნილია განსაკუთრებული მდგომარეობა და სხვა. დანარჩენი ნაწილები კი რჩებიან რუსეთის სუვერენიტეტის ქვეშ. რაც შეეხება კავკასიას, ამ ხელშეკრულობაში აღნიშნულია მხოლოდ 3 ოლქი, რომელიც ჩამოეცალა ოსმალეთს 1878 წ. და მეტი არაფერი!

ა. მაგრამ იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ამ ოლქების მოწესრიგებაში, ერთგვარი ხმა ეძლევა გარდა ოსმალეთისა „მეზობელ სახელმწიფოებსაც“ (მხოლოდ არა რუსეთს).

მე ვცდილობ, ვიმოწმო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლი და გერმანიის მთავრობის მიერ რეიხსტაგში წარდგენილი განმარტება და დავამტკიცო, რომ ბრესტ-ლიტოვსკში მხედველობაში ჰქონდათ სწორეთ ამიერ-კავკასიის „ახლად წარმოშობილი სახელმწიფოები“.

კ რ ი გ ე. ეს კითხვის თქვენი გაგებაა, ჩვენ ასე არ უყურებდით საგანს. მაგრამ, თქვენ გაიგებთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია იმ დროს, როცა ომი, მგონი დასასრულსაა მისული, ისეთი მდგომარეობა შევქმნათ, რომ საჭირო გახდეს საფრანგეთის ფრონტიდან მოვხსნათ თუნდაც რამოდენიმე კორპუსი.

ა. კეთილი. მაგრამ თუ საქართველო და ამიერ-კავკასია რუსეთს ეკუთვნიან, როგორ მიიღო გერმანიამ მონაწილეობა ბათომის კონფერენციაში, რომელშიაც ეს, თქვენის აზრით, რუსეთის ტერი-

ტორია გამოდიოდა როგორც მხარე, როგორც სახელმწიფო, ყოველ შემთხვევაში, თქვენივე მოკავშირის—ოსმალეთის მიერ უკვე ცნობილი?

კ რ ი გ ე. ეს მონაწილეობა იყო, ასე ვთქვათ, ფაქტიური იმ პირობით, რომ წინასწარ გიცნობდათ რუსეთი...

ა. არა ფაქტიური, არამედ რეგულიარული, კანონიერ რწმუნებაზე დამყარებული. ა რ ა ვ ი თ ა რ ი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ა რ შ ე მ ო ს უ ლ ა ა რ ც ა მ მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს ფ ა ქ ტ ი უ რ ხ ა ს ი ა თ ზ ე, ა რ ც რ უ ს ე თ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ბ ზ ე ა რ ც წ ე რ ი ლ ო ბ ი თ, ა რ ც სიტყვიერათ! კიდევ მეტს მოგახსენებთ: მაშინაც კი, როცა ბათომში მოლაპარაკების დროს გავიგეთ, რომ მირბახსა და მოსკოვის მთავრობას შორის მიწერ-მოწერა სწარმოებს ბათომის კონფერენციაზე *) უკანასკნელის მონაწილეობის მიღების შესახებ—მაშინაც კი არც ოსმალეთს გახსენებია და ჩვენთვისაც არ გაუხსენებიათ რუსეთის უფლება! დასასრულ, როგორ ხსნით თქვენ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით გერმანიის ჯარის ყოფნას ტფილისში?

კ რ ი გ ე. რადგან რუსეთი ფაქტიურათ ვერ ანხორციელებს ხელის უფლებას, გერმანია თავისი ინტერესების დასაცავათ იძულებული იყო გაეგზავნა იქ თავისი ჯარი.

ა. და ეს მოხდა რუსეთის ნებართვით ან და მას, როგორც სუვერენს, აცნობეთ მაინც?

კ რ ი გ ე. საერთოდ, თქვენის აზრით, ჩვენ იმდენი ცოდვა ჩაგვიდენია, რომ უნდა განვაგრძოთ იმავე გზით სიარული!..

ა. არა; მაგრამ დამეთანხმებით, რომ ყველა ფაქტი ეწინააღმდეგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თქვენ მიერ წამოყენებულ სასტიკ ფორმალურ თეორიას. რაც დრო გავა, წინააღმდეგობა მით უფრო გამოაშკარავდება. უფრო ადვილია იმ მოსაზრებაზე დავდგეთ, რომ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების დროს გერმანიასა და რუსეთს, ამიერ-კავკასიის ახალი სახელმწიფოებიც მხედველობაში ჰქონდათ.

კ რ ი გ ე. რა ვქნათ, ჩვენ ერთმანეთი ვერ დავარწმუნეთ. მე გამოვთქვამ აზრს, რომელსაც აქ, ჩვენს სამინისტროში, ყველა ეთანხმება. მე იურისტი ვარ და ვმსჯელობ, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო უფლება. როგორ უყურებს ჩვენი მთავრობა პოლი-

*) იხ. ზემოთ თავი მეშვიდე.

ტიკურ კითხვებს—ეს არ ვიცი. ასეთს კითხვებს გადასწყვეტენ კანცლერი, იმპერატორი.

და ლიუდენდორფი—დაუმატე მე გონებაში. მაგრამ მეც აუცილებლათ მიმაჩნია, რომ წინასწარ უნდა იქნეს რუსეთის თანხმობა საქართველოს გამოყოფაზე; ამის შემდეგ არ დაიყოვნებს გერმანიის ცნობა, რადგან პოლიტიკურად გერმანია ასეა განწყობილი.

---

საღამოს ცოლ-ქმარ მ—სთან შევხვდით მაქსიმილიან გარდენსა და თეოდორ ვოლფს... გარდენმა ძლიერ სკეპტიკური აზრი გამოთქვა ომის შედეგებზე. ნ—ს გერმანულის უცოდინარობის გამო, ეყვინთებოდა; ჩ. ამაოთ ცდილობდა გადაეყვანა, ბერლინის ჟურნალისტიკის ეს მთავრები საერთო კითხვების შარა-გზიდან საქართველო-აზერბაიჯანის საქმეების ორლობეში, რომელთაც ჩ—ს სიტყვებით მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ: არაფერი გაუვიდა.

22 ივნისი დ-რ კრიგეს აზრი სავსებით გასაგებია, მაგრამ ეს გზა (ჯერ მოსკოვიდან დალოცვის მიღება) შორეულია. ბერლინის ჰოუმანს ჩვენდა საზიანოთ, დიდი მნიშვნელობა არ მისცენ კონსტანტინოპოლში! ეს იყო მიზეზი, რომ ფონ ლოსსოვთან დღევანდელ თათბირზე, მე მივაქციე მისი ყურადღება მისი აღმატებულების დ-რ კრიგეს ფონ-ლოსსოვის დიპლომატიისადმი თავისებურ განწყობილებაზე და აქედან გამომდინარე ჩვენი გამოურკვეველ და ორჰოფ მდგომარეობაზე.

მართლაც, საქართველოს აქვს შეძლება შეუთანხმდეს რუსეთს და უშუალოთ მიიღოს ცნობა; ასევე შეიძლება ოსმალეთთან შეთანხმება. ბერლინში ჩვენ მოგვიყვანა უფრო შორეულმა მიზნებმა. მაგრამ თუ საქმე ასე გაჭიანურდა და სხ.

„გაჭიანურებაში“ თუ ასეთი რამ ხდება, ლოსსოვი არ არის დამნაშავე, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა ამ გვარი ტონით ლაპარაკი.

22 ივნისი. დღეს, რეიხსტაგში, დიპლომატიურ ლოჟიდან ვისმენდით კანცლერისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვას.

დიდი, ძლიერი სიტყვა ფ. —კიულმანისა. საქართველოს უახლოეს ისტორიისათვის მას ჰქონდა ისტორიული მნიშვნელობა. მისი სიტყვით ომის მიერ გამოწვეულ კითხვების გადასაწყვეტათ თითქ-

მის ამ დღეებში შეიკრიბება კონსტანტინოპოლში მოკავშირე სახელმწიფოებისა და კავკასიის ხალხების წარმომადგენლების კონფერენცია (ე. ი. კონფერენცია, რომლისათვისაც ჩვენი დელეგატები ჩავიდენ კონსტანტინოპოლში და რომლის მოწვევა ჩვენი ბერლინში ჩასვლის უმთავრესი მიზანიც იყო. ამ კონფერენციას, როგორც უმაღლესს ინსტანციას უნდა განეხილა ბათომში 4 ივნისს ხელმოწერილი აქტები) *).

მეორეს მხრით ჟ. უცილობლათ დაასაბუთა, რომ გარკვეულ ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმთა რუსეთის შემადგენლობისგან გამოსვლის შესახებ საჭიროა რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან წინასწარი მოლაპარაკება, და ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ამ ახალ სახელმწიფოების გადაჭრითი დიპლომატიური ცნობა.

კერძოთ ასეთი თანდათანობა შეეხება საქართველოსაც, რომელიც ეროვნულის მხრით ჟ.-ს მიაჩნია კავკასიელ სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო ჩამოყალიბებულათ... შემდეგ, როცა შეეხო სომხეთსა და აზერბაიჯანს, კ—მ აღნიშნა, რომ ამ სამ რესპუბლიკას სურვილი აქვს გაერთიანდეს.

ამიერ-კავკასიაში ოსმალოთა ჯარების წინსვლა ისე, როგორც ბათომ-ჯულფა-თავრიზის ხაზის დაჭერა, განაცხადა კ—მა, აიხსნება სამხრეთ-მესოპოტამიაში სტრატეგიული მდგომარეობით და ამ გზით სპარსეთის კუთვნილ აზერბაიჯანზე გავლით ტიგროსის აუზთან კავშირის დამყარების საჭიროებითო. კიულმანმა აგრეთვე გაკვრით აღნიშნა, რომ ოსმალოებმა ამ ოპერაციების დროს ისეთი ტერიტორიები დაიჭირეს, რომლის დიდი ხნით ოკუპაცია ან ანექსია სრულიად არ გამომდინარეობს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებიდან. მაგრამ მან დაუმატა, ოსმალოთა კავკასიაში წინსვლა შეჩერებულია და ყველა ეს კითხვები, როგორც ნათქვამია, განიხილება კონსტანტინოპოლის მომავალ კონფერენციაზეო.

კ. სთქვა: „საქართველოსთან ჩვენ დავამყარეთ მეგობრული განწყობილება—ჩვენ იგი ვიცანით de facto (ფაქტიურათ). ჩვენსა და აქ გამოგზავნილ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შორის სწარმოებს აზრთა მეგობრული გაცვლა-გამოცვლა. ჩვენის

---

*) იხ. ქვევით თავი მეთორმეტე. ნამდვილათ ეს კონფერენცია არ ყოფილა მოწვეული.

მხრით ჩვენ გავგზავნეთ ტფილისში დიპლომატიური მისიით გენერალი ფონ-კრესი. ჩვენ უსურვებთ საქართველოს სახელმწიფოს, ამ მამაც ხალხსა და მდიდარ ქვეყანას მტკიცე მომავალს და სიამოვნებით მოვიმოქმედებთ ყველაფერს, რაც კი ჩვენგან არის დამოკიდებული, რომ დავამყაროთ მეგობრული განწყობილება საქართველოსა და გერმანიას შორის". ამ სიტყვებმა გამოიწვიეს საერთო ტაში *).

ამ გვარად ჩვენმა მეცადინეობამ ბათომში, ფოთში, ბერლინში ამაოდ არ ჩაიარა. ჩვენ ვიპოვეთ „სამართალი" ოსმალეთზე, და ცნობის კითხვაც პრაქტიკულათ დადგა.

მაგრამ ყველაზე უმთავრესია, რომ საქართველო და კავკასია შევიდა ევროპის პოლიტიკასა და ისტორიაში. დასრულდა პროვინციალურ-რუსული ხანა ჩვენი არსებობისა!

საქართველო თავის თავად, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ის საერთო, რაც სთქვა კიულმანმა ომის შესახებ, მთელი პასუხის მგებლობა მის გამო კ—მ დაადვა რუსეთს (ბოლშევიკები ხომ ამის წინააღმდეგ არ დაიწყებდენ კამათს!).

გერმანიის ჯარის წარმატებაზე იგი თავდაჭერით ლაპარაკობდა და ექვი გამოსთქვა, რომ ომის გათავება შესაძლებელი გახდეს მხოლოდ იარაღით! გერმანიის სასიცოცხლო მოთხოვნილებანი მან შემოზღუდა ისტორიის მიერ შემოფარგლულ საზღვრებში თავისუფალ განვითარებით, ზღვაოსნობის თავისუფლებით და კოლონია-

---

*) იმევე კამათში—24 და 25 ივნისი 1918 წ.—საქართველოსა და საერთოდ კოკასიას შეეხენ შემდეგი ორატორები: ხარჯთ-აღრიცხვის მომხსენებელი პრინცი Zu Schonaich-Carolath (ნაციონალ-ლიბერ.); გრობერი (ცენტრი); დ-რ დავიდი (სოც.); გრაფი ფონ-ვესტარპი (კონსერვ.); დ-რ შტრეზემანი (ნაც.-ლიბ.); ჰაზე (დამოუკ.-სოც.) დ-რი ვერნერი (გერმან. თავისუფალი მოაზროვნე). გარდა სტენოგრაფიული ანგარიშისა და გაზეთებისა იხ. ბროშიურა in-folio Das Neue Georgien. Eine Denkschrift mit statistischen Tabellen und einer Kartenskizze von Michael von Tserethelli, სადაც მოყვანილია ამ სიტყვებიდან ამონაწერები.

საერთოდ დეპუტატები თანაგრძნობით შეხვდენ საქართველოს და დიდი ინტერესი გამოიჩინეს მასზე გერმანიის გავლენის გავრცელებისადმი. იმავე სიტყვებში ბევრი იყო ნათქვამი სომხების სასარგებლოთ, რომელნიც იტანჯებიან თსმალეთის დევნისაგან.

ლურ ისეთ სამფლობელოს მოპოებით, რომელიც შეეფარდება გერ-
მანიის ხალხის ეკონომიურ ძალას.

აშკარათ სჩანს, რომ ყველაფერი ეს არ არის გარკვეული. მაგ-
რამ კ. აუცილებლად სთვლის მეომართა შორის ზავის შესახებ აზ-
რის გაცვლა-გამოცვლას. მაშასადამე კ—ს არ სწამს გერმანიის ია-
რაღის გამარჯვება. ეს მეტად დიდ მნიშვნელოვანია.

---

# თავი მეთორმეტე.

## ოსმალეთი ზეიმობს.

### 31.

სანამ განვაგრძობდეთ ამბავს, თუ როგორ განვითარდა ბერლინში ჩვენი მოლაპარაკება, რა ნაყოფი მოგვცა ან არ მოგვცა მან, საჭიროა უკან დაუბრუნდეთ და მოკლეთ აღვნიშნოთ საქართველოსა და ოსმალეთის ურთიერთობა მას შემდეგ, რაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და შეწყდა ბათომის კონფერენცია (26 მაისი 1918 წ.).

ეს იყო სწორეთ შეწყვეტა. ოსმალეთის დელეგაცია ბათომში დარჩა და უცდიდა, რომ დაშლილ ამიერ-კავკასიის დელეგაციის მაგიერ გამოჩნდება სამი ცალ-ცალკე დელეგაცია—საქართველოსი, სომხეთისა და აზერბეიჯანის, რომელთაც გამოაცხადეს თავისი დამოუკიდებლობა საქართველოს შემდეგ, 28 მაისს. ამ დელეგაციებმა არ დაიგვიანეს. საქართველოს დელეგაციაში შედიოდენ: მინისტრთა თავმჯდომარე რამიშვილი, ინფანტერიის გენერალი ოდიშელიძე, ბ.ბ. გვაზავა და რცხილაძე. ერთი სრული გენერალი და დანარჩენნი—სამი პარტიის წარმომადგენელი: სოც.-დემოკ., ნაც.-დემოკ., და სოც.-ფედერ.—ასეთი იყო აპარატი, რომელიც გაგზავნილ იქნა უეჭველად არასაბოლოო და შინაარსით საქართველოსთვის მეტათ სამწუხარო აქტების ხელისმოსაწერათ!

მოლაპარაკება დაიწყო 31 მაისს 1918 წელს შეკითხვით: შეეხება თუ არა საქართველოს ახლად დაფუძნებულ რესპუბლიკას ის ულტიმატუმი, რომელიც გაგზავნილი იყო 26 მაისს ამიერ-კავკასიის დელეგაციის სახელზე? „რა თქმა უნდა შეეხება“—უპასუხეს დაუყოვნებლივ ოსმალოებმა და დაუმატეს: „გთხოვთ პასუხი მოგვცეთ არა უგვიანეს ღამის 12 საათისა“.

ამის შემდეგ რამიშვილმა განაცხადა სურვილი, დაემყარებინა „კეთილ მეზობლური-განწყობილება ოსმალეთთან“, მხოლოდ იმ პირობით, რომ „საქართველოს სამხრეთის საზღვარი დადებული ყოფილ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად“.—ე. ი. იგი უარსყოფდა (№ 2-ით) ოსმალეთის ულტიმატუმის ტერრიტორიალურ მოთხოვნილებებს, მაგრამ შემდეგ (№ 3-ით) დათანხმდა ეს მოთხოვნილებანი მიეღო.

ხელის მოწერა ღა დარჩა, რაც შესრულებულ იქმნა ქ. ბათომში 4 ივნისს საქართველოს მეორე დელეგაციის ბერლინში ჩასვლის მეორე დღეს.

არსებითად ეს უბრალო პროცედურა მწარე აბის გადაყლაპვისა არ იქნა დატოვებული უსიტყვებოთ—ილაპარაკა იმანაც, ვინც აბს ყლაპავდა და იმანაც ვინც აბი გადააყლაპვინა.

ხალილ-ბეიმ ის აზრი გამოთქვა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დამატებითი უსიამოვნება თქვენსავე თავს დააბრალეთო—ხელს რათ გვიშლიდით შევსულიყავით ბათომსა და ყარსშიო? საერთოთ კი განაცხადა, რომ კავკასიაში მოწესრიგებული, ძლიერი და პროგრესიული სახელმწიფოს დაარსება ოტომანის იმპერიისთვის სიკვდილ-სიცოცხლის კითხვა არისო, ასეთს სახელმწიფოს—დასძინა მან—საფუძვლათ უნდა დაედვას კავკასიის ხალხების ურთი-ერთი მეგობრობა და მისი ძალა განსაკუთრებით უნდა ემყარებოდეს ქართველთა და კავკასიის მუსლიმანთა მეგობრობასო.

თავის მხრით რამიშვილმა გამოსთქვა სიამოვნება ომის დამთავრების გამო; ომის, რომელიც „მეფის მთავრობიდან მემკვიდრეობათ დარჩა და რომლის გამოცხადებაში ქართველი ხალხი არ იღებდა არავითარ მონაწილეობას, გამოსთქვა იმედი, რომ „ჩვენს ერს მუდამ ექნება უფლება მშვიდობიანი ინტელექტუალური განვითარებისა (!) და სხვა.

რამიშვილის სიტყვით „ჩვენმა სახელმწიფომ ამ ომში თავი ნეიტრალურათ გამოაცხადა“;—ეს განცხადება სრულიად არ იყო საჭირო და თავის თავად ამ სახით არც იყო სწორი, რადგან საქართველოს რკინის გზები გადადიოდა მეომართა ერთი მხარის განკარგულებაში.

საპასუხო სიტყვის შემდეგ საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარემ წაიკითხა ახალი დეკლარაცია, რომელიც წინათ ზავის პი-

რობების კერძო მოლაპარაკების დროს უკვე წაკითხული იყო (კერძო მოლაპარაკება წინ. უსწროდა კონფერენციის ფორმალურ სხდომას). ამ დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ 28 მაისს ფოთში ხელმოწერილი შეთანხმება საქართველოს რკინის გზებით გერმანიისა და მისი მოკავშირეების სამხედრო მასალების გადაზიდვის შესახებ სავალდებულოა საქართველოსათვის. რადგანაც ხაზგასმით აღნიშნული იყო, რომ გერმანია—საქართველოს ხელშეკრულება საქართველოსთვის „სავალდებულოა", ხალილ-ბეის საბაბი მიეცა მოეთხოვნა ენაწყლიან რამიშვილისაგან ამავე საგანზე ოსმალეთ—საქართველოს (დამატებითი) შეთანხმების ვალდებულობის აღნიშვნა.

დასასრულს ყველა შეთანხმებას ხელი მოაწერა ოსმალეთის მხრით ხალილმა და ვეჰიბმა, საქართველოს მხრით კი წინათ დასახელებულმა ოთხმა წარმომადგენელმა. ამის შემდეგ კიდევ ილაპარაკა საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარემ ოსმალეთისა და მისი მოკავშირეების მიერ საქართველოს დაჩქარებით ცნობის საჭიროებაზე და ოსმალეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური განწყობილების საჩქაროთ მოწყობის შესახებ. ხალილ-ბეის აზრით, ეს განწყობილება მალე იქნება დამყარებული და „ეხლა მიღებული ხელშეკრულება უკვე შეიცავს ფორმალურ ცნობას" საქართველოს დამოუკიდებლობისას *).

ბათომში ხელმოწერილი ოსმალეთსა და საქართველოს შორის ზავის და მეგობრობის შესახებ ძირითადი ხელშეკრულობის რატიფიკაცია საბოლოოდ უნდა მომხდარიყო, თუ კი მოსახერხებელი იქნებოდა, ერთს თვეში (მე-XIII ბუხლი). რატიფიკაცია არ მომხდარა და თვით ხელშეკრულებაც ძალაში არას დროს არ შესულა.

საზღვრები საქართველოსა და ოსმალეთს შორის ამ ხელშეკრულებით საერთოდ იმიჯნებოდა 1828 წლის ადრიანოპოლის ტრაქტატის წინა დროინდელ რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრებთან შეფარდებით. ეს ნიშნავდა, რომ საქართველო რჩებოდა იმ ფარგლებში, რომელშიაც იგი იმყოფებოდა რუსეთთან შეერთების დროს. ოსმალეთი კი უკანვე ღებულობდა როგორც 1878 წელს დაკარგულს ბათომის, არდაგანისა და ყარსის (ბრესტ-ლიტოვსკის ზავით უკვე

---

*) იხ. კონფერენციის სხდომის ოქმი, რომელიც ხელმოწერილია 1918 წ. 5 ივნისს ბათომში დელეგაციის მდივნების—დრ. ღამბაშიძისა და ორხან-ბეის. მიერ. ეს ოქმი არ არის არის დაბეჭდილი „ოქმებსა და მასალებსა etc"-ში. ხელშეკრულებების ტექსტები იხ. ib №№ 172—179.

მიღებულს) სანჯაყებს, ისე ახალციხის (Akhaskha) და ახალქალაქის (Akhilkelek) სანჯაყებს, რომელნიც ჯერ კიდევ ირაკლი მე-II-ის საქართველოსთვის შეპირებული იყო ეკატერინე მე-II მიერ და რომელნიც 1828 წელს მათი დაპყრობის შემდეგ*) მართლაც შეუერთდა თბილისის გუბერნიას.

ხელშეკრულების პირვანდელი ტექსტი, რომელიც წარედგინა ამიერ-კავკასიის დელეგაციას 11 მაისს 1918 წელს, შედარებით უფრო მკაცრი იყო, ვიდრე საქართველოსთან ზავის ხელშეკრულება 4 ივნისისა; უკანასკნელმა საქართველოს საზღვრებში დასტოვა ახალციხის მაზრის ორი ადგილი: აბასთუმანი (ცნობილი აგარაკი) და აწყური (მტკვარზე, ბორჯომის ხეობაში). ამ დათმობაში სჩანდა როგორც გერმანიის გავლენა, ისე ოსმალოების სურვილი, ოდნავ მაინც დაემშვიდებიათ საქართველო, რომელიც ჰკარგავდა მტკვრის სათავესა და ჭოროხის მიდამოებში მთელს თავის ისტორიულ მიწა-წყალს.

საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის გამიჯვნის ოქმებიც შემდეგში უნდა ყოფილიყო შეტანილი ამ ხელშეკრულების ტექსტში და უნდა გამხდარიყო მის შემადგენელ ნაწილათ (მუხ. მე-III).

ზავის ხელშეკრულებასთან ერთად ხელმოწერილი იყო, ვაჭრობისა და ნაოსნობის დროებითი წესდება (ტრაქტატის პირველი დამატება), შეთანხმება მოსაზღვრე ადგილებს შორის მიმოსვლის განსაკუთრებული უპირატესობის შესახებ (დამატება მე-II) და დებულება ძუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს შესახებ საქართველოში.**)

უფრო მეტი უშუალო მნიშვნელობა ჰქონდა 4 ივნისს ხელმოწერილს დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ს ოტომანთა იმპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის, რომელიც ძალაში შედიო-

---

*) იხ. მე-4-ე „ცალკე არტიკული“ 1783 წლის პროტექტორატის შესახებ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებისა. ბ უ ტ კ ო ვ ი: კავკასიის ახალი ისტორიის მასალები ტომი II, თავი 108 სპგ. 1869 წ.

**) ეს წესდება საერთოდ შეეფერება ასეთსავე შეთანხმებების ტექსტს, რომელიც ოსმალეთს შეუკრავს, მაგ., ბულგარიასთან და საბერძნეთთან 1912—1913 წელს, ბალკანეთის ომის დროს. მაგრამ ძირითადი ხელშეკრულების მე-VI მუხლის ტექსტი (სვეტი 2. „მ. ი. უ.სულთანის სახელს მუსლიმანები მოიხსენებენ საჯარო ლოცვის დროს“) ოსმალებმა შეაპარეს ქართველ დელეგატებს უდამატებოთ: „მ. ი. უ. სულთანის სახელს, რ ო გ ო რ ც ხ ა ლ ი ფ ი ს ა ს“, რაც მიღებულია სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებებში. ტექსტს ხელი აქვს მოწერილი სიტყვების რ ო გ ო რ ც ხ ა ლ ი ფ ი ს დაუმატებლათ.

და დღიდან ხელის მოწერისა, მაგრამ მისი რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო ერთი თვის შემდეგ: (მუხ. მე-VI). ამ ხელშეკრულების თანახმად, უნდა მომხდარიყო საქართველოს ჯარის დემობილიზაცია, არსდებოდა ოსმალეთის სასარგებლოთ ერთგვარი კანტროლი რესპუბლიკის სამხედრო ძალაზე, საქართველო ვალდებული ხდებოდა გაეძევებია თავის მიწა წყლიდან ოსმალეთთან მეომარ სახელმწიფოების ყველა ოფიცრები და მოხელეები („ანტანტის" ჯარზე არაფერი იყო ნათქვამი; საქართველოში მათი შემოსვლა, როგორც ეტყობა, მაშინ ყოვლად შეუძლებელათ ეჩვენებოდათ!) და, რაც უმთავრესია, ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო სამხედრო გადაზიდვისთვის რკინის გზებით სარგებლობის წეს-რიგი. გზების დაცვა პრინციპიალურათ, ევალებოდა ქართველ ჯარს.

დამატებით შეთანხმებას ჰქონდა განსაკუთრებული თანადართი, რომელსაც ხელს აწერდა გენერალი ოდიშელიძე და ვეჰიბი; იგი აწესრიგებდა სამხედრო ტყვეების გაცვლა-გამოცვლის კითხვას.

იმავე საფუძველზე და იმავე დღეს ბათომში ხელ-მოწერილ იქმნა საზავო ხელშეკრულება (დამატებითი შეთანხმებებით) ოსმალეთსა და აზერბაიჯანს შორის (მ. გაჯინსკი და რასულ-ზადე) და აგრეთვე ოსმალეთსა და სომხეთს შორის. სომხეთის წარმომადგენელი იყო ჩვენთვის უკვე ნაცნობი რ. კაჩაზნუნი, ა. ხატისოვი და კიდევ მ. პაპაჯანოვი*). ყარსი-ალექსანდროპოლი-ჯულფას რკინის გზა მისი მიმდევნო ტერიტორიით გადადიოდა ოსმალოთა მფლობელობაში: სომხეთი და კავკასიის მონათესავე აზერბაიჯანიდან ოსმალეთმა გზა გაიკაფა, ხელი მოხვია სპარსეთის აგრეთვე მონათესავე აზერბაიჯანს: მეტად საყურადღებოა! ეს მოვლენა ანდამანტის ისარივით გვიჩვენებს პოლიტიკური სტიქიურ მისწრაფების მიმართულებას. **)

რომ დავამთავროთ მოკლე მიმოხილვა საერთაშორისო აქტებისა, რომელთა ხელის მოწერით ბათომის ლერწამთა და ბზათა შორის კავკასიის ახალმა რესპუბლიკებმა დაიწყეს თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება, საჭიროა მოვიხსენიოთ ბაქო-ბათომის ნავთ-საადენის წესიერად შენახვის კონვენცია, რომელსაც ხე-

---

*) მე-4-ხე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი; ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (1917 წ.) ყოფილი წევრი.

**) ოსმალოებს წინათაც ეჭირათ თავრიზი დრო გამოშვებით.

ლი მოაწერეს აზერბეიჯანის, საქართველოს და ოსმალეთის წარმომადგენელებმა და შეთანხმება კავკასიის სამი რესპუბლიკისა და ოსმალეთისა ყოფილი ამიერ-კავკასიის რკინის გზების მოძრავ შემადგენლობის წილადხდომილ გზის სიგრძის მიხედვით პროპორციონალურად გაყოფის შესახებ.

## 32

ხალილ-ბეი რომ ბათომიდან ხელ-ცარიელი წასვლას არ ისურვებს; რომ მოწინააღმდეგის გახრწნის გამო გამარჯვებული ოსმალეთი მისთვის საჭირო ზავზე ხელის მოწერას აიძულებს ახალ მთავრობებს—ეს ადვილი წარმოსადგენი იყო. ბრძოლა ოსმალეთის მიერ ასე ძალით დაკისრებულ სეპარატიულ ზავის წინააღმდეგ; მიმართვა მოკავშირეებისადმი, რომ ისინი ჩარეულიყვნენ საქმეში და რამდენადაც შეიძლებოდა შეეცვალათ საქართველოს გამანადგურებელი, ტერრიტორიალური პირობები ზავისა—აი ეს იყო პირველი, რაზედაც უნდა გვეზრუნა ბერლინში ჩასვლისთანავე. გერმანიის მთავრობამ, რა თქმა უნდა, ჩვენი ზრახვები და იმედები იცოდა გენერალი ფონ-ლოსსოვის დახმარებით: ეხლა ჩვენ უკვე ფორმალურათ უნდა დაგვეწყო საქმე.

ჩვენ გადავეცით (ნოტიფიკაცია) გერმანიის მთავრობას საქართველოს 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების და ბ. რამიშვილის მთავრობის შედგენის აქტი.*).

„ამ გვარათ—ასე იყო ნათქვამი 6 ივნისის ჩვენს ნოტაში—საქართველოში რუსეთის 100 წელზე მეტი ხნის ბატონობის შემდეგ, ქართველმა ხალხმა ისევ დაიჭირა თავისი ადგილი დამოუკიდებელ ერთა შორის.

რუსეთთან პოლიტიკურ ხელშეკრულებას მიზნათ ჰქონდა უზრუნველ ეყო შინაგან საქმეებში სრული თავისუფლება და მთლიანობა თავის ტერრიტორიისა, მაგრამ საქართველომ მალე დაინახა, რომ მისი უფლებები ილახება: მისი თავისუფლება შეირყა, ნება-ყოფლობა შეიცვალა სრული ანექსიით.

---

*) იმავე დროს ჩვენ ვაცნობეთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაშლა.

იმ წამიდან, რაც რუსეთის მთავრობამ ამიერ-კავკასიიდან და კერძოთ საქართველოდან ჯარები გაიყვანა და ქვეყანა თავისი ბედის ანაბარად დასტოვა, საქართველოს აღარავითარი კავშირი არ აერთებს რუსეთთან. უცხო სახელმწიფოსადმი ყოველგვარ ვალდებულებისაგან განთავისუფლებულმა საქართველომ დღეიდან თავი გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკათ და იგი ცდილობს თავისი საერთაშორისო განწყობილება დაამყაროს მისივე სასიცოცხლო ინტერესებთან შესაფერად, თავისი ახლად მოპოებულ დამოუკიდებლობის და შემდეგი განვითარების თავისუფლების უზრუნველსაყოფად". სწორეთ ამ ახალი რესპუბლიკის მალე ცნობას ვთხოვდით ჩვენ გერმანიის მთავრობას.

საქართველოსა და ოსმალეთს შორის 4 ივნისს ზავზე ხელისმოწერა ჩვენ გავიგეთ ბერლინში მეორე დღესვე. 6 ივნისს ე. ი. იმავე დღეს, როცა ჩვენ ფორმალურათ ვაუწყეთ გერმანიის მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ჩვენ განუცხადეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ „რამდენადაც საქართველო იძულებული შეიქნა ოსმალეთის ძალდატანების გამო ოსმალეთთან რაიმე შეთანხმებაზე ხელი მოეწერა, იმდენათ ყოველივე ვალდებულება, ამ პირობებში ხელმოწერილი, უნდა ჩაითვალოს უმნიშვნელოთ", და რომ „ყველა კითხვები. რომელიც გადასაწყვეტია ოთხ მოკავშირე სახელმწიფოსა და საქართველოს შორის" უნდა განხილულ იქნეს განსაკუთრებულ კონფერენციაზე, რომელზედაც შემუშავებული იქნება ხელშეკრულება ერთის მხრით, ოთხივე მოკავშირე სახელმწიფოსა და მეორეს მხრით საქართველოს შორის; ამ ხელშეკრულებას საფუძვლათ დაედება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება.

ეს ჩვენი სურვილი, რომ გვქონოდა, ასე ვთქვათ, ჩვენი საკუთარი ბრესტ-ლიტოვსკი *), რომელიც ჩვენდა სასარგებლოთ გააუმჯობესებდა ბათომში საქართველოს ჩვენს თავზე მოხვეულ პირობებს, ჩვენ უფრო გარკვევით გამოვთქვით მეორე ნოტაში იმავე ექვს ივნისს; ეს ნოტა შეიცავდა ფორმალურ წინადადებას მოგვეწვია კონფერენცია, რათა დამყარებულიყო საქართველოსა და ოთხ მოკავში-

---

*) არსებითად ეს ასე იყო,—ნუ მიწყენენ ჩვენი სოც.-დემოკრატი ლიდერები, რომელნიც ასეთის აღშფოთებით იხსენიებდენ იმათ „დიდი" ბრესტ-ლიტოვსკისათვის.

რე სახელმწიფოს შორის „ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე მეგობრობისა და თანამშრომლობის ხანგრძლივი განწყობილება“.

ეს კამპანია, რომელიც იყო ბათომში ოსმალეთის დელეგაციასთან ჩვენი პაექრობის გაგრძელება (იხ. ზევით მუხლი 19), ემყარებოდა იმ აზრს, რომ „ბრესტ ლიტოვსკის შედეგი, რომელიც მიღებული იყო ოთხ სახელმწიფოსთან მოლაპარაკებით, შეიძლება გაფართოვდეს და შეიცვალოს იმავე წესით, ე. ი. მოწინააღმდეგე მხარესთან საერთო და არა სეპარატიული შეთანხმებით“.

როდესაც ჩვენ ამ მიზეზის გამო წინადადებას ვიძლეოდით მოგვეწვია ახალი კონფერენცია, ჩვენ ვქმნიდით არა მარტო ბათომის 4 ივნისის გადაწყვეტილებების გადასასინჯათ ახალ ინსტანციას, არამედ ვიგებდით დროსაც, რომელიც საჭირო იყო გერმანიასთან ჩვენი განწყობილებისა და საქართველოში დამოუკიდებელი წყობილების გასამაგრებლათ; ამგვარათ ჩვენ გვეძლეოდა საშუალება კონფერენციაზე გამოვცხადებულიყავით უფრო გამაგრებული.

და რადგან კონფერენციის მოწვევის წინადადება როგორც ეტყობა შეეთანხმებოდა მოკავშირეთა დისციპლინის დაცვის საჭიროებასაც და გერმანიის მომავალ ინტერესებსაც, საქართველოში და საქართველოს ირგვლივ მოხდა ის, რომ ლევიათან წამოეგო ჩვენი სუსტი ხელით გადაგდებულ ანკესზე *).

ფონ-კიულმანი ექვსი ივნისის ჩვენი ნოტის საპასუხოთ გვწერდა 9 ივნისს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარის სახელზე: „გერმანიის იმპერატორის მთავრობას პატივი აქვს განაცხადოს, რომ ი გ ი მ ზ ა თ ა რ ი ს კ ე თ ი ლ-გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი თ შ ე ხ ვ დ ე ს ა მ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ს (კონფერენციის მოწვევას) და ა რ დ ა ა ყ ო ვ ნ ე ბ ს მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა ი ქ ო ნ ი ო ს ა მ ს ა ქ მ ი ს შ ე ს ა ხ ებ მ ო კ ა ვ შ ი რ ე ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ე ბ თ ა ნ“.

გერმანიის მთავრობა ფიქრობდა, რომ პრაქტიკულის მოსაზრებით კონფერენცია უნდა ყოფილიყო მოწყობილი კონსტანტინოპოლში და რომ მას შეეძლო განეხილა კითხვა ახალი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობისა ოთხი სახელმწიფოს მიერ (ე. ი. გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, ოსმალეთი და ბულგარია). საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი დასძენდა რომ „იმპერატორის მთავრობა ეხლაც სცნობს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მთავრობათ

*) იხ. წიგნი იობისა თავი 40-20: „ჰოიზიდ თუ ვეშაპი სამკედურითა, ანუ შემოსდვა სათაური ცხვირისა მიერ მისსა?“

de facto და პრინციპიალურად თანახმაა რესპუბლიკის ფორმალურად ცნობის სასარგებლოთ გამოთქვას თავისი აზრი, მას შემდეგ, რაც კეთილად დამთავრდება მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკისა და მოსკოვის მთავრობის შორის *).

## 33

გერმანიის მოლაპარაკება მოკავშირე სახელმწიფოებთან კონფერენციის მოწვევის შესახებ არ გაძნელებულა და როგორც წინათ ვნახეთ, 24 ივნისს (იხ. გვ. 121), თავის სიტყვაში ფონ-კიულმანს უკვე შეეძლო მოეხსენებია რეიხსტაგისთვის, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს კავკასიის საქმეების გამო შეხვდენ ერთმანეთს ახალ კონფერენციაზე. მაშინვე სრულიად გარკვევით მან განაცხადა, რომ ფორმალურათ („დიპლომატიურათ") როგორც საქართველოს, ისე რუსეთის იმპერიისაგან გამოყოფილ სხვა განაპირა ქვეყნების დამოუკიდებლათ ცნობისათვის აუცილებლად საჭიროა რუსეთის (საბჭოთა) მთავრობის წინასწარი თანხმობა.

ეს შეთანხმება კი დამოკიდებული იყო რუსეთ-გერმანიის მოლაპარაკების შედეგებიდან; ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიღების (რატიფიკაციის) შემდეგ ბევრი მოსაწესრიგებელი მძიმე კითხვა აღიძრა **).

მოსკოვისგან ამ ცნობის თანხმობის მიღება უფრო ადვილათ შეეძლო გერმანიის მთავრობას ბერლინში ბ. იოფფესთან მოლაპარაკების დროს, ვიდრე საქართველოს ნორჩ მთავრობას, რომლის განწყობილება მოსკოვის საბჭოთა მთავრობასთან თავიდანვე სამწუხაროთ უნდა ყოფილიყო საზიზღარი—ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და საბჭოთა მოღვაწეებს შორის ანტაგონიზმის გამო (რაც უფრო საქართველოს ღუპავდა, ვიდრე რუსეთს!). მიმოსვლაც ტფილისსა და მოსკოვს შორის მაშინ მეტად საძნელო იყო, რადგან მათ ჰყოფდა სხვა და სხვაგვარი პოლიტიკური ზოლები. ეჭვს გარეშე იყო, რომ გერ-

---

*) საპასუხო ნოტაში საქართველოს დელეგაცია უპირატესობას აძლევდა რომ კონფერენცია მოწვეული ყოფილიყო ბერლინში ან სადმე სხვაგან და არა კონსტანტინოპოლში.

**) რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლა მოხდა 29 მარტს 1918 წ.

მანიის მთავრობის მიერ საქართველოს ფორმალურათ ცნობისთვის ჩვენ მოთმინებით უნდა გვეცადნა, სანამ არ დამთავრდებოდა რუსეთსა და გერმანიის შორის წარმოებული მოლაპარაკება.

რაც შეეხება კონსტანტინოპოლის გამოცხადებულ კონფერენციას, მისი მოწყობაც უფრო ძნელი შეიქნა, ვიდრე გვეხატებოდა 24 ივნისს კიულმანის რეიხსტაგის მოხსენებაში. კავკასიაში ოსმალეთს ჰქონდა საკმაოთ რთული საპირბოროტო კითხვები, და ამ ამოცანების გადაწყვეტა (მაგალითად, აზერბაიჯანში თავისი გავლენის განმტკიცება, პლებისციტის მოწყობა იმ ოლქებში, რომელიც წინასწარ აღნიშნული იყო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში და სხვა და სხვა) მას ერჩია საკუთარის საშუალებით, სანამ დაიწყებოდა კონფერენციის მუშაობა.

რადგან ოსმალეთმა მიზნათ დაისახა მუსლიმანური კავკასიის გამაგრება და საერთოდ კავკასიის კითხვების გადაწყვეტა თავისი უპირატესობის იქ დასამყარებლათ, ამიტომ მოიწვია კონსტანტინოპოლში დელეგაციების მთელი რიგი, რომელნიც დიდხანს და ამაოთ უცდიდენ უსაქმურ განცხრომაში მყოფნი კონფერენციის გახსნას; ისინი მოწყენით ცხოვრობდენ ოტომანის მთავრობის ხარჯზე პერის საუკეთესო სასტუმროებში, მაშინ, როდესაც მოლაპარაკება გერმანიასთან და დანარჩენ მოკავშირეებთან გამოცხადებულ კონფერენციის მზადების შესახებ ნელა და უშედეგოთ მიმდინარეობდა. გადიოდა კვირეები, კონფერენციას კი არ იწვევდენ.

საქმის ასეთი მდგომარეობა საშუალებას გვაძლევდა ბერლინში საფუძვლიანათ გაგვეხილა საქართველოსა და გერმანიის შორის შესაძლებელი განწყობილების კითხვა.

როგორ მოვიქცეთ თუ არაფერი გამოვიდა რუსეთ-გერმანიის ჰოლაპარაკებისა და კონსტანტინოპოლის კონფერენციისაგან? საპირო იყო მოგვენახა საქართველო-გერმანიის განწყობილების ისეთი დასაბუთება, რომელიც უზრუნველყოფდა, რომ გერმანია ასეთ შემთხვევაშიაც კი გვიცნობდა და ხელს შეგვიწყობდა: 1918 წ. ზაფხულში სწორეთ ეს ცნობა და ხელის შეწყობა იყო საქართველოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტორი, რომლის სამაგიერო ჩვენ არაფერი მოგვეპოებოდა.

# თავი მეცამეტე.

## გერმანიის იმედით.

### 34

ეხლა, როდესაც გერმანიის მთავრობასთან მწყობრი მოლაპარაკება დავიწყეთ, თითქოს უსიტყვოთ შეეთანხმდით, ჯერ-ჯერობით არ შეეხებოდით ფოთში ხელმოწერილ შეთანხმებებს, თუმცა მათი უმთავრესი საფუძველი შეუძლებელი იყო შეგვეცვალა ან უარგვეყო (ეკონომიური სარგებლობა, რომელიც მინიჭებული ჰქონდა გერმანიას, დამოკიდებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის პოლიტიკურის ხელის შეწყობით). ამ აზრით, რა თქმა უნდა, ბერლინის მოლაპარაკება იყო ბათომში და ფოთში დაწყებულ მოლაპარაკების გაგრძელება და დაბოლავება.

უპირველესად ყოვლისა, ჩვენ უნდა წარგვედგინა განმარტება საქართველოს დამოუკიდებლობის კითხვის პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლებისა. ნ. იაკ. ნიკოლაძემ შეადგინა ეკონომიური მიმოხილვა; მე დავამუშავე ისტორიული და პოლიტიკური მხარე საქართველოს დამოუკიდებლობის კითხვისა.

ცალკე „განმამარტებელ მემორანდუმში" მოკლეთ დასურათებულია საქართველოს ბედი, განსაკუთრებით უკანასკნელ ეპოქებში— რუსეთის პროტექტორატის დროს, შემდეგ რუსეთის უშუალო მფლობელობის დროს—და უმთავრესი ფაქტები ამიერ-კავკასიის განცალკევების ისტორიიდან 1917 წელს, სრული მისი ჩამოშორება, და ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წ.

ეს ცნობები ამ გვარათ არის გამოსახული მემორანდუმის მეცხრე მუხლში:

საქართველოს მფლობელთა მიერ დადებულ ხელშეკრულების თანახმად რუსეთთან შეერთებული საქართველო, რომელიც არასდროს არ ყოფილა რუსეთის მიერ იარაღით დაპყრობილი, ასი წლის რუსეთის მფლობელობის დროსაც რჩებოდა ეროვნულ ცოცხალ სხეულათ, რომელიც ელოდა ხელსაყრელ დროს, რომ განეხორციელებია თავისი ჩაუმქრალი ეროვნული უფლებები და განეცხადებინა თავისი პოლიტიკური მოთხოვნილებანი.

საქართველო ერთგული იყო რუსეთისა დიდი ომის დროს ბრესტლიტოვსკის ზავის შეკვრამდე, მაგრამ მას არ შეეძლო გულგრილად შეხვედროდა რუსეთის მთავრობის მოქმედებას, რომელიც საზღვრებს სტოვებდა მტრის შემოსასევათ და ხელშეკრულებით მტერს უთმობდა საქართველოს ნაწილებს. ამ გვარათ, თავის ბედზე მიტოვებული საქართველო, ამიერ-კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოებრივობის დაცემისა და სრულ მოსპობის შემდეგ, ჯერ ხელს უწყობდა დაფუძნებას დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ წესწყობილებისას, მაგრამ შემდეგ დაიწყო საკუთარი სახელმწიფოს მოწყობა, რომელიც მომხდარ გარემოებათა გამო, სრულიად თავისუფალი იყო ყოველგვარი ვალდებულებისაგან რუსეთის მიმართ, რომლის მთავრობამ განსაკუთრებულის დეკრეტით სრული თავისუფლება მიანიჭა რუსეთის სახელმწიფოში შემავალ ყოველ ერს აერჩია შესაფერისი პოლიტიკური რეჟიმი, თუნდაც სრულიად ჩამოშორებოდა რუსეთს.

ამ გვარათ, საქართველოს ხალხს, რომელიც ისევ დაუბრუნდა თავისი უფლებების განხორციელებას, რუსეთის მფლობელობის დროს შეჩერებულს—ეხლა სურს მოაწყოს თავისი სახელმწიფო და თავისი საერთაშორისო დამოკიდებულებანი თავისუფლათ ისე, რომ უზრუნველყოფილიყოს მისთვის ხანგრძლივი სარგებლობა აღდგენილი უფლებებით საქართველოსა და მთელი კავკასიის საკეთილდღეოთ".

ამ საბუთს*) უნდა ცხად ეყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ბუნებრივი და გარდუვალი შედეგი იყო

---

*) ამ საბუთის შედგენის დროს, რა თქმა უნდა, სახელმძღვანელოთ მიღებული უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობის ოფიციალური დოკტრინა ამ კითხვის შესახებ, რთგორც იგი გამოთქმულ იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში". 26 მაისს 1918 წ. ამ აქტის ტექსტი სხვა და სხვა ენაზე ფართოდ იყო გავრცელებული. იხ. რუსული თარგმანი „Документы и материалы"-ში № 165.

უძველესი ისტორიული ტრადიციისა, საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიის ეროვნული შეგნებისა და last but not least—რუსეთის იმპერიის დაშლისა 1917 წელს.

---

1918 წ. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზეზებისა და მდგომარეობის განმარტების შემდეგ, საჭირო იყო აღგვენიშნა ძირითადი პოლიტიკური მიზნები, რომლის განხორციელებასაც ვსცდილობდით და ხასიათი იმ დახმარებისა, რომელიც უნდა გაეწია ჩვენთვის ბერლინს.

სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ: უნდა დაგვესაბუთებია და ნათლად გამოგვეთქვა აზრი იმ, ეგრედ წოდებული, გერმანიის ორიენტაციისა, რომელიც ჩვენ ვირჩიეთ 1918 წლის გაზაფხულზე. და ეს უნდა მოგვემოქმედნა მას შემდეგ, რაც 1917 წელს, ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა თათბირმა აღიარა რუსეთის ორიენტაციის შენარჩუნების საჭიროება!

რომ ეს ცვლილება გავიგოთ, უნდა გავიხსენოთ, რომ ამ ორ ხანათა შორის მოხდა რუსეთის დემოკრატიის დაცემა (დამფუძნებელი კრების განდევნის გამო) და რუსეთის იმპერიის დაცემა, რაც დამოწმებულ იქმნა ბრესტ-ლიტოვსკში.

რუსეთის დაშლა უეჭველი მოვლენა იყო. ყოფილი იმპერია აღარ არსებობდა 1918 წლის დასაწყისში. ჯერ კიდევ მოუწყობელ საქართველოს საზღვრებზე იდგენ ოსმალოები: ზევითაც საკმაო დაწვრილებით მოთხრობილია, თუ როგორ, რატომ, რა საშვალებით გადარჩა საქართველო უშვალო გასაჭირს „გერმანიის ორიენტაციის" მეოხებით—ე. ი. იმ პოლიტიკური გეზის მეოხებით, რომელსაც უკარნახებდა საქართველოს მაშინდელი ვითარება.

მაგრამ დღევანდელი პირობებით ახსნა სრულიად არ არის საკმაო: „გერმანიის ორიენტაციაში" თავიდანვე იყო რაღაც უფრო ღრმა, რაღაც უშუალოთ დაკავშირებული ერის მომავალ სვე-ბედის, მისწრაფებათა და თვითდამკვიდრების შეგნებასთან, იმ ერის, რომელიც კნინდებოდა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთის სახელმწიფოებრივობის პირობების გამო.

აქ თავი იჩინა მისწრაფებამაც, რამდენათაც შეიძლება უშუალოთ დავახლოვებოდით ევროპას, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა ქართველ ერს, როგორც უმთავრესი კერა ყოველგვარი კულტურული მოძრაობისა; იყო სურვილიც განთავისუფლებისა რუსეთის მეტად შემზღუდავ, საშიშო და ცალმხრივი ზეგავლენისაგან; გაიღვიძა იმედმაც, რომ საქართველოს ეროვნული მომავალი მკვიდრ ნიადაგზე დაემყარება, როცა იგი შევა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ სისტემაში, როგორც დამოუკიდებელი ერთეული...

ძნელი იყო გათვალისწინება, თუ როგორი იქნებოდა ეს სისტემა; მაგრამ გამოსვლა როგორც პოლიტიკურ ერთეულის, როგორც ერთ-ერთი ფაქტორის, რომელსაც ანგარიშს უწევენ,—ბუნებრივიც იყო და გონიერიც.

ასე აღინიშნა ის ვარიანტი „ევროპასთან დაახლოვებისა", რომელიც საფუძვლათ დაედვა საქართველოს პოლიტიკას ბათომის კონფერენციიდან (მაისი 1918 წ.) დაწყებული და რომელსაც შეიძლება ეწოდოს „გერმანული" ანუ „საშუალო-ევროპიული"; ამ ვარიანტის მიმართულება სავსებით შეესაბამებოდა აღმოსავლეთ-ევროპის და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ მდგომარეობის იმ დროს, როცა საქართველოს პირველად უნდა გადაეწყვიტა და არჩევანი მოეხდინა.

თავის დროზე „რუსეთის ორიენტაცია" საქართველოსთვის ქრისტიანულ კულტურასთან და განათლებასთან დაახლოვების ასეთივე ისტორიულ გარდუვალობის და გეოგრაფიულ ბედის-წერის „ვარიანტი" იყო: მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოს ცდები, დასავლეთ ევროპაში მოეპოვა დახმარება, უიმედო იყო და რჩებოდა ამაოთ. 1918 წელს კი პირობები სხვა სჩანდა: ევროპასთან დაახლოვება უკანასკნელის ინტერესებისა და აღმოსავლეთში გავლენის გამო ხერხდებოდა შედარებით ადვილათ, ხდებოდა პრაქტიკული პოლიტიკის კითხვათ, საგრძნობ მიღწევის წყაროთ. მაგრამ, ვიმეორებ: ეს პირველი ვარიანტი საქართველოს ევროპის ორიენტაციისა, აუცილებელ საჭიროების მიხედვით ამბობდა: გერმანია, „შუა-ევროპა".

ამ განმარტებათა შემდეგ გადავალ მეორე მემორანდუმის (17 მაისის 1918 წ.) გადმოცემაზე, რომელშიაც აღნუსხული იყო საქართველოს პოლიტიკური მიზნები და მოყვანილი იყო საერთო სქემა გერმანიასთან მისი ურთიერთ დამოკიდებულებისა.

ამ საბუთში ჯერ აღწერილია მიზეზები და შედეგები საქართველოს რუსეთთან შეერთებისა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, შემდეგ კი გამოთქმულია ქართველი ერის სურვილი დაეყრდნოს ისეთ სახელმწიფოს, რომლისგანაც არ მოელის საშიშროება ჩაყლაპულ იქმნეს (ანექსიის შიში) და რომლის ინტერესები ადვილათ შეიძლება შეეთანხმოს საქართველოს პოლიტიკურ ამოცანებს.

როგორია ეს ამოცანები?

უპირველესად ყოვლისა, მისი სახელმწიფოებრივობის განმტკიცება: მოწესრიგება ხელისუფლებისა და მართველობის დარგებისა, სამხედრო ძალისა, ფინანსებისა; ცნობა სხვა სახელმწიფოთა მიერ და მათთან უფლებრივ საერთაშორისო დამოკიდებულების დამყარება.

მეორე, შექმნა საკავშირო განწყობილებისა საქართველოსა და მის მეზობელთა, ქრისტიანთა და მუსლიმანთა შორის, როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე ჩრდილო-კავკასიაში და, შემდეგ, მომზადება კავკასიის კონფედერაციისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალ პოლიტიკურ სისტემაში, რომელი სისტემაც, როგორც საერთაშორისო ომის შედეგი, დამყარდება ამ მხარეში.

ეს კონფედერაცია ნეიტრალურათ იქნება გამოცხადებული, და საკმაო სამხედრო ძალა ეყოლება, რომ დაიცვას თავისი ნეიტრალიტეტი გარეშეთა ყოველგვარ თავდასხმისაგან.

მაგრამ საჭიროა უპირველესად ყოვლისა, ხელი შეეწყოს საქართველოს დამოუკიდებლობას, რათა უზრუნველყოფილ იქმნეს მისი მომავალი: დამოუკიდებელი საქართველო ქვა-კუთხედათ დაედება კავკასიის კონფედერაციას; გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ზეგავლენაც საქართველოდან უფრო ადვილათ გაიკვლევს გზას მეზობელ ქვეყნებში, ეს—მომავალში; მაგრამ გერმანია ეხლავე მიიღებს მონაწილეობას... საქართველოს სიმდიდრეთა დამუშავებაში უკანასკნელისათვის სესხის მიცემასთან დაკავშირებით.

ამ წინასწარი დებულებებისაგან გამოდიოდა დასკვნა, რომ გერმანიისა და საქართველოს ურთი-ერთი განწყობილება უნდა აშენდეს მოკავშირეობის საფუძველზე—საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის სრულ ცნობაზე; გერმანიას კი ეთმობოდა ფაქტიური უპირატესობანი ხელშეკრულებებისა და კონვენციების მიხედვით, რომელნიც განსაზღვრავდენ გერმანიის მონაწილეობას

უმთავრესად ეკონომიურ აღმშენებლობაში და კერძოთ საქართველოს დასაცავათ სამხედრო ძალების ორგანიზაციაში.

პირობაში განსაკუთრებით იყო აღნიშნული გერმანიის დახმარება საქართველოს საერთაშორისო ცნობის შესახებ; გერმანიაში სესხის მიღება ფულის სისტემის შესაქმნელათ და სხვა...

ზემო-აღნიშნულ საფუძველზე—გამოჰყავდა დასკვნა მემორანდუმს—შესაძლებელია აღმოცენდეს გერმანიისა და საქართველოს შორის ნაყოფიერი და ხანგრძლივი თანამშრომლობა. საქართველო ეკონომიურ აყვავების შესაძლებლობასთან ერთად მოიპოვებდა გარანტიას (უზრუნველყოფას) თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისას. გერმანიაც ნახავდა არა ნაკლებ სარგებლობას: საქართველოსთან თანამშრომლობა გაუადვილებდა მას აღმოსავლეთში გერმანიის ინტერესების განვითარებასა და დაცვას *).

## 35

ფოთში ხელ-მოწერილ დროებით შეთანხმებების გადმოცემამ (იხ. თავი მეცხრე) გვაჩვენა, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა გერმანია საქართველოსთან ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებას.

აქ, ბერლინში, საქმის ამ მხარისათვის ისეთივე ყურადღება უნდა მიგვექცია, როგორც წმინდა დიპლომატიურ მოლაპარაკებისათვის: რადგან მსხვილ მრეწველობასა და ბანკებს მჭიდრო კავშირი აქვთ მთავრობასთან, ეკონომიური კითხვების წარმატებითი სვლა გზას გვიკაფავდა ჩვენი პოლიტიკური ამოცანების დაჩქარებით გადაჭრაშიაც. ჩვენ ხომ მოლაპარაკება უნდა გვეწარმოებინა გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო წრეების ყველაზე უფრო ძლიერ და, მაშასადამე, ყველაზე უფრო გავლენიან საწარმოო დაწესებულებებთან.

ამ მოლაპარაკების უმთავრესი საგანი თავის თავად ირკვეოდა. არც გამოგონება იყო მისი საჭირო და არც შეჩჩება. ეს იყო—შა-

*) ნ. ი. ნიკოლაძემ შეადგინა განსაკუთრებული მოხსენება გერმანიისათვის საქართველოსთან კავშირის ეკონომიურ სარგებლიანობაზე და საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრის შესახებ. ტექსტში მოყვანილ ორ მემორანდუმთან ერთად იგი მოხსენება ეცნობა გერმანიის მთავრობას. შეიძლება ითქვას, რომ ეს სამი საბუთი საფუძვლათ დაედვა ჩვენს მოლაპარაკებას ბერლინში.

ვი-ქვა ჭიათურისა, სადაც გერმანიის ფირმებს დიდი ხანია უკვე ჰქონდათ თავისი ინტერესები, და რომლის მნიშვნელობა ევროპის ფოლადის მეტალლურგიისათვის მეტათ დიდია. *)

ამ „შავ-ქვაზე" აშენდება საქართველოსა და გერმანიას შორის განწყობილება, ვფიქრობდით ჩვენ, და საბუთიც გვქონდა!

როგორც კი წინასწარ ვინახულეთ სახალხო მეურნეობის უწყების (Reichswirtschaftsamt) მინისტრი ბარონ ფონ-შტეინი, მაშინვე შეუდექით მოლაპარაკებას, რომელიც ხდებოდა ამავე სამინისტროს შენობაში. თვით სამინისტროც იღებდა ერთგვარ მონაწილეობას. რაც შეეხება გერმანელ ჩვენ კონტრაგენტებს, აქ იყო მთელი, ეგრეთ წოდებული, „მძიმე ინდუსტრია": ფრიდრიხ კრუპპის აქციონერული საზოგადოება (ესსენი), გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო აქციონერული საზოგადოება, Deutsch-Luxemburgische... Aktiengesellschaft (Bochum), Gewerkschaft Deutscher Kaiser და სხვა, რომელთა დასახელებაც კი გვაგონებს მაღაროებს, გამოსაწვავ ქურებს, დივიდენდებს, მუშათა კითხვას... ციკლოპიური მოცულობით. ამათ მხრივ მოლაპარაკების ხელმძღვანელის როლს ასრულებდა ფრიც ტისსენი. **)

გადაწყვეტილი იყო, საზღვარ-გარეთ შავი-ქვის გატანა მოეწესრიგებიათ საქართველოს კანონების საფუძველზე განსაკუთრებული აქციონერული საზოგადოების დაარსებით, რომელსაც მიენიჭებოდა გაზიდვის მონოპოლია (ჩვეულებრივ შავი-ქვა საესებით გადის ევროპასა და ამერიკაში). რომ გაზიდვა მოწყობილი ყოფილიყო „ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვისამებრ" და, საერთოდ, რომ საქმეს მთლიანი და გეგმიანი ხასიათი მიეღო, გადაწყვეტილი იყო კიდევ ორი აქციონერული საზოგადოების დაარსება. ერთი ჭიათურა-შორაპნის მისავალი რკინის-გზის ექსპლოატაციისათვის; მაღაროებიდან ამ გზით ჩამოდის შავი ქვა, რომ შემდეგ მთავარი ხაზით მიაღწიოს ფოთს; მეორე — ფოთის ნავთსადგურის ექსპლოატაციისათვის.

---

*) ყველა ეს ცნობები იხ. წიგნში: D. Ghambashidze, F. R. G. S. Mineral resources of Georgia and Caucasia. Manganese industry of Georgia London 1919.

**) ფრანგების მიერ რურის დაკავების დროს, 1923 წლის დასაწყისში, იგი საპატიმროში ჩასვეს ფრანგების მოთხოვნილებათა შეუსრულებლობის გამო, და ამ უდიდესი მრეწველის სახელი მაშინ მთელ გერმანიას მოედვა.

სამივე საზოგადოების საქმის ხელმძღვანელობა ეთმობოდა მრეწველთა ზემო-მოყვანილ წრეს. გერმანიის მხრით გამოთქმული იყო მხურვალე სურვილი, მთელი ეს საქმე უკლებლივ მათ ხელში გადასულიყო ე. ი. აქციონერთა შემადგენლობით სამივე საზოგადოება უნდა ყოფილიყო წმინდა გერმანული; ამასთანავე უნდა დაეწესებიათ საქართველოს მთავრობისთვის საკმაოთ დიდი ანარიცხი და საერთოდ საგრძნობი ფინანსიური სარგებლობა, მაგრამ თანახმად საქართველოს დელეგატების გადაჭრითი მოთხოვნისა, მიღებულ იქმნა სხვა გეგმა, სახელდობრ: აქციონერულ კაპიტალში პარიტეტული მონაწილეობა ქართველი და გერმანელი ჯგუფებისა; ქართველ ჯგუფს ეძლეოდა გამგეობის სამი დირექტორიდან ერთი დირექტორის ადგილი, და თავმჯდომარეობა სამივე აეციონერული საზოგადოების საბჭოში (საბჭოს წევრთა რიცხვი კი თანაბრათ). ერთის სიტყვით, გერმანელთა ჯგუფი ღებულობდა უპირატესობას აქტიურ ადმინისტრაციაში (გამგეობაში), ქართველი ჯგუფი—ზედამხედველობაში; მონაწილეობა კი თანაბარი რჩებოდა.

ამ საფუძვლებზე დამყარებული სამი პირობა ხელ-მოწერილ იქმნა 12 ივლისს; იმავე დროს ხელმოწერილ იქმნა განსაკუთრებული შეთანხმება სახალხო მეურნეობის სამინისტროსთან (Reichswirtschaftstamt) მინისტრის ამხანაგის—დ-რ გეპპერტის*) სახით—შესახებ მინიჭებისა იმავე ჯგუფისათვის, ე. ი. გერმანელ მრეწველებისათვის უფლებებისა, ზემოთ-მოყვანილ საფუძვლებზე დაიწყონ ახალი, ჯერ ჭიათურაში არ არსებული მრეწველობა, სახელდობრ, შავი-ქვის ფერრო მანგანათ და სხვა შეერთებათ გამოდნობა; აქციების (გერმანელთა ნახევარის) განაწილებისა დაინტერესებულ ჯგუფებთა შორის და სხვა.

ამავე ოქმში შეტანილი იყო შემდეგი (მე-6) მუხლი: „საქართველოს მთავრობა ამ ხელშეკრულებებს საბოლოოთ ჩასთვლის მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეკრული იქნება ფინანსიური პირობა, რომლის შესახებ მოლაპარაკება უკვე სწარმოებს, და მას შემდეგ, რაც გამოირკვევა პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკისა და გერმანიის იმპერიის შორის“.

---

*) უფროსი ძმა იმ დ-რ გეპპერტისა (საგარეო საქმეთა სამინისტრო), რომლის შესახებ ერა ერთხელ იყო უკვე ნათქვამი.

ამ ხელშეკრულებათა ხელის მოწერა აღნიშნული იყო (16 ივლისი) საზეიმო სადილით, რომლის მომწყობი იყო მინისტრი ბარონ ფონ-შტეინი. სადილს დაესწრენ ვიცე-კანცლერი von Payer, იმპერიის ფინანსების მინისტრი და მრავალი სხვა *).

ფინანსიური შეთანხმება სესხის შესახებ ჩვენ მალე შევკარით (15 აგვისტოს) გერმანიის უდიდეს ბანკებთან ისე, რომ „შავი-ქვის" ხელშეკრულებათა განხორციელებისათვის საჭირო იყო მხოლოდ გვეცადნა ჩვენი დიპლომატიური კომპანიის შედეგებისათვის—ე. ი. უპირველესად ყოვლისა გერმანიის მიერ ჩვენი ფორმალური ცნობისათვის.

საქმით ეს ხელშეკრულებანი ვერ შესრულდენ. თეორიულათ კი, მე მგონია, ისინი საშვალებას მისცემდენ საქართველოს ჩაბმულიყო ევროპის კულტურულ კაპიტალის **) თანამშრომლობაში, რაც გამოიწვევდა ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების სწრაფ წინსვლას, გაგვიფართოვებდა ეკონომიურ ჰორიზონტს, შეგვაჩვევდა საქმიან წეს-რიგს, გაჩნდებოდა ხელფასის შოვნის საშვალება, როგორც ზედმეტად მშიდროთ დასახლებულ გლეხობისათვის, ისე

---

*) ავტომყოფობის გამო ჩვენკელი არ დასწრებია. მე დამსვეს ვიცე-კანცლერის გვერდით: ჩემს მაგიერ მან გადასცა პურის კუპონი (მე თან არ მქონდა) მეტრ-დ'-ოტელს, რომელმაც მხოლოდ ამის შემდეგ დადვა ჩემს საინზე შავი პურის პატარა ნაკერი.

ასეთი იყო სისასტიკე სამხედრო-სასურსათო მოწესრიგებისა.

ვიცე-კანცლერი, სიმპატიური მოხუცი—ვიურტემბერგელი, მეკითხებოდა, სხვათა შორის, თავის თანამემამულეებზე—კოლონისტებზე, რომელნიც ალექსანდრე პირველის დროს გადმოსახლდენ ვიურტემბერგიდან საქართველოში.

ვიმუსაიფეთ რუსეთის რევოლიუციაზე, რევოლიუციებზე, 1848 წლის მარტზე. „ჩვეს თვითონ არ ვიცით, რა ბედნიერი ვართ. რუსეთის მაგალითი გვაჩვენებს, თუ როგორ უნდა ვაფასებდეთ სამართლისა და წეს-რიგის სიკეთეს. სამოქალაქო თავისუფლების დარღვევა ყოველთვის აღელვებს ჩვენს რეპუბლიკაგს (პარლამენტი) და ეს მისი ალღო კანონიერების საუკეთესო დარაჯია".

ბანკეტის შემდეგ დიდხანს უსხედით ღვინიან ჭიქებს. 12 საათზე, სამმარ დროის წესების თანახმად მოვიდენ ელექტრონის ჩასაქრობათ; საზოგადოება სიტყვის შეუბრუნებლად დაემორჩილა განკარგულებას—აქ კი იყო სამი მინისტრი და ბევრი უმაღლესი მოხელე სხვადასხვა უწყებისა.

**) ე. ი. იმ „საწარმოო ძალთა განვითარებაში", რომელსაც ქართველი მარქსისტები გულუბრყვილოთ ელოდენ, როგორც „ისტორიის ობიექტიური მსვლელობის" შედეგს.

„ინტელიგენტურ“ პროლეტარიატისათვის. უკანასკნელ მოსაზრებებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, ისე როგორც აღმოსავლეთის სხვა ჩამორჩენილ ქვეყნებისათვის, სადაც „დასავლეთის სხვადასხვა იდეურ მიმართულებათა“ შეთვისებამ საჭიროებაზე ზედმეტათ გაამრავლა პოლიტიკანები, აგიტატორები და სხვა,. მაშინ, როცა ხალხი უმეცრებით არის მოცული და არ არსებობს საჭირო წრე ისეთი პირებისა, რომელთაც შეეძლოთ განავითარონ მეურნეობა და გააფართოვონ და დააკმაყოფილონ ქვეყნის მოთხოვნილებანი.

ჩვენ იმ დროს მოვხვდით ბერლინში, როცა ომის მიერ გამოწვეულ „ეკონომიკისა“ და უმთავრეს საერთო მიმდინარეობათა გამო გერმანია განიცდიდა „ნედლეულის“ ერთგვარ ფსიხოზს. როგორ უზრუნველ ეყოთ თავისი თავი ნედლეულით არა მარტო ომის დროს, არამედ საერთოდ, მომავალი ეკონომიური კონკურენციისათვის? შუა ევროპის საზღაპრო მრეწველობას ხელთ უნდა ჰქონდეს განუზომელი რაოდენობა მადნეულისა, მატყლისა, პურისა, ნავთისა, ტყავისა და სხვა და სხვა. როცა აღმოსავლეთის ფრონტზე რკალი გაიხსნა, გერმანია ვნებით დაეწაფა ყოველგვარ მარაგს, მიწის წიაღს, შესაძლებლობას, რაც კი მათთვის ხელმისაწდომი შეიქნა.

ასეთი სულიერი განწყობილება საფუძვლათ ედებოდა როგორც პრაქტიკულ გეგმებს, ისე ოცნებას. რა ხშირად ხდებოდა, რომ ანგარიში აღიზიანებდა ოცნებას ან და ოცნება ფრთას ასხამდა სტატისტიკას! ნედლეულის ამ Wahrheit und Dichtung-ში, ეკონომიურ ხალვათობის ამ ყიჟინში ჩვენც შევიტანეთ ჩვენი წვლილი—განსაკუთრებით ნ. ი. ნიკოლაძემ. სრულიად ბუნებრივათ და აუცილებლათ სერიოზულ მოლაპარაკების მარცვალს, რომლის შესახებ წინათ იყო ნათქვამი, გარს ეხვეოდა საბურავი მისნობისა, შესაძლებლობისა და მოსაზრებებისა; და ერთმანეთს უერთდებოდა ნამდვილი ან საეჭვო დოვლათის ულევობა შეძენის და მიღწევის უსაზღვრო სურვილს.

კავკასიის მდინარეები და ჩანჩქერები ხდებოდენ ფოლადის მოსართავებით შეკაზმულ ფიცხი ცხენების (H P) მილიონებათ, რომელნიც მზად იყვნენ შუა-გულ აზიაში შეეტანათ გერმანიის კაპიტალიზმის ეტლი. ნაძვის, ფიჭვის და სხვა ტყეების მასალა მოსჩანდა ქაღალდათ; რაღა ითქმის სპილენძზე! რაღა ითქმის ნავთის ნაწარმოებზე!

უნდა შევნიშნო, რომ ამ „ნედლეულზე“ და სხვა საგნებზე ლაპარაკს საფუძველი მართლაც ჰქონდა. მაგრამ არ იყო საკმაო დრო უფრო პრაქტიკულათ დაგვეყენებია ეს კითხვები. თუმცა ყველაფერი—როგორც „ნამდვილი“, ისე „ფანტასტიური“—ხომ არყოფნისთვის იყო განწირული... ყველაზე უფრო „სინამდვილის“ ნაწილში, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ჩვენ ყველაზე უფრო „ვოცნებობდით“ —ეართალია მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო გამობრძმედილ მთავრობასთან, ევროპის უძლიერეს საქმის კაცებთან და „თანამედროვე“ ბანკებთან ერთად...

## 36

რეიხსტაგში საქართველოს კითხვის შესახებ ფ. კიულმანის განცხადებისა და გერმანიის მრეწველებთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, ჩვენი უახლოესი მიზანი ბერლინში ჩასვლისა შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს.

იქ, ადგილობრივ, დამოუკიდებელი საქართველო ეწყობოდა, როგორც კი შეეძლო და რამდენათაც ცოდნა შესწევდა, ებრძოდა შინაგან და გარეშე დაბრკოლებებს. გენერალი კრესსის და გერმანელთა მცირე რაზმის ყოფნა ტფილისში კეთილ გავლენას ახდენდა —იგი აჩერებდა ოსმალოებს განსაზღვრულ ფარგლებში.

1918 წლის ივნისის დამლევს საქართველოს მთავრობის სათავეში ჩადგა ნოე ჟორდანია; ამით მოხდა ერთგვარი შეგუება მთავრობის მანქანისა და პარტიულ და რევოლიუციონურ ორგანიზაციებისა, რომელთა ხელმძღვანელად იგი ითვლებოდა. საქართველოს მცირე ფარგლებში თავიდან აიცილეს ის გაორება, „მთავრობისა“ და „საბჭოისა“, რაც საბედისწეროთ მოევლინა რუსეთს 1917 წ., მაგრამ მარტო გაერთიანება, რა თქმა უნდა, არ უზრუნველყოფდა არც სახელმწიფოებრივ დახელოვნებას, არც სიმტკიცესა და შორსმჭვრეტელობას სახელმწიფოს მართვაში.

მძიმე, საპასუხისმგებლო და თან მეტად საყურადღებო ამოცანები დგებოდა ტფილისის მთავრობის წინაშე. საჭირო იყო საქართველოსა და მეზობელ რესპუბლიკათა შორის ნორმალური განწყობილების შექმნა. დაბრკოლება ბევრი იყო; მაგრამ სარჩევი კი

-არა სჩანდა: მეზობლებთან დაახლოვება უეჭველად უნდა მიმ-ბდარიყო, წინაალმდეგ შემთხვევაში ყველაფერს საფუძველი ეთხრებოდა. ყოველი თვე ძვირფასი იყო; მძიმე კითხვების გადადება მხოლოდ მცირე დროით აფერხებდა საკუთარი სიკვდილის სასჯელის აღსრულებას.

ამ დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, უსაქმობით მოწყენილი, ბერლინში იჯდა და წუწუნებდა გერმანიის დიპლომატიის ფორმალიზმზე და, როგორც მას ეჩვენებოდა, სიზანტეზე—სწორეთ იმ დროს, როცა მისი მუყაითობა და დაჟინება სასარგებლო იქნებოდა ტფილისში, სადაც ბერლინში მყოფ მინისტრის მაგიერობას ეწეოდენ სრულიად შემთხვევითი პირები, პარტიის მეთაურთა კრეატურები.

---

ჩხენკელი ვერას გზით ვერ ურიგდებოდა გერმანიის მთავრობის სურვილს ჯერ რუსეთის თანხმობა მიეღო ამ კითხვაზე და მერმე ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. იგი დაჟინებით იმეორებდა, რომ საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებულია, რომ მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ფორმალურად არასდროს არ ყოფილა გაუქმებული და, რომ ამიტომ, გერმანიას მოსკოვის მთავრობასთან შეუთანხმებლად შეუძლია ეხლავე იცნოს ივი. ბოლოს გადავწყვიტეთ მიგვეღო ამ კითხვის შესახებ გერმანელ რომელიმე ცნობილ იურისტის დასკვნა, რომლის აზრი, როგორც ჩ. იმედოვნებდა, გავლენას იქონიებდა გერმანიის მთავრობაზე და გადალახავდა დ-რ კრიგეს ფორმალიზმს. ასეთი დასკვნა, ჩვენის თხოვნით, მოგვცა ცნობილმა მეცნიერმა, კრიმინალისტმა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა, ბერლინის პროფესორმა ფრანც ფონ-ლისტმა. *)

თავის საუცხოოთ დაწერილ მსჯელობის საფუძვლათ ლისტი სდებს, რა თქმა უნდა, საქართველოს არა 1783 წლის წინა მდგომა-

---

*) Prof. D-r. Franz v. Liszt. Geheimer Justizrat. Die Völkerrechtliche Stellung der Republik Georgien. Ein Gutachten. Berlin 1918. დაბეჭდილია ცალკე წიგნაკათ.

რეობას (როცა დადებულ იქმნა ხელშეკრულება ირაკლი მეორისა და ეკატერინე მეორის შორის პროტექტორატის შესახებ) და არც მდგომარეობას, რომელიც წინ უძღოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას (1801)—პოზიციები, რომელნიც „ფაქტის ნორმატიული ძალით" იქმნენ გაუქმებული, არამედ 1918 წლის ვითარებას. მასის დასკვნა გამოჰყავს, რომ არ მოიპოვება იურიდიული დაბრკოლება გერმანიის მიერ საქართველოს ფაქტიურათ ცნობისა. *)

მაგრამ, როცა ლისტი სწერდა თავის დასკვნას, პოლიტიკური დაბრკოლებებიც გადალახული იყო. 1918 წლის შუა ივლისში ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ მოსკოვის მთავრობა მზათაა გერმანიამ იცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა. გერმანია-რუსეთის დამატებითი ხელშეკრულება (ბრესტ-ლიტოვსკის) მრავალ შეფერხების შემდეგ, მას შემდეგ, რაც საბჭოთა წარმომადგენელმა იოფფემ ბერლინიდან მოიარა მოსკოვი, ხელმოწერილ იქმნა ბერლინში 27 აგვისტოს 1918 წელს*). აქ, მე-13 მუხლში, ნათქვამია: „რუსეთი თანხმობას აცხადებს, რომ გერმანიამ იცნო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი".

---

*) მაგრამ აი პროფ. ფონ-ლისტის (აწ უკვე გარდაცვალებულის; იგი გარდაიცვალა 1919 წ.) დასკვნების თარგმანი:

1) საქართველო ესლაც (1918 წ. აგვისტო) წარმოადგენს თავის-თავად, სრულიად დამოუკიდებელს და ამით სუვერენულ სახელმწიფოს, და, როგორც ასეთს, საერთაშორისო საჴართლის უფლებით შეუძლია მოითხოვოს ცნობილ იქმნეს სხვა სახელმწიფოთა მიერ.

2) საქართველოს რესპუბლიკა უკვე ნაცნობია, როგორც de facto არსებული ახალი წევრი სახელმწიფოთა ჯგუფისა, გერმანიის იმპერიის და მისი მოკავშირეების მიერ ან აშკარათ და ან შესატყვისი (კონკლიუდენტური) მოქმედებით.

3) ფორმალურად ცნობის საწინააღმდეგო იურიდიული მოსაზრება არ მოიპოვება. ცნობა არ იქნებოდა „არა მეგობრული მოქმედება რუსეთის მიმართ, რომელმაც აშკარათ და ზეიმით გამოაცხადა ხალხთა შეუზღუდველი თვითგამორკვევის თავისუფლება, სრულიად გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებამდე".

*) ამ ხელშეკრულებას, რომელმაც მცირე ხნის შემდეგ მიიღო რატიფიკაცია, ხელს აწერენ: გერმანიის მხრით ბ-ნი ფონ გინცგ (რომელმაც დაიკავა ფონ-კიულმანის ადგილი საგარეო საქმეთა სამინისტროში) და დ-რ კრიგე; რუსეთის მხრით—იოფფე.

ეხლა ყველა წესი შესრულებულია, ყოველი იქვი გაფანტულია: გერმანია დაუბრკოლებლათ, ფორმალურათ, ,,დიპლომატიურათ'' იცნობს საქართველოს. ასე სჩანდა. მაგრამ სხვა რამ მოხდა. ,,ბედის ჩარხი'' შეტრიალდა და „ცნობა'', რომელიც მომზადებული იყო დიდის გაჭირვებით, რომელსაც მოუთმენლად ველოდით—იგი ცნობა გერმანიის მიერ არ შესრულდა!

მაგრამ მოვლენებს წინ არ გაუსწრობ: ჯერ-ჯერობით, 1918 წლის ზაფხულის მიწურულში სჩანდა, რომ ყველაფერი მზათ იყო გერმანია-საქართველოს ურთი-ერთ განწყობილებას გამორკვევისათვის და საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობასთან ერთად მათი გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბებისათვის. სპეციალურათ ამ ფორმების შესახებ გვიხდებოდა დრო-გამოშვებით Wilhelmstrasse-ზე ბაასი. მაგრამ ამას განსაკუთრებით არ უჩქაროდით.

## 37

საჭირო იყო წინასწარ გადაგვეჭრა დაბრკოლებანი ოსმალეთთან. სიტყვა ეხება არა მარტო ოსმალეთ-საქართველოს დაბრკოლებებს. ისინი მრავალგვარი იყო. ოსმალეთის ფანდები თავს იჩენდა აფხაზეთში (ოსმალოებმა ჯარიც კი გადმოასხეს სოხუმში ილისის დამდეგს), ბორჩალოს მაზრაში და სხვა. ეს შედარებით მცირე მუქარა ადვილათ თავ-ასაცდენი ხდებოდა საქართველოს მთავრობის წინაალმდეგობით, განსაკუთრებით კი ტფილისში მყოფ გერმანიის მისიის ზეგავლენით, მაგრამ იგი მუქარა ძნელად ასაწერ აღელვებას იწვევდა ზოგიერთ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეში, რომელნიც არ იყვნენ საკმაოთ დინჯნი და გამოცდილნი. კონსტანტინოპოლის მომავალ კონფერენციისათვის უფრო საყურადღებო იყო ოსმალეთსა და საქართველოს შორის საზღვრების გამორკვევა. მათ შორის გერმანია ოფიციალურ შუამავლათ არ გამოსულა; და ნამდვილათ რა დათმობას მოითხოვდა გერმანია ოსმალეთისგან საქართველოს სასარგებლოთ, მე არ ვიცი. მაგრამ აზრთა გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა.

ბერლინში ამ კითხვის გამო ბაასის დროს, ბუნებრივათ ისახებოდა საზღვარი საკომპრომისო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საზღვარსა (საქართველოს მაშინდელი მოთხოვნილება!) და

4 ივნისის 1918 წლის ბათომის ტრაქტატის საზღვარს (ოსმალეთის შეხედულება) შორის. ეს საშუალო ხაზი დაუბრუნებდა საქართველოს ახალციხეს და არტაანის ოლქის ფოცხოვის ნაწილს. *)

უეჭველია, რომ გერმანია აპირებდა დაჟინებით მოეთხოვა ბათომის თავისუფალ ნავთსადგურად გამოცხადება (ოსმალეთის ხელებიდან „გამოგლეჯას" საქართველოს გადასაცემად იგი არ კისრულობდა) და საქართველოსთან მისი კავშირის გაადვილება

მაგრამ უმთავრეს დაბრკოლებას მოკავშირეთა—გერმანიასა და ოსმალეთს შორის—შეადგენდა კავკასიაში, როგორც საფიქრებელია, არა საქართველო, არამედ ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთი. ოსმალოების ყურადღება აშკარად სუსტდებოდა სირიისა და მესოპოტამიის საომარ ამოცანებისადმი, მას შემდეგ, რაც მათ დაიჭირეს აზერბაიჯანი, სადაც მათმა გავლენამ, როგორც ვნახეთ, პარალელურად გერმანელების გავლენისა საქართველოში, ფეხი მოიკიდა. მაგრამ უმთავრესი ქალაქი და აზერბაიჯანის ნავთის საგანძური—ბაქო, მიზეზი მისი მრავალი უბედურებისა, ჯერ კიდევ არ იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელში.

თურქები მრავალი საპატიო მიზეზის გამო ამ საშოვარისკენ მიისწრაფოდენ. მოსკოვის მთავრობა კი გერმანიასთან 1918 წლის ზაფხულის მოლაპარაკებაში მოითხოვდა, დადებულ ყოფილიყო ამიერ-კავკასიაში (ე. ი. აზერბაიჯანში) გამმიჯნავი ხაზი, რომლის აღმოსავლეთით ოსმალოებს არ უნდა ეწარმოებინათ საომარი ოპერაციები და რომელიც სწორეთ ბაქოს სტოვებდა ოსმალოთა ოკუპაციის გარეშე.

ასეთი ვალდებულება გერმანიამ მართლაც მიიღო თავის თავზე (მე 14 მუხლი 27 აგვისტოს დამატებითი ხელშეკრულებისა). თუ მე-13 მუხლში მოსკოვის მთავრობა ამბობდა: „იცანით, როგორც გსურდეთ საქართველოს დამოუკიდებლობა", მე-14 მუხლში უმატებდა: „ოღონდ ოსმალოებს ბაქოში ნუ შეუშვებთ".

---

*) მოახერხებდა თუ არა გერმანია ოსმალეთისთვის ასეთი ხაზღვარი დაედგა, კონფერენცია რომ შემდგარიყო? ყოველ შემთხვევაში ეს ხაძნელო იქნებოდა, რადგან ჯერ კიდევ 1918 წლის აგვისტოში ენვერ-ფაშა კონსტანტინოპოლში ერთ-ერთ ქართველ დელეგატს პირდებოდა ტერრიტორიალურ დათმობას სხვა მხარეზე, ოღონდ საქართველოს უარი ეთქვა აბასთუმანზე და აწყურზე, ე. ი. ახალციხის მაზრის იმ პუნქტებზე, რომელნიც 4 ივლისის ბათომის ტრაქტატით დარჩა ხაქართველოს (იხ. ზევით გვ. 127).

მაგრამ იმდენათ გერმანელები ვერ აფერხებდენ ოსმალოების ბაქოში შესვლას, რამდენადაც... ინგლისელები, რომელნიც სწორეთ ამ დროს, ე. ი. 1918 წლის აგვისტოს ბოლოს გადმოვიდენ ბაქოში. მხოლოდ ამ გადმოსხმიდან არაფერი გამოვიდა (იხ. ზევით გვ. 104); ოსმალოები 15 სექტემბერს, 1918 წელს ფეხდაფეხ შეჰყვნენ ბაქოში აზერბაიჯანის მოხალისეებს!

ყველა ეს დაბრკოლებანი და კითხვები, რომელნიც წინასწარ საჭირო იყო, მაგრამ არ ჰქონდათ გადაჭრილი მოკავშირეებს, *) იწვევდენ კონსტანტინოპოლის კონფერენციის მუდმივ გადადებას. სხვადასხვა ხალხისა და სხვადასხვა რესპუბლიკის დელეგატები კონსტანტინოპოლში ისხდენ ზღვის პირას და უცდიდენ უკეფეს დროს.

ეს „უკეთესი დრო“ კი არ დგებოდა.

---

*) აღვნიშნავ აგრეთვე ოსმალოების მიერ ბათომის ოლქში 1918 წ. ივლისში მოხდენილ რეფერენდუმს. პროტესტები, როგორც ამ რეფერენდუმის, ისე ცნობილ სამ სანჯაყში ოსმალოების მოქმედების შესახებ განვაცხადეთ ჩვენ ბერლინში და საქართველოს მთავრობამ ტფილისში. აგვისტოს ბოლოს ბერლინში ქართველ მუსლიმანების დეპუტატებიც კი ჩამოვიდენ—ზია-ბეგ აბაშიძე და კადირ-ხეგ შერვაშიძე. ისინი აპირებდნენ კონსტანტინოპოლის კონფერენციისათვის შეეჩივლათ ოსმალეთის რეფერენდუმის გამო. ცხადია, ოსმალოები მოიყვანდენ თ ა ვ ი ა ნ თ დეპუტატებს, რომელნიც სულ ხვა რამეს იტყოდენ.

# თავი მეთოთხმეტე

## სიფრთხილეს თავი არ სტკივა

### 38

გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს ფორმალური ცნობა ახლოვდებოდა. საქართველოსა და გერმანიის მომავალი ურთიერთობის კითხვა საკმაო გარკვევით ისახებოდა მოლაპარაკებებში, ხოლო საქმიანი შეთანხმებების ხელის მოწერა აჩქარებდა მას. მართალია, კონსტანტინოპოლის კონფერენცია იდებოდა გაურკვეველ „შემოდგომისათვის", მაგრამ მთავარი ვეზირის—თალაათ-ბეის 1918 წლის სექტემბერში მოსალოდნელი ჩამოსვლა ბერლინში, გვაძლევდა იმედს, რომ ჩვენი ოსმალეთთან სადაო კითხვებიც მოგვარდება. დღევანდელ დღეზე ზრუნვა ვეღარ გვტეხდა წელში: გერმანიის პოლიტიკურმა დახმარებამ და საკუთარმა ძალამ საქართველოს რესპუბლიკა მართლაც დააყენეს მოწესრიგების გზაზე.

ბერლინში ჩვენი მუშაობის შედეგებით მე გადავწყვიტე მესარგებლნა, რომ შემეცადნა დავახლოვებოდით გერმანიასთან მებრძოლ დიდ სახელმწიფოთა მთავრობებს.

მაშინ საქართველო მოწყვეტილი იყო დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს არა მარტო დიდი ომის ფრონტით, რომელიც მიჰყვებოდა მთელ ევროპასა და წინა აზიას, არამედ რევოლიუციონური რუსეთის, უკრაინის და სხვათა გაუვალ, უსაზღვრო სივრცეებით. ტფილისი მოწყვეტილი იყო აგრეთვე ბაქოსა და თავრიზს, რაც საშვალებას სპობდა როგორმე კავშირი დაეჭირათ ინგლისელებთან ჩრდილო სპარსეთში. მაგრამ მოახდინეს კი ტფილისში ასეთი რამ ცდა? ბერლინში ამის შესახებ არაფერი გაგვიგონია.

დადგა დრო, სერიოზულად გვეფიქრნა ასეთის კავშირის დაჭერის შესახებ, მით უმეტეს საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივების მიხედვით, როგორც იგი ისაბებოდა 1918 წლის ზაფხულის მეორე ნახევარში.

ბერლინში ჩვენ იმ დღეებში ჩავედით, როცა გერმანიის საფრანგეთზე შეტევის შედეგები წინასწარმეტყველებდენ, როგორც ეს ეგონა გერმანიის და მრავალ სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს, ომის მალე დამთავრებასა და გერმანიის გამარჯვებას. *) ომის ცნობებში ისევ თავი ამოჰყო მარნამ. პარიზს უშენდენ შორს მსროლელი ზარბაზნებიდან. რწმენა,—თავდაჭერილი, მტკიცე რწმენა წარმატებისა ემჩნეოდა ყველას.

გერმანია ეხლა ეძიებდა საქმის გადაწყვეტას დასავლეთში, მას შემდეგ, რაც მისი ძალის წინაშე გაცამტვერდა რუსეთის ფრონტი, და „შუა ევროპა" მრავალი ტრაქტატით და შეთანხმებით ამაგრებდა თავის პოზიციებს თვალუწვდენ სიერცეზე—ფინლიანდიიდან სპარსეთამდე **).

მგონი, ზაფხულის დამლევამდის, შეიძლება, 1918 წლის სექტემბრის შუამდე, გამარჯვების რწმენა გერმანელთა უმრავლესობაში არ შერყეულა. ყველაზე უარესი, რაც კი წარმოედგინათ, ეს იყო საპატიო ზავი, გერმანიისათვის სხვადასხვა ახალი შესაძენისა და სარგებლობის მინიჭებით. ამ ატმოსფერაში გვიხდებოდა ჩვენც მუშაობა.

კატასტროფა გერმანიას ყველასათვის მოულოდნელად დაატყდა თავს. საკითხავია, როდის გახდა თვალსაჩინო ბედის ჩარხის შებრუნება.

პირადათ მე მდგომარეობის შეტრიალება განსაკუთრებულად ვიგრძენი 24 ივნისის კიულმანის სიტყვის შემდეგ („ომი არ შეიძლება გადასწყდეს, მარტოოდენ იარაღის ძალით").

ივლისის განმავლობაში მკვიდრდებოდა შთაბეჭდილება, რომ გერმანია ომს ვერ მოიგებს და გერმანია-საქართველოს ტრაქ-

---

*) 27 მაისს 1918 წ. გერმანელებმა დაიწყეს ცნობილი იერიში Chemin des Dames-ზე. 30 მაისს მიაღწიეს მარნას.

**) ეს მუშაობა ინერციით გრძელდებოდა მაშინაც კი, როცა წარმატებამ თვალსაჩინოდ იწყო გერმანიის ხელიდან გასხლეტა; მხოლოდ უბედურებამ შეაჩერა იგი მუშაობა და ცხად ჰყო მისი უნაყოფობა.

ტატის დაჩქარება... არ არის საჭირო; რომ სასურველია თავის დაჭერა და თან სასწრაფოდ გაფართოვება დიპლომატაური კავშირისა „შუა ევროპის“ საზღვრების გარეშეც. მაგრამ როგორ მოგვეყვანა სისრულეში ეს დებულება? ამ ამოცანის პრაქტიკულათ განხორციელება ჩემთვის, როგორც ბერლინში მყოფ საქართველოს დელეგაციის წევრისათვის, არ იყო ადვილი. საბედნიეროთ ივლისის დამლევს მე მომეცა ფორმალური მიზეზი (კერძო ხასიათისა) გავმგზავრებულიყავი ნეიტრალურ ქრისტიანიაში; გადავწყვიტე წასვლა, რომ ნორვეგიის სატახტო ქალაქში მყოფ წარმომადგენლების საშვალებით ჩვენი საქმეები გამეცნო დასავლეთის მთავრობებისათვის.

ამ გეგმის განხორციელება უნდა გადამედვა ბერლინში საქმიანობისათვის. გარდა ამისა, ჩვენი დელეგაციის მეთაური ჩხენკელი ამ გამგზავრების წინააღმდეგი იყო—რადგან იგი ასეთს ნაბიჯს სთვლიდა დაჩქარებულათ და გერმანიის მთავრობისადმი უხერხულათ (!) და სხვა. ჩხენკელი, ისე როგორც ნიკოლაძე, განიცდიდენ გერმანელთა წრეების ზედგავლენას და მათ სრულიად ურყევი რჩებოდათ რწმენა გერმანიის წარმატებისა. ნიკოლაძეს საბუთად მოჰყავდა საფრანგეთის მინისტრის მალვის ანგარიშები ომის წარმოებისა და გვარწმუნებდა, რომ საფრანგეთი დღეს თუ ხვალ დაეცემა. საპასუხო შენიშვნები, რომ საქმეს განაგებს არა მალვი, არამედ ფოში, ერთიანი სარდლობა, რომ განსაცვიფრებლათ იზრდება ამერიკის მონაწილეობა ომში—მასზე არ მოქმედებდა. მაგრამ ნიკოლაძე ჩემი ხერხის მაინც მომხრე იყო. ბოლოს თავისი კურთხევა მომცა ჩხენკელმაც, და პასპორტისა და ვიზების მიღებისათვის რამოდენიმე კვირის წვალების შემდეგ, 28 აგვისტოს, ე. ი. რუსეთ-გერმანიის დამატებითი ხელ-შეკრულების ბერლინში ხელის მოწერის მეორე დღეს, (სადაც მოხსენებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობა) მე გავემგზავრე ნორვეგიაში.

## 39

მატარებელი სწრაფად მიექანებოდა ზღვისკენ. ყველგან ლეწენ; ყოველი მარცვალი აღრიცხულია. Sassnitz-ში საფუძვლიანი, ჩემთვის შემსუბუქებული, გასინჯვა მოახდინეს. გემზე უკვე შვეცია,—კრონები, პური, შაქარი და სხ. ყველაფერი საუცხოოთაა. გემს

ჰქვია „კოროლი გუსტავ მეხუთე“; აქ „კოროლის ოთახიც“ კი არის...

ირგვლივ ვაცქერდები შვედებს—მაგარი, ჩასკვნილი ხალხია; ყოველი სახე ერთეულს წარმოადგენს. არ მხვდება, როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მრავალი უფერული, უმნიშვნელო სახიანი პიროვნება.

29 აგვისტოს ქრისტიანიას მივაღწიე, მაგრამ პირველად ლილლეჰამერში უნდა ჩავსულიყავი. მიმზიდველი ადგილია; განთქმულია ჰავითა და მოსახლეობის კეთილი მოწესრიგებით. ცოცხალი, მწვანე, სათიბიანი, ტყიანი, მთა-გორაკიანი ბუნება—პურის ძნები ყანებში შემოზღუდულია კლდეებითა და წიწვით; იქვეა ტბა და ჩანჩქერი ძლიერი წყალვარდნილით.

პასპორტი არც აქ მოუკითხავთ და არც ქრისტიანიაში. მეომარ ევროპაში დარჩენილა ასეთი ადგილებიც! ომი შორს, შორს გეჩვენებათ, როცა ჰოლმენკოლლენის სიმაღლიდან, დილით ადრე, გადაიხედავთ ქვევით: ფიორდს ოდნავ ახლავს ნისლი, მაგრამ ყოველი ნაკვთი ნათლად სჩანს აივანთან მოზარდ ნაძვის მოაჯირში.

---

7 სექტემბერს ვინახულე საფრანგეთის ელჩი, ბ-ნი ბაპსტი *) და ჩავაბარე მას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ნოტა; იგი ყოფილა კავკასიაში და ისეთს მივარდნილ ადგილებშიაც კი, როგორიცაა სიღნაღი!

ელჩს მე გავაცანი უმთავრესი ამბები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ კავკასიის ფრონტის დაშლის შემდეგ და აუხსენი ჩვენი აუცილებელი საჭიროება მიგვემართნა გერმანიისთვის. რადგან ბ-ნ ბაპსტს ეჩქარებოდა ინგლისის საელჩოში, მე ვთხოვე გადაეცა სერ მანსფელდტ კ. ფინდლეისთვის ჩემი განზრახვა მასთან მივსულიყავი. ბატონ ბაპსთან შევთანხმდით ისევ შევხვედროდით ერთმანეთს. მეორე დღეს—მან მთხოვა „არ წავსულიყავ ინგლისის საელჩოში, სანამ მეორეჯერ ჩვენ არ შევხვდებოდით ერთმანეთს“.

---

*) ბალგ, ამის შემდეგ, იგი დანიშნულ იქმნა ელჩათ ტოკიოში.

საფრანგეთის ელჩთან მეორეთ მისვლა იყო ძლიერ საფუძვლიანი. მე პასუხის მიცემა მომიხდა სულ სხვადასხვა კითხვაზე. ბაასი შეეხო ჩრდილო-კავკასიის, დონის და სხვათა პროვინციებს. ეს იყო დრო ჯარის გადმოსხმისა არხანგელსკში, მურმანის სანაპიროებზე, და მე არ ვიყავი სავსებით უმართებულო, როცა ვუმტკიცებდი ბ-ნ ბაპსტს, რომ გერმანია სამხრეთში არსებითად აკეთებს იმასვე, რასაც აკეთებენ მის წინააღმდეგ მეომარი მოკავშირენი ჩრდილოეთში, ე. ი. ხელს უწყობენ ბოლშევიზმის ლოკალიზაციას (ერთს ადგილზე შეჩერებას) მოსკოვის რუსეთის საზღვრებში და სახელმწიფოებრივი წეს-რიგის აღდგენას ყოფილი იმპერიის განცალკევებულ ნაწილებში. ჩემი მობაასე მეთანხმებოდა, რომ საქართველოს არ შეეძლო სხვა გზარათ მოქცეულიყო, ვიდრე მოიქცა, და უსამართლობა იქნებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში დაინახოს კაცმა „გერმანიის ხრიკები“.

9 სექტემბერს საელჩოს მრჩეველის ბ-ნი Esmond Ovey-ს თანდასწრებით მიმიღო ინგლისის ელჩმა.

დრო უჩვეულო იყო, და ამიტომ ელჩმა მშვიდათ და ალერსით მიიღო კაცი, რომელიც პირდაპირ მოსულიყო მტრულად განწყობილ ბერლინიდან და ოფიციალურის ტონით მოუთხრობდა, როგორც სრულიად ბუნებრივ ამბავს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე და ამ რესპუბლიკის იმედზე იქმნეს ცნობილი დიდი ბრიტანეთის მიერ, იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც და სხვა. ფაქტიურმა ვითარებამ—გეოგრაფიამ და პოლიტიკამ—გვაიძულა საქმე დაგვეწყო ბერლინიდან—გერმანიის დახმარებით ვცდილობთ მოვაწყოთ ოსმალეთის კავკასიაზე თავდასხმის მოგერიება, თორემ არსებითად ინგლისის საქმესა და მოწოდებას შეადგენს ჩვენი დახმარება და სხვა.

ფინდლეიმ გამოსთქვა რწმენა, რომ ინგლისი მეგობრულათ არის განწყობილი საქართველოსადმი; პირადათ მას ბევრი რამ სმენია ამ ქვეყანაზე ოლივერ უორდროპისაგან *)... მაგრამ საეჭვოა, რომ გერმანიას, ოსმალეთის მოკავშირეს, შეეძლოს რაიმე დახმარება გაუწიოს საქართველოს მუდმივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში!

---

*) ო. უორდროპი (ამ ჟამათ სერ. ო. უ.) სწორედ ამ დროს ბრიტანეთის გენერალურ კონსულათ იყო ბერგენში; ეს შემთხვევა ჩვენთვის ძლიერ ხელსაყრელი გამოდგა!

პასუხი: რა თქმა უნდა, ზედმეტათ არ უნდა ვაფასებდეთ ოსმალეთის ვასალურ მდგომარეობას. ოსმალეთს პოლიტიკის საკუთარი საფუძვლები აქვს კავკასიაში... მიუხედავათ ამისა, ფაქტიურად მოხერხდა შეჩერებულიყო ტფილისისაკენ ოსმალოების მოძრაობა.

ფინდლეი: იმ ცნობებიდან, რომელთაც თქვენ გვაძლევთ 4 ივნისის ბათომის ხელშეკრულების შესახებ, მაინც სჩანს, რომ ოსმალოები იჭერენ იმ პოზიციებს, რომელნიც ბატონობენ საქართველოსა და დანარჩენ ამიერ-კავკასიაზე!

პასუხი: სამწუხაროთ ეს ასეა. მაგრამ არსებულ მდგომარეობას მუდმივ რამეთ არ ვთელით. 4 ივნისის ხელშეკრულებასაც არ მიულია რატიფიკაცია. ჩვენი უახლოესი მიზანი იყო ხელი შეგვეშალა ოსმალეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისათვის. ეს მოხერხდა. ბერლინის, კონსტანტინოპოლის და მოსკოვის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა კი ჩვენთვის საჭირო იყო მთავრობის უფრო დაჩქარებით კონსოლიდაციისათვის (განმტკიცებისთვის) და პრინციპიალური მოსაზრებით: საქართველოს დამოუკიდებლობა მიზანია, რომელიც ომის შემთხვევითი ვითარების საზღვრებს გადადის...

ფინდლეი: მაგრამ თვით რუსეთის მთავრობა არ წარმოადგენს რუსეთის ხალხს, და რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მის მიერ ცნობას!

სიტყვა ჩამოვარდა ბაქოზე. სერ მ. ფინდლეის აზრით: „აშკარაა გერმანიამ მიასია ოსმალეთი ბაქოს“.

— საეჭვოა. გერმანია ეს-ეს არის დაჰპირდა საბჭოთა მთავრობას შეაჩეროს ოსმალოები ბაქოს დაპერისაგან. გერმანია მაინც ანგარიშს უწევს რუსეთის სურვილებს, რომ გართულება არ გამოიწვიოს აღმოსავლეთის ფრონტზე! ოსმალოთა მისწრაფება ბაქოსაკენ საკმაოთ აიხსნება ახლოს მდებარე აუცილებლი დაელის მიმზიდველობითაც და ძლიერ საყურადღებო მდგომარეობით: თურქული სოლიდარობის ნიადაგზე ოსმალეთისა და აზერბაიჯანის დაახლოვებით. საერთოდ, დაუმატე მე,—ამიერ-კავკასიის საქმეებმა, ინტრიგებმა და გატაცებამ ჩვენს მხარეში მიიზიდა ოსმალეთის დიდი ჯარი და ყურადღება. ამ გარემოებით თქვენ მხოლოდ მოიგეთ, როგორც მესოპოტამიაში, ისე პალესტინაში.

ფ ი ნ.: დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, თქვენ რომ შეგედგინათ წერილობითი მიმოხილვა ამ საგნებზე. როცა თქვენს მემუარს შევისწავლი, გთხოვთ ხელ-მეორეთ მომელაპარაკოთ...

პ ა ს უ ხ ი: სიამოვნებით ავასრულებ თქვენს სურვილს. ამასთანავე, ხომ შეიძლება ჩავთვალოთ რომ, მე საქართველოს მთავრობის სახელით უკვე ოფიციალურათ ვაცნობე ინგლისის მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება...

ფ ი ნ.: დიახ, თქვენ მიერ წაკითხულ ნოტას მე ვთვლი ოფიციალურ საბუთად. თქვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯის შესახებ მე ეხლავე ვაცნობებ ლონდონში.

ასეთი იყო პირველი შეხვედრა დამოუკიდებელ ხაქართველოისა ბრიტანეთის ოფიციალურ დიპლომატიასთან.

მეორე დღეს მივიღე საფრანგეთის ელჩის ბარათი, იგი მთხოვდა ცნობები მიმეწვდინა მისთვის გერმანიისა და რუსეთის დამატებითი შეთანხმების შესახებ და მატყობინებდა, რომ ჩემი მასთან ყოფნისა და ჩემი განცხადების შესახებ მან უკვე დეპეშა გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრს პიშონს პარიზში. მე, რა თქმა უნდა, შეეეცადე ყოველგვარათ დამეკმაყოფილებია ბ-ნი ბაპსტის ცნობის მოყვარეობა.

ომის დროს სკანდინავიის სატახტო ქალაქები მეომარ სახელმწიფოების დაზვერისა და კონტრ-დაზერვის გული იყო. შედარებით პატარა ქალაქში, როგორიცაა ქრისტიანია, ძლიერ ფრთხილად უნდა დამეჭირა თავი, რადგან მალე მიხდებოდა ბერლინში დაბრუნება.

საჭირო ფორმალობის შესასრულებლათ მე შევიარე გერმანიის გენერალურ კონსულთან. როცა ქალალდების მისალებათ მეორეთ შევედი მასთან, მან გადმომცა გერმანიის ელჩის თხოვნა პირადათ მენახა იგი.

ბ-ნმა ფონ მუციუსმა ეხლახან დაიჭირა ქრისტიანიაში ელჩის ადგილი, რომელიც განთავისუფლდა ზაფხულზე, რადგან ბ. ფონ-გინცე დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრათ. იგი იაპონიის ომის დროს მსახურებდა რუსეთში, მსოფლიო ომის დაწყების პირველ წლებში—ოსმალეთში და მჭიდრო კავშირი ჰქონდა ყველასთან, ვისაც შეეხებოდა ჩვენი საქმეები Wilhelmstrasse-ზე. ძლივრ ზრდილობიანათ მან მაგრძნობინა, რომ, რადგან ნორვეგია გერმანიისადმი მტრულათ არის განწყობილი, სასურველია, მოვათავსო ნორვე-

ბიის პრესსაში წერილები, რომელნიც ცხადჰყოფდენ, თუ რა უანგარო დახმარებას უწევს გერმანია საქართველოს განთავისუფლების საქმეს და სხვა და სხვა... სურვილი ბუნებრივია! მაგრამ როგორ შეეასრულო? გამოსავალი აღმოჩნდა: წინადღით მე გადავეცი ერთ ჩემს ძველს ნაცნობს, (რომელიც პეტერბურგში ინგლისის გაზეთების კორესპონდენტათ იყო) ბ-ნ ნორრეგორს ფაქტიური მასალა ოსმალეთ-კავკასიის ფრონტის შესახებ; ნორრეგორი ნორვეგიაში ცნობილი სამხედრო მიმომხილველია, რომლის წერილებს ხშირად გადაბეჭდენ ხოლმე ევროპის გაზეთები. იგი უფრო ემხრობა „შუა ევროპის“ ბანაკს, და დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი არ გაუშვებდა შემთხვევას შეექო გერმანია. მაგრამ ეს ხომ მისი საქმეა.

მემორანდუმი, რომელსაც მთხოვდა ინგლისის ელჩი მე დავაძზადე, და იგი ეცნობა დიდი სახელმწიფოების შეთანხმების წარმომადგენლებს. ამის შემდეგ მე აღარაფერი დამრჩენოდა, გარდა სასრაფოთ ბერლინში დაბრუნებისა, საიდანაც დეპეშით მაჩქარებდა ყოველი დროების გაშვებით აქ ჩარჩენილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

---

## თავი მეთუთხმეტე.

## ბ ო ლ ს ა ხ ვ ე ვ შ ი.

### 40

სამი კვირა დავრჩი ბერლინის გარეთ. როცა დავბრუნდი, დიდი ცვლილება ვერ შევამჩნიე იმ პირთა სულიერ განწყობილებაში, რომელთაც ვხვდებოდი. ინერციით ყველაფერი ხდებოდა ისე და ყველა ლაპარაკობდა იმ გვარათ, თითქოს არავითარი სახიფათო არ იყო მოსალოდნელი. თუმცა ომის მიმდინარეობა აშკარად უარესდებოდა, მე მგონია მაინც რჩებოდა რწმენა, რომ როცა გერმანია თავდაცვაზე გადავა, დიდხანს კიდევ გასძლებს და ყოველ შემთხვევაში ომიდან გამოვა პატივით და არ დაჰკარგავს თავის სახეს...

ჩვენი საკუთარი საქმეების მდგომარეობა კი ასეთი იყო: ჩემ მიერ შემთხვევით წარდგენილ გერმანია-საქართველოს ხელშეკრულების სქემატიურ გეგმის საფუძველზე, გერმანიის სამინისტროს დაემუშავებია გეგმა, რომელიც ჩვენ უნდა გაგვეხილა. რაც შეეხება ოსმალეთ-საქართველოს საზღვრების კითხვას—მას, როგორც სხვა მრავალ თემას, შეეხენ იმ თათბირებზე, რომელიც ხდებოდა საგარეო საქმეთა უწყებასა და ბერლინში ახლად ჩამოსულ ოსმალეთის დიდი ვეზირის—თალაათ-ფაშის შორის.

თალაათის ჩამოსვლის მიზანი იყო, რა თქმა უნდა, არა მარტო მიმდინარე კითხვების გადაწყვეტა, არამედ საერთოდ გამორკვევა, თუ როგორ შესძლოს გერმანიამ ამ გაჭირვების დროს ოსმალეთის გადარჩენა, როცა ინგლისელებმა დღევანდელ უმთავრეს ფრონტზე, პალესტინის ფრონტზე თვალსაჩინოთ უკან დაახევინეს ოსმალოებს.

გერმანიას კი აუცილებლათ ესაჭიროებოდა, რომ მოკავშირე—ოსმალეთი სწორეთ ეხლა, როცა ომის მთელი გამოსავალი დამოკიდედებული იყო სიმტკიცესა და სიმაგრეზე, არ შერყეულიყო.

15 სექტემბერს ოსმალოებმა და აზერბაიჯანელებმა აიძულეს ინგლისის დესანტი სპარსეთში დაბრუნებულიყო, და თვითონ დაიკავეს ბაქო. არსებითად ინგლისელების ეს უხერხული ცდა ამრთლებდა ოსმალეთის ოპერაციას და ადევილებდა გერმანიის მდგომარეობას საბჭოთა მთავრობის მიმართ: მოსკოვი, ცხადია, ვერ წარმოიდგენდა, რომ გერმანია, რომელიც ეომებოდა ინგლისს, ისე როგორც ოსმალეთი, შეაჩერებდა უკანასკნელს გერმანია-ოსმალეთის საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ მტრის, რომელმაც დაიკავა ბაქო.

პალესტინეში კი ომის მსვლელობა ცუდათ შეტრიალდა; თითქმის იმავე დროს, როცა ოსმალოების საქმე წარმატებით მიდიოდა ბაქოში, უმთავრესი მათი ძალები, გენერალ ლიმან-ფონ-სანდერსის სარდლობით იგერიებდა იერუსალიმის ჩრდილოეთით გენერალ ალლენბის შეტევას. 20 სეკტემბერს აიღეს ნაზარეთი—ოსმალოების უმთავრესი ბანაკი. მეტროპოლიიდან და კოლონიებიდან გაწვეული ინგლისის ცხენოსანი ჯარი აქ სწავლობდა დაბადების (ბიბლიის) გეოგრაფიის პრაქტიკულ კურსს. ოსმალონი დღითი-დღე სუსტდებოდენ.

ბუნებრივათ, ასეთს წამში მოსალოდნელი იყო, რომ ოსმალეთი მეტის თავაზიანობით მიიღებს გერმანიის რჩევას, კავკასიაში არ მოითხოვოს იმაზე მეტი, ვიდრე შეძენილი აქვს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით. საშინისტროში ამბობდენ, რომ ამის იმედი აქვთ, მაგრამ ჯერ არ არიან დარწმუნებული. თითქოს ოსმალონი დაჰპირდენ მათ, რომ დასცლიან თვით აზერბაიჯანსაც, სადაც დარჩება მხოლოდ ადგილობრივი თურქული ძალები, მართალია, ოსმალოთა ოფიცრების მეთაურობით.

მეორეს მხრით, გერმანიის წრეებიდანვე მივიღეთ ცნობა, რომ თალაათი საყვედურს უცხადებდა გერმანიას იმ „უპირატესობისთვის", რომელსაც იგი აძლევდა საქართველოს და რომლის შედეგი იყო მარტოოდენ საქართველოს დასახელება რუსეთ-გერმანიის 27 აგვისტოს დამატებით ხელშეკრულებაში (იხ. ზევით გვ. 146). თითქოს გერმანია იძულებული შეიქნა დაჰპირებოდა დიდ ვეზირს დაუყონებლივ დაენიშნა კონსული აზერბაიჯანში და სომხეთში.

24 სექტემბერს მოხდა ჩვენი შეხვედრა თალაათთან: ამისთვის საკმაო იყო სასტუმრო „ადლონის“ ერთი სართულიდან მხოლოდ მეორე სართულში გადასვლა. დიდი ვეზირის კაბინეტში იმყოფებოდა კავკასიურ-ოსმალურ სახის ყმაწვილი კაცი, ფაქიზათ გამოწყობილი,—პამადა წასმულ თმიდან დაწყებული ლაიკის წაღებამდე ყველაფერი უბრწყინავდა: ეს იყო ოსმალეთის მემკვიდრის შვილი, მაშასადამე—სულთან ფარრუხ-ეფენდის ძმისწული. იგი დაესწრო ჩვენს ბაასს და ერთი სიტყვა არ წამოსცდენია.

სახელგანთქმულმა ტრიუმვირმა, რომელმაც ფოსტის მცირე მოხელის ადგილიდან მიაღწია ვეზირობას და ამიტომ გახდა „უმაღლესობა“, განსაკუთრებულის პატივით მიგვიღო. ეს მოსული, მოშავო, გაოსმალებული ბულგარელი—მოელვარე თვალებიანი და სენტიმენტალობას სრულიად მოკლებულ სახის გამომეტყველებით ათასგვარათ იმეორებდა: „ჩვენ ყველაფერს მოვაწყობთ, ყველა სადაო კითხვას ყველასათვის საამოთ მოვაგვარებთ... ჩ ვ ე ნ ხ ე ლ ი - ხ ე ლ ჩ ა კ ი დ ე ბ უ ლ ნ ი უ ნ დ ა ვ ი ყ ო თ კ ა ვ კ ა ს ი ა ში. აი, დღესაც კი იოფფე, რუსეთის ელჩი, მეუბნებოდა, რომ ისინი, რუსები, არ სცნობენ საქართველოს, თუმცა დაეთანხმენ გერმანიას. იგი ეცნო! ხ ო მ უ ყ ო რ ებ თ, რ ო მ ჩ ვ ე ნ უ ნ დ ა შ ე ვ კ რ ა თ კ ა ვ შ ი რ ი: და შემდეგ, ჩვენ ერთად ვაწარმოებთ დიდ პოლიტიკას იქ, აღმოსავლეთში... როგორც წინათ ბ-ნ ნიკოლაძესთან გვქონდა ამაზე ლაპარაკი“.

„დიდი პოლიტიკა“ ნიშნავდა კავკასიის კონფედერაციას, მაგრამ კიდევ უფრო—აღმოსავლეთის თურქების პოლიტიკურ ორგანიზაციას ანატოლიიდან დაწყებული თურქესტანამდე.

„თავი დაანებეთ გერმანიას—ჩვენ მოგვემხრეთ“—აი როგორ უნდა გაგვეგო თალაათის სიტყვები.

— თქვენო უმაღლესობავ, სთვლით თუ არა შესაძლებლათ დაადასტუროთ, რომ საზღვრების კითხვაში მიღებულია რომელიმე გარკვეული დებულება—მაგალითად, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დებულება?

— „მე არ შემიძლია ეხლა დაწვრილებით გამოვთქვა ჩემი აზრი. მხოლოდ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ყოველი ზომა იქნება მიღებული... ჩამოდით კონსტანტინოპოლში, და ყოველივე მოგვარდება“.

„ჩვენ არ შეგვიძლია კონსტანტინოპოლში წავიდეთ, სანამ არ ვეცოდინება, თუ რა მოგველის იქ. ბ-ნ ჩხენკელს შეუძლია პასუხისმგებლობა მიიღოს თავის თავზე მხოლოდ ისეთის გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც არ დაარღვევს ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მგონი, უკეთესი იქნებოდა კითხვა გადუჭრელად დაგვეტოვებინა“...

— „მე ვეცდები დავარწმუნო ჩემი ამხანაგები კონსტანტინოპოლში. მე მოვახსენებ სულთანს. ჩემი ცდის შესახებ ცნობებს მოგაწვდით, ისე რომ კონსტანტინოპოლში გამგზავრების წინ გეცოდინებათ შედეგები“.

გამომშვიდობების დროს კიდევ ერთი ულუფა ურთი-ერთ თავაზიანობისა, გახსენება აღმოსავლეთით მეზობლობისა, ძმობისა და თითქმის ნათესაობისა და მოყვრობისა...

იმავე დღეს, საღამოს ჩვენ (ჩხენკელი, ნიკოლაძე და მე) სომხეთის დელეგატთან, დ-რ ა. ოგაჯანიანთან ერთად დავესწარით Anhalter Bahnhof-ზე თალაათის გაცილებას. მთელი Wilhelms trasse იყო იქ... ბრჭყვიალა მუნდირები, დაკვირვებული, სერიოზული სახის გამომეტყველება.

„არ გვილალატებ... ხომ მართალია, რომ არ გვილალატებ?“— ეწერა მათ სახეებს. მაგრამ ერთხელვე მიღებული ზრდილობა ნიღაბს აფარებდა იმედებსა და იჭვებს.

დიდმა ვეზირმა ერთხელ კიდევ გაიმეორა თავისი დაპირებანი; იგი გვეპყრობოდა ჩვენ, როგორც „თავისიანებს“. „აქ, ბერლინში ცივა!—სთქვა მან:—კონსტანტინოპოლში კი თბილა, საამოა“... „დიახ, იქ ჩვენ თავს ვიგრძნობთ, როგორც შინ, საკუთარ სახლში“.

„დიალაც, ჩვენ ხომ ყველანი აღმოსავლეთის შვილები ვართ“.

ბალკანეთის მატარებელი გასრიალდა.

---

მეორე დღეს სამინისტროში ჩვენ გავიგეთ, რომ თალაათს ბერლინში არაფრისთვის არ მოუწერია ხელი. ოქმი კი არსებობს მისი თანდასწრებით შედგენილი და წაკითხული, რომელშიაც,

სხვათა შორის, შეტანილია დიდი ვეზირის განცხადება, რომ იგი ოსმალეთისათვის საჭიროთ სთვლის კავკასიაში დაემყაროს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საზღვრებს.

როგორც დ-რი გეპპერტი ამბობს, თალაათი აქ ჩამოვიდა სრული დარწმუნებული, რომ მიიღებს გერმანიის სრულს დასტურს (სანკციას) ბათომის 4 ივნისის 1918 წლის ხელშეკრულების ყველა საქმისას; მაგრამ ბერლინიდან წავიდა მტკიცე განზრახვით, რაც კი შეიძლება დააკმაყოფილოს საქართველოსა და კავკასიის სხვა რესპუბლიკების სურვილი.

მაგრამ ყველა ეს იყო განზრახვა და დაპირება, რომელთაც იწვევდა ბერლინის ან და... პალესტინის ძალდატანება... საჭირო იყო მეტი გარკვეულობა. ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ გერმანიის მთავრობა შემდეგშიაც დაგვეხმარება კავკასიაში ოსმალეთ-საქართველოს საზღვრების დადების კითხვაში. გადასწყდა, რომ მე მარტო წავალ კონსტანტინოპოლში: თუ სასურველ შედეგს მივაღწიეთ, მაშინ „ხელის მოსაწერათ“ ჩამოვა ჩხენკელი.

ხელის მოწერა! ხელის მოწერა! ეხლა, როცა საქმე ხელის მოწერაზე მიდგა, ნიადაგი იწყებს რყევას.

## 41

კონსტანტინოპოლში წასვლამდი საჭირო იყო ბერლინში მოგვემზადებია „ხელის მოსაწერათ“ ბევრათ უფრო მნიშვნელოვანი რამ—გერმანია-საქართველოს ხელშეკრულების პროექტი. 23 სექტემბერს ამ საქმის გამო მე ვიყავი დ-რ კრიგესთან. იგი ძლიერ კმაყოფილებით გამოიყურებოდა: როგორც ფორმალისტურ შეხედულების მქონე, იგი ჰფიქრობდა, რომ ეხლა, როცა რუსეთი დასთანხმდა, გერმანიამ იცნოს საქართველო, აღარაფერს შეუძლია ხელი შეუშალოს ამ ცნობას. მომილოცა საქმის კეთილად დამთავრება და გადმომცა ჩემ პირვანდელ პროექტის საფუძველზე შემუშავებული ტექსტი გერმანია-საქართველოს ხელშეკრულებისა.

ჩვენი შენიშვნების წარდგენისა და მცირე დავის შემდეგ, პროექტის საბოლოო ფორმა შემუშავდა და გაშალაშინდა 3 ოქტომბერს.

შესავალში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო, ორივე მხარეს სურს დაამყაროს მკვიდრ საფუძველზე მეგობრული ურთიერთობა და ამ გზით ხელი შეუწყონ საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიურ განვითარებას.

პროექტის რვა თავიდან („მეგობრული ურთიერთობანი გერმანიასა და საქართველოს შორის") პირველი შეიცავდა უპირველესად ყოვლისა, გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას და დაპირებას, რომ ხელს შეუწყობს, რათა სხვა სახელმწიფოებმაც იცნონ იგი. (მუხ. 1) შემდეგ, აქვე ნათქვამია, რომ ორივე მხარეს სურს მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის დაჭერა (მუხ. 2), და მათ ურთიერთობის სახელმძღვანელოთ მიღებულია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადგენილებანი, რამდენათაც რაიმე სხვა არ არის ამ ხელშეკრულებაში დადგენილი (მუხ. 3).

მეორე თავი ეხება დიპლომატიურ და საკონსულო განწყობილების მოწესრიგებას (მუხ. 4-6). მესამე თავი შეეხება გერმანია-რუსეთის სახელმწიფო ხელშეკრულებებს, რომელნიც 1914 წლის ომამდე იყვნენ ძალაში. აქვე, წინასწარ მოფიქრებული იყო, მათი შეცვლა ახალი შეთანხმებებით, „რომელნიც შეეფერებიან გარდაქმნილ შეხედულებებსა და ურთიერთობას" (მუხ. 1-8).

მე-4 თავი შეიცავს ზოგად გადაწყვეტილებებს საქართველო-გერმანიის ეკონომიურ ურთიერთობის შესახებ. წინასწარ გაჭვრეტილია სავაჭრო ხელშეკრულების დადება.

მე-5 თავში ლაპარაკია სამხედრო ტყვეებისა და დაკავებულ კერძო პირთა გაცვლა-გამოცვლაზე (მუხ. 11-12).

მე-6 თავი ეკუთვნის საქართველოში მცხოვრებ გერმანელ კოლონისტებს. თუ გერმანიის ქვეშევრდომობა მიღებული აქვთ 1920 წლის 31 დეკემბრამდე, მაშინ მათ უნდა მიეცეს თავისუფლება საქართველოს ქვეშევრდომობისაგან, თუნდაც ისინი დარჩენ საქართველოში (მუხ. 13). მათ უნდა დაუბრუნდეს ომის დროს რუსეთის კანონების ძალით წართმეული უძრავი მამული, სამთამადნო უფლებები და სხვა (მუხ. 14). მათ ენიჭებათ თანასწორობა დანარჩენ მოსახლეობასთან შესახებ სამუშაოსა, სარეწაოსა და სხვადასხვა, და აგრეთვე გადასახადებისა და ვალდებულებებისა (მუხ. 15).

მე-7 თავი განსაკუთრებულად უზრუნველჰყოფს გერმანიის საეკლესიო მრევლის, სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებათა უფ-

ლებებს (მუხ. 16-18). გერმანიის მეცნიერებს ნება ეძლევათ მოახდინონ საქართველოში არქეოლოგიური გათხრები. მათ განკარგულებაში რჩება ნახევარი იმ საგნებისა, რაც აღმოჩენილი იქნება მათ მიერ; თვით არქეოლოგიური გათხრა კი ხდება ადგილობრივი დაწესებულებებთან შეთანხმებით (მუხ. 19).

ბოლოს მე-8 თავის „დასკვნის დადგენილებებში" ლაპარაკია ხელშეკრულების რატიფიკაციის წესრიგის შესახებ (მუხ. 20).

ხელშეკრულება იგი შევსებული იყო უფრო სპეციალური საურთიერთო ვალდებულებებით, რაც აღნიშნული იყო განსაკუთრებული ნოტებით; ეს ნოტები მხარეებს უნდა გაეგზავნათ ერთმანეთისათვის ზემოთ მოყვანილ ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს:

გერმანია ვალდებულებას ღებულობდა თავის თავზე დახმარებოდა საქართველოს მთავრობას, უკანასკნელის სურვილისამებრ, სახელმწიფო მმართველობის მოწყობისათვის მრჩეველების მიცემით. გერმანია ჰპირდება საქართველოს შეემსუბუქებია პირობები კერძოთ რკინის გზისთვის და ჯარის მოწყობისათვის საჭირო მასალების მიღების საქმეში.

მეორეს მხრით, საქართველოს მთავრობა ჰპირდებოდა გერმანიას, საერთო სახელმწიფო კონტროლის ჩარჩოების დაურღვეველათ, მიენიჭებინა გერმანიის საეკლესიო მრევლისათვის, სკოლებისათვის და სამეცნიერო დაწესებულებებისათვის თვითმართველობის სრული უფლება, არ შეევიწროებინათ ისინი ენისა და სწავლების გეგმის მხრივ და სხვა.

ასეთი იყო დედა-აზრი დადგენილებებისა, რომელნიც წინათ აღნიშნულ შეთანხმებებთან ერთად (შავი-ქვის გაზიდვის მონოპოლია, შავი-ქვის რკინის-გზა, ფოთის პორტი და სესხი) ხელს შეუწყობდენ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის განმტკიცებას და დაეხმარებოდენ მის ეკონომიურ განვითარებას.

1918 წლის 3 ოქტომბერს ყველაფერი მზათ იყო. „ხელის მოწერა"-ღა აკლდა. ჩხენკელს მხოლოდ ეს ენატრებოდა: ამისთვის იტანჯებოდა იგი 2 ივნისიდან ბერლინში. მაგრამ საუბედუროთ „მეორე მხარეს" ამის გაკეთება აღარ შეეძლო. ძველმა კანცლერმა (გრაფმა გერტლინგმა) და საგარეო უწყების სტატს-სეკრეტარმა (ფონ-გინცემ) სამსახური დასტოვეს. ახალი ჯერ არ იყო. და ისინიც ხომ საქართველოსთვის ვერ მოიცლიან ეხლა!

გერმანია მიექანება კანცლერის კრიზისიდან პარლამენტის კრიზისისაკენ; პარლამენტის კრიზისიდან—რევოლიუციისაკენ. გამოირკვა, რომ არც ისე ადვილია „მოკლე ფრონტზე" გადასვლა და იქ თავდაცვის დაწყება. ძლიერი, ფოლადის ზამბარი გერმანიის სახელმწიფოებრივობისა—გერმანული ნებისყოფისა, თანდათან შეკუმშვის მაგიერ უეცრად გატყდა.

## 42

თუ არ ვცდები, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბულგარეთის მომავალ ჩამოშორების გარკვეული ცნობა პირველათ მიიღო 25 სექტემბერს, ე. ი. თალაათ-ფაშის ბერლინიდან გასვლის წინა-დღეს. როცა უახლოეს დღეებში ყველამ დაიწყო ამაზე ლაპარაკი, სოფიიდან მოსულმა ცნობებმა, მართალია, გამოიწვიეს დიდი ალიაქოთი, მაგრამ საერთო სულიერი განწყობილება ბერლინში მაინც სრულიად არ იყო სასოწარკვეთილი: მხედველობაში მყავს არა ხალხის მასსები, რომელნიც ასეთის ცნობებით, მგონი, არ იყვენ დაინტერესებული, არამედ მოხელეები და საქმის კაცები უმაღლესი საფეხურებისა, რომელთანაც ხშირად მიხდებოდა ბაასი 1918 წლის სექტემბრის უკანასკნელსა და ოქტომბრის პირველ დღეებში.

საქმე ის არის რომ, მეტათ ღრმა ,ნიყო გერმანიის სამხედრო ძლევამოსილების რწმენა—ბულგარეთის ფრონტის გაწყვეტის კითხვას ადვილათ სჭრიდენ: იქ გაიგზავნება... უკვე გაგზავნილია ამდენი და ამდენი დივიზია! ესაა საკმაო!

დასავლეთ ფრონტზე—თავდაცვა მოკლე ფრონტზე; ამავე დროს—შინ „პარლამენტარიზმის" ფრონტზე უკან დახევა.

ეს ორი უკან დახევა საშვალებას იძლევა უცადოთ და მოვიპოვოთ მისაღები ზავი.

ვიმეორებ: ყველა ელოდა, რომ ზამბარი შეიკუმშებოდა. მაგრამ გაწყდა.

ეს მოხდა—ანდა თვალსაჩინო გახდა—ერთი თვის შემდეგ. ამ ხანად კი — მხოლოდ იწყებოდა მასსიური ფსიხოლოგიის გარდაქმნა, იწყებოდა პოლიტიკური მერყეობა—უმთავრესად დასავლეთის ფრონტის გაჭივრებული მდგომარეობის გამო. რა თქმა უნდა, ბულგარეთის ამბები უფრო ნათლად გვაჩვენებდენ იმ ცვლი-

ლებას, რომელიც მოხდა ივნისთან შედარებით, როცა ჩვენ აქ ჩამოვედით!

29 სექტემბერი.

...ამ გრილ, შემოდგომის კვირას, რა სიცოცხლეა, რა ხალხია ბერლინში! ყველა დამშვიდებულია, ჩვეულებრივ გამოიყურებიან... „შუა-ევროპა“ კი უეჭველია გაიბზარა! შეკრთა ბულგარეთი—და ამ კარებში შემოვარდება გამარჯვებას მოწყურებული რკინის ლაშქარი!

აქ კიდევ აქვთ იმედი, რომ გატეხილს გაამთელებენ. მაგრამ იწყება მაინც მოულოდნელი ამბები და განსაცვიფრებელი ცვლილებანი.

ჩვენ აქ ჩავრჩებით სამშობლოსგან მოწყვეტილი. შეიძლება გერმანელებმაც დასტოვონ საქართველო.

30 სექტემბერი.

კონსტანტინოპოლში „ბულგარეთის მატარებლით“ წასასვლელად ყველა ნებართვა და ვიზა მიღებულია. საჭიროა მხოლოდ მატარებელი გაემგზავროს, ჩაიაროს სოფია და მიაღწიოს კონსტანტინოპოლს. მაგრამ ვინ მოგვცემს ამის პირობას?

ვილჰელმი დასთანხმდა „სახალხო მთავრობაზე“—ხორვატები უსკიუბს მიუახლოვდენ—ინგლისელები კამბრეში შევიდენ!!.

ნუ თუ ლელოს ვერ გავიტანთ და უკანასკნელ წუთში წავიქცევით ჩვენი ცნობიანათ. Auswärtiges Amt-ის (საგარეო საქმეთა უწყების) პედანტები ყოყმანობდენ, აპიანურებდენ საქმეს—და ეხლა გერმანიის მიერ ცნობის ეფფექტი სრულიად სხვა იქნება.

გარემოება სავსებით იცვლება. საშიშარი არაფერია, უარის-საყოფელიც არაფერი გვაქვს... „გ ვ ი ც ნ ო ბ ე ნ“ სხვებიც, ოლონდ მტკიცედ გვინდოდეს დამოუკიდებლობა და ვიცავდეთ მას შინ.

უკანასკნელად ვნახე დ-რ კრიგეს ერთ-ერთი თანაშემწე: საბოლოოთ დავადგინეთ ტექსტი ჩვენი ხელშეკრულებისა, ოქმისა და ნოტებისა...

ჩვენი სასტუმროს დერეფანში წავაწყდი... ფელდმარშალ ფ. გინდენბურგის ზანდუკებს. იგი, ისე როგორც იმპერატორი, ქალაქშია...

შეიდემანი, (ს.-დ.)—სტატს-სეკრეტარია იმპერიის; ჰაი, ჰაი, Umsturzgesetz! *)

---

*) 1878 წელს, ბისმარკის დროს სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებულით გიმოცემული ცნობილი კანონი.

# თავი მეთექვსმეტე

## ნ ზ რ ე ვ ი ს შ უ ა შ ი.

### 43

პარასკევს, 4 ოქტომბერს 1918 წელს, როგორც იქნა, ბალკანეთის მატარებლით *) გავემგზავრე კონსტანტინოპოლში. ამ მგზავრობიდან ძნელი იყო, ძირითადათ შეცვლილ პირობებში, რაიმე სიკეთის მოლოდინი: მაგრამ საყურადღებოთ გვეჩვენებოდა დაგვეფასებინა მდგომარეობა ახალი სამეთვალყურო ადგილიდან.

ჩემი მეზობელი კუპეში, სამსახურის გარეშე მყოფი ოსმალელი გენერალი, სახელათ მეხმედ-ფაშა, შიშით მელაპარაკებოდა პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მილოცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაწოდებდა პურსა და შაქარს და აქვე, მატარებელში გამაცნო მცირე ხნის წინათ გარდაცვალებულ, სულთან მაჰმად-რეშადას გენერალ-ადიუტანტი, სალეხ-ფაშა. ესეც სასოწარკვეთილებით აქნევდა თავს.

საერთოთ მატარებელში სჭარბობდენ ოსმალეთის სხვა და სხვა ხარისხის ოფიცრები, მოქალაქე თურქები (უმაღლესი მარკის ლე-

---

*) „ბალკანეთის მატარებელი", რომელიც აკავშირებდა ომის დროს ოთხ მოკავშირეთა ნატახტო ქალაქებს ჩქარის მიმოსვლით (კვირაში ორჯერ) თავისებურ საკვირველებას წარმოადგენდა თავისი წყობილებით და დანიშნულ ადგილზე დროზე მისვლით. მისი მარშრუტი ეგრეთი იყო: ბერლინი—პრაგა—ვენა—ბუდაპესტი—ბელგრადი—სოფია—კონსტანტინოპოლი. მე მომიხდა უკანასკნელი „ბალკანეთის მატარებლის" პასსაჟირი ვყოფილიყავი. „შუა ევროპის" გადაკეთებამ 1919 წლის შემდეგ უმიზნოთ, ე. ი. შეუძლებლათ გახადა „ბალკანეთის მატარებელი". მის მაგიერ წარმოიშვა „აღმოსავლეთის ექსპრესი" (პარიზი—კონსტანტინოპოლი).

ვანტინელები) და ოსმალეთის სამსახურში მყოფი გერმანელი ოფიცრები.

ბელგრადამდე მივდიოდით სწორეთ ცხრილის მიხედვით: აქ კი, კვირა დღის წინა ღამით, დავიგვიანეთ რამოდენიმე საათი. რადგან სამხედრო მატარებლებს აევსოთ ლიანდაგი, ჩვენი დაგვიანება სულ მატულობდა და ნიშში მივედით დილის 5 საათის მაგიერ შუადღის 5 საათზე.

სადგურთან ვეებერთელა შენობა—ან თოფხანა უნდა იყოს ან ყაზარმები –უჭირავს საავათმყოფოს. მიმოდიან პატარა რაზმები მებარგეებისა. მოღუშული ნაცრის ფერი ცა, განუწყვეტელი წვიმა; მთელ ქვეყანას გადაჰკვრია რაღაც ტყვიისებური,—თანაც საგრძნობი გახდა, რომ იმედის მცირე ნაპერწკალი გაჩნდა მცხოვრებთა გულში—თითქოს გათამამდენ, ერთმანეთს ყურში ეუბნებიან ისეთს ამბებს, რომელიც წინად წარმოუდგენლათ მიაჩნდათ; დროებითი ბრძანებელნი ჰკარგავენ თავის-თავის რწმენას, დღეს თუ ხვალ წასასვლელათ დაიწყებენ მზადებას.

რონოდას მხლებელი საიდუმლოთ გვატყობინებს:—„მტერი ნიშიდან 80 კილომეტრზე სდგასო“.

რას უნდა გრძნობდნენ სამშობლოში დაბრუნებულნი სერბები?..

... ნიშეში ძლიერ დიდხანს მოგვიხდა ცდა! რონოდა-რესტორანში გავიგეთ ფერდინანდ ბულგარელის ტახტიდან გადადგომა, მისი შვილის ბორისის ტახტზე ასვლა და ბულგარეთის დროებითი ზავის პირობები. ასე გატყდა ციხე!

საკმაოთ გვიან გვეუბნებიან, რომ „ბალკანეთის მატარებელი“ წინ აღარ წავა, რომ ხვალ დილით მსურველთათვის იქნება მეორე მატარებელი სოფიაზე, და უკან—ბელგრადზე.

სასეირო საყურებელი იყო ამ „არეულობის“ მიერ გამოწვეული მღელვარება. გერმანელი ოფიცრები—ყველა მიიმალა კომენდატურაში; ოსმალოები ცალკე თათბირობდენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. „მოქალაქენი“ უკანვე თხოულობდენ ბილეთებსა და ბარგს და უაზროთ მიმორბოდენ.

მე გადავწყვიტე სოფიაში წავსულიყავი და სრულიად დამშვიდებული დავწევი დასაძინებლად. ჩემმა ოსმალომ შემატყობინა, რომ ისინი ყველანი ბრუნდებიან ბუდაპესტში და წავლენ კონსტანცაში. გერმანელები და ყველა დანარჩენი მგზავრი აგრეთვე

ბრუნდებიან, რადგან ეშინიათ დაპატიმრებულნი არ იქნენ ბულგარეთში.

მეორე დილას (7 ოქტომბერს) გამოვეთხოვე ექსპრესსში მოხერხებულათ მოგზაურობას (აღარ არის „ბალკანეთის მატარებელი!“) და ნიშადან ზოგიერთ გაბედულ თანამგზავრთან ერთად, რალაც საეჭვო მატარებლით, რომელიც გამოურკვეველი იყო, რომელ უწყებას ეკუთვნოდა, გავსწიე სოფიაში. შემდეგ, მატარებელში ჩამოჯდა მრავალი დათხოვნილი ჯარის კაცი. მომაგონდა რუსეთი *).

გზა-ტკეცილზე გამწკრივებული იყო ყოველ გვარი ბარგით დატვირთული საბარგო ეტლი: თივით, კონებით, საოჯახო ნივთებით, შეშით. ბულგარელებს, როგორც ეტყობა, არ უნდოდათ ხელ-ცარიელი დაბრუნებულიყვნენ სერბიიდან! აი, ნამდვილი ომი „ხელ-მომჭინე გლეხებისა“.

7 საათის მგზავრობის შემდეგ სოფიას მივაღწიეთ. იგი ცოტა არ იყოს წააგავს რუსეთის საგუბერნიო ცენტრებს, მაგ., ხარკოვს, რასაც ხელს უწყობს განცხადებების შრიფტი. სადგურის ირგვლივ აუწერელი ტალახია. შედარებით მოკაზმულია სასახლის უბანი, სადაც ამ დღეებში უსახელოთ დამთავრდა მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე უფრო უცნაური პოლიტიკური კარიერა.

სასტუმრო Gd Hôtel de Bulgarie-ში გვარიანათ შეიძლება ცხოვრება. ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ თავდადება და გერმანული პედანტიური მარხულობა!

მაგარი აგებულების, ტლანქი, უხეში სახეები; არავითარი სინაზე. „ნაზი“ ვერც აიტანდა ოსმალეთის მონობის საუკუნოებრივ თავხედობას.

---

სოფია ეხლა წარმოადგენს ჩიხს, საიდანაც ვერ გაძვრები და სადაც გასაკეთებელი არაფერია; მართალია, ოსმალეთ-საქართველოს საზღვრებიც აღარ წარმოადგენს ისეთს... სადღეისო საპირბოროტო კითხვას; მისი გადაწყვეტაც აღარ იქნებოდა დამოკიდებული

*) 30 სექტემბერს, 1918 წელს შეკრული დროებითი ზავი ძალაში შედიოდა 10 ოქტომბერს. მაშინ იქმნა დათხოვნილი ბულგარეთის გენერალი სხიმუში ყველაზე. დემობილიზაცია კი, როგორც ეტყობა, თვითნებობით დაიწყო.

საქართველოსა და ოსმალეთისაგან; მაგრამ მაინც სჯობია გზის კონსტანტინოპოლისაკენ განგრძობა.

ოსმალეთი ჯერ კიდევ ომშია ჩაბმული: ყოველ წუთში შეიძლება დაიკეტოს ბულგარეთ-ოსმალეთის საზღვარი—ამიტომ უნდა ვიჩქარო.

8 ოქტომბერი.

5 საათზე წავა მატარებელი ფილიპოპოლზე (ბულგარეთის პლოვდივი) და კულელი ბურგასზე. დიდის გაჭირვებით, კომისიონერის დახმარებით, ვშოულობ გასვლის ნებართვას და ოფიცერთა კუპეშიაც კი მოვეწყვე (!). რონოდა გაქედილია ჯარისკაცებით.

დემობილიზაციამ და ფერდინანდის გადადგომამ დაამშვიდა ხალხი; როგორც ამბობენ, ბოლშევიკური მოძრაობა, დაწყებისთანავე ჩაუქვრიათ. ამაზე არ შემიძლია ვიმსჯელო, მაგრამ თვალით უყურებ, რომ ჯარის-კაცები სიმღერით მიეშურებიან თავთავიანთ სახლებისაკენ, მატარებლების დაძვრისას გაისმის „ვაშა-ვაშას“ ყიჟინა! თვალსაჩინოდ ეტყობა, რომ ხალხი ომის დამთავრებით აღტაცებულია.

თანამგზავრი ოფიცრები ყველაფერს, რაც მოხდა, ხსნიან ხალხის დაქანცვით. „როგორ შეგვიძლია რამოდენიმე წლის განმავლობაში ავიტანოთ ომის სიმძიმე ჩვენ, ყოველივე მრეწველობას მოკლებულმა პრიმიტიულმა მიწის მუშა-ხალხმა, რომელსაც ძალით მიაჩეჩეს მთელი ფრონტი! თანაც, წინანდელ მტრებს კიდევ მიემატა საბერძნეთი! რა მოუხერხოთ მილიარდიან საომარ ვალებს!?“

ღამით სინათლის აუნთებლათ მივდიოდით—ამბობენ, აეროპლანების ეშინიათ. სოფიაში ჯერ კიდევ ბევრი გერმანელია, მაგრამ უკვე ეტყობათ, რომ გასაფრენათ ემზადებიან; სასტუმროს გოგომ მრავალმნიშვნელოვანათ შეგვატყობინა, რომ „ჩვენთან დადგა საფრანგეთის მაიორი“-ო!

მოვცილდით ფილიპოპოლს. შეთხელდა მატარებლის მოსახლეობა; დარჩა ვინც დედეგაჩში, გიუმურჯინოში და ასეთ საამო ადგილებში მიდიოდა *).

---

*) ბულგარეთის ცენტრი შეერთებული იყო ამ, მაშინდელ (1918) ბულგარეთის, ქალაქებთან რკინის გზით, რომელიც გადადიოდა ოსმალეთის ტერიტორიაზე.

## 9 ოქტომბერი.

დილით მივაღწიეთ ადრიონოპოლს — კამეჩები სძოვენ ველზე, მათ უკან შორს მოსჩანს ცნობილი მეჩითის კოშკები — და, როგორც იქნა, მივედით კულელი-ბურგასში. აქ გადავჯექი ოსმალურ ძლიერ მოხერხებულ რონოდაში, მაგრამ სვლა საძაგელი აქვს. საჭმელი სრულიად არ მოიპოება! ყველაფერი თითქოს კალიამ მოსპოვო.

გადამარჩინეს მარაგიანმა თანამგზავრებმა: ჩვენი სამწუხაროთ მოსაგონარი ეკსპრესიდან მხოლოდ ისინი წამოვიდენ კონსტანტინოპოლში: „სალონიკის" ვაპარი, უნგარელი ოფიცერი დენშჩიკით („თუ გნებავთ ის გაგიწმენდსთ ტანთსაცმელს") და ავსტრიული, ვენის საკავშირო ბანკის დირექტორი კონსტანტინოპოლში. ეს ავსტრიელი, ბ-ნი შ., ამ ზაფხულზე ტფილისში ყოფილა ავსტრო-უნგრეთის მისიის „ეკონომიურ" მრჩეველათ. გონიერათ და თანაგრძნობით ლაპარაკობდა ჩვენს საქმეებზე, გამოსთქვამდა სურვილს იქ დაბრუნებულიყო და საფუძვლიანად ემუშავნა („სასიამოვნო ხალხია ზოგი თქვენი მინისტრი, გენერალი და სხვა, მაგრამ რომანტიკოსები არიან და როგორც აზნაურობას სჩვევია, ვერ არიან საქმის-კაცები, სწორეთ ისე, როგორც ეს იყო ჩვენშიაც, უნგრეთში, 50 — 60 წლის წინათ!"). რაც შეეხება „რომანტიზმს", იგი სცდებოდა.

სპანიოლი გვიამბობდა თავის საქმეებზე, კითხულობდა, იშოვება თუ არა საქართველოში აბრეშუმის ნაგდები (ესაა მისი სპეციალობა), — ო, რომ იცოდეს, თუ რამდენი სხვა და სხვა გვარი „ნაგდების" შოვნა შეიძლება! — და აგინებდა სიონისტებს: ებრაელებისათვის პალესტინე კი არ არის საჭირო, არამედ სიფართოვე და საშვალება ყველგან იმუშაონ!

ერთ-ერთ სადგურზე ჟანდარმმა გვაცნობა, თალაათ-ფაშის მთავრობის დაცემა *) და თევფიკ-ფაშის დიდ ვეზირათ მოსალოდნელი დანიშვნა (ეს — ზავია!). მინისტრებს ჩვენთან ბედი არ სწყალობთ: ისინი ხელში დნებიან თოვლის გუნდივით. ჯერ-ჯერობით ნოე ეორ-

*) მან თავი დაანება სამსახურს 8 ოქტომბერს, ბერლინიდან მისი წასვლის ორი კვირის შემდეგ.

დანია კიულმანზე, გენცეზე და თალაათზე უფრო მაგარი გამოდგა! მაგრამ რატომ უნდა დაეცეს, მას ხომ არავინ ეპიდება.

---

ძლიერ გვიან, სამხრეთის თბილ ღამეს ჩავედი კონსტანტინოპოლში. მაშინვე ეტლით გავსწიე პერაში. აქა-იქ კიდევ ღიაა ხილის მაღაზიები—ვაშლებსა და ყურძნის ახლოს მოკალათებულა ჩალის ფერი ნესვი. ახლად გამომცხვარი პურის სუნი სდგას. სამხრეთი, ნაზი, ხილითა და ბოსტნეულით მდიდარი, სანახევროთ ქუჩაში მცხოვრები და უდარდელი, მეტათ თვალსაჩინო იყო. ორი ფეხმაგარი ცხენი მარდათ ადიოდა პერაზე—აი Pera-Palace. მაინც მივაღწიე კონსტანტინოპოლს!

## 44

10 ოქტომბერი.

მოველ, მაგრამ დავიგვიანე მთელი 64 საათი! ისევ უნდა გადავეჩვიო სისწორეს. ჩვენი კონსტანტინოპოლელი დელეგატი გ. გვაზავა *) აქ თავს გრძნობდა, როგორც აგარაკზე. იგი ერთი დარჩა კონსტანტინოპოლში; ზაფხულში (!) აქ ჩამოსული ჩვენი დელეგაციის დანარჩენი წევრები უკვე შინ იყვნენ.

აქედან მოსჩანს ოქროს რქა: პირდაპირ—სულთან დამპყრობის მეჩითი; მარცხნივ—ბელღარი (აკვედუკი); მარჯვნივ—ბიზანტიური ციხის კვდელი და ეიუბას მეჩითი. ღურჯი ცა, მცხუნვარე მზე, ბერლინის შემოდგომისა და ბალკანეთის ტალახის შემდეგ, ახალისებს ადამიანს! გადაბრუნებული თასის გუმბათები, მინარეტების ისრები, კვიპაროზების თითისტრები, ნანგრევთა ხროვა და მჭიდროთ დასახლებულ უბნებში მოულოდნელი მელოტი — მთელი

---

*) ტფილისელი ვეკილი, ყოფილი წევრი ამიერკავკასიის ხეიმისა, საქართველოს ეროვნული საბჭოსა, დამფუძნებელი კრებისა და სხვა: ეროვნულ-დემოკრატი. ტრაპეზუნის კონფერენციაზე ამიერ-კავკასიის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა.

ეს ნაცნობი ალრევა შენობებისა და ქუჩების, ძველ გორაკებზე გამოქანდაკდენ უზარმაზარი ქალაქის დასრულებულ ფორმათ! ღვთაებრივი მზე, სამი ზღვის ტალღები, ორი ხმელეთი—აი ამდენს ხანს მრისხანე, ამდენს ხანს მოხერხებული, ეხლა კი დასუსტებული, მოხუცებაში უბრყვილო კონსტანტინოპოლი!

---

ჩემი ოთახის ფანჯრიდან მოსჩანს ქალაქის ბაღი, „მცირე ველები", ინგლისის საელჩოს ჯერ-ჯერობით დაქერიებული ფლაგშტოკი (ბაირაღის ტარი), ბოსფორსა და ოქროს რქის შორის წყალთა გამყოფი წამოზიდული ქვარნალი.

ქვევით ვხედავ ბათომის კონფერენციიდან ნაცნობ სახეებს; აი რასულ-ზადე; აი პ.—გაოსმალოებული ქართველი, რომელიც ეხლა აზერბაიჯანელებს მიჰკედლებია (ტკბილათ შეერგოს!); აი ჰაიდარ-ბეი ბამმატი და სხ. მაგრამ იქეთ და იქეთ—ყაზანის თათრები, თურქმენები, სარტები და სხვა თურქესტანელები—თავისებური დომხალი! და ასეთს ხსნილში დაძმარული იყო ჩვენი დელეგაცია ამდენ ხანს!

გავეცანი „მეხმანდარს" ე. ი. კავკასიის დელეგაციის ბოქაულს. იგი საპატიო პირია. მაგრამ ყოველ დელეგაციას თან ახლავს თავისი, ასე ვთქვათ „პაწია მეხმანდარი".

... სამაგიეროთ აქ საუცხოოთ გვკვებავენ, შაქარი, ყავა, თეთრი პური, კარაქი—ყველაფერი, რაც ბერლინში იშვიათად და ფუფუნებათ იყო მიჩნეული—აქ ყოველ ნაბიჯზე იშოვება. სიძვირე დიდია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ფერად-ფერადათ ჰყრია ბოსტნეულის გროვა; ყველის მორგვები და ხილი ხორცის გვერდით;—კონდიტერის გამოსაფენი ფანჯრები სავსეა ყოველგვარი ტკბილეულით.

გერმანია სცდილობდა ომისგან გამოწვეულ მარხულობაშიაც შეეტანა კანტის „კატეგორიული იმპერტივის" მთელი სისასტიკე; მაგრამ ტკბილეულობაზე უარის თქმა კონსტანტინოპოლის მოთმინების უნარს აღემატებოდა; თუმცა უნგრეთსაც ემჩნეოდა მეტი თავისუფლება საჭმელ-სასმელში: აქა-იქ მოსჩანდა თავქარიანი ფუნთუში და სხვა.

ბერლინში თითქმის ყოველი ეაშლის შეკმაზე ცოდვის გრძნობას განიცდიან—აძ კი ყოველ დღეს გვაქვს—ნესვი, ატამი, ყურძენი, ლეღვი.

სომხეთის დელეგატები ცხოვრებენ ტოკატლიანის სასტუმროში. იქ ვნახე ავეტის აგარონიანი,*) პაპაჯანოვი და სხვები.

12 ოქტომბერი.

ჩვენ გვინახულეს აქაური ქართველ-კათოლიკეთა კონგრეგაციის წევრებმა პიოს მეთაურობით; იგი ახალგაზრდა კაცია; განსაცვიფრებლად შავი. ყველანი ძირითადი მესხები არიან; უბრალო, კეთილი, მორწმუნე და დიდი პატრიოტი ხალხია.

შემდეგ ვიყავი გენერალ ფონ-ლოსოვთან, გერმანიის საელჩოში. მისაღებ ოთახიდან ფართო გადასახედავია სკუტარზე და ბოსფორზე. სხვათა შორის, კედელზე ჰკიდია იმპერატორ ვილჰელმის ესკიზით გაკეთებული გრავიურა; უცნობი „ბრწყინვალეთ შეიარაღებული“ უხმოთ იცავს შესავალს სასახლისას, სადაც მშვიდათ თამაშობენ ბავშები და მუშაობენ ცოლები; გარედან კი მოფორთხავს ყოველგვარი უწმინდურება. იმპერატორის ხელის მოწერა იერუსალიმეთში.

ლოსსოეს ულაპარაკნია იზზეთ-ფაშასთან ჩვენი მაზრების შესახებ და გვირჩევს საჩქაროთ გავათავოთ საქმე. მაგრამ ყველაფერი ეს ხომ უკვე დაძველდა!

13 ოქტომბერი.

აქ ჯერ კიდევ არ არის მთავრობა; მაგრამ ვეზირათ ეტყობა, იზზეტ-ფაშა იქნება. დრო როგორი დადგა! მდგომარეობა როგორი შეიქმნა! ჭეშმარიტად, ისტორია გაქენდა! სად არის ის დრო, როცა პეტროგრადში სანგრებში ომის ნელა მიმდინარეობის გამო დაცინვით კითხულობდენ: „Ах, messieurs, уж не assez—ли сидеть у Лабассэ? ანუ ქართულათ რომ გადმოვიღოთ აზრი: „სანგრებში ჩაჯდენ, თუ საუკუნოთ დასახლდენ?“.

ენა-მოსწრებულთ დიდი ხანია ბოლშევიკებმა ფრთები დააყრევინეს; რუსეთი აღარ არის ომის მონაწილე; ხოლო ლაბასსესთან

*) სომხეთის ნიპიერა მწერალი, შემდეგ პარიზის დელეგაციის თავმჯდომარე-

„ჩამჯდარნი“ ეხლა გერმანიას უმზადებენ თითქმის კაპიტულიაციას და შუა ევროპის სახელმწიფოები უკვე აიძულეს დემოკრატიის ბაირაღს შეფარებოდენ.

სოფიასთან მიმოსვლა შეწყვეტილია: აქ უკვე ფრანგები არიან; ნიშში სერბებია. გერმანია დასთანხმდა დასცალოს ბელგიისა და საფრანგეთის წინათ დაკავებული ნაწილები—ახლოვდება ზავი.

---

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი, ალი-მარდან ბეგ თოფჩიბაშევი*) ემზადება წავიდეს გერმანიასა და საერთოდ-ევროპაში. იგი მომხრეა აზერბაიჯანის სრული დამოუკიდებლობისა და მისი საქართველოსთან კავშირისა. აქვე იმყოფება იუსტიციის მინისტრი ხას-მამედოვი (ისიც სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი). მისი სიტყვით აზერბაიჯანში სამაგალითო წეს-რიგია დამყარებული ეხლა, მას შემდეგ, რაც ნური-ფაშა (ენვერის ძმა) გაჩნდა განჯაში (ელისავეტპოლში). საერთოდ ოსმალეთი ბევრ რამეში ხელს უწყობს მათ. იქ ეხლა უკვე 20.000 ჯარი ჰყავთ (საკუთარი), მალე ასი-ათისიც იქნება. რუსეთთან და საქართველოსთან განახლდა საქონლის გაცვლა-გამოცვლა. ხალხში დისციპლინა უფრომ კაცრია, ვიდრე, მაგალითად, საქართველოში; მალე მოწვეული იქნება პარლამენტი და სხვა.

თუ ხ-ს დაუგდეთ ყური, იქ მეტის-მეტად კარგათ არის ყველაფერი მოწყობილი! ნამდვილათ კი, რამდენს სიმძიმეს წარმოადგენს იქ, თუნდაც მმართველობის ფორმა...**) ორივე ჩემს მობაასეს

---

*) პირველი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი, ცნობილი მოღვაწე, შემდეგ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარე პარიზში.

**) 1918 წელს აზერბაიჯანში ნიადაგი საკმაოთ მომზადებული იყო ემირობის დასამყარებლათ. იგი, უეპველია, სავსებით შეესაბამებოდა მოსახლეობის უმრავლესობის შეხედულებასა და გრძნობებს-მე, რა თქმა უნდა არ ვლაპარაკობ სამრეწველო, მუშურ. ბაკოზე.

ემირობაზე პრეტენდენტები, როგორც ეტყობა, კიდევაც იყვნენ ოსმალეთში (ხშორეთ ისე, როგორც გერმანიაში იყვნენ ფინლიანდიის, უნგრეთის, ბალტიის მხარის და სხვათა გვირგვინების პრეტენდენტები. რაღაც მახსოვს, რომ ერთხელ აზერბაიჯანლებს ურჩიე მუსლიმანთა დინასტიების Stanley Lane-Poole (Mahommedan Dynasties 1894 წ.) ცნობილ კატალოგში მოეძებნათ „წინაპარი“ საპირო „შთამომავალის“ გამოსარკვევათ. მაგრამ უჩემოთაც იცოდენ, რომ აღმოსავლეთ—ინდოეთში მოინახებიან სისხლითა და ტრადიციებით ძთი ახლობელი ტიმურიდები.

ბეჯითათ აქვს შესწავლილი რუსეთის უნივერსიტეტის მეცნიერება.

სხვა გვარი კაცია რასულ-ზადე. სპარსეთის მოლვაწეები, რომელნიც მხოლოდ ერთის წუთით ვნახე ბერლინში, მისი ძველი მეგობრები ყოფილან. მათთან ერთად იგი სცემდა თეირანში სპარსულ ენაზე გაზეთს, შემდეგ რასულ-ზადემ თავისი მოღვაწეობა გადაიტანა კონსტანტინოპოლში და ბოლოს—ბაქოში. მან ერთნაირათ კარგათ იცის თავისი კილოკავი, ოსმალური და ფარსული ენები. მას ფართო შეხედულება აქვს აღმოსავლეთში კულტურის დემოკრატიზაციისა და ნაციონალიზაციის საჭიროების შესახებ. მაგალითად, სპარსეთის უბედურებას იგი (და არა მარტო იგი!) ხედავს იმაში, რომ გადაგვარებული ირანის სამხრეთი თავს იმაგრებს ხელ-უხლებელ, სიცოცხლით სავსე თურქულ ჩრდილოეთით, რომელსაც ძალით თავს მოახვიეს უცხო სპარსული ენა; უკანასენელი კი თიშავს მაღალ წრეებსა და ხალხის მასსებს. რ-ს აზრით უნდა მოხდეს სპარსეთის ორათ გაყოფა: ჩრდილოეთი და ამიერ-კავკასიის აზერბაიჯანი შეადგენენ ერთ ერთეულს, ხოლო ირანის სამხრეთი მეორე ერთეულს, რომელიც განვითარდება ავღანისტანის, ბელუჯისტანისა და ინდოეთის მიმართულებით. ამ ორ ერთეულს შეეძლება უნიით შეერთდეს—შემდეგ კი წინა-აზიის დანარჩენ სახელმწიფოებთან ერთად შევიდეს უფრო რთულ სისტემაში!

ყველაფერი ეს ძლიერ საინტერესოა; მხოლოდ ჩრდილოეთისა და სამხრეთის სხვადასხვაობას შეუძლია მიიყვანოს სპარსეთი ზედგავლენის სფეროთა უბრალო სხვადასხვაობამდი, როგორც ეს ახლო წარსულშიაც იყო! უპირველესად ყოვლისა, აუცილებელია არსებობდეს მაგალითის მაჩვენებელი სიცოცხლის უნარიანი, დამოუკიდებელი მუსლიმანური სახელმწიფო!

---

საერთოდ, ჩვენ მუსლიმანებს საუკეთესო იმედები აქვთ. როცა აქ ჩამოვიდენ, უეცრათ მოხვდენ მონათესავე დიდ სახელმწიფოს ბრწყინვალე სახელოვან სატახტო ქალაქში, და თურქების ფართო ოჯახის წევრებათ იგრძნეს თავი: ამ კავშირის შეგნებას სულიერათ უნდა გაემხნევებია ისინი და მიეცა თავის-თავის რწმენა. ოსმალეთის უკანასკნელმა ფათერაკმა ოდნავ შეუჩერა მათ აზრთა ფრენა, მაგრამ არ შეუმცირებია არც ოპტიმიზმი და არც იმედები.

დიახ, ოსმალეთ-აზერბაიჯანის დაახლოვება ისტორიული მნიშვნელობის არა მცირე ფაქტია: შედეგებიც მრავალგვარი იქნება. რა აღმოცენდება 1918 წლის თესლიდან ჯერ ძნელი სათქმელია.

---

ჩვენი მთიულების მდგომარეობა აქ, რა თქმა უნდა, სხვანაირია. მაგრამ კავშირი ძლიერ დიდი აქვთ გაბმული—ოსმალეთში ყოველ ნაბიჯზე მათ ხვდებიან მონათესავენი. ეს ვინ არ იცის?

როგორ განცვიფრდებოდა შამილი, რომ 1918 წელს ენახა ევროპიულათ აღზრდილი და ფრანგულათ მოლაპარაკე, მთიულეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბამმატი!

როცა კალუგიდან.... მექაში მიმავალი შამილი კონსტანტინოპოლში შეჩერდა, სულთანმა აბდულ-აზიზმა, სადარბაზოთ მიღების დროს ხელზე აკოცა—ეს ნიშანია სამუსლიმანოს არაჩვეულებრივი პატივისცემისა სახელ-განთქმულ იმამისადმი. ნახევარი საუკუნის შემდეგ, მთის ხალხების დამოუკიდებლათ გამოცხადებას სიხარულით შეხვდა მთელი აღმოსავლეთი – თვით ისეთი დიდი ხნის წინათ კავკასიიდან გადასახლებულნი, როგორიც არიან ეგვიპტეში ჩერქეზების დიდი გვარისშვილები.

მიუხედავათ ასეთის თანაგრძნობისა და ტრადიციებისა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი დახმარების იმედი ოსმალეთის მხრივ, მე მგონია, არ უნდა იქონიონ ჩვენმა მთიულებმა. მაგრამ ამ თემის გაღრმავების ადგილი აქ არ არის.

.... თუმცა მათი გეოგრაფიული მდებარეობა სახიფათოა, მაგრამ ჩრდილო კავკასიის მთიულები მაინც ცხოვრებენ თავის სამშობლოში.

რამდენათ უფრო უნუგეშოა იმათი მდგომარეობა, ვინც აქ, ოსმალეთში, ვერ სტოვებს თავის ტომობრივ შეგნებას, და თანაც ამჩნევს, რომ აქ არ ექნებათ ს ა კ უ თ ა რ ი მომავალი. ასეთები კიდევ მოიპოვებიან წარსული საუკუნის მე-60-ცე და მე-70-თე წლების მასსიური ემიგრაციის შთამომავლობაში, იმ ემიგრაციის, რომელიც გამოწვეული იყო დასავლეთ კავკასიის ეგრედ წოდებულ დამშვიდებისა და დაპყრობის დროს. და მათ დარჩენიათ გარდა სევდისა და უკმაყოფილებისა მხოლოდ ჩოხა, მედიდური მიმოხრადა რამდე-

ნიმე ხახათი და სტვენით გამოსათქმელი ბგერა, და ესეც მარტო იმ პირთ, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ მათ წამრეცხავ ისტორიის ტალღას.

14 ოქტომბერი.

სადარბაზოთ ვიყავით მაჰმუდ-ფაშასთან, ეგრედ წოდებულ ჩურუქსულში; იგი ქართველი გვარისშვილია—თავდგირიძე. თოფხანის მოედნის ზევით მდებარე ერთ-ერთ აღმართზე, ნახევრათ ევროპიულათ მოწყობილ სახლში ჩვენ მიგვიღეს მეტად ალერსიანათ. ფაშა წინათაც ყოფილა მინისტრათ; ეხლა უნდა შესულიყო თევფიკ-ფაშის მთავრობაში, თუ კი იგი შესდვებოდა; მისი სიტყვით, იგი საქართველოსთვის მზათაა ყოველივე მოიმოქმედოს, რაც არ ეწინაღმდეგება ოსმალეთის ინტერესებს. ოსმალეთისაგან ეხლა მოსალოდნელია უფრო თავდაჭერილი და ზომიერი პოლიტიკის წარმოება. თვითონ არა ერთხელ არწმუნებდა, ვისიც ჯერ არს, ბათომთან და საქართველოსთან კავშირის შენარჩუნების საჭიროებას; დაგვპირდა, ახალ ვეზირს მოლაპარაკებოდა, რომ სასურველია ეხლავე, დაუყონებლივ გადაწყვეტილი იქნეს ოსმალეთ-საქართველოს შორის არსებულ სადაო კითხვები. ტრადიციული ფინჯანი შავი ყავის შემდეგ, რომელიც მოგვართვა ხელზე მოსამსახურე-მეზღვაურმა ჩვენ გამოვემშვიდობეთ ალერსიან მასპინძელს. მუსაიფის თავი და ბოლო იყო ქართული, შუატანი კი ფრანგული.

---

საოცრათ გეჩვენება, როცა პერაზე სეირნობის დროს, ჰხედავ მოაჯირების უკან მიმალულსა და მიტოვებულს საელჩოებს. აი, მაგალითად, საფრანგეთის ძველი სამფლობელო: საყურადღებოა მისი ერთ მხარეზე შემოვლებული „პოლონეთის“ ქუჩა; აი, კეთილშობილი წინა-პირი რუსეთის სასახლისა—ეხლა მის სახელმწიფო ემბლემებს შენობაზე შემოხვეული აქვს შავი საბურავი.

ოსმალეთი იჩოქებს—იგი უკვე დაჩოქებულია „დასავლეთის დემოკრატიების“ წინაშე; მას ბათომიდანაც გააგდებენ. მაგრამ არ მოხდეს რაიმე გაუგებრობა! და როგორ შევატყობინოთ ამ დემოკრა-

ტიებს ჩვენი სურვილები? მივმართეთ ნიდერლანდიის და შემდეგ შვეიცის ელჩებს. ორივე საელჩო, როგორც მიღებულია, დამალულია ეზოსა და ბაღის შუაში; მოსამსახურეთა შემადგენლობა მრავალრიცხოვანია. ნიდერლანდელი იცავს საფრანგეთის და ინგლისის ინტერესებს, შვედელი—შეერთებულ შტატებისას. ორივე ძლიერ განცვიფრებული დარჩა, როცა ჩვენი თხოვნა მოისმინეს—ჩვენ ვთხოვდით: არ შეიძლება, გადავსცეთ დასავლეთის სახელმწიფოებს ცნობა, რომ, როცა ოსმალეთი დასცლის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით დაჭერილ ადგილებს, და ასეთს დაცლას ოსმალეთს უეჭველია მოსთხოვენ,—ბათომი და ბათომის ოლქი მაშინვე დაიკავოს საქართველოს მთავრობამ?.

ყველაზე უფრო საფიქრებელია, რომ სახელმწიფოები თვითონ „ინებებენ“ ბათომის დაჭერას, მაგრამ მაინც სასარგებლოა ჩვენთვის ვაცნობოთ მათ, რომ ამ დოვლათს ჩვენ ჩვენს საკუთრებათ ვთვლით, და მისი მართვაც შეგვიძლია.

ელჩები დაგვპირდენ, რომ „მოიფიქრებენ“.... თუ რა საშვალებით შეასრულონ ჩვენი თხოვნა. მაგრამ ემჩნეოდა, რომ ასეთს თხოვნას ექსცენტრიულათ (გასაოცრათ) სთვლიდენ.

„როგორ შემიძლია—შენიშნა ერთმა მათგანმა—იმ სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ გამოვიდე, რომელთანაც ვარ მიღებული?“ „თქვენ ხომ, თქვენო აღმატებულებავ, ეხლა ყველა ხალხების მიერ ბრძანდებით მიღებული, ხალხების რომელნიც ცდილობენ დაამყარონ მშვიდობიანობის კეთილდღეობა!“ და სხვა.

მიაქციეთ ყურადღება—ვეუბნები ჩემს სასიამოვნო თანამგზავრს გ-ს, როცა უკან ვბრუნდებოდით—პატივცემული პირები, პატივცემული სახელმწიფოები, მაგრამ რა მოკრძალება გამოკრთის! რა ტონით უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ შვეიცასთან და ნიდერლანდებთან შედარებით, ასე ვთქვათ, უპერანგოებმა? მაგრამ ყველა ეს „დამოუკიდებლობანი“ მათთვის რაღაც გაუთვალისწინებელი რამ არის, და გოტის ალმანახი ჯერ სდუმს ჩვენს შესახებ! ამიტომ განიცდიან უხერხულ მდგომარეობას.

15 ოქტომბერი.

იმავე თხოვნით მივმართეთ ბულგარეთის ელჩს, გოლუშევს. მან იცოდა საქმის ვითარება, და დაგვპირდა დეპეში გაეგზავნა თა-

ვის მთავრობისათვის სოფიაში ამერიკის წარმომადგენლისათვის გადასაცემათ, რომ საქმე ასე და ასეა, საქართველოს სურს.... და სხვა.

დიდხანს ვზივართ მასთან და ვარკვევთ ზავის შანსებს. ბულგარელს არ სწამს არც ერთა ლიგა, არც ომის სამუდამოთ მოსპობა, მაგრამ მზათ არის ყოველივე ეს „სინჯოს“.

---

შემთხვევით, სასტუმროში ჩემი თავი წარუდგინეს ახალ დიდ ვეზირს იზზეთ-ფაშას. ხვალ მიგვიღებს.

---

სომხეთის დელეგაციაში. ვარკვევთ საერთო საქმეებს. ეხლა გაუცოცხლდათ ყველა იმედი და მალე დავიწყებულ იქნება „ალექსანდროპოლისა“ და სხვა შავი დღეები. ადრე თუ გვიან ოსმალეები დასცლიან, რაც კი რამ აქვთ დაკავებული სომხეთსა და საქართველოში. მაგრამ სად თავდება ერთი და იწყება მეორე? ნუთუ განსაზღვრა ჯერ კიდევ არ არის მომზადებული თფილისისა და ერევნის მთავრობების მიერ?

16 ოქტომბერი.

პატრები თითქმის ყოველ დღე შემოდიან ჩვენთან და გვიამბობენ ქალაქის ახალ ამბებს; მთავრობის ყველა უკმაყოფილოა, ოსმალოებს ყველა სწყევლის, შაბათს ელიან ინგლისელებს (!).... ოსმალეთის პრესსაში ყველაფერი თავაზიანათ ალაპარაკდა „დეცენტრალიზაციაზე“, „ავტონომიებზე“ და სხვა. ერთგვარის შიშით ემზადებიან სამსჯავროსთვის, რომ:

Quidquid latet adparebit
Nil inultum remanebit...

გვიან, გალატადან გაგზავნეს საქართველოში ყოფილი ტყვეები; შემდეგ წავედით მაღალ პორტაში. იზზეთ-ფაშამ პირდაპირ განაცხადა—ეხლა სხვა გვარათ აღარც შეიძლება—რომ ყველაფერი,

რაც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ზედმეტათ არის დაკავებული საქართველოში, დაცლილი იქნებაო. რაც შეეხება იმ პროვინციებს, რომელიც მიღებულია ამ ხელშეკრულების ძალით (ბათომი), იმათ დააბრუნებენ, თუ მათი დაბრუნება აუცილებელი გახდა ეგრედ წოდებულ პრეზიდენტ ვილსონის პრინციპის ძალით. დაწვრილებით ამ კითხვებზე ჩვენ უნდა შეუთანხმდეთ საგარეო საქმეთა მინისტრს ნაბი-ბეის, რომელიც დიდი ვეზირის მოწვევით დაესწრო ჩვენს ბაასს.

მეორე დღეს, 17 ოქტომბერს, ჩვენ მოლაპარაკება განვაგრძეთ მინისტრთან და მინისტრის ამხანაგთან რეშად-ხიკმეტ-ბეისთან *).

ახალციხის და სხვა მაზრების (ე. ი- ბრესტ-ლიტოვსკის ზავის „ზედ-მეტის") დაცლის შესახებ მათ დაადასტურეს თანხმობა ეხლავე დასცალონ ისინი, თუმცა აღნიშნეს „ახასკის" მუსლიმანური თვისება, მოსახლეობის ჭეშმარიტი სურვილი და სხვა. „მიუხედავათ ამისა, — განაცხადა რეშად-ხიკმეტმა, — ჩვენ უარს ვამბობთ იმაზე, რაც არ გამოდის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საზღვრებიდან, და გვსურს საუკეთესო მეზობლური განწყობილება ვიქონიოთ ქართველებთან, რომელნიც კავკასიაში წარმოადგენენ ყველაზე უფრო და სხვა" — ამას მოჰყვა „ტკბილეული". დაწვრილებით მოვილაპარაკეთ აგრეთვე აღნიშნული ტერრიტორიის დაცლის წეს-რიგზე, და მივიღეთ დაპირება, რომ ყველაფრის შესახებ გაცემული იქნება განკარგულება დეპეშით.**)

შემდეგ გადავედით ბათომის კითხვის გარჩევაზე და შევჩერდით გუშინ იზზეთ-ფაშის მიერ ძლიერ პირობითად გამოთქმულ დებულებაზე: თუ ოსმალეთი იძულებული შეიქნა დასცალოს სამი სანჯაკი (ბათომი, არტაანი, ყარსი), მაშინ მზათაა ამ ტერრიტორიის ქართული ნაწილი დაუთმოს საქართველოს". ამ საგნებზე ჩვენი თანამოსაუბრენი პასუხს გაურბოდენ და ლაპარაკობდენ რაღაც უხალისოთ. მათ, მგონი, იმედი აქვთ შეინარჩუნონ „ვილსონის მეოხე-

---

*) ამ, ან უკვე ვადაცემლებულ, დეპეტატს, დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

**) მართლაც, იმ ტერრიტორიების დაცლა, რომელთა შესახებ აქ არის ლაპარაკი, დაიწყო 1918 წ. 18 ოქტომბერს. იმავე დროს მოხდა პირველი შეტაკება ხომეხთა და ქართველთა შორის გამოურკვეველ საზღვრების გამოის. საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული კრებული; ს ო მ ე ხ-ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ი დ ა ნ 1918 წ. ტფილისი 1919.

ბით'' ის, რაც მიიღეს ,,ბრესტ-ლიტოვსკის საშვალებით''. მათის მხრით ეს გონებამახვილობაა!

იქედან მიეკრით, ოქტომბრის უხვ მზეზე, გერმანიის საელჩოში, გენერალ ფონ-ლოსსოვთან, მისივე თხოვნით. ა. ავგრონიანიც იქ დაგვხვდა. იზზეთ-ფაშა ლოსსოვსაც უნახავს და იგივე დაპირებანი მიუღია როგორც ჩვენ. გვირჩია სომხებთან ერთად წავსულიყავით დიდ ვეზირთან და სხვათაშორის დაგვედასტურებია, რომ დაცლილი ტერრიტორიების გაყოფას საქართველოსა და სომხეთს შორის მოვახდენთ ჩვენ თვითონ რჩევა სიამოვნებით მივიღეთ.

ბოლოს, ფ. ლოსსოვმა გამოთქვა თავისი რწმენა, რომ საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობის საქმეს მტკიცე ნიადაგი აქვს მოპოებული, ხოლო ჩრდილო კავკასიისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის განხორციელების შესაძლებლობა—საეჭვოა.

ეს არის შეხედულება. მართალია იგი და რომელ ნაწილშია მართალი—ეს სხვა კითხვას შეადგენს.

---

შემდეგ, წავედით სომხებთან, რომ მოგველაპარაკნა, საერთო მოქმედებაზე, როგორც გვირჩიეს აგარონიანთან თანადასწრებით. მაგრამ, როგორც მათმა მდივანმა გვითხრა, ისინი უკვე წასულიყვნენ... დიდ ვეზირთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან.

18 ოქტომბერი.

დღეს, მუსლიმანთა უქმე—სელიამლიკის დღეს (საამოა მზე, ხალხით სავსეა ქუჩები) შუადღეზე უეცრათ დაიგრიალა ზარბაზნებმა, ატკაცუნდა ტყვიის მფრქვეველები. ,,აეროპლანები, აეროპლანები'' —გაისმა ძახილი. ოქროს რქაზე მოსჩანდა გამსკდარი ყუმბარების თეთრი და შავი ნაძენძი, შემდეგ დავინახე აეროპლანები—ექვსამდე რიცხვით—რომელნიც სწრაფათ გადადიოდენ სტამბოლს. ისმოდა ბრდგვენა აფეთქებისა—ერთ ადგილას, გორაკის წვერზე ავარდა ვეებერთელა ნაცრისფერ-შავი სვეტი კვამლისა. თავდასხმის მოულოდნელობა, ჰაერის მხედართა გამბედაობა, რომელთაც ძირს დაიწიეს

სანამ ზევით ავიდოდენ, ზოგის დაბნევა, ზოგის ცნობის მოყვარეობა—და თან სროლა, რახუნი ზევიდან, ქვევიდან, ირგვლივ.....

ორი-სამი საათისშემდეგ თავდასხმა განმეორდა—ყრიდენ პროკლამაციებს, რომელნიც თეთრ წერტილებათ, ფერმკრთალი წინწკლების ჩანჩქერებათ მიმოქროდენ მაღლა ჰაერში.

20 ოქტომბერი.

რაღაც კომედია ხდება: რამდენიმე დღეა, ყოველგვარათ იმეორებენ და მტკიცდება კიდეც, რომ სმირნის ვალი რახმი-ბეი რაუფ-ბეის*) მონაწილეობით მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისთან. ოფიციოზურათ ამ ცნობებს უარყოფენ, მაგრამ ისეთის ფორმით, რომელიც ადასტურებს მათ.

ოთხი წლის ხელში ქონების შემდეგ, გერმანელებმა დასცალეს ლილლი, რუბე, დუე.

ოსმალეთი ქვეითდება, და ჩვენი მუსლიმანები ბუნებრივათ და აუცილებლათ უბრუნდებიან „კავკასიის კონფედერაციის“ წრეს.

მთიულებისთვის კავკასიის შეკავშირება ეხლა ყველაფერია. აზრი სწორია, ოღონდ მთიულეთის რესპუბლიკის საქმე საჭიროა უფრო დაწვრილებით იქნეს შესწავლილი და იქ, ადგილობრივ გადაწყვეტილი.

თურქებიც შეწუხებული არიან. უკმაყოფილებას აცხადებენ გერმანიაზე, რომელმაც აზერბაიჯანი თითქოს მიანება ბოლშევიკებს (დამოუკიდებლობის ცნობის კითხვაში), დაარღვია ოსმალეთის ინტერესები და სხვა. მათი ასეთი ცვლილება ადვილი გასაგებია.

21 ოქტომბერი.

აქ აღარაფერია გასაკეთებელი. მოლაპარაკების განგრძობა იქნებოდა სრულიად უნაყოფო. არც თფილისიდან, არც ბერლინი-

---

*) რაუფ-ბეი, გამოჩენილი მეზღვაური; 1918 წელს, ტრაპეზონის კონფერენციაზე, ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარეთ იყო. შემდეგ, ანატოლიის მოძრაობის ერთი მთავარი მოღვაწეთაგანი იყო. ტომით აფხაზია, სოხუმის ოლქიდან.

დან ჩხენკელისაგან, არავითარი ცნობა არ მომდის. კავკასიის დელეგაციები ბრუნდებიან ბათომში. წავიდე მათთან ერთად, თუ ბრაილუში გავემგზავრო?

ორი კვირა არ არის, რაც აქ ჩამოვედი, მაგრამ მეტის ატანა აღარ შემიძლია. სხვა ყველა „მურახასლარი"-კი 4 თვეა კონსტანტინოპოლში იმყოფება!

ჩვენი „პატარა მეხმანდარი" მირჩევს წავიდე არა ხვალ, არამედ 26 უფრო სწრაფ-მავალი გემით „რეშად-ფაშათი".

22 ოქტომბერი.

აზერბაიჯანელებისა და მთიულების უმრავლესობა დღეს მოეწყო გემზე და გასწია; ღმერთმა იცის, როდის მიაღწევს გემი ბათომს.

23 ოქტომბერი.

მთელი ჩვენი ბერლინში ნამუშევარი ნუთუ უკვალოთ წაიშლება? ფონ-ლოსსოვი საქმეს ასე არ უყურებს: მისის აზრით, რომელიმე ჩვენგანი სასწრაფოთ უნდა გაემგზავროს ჰაიგაში და მოამზადოს „იმ" ბანაკის სახელმწიფოები ბერლინის ჩვენი ხელშეკრულებების დასადასტურებლათ.*)

მაგრამ, ეს ხომ ჩხენკელს უფრო ადვილათ შეუძლია მოიმოქმედოს ბერლინიდან, ვიდრე მე აქედან. კონსტანტინოპოლი ამ წუთში ყოველი მხრიდან მოწყვეტილია; და უკეთესი იქნებოდა, მე თფილისში დავბრუნებულიყავი. როგორც წინათ, ეხლაც არავითარი ცნობა არ მომსვლია.

---

ქართველი კონგრეგაციის ძმა-პეტრეს თანხლებით წავედით პაპის დელეგატთან, მონსინიორ ანჯელო დოლჩისთან, პანკალდიში.

---

*) ეხლა (1923 წ.) შეუძლებლათ მოეჩვენება კაცს, რომ დინჯ ადამიანს ასეთი იმედი პქონდა!

იტალიური, კეთილშობილი სტილის სახლი ერთ-ერთ შესახვევის დაღმართში.

მდიდრულ სალონში ჩვენთან გამოვიდა მეტის-მეტი ალერსიანობით მონსინიორი—სისხლ-მეტი, ჯანსაღი, ვაჟკაცი, პრელატი. ვიბაასეთ საქართველოზე, კათოლიციზმზე საქართველოში, იმ ინტერესზე, რომელიც აქვს მისდამი პაპის ტახტს, ომზე, გერმანიაზე. რა განსხვავება მართლმორწმუნეობასა და კათოლიციზმის შორის? Filioque etc?. თვით თეოლოგებმაც კი ვერ გაარკვიეს. კიდევ, ერთი საათი რომ დავრჩენილიყავით, ქუჩაზე კათოლიკებათ გამოვიდოდით.

24 ოქტომბერი.

სხვებთან ერთად გუშინ გემით წასულ ფარუხ-ბეგ ვიზიროვს *) ვხვდები- ძლიერი ღელვის გამო ისინი ვერ გავიდენ გაშლილ ზღვაში და დაბრუნდენ ბოსფორში. მან, როგორც იყო, მოახერხა ნაპირზე გამოსულიყო, და ამით ძლიერ გახარებულია. აქანებს საშინლათ. საზოგადოების დაშლა უსიამო პირობებში იწყება.

---

კონსტანტინოპოლმა საბოლოოდ თავი მოიხარა დასავლეთის დემოკრატიების წინაშე. პრესსა გამუდმებით ლაპარაკობს, რომ ოსმალეთს განსაკუთრებული მოწოდება აქვს, შეითვისოს და განახორციელოს „პრეზიდენტ ვილსონის პრინციპები“ და სხვა.

25 ოქტომბერი.

დროებითი ზავი ახლოვდება. აქედან სასწრაფოთ იგზავნება გერმანიისა და ავსტრიის ნაწილები. უეკველია, სრუტეები დღესხვალ გაიხსნება; ინგლისის ფლოტი შემოვა შავ-ზღვაში; უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანელები დასტოვებენ საქართველოს; მაგრამ, ეხლანდელ პირობებში, ეს აღარ უნდა იყოს საშიშრო.

„რეშიდ-ფაშა“ ვიდევ იცდის. კარდიფის ნახშირს ხომ არ მოელიან მისთვის? დღეს აეროპლანებმა ახალი თავდასხმა მოახდინეს; მათ სროლა აუტეხეს. მთელი ცა მოფენილი იყო აფეთქების ძენძებით.

---

*) თურქების დიდი მრეწველი და მებამბე, აწ უკვე გადაცვალებული.

26 ოქტომბერი.

გემის წასვლა გადადებულია გაურკვეველ დროისთვის. საუკუნეებით ზღვების მფლობელი არიან და ვერ მოუხერხებიათ კონსტანტინოპოლიდან ბათომამდე მიმოსვლის მოწესრიგება! ნუთუ ეს ომიც ვერ გამოასწორებს მათ.

. . . . გერმანიის საელჩო მატყობინებს ჩხენკელის დეპეშას ბერლინიდან (18-საა გამოგზავნილი!) მთხოვს დაუყონებლივ დავბრუნდე ბერლინში. დასძენს მის ჩვეულებრივ სენტენციებს, რომ „ჩვენ ეხლა განსაკუთრებულის ენერგიით უნდა ვიმუშაოთ“-ო და სხვა.

თუმცა, მართალი რომ ვთქვა, თფილისი ძლიერ მიზიდავს, მაგრამ, მართლაც რომ საჭიროა ბერლინში დაბრუნება და იქედან დასავლეთში გამგზავრება. ზაფხულზე ჩემი ქრისტიანიაში ყოფნის შემდეგ, ჩემთვის ეს უფრო ადვილი იქნება ა. ჩხენკელისაგან ასეთი გადასვლის იმედი ფუჭია! ეხლა ყველაფერი უნდა გადაკეთდეს. ერთის სიტყვით, ვემზადებოდი ბათომში წასასვლელათ, ბერლინში კი წავალ!

28 ოქტომბერი.

ვილჰელმ II ტახტი შეირყა, სამსახურს თავი დაანება ლიუდენდორფმა. ომი დასრულდა?

29 ოქტომბერი.

ხვალ Tigris-ით მივდივარ ბრაილუში; დღეს უკანასკნელ საღამოს ვატარებ ამ საზღაპრო ქალაქში, ამ საკვირვილ დროს. გ-მ. გადაწყვიტა ჩემთან წამოვიდეს—მას შეატყობინეს, რომ „რეშედ-ფაშა“ არ წავა. ელიან დროებითი ზავის ხელის მოწერას, და ყველა დაიბნა.

45

30 ოქტომბერი.

Tigris-ზე ვარ. საძაგელი გემია, მაგრამ ეხლა ასარჩევი არ არსებობს! აქაც დიდის „პროტექციით“ მოვხვდით. ჩვენთვის კაიუ-

ტა არ არის; იძულებული შევიქენით ბარგი გემის ზედა ბანზე დაგვეწყო. ცივა, წვიმს, ავდარია. გ. შეწუხდა და ასეთს პირობებში მოგზაურობაზე უარი განაცხადა. ავათაც კი გახდება კაციო!—და ნაპირზე დაბრუნდა. კეთილმა პატერმა პიომ ჩემ მაგიერ შეასრულა ყველა ფორმალობა, რომელიც კი საჭირო იყო წასვლისათვის, მოიტანა ქალალდები და გამომეთხოვა.

ადგილიდან გვიან დავინძერით, მაგრამ მალე შებნელდა და ღუზა გადავაგდეთ... ბოსფორში.

წვიმა არ ცხრებოდა. ეს სწორეთ რომ Pera-Palace არ არის!

1 ნოემბერი.

გემის მზარეულმა საკმაო სასყიდელი გამომართვა და დამითმო თავისი კაიუტა. მაგრამ საჭმლის მოცემა არ შეუძლია, რადგან ერთი ფინჩხა ზედ მეტი არაფერი აქვს. ბანზე რამდენიმე ოფიცერია, რამდენიმე ათეული ჯარის-კაცი—სულ დარდანელიდან--და 5—6 ქერძო პირი. კაპიტანი და მისი თანაშემწე გერმანელები არიან; გემის მოსამსახურენი—ბერძნები.

გუშინ მთელი დღე წვიმდა. დღეს ერთი გამოიხედა მზემ, და ისევ დაიწყო წვიმა. საღამოს მიუახლოვდით დუნაის შესართავს—რა სამწუხარო სურათია! სულინში დავრჩებით მთელი ღამე და ხვალ აღმა ავყვებით დუნაის.

---

ცისარტყელას დანახვაზე ჯარის-კაცები ამბობდენ: აი ზავის მოციქული! საწყლები: არ არის ტკბილი მუდამ დისციპლინისა, და მოვალეობის ასრულების მაგალითად ყოფნა!

ბრაჰილა, 3 ნოემბერი.

ამ ქალაბან Tigris-ზე კონსტანტინოპოლიდან მოგზაურობა გაგრძელდა არა სამი, არამეო 5 დღე, და ორი ღამის მაგიერ ჩემს შემთხვევით ნაშოვნ კაიუტაში გავატარე ოთხი ღამე.

დილით, 2 ნოემბერს, გადიდარა. შეეედით შესართავში; დაგვეწია და გაგვასწრო... „მინნა ჰორნმა“. აღმა მიეჩოჩიალობთ. მზე აცხუნებს, ადგილები საკმაოთ უდაბურია. ჩვენი მანქანა თვითნებობდა და უეცრათ, დამბლა დაცემულივით, გაჩერდა. შემდეგ დავეწიეთ „M. Horn“-ს, რომელსაც რაღაც მიზეზის გამო ღუზა გადმოეგდო. გვერდი ჩაუარეთ, მაგრამ დაგვაბრუნეს: კაპიტანმა, რომელსაც ვიცნობდი ფოთი—კონსტანცას მოგზაურობის შემდეგ, ხმამზარდით დაიძახა, რომ ჩვენთვის მას აქვს დეპეში. აღმოჩნდა, რომ მოსულა ბრძანება ყველა მგზავრი გადასხდეს „Minna Horn“-ზე და Tigris-ი კი სადღაც დაბრუნდეს. საერთო განცვიფრება, სასწრაფო მომზადება, ბარგის გადატანა..

ქიმით ქიმზე მივადექით ერთმანეთს: Minna Horn-ის ყველა ბანი სავსე იყო ჯარის-კაცებით· ისინი მოჰყავდათ ფოთიდან (სჩანს, მიდიან საქართველოდან!). უეცრათ განკარგულება მოვიდა: ყველა დარჩეს Tigris-ზე, რომელსაც თავის მანქანის მდგომარეობის და ნახშირის უქონლობის გამო არ შეუძლია დაიწყოს ახალი გზა. ბევრი დრო დავკარგეთ. განვაგრძეთ გზა. გათენებისას გავიარეთ საკმაოთ ლამაზი მდებარეობიანი ტულჩა. დღე მშვენიერი დადგა. უცნაური იყო რომ უცქერდით ბესარაბიის ნაპირს და არ ვიცოდით, თუ რა სახელმწიფოა იქ. ჩამოგვიარა გემმა „სხივმა“ უკრაინის ბაირაღით. რენაში ცეცხლით დანგრეული რამდენიმე შენობაა. სადგურზე მრავალი რონოდა სდგს.

გალაცაში მდინარის აუარებელი საომარი ხომალდებია; ბევრია კარუპი ბერძნულის სახელებით ან და ასოებით. იქვეა რაღაც ბორბლებიანი გემები, როგორც სჩანს, სერბიიდან მოყვანილი და ავსტრიელი ახალი მონიტორი. ბრაჰილაში ერთი საათი მოუნდით ნაპირზე მიდგომას; კიდევაც დაღამდა. ნაპირიდან ბრძანება მოვიდა, კერძო მოქალაქენი ჩამოსულიყვნენ გემიდან, დანარჩენები კი იქვე დარჩენილიყვნენ—ხვალ მათ გააგზავნიან ნიკოლაევში. ეს ნიშნავდა, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ბერლინ-ბუდაპესტს შორის მიმოსვლის შეწყვეტას! ჩემი ჩამოსვლის შესახებ ცნობა უკვე გადმოცემული იყო კონსტანტინოპოლიდან, და მე მაშინვე მივიღე Hôtel Français-ის ოთახის ბილეთი.

აქ, სადილზე, რუმინელ ორკესტრის ხმაზე, გავიგე, რომ ბუდაპესტში რევოლიუცია მოხდა, მოკლულია გრაფი ტისსა... აი კიდევ ერთმა მონარქიამ ფეხი წაიკრა, და როგორ!

ბრაჰილა, 4 ნოემბერი.

არაა ცუდი ქალაქი; ბევრია მწვანე; ეტყობა სიმდიდრე, რომელიც მოაქვს დუნაის: „მსხვილი-ბურჟუაზიული“ მდინარეა! ბრაჰილა-ფოთის ამ ზაფხულში ჩვეულებრივი მიმოსვლა შეწყდა. შევხვდი აქ ჩარჩენილ ნაცნობებს—ისინი აპირებენ ოდესსის გზით წავიდენ საქართველოში. ამავე გზით ბრუნდება სამხედრო ტყვეების დიდი გუნდი.

კიდევ ერთი შეხვედრა: „მინნა ჰორნის“ კაპიტანი. მან მითხრა, რომ გენ.კრესსი მცირე ჯარით ჯერ კიდევ თფილისშია. „რამდენი რამ შეიცვალა იმ ჩვენი მოგზაურობის შემდეგ!“—ამბობდა კაპიტანი. მართლაც რომ შეიცვალა!

შეიძლება, მეც ოდესსითა და კიევით მერჩია წასვლა? რაღაც მიზეზის გამო ვირჩიე ბუქარესტში წავსულიყავი, რომ უნგრეთით მიმეღწია ბერლინს.

5 ნოემბერი.

გაჭირვებით გამოვიდე ბრაჰილიდან; პასსაჟირი ბევრია, მაგრამ მატარებლები გერმანიის სამხედრო მმართველობით ჯერ სისწორით დადიან. ღამით ჩავედით ბუქარესტში. სქელ ნისლში ვეძებდი თავშესაფარს, შემოვიარე რაღაც ურმისებური ეტლით ყველა სასტუმრო—ამაოთ. ერთ სასტუმროს შესავალში ვთელიმე დილამდის, შემდეგ გაჭირვებით მეორე სასტუმროში Calea Victoriei-ში ვიშოვე ბუნაგი.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე გერმანიის სამხედრო დაწესებულებებია. მაკენზენის შტაბი ატენეუმ-პალასში. რუმინელებს მხიარული შეხედულება აქვთ. იომეს და ეხლა ყველაფერი მზა-მზარეული ჩაუვარდებათ პირში. მთელი რუმინეთის გაერთიანება—აი რა არის მოსალოდნელი.

მრავალრიცხოვანი ქალაქის „რიგიანი საზოგადოების“ პარიზისებური მოკაზმულობასთან ერთად ტყავის, ნაჭრის ქუდები და სხვა ამ გვარი, არა „ლათინური“, არამედ რუსული (უკრაინული) ნიშნები „მდაბიო ხალხისა“. ამ უკიდურესობათა შუაში—უბრალო რუმინელები, შავი, ულვაშები.

პარიზისა და მოლდავანობის შეერთება სიმბოლიურათ იხატება თუთუნის სახელწოდებაში—débit de tutun.

გაზეთებში ცნობაა უნგრეთის მიერ ომის შეწყვეტისა, და ავსტრო-უნგრეთის მიერ ფლოტის სამხრეთ სლავიანებზე (!) გადაცემის შესახებ და სხვა.

პირდაპირ განსაცვიფრებულია. 30 ნოემბერს ოსმალეთმა ხელი მოაწერა დროებით ზავზე: ბათომი და ბაქო გამარჯვებულ სახელმწიფოთა „განკარგულებაში" გადადის.

მაგრამ როგორ მივაღწიოთ ეხლა ინგლისელებსა და ფრანგებამდე? ბერლინში გასაგზავნ კერძო დეპეშებს არ ღებულობენ, მაკენზენის შტაბის პოლიტიკურ განყოფილებაში თავს იდვეს ჩემი ტელეგრამის გაგზავნა. დამპირდენ აგრეთვე შეეკითხონ, კიდევ გაიგზავნება დანარჩენ ნაწილების საქართველოდან მოსაყვანათ გემი ფოთში თუ არა? ამ გემით წავიდოდი, თუ შეუძლებელია უნგრეთით წასვლა.

„სწორეთ რომ არ მოველოდი აქ, Calea Victoriei-ზე ჩარჩენას".—ვეუბნები მორიგ ოფიცერს, „ჩვენც ხომ ყველა აქ ჩავრჩით!" —მიპასუხებს იგი.

6 ნოემბერი.

წეს-რიგში მომყავს. გერმანიაში შესვლისათვის საჭირო ქაღალდები. ყველა სამხედრო წესებს სისწორით ასრულებენ. Pester Lloyd-ის ერთ-ერთ ნუმერში წავიკითხე ოსმალეთის დროებითი ზავის სრული პირობები. ისინი სასიამოვნოა სომხეთისათვის, მაგრამ საქართველოსთვისაც საკეთილოა. აზერბაიჯანი მოიგონებს ოსმალეთს!

პათეთიური ცნობებია უნგრეთის რევოლიუციაზე. კოშუტის სულია-მაგრამ სადგურების და საპატიმროების დანგრევაც ურევია; ზოგ ადგილს ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოები დაუარსებიათ. ეს კი სხვა ოპერიდანაა.

მთელი სერბია განთავისუფლებულია. გენერალი დ' ესპერე, მგონი, უკვე ბელგრადშია.

7 ნოემბერი.

აქედან თავი უნდა ვიხსნა. დღეს-ხვალ მიმოსვლა შეწყდება—უნგრეთი აღარ უშვებს ქვა-ნახშირს. საღამოს 9 საათზე ორშოვაზე უნგრეთის საზღვრამდე, მიდის მატარებელი. ქალალდები მოწესრიგებული მაქვს. მივდივარ.

.... სადგურზე აუარებელი ხალხია. გერმანიის დარაჯები და რუმინიის პოლიცია ძლივს იცავენ წეს-რიგს. კასასთან, მატარებლის წასვლის სამი საათის წინ, სდგას ხალხი; ამბობენ, ბილეთებიც აღარ დარჩაო. ბარგს არ ღებულობენ შესანახათ—საბარგო ოთახი ავსებულა! რა ვქნა, რა მოვახერხო? ვისიმე დახმარების იმედი ფუჭია!

... ტყუილი ნათქვამია, თითქოს სასწაული არ ხდებოდეს. სასწაული ხდება: ბილეთიც მივიღე და ადგილიც ვიშოვე სავსე კუპეში. რას უნდა მივაწერო? ან განგება და ან წმინდა გიორგი მიწყობს ხელს!

.... რუმინელი საზოგადოება: საპატიო ქალი და ასეთივე ჯენტლმენი ფრანგულათ ლაპარაკობენ, თუ როგორ პირველ შესაძლებლობისთანავე წავლენ პარიზში; რუმინეთში დარჩენა პირდაპირ შეუძლებელია. მომღერალი ქალები ვენიდან, მაგრამ აქაური, ყველას უმასპინძლდებიან ღვინითა და ბუტერბროდებით—ძალიან მოხერხებული საქმეა. ახალგაზრდა გერმანელი ოფიცერი იწყებს ენერგიული დიქტატორული ქცევით, მაგრამ მალე თავაზიანი ხდება. შემდეგ შემოიჭრება რუმინელი ინჟენერი, დათხოვნილი ჯარის კაპიტანი, ,რომელიც ახალ ამბებს გვიამბობს. ამბები პასსაჟირებში გაცხარებულ სჯა-ბაასს იწვევს. მორგილომანის მთავრობა დაეცა; ახალი მთავრობის სათავეში იქნება—გენერალი კოანდა. (მართლა, ომი რუმინულათ არის „разбой!“). ბუკოვინა რუმინელთა ჯარმა დაიჭირა; მალე ტრანსილვანიაც მათ ხელში გადავა. „ბესსარაბიასთან ერთად რუმინიის ეყოლება 18 მილიონი მცხოვრები! ჩვენს ყველაზე უფრო კადნიერ ოცნებასაც კი გადააჭარბა“ და სხვა.

გერმანელთა ოკკუპაცია, რა თქმა უნდა, იწვევს სამდურავს. მაგრამ მათ ბატონობას ეხლა ბოლო მოეღო. ოქროს წყაროა რუმინეთი, და გერმანელები არა ერთხელ მწუხარებით მოიგონებენ მას. „მაგრამ დაუვიწყარი დარჩება მათი უხეშობა—ამბობს ინჟინერი, დარმშტადტის ტეხნიკუმის ყოფილი მსმენელი. მათ აქედან წაიღეს ნედლეულიც და ყველაფერი, რაც გნებავთ; ბევრი ჩარხი და

შამოძრავებელი გადასცეს ბულგარელებს—,,ჩვენს ერთგულ მოკავშირეებს'' ხა, ხა, ხა! რაღა უნდა ვთქვა იმ ოფიცერზე, რომელმაც ჩემს სახლში, ჩემს სურათებს მიაკიდა გასაშრობათ მის მიერ მოკლულ მგლებისა და მელიების ტყავები''... ასეთს მუსაიფში, უძილოთ, მოუსვენრათ გადის ღამე. გავიარეთ პიტეში, კრაჰოვო.

8 ნოემბერი.

გაზეთებიდან ვრცლად ვტყობილობ უნგრეთის რევოლიუციის ამბებს. როგორ მიუღია ბელგრადში გენერალი Franchet d' Esperay-ის კაროლიი! გაწკეპვლა სჯობდა.

.... აი დუნაი, რკინის ჭიშკარი, ადა-კალეს კუნძული—ოსმალეთის ნაკვეთი, ცოცხალი და დასურათებული გახსენება ოტტომანთა სახელოვანი დღეებისა... რუმინეთის საზღვარ (ვერჩიოროვა), შემდეგ კი უნგრეთის საზღვარი, ორშოვოში.

გასინჯეს პასპორტები; უნგარელი ოფიცერი თავაზიანათ ელაპარაკება საქართველოს მკვიდრს, მეკითხება, თუ როგორ ვზივარ.

მივდივართ ახალი რესპუბლიკის ტერრიტორიაზე. ჩემთან კუპეში სხედან—უნგრეთის მოხელეები. მშვენიერ გუნებაზე არიან. ,,მოისპო ომი, ყოველგვარი ომი—ამბობს სასიამოვნო მოხუცი, დუნაის გემთა-სვლის ინსპეკტორი. თავისუფლება ყოველ ერს! მიწაც ყველას! უნგრეთში აწი აღარ იქნება მსხვილი მესაკუთრეობა'' და სხვა.

ვენელი მოწყალების დები (უფრო ,,სწავლა დაუმთავრებელი ფერშალი-ქალები''; ვიღაცა წინადადებას იძლეოდა მათთვის ასე დაერქმიათ)—უნივერსალური ტიპი ქალიშვილებისა, რომელნიც მოეწყვენ ომის ირგვლივ. მათთვის ომი იყო დიდი დაუმთავრებელ გართობა. მათთან იყო ვიღაც სამხედრო მოხელე, რომელმაც რუმინეთის უკანასკნელ სადგურებზე მოასწრო გაეყიდა თავისი მოკაზმულობის საგნები.

შემოდიან სულ სხვა და სხვა პირები. უნგარელი ოფიცერი გუსარის შეხედულებით,—შემდეგ ექიმი გამოდგა.

დაღამდა. ვზივარ და მძინავს ქვასავით—მერხევი, მერყევი, მერწევი ქვასავით.

9 ნოემბერი.

ჯარის დათხოვნა საგრძნობია. ვიგვიანებთ საშინლათ. ყოველ სადგურზე არიან იარაღ-აყრილი, სამშობლოსთვის დაბრუნებული ჯარის-კაცები. წარმომიდგენია, რა არეულებაა იტალიის ყოფილ ფრონტზე, საიდანაც დაიძრა სხვადასხვა მხარისაკენ სხვადასხვა ჯიშის შინ მიმავალი ჯარი.

აქ ქუდზე ყველამ დაიწეპა ნიშნები ეროვნული ფერებით.

.... გვიან საღამოს მივედით ბუდაპესტში. მთელ ქალაქში არ მოიპოვება ერთი ოთახიც—ერთ და იმავე პასუხს გვაძლევენ ოცადგილს. კოკისპირულათ სწვიმს. ვბრუნდები სადგურზე—მეორე სადგურზე. ვტყობილობ, რომ ღამის 12 საათზე გადის მატარებელი ოდერბერგზე. მატარებელი მოაყენეს 3 საათზე. მოვეწყვე მესამე კლასის გაუნათებელ, ფანჯრებ ჩამტვრეულ რონოდაში. თანამგზავრები არიან—მაკედონიიდან მომამავალი გერმანიის სანიტარული რაზმი. ფანჯრებს საბნები ჩამოვაფინეთ, ვცდილობდით დაგვეძინა ძლიერ სიცივეში.

10 ნოემბერი.

მატარებელი გვარიანათ მიჭენობს. მივდივართ მთიან ადგილზე—ტატრისა და ბესკიდის ქედების შუა. საათის ოთხზე მივედით რუტკუში, სადაც თავდება უნგრეთი. სისწორით ვერ შევიტყვე, რა სახელმწიფო იწყებოდა საზღვრის გადაღმა, რადგან სადგურზე გარდა უთვალავი, განთავისუფლებული „ცოცხალი ძალისა", აღმოჩნდა აგრეთვე ბუფეტი, რომლისადმი ვიგრძენი უნებური გატაცება! უკანასკნელი ჩემი სადილის შემდეგ ბუქარესტში, Hôtel du Boulevard-ში, გავიდა სამი დღე და ღამე.

.... მატარებელი მაშინვე იერიშით აიღეს ჯარის-კაცებმა, რომელნიც ბრუნდებოდენ გერმანიაში ან გალიციაში (კრაკოვით). მე მოხერხებულათ დავიჭირე პოზიცია და მოვხვდი გერმანელ ახალგაზრდა ქვეყთებსა და პოლონელი ჯარის-კაცის საზოგადოებაში, რომელიც სასაცილოთ გვიამბობდა, თუ როგორ „დაჭკრეს ფეხი" სერბიიდან.

ღამის სამ საათზე გაგვაღვიძეს—„ოდერბერგი“. მაშ, ბერლინსაც მივაღწევ – გამიელვა თავში.

11 ნოემბერი.

ოდერბერგში სრული წეს-რიგია. ჩამომართვეს წიგნები და ქაღალდები, დამპირდენ, რომ ბერლინში გადმომიგზავნიან. დილის 5 საათზე წავედი ბრესლაუს მატარებლით; ბილეთს ბერლინამდე არ იძლეოდენ—იქ არ უშვებენ, იქ რაღაც საგანგებო ხდებაო!

.... ვზივარ ოფიცრებთან, რომელთაც ეტყობა დაბნევა. „იყო, რა თქმა უნდა,—ამბობენ ისინი,—დისციპლინის გადაჭარბება, მაგრამ საერთოდ ხომ ყველაფერი კარგათ მიდიოდა“. რა ხდება ეხლა-მათ არ იციან. მაგრამ ცხადია, რომ გერმანიაში რევოლიუციაა.

ოპპელნში. გავიგეთ, ვილჰელმის გადადგომა, რესპუბლიკის დაარსება, დროებითი ზავის მიღებული პირობები.

ბრესლაუ. აქაური სადგური სამაგალითოა. ჯერ სწორი რიგიანი მუშაობაა. საუზმეზე—ცოტა ტვინი და ისპანახი და პურის პატარა ნაჭერი—ნიშანი დიდი ერის დისციპლინისა და თავის-შეკავებისა... ბერლინში ეხლა უშვებენ. ვიძენ გაზეთებს და განვაგრძობ გზას. დაგვიანება დავიწყეთ. თანდათან ვერკვევი აქაურ ვითარებაში და აღარ მიკვირს, როცა Alexanderplatz-ის სადგურზე მისვლის დროს, ვილამაც წამოიძახა: გესმით ტყვიისმფრქვეველის სროლა! ტკაცა ტკუცი, მართლაც ისმოდა, მაგრამ თავდაჭერილი.

ჩავედით. სასტუმრო Adlon-ში არ შეიძლება წასვლა. იქეთ,ენ, გზაზე, არ არის კარგათ საქმე. ბარგის გადამზიდველის თანხლებით მივდივარ Continental-ში. წითელ ზორტიანი ჯარის-კაცი მეკითხება პასპორტს: მე რევოლიუციონურ ბერლინში ვარ.

# თავი მეჩვიდმეტე.

## ზერმანიის ოკრიენტაციის დასასრული.

### 46

თითქოს ზრდილობის დასაცავათ ისროდენ ერთი-ორი დღე, და შემდეგ ზოგმა საქმეს მიჰყო ხელი, ზოგმა კი—ლაპარაკს. ბულვარზე ,,ცაცხვების ქვეშ'' აქა—იქ დამტვრეულია ტყვიისმფრქვეველით ფანჯრები; თეთრი წინწკლები ბევრი სახლის ქვებზეა—მაგრამ რევოლიუცია ჯერ-ჯერობით აქ იყო ,,უსისხლო'' ე. ი.... სისხლნაკლებიანი.

მეზღვაურთა გახრწნა, მორალური ქედის მოხრა მთავარი ბანაკისა, რომელმაც წინადადება მისცა მტერს დროებით ზავი დაედვათ („ნერვებმა ვეღარ გაუძღეს"), დასავლეთის დემოკრატიათა ძალდატანებით იმპერატორის ტახტიდან გადადგომა—აი ძარღვი ამ გადატრიალებისა. გერმანიში ეხლა უმრავლესობა იმაზე ჰფიქრობს, თუ როგორ აიცდინონ ბოლშევიკების მიბაძვა.

.... სახის გამომეტყველება რამდენათ უფრო ჩვეულებრივი აქვთ, ვიდრე პეტერბურგში ჰქონდათ 1917 წლის თებერვალში ან ოქტომბერში. მაგრამ რა მისნური შეტრიალება მოხდა ისტორიისა—გერმანელები სტოვებენ რეინის მარცხენა ნაპირს, ფრანგები შედიან ელზასში—უომრათ, გაშლილი დროშებით, მოკავშირეები იპერენ კიოლნს, კობლენცს და მაინცს. დასრულდა ლოჰენცოლლერნების, ავტო-უნგარელი ჰაბსბურგების, გენერალიტეტებისა და კანცლერების ამბავი. მაგრამ რა მოხდება კიდევ?

ბერლინში მე დრო არ მქონდა მეფიქრა შუა ევროპის „სიდიადის" შემდეგ ასე სწრაფათ და ღრმად „დაცემის" შესახებ: უნდა

მემოქმედნა. „მოქმედება“ ეხლა ნიშნავდა ჩემთვის, რაც შეიძლება აწ ბამარჯვებულ სახელმწიფოთა სატახტო ქალაქების საჩქაროთ მიახლოვებას. მიზანი კი მოგზაურობისა, აშკარაა, იყო „კონტაქტის გარიგება“ ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებთან, რომელნიც დღეიდან ხდებოდენ ევროპის მთავარ გამკარგულებლებათ.

გზის ის ნაწილი, რომელიც 1918 წლის ნოებრის პირობებში მოითხოვდა განსაკუთრებულ სამუშაითო (სასპორტო) ძალას, სახელ-დობრ, კონსტანტინოპოლ-ბერლინი, მე ასე ვთქვათ „გადავლახე“. ეხლა საჭირო იყო გამემეორებია ჩემი ქრისტიანიაში მოგზაურობა და მომემკო მაშინდელი ნათესის ნაყოფი ე. ი. მიმეღო ვიზა როგორც საქართველოს ემისსარს ლონდონში ჩასასვლელად.

რაც შეეხება ჩხენკელს იგი ეხლა—მხოლოდ ეხლა!—დარწ-მუნდა, რომ მისი ბერლინში დარჩენა... ცოტა არ იყოს გაჭიანურ-და. საჭირო შეიქმნა გერმანიის სრული დამარცხება და რევოლიუ-ცია, რომ იგი დარწმუნებულიყო; საჭირო შეიქნა რევოლიუციის უცაბედი ტყვია, რომელმაც მისი ბინის ფანჯარა ჩაამტვრია, რომ მას იგი ბინა დაეცალა. მაგრამ შორს არ წასულა: ჩ. გადავიდა იმა-ვე სასტუმრო ადლონის მეორე ოთახში, რომლის ფანჯრები ეზოში გადიოდა.

გადაწყდა, მოწინავეთ მე წავსულიყავ ლონდონსა და პარიზ-ში, ამავე დროს „ფრთებზე“ სამოქმედოთ გაგზავნილ იქნენ მიხ. წერეთელი—სკანდინავიის სატახტო ქალაქებში, და მ. ა. სუმბათა-შვილი—შვეიცარიაში: ისინი მეთოდიურათ უშენდენ თავის პროპა-განდას „შეთანხმების“ დიპლომატებს ნეიტრალურ ქვეყნებში*) ე. ი. განაგრძობდენ ქრისტიანიაში დაწყებულ მუშაობას.

რაც შეეხება ჩვენს გერმანიასთან შეთანხმებებს—პოლიტიკურ-სა და ეკონომიურს, რომლის შესახებ ზევით იყო ნათქვამი (მუხლ-ები 35 და 41) ისინი პროექტათვე დარჩენ. პოლიტიკური შეთანხმე-ბა, რომელიც მზათ იყო 1918 წლის ოქტომბრის დამდეგს არც კი ყოფილა ოდესმე ხელმოწერილი; ამიტომ არასდროს ძალაში არ შესულან ჩვენ მიერ 12 ივლისს 1918 წელს ხელმოწერილი განსაკუთრებული ეკონომიური შეთანხმებანი; თვით ფორმალუ-

---

*) რამდენიმე ხნის შემდეგ შვეიცარიაში გადვიდა ა. ჩხენკელიც; ნოემბ-რის დასაწყისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრათ დანიშნულ იქმნა ე. გეგეჭკორი. სხვა რაიმე ცვლილება საქართველოს მთავრობის პირად შემადგენ-ლობაში „გერმანიის ორიენტაციის“ დასასრულის გამო არ მომხდარა.

რი ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა გერმანიის მთავრობის მიერ პოლიტიკური ვითარების ძირითად შეცვლის გამო შეუძლებელი გახდა (რუსეთმა წინდაწინვე განაცხადა, რომ იგი ამ ცნობის შესახებ პროტესტს არ განაცხადებს—მუხ. 13 ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულებისა).

11 ნოემბერს 1918 წლის დროებითი ზავის პირობების მიღებისა და რევოლიუციის შემდეგ, გერმანიის პოლიტიკური დამცირება თუმცა მეტათ დიდი იყო, მაგრამ თვით საქმეში ღრმად ჩახედულ პირებსაც არ ჰქონდათ სავსებით და ნათლად შეგნებული ამ დამცირების ნამდვილი მოცულობა. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროში სწამდათ (ან გვაჩვენებდენ, რომ სწამთ!), რომ შესაძლებელია საქართველო-გერმანიის პროექტების განხორციელება! „მხოლოდ ეცადეთ დაიყოლიოთ შეთანხმების სახელმწიფოები. თქვენთვის ეს საძნელო იქნება, რადგან ეს სახელმწიფოები ცდილობენ საჩქაროდ აღადგინონ მთლიანი რუსეთი და ამიტომ წინააღმდეგობას გაუწევენ ყოფილ განაპირა ადგილებს. გარდა ამისა ესლა სომხები ბუნებრივათ შეიქნებიან „ანტანტის“ საყვარელ ხალხათ. ეცდებიან მათ შეუშრონ ცრემლი, და მათი პრეტენზიები ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებზე თქვენთვის წარმოადგენს საშიშროებას“—ასეთი იყო დ-რ გეპპერტის მოსაზრებანი ჩემი მასთან უკანასკნელი ბაასის დროს, 14 ნოემბერს 1919 წელს.

როგორც გ. სთქვა, გერმანიის ამ გაჭირვების დროს, საქართველოს მთავრობა მოექცა გენერალ კრესს თფილისში დიდის თავაზიანობით და ყურადღებით.*).

„ჩვენშიაც აღრევის დრო დადგა“—შენიშნა გ—მა. „დიახ, ვამშვიდებდი მე, ეხლა თქვენ იმავ ამოცანას მოჰკიდებთ ხელს, რომლის მცირე მასშტაბით გადაჭრას ცდილობდა საქართველოს მთავრობა: დემოკრატია და სოციალიზმი „უბოლშევიზმოთ“. დაგვიანებულათ, მაგრამ შეიძლება მაინც მიუზღოთ საქართველოს დამსხურებისამებრ“**).

---

*) თფილისში გერმანიის მისიასთან კიდევ დარჩა 500 გერმანელი ჯარისკაცი; ცოტა ხნის შემდეგ ისინიც გადაგზავნილ იქმნენ. გერმანელები დარჩენ საქართველოში სულ ხუთ თვემდე (1918 წ. ივნისი-ნოემბერი).

**) 1918 წლის საქართველოს შესახებ ოფიციალურ გერმანულ მსჯელობაში უეჭვო სიმპატიას თან ერევა სამაგალითო მოხელეთა შიში, როცა უკანასკნელნი ამჩნევენ სხვადასხვა გვარ რევოლიუციონურ უწესობასა და საქართველოს მმართველთა ნაკლებ საქმიანობას. მაგრამ საიდან უნდა მოეპოვათ ეს საქმიანობა!

თავის მხრით. საქართველომ უკვე მიუზღო გერმანიას დამსახურებისამებრ: გერმანიის დახმარებამ, უეჭველია, შეუმსუბუქა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი თვეები, მაგრამ მას, რასაც „გერმანიის ორიენტაცია“ ეწოდებოდა, ევროპის პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო, ეხლა უკვე დაეკარგა ნიადაგი.

## 47

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ყველა მისი დამატებითი შეთანხმებით გაუქმებულათ იქმნა გამოცხადებული (11 ნოემბერს 1918 წელს ხელმოწერილი გერმანიასთან დროებითი ზავის პირობების მე-15 მუხლი), როგორც მოკავშირეთა შეხედულებით, ისე გერმანია-რუსეთის ურთიერთობაში (მოსკოვის მთავრობამ აცნობა გერმანიის მთავრობას იმავე ნოემბერში, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას იგი სავალდებულოთ აღარ სთვლის). თუმცა ამით საქართველოსა და სომხეთის საკეთილდღეოთ ზიანი ადგებოდა ოსმალეთის მიერ ახლად მოპოებულ უფლებებს სამს სანჯაყზე (ბათომი, ყარსი, არტაანი), მაგრამ მეორეს მხრით ამითვე ბათილდებოდა რუსეთ-გერმანიის 27 აგვისტოს „დამატებითი“ ხელშეკრულების მე-13 მუხლი, რომელშიაც არის ნიღაბ ჩამოფარებული ცნობა საქართველოს დამოუკიდებელობისა საბჭოთა მთავრობის მიერ (იხ. ზევით § 36). და, უეჭველია, ეს იყო საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების რაოდენადმდე შესუსტება.

ყველა ცნობის, გადაწყვეტილების, დახმარების და წაქეზების ცენტრი გადატანილი შეიქნა დასავლეთში, პარიზში, სადაც უნდა შეკრებილიყო გამარჯვებულთა კონგრესსი ან კონფერენცია. გზა პარიზისაკენ კი გადადიოდა ლონდონზე, არა მარტო მაშინდელი მიმოსვლის გეოგრაფიული პირობებით, არამედ პოლიტიკურადაც; ოსმალეთთან, აღმოსავლეთ აზიის ამ უმთავრეს მტერთან დროებითი ზავი დიდი ბრიტანეთის მიერ იყო მოგვარებული, და ამიერ-კავკასიის ქვეყნები მხედველობაში იყო მიღებული, როგორც ერთ-ერთი ასპარეზი ომისა 30 ოქტომბერს 1918 წელს*) ბრიტანეთის ადმი-

*) ეს კონვენცია ხელმოწერილია კუნძულ ლემნოსზე, მუდროსის ნავთსადგურში, „აგამემნონის“ კიმზე; შედგენილია ინგლისურათ, და ხელს აწერენ ოსმალეთის მხრით რაუფ-ბეი (ეხლა 1923 წ. ანგორის მთავრობის მეთაური) და

რალის არტურ კოლსორპის მიერ (Calthorpe) ოსმალეთთან ხელმოწერილ დროებითი ზავის კონვენციაში. გარდა ამისა, მოკავშირეთა ჯარების აღმოსავლეთში დალაგების (დისლოკაცის) პირობებიც, და ინგლისის მისწრაფებაც განსაკუთრებული ადგილი დაეკირა იქ, გეაფიქრებინებდენ, რომ ამიერ-კავკასიაში სტუმრათ მობრძანდებიან სწორეთ ინგლისელები და -არა სხვა ვინმე. ამიტომ აუცილებელი იყო, რაც კი შეიძლება სასწრაფოთ დაგვემყარებია უშვალო ურთიერთობა ბრიტანეთის მთავრობასთან ლონდონში, მოგვემზადებია ამ მხრით „შეგუება“ დამოუკიდებელ საქართველოისა ახალი საერთაშორისო ვითარებასთან, მით უმეტეს, როცა ეს „ვითარება“ ინგლისის ჯარების სახით ემზადებოდა შემოსულიყო ჩვენს საზღვრებში.

ისინი, რა თქმა უნდა, შემოდიოდენ როგორც „მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარები“ კავკასიიდან მიმავალ გერმანელებისა და ოსმალოების მაგიერ. მაგრამ არავითარი გარკვეული პოლიტიკა მოკავშირეებისა კავკასიის საქმეებში, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ჯერ შემუშავებული ყოფილიყო: ინგლისელებს კი შესაძლებელია ასეთი პოლიტიკა ჰქონოდათ, და ამ პოლიტიკის გამორკვევა, მასთან შეთანხმება, ან და უბრალოთ რომ ვთქვათ, ამ პოლიტიკის გამოყენება საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავათ და განსამტკიცებლათ—აი ეს იყო ძირითადი მორიგი კითხვა: მით უმეტეს რომ, თვით ტექსტი მუდროსის კონვენციისა კრინტსაც არ ძრავდა ამიერ-კავკასიის ახალ სახელმწიფოებრივ სხეულებზე.

ეს არ ნიშნავს, რომ იგი კონვენცია უყურადღებოთ სტოვებდა ამიერ-კავკასიას. პირიქით, იგი სთვლის ამიერ-კავკასიას დოვლათათ, რომელიც მოკავშირეთა ზედამხედველობაში გადავიდა. მე-11 მუხლი ეხება ამიერ-კავკასიის პროვინციებიდან (ისე როგორც ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთიდან) ოსმალეთის ჯარების გაყვანას. მე-15 მუხლი ლაპარაკობს, ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ოსმალეთის მაგიერ მოკავშირეთა კონტროლის დაარსებაზე. გზები გადადიან მოკავშირეთა „თავისუფალ და სრულ“ განკარგულებაში (მოსახლეობის საჭიროება მხედველობაში იქნება მიღებული). ბათომს დაიჭე-

---

რეშად-ხიკმეტი, რომელიც წინათ მყავდა დასახელებული. ტექსტი იხ. მაგ., I-ლ ტომში: A History of the Peace Conference of Paris ed. by H. W. V. Temperley L. 1920 P· 495-7.

რენ მოკავშირენი. ოსმალეთი თანხმდება ბაქოს*) დაკავებაზედაც.

არც აზერბაიჯანი და არც საქართველო არ არის აქ მოხსენებული: ამ დროს მოკავშირეებისთვის ისინი ოფიციალურათ არ არსებობენ. კაეკასიის სომხეთი აგრეთვე არ არის მოხსენებული. სამაგიეროთ მე-24 მუხლში მრავალ-მნიშვნელოვანი გადაკვრით არის ნათქვამი, რომ მოკავშირეებს უფლება ეძლევათ დაიკავონ სომხეთის ექვსი ვალაიეტის ნაწილები, თუ იქ რაიმე არეულობა მოხდა.

როცა ოსმალეთი დაჩოქებულია, და ყოვლის შემძლე გამარჯვებული მტერი ასეთის გადაკვრით ლაპარაკობს, უმრავლესობისათვის უეჭველი ხდება, რომ სომხებს დაპირებული აქვთ ექვსი ვალაიეტი. „განმარტების“ მცირე ძალდატანება, და დასკვნა აშკარაა: „მოკავშირეებს გადაწყვეტილი აქვთ შექმნან დამოუკიდებელი სომხეთი, და მას მიაკუთვნონ ოსმალეთის ექვსი ვალაიეტი“. *) აღტაცებაში როგორ არ მოსულიყვნენ ერევნის სომხები, რომელნიც 1918 წლის ოსმალოების შემოტევამ მეტად შებოჭა? დასრულდა ოსმალეთის ოკუპაცია: მის მაგიერ ბრიტანეთის ოკუპაცია და „ექვსი ვილაიეტი“. ჩვენებმა გაიმარჯვეს და გაფართოებაც შეიძლება: საქართველომ თავის თავზე იგრძნო ამ სულიერი განწყობილების ძალა, როცა 1918 წლის დეკემბერში ერევნის მთავრობამ ბრძანება მისცა თავის ჯარებს, დაეკავებიათ ყოფილი ტფილისის გუბერნიის—ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები. მაგრამ ეს შედარებით მცირე მნიშვნელობის ეპიზოდია.

ბევრათ უარესი იყო, რომ წმინდა სამხედრო საბუთის ტექსტში მეტად გაუფრთხილებლად ჩაქსოვილმა „ექვსი ვალაიეტის“ თეორიამ ოსმალთა შორისაც შექმნა „სულიერი განწყობილება“: არა ერთსა და ორს დანას ჩაეჭიდა ძარღვებიანი ხელი.

---

*) ეს „თანხმობა“ ოსმალეთისა, მოკავშირეების მიერ ბაქოს დაკავების შესახებ, რომელიც სრულიად არ ეკუთვნოდა ოსმალეთს, უსათუოდ, წინათ განუზრახველათ, შემთხვევით იყო ნათქვამი. შემდეგში, ამ სიტყვაში პოულობდენ რუსეთის საწინააღმდეგოთ მიმართულ ინგლისის ინტრიგებს. იხ. მაგ., საქმის კარგათ მცოდნე ავტორის, **V.** M. წერილი Times-ში 10 აპრილი 1920 წელი (The Future of Baky. Turkey and Azerbayan).

*) ეს შეეფერებოდა არა მარტო სომხეთის პოლიტიკურ მოღვაწეების ტრადიციებს, არამედ სომხების მომხრე ევროპისა და ამერიკის მრავალ პირების წმინდა კაბინეტურ შეხედულებასაც.

შესაფერათ დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო საზიზღარი გამოფენა ახალი დროის პოლიტიკური დილლენტატიზმისა: სომხეთის კითხვის გადაწყვეტა დასავლეთის დიდი დემოკრატიების მიერ. *).

---

*) ცოტით თუ ბევრათ ოფიციალურ, ყოველ შემთხვევაში მეტად საპასუხისმგებლო განცხადებების კრებული მოიპოვება სომხების ორგანიზაციების გამოცემებში, მაგ., ბროშიურაში The Case of Armenia, რომელიც დაბეჭდილია 1919 წელს სომხეთის ეროვნულ კავშირის მიერ ამერიკაში (The Armenian National Union of Amerika). ეს განცხადებები ეკუთვნიან უმთავრესად 1918 წლის სახელმწიფო საქმეთა ხელმძღვანელებს, როგორიცაა პრეზიდენტი ვილსონი, ლლოიდ-ჯორჯი, კლემანსო, ბალფური და სხვა; ამ განცხადებებიდან გამოდის, რომ სომხეთის განთავისუფლება ომის ერთ-ერთ მიზანს შეადგენს. განსაკუთრებით აღვნიშნავ რეზოლიუციას, რომელიც შეტანილი იყო 10 დეკემბერს 1918 წელს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების სენატში ცნობილ სენატორის ლაჯის (Lodge) მიერ; ამ რეზოლიუციის თანახმად მომავალ დამოუკიდებელ სომხეთში უნდა შესულიყო ოსმალეთის სომხეთი (ექვსი ვილაიეტი და კილიკია), რუსეთის სომხეთი და სპარსეთის აზერბაიჯანის ჩრდილო ნაწილი (სპარსეთის სომხეთი). მომავალი სომხეთის რუქას, რომელიც თან ახლავს აღნიშნულ გამოცემას, ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი გაპყავს მდინარე მტკვარის ნაპირებით (დაახლოვებით ელისავეტპოლიდან კასპიის ზღვაში შერთვამდე). ამ რუქაზე სომხეთს ხაზღვრავს სამი ზღვა: შავი ზღვა, ხმელთა-შუა ზღვა და კასპიის ზღვა.

# თავი მეთვრამეტე

## ბ ე ზ ი  დ ა ს ა ვ ლ ე თ ზ ე.

### 48

19 ნოემბერს 1918 წელს, ე. ი. გერმანიის კაპიტულიაციის დაახლოვებით ერთი კვირის შემდეგ, მე ბერლინიდან გავემგზავრე ქრისტიანიაში, სადაც ჩავედი 21 ნოემბერს. ინგლისის ელჩი ქრისტიანიაში არ იმყოფებოდა, და ჩემი თხოვნა ლონდონში ჩასვლის ნებართვის მოცემის შესახებ გადაგზავნა საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა ოვეიმ, რომელთანაც, როგორც საფრანგეთის ელჩთან ბ-ნ ედმონდ ბაპსთან, მე განვაგრძობდი ზაფხულში დაწყებულ ბაასს კავკასიის თემებზე. ბ. ოვეიმ მაცნობა, სხვათა შორის, რომ სექტემბრის ჩემი სერ მენსფილტ ფინდლეისთან ნალაპარაკევის მოხსენების საპასუხოთ, ლონდონიდან ბრიტანეთის ადგილობრივ მისიას დაავალეს, შემკითხებოდენ მრავალ საკითხის შესახებ, რომელნიც შეეხებოდენ ამიერ-კავკასიისა და ჩრდილო-კავკასიის ფაქტიურ მდგომარეობას. ეს ცნობები მაშინ შეუძლებელი იყო მიეღოთ ჩემგან, ჩემი ბერლინში დაბრუნების გამო, ეხლა კი შეეცადე საჩქაროდ დამეკმაყოფილებია ლონდონის სამინისტროს ცნობის-მოყვარეობა.

ჩემი თხოვნა, ნება მოეცათ ჩემთვის ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ თ ა ვ რ ო ბ ი ს დ ა ვ ა ლ ე ბ ი თ ჩავსულიყავი ლონდონში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საქმეების გამო, აშკარაა, არ იყო სრულიად ჩვეულებრივი შუამდგომლობა. ამ შუამდგომლობას, ჩემის თხოვნით, ინგლისის მთავრობის წინაშე, მხარი დაუჭირა ბერ-

გენიდან ბ. ოლივერ უორდროპმა. *) ლონდონში კი ამ ნებართვის დაჩქარებისათვის უნდა ეზრუნა დ. ღამბაშიძეს, რომელსაც ჰქონდა საგარეო საქმეთა სამინისტროში ცოტა რამ კავშირი. პირველსაც და მეორესაც მე მივმართე ნორვეგიაში ჩასვლისთანავე. დეკემბრის პირველსავე რიცხვებში ნებართვა მოვიდა, და .,თანახმად მათი უდიდებულესობის საგარეო საქმეთა მთავარი მდივნის ინსტრუქციებისა—მაშინ ასეთი პირი იყო ბალ-ფური—დიპლომატიურმა ვიზამ" შეამკო ჩემი პასპორტი; ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს შუაევროპის ,,ცეცხლისა და თუჯის მილებში" ხუთი თვის სიარულის შემდეგ პირველი ნაბიჯის შედგმა ი მ ბანაკში. ,,ნაბიჯს ვდგამდი" მე, და ამას ხელი არ შეუშალა ისეთმა წამწყმედმა მოქმედებამ, როგორიც იყო ჩემი ბერლინში ყოფნა. ერთად ერთი განმარტება, რომელიც თან სდევდა ჩემს ლონდონში შესვლას, იყო ის, რომ „მიცემა შელავათიანი ვიზისა, სრულიად არ ნიშნავს საქართველოს მთავრობის ცნობას". ამის ეჭვი არავის ჰქონებია: მე ხომ სწორედ იმ მიზნით მივდიოდი ლონდონში, რომ ,,მომემზადებია ნიადაგი" ასეთის ცნობისათვის.

ნორვეგიასა და ინგლისს შორის ზღვით მიმოსვლა იმყოფებოდა სამხედრო უწყების უსასტიკეს კონტროლის ქვეშ. 7 დეკემბერს ბერგენში ჩასვლისთანავე ავიღე ბილეთი გემზე, რომელიც მიდიოდა

---

*) ჯონ ოლივერ უორდროპმა, (ეხლა სერი ჯ. ო. უ.) დიდი ბრიტანეთის საკონსულო სამსახურისა და ინგლისის უნივერსიტეტის კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ისე როგორც მისმა დამ, მისს მარჯორი უორდროპმა (გარდაიცვალა 1909 წ.) დიდი შრომა და დრო შესწირეს საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას. მის ამ დარგის შრომებიდან აქ აღვნიშნავ მხოლოდ რუსთველის შესანიშნავ პოემის—,,ვეფხის ტყაოსნის"--ინგლისური პროზით თარგმნის ბრწყინვალეთ დაწერილს წინასიტყვაობას (The Man in the Panther's Skin. A. Romantic epic by Shot'ha Rust'haveli. A close rendering from the Georgian attempted by Marjory Scott Wardrop. London 1912. გამოცემა აზიის სამეფო საზოგადოებისა). თარგმანი ეკუთვნის მის დას. მეორე მისი შრომა არის—საკუთარი თარგმანი ვისრამიანისა; ესაა ძველი ქართული ვერსია სპარსეთის გამუსლიმანების წინა დროის ლიტერატურული მეტათ ყურადსაღები ძეგლისა, რომელიც არ შენახულა პეხლევურ დედანში, მაგრამ რომელმაც მოაღწია სპარსულ (ლექსათ) და ქართულ (პროზაული) რედაქციით. (Visramiani. The story of the loves of Vis and Ramin. A romance of ancient Persia. Translated from the georgian version by Oliver Wardrop· L. 1914.

ინგლისში 9-ს. იმავე 7 დეკემბერს მე მოვახერხე მენახა და პირველად გამეცნო ოლივერ უორდროპი, ბრიტანეთის გენერალური კონსული ბერგენში, ეს იყო მისი ბერგენში ყოფნის უკანასკნელი დღე: ეხლა იგი ოჯახით ბრუნდებოდა ინგლისში.

რაღაც განგებისაგან იყო მონიჭებული, რომ საქართველოს „ემისარი" ბრიტანეთის საზღვრების სწორედ გადასავალზე შეხვდა საქართველოს ძველს, ნაცადს მეგობარს და მიიღო მისგან დახმარება. ო. უორდროპი, უეჭველია, მეტათ შეწუხებული იყო 1918 წლის საქართველოსა და გერმანიის დაახლოვებით; მაგრამ ღრმა სიყვარული საქართველოსადმი ყველაფერზე ძლიერათ მოქმედებდა მის გულში. ჩვენ შეგვეძლო იმედი დაგვემყარებია, რომ ის ლონდონში დახმარებას გაგვიწევს.

... ბერგენს ლამაზი მდებარეობა აქვს კლდეების ძირში, ფიორდთან. განზეელთა სტილის ,,გერმანელების ნავთსადგური'' მეტათ თავისებურია. ყველაფერშია საგრძნობი ზღვის მარილიანი სუნი, უფრო სისწორით—ოკეანესი, რომლის მეორე მხარეზე ამერიკაა;—დოვლათი, საქმიანი გამბედაობა, ჯერ შეურყეველი სიმარტივე ცხოვრების წეს-რიგისა და მთელი ცხოვრების ადვილათ მიმოხილვა—აი უპირატესობანი, რომელნიც თან ახლავთ კულტურულ პატარა ერებსა და ასეთსავე ქალაქებს!

9 დეკემბერს, ბნელ ღამეში, შევცურეთ ზღვაში, რომელიც წინაზე ასე საშინელი იყო წყალქვეშა ნავების მეოხებით, და რომელიც ეხლაც სავსეა ნაღმებით.

დილით ადრე, როცა ჯერ კიდევ ყველას ეძინა, სრულ სიმშვიდის დროს, უეცრად მოისმა მოკლე, მოწყვეტილი ტკაცანი და ხრიალი: რაღაც მოხვდა გემს, თუ გემი რაღაცას დაეჯახა. მოძრაობა ერთბაშად შენელდა. პირველი აზრი იყო—ნაღმი! ,,ნაღმი, ნაღმი''—ყვიროდენ დერეფანში. საერთო სასოწარკვეთილება. დარბოდენ. ისმოდა გოდება ყოველ კუთხეში. „აშკარაა, ვიხჩვებით". ირტყამდენ მაშველ სარტყლებს.

გემი ისე გადაიზნიქა, რომ ფეხზე გაჩერება ძნელი შეიქნა. „ზევით, ზევით ადით ყველა!"—გასცა ბრძანება ვილამაც. ერთის სიტყვით, განვიცადეთ ყველაფერი, რაც უნდა განიცადოს ადამიანმა, როცა ნაღმი მოხვდება გემს. მაგრამ ეს არ იყო ნაღმი: ჩვენ დავეჯახეთ წვეტიან ბრაგას, რომელიც არ იყო რუქაზე აღნიშნული და დავედევით მას. გვიბრძანეს ნავებზე გადავმსხდარიყავით და, გადმოგვსხეს კოპერვიკში.

მეორე დილას გამოვედით გაშლილ ზღვაში და თავიდანვე მოვხვდით ქარიშხალში—ჩრდილოეთის ზღვა განთქმულია ზამთრის ქარებით. გემის ირგვლივ უზარმაზარი, შავი ტალღები თეთრის ფაფარითა და ძირით ირეოდენ. მუდამ გვაქანებდა საშინლათ. ლოგინზე რომ ვიწევით, ფეხებს ხან ზევიდან ქვევით უყურებდით, ხან ქვევიდან ზევით. და როცა ქანაობა იწყებოდა გვერდებიდან, მეორე პარალელურათ მდებარე ლოგინი ხან ზევით იყო, და ხან ქვევით.

ბოლოს, საღამოს 12 დეკემბერს, შევედით არხში და ავედით ზევით ნიუკესტლისკენ (ქართულათ—ახალციხე); ქარხნები ერთიმეორეს შეუწყვეტლივ მიჰყვება, საკვამლე მილები, ნავის ასაშენებელი ადგილები—აი ქვა-ნახშირის, რკინის და საქმიანობის სამეფო, ერთ-ერთი მაცოცხლებელი წერტილი ამ საკვირველი კუნძულისა, რომელსაც იცავს მცურავი ბატარეები და სიმაგრეები! 13 დეკემბერს დილით ნაპირზე გადმოვედით. ერთმა მოხელემ, რომელიც ჩემს ვიზას სინჯავდა, შენიშნა: „საქართველო, ეს, მგონი, რუმინეთთან ახლოს უნდა იყოს“-ო.

მივდივართ მწვანე ინგლისის მიწა-წყალზე; ყველგან გვხვდებიან მეომრები გამარჯვებულის მხიარული, ცოცხალი სახეებით; მივაღწიეთ სადგურ კინგსკროსს.

ჩემთვის ძნელი არ იყო ხალხში მეცნო დ. ღამბაშიძე, *) რომელმაც იცოდა, რომ მე ჩამოვიდოდი. იწყებოდა „საქართველოს საქმეებისათვის სიარულის“ ლონდონის თავი.

## 49

მე არ ვაპირებ დაწვრილებით მოვყვე, თუ რა მოლაპარაკება და მუსაიფი სწარმოებდა ლონდონში საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

შედარებით ბერლინთან მთავარი განსხვავება პოლიტიკური მდგომარეობისა იმაში იყო, რომ, როგორც ევროპის უმთავრეს სა-

*) ძმა უკვე მოხსენებულ დ-რ ვ. ღამბაშიძისა, დავით ღამბაშიძე, რომელიც წინათ იყო რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო პალატის მდივნათ ლონდონში. მან ბევრი რამ გააკეთა ინგლისის მთავრობისა და სავაჭრო წრეებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის იდეის გასავრცელებლად. იხ. იმის შესახებ საყურადღებო გვერდი Lieut.-col. Repington The first World War 1914—1918 Vol II p. 182.

ხელმწიფოებისთვის, ისე ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, უდიდესს მნიშვნელობას ღებულობდა რუსეთის სახელმწიფოებრივი წეს-რიგის აღდგენა. (საბჭოთა რეჟიმს, რომელიც უკვე ერთ წელზე მეტი არსებობდა, ბევრი უყურებდა, როგორც ანომალიას, რომელიც მოლოდინის წინააღმდეგ ძლიერ გაგრძელდა). ეს იყო დრო კოლჩაკის დიქტატურისა ციმბირში, სამხრეთში მოხალისეთა ძალების ორგანიზაციისა, დრო რუსეთის დიპლომატიის ყოფილი გავლენიანი წარმომადგენლების გაძლიერებული მუშაობისა ევროპის უმთავრეს ცენტრებში შეიარაღებული ჩარევის გამოსაწვევათ ან და ფულითა და იარაღით დასმარების მისაღებათ იმ გენერლებისა და ორგანიზაციებისათვის, რომელნიც სხვადასხვა კუთხიდან ემზადებოდენ რუსეთის გადასარჩენად.

ეს მიმართულება რომ სრულის უარისყოფით ხვდებოდა *) ყოფილ რუსეთის განაპირა ადგილების დამოუკიდებლობის იდეას, რომ ასეთი უარისყოფით შეხედულებას უნერგავდენ დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობებს—გუშინდელ მოკავშირეებს—რუსეთის მოღვაწეები, რომ ახლად წარმოშობილი რესპუბლიკები განიცდიდენ ყოველგვარ, სისტემატიურ შევიწროებასა, დაცინვასა და სარკაზმს—ეს ყველასათვის ცნობილია. ასეთი ატმოსფერა, რა თქმა უნდა, აბრკოლებდა მუშაობას საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის კითხვაშიაც.

მიუხედავათ ამისა, ეს მუშაობა მაინც არ იყო ისეთი უიმედო, როგორც ზოგიერთს წარმოედგინა. ძალიან მალე გამოირკვა,—და ჩვენ ვიყავით არა უკანასკნელი, რომელთაც ეს აღმოაჩინეს,—რომ ორივე ტენდენციის შეთანხმება შესაძლებელია, რომ დიდ ბრიტანეთს, კერძოთ, მშვენივრათ შეუძლია, თუ კი სურს, ხელი შეუწყოს რუსების მისწრაფებას რუსეთის აღსადგენად და იმავე დროს შესაფერის ყურადღებით მოექცეს ახლად წარმოშობილ რესპუბლიკებს. მე მართალი ვიქნები მგონი, თუ ვიტყვი, რომ ინგლისის პოლიტიკაში ამ დროს უპირატესობა ეძლეოდა რუსეთის აღდგენის მისწრაფებას; მაგრამ იქ არსებობდა აგრეთვე ნიადაგი ახალი რესპუბლიკებისადმი სიმპატიისათვისაც, როგორც პრინციპიალური მოსაზრებით (ლიბერალების, შრომის ჯგუფის და სხვათა რწმენა,

*) ამაში ვხედავ საბჭოთა საწინააღმდეგო რუსული პოლიტიკის ერთ-ერთ უღრმესსა და საბედისწერო გაუგებრობას.

თვითგამორკვევის უფლებისა, დემოკრატიული საფუძვლებისა და სხვა) ისე, რამდენადმდე სპეციალური ინტერესებითაც. ბალტიის რესპუბლიკებისთვის მნიშვნელობას ღებულობდა დიდი სახელმწიფოების საზღვაო ინტერესების კითხვა ბალტიის ზღვაში; საქართველოს შეეძლო გამოეჩხრიკა ძველი, ნაწილობრივ მივიწყებული წიაღი ყოფილი, ეგრედ წოდებული, ბიკონსფილდის იდეებისა, რუსეთისათვის წინა აზიაში შესვლის საზღვრების დადების საჭიროების შესახებ და სხვა.

ერთის სიტყვით, პოლიტიკის მთავარ მიმართულებასთან ერთად—მთლიანი რუსეთის აღდგენის მომხრე პოლიტიკასთან ერთად, —არსებობდენ მიზნები და ინტერესები, თუმცა მცირე ხარისხოვანი, მაგრამ საკმაოთ გამორკვეულნი, რომ გამომდგარიყვნენ განაპირა სახელმწიფოების დამოუკიდებლობის დაცვის საფუძვლათ.

ამ გაორების გადასალახავად ცდა მდგომარეობდა ფედერაციის განყენებულ იდეაში, ე. ი. რუსეთის მთლიანობის აღდგენა ყოფილი იმპერიის განცალკევებულ ნაწილების ფედერატიული გზით შეერთებით. ეს იდეა, შოაგონებისა და გადაკვრით ლაპარაკის სახით, თავიდანვე ასრულებდა ერთგვარ როლს განაპირა ქვეყნების დელეგატებისა და ინგლისის განწყობილებაში (უფრო გვიან ამ იდეის შეთვისება დაიწყო რუსეთის ზოგიერთმა წრემაც, ცდილობდენ კი იგი უვნებელი გაეხადათ); ინგლისის მთელი პოლიტიკა მაინც გამსჭვალული იყო მთელი 1919 წლის განმავლობაში იმ გაორებით, რომლის შესახებაც ზევით იყო ნათქვამი.

მაგრამ, ამ დროს „მთლიანი რუსეთი“ მხოლოდ გეგმა იყო, დამოუკიდებელი საქართველო კი—მას რომ დაუბრუნდეთ—წარმოადგენდა სინამდვილეს, ფაქტს, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაეწიათ... თუნდაც ბათომსა და ბაქოს შუა სარკინისგზო მიმოსვლის დასამყარებლად (მუდროსის დროებითი ზავის ძალით). ყველაფერი ეს ანიჭებდა კითხვას გარკვეულ, სასიცოცხლო მნიშვნელობას, და ჩვენ საშვალება გვეძლეოდა განგვეცადა იგი ყოველ მხრივ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად. თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენ ვლაპარაკობდით აზერბაიჯანის მაგიერათაც, რომელსაც ჯერ არ ჰყავდა ლონდონში თავისი წარმომადგენელი, და ჩვენი ბაასის თემები, ხშირად გადალახავდა ამიერკავკასიის საზღვრებს.

ამ გვარად, „მთლიანი რუსეთის აღდგენა“ იყო ამ დღეების ერთი უმთავრესი გაბრუება; ჩვენთვის კი ბუნებრივი იყო ამ გაერ-

თიანების მისალმება და თან სურვილის გამოთქმა, რომ საქართველო და ამიერ-კავკასია ამ გეგმიდან გამორიცხულნი ყოფილიყვნენ.

წერილობითი და ზეპირი დასაბუთება ასეთის სურვილისა არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ სიძნელეს, და, ამ ნაირათ, ინგლისის მთავრობას შესაძლებლობა ჰქონდა საფუძვლიანად გაცნობოდა საქართველოსა და მისი მეზობლების პოლიტიკურ მისწრაფებებსა და საბოლოო მიზნებს სწორეთ იმ დროს, როცა ბრიტანეთის სამხედრო ნაწილები 30 ოქტომბრის, მუდროსის კონვენციის თანახმად ბინავდებოდენ ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილას.

ლონდონში ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობის დასაწყისი, ამგვარად, თან შეხვდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან იქ, ადგილობრივ, 1918 წლის დასასრულს ინგლისელების მიერ პრაქტიკულათ გაცნობის დასაწყისს.

ჩვენ საშვალება მოგვცეს დეპეშით მიწერ-მოწერა გაგვემართა ტფილისთან; ჩემი ლონდონში ჩამოსვლა საქართველოს მთავრობას ეცნობა თავის დროზე, და მალე ამის შემდეგ ჩვენ შეგვეძლო შეგვეტყობინებია მთავრობისათვის „კეთილ განწყობილი მიღება, ჯერ de facto და შემდეგ ფორმალური ცნობის იმედი“ და აგრეთვე ის რომ „მთლიანი, განუყოფელი რუსეთის აღდგენის შესახებ გავრცელებული ხმები არ შეეხებიან საქართველოს, რომლის დამოუკიდებლობას ურყევი შანსები აქვს“.

ბოლოს, 31 დეკემბერს, 1918 წელს ჩვენ (ე. ი. მე და დ. ლამბაშიძემ) მივიღეთ Foreign Office-დან საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის სერ ლუის მალლეტის მიერ ხელ მოწერილი ნოტა, რომლითაც გვაცნობებდენ, რომ მ ა თ ი უ დ ი დ ე ბ უ ლ ე ს ობ ის მ თ ა ვ რ ობ ა თ ა ნ ა გ რ ძ ნ ობ ი თ შ ე ხ ვ დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა თ გ ა მ ო ც ხ ა დ ებ ა ს და მ ზ ა დ ა რ ი ს დ ა ი ც ვ ა ს მ ი ს ი ც ნ ობ ა ს ა მ შ ვ ი დ ო ბ ო კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა ზ ე *).

---

*) ამ ნოტის არსებითი ნაწილი დეპეშით გადაეცა საქართველოს მთავრობას, და გამოიწვია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, გეგეჭკორის საპასუხო, სამადლობელი დეპეში (იანვარი 1919 წელი).

ასე მოხდა თანახმად შეცვლილი გარემოებისა, საქართველო-გერმანიის ტრაქტატის საბოლოო პროექტის მიღების სულ ათიოდე კვირის შემდეგ—გადასვლა საქართველოს პოლიტიკისა ახალ ლიანდაგზე. ჩემი მოვალეობა და როლი „მეისრისა“ დამთავრებული იყო; ეხლა უკვე საქართველოს მთავრობისგან თფილისში დამოკიდებული იყო „წარმატების გამოყენება“.

---

## თავი მეცხრამეტე.

## ძველი თემის ახალი ვარიაცია.

### 50

ჩვენი ტელეგრამმა, ლონდონში „კეთილგანწყობილ მიღების“ შესახებ, თფილისში მიუვიდა საქართველოს მთავრობას მეტათ კრიტიკულ დროს და ძლიერ სასარგებლო გამოდგა მისთვის.

სიტყვებით „კრიტიკული მომენტი“ მე სრულიად არ მსურს ვთქვა, ვითომც ნ. ჟორდანიას მთავრობის მდგომარეობა თვით საქართველოში ოდნავ შეირყა;—პირიქით, მისი მდგომარეობა იყო სავსებით მტკიცე; მხედველობაში მაქვს მხოლოდ იმავე დროს 1918 წლის დეკემბერში, სომხეთ-საქართველოს საზღვრებზე მომხდარ შეტაკებით გამოწვეული გართულება, ე. ი. სომეხთა ჯარის ყოფილ ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაზე შეტევა, და ამიერ-კავკაკასიის საზღვრებში ინგლისის ჯარისა და მოკავშირეთა მისიების შემოსვლა.

ბოროტათ განწყობილი სხვადასხვა პირი ავრცელებდა ხმებს, თითქოს გამარჯვებულ მოკავშირეებს აზრათ ჰქონდათ გ ა ე უ ქ მ ე ბ ი ა თ ახლად დაარსებული რესპუბლიკები; ასეთი იყო ფანტასტიური მაგრამ შიშის მომგვრელი ხმები. ინგლისის სარდლობას ადვილათ და მალე არ შეეძლო თავისი პოლიტიკური ტერმინოლოგია შეეწყო კავძასიის ახალი წეს-რიგისათვის (სულ სხვა იყო დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დროს!) და ახალი მთავრობის გადაჭარბებულ თავმოყვარეობისათვის. იყო, რა თქმა უნდა, ზედ გავლენა, რომელიც განსაკუთრებულათ ცდილობდა ინგლისელების თვალში ევნოთ საქართველოს მთავრობისათვის, და ამ მიზნით მოჰყავდათ უაზრო დამტკიცება, რომ საქართველოს მთავრობა ვითომც.

და სამარცხვინო მეგობრობას უწევდა გერმანელებსა და თვით ოსლოებსაც კი. არ შეუდგები ამ საგნის გამოკვლევას. საერთოდ, ბრიტანეთის გენერლები მალე შეეჩვიენ დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის არსებობის ფაქტს იქ, სადაც ფორმალურათ უნდა ყოფილიყო რუსეთის სახელმწიფოს მხოლოდ ამიერ-კავკასიის პროვინცია; საქართველოს მთავრობამაც აღარ ჩასთვალა ინგლისის რაზმის ჩამოსვლა და დაბინავება საქართველოს დამოუკიდებლობის დარღვევათ, რადგან ეს ხდებოდა ევროპაში მშვიდობიანობის დამყარების საერთო გეგმის თანახმად.... „ვილსონის" საფუძვლებზე და მშვიდობიანობის დამამყარებელ ერთობლივ სახელმწიფოთა სურვილით. ამ ნიადაგზე ასე თუ ისე აღინიშნა modus vivendi.

ინგლისისა და საფრანგეთის მისიების მეოხებით შეწყვეტილ იქმნა სომხეთისა და საქართველოს შეტაკება, სწორეთ იმ დროს, როცა სომხეთის ჯარის ნაწილებმა, რომელნიც შორს იყვნენ ბორჩალოს მაზრაში შესეული, დაიწყეს უკან დახევა. დასასრული ამ შეტაკებისა, რომელიც, საბედნიეროთ, მხოლოდ 10 დღე გრძელდებოდა, ჩვენ ლონდონში გავიგეთ გაზეთ Times (10 იანვ. 1919 წ.) შემდეგი ცნობიდან: ბაღდათი, 1 იანვარი. „19 იანვრიდან დაწყებული სომხეთისა და საქართველოს ჯარებთა შორის მოხდა სამი ბრძოლა: ახალქალაქის მაზრის საზღვარზე, ეკატერინოფელდთან (ბორჩალოს მაზრაში) და სადგურ სადახლოსთან (თფილის-ალექსანდროპოლის რკინის გზა). სამივე ბრძოლა გათავდა სომხების სრულ დამარცხებით; ქართველებმა წაიყვანეს მრავალი ტყვე და წაიღეს ზარბაზნები.—უკანასკნელი ცნობებით ქართველები განაგრძობენ შეტევას; სომხები იძულებული შეიქნენ ალლავერდისაკენ დახეულიყვნენ. ქართველებმა ჩაიგდეს ხელში ჯავშნიანი მატარებლები და ტყვეები, მათ შორის რუსის ოფიცრები".

ქართველი ჯარის ნაწილების მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დაჭერის შესახებ (ოსმალეთის შეიარაღებული ძალის წასვლისა და იქ დარჩენილ „ბანდებისაგან" პროვინციების გაწმენდის შემდეგ) ცნობები ჩვენ უკვე წინათ გვქონდა გადმოცემული ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროსაგან.

ურთიერთ შეთანხმებით სამხედრო მოქმედება შეწყვეტილ იქმნა 1918 წლის დეკემბრის 31-დან *). სომხები დაუბრუნდენ თა-

*) ამ მოქმედებას საეჭვოა, რომ „ოში" ეწოდოს. ყოველ შემთხვევაში დიდი სისხლის მსხვერპლი მან არ მოითხოვა. მით უკეთესი „მხარეებისათვის!"

ვის პირვანდელ მდგომარეობას, რომელიც მათ ფაქტიურათ ეჭირათ ბორჩალოს მაზრის სამხრეთის ბოლოში, მას შემდეგ რაც 1918 წლის შემოდგომაზე იგი დასტოვეს ოსმალოებმა, და საიდანაც სომხებმა დაიწყეს შემოტევა. ამ ტერრიტორიისა და ბორჩალოს მაზრის ჩრდილო ნაწილს შორის, რომელიც რჩებოდა საქართველოს მმართველობის ქვეშ, დადებული იყო ნეიტრალური ზოლი. ახალქალაქის მაზრაშიაც რჩებოდა ქართული ადმინისტრაცია.

ეს კომპრომისი მიღებული იყო საქართველოს მთავრობისა და მოკავშირეთა მისიების მიერ; შემდეგ იგი მიიღო სომხეთის მთავრობამაც, თუმცა გამოთქვა საწინააღმდეგო აზრები.

საერთოდ საკმაოთ სამძიმო დრო იყო; მოკავშირეთა მისსიებმა ახალციხის დაცლაც კი მოითხოვს ქართველებისაგან, მაგრამ საქართველოს მთავრობისაგან მიიღეს გადაჭრილი უარი; და თუმცა სომხეთთან შეტაკება გათავდა საქართველოსთვის კეთილად, მაინც საგრძნობი შეიქმნა ახალი ძლიერი ფაქტორის გამოჩენა, რომლის მოსაზრებანი გამოურკვეველი რჩებოდა და რომელიც, აშკარათ სჩანდა, საქართველოსადმი არ იყო მთლად მეგობრულათ განწყობილი. „ჩვენ მოწყვეტილი ვართ ევროპას“—ამბობდა გეგეჭკორი საქართველოს პარლამენტში 3 იანვარს 1918 წელს, როცა იგი მოხსენებას აკეთებდა სომხების დავდასხმითა და მოკავშირეთა მოსვლით შექმნილ მდგომარეობაზე—„ჩვენ მოკლებული ვართ საშვალებას ვამცნოთ ევროპას და მის დემოკრატიას ყველა ის უსამართლობა, რომელიც აქ ხდება და რომელიც, კიდევ შეიძლება მოხდეს, მაგრამ ჩვენამდის უკვე აღწევენ შორეული ხმები, რომელნიც გვიწინასწარმეტყველებენ განთიადს“. „შორეული ხმა“ ამ შემთხვევაში იყო საქართველოს მთავრობის მიერ წინა დღით (ე. ი. 2 იანვარს) მიღებული დეპეში, რომელიც ჩვენ გავაგზავნეთ დეკემბრის ბოლოს და რომლის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი (იხ. გვ. 209) ამ ცნობამ გამოიწვია პარლამენტის „მხურვალე ტაშის ცემა“: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ამ დღეს დიდი მოწონება ჰქონდა.

მეტად სამწუხარო იყო, რომ თავიდანვე, ე. ი. 1918 წლის დასასრულს არ განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ მოწვეული კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია საერთო საქმეების გამო (მათ შორის შეტანილი იყო საზღვრების კითხვაც). წინადადება ამ აზრით მიცემული ჰქონდა რესპუბლიკებს 1918 წ. ოქტომბრის დამლევს, მაგრამ ისეთის ფორმით, რომელმაც გამოიწვია სო-

მეხთა უკმაყოფილება. და მართლაც, ნ. რამიშვილის მიერ ხელმოწერილი „საწვევი“ ნოტის ტონი რამდენადმდე გაახსენებდა კაცს... შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარს. (გეგეჭკორის დანიშვნამდე საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებდა ნ. რამიშვილი). მაგრამ თვით სურვილი მშვენიერი იყო, და, რა თქმა უნდა, სჯობდა სომხები შეთანხმებოდენ საქართველოს მთავრობას კონფერენციის შესახებ, ვიდრე... დაეწყოთ შეტევა.

სამწუხარო იყო არა მარტო ის, რომ მაშინ განზრახული კონფერენცია არ შესდგა, არამედ კიდევ უფრო მეტათ ის რომ, საქმე დიდის ხნით გადადებული შეიქნა, რადგან ასეთი გადადება გამომდინარეობდა 25 დეკემბერს 1918 წელს ნ. ჟორდანიას, დიდი ბრიტანეთის გენერალ-მაიორის რეჰიკროფტის და საფრანგეთის პოლკოვნიკის შარდინიეს მიერ მიღებულ კომპრომისის უკანასკნელ მუხლიდან, რომელშიაც ნათქვამია: „ორივვე სახელმწიფოს—საქართველოსა და სომხეთის—წარმომადგენლები მოკლე ხანში გაგზავნილი იქნებიან ევროპაში, სადაც საზღვრების შესახებ ყველა კითხვები გადაწყვეტილი იქნება დიდი სახელმწიფოების მიერ“. ამ გზით მეტად მოუსაზრებლად იქმნებოდა, და მეტად დაუფიქრებლად ითვისებდენ ილლიუზიებს, თითქოს დიდი სახელმწიფოები--ანდა, როგორც გეგეჭკორი ამბობდა—„ევროპის დემოკრატია“ ეცდებოდა საჩქაროდ გადაეწყვიტა... ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების კითხვა. ამ კითხვებისათვის კი სრულიად არავის სცხელოდა: მას „ცნობათ ღებულობდენ“ და „აკერებდენ საქმეებში“ იმ ბიუროში, რომელსაც ასეთი საქმეები ჰქონდა მინდობილი. საერთოდ, ამ კითხვას არავითარი შანსი არ ჰქონდა 1919 წელს გამოეწვია ვისიმე ყურადღება ევროპაში. ამგვარად, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა უარყვეს გარჯა და შრომა ამ და ასეთის კითხვების გადაწყვეტა უშვალოდ ერთმანეთში მოლაპარაკებით დაემთავრებიათ, და წინდაუხედავათ და უდარდელად მოიმზადეს მომავლისათვის ახალი დაბრკოლება და ხიფათი *).

---

*) საქართველო-სომხეთის 1918 წლის დასასრულის კონფლიქტისა, და სომხების თავდასხმის საბუთები დაბეჭდილია კრებულში: „Документы и материалы“-ს უკანასკნელ ნაწილში. კერძოთ, კომპრომისსის საფუძვლების შესახებ მიწერ-მოწერა იხ. №-№ 251-255. საქართველოსა და სომხეთის შორის მოლაპარაკების დაწერილებითი მასალები მთელი ამ დროისა, და ცდა საქართველოს წარმომადგენელის ერივანში ს. გ. მდივნის, როგორმე აეცდინა შეტაკება, ე. ი. სომხების შეტევა იხ. მეორე კრებულში, რომელიც გამოცემულია საქართველოს მთავრობის მაერ 1919 წ.: Из истории армяно-грузинских отношении 1918 г.

51

ამ უთანხმოებათა შესახებ ჩვენ მიერ ლონდონში პირველი ცნობების მიღებისთანავე, გამომჟღავნდა აგრეთვე დამოუკიდებელი სომხეთის პროგრამა, რომლის დაცვას სამშვიდობო კონფერენციაზე მთლიანი სომხეთის სახელით აპირებდა ბოღოს ნუბარ-ფაშა (მეთაური ეგრედ-წოდებული ეროვნული დელეგაციისა, რომელიც დანიშნა სომხეთის კათალიკოსმა და რომელიჯ ჯერ კიდევ ლონდონში, ბალკანეთის კონფერენციების დროს 1912-1913 წელს პირველად გამოვიდა ევროპაში სამოქმედოთ). ეს პროგრამა, რუქის დამატებით, დაწვრილებით იყო მოყვანილი Times-ის ფურცლებზე (31 დეკემბერი, 1918 წ.).

ეგრედ წოდებული რუსეთის სომხეთის საზღვრები აშკარა შეცდომებით (შემცირებით) იყო ნაჩვენები, და უეჭველი ხდებოდა, რომ პროგრამის პატივცემულმა ავტორმა არ იცოდა, თუ რა ხდებოდა ამიერ-კავკასიაში. სამაგიეროთ ოსმალეთის ფარგლებში მომავალი სომხეთის საზღვრები ფართოდ იყო მოხაზული: ბითლისის და ვანის გარდა, სომხეთს მიკუთვნებული ჰქონდა სივასი, მერსინა, ადანა, ალექსანდრეტტა და დიარბექირი· შავი-ზღვის ნაპირზე სომხეთი ისაკუთრებდა უმთავრესს ნაწილს, სამსუნსა და ბათომს შუა და სხვ. რა თქმა უნდა, ეს იყო მაქსიმალური მოთხოვნილება *). მაგრამ ანგარიში მაინც უნდა გაგვეწია ამ გეგმის ავტორის ოფიციალური მდგომარეობისათვის, და მისი განცხადებისათვის, რომ სომხეთს იმედი აქვს მიიღოს ინგლისისა და საფრანგეთის დახმარება (დროებითი) ანდა ამერიკის („მანდატი"); იგი გვარწმუნებდა კიდეც, რომ ახალი სომხეთი რამოდენიმე თვის შემდეგ რეალურ მოვლენათ იქცევა.

ასეთი სომხეთი აღარ იქნებოდა ამიერ-კავკასიის სომხეთი. ამიერ-კავკასიის გაერთიანების კითხვა ამ შემთხვევაში სულ სხვა გვარათ უნდა დაგვეყენებია. მეზობლათ ისეთი სახელმწიფოს გამოჩენის შესაძლებლობა, რომელსაც ხელთ ექნებოდა სომხეთის მანდატი, საზრდოს აძლევდა ახალ პოლიტიკურ „სპეკულიაციებს". დასასრულ, თუ სომხების ეს პროგრამა შესრულდებოდა, აზერბაიჯანი

---

*) თუ კი მხედველობაში არ მივიტებთ ამერიკის რეზოლიუციების გაერთიანებულს სამს (რუსეთის, ოსმალეთის და სპარმეთის) სომხეთს იხ. ზევით გვ. 202

1918 წლის ოსმალეთით გატაცების შემდეგ აუცილებლად ისევ დაუბრუნდებოდა კავკასიის წრეს და სხვა „შესაძლებლობებთან“ ერთად ყველა ეს საკმაო მასალას იძლეოდა სხვადასხვა გამოცანებისა და მოფიქრებისათვის.

არ ვიცი, სწამდათ თუ არა ახალი სომხეთის პროგრამის ავტორებს, იმ პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა; ვფიქრობ, რომ ისინი—ისე, როგორც ბევრი სხვა—გადაჭარბებულათ აფასებდენ, მშვიდობის დამამყარებელ სახელმწიფოების ძალას, გავლენას და მოხერხებას. სამწუხარო იქნება, ვეუბნებოდი ჩემს თავს, თუ ჩვენი სურვილი—განვამტკიცოთ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა—ისეთივე ოცნება, ისეთივე ქიმერა შეიქნა – ან და ოცნებათ და ქიმერათ მოეჩვენათ მცოდნე და ფრთხილ პირებს—როგორათაც ეჩვენებოდათ ბევრს ნუბარის დეკლარაციაში გამოთქმული იდეა სომხეთის დამოუკიდებლობისა.

მაგრამ, ვიმეორებ: ამ გეგმასთან ძნელი იყო სომხეთზე ჩვეულებრივი წარმოდგენის შეთანხმება—სომხეთი ხომ უმთავრესად მიმართულია ამიერ-კავკასიისკენ: კილიკიაზე და „ექვს ვილაიეტზე“ ოცნებას წინ უდგა ერევნის, ან „არარატის“ სომხეთის ცოცხალი სინამდვილე: სომხეთის სახელმწიფო უკვე არსებობდა და შენდებოდა თვით სომხების შრომით. მოსალოდნელი იყო, რომ ამ სომხეთს შეემატებოდა საგრძნობი ტერიტორია ოსმალეთისა, მაგრამ, ჩემის რწმენით, არა ისეთის მოცულობის, რომ შერყეულიყო გეგმა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საკავშირო ერთობისა, რაც ერთად-ერთი ფორმულაა კავკასიის კითხვის გადასაწყვეტათ, ფორმულა შეთანხმებული პოლიტიკის და ისტორიის უფრო ფართო პერსპექტივებთან.

დიდი სომხეთი, გასავალი ხმელთა შუა ზღვაში—აი ზმანება, რომელსაც თითქოს აქეზებდა დიდი სახელმწიფოები, რომელსაც კურთხევას უგზავნიდა, როგორც მაშინ ეგონათ, ყოვლის შემძლებელი პრეზიდენტი ვილსონი; ამ წარმტაც ოცნებას შეუძლებელი იყო არ გადაებირა სომხეთის ერის ცოცხალი მისწრაფებანი კავკასიის ორიენტაციიდან; ყოველ შემთხვევაში მან შეასუსტა, მთელი 1919 წლისა და 1920 წლის უდიდესი ნაწილის განმავლობაში, ამ ორიენტაციის მიზნებისა და მისწრაფების ძალა. სომხებს ეგონათ, თუმცა ასეთი აზრი თავიდანვე შემცდარი და უსაფუძვლო იყო, რომ „ევროპა და ამერიკა“, კონფერენცია და საერთოდ ყველა, ვინც კი განაგებდა მსოფლიოს ბედს, განსაკუთრებულად მოეპყრობოდა

მათ, და რომ მათი კითხვა არ შეიძლებოდა გარეული ყოფილიყო, მაგ., ქართულ კითხვაში და სხვა. ერთის სიტყვით. სხვადასხვა მიზეზისა და გარემოების გამო, რომელნიც სავსებით ცხად ჰყოფენ სომხეთის პოლიტიკას, იგი ბუნებრივათ მიიმართა იმ გზით, რომელიც უფრო და უფრო შორდებოდა ერთად-ერთს, თუმცა-ღა ეკლიანს, მაგრამ წარმატების მიმნიჭებელ გზას: ეს გზა იყო—გზა კავკასიის რესპუბლიკების შეკავშირებისა, რომელიც დაამთავრებდა 1918 წლის მაისის დასასრულიდან დაწყებულ ამ რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივ განმტკიცების პროცესს.

რა თქმა უნდა, ასეთი შეკავშირება შესაძლებელი იყო მხოლოდ გარკვეულ საერთაშორისო პირობებში.

## 52

ამ კითხვის შესახებ მთავარი აზრი მე გამოვთქვი ჯერ კიდევ 1918 წლის გაზაფხულზე წერილში, რომელიც შეეხებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას და რომელიც არა ერთხელ მოვიხსენე წინეთ; იქ იყო ნათქვამი: „კავკასიის ვიწრო ყელზედაც შეიძლება გადატანილ იქმნეს ის იდეა ახალი რუსეთის საზღვრების შემოფარგვლისა ახალივე სახელმწიფოებრივი სხეულებით, რომელიც საფუძვლად დაედვა ბრესტის ხელშეკრულებას“.

„ბუფერული სახელმწიფო ამიერ-კავკასიაში—დავძენდი მე—რომელიც უფრო წარმოსადგენია, რომ იქნება რთული შემადგენლობის, გადასწყვეტს ამ ქვეყნის მოწესრიგების საქმეს; მას მნიშვნელობა ექნება აგრეთვე ანატოლიაში გერმანიის გავლენის განმტკიცებისათვის და „ბრესტის“ სისტემის—ინდოეთის მიახლოებისა და ქაირ-კალკუტას გზის დაცვის უზრუნველყოფისათვის“.

ამგვარათ, ჯერ კიდევ იმ დროს, შემუშავებული იყო ორმაგი ფორმულა, რომელიც ნაანგარიშევი იყო ომის სხვადასხვანაირი დასრულებისათვის.

დამოუკიდებელი საქართველო და კავკასიის კავშირი—ასეთი იყო ერთი უმთავრესი დებულებათაგანი ქართული პოლიტიკისა—ბერლინში 1918 წლის ზაფხულში; იგივე დედა-აზრი ეხლა უნდა განგვეითარებია და გამოგვეყენებია, მაგრამ mutatis mutandis—

გამოგვეყენებია იმ პირობების მიხედვით, რომელშიაც გერმანიის დამარცხების შემდეგ უხდებოდა პარიზის კონფერენციას ევროპისა და აზიის ნაწილის გადაკეთება.

კავკასია, ეს ბუნებრივი ჯებირი, რომელიც ჰყოფს ორი იმპერიალიზმის—რუსეთისა და ბრიტანეთის—სფეროებს—ასეთს თემას უგულოთ ვერ შეხვდებოდენ ლონდონში იმ დროს, როცა ადგენდენ და ამუშავებდენ მრავალგვარ გეგმებს ევროპის გადასაკეთებლად, როცა აშენებდენ ახალ კედლებს და როცა აუარებელი გამოსადეგი მასალა მზა-მზარეულათ ეწყო და უცდიდა დახელოვნებულ ხუროთ-მოძღვარს... მაგრამ ამაოთ: ხუროთ-მოძღვარი არ გამოჩნდა.

კავკასიის ხალხების კავშირი, როგორც გამთიშველი ზოლი რუსეთსა და წინა-აზიის ქვეყნებთა შორის (ოსმალეთი და სპარსეთი), მომსპობი საერთაშორისო უთანხმოების უმთავრესი სივრცისა, და ამით სახელმწიფოთა შორის საომარი შეტაკების შესაძლებლობის ჩამოშორებელი—აი მეორე „ასპექტი“ იმავე აზრისა. მაგრამ ეს მოსაზრება შეთანხმებული იყო არა იმ პირთა შიშსა და საკმაოთ მოძველებულ ცრუმორწმუნობასთან, რომელნიც ვერ ივიწყებდენ რუსეთისა და ინგლისის მეტოქეობას წინა და შუა აზიაში—არამედ იმ პირთა მისწრაფებებთან და ზრახვებთან, რომელნიც აპირებდენ პრაქტიკულათ ემუშავნათ ერთა ლიგის შესაქმნელათ.

დასასრულ, ამიერ-კავკასიის მოწესრიგება, როგორც ერთი მთლიანი მხარისა, საერთაშორისო თავისუფალი, ყველა მიმართულებით, ტრანზიტისათვის; ამ საშვალებით ყველასათვის განურჩევლათ უზრუნველყოფა თავისუფალი ურთიერთობისა სპარსეთთან, კასპიის იქეთა ქვეყნებთან და სომხეთთან—ეს იყო ეკონომიური დასაბუთება იმავე საგნისა.

ასეთი იყო 1918 წლის ბოლოს საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლების მიერ ლონდონში გამოცხადებული პოლიტიკური დებულებების „რეპერტუარი“.

ბევრი რამ იყო საჭირო ასეთი გეგმის შესასრულებლათ: შეთანხმებული მუშაობა კავკასიის ახალი რესპუბლიკებისა—ეს უპირველესად ყოვლისა; მხურვალე დახმარება დიდი სახელმწიფოებისა; დასასრულ—ხელსაყრელი საერთო გარემოება.

ინგლისის მიერ გამოთქმული თანაგრძნობა ამ მხრით გვეჩვენებოდა განსაზღრულ წარმატებათ. სომხეთ-საქართველოს კონფლიქტი ცუდ წინასწარმეტყველებას იძლეოდა: დანარჩენი ბურუსით იყო მოცული.

---

## თავი მეოცე.

### ლონდონში პარიზის კონფერენციის წინადღით.

„ბოლშევიზმის“ უზარმაზარი საშიშროება გამეფებული იყო რუსეთის შუა-გულში, მისი ცხოვრების კვანძში. ეს აჩრდილი მოსვენებას არ იძლეოდა. დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკამ— ყოველ შემთხვევაში ოფიციალურმა მაინც—მხოლოდ მაშინ მიიღო შემდეგი სახე: ეს იყო პოლიტიკა „მავთულიანი ჯებირის გავლებისა“ ანუ „ეკონომიური რგოლისა“ (ბლოკადა).

29 დეკემბერს 1918 წელს დეპუტატთა პალატაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. პიშონი, სხვა კითხვებთან ერთად, შეეხო ბათომში, ოდესსაში და რუმინიაში მოკავშირეთა ჯარების ყოფნას. მან გამოაქვეყნა ინსტრუქცია, რომელიც მიცემული ჰქონდა კლემანსოს საფრანგეთის გენერლებისათვის და რომლის აზრით, მოკავშირეთა ამოცანას შეადგენდა, უკრაინის, კავკასიის (ნაგულისხმევი იყო ჩრდილო კავკასია) და აღმოსავლეთ რუსეთის დაცვა ბოლშევიკების თავდასხმიდან, და თავდაცვითი ფრონტის შექმნა. ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევას კი რუსებისავე საქმეთ სტოვებდენ: მოკავშირეები მხოლოდ უზრუნველყოფდენ მათ ასეთი ოპერაციებისათვის საჭირო მატერიალური საშვალებით. პიშონი განსაკუთრებით შეჩერდა უკრაინის ბრძოლის უნარიანი ჯარის შექმნის კითხვაზე,

ასეთ ცნობას იძლეოდენ 1919 წლის პოლიტიკის შესახებ; იგი პოლიტიკა იყო არა პირდაპირი და არა სრული ჩარევა რუსეთის შინა საქმეებში; და ასე ირკვეოდა „ტაქტიური გარემოება“, რომლის მიხედვით ჩვენც უნდა გვემოქმედნა.

1918 წელს საქართველო მტკიცეთ იცავდა ნეიტრალიტეტს რუსეთის სამოქალაქო ომის მიმართ, რომელიც უკვე სწეწდა რუსე-

თის ზოგიერთ ნაწილს. არ იყო არც პრინციპიალური საფუძველი, არც პრაქტიკული მისწრაფება ამ პოლიტიკის დარღვევისათვის. ამიტომ, არასდროს სიტყვაც არ თქმულა, და არც შეიძლებოდა თქმულიყო, რომ საქართველოს, როგორც ერთ-ერთ რგოლს, მონაწილეობა მიეღო იმ ჯაჭვში, რომელსაც უნდა შეებოჭა საბჭოთა რუსეთი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, კავკასიის მთებით დაფარულნი, შეიძლება ითქვას, განზე იდგენ იმ სამხედრო-პოლიტიკურ სისტემისა, რომელიც ეწყობოდა ან და გროვდებოდა საბჭოთა რუსეთის კიდურებზე. თუ ბაქოში ან თფილისში რაიმე იწეოდა მოუსვენრობას—მიზეზი უფრო იყო მოხალისეთა ლაშქრის, საბჭოთა მოწინააღმდეგე ძალების ჩრდილო-კავკასიაში თავის მოყრა.

აი რატომ იყო, რომ უმთავრესი ყურადღების შეჩერება შესაძლებელი ხდებოდა ძირითად კითხვებზე: საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე, კავკასიის გაერთიანებაზე, მთლიანი რუსეთის აღდგენის სქემიდან ახალი რესპუბლიკების გამორიცხვაზე (ეს „აღდგენა“ შეადგენდა საბოლოო მიზანს, როგორც „მოკავშირეებისადმი ერთგულად დარჩენილ“ რუსებისას, ისე თვით მოკავშირეებისას). უნდა გვეშტკიცებია და მსმენელთა გონება შეგვეჩვია, რომ რუსეთის აღდგენა სრულიად არ მოითხოვს მის ფარგლებში საქართველოისა და, საერთოდ, ამიერ-კავკასიის შეტანას. ეს აზრი უნდა ჩაგვენერგა სწორეთ იმათთვის, ვისი დახმარებითაც ცდილობდენ აღედგინათ რუსეთი. თუ რა საბუთები გვქონდა,—ამის შესახებ წინათ იყო ნათქვამი.

---

პიშონის მიერ საფრანგეთის პარლამენტისადმი მიცემულ განმარტებების შემდეგ, მალე ინგლისის პრესსაში გამოქვეყნდა ინგლისის ვერსია იმ მიზნებისა, რომელთა გამო ამიერ-კავკასიაში გაგზავნილ იქმნა ბრიტანეთის ჯარი. აი მიზნები: ოსმალეთს აუცილებლივ უნდა დაეცალა ქვეყანა და უნდა შეწყვეტილიყო შეტაკებები ქართველებსა, სომხებსა და სხვა ერებთა შორის, რამაც თავი იჩინა ოსმალოთა წასვლის შემდეგ; მეორე, საჭირო იყო უზრუნველყოფილი ჰქონოდათ კავშირი კასპიის ზღვის იქით მდგომ ინგლი-

სელ ჯარებთან ბაქო-კრასნოვოდსკით (წინათ მათ სურსათს უგზავნიდენ ბაღდათიდან ხამადან—ენზელით) *).

ყველა ეს განმარტებები და „ვერსიები" მიმართული იყო, ეგრედ წოდებულ, საზოგადოებრივ აზრისადმი ე. ი. ცდილობდა შეხამებოდა ამ აზრს. არსებითად კი მნიშვნელოვანი იყო ის, რომ 1919 წლის დასაწყისში მიმოსვლა შავ-ზღვასა და აზიის წინა და შუა ქვეყნებთა შორის ჩავარდა ინგლისის სრულ ზედა-მხედველობაში.

ამიერ-კავკასიის ხალხების მთავრობებს ეხლა ეძლეოდათ საშვალება დაკვირვებით და სავსებით გამოერკვიათ კითხვა, საჭიროა მათთვის ამ ზედამხედველობიდან თავის განთავისუფლება, თუ პირიქით, პოლიტიკური მიზნებისათვის უმჯობესია ამ ზედა-მხედველობისგან რაიმე ხეირის გამოტანა.

## 54.

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში დიდი სახელმწიფოების ყოველი მოქმედება ჯერ კიდევ იყო გამოურკვეველი, უძარღვო და უსახო. ვერ გადაეწყვიტათ კითხვა, თუ რა დაემართება რუსეთს, რა ზომები უნდა მიიღონ რუსეთის მიმართ, და ეს უსაღსრობა უნებურათ იწვევდა ყველა მახლობელ კითხვებში ბურუსს. როგორ გაეყოთ ოტტომანთა იმპერიის მემკვიდრეობა—ამ კითხვაზედაც სახელმწიფოებს არ ჰქონდათ ნათელი და მწყობრი გადაწყვეტილება. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთის კითხვას. ვინ მოჰკიდებს ხელს ბოლოს და ბოლოს სომხეთს? თუ ნუბარ-ფაშის და „მისი წარმომგზავნელთა" უსაზღვრო „ასპირაციები" მავნებელი იყო სომხეთის დამოუკიდებლობისათვის, როგორც სომხეთის ხალხის სახელმწიფოსთვის, რასაც საფუძველი ჩაეყარა ერევანში 1918 წელს, მთელი ეს გეგმა დიდი სომხეთისა არ იქნებოდა გულუბრყვილო და უსარგებლო თუ ვისმე იგი, როგორც ეკონომიური საგანი, ხელში ჩაუვარდებოდა მანდატის ან სხვა საშვალებით.

---

*) კასპიის ზღვის იქეთა მხარეში ინგლისის ჯარის გაგზავნის ოფიციალურ საფუძვლათ (1918 წლის ზაფხულში) ასახელებდენ სურვილს, ხელი შეეშალათ გერმანელებისათვის თურქესტანის ბამბის მიღებაში იხ. Times 10 იანვარი 1919 წელი.

საფრანგეთს, უეჭველია, ამ დროს აინტერესებდა შესაძლებელი მანდატი სომხეთზე. ამასთან დაკავშირებით ლაპარაკი იყო ამიერ-კავკასიაზედაც. ამერიკის კანდიდატურა ძლიერ სერიოზული იყო. ყველა ამ „შესაძლებლობისთვის" საჭირო იყო ანგარიშის გაწევა; ამასთანავე შეგნებული გვქონდა, რომ ყველა უმთავრესი კითხვა, რომელთა შედეგი წინათვე განსაზღვრავდა კავკასიის ხალხების ბედ-იღბალს, მალე არ გადაწყდება, რადგან თვით კითხვები მეტათ დახლართული იყო (რუსეთი! ოსმალეთი!) და რადგან მთავარი საქმე—ევროპის დამშვიდება,—რომელსაც ესწრაფოდენ სახელმწიფოები, წარმოადგენდა სიძნელეს.

ამ მხრით 1919 წლის იანვრის დასაწყისის სურათი არ იყო მიმზიდველი. დროებითი ზავის დადების შემდეგ უკვე სრულდებოდა ორი თვე, მაგრამ დამშვიდება და დაწყნარება არ სჩანდა; ყველაფერი ბოროტათ, მუქარით გამოიყურებოდა; ბოლშევიკები ბალტიის მხარეში იწევდენ ლატვიაზე; რუსეთის ფრონტის მდგომარეობა ურალზე და სამხრეთში მეტათ გამოურკვეველი სჩანდა. პოლონეთი სრულიად აფორიაქებული იყო; ყოფილ ავსტრო-უნგრეთში საზღვრებს ავლებდენ, სადაც კი მოხერხდებოდა, de facto; გერმანიაში დიდი მოძრაობა ვითარდებოდა. არა თუ არავინ ემორჩილებოდა გამარჯვებულ მოკავშირეთა განკარგულებას, არამედ პირიქით, თითქოს ყველა ჩქარობდა მათი გადაწყვეტილებისთვის დაესწრო. გადაწყვეტილება კი ჯერ არაფერი მიეღოთ და არც სჩანდა, თუ როდის დადგება მათი დრო.

---

ომით აფორიაქებულ ყოველ კუთხეში, ყოველ ქვეყანაში ჰქონდათ თავისი „კითხვები", თავისი იარები, რომელიც ეჩვენებოდათ განსაკუთრებულათ საჩქაროთ და მტკივნეულათ. და ყოველ მათგანს ეგონა, რომ ახალი ძლიერი ინსტანცია, კონფერენცია მსოფლიოს უ დ ი დ ე ს ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ ი ს ა (რომლის უძლიერესი და უმაღლესი არა რა არს!) ყველა ამ კითხვებს გადაწყვეტს, და უპირველესად ყოვლისა სწორეთ.... აი ამ კითხვას. ოღონდ უჩვენოთ... ჩვენდა საწინააღმდეგო გადაწყვეტილება არ მიიღონ!

ასეთი გრძნობა უნდა განეცადათ განსაკუთრებულათ იმ მთავრობებს, ხალხებსა და ჯგუფებს, რომელთაც გეოგრაფიული დაშო-

რებისა და იმ რწმენის გამო, რომ ,,იქ, პარიზში უკვე გამოაქვთ გადაწყვეტილება... უკვე გადაწყვიტეს'', განსაკუთრებულათ ეშინოდათ, რომ ,,უჩვენოთ არ გადაწყვიტონ''.

ამიერ-კავკასიაში მყოფ მოკავშირეთა სამხედრო მისსიებს, აშკარაა. არ შეეძლოთ 1918 წლის დეკემბერში სცოდნოდათ, რომ კონფერენცია ოდესმე შეუდგება განხილვას კითხვისას... მაგალითად, ბორჩალოს მაზრაში სომხეთ-საქართველოს საზღვრებისას. მიუხედავათ ამისა, როგორც ნათქვამი იყო, მისიებსაც ეჩქარებოდათ ,,გაეგზავნათ''—სწორეთ ამ მიზნით—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დელეგაციები პარიზში, და იქ ხომ—,,კონფერენცია ყველაფერს გადაწყვეტს".

---

როცა ასეთის სიჩქარით და ყოველივე დაბრკოლებების გადალახვით გავსწიე კონსტანტინოპოლიდან ლონდონში, მე ამას ჩავდიოდი უმთავრესად იმ მოსაზრებით, რომ საქართველოს მთავრობას ძლიერ დიდი დრო დასჭირდებოდა ევროპაში მწყობრი დელეგაციის გასაგზავნათ, და დელეგაციაც არ იქნებოდა განსაკუთრებულათ სწრაფ-მავალი. დიდხანს ითათბირებენ—ვფიქრობდი მე—თუ ვინ უნდა წავიდეს; შესაძლებელია მოიწვიონ ,,მცოდნე პირები'', რომ ვამოარკვიონ, თუ რომელი გზით გაემგზავრონ; ვინ იცის, იქნებ, ვინმემ წინადადება შეიტანოს, რომ წავიდენ...პეკინის გზით და სხვა. განა ცოტა მიზეზი შეიძლება მოინახოს დროის დაკარგვისთვის! ამიტომაც მე მომიხდა საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლათ, ასე ვთქვათ, ,,ფაქტიური'' წესით ჩავსულიყავი ინგლისში, და იქ დ. ლამბაშიძესთან ერთად დამეწყო მუშაობა. იანვრის დასაწყისში ჩვენ შემოგვიერთდა კ. გ—ძე, რომელიც ნოემბერში თფილისიდან ჩამოვიდა ბერლინში და რომელიც წინათ ითვლებოდა საგარეო საქმნთა მინისტრის ამხანაგათ. ჩხენკელი ცდილობდა შვეიცარიიდან გადმოელახა ფრანგების მიერ წინდაწინვე შედგენილი აზრის ,,მავთულიანი ჯებირი'' და ჩამოსულიყო პარიზში, მაგრამ უშედეგოთ; ჩხენკელი კი იყო შეყვანილი საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, რომლის ტფილისიდან გამოსვლის შესახებ (დეკემბერი,

1918 წელი) ჩვენ ლონდონში მივიღეთ ცნობა იანვრის შუა რიცხვებში. ეს დელეგაცია ისე იყო შედგენილი, რომ მას შეეძლებოდა ყოველი კითხვა „ავტორიტეტულათ გადაეწყვიტა“ საქართველოს სახელით; დელეგაციაში შედიოდა ყოველი პარტიის წარმომადგენელი, მას ჰყავდა მრჩეველები, სპეციალისტები და სხვა... დელეგაციის სათავეში იდგენ კ. ჩხეიძე და ი. წერეთელი. კონსტანტინოპოლს ეს ვეებერთელა ორგანიზაცია ვერ გასცილდა, და მისი წევრებისა და მოხელეების უმრავლესობა იძულებული შეიქნა საქართველოში დაბრუნებულიყო.

## თავი მეოცდაერთე.

## კონფერენციის მზეზე.

### 55

16 იანვარს ჩავედით პარიზში; სამხედრო წესები ჯერ არ იყო მოხსნილი. დიდი ქალაქი თითქოს თვალებს იფშვნეტდა ამ ომის ხანგრძლივი და შესაზარი ჩვენების შემდეგ. დასრულდა ყუმბარეების შენა, თავდასხმა, სასიკვდილო მოუსვენრობა. გამარჯვება ისე უეცარი და ისე სრული იყო, რომ არავინ მოელოდა.

აღრიცხვით რიგდება შაქარი, პური—მაგრამ პური საკმაოთ უნდა იყოს. ადრე ჰქრება ელექტრონი. ბულვარები სავსეა ამერიკელებითა და ინგლისელებით. ლაშქარიდან ფრანგი ცოტაა ჯერ დაბრუნებული. ბევრია სამგლოვიარო მოკაზმულობა. ჰაერშია დაგუბებული უხმო გოდება; ალაფები (ტროფეები) ჩამწკრივებულია თანხმობის მოედნიდან გამარჯვების თაღამდე; ეს არის თვალით სახილავი ნიშნები ომისა.

---

მთლიანი რუსეთის აღდგენა, ფედერაცია—აი რა გვესმოდა მუდამ ლონდონში ინგლისელებისაგან. გამოცდილი წარმომადგენლები რუსეთის ძველი და ახალი (1917 წ.) დიპლომატიისა, რომელთაც ჰქონდათ აუარებელი ნივთიერი საშვალება და განწყობილება, მუშაობდენ პარიზსა და ლონდონში და ერთმანეთს უფარდებდენ რუსეთში მეომარ გენერლების ცდასა და მოკავშირეთა საერთო პოლიტიკის გეგმას. საზონოვი პარიზში იყო, როგორც ყუ-

ბანისა და ციმბირის მთავრობების წარმომადგენელი. ყველა ეს მოღვაწე იბრძოდა, რომ კონფერენციაზე არ დაეშვათ ბოლშევიკები, რასაც მხარს უჭერდა საფრანგეთის მთავრობა; ინგლისი კი იმ აზრს ადგა, რომ საჭიროა მოწვეულ იქმნეს რუსეთში დაარსებული საბჭოდან დაწყებული ყველა მთავრობა. ემჩნეოდა, რომ კიდეც ადგენდენ ამ მთავრობების სიასა თუ ნუსხას.

პირველსავე დღეს, 16 იანვარს, ჩვენ მივმართეთ კონფერენციის სამდივნოს. ბ-ნ დიუტასტას *) კაბინეტის უფროსმა, ბ-ნმა არნავონმა ისე მოგვისმინა, თითქოს სამძიმარს გვეუბნებაო. „რუსეთის და მისი ნაწილების კითხვა—აგვიხსნა მან, ჰენრიხ IV [და მარიამ მედიჩის ქორწინების სურათიან გობელენის ქვეშ—გამოყოფილია. თქვენ უნდა მოელაპარაკოთ პოლიტიკურ განყოფილებაში (საგარეო საქმეთა სამინისტროში) ბ-ნ ლ. ანდა, უკეთესი იქნება, მიმართოთ ამ კითხვების სპეციალისტს ბ-ნ კ-ს.

მეორე დღესვე (ე. ი. 17 იანვარს) ჩვენ ვიყავით ბ-ნ კ-სთან—ასეთ შემთხვევებში ძლიერ საინტერესოა „სპეციალისტებიდან“ საქმის დაწყება. თუმცა ლონდონში მე შემთხვევა მქონდა ძლიერ დაწვრილებით მელაპარაკნა საფრანგეთის ელჩთან, ბ-ნ პოლ კამბონთან, რომელმაც მეტად თავაზიანათ მიგვიღო, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ეხლა მოგვეცა საშვალება წარმოდგენა შეგვედგინა, თუ როგორი იყო საფრანგეთის მთავრობის ნამდვილი ჩვენდამი დამოკიდებულება. ამ დამოკიდებულების (1919—1920 წლებში) გამოხატვა შეიძლება „მრუდით“, რომლის დასაწყისი წერტილი მე მინდა აღვნიშნო; ამიტომ მე ნებას მივცემ ჩემს თავს დაწვრილებით მოვიყვანო პირველი ჩვენი ბაასი, მით უმეტეს, რომ შემდეგ მე თითქმის აღარ შევხვედრივარ სალაპარაკოთ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებს. **) აი არსებითი მხარე იმ მუსაიფისა.

ა. საქართველოდან აქეთ გამოგზავნილია დელეგაცია. ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ იგი კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა. ინგლისის ხელისუფლებამ ნება დართო მათ, და ისინი უცდიან მხოლოდ საფრანგეთის მთავრობის ნებართვას. მიეცა თუ არა მათ უფლება ჩამოვიდენ პარიზში?

---

*) კონფერენციის გენერალური მდივანი.

**) რადგან ჩამოვიდენ ჩემზე უფრო რწმუნებით აღჭურვილი დელეგატები.

კ. ჩვენ ამ დელეგაციის შესახებ არაფერი ვიცით. ასეთს თხოვნას ჩვენამდე არ მოულწევია. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ ვისთანა გვაქვს საქმე—არიან ქართველები, რომელთაც გერმანიასთან უნდა ჰქონოდეთ კავშირი... ამ გვარათ, დელეგაცია უნდა მოჰყავდეს ინგლისელებს (sic)?

ა. შესაძლოა ისინი ინგლისის გემით მოდიან.

კ. რომელი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია დელეგაცია?

ა. იგი არ წარმოადგენს პარტიას; იგია საქართველოს, საქართველოს მთავრობის, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი.

ჩვენ ვაცნობეთ, რაც ვიცოდით დელეგაციის შემადგენლობაზე და მივიღეთ დაპირება, რომ ჩხეიძესა და წერეთელს შემოუშვებენ („ოლონდ შემოიტანონ თხოვნა"), მაგრამ შემდეგ კ. მაინც დაგვპირდა, რომ ჩხეიძისა და წერეთლის გამოშვებას კონსტანტინოპოლს დეპეშით ეცნობებს.

კ. საქართველომ ხელშეკრულება დადვა ჩვენს მტრებთან: ოსმალეთთან და გერმანიასთან. საქართველოს კითხვა არ არის ისე მარტივი და ნათელი, როგორც, მაგალითად, ესტონიის კითხვა. ჩვენ არ ვიცით საქართველოს არც ნამდვილი საზღვრები და არც დამოკიდებულება მეზობლებთანა და რუსეთთან; ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რას ფიქრობენ ქართველები თავის მომავალზე ანდა, მაგალითად, როგორია მათი აზრი რუსეთის სახელმწიფო ვალების შესახებ... როგორც სჩანს, საქართველოს სერიოზული უთანხმოება უნდა ჰქონდეს სომხებთან და თურქებთან...

სიძნელეს არ წარმოადგენდა აქვე მიგვეცა განმარტებები ყველა ამ კითხვაზე: ჩვენ სრულიადაც არ ვემზადებოდით ბრალდებულის სკამზე დაჯდომისთვის.

... კ. (ოდნავ შემკრთალი, მოლბობილი) ბოლოს და ბოლოს ჩვენ სრულიადაც არ გვსურს ვთქვათ არ ა. ჩეენთვის მხოლოდ საჭიროა უფრო ნათელი წარმოდგენა შევადგინოთ კითხვაზე, რომ კონფერენციის ჩვენს დელეგატებს მივსცეთ სათანადო ინსტრუქციები.

შევთანხმდით, რომ ჩვენ ამთავითვე წარუდგენთ საგარეო საქმეთა მინისტრს ა) ოსმალეთთან და გერმანიასთან ჩვენი დამოკიდებულების ისტორიულ მიმოხილვას, ბ) მეზობლებთან ჩვენი განწ-

ყობილების კითხვის განმარტებას, გ) განმარტებას, თუ როგორი პოზიცია უჭირავს საქართველოს რუსეთისა (სამხრეთის) და ყუბანის მთავრობის მიმართ.

ყველა ეს საგანი განმარტებული იყო საბუთების მთელ რიგში, რომელნიც მალე ამის შემდეგ გადაეცა საფრანგეთის მთავრობას და ყველა დიდ სახელმწიფოს დელეგაციას, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ კონფერენციაში: მათ კანცელიარიებში დაიწყო საქმე—„საქართველო".

## 56.

დღის საჭირ-ბოროტო კითხვა, რომელიც ჩვენ გვეხებოდა და პარიზის კონფერენციის დაწყებისას იყო სწორეთ დასმული, უეჭველია, იყო პრინკიპო.

22 იანვარს 1919 წელს უმაღლესმა საბჭომ თანახმად პრეზიდენტ ვილსონის წინადადებისა, გადაწყვიტა კონსტანტინოპოლის ახლო მდებარე, პრინცების ერთ-ერთ -კუნძულზე, მოეწვია ცალკე კონფერენცია ყველა მთავრობისა და პარტიისა, რომელნიც აღმოცენდენ რუსეთის ყოფილი სახელმწიფოს ფარგლებში ან აწარმოებდენ სამოქალაქო ომს. *) თუ მათ შორის შეთანხმება მოხდებოდა, მაშინ „გაერთიანებული" რუსეთის წარმომადგენლები შეხვდებოდენ მოკავშირეთა წარმომადგენლებს.

მართალი უნდა ითქვას, რომ კონფერენციის ადგილის არჩევაში ვერ გამოიჩინეს საკმაო ტაქტი—ბევრ რუსს ის ადგილი უნე-

---

*) ამ კონფერენციის ნამდვილი წამოწყება ეკუთვნის ლლოიდ-ჯორჯს. კითხვამ, თუ როგორ დაიბადა აზრი ამ განუხორციელებელი კონფერენციის მოწვევისა შექმნა მთელი ლიტერატურა, განსაკრთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკის დელეგაციის ყოფილმა თანამშრომელმა ბ-მა William Bullitt-მა სენსაციური ცნობები გაუმჟღავნა ჩრდილო ამერიკის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტს 1919 წლის სექტემბერში.

თავდაპირველათ განზრახული იყო მოეწვიათ პარიზში რუსეთის ფარგლებში ყველა დაარსებულ მთავრობის დელეგატი, საბჭოთა გამოუცხადებელათ. ამ წინადადებას (ინგლისურს) უარყოფით შეხვდა საფრანგეთი. ამის შესახები ნოტა ბ-ნი პიშონისა „სენსაციურათ" გამოაშკარავა Humanitè-მ. პიშონი წინააღმდეგი იყო ბოლშევიკების მოწვევისა, მაგრამ თანახმა იყო მოეწვიათ „რუსეთის სხვადასხვა ეროვნები". ეს მოხდა კონფერენციის ოფიციალურათ გახსნის (18 იანვარი 1919 წ.) მცირე ხნის წინათ.

ბურათ აგონებდა „წმინდა სოფიაზე აღმართულ ჯვარს“ და რუსეთის იმედებს კონსტანტინოპოლზე! (აქ მხოლოდ კონსტანტინოპოლის სანახაობა იყო!) თვით აზრი—შეეკრიბათ რუსეთში ერთმანეთზე გადამტარებული ჯგუფების წარმომადგენლები ერთ ადგილზე, შესაძლოა, მეზობლათ იმ უდაბური კუნძულისა, სადაც ოსმალეთის 1908 წლის რევოლიუციის შემდეგ მოზიდეს და ერთმანეთის შესაჭმელათ დასტოვეს ძველი სტამბულის კარგათ ცნობილი უპატრონო ძაღლები — თვით ეს აზრი, თუ კი ვისმე მოესურვებოდა, შეეძლო აეხსნა, როგორც ბოროტი დაცინვა.

პრინკიპოს პროექტის გამო ჩვენ მივმართეთ კონფერენციას შემდეგი განცხადებით: რადგან პრინკიპოზე მოწვეულ რუსეთის პარტიებისა და ჯგუფების თათბირს მიზნათ აქვს დასახული, აღადგინოს დაკარგული ეროვნული მთლიანობა რუსეთის ხალხისა, და საქართველო არ შეადგენს მის ნაწილს და ცდილობს მიიღოს თავისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობა; ამიტომ საქართველოს არ აქვს საფუძველი მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ თათბირში (28 იანვარი 1919 წ.),

ამგვარსავე მდგომარეობაში ამ კითხვის გამო იყო ზოგიერთი სხვა ყოფილი „ინოროდცები“ ეხლა ხალხები; ჩვენ ერთად ვაწარმოებდით „დაზვერვას“ „პრინკიპოს“ კონფერენციის ნამდვილ მიზნების შესახებ; განსაკუთრებით ფრანგები სიამოვნებით აღნიშნავდენ, რომ პრინკიპოზე წასვლის მოწოდება შედგენილია ძლიერ ბუნდოვანათ *), და საერთოდ არ მალავდენ, რომ ბოლშევიკებთან ლაპარაკის სურვილი სრულიადაც არ აქვთ. **)

პრინკიპოს ყრილობა საკმაოთ წინდაუხედავათ დანიშნული იყო 15 თებერვლისთვის, მაგრამ არ შესდგა, რადგან ზოგს არ უნ-

---

*) „ეს წინადადება რომ ბუნდოვანია, სრულიად არ არის გასაკვირველი: იგი ხომ პრეზიდენტ ვილსონს ეკუთვნის“. ასეთი შენიშვნის გაკეთების არ მოერიდა კონფერენციის სამდივნოს ერთ-ერთ უმაღლეს მოხელეს.

**) ბოლშევიკებთან რაიმე საქმის დაჭერის სასირცხოების გამო, რის შესახებ მაშინ ბევრს ყვიროდენ, კარგათ ამშვიდებდა თემთა პალატას ლლოიდ-ჯორჯი; იგი მოაგონებდა მსმენელთ, რომ ჩრდილო-დასავლეთის (ინდოეთის) საზღვარზე ხშირათ გვიხდება წეს-რიგის დამყარების მიზნით შეუთანხმდეთ... ყაჩაღებსა და კაცის-მკვლელებსო. უფრო გვიან (1920 წ.), როცა იცავდა რუსეთთან სავაჭრო შეთანხმებას, იგი ამტკიცებდა: „ეკი კაცის-მკამელებთანაც გვქონდა ვაჭრობაო“.

დოდა საერთოდ მოლაპარაკება დაეწყო, ზოგი კი (საბჭოელები) არ წყვეტდა საომარ მოქმედებას. მთელ ამ ამბავს კონფერენციისთვის სახელი არ შეუმატნია. *)

... ირკვეოდა, რომ, ეგრედ წოდებულ „რუსეთის და მასთან დაკავშირებულ კითხვების“ გარჩევამდი ჯერ კიდევ ბევრი დრო არის. საჭირო იყო მოთმინებით აღჭურვა და ნელა, „გულდასმით“ მუშაობა. ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო საქართველოს კითხვის გამოსარკვევათ, საქართველოს დამოუკიდებლობის ასახსნელათ და დასაცავათ გამოითქვა ნოტების მთელ რიგში, რომელშიაც საგანი განმარტებული იყო კონფერენციისთვის საინტერესო საფუძვლებთან დაკავშირებით. კონფერენციის ახლო და გარშემო დაიწყო ის განსაკუთრებული სიცოცხლე და ფაცა-ფუცი, რომელიც არ იყო მოკლებული პოლიტიკურ მნიშვნელობას, თუმცა კონფერენციის მონაწილეთ იმდენათ ის კი არ ეხებოდა, რაზედაც კონფერენცია მართლადაც მუშაობდა, არამედ ის, რასაც კონფერენცია შესაძლებელი იყო ხელს მოჰკიდებდა, სხვადასხვა გარემოების მიხედვით.

## 57.

ასეთი მდგომარეობის გამო, საქართველოდან საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალურათ გამოგზავნილ დელეგაციის ჩამოსვლის კითხვას აღარ ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა. მისი პარიზში ჩამოსვლა—იმ შემადგენლობით, რომელიც გამოვიდა თფილისიდან, ე. ი. მრჩეველებით, სპეციალისტებით და სხვა—მაშინ იქნებოდა სასურველი და საჭირო, თუ კავკასიის კითხვები, რაიმე მოსაზრებით, გახდებოდა კონფერენციის მსჯელობის საგნათ, მაგრამ ეს არ იყო განზრახული. მეორეს მხრით, იმ დროის პირობების მიხედვით, ყოველივე მოულოდნელობას შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა· ამიტომ ფრიად სასურველი იყო რომ პარიზში ყოველი შემთხვევისთვის ყოფილიყვნენ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები, მთავრობის მიერ სპეციალურათ ამ საქმისათვის გამოგზავნილი რწმუნე-

---

*) პრინკიპოს პლანი მეტათ ზერელეთ სრულდებოდა; სრულიად უგულოთ მოქმედებდენ თვით ის სახელმწიფოები, რომელთაც ფორმალურათ იგი მიიღეს. ამბობდენ, რომ იყო „საბოტაჟიც“. იხ. საინტერესო თავი Light on Prinkipo წიგნში Sisley Huddleston. Peace-making at Paris L. 1919.

ბულნი: მე და დ. ღამბაშიძე ვიყავით აქ მხოლოდ, როგორც „წინამორბედნი“.

ასეთ წარმომადგენლებათ ჩამოვიდენ, როგორც იქნა, დიდის დაგვიანებით, სხვადასხვა კარანტინებში ჯდომის შემდეგ, ჩხეიძე და წერეთელი (1919 წლის თებერვალის სულ უკანასკნელ რიცხვებში).

მათი სახელები ჯერ კიდევ ბევრს ახსოვდა (მე ვლაპარაკობ არა სოციალისტ ფრანგებზე) მათ მიერ რუსეთის რევოლიუციის პირველ დროს პეტროგრადში დაჭერილ მდგომარეობის გამო. უმთავრესად ახსოვდათ რომ ისინი იყვნენ ბოლშევიკების წინააღმდეგი. საფრანგეთის მთავრობის თვალში არსებითად მხოლოდ ამიტომ იყვნენ ისინი კეთილსაიმედონი. რომ მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საქართველოს მთავრობასთან, რომელმაც „სახელი შეილახა გერმანელებთან და ოსმალოებთან“ ამის ანგარიშს ვერ აძლევდენ თავის თავს, რადგან ჯერ კიდევ ჯაროვანათ არ იყვენ საქმეს გაცნობილი. ისინი იყვნენ 1917 წელს უანექსო ზავის მომხრენი და სხვა; ისინი მხარს უჭერდენ სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევას—ეს უფრო საეჭვო რამეთ ეჩვენებოდა საფრანგეთის ოფიციალურ აზროვნებას; მაგრამ ასეთ წვრილმან რამეს ეხლა სერიოზულათ არავინ უკვირდებოდა. გამამხნევებლათ მოქმედებდა სწორეთ ბოლშევიკების მოწინააღმდეგე მებრძოლთა სახელი; დამამშვიდებლათ მოქმედებდა მათი სწორეთ თავდაჭერილი მ ი ნ ი მ ა ლ ი ს ტ სოციალისტების რეპუტაცია.

მეორეს მხრით, ეს ცნობილი სახელები, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ რუსეთის პარტიების პოლიტიკურ უთანხმოებასთან, აბნევდა უცხოელებს. მათ იცნობდენ, როგორც რუსეთის მოღვაწეებს, რომელნიც გამოდიოდენ რუსეთის რევოლიუციის უზარმაზარს, ყველასათვის თვალსაჩინო სცენაზე (რამდენი რეპუტაცია · გამოჩნდა და გაჭრა აქ!) და ადვილათ ვერ გაერკვიათ, თუ რათ გამოჩნდენ ისინი ეხლა ქ ა რ თ ვ ე ლ მოღვაწეებათ. ზოგიერთ უცხოელს (ინგლისელებს, ფრანგებს), რომელიც ცდილობდა ჩაკვირვებოდა საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის კითხვას, შეიძლებოდა, იქვიც კი შეპარვოდა ამ ლოზუნგის სიდინჯეში, როცა ხედავდა ასეთს უეცარს გარდაქმნას; დანარჩენებს, რუსებს, საშვალება ეძლეოდათ ეყვირათ ღალატსა და სკანდალზე. გაუგებრობა განსაკუთრებულათ ღრმავდებოდა იმითი რომ რუსეთის წრეები მათ მიაწერდენ მეტად დიდ როლს საქართველოს სახელმწიფოს საქმეებში: ზოგიერთი პირდაპირ ამბობდა „ჩხეიძისა და წერეთლის მთავრობა თფილისში“

და გულისხმობდენ საქართველოს მთავრობას. სინამდვილეში კი, თუ დავასახელებთ, ბეკრათ უფრო საფუძვლიანი იქნებოდა გველაპარაკნა ჟორდანიას, რამიშვილის, გეგეჭკორის მთავრობაზე. მაგრამ თავი და თავი იყო, რა თქმა უნდა, თვით საქართველო, რომლის ბაირაღის ქვეშ უნდა დამდგარიყვნენ მათი პირადი სურვილის წინააღმდეგ ეს მოღვაწეები.

როცა ევროპაში აგზავნიდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის *) ამ სახელოვან წარმომადგენლებს, საქართველოს მთავრობას, უეჭველია, წარმოდგენილი ჰქონდა (დეკემბერი 1918 წ.)—და იგი არ იყო ეროად-ერთი—პარიზის კონფერენცია, როგორც უმაღლესი სამსჯავრო, რომელიც მოწვეულია დაამყაროს კეთილის მყოფელი და სამართლიანი მშვიდობა. არეოპაგში—ეუბნებოდენ თავის თავს—პირველ ჭიანურს დაუკრავს პრეზიდენტი 14 მუხლით, მასთან ერთად „ინტერნაციონალი", „საერთაშორისო პროლეტარიატი", შეკავშირებული პროლეტარიატის წარმომადგენლები და სხვა. და როცა „ჩვენი კარლოსი" (ჩხეიძე) *) და „ჩვენი კაკი" (წერეთელი) გ ა მ ო ვ ლ ე ნ ამ არეოპაგის წინ, ვინ გაუძლებს? ვის არ წამოუვა ცრემლები და არ ჩაეხვევა მათ? ვინ ეტყვის მათ უარს „საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე"?

უსათუოდ, ასე ესმოდათ საქართველოს დემოკრატიის „ფართო ფენებში" მათი არჩევანი. და ასეთი შეგნება, უეჭველია, მართალი იქნებოდა, რომ ბრიტანეთის იმპერიის ინტერესებს, მაგალითად, იცავდეს კონფერენციაზე კ. კაუცკი, და საფრანგეთს გერმანიასთან სამართლიანი ზავის შესაკრავათ მოეწვია შუამავლათ ბრანტინგი... და საქართველოს არსაიდან ემუქრებოდენ თავზე დასხმით. ერთის სიტყვით, მე მინდა ვსთქვა, რომ მიმდინარე ისტორიის ერთ-ერთ მამოძრავებელი მითით მოხიბლულმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გამოგზავნა პარიზში ჩხეიძე და წერეთელი.

ეხლა რამოდენიმე სიტყვა თითეულ მათგანზე.

ჩხეიძე უსათუოდ შევა რუსეთის მარტის რევოლიუციის მოღვაწეთა „სურათების გალლერეიაში". ისტორიული სკოლა, რომე-

---

*) რომელიც გამოვიდა რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობიდან მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შ ე მ დ ე გ.

*) ჩხეიძეს საქართველოში უძახიან „კარლოს", რაც მან ხელს არ უშლის ამასთანავე იწოდებოდეს ნიკოლოზ სიმონის ძეთ.

ლიც მომავალში ქებას შეასხამს ამ რევოლიუციის განთიადს (და მხოლოდ განთიადს!), ყურადღებით შეჩერდება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პირველი თავმჯდომარის სურათოვან ფიგურაზე. სხვა სკოლები სხვაგვარად მოეპყრობიან მას. კონფეტების რომელიმე მექარხნე ჩხეიძეს უსათუოდ შეიტანს იმ პირთა სიაში, ვისიც სახე აღიბეჭდება (დანამდვილებით არ ვიცი, როდის) „მონპასიეს“ კოლოფებზე. ვინმე სპეციალისტი კი დაიწყებს მტკიცებას, რომ მთელი „გაუგებრობის“ მიზეზი მხოლოდ ის იყოვო, რომ ჩხეიძეს დიდი ხნიდან წარმოდგენილი ჰქონდა (შეცდომით) რევოლიუცია დაახლოვებით ეგრე: ჯერ უზარმაზარი შენჯღრევა, რომელიც მალე შეიცვლება საერთო ნეტარებით. საწარმოვო ურთერთობა განვითარდება სწრაფად და თავისთავად; ინტერნაციონალი ყოველ დაბრკოლებას ადვილათ გადალახავს, რის შემდეგაც დიდსულოვანი პროლეტარი და დარცხვენილი ბურჟუა—და თვით შვიდი დესიატინის მესაკუთრე, *) ყოფილი აზნაურიც კი—მიუჯდებიან სასმელითა და საჭმელით სავსე სუფრას; კოკისპირულათ წამოვა ღვინო კახური—და იგი, ჩხეიძე, იქნება სხვებთან ერთად, მორიგი ტოლუმბაში და სხ.

ისტორიკოსი (კრიტიკული სკოლის) დაუმატებს, რომ ჩხეიძე იმ ქვეყნის შვილი იყო, სადაც არ არსებობდა მრეწველობა და ამიტომ განახორციელებდა, ასე ვთქვათ, „მეევნახეთა სოციალიზმს“, რომელსაც არ შეუძლია გაიმსჭვალოს ნამდვილი—პროლეტარული რევოლიუციის სულით და მოკლებულია ჭეშმარიტ—რუსულ რევოლიუციის შეგნებას. ეს ისტორიკოსი ბოლოს დაუმატებს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პირველი თავმჯდომარე, რომელიც საკმაო ხერხს იჩენდა, რომ მესამე და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში შემძვრალიყო, თავისი კარიერის უმაღლეს საფეხურზე ბევრ რამეში იმეორებდა დროებითი მთავრობის თავმჯდომარის უმთავრეს თვისებებს (როგორც მას გვისურათებენ მცოდნე პირები) – ბოროტების წინააღმდეგ ბუდიურ უმოქმედობისა და ანგარიშ-დაბნეული კაცის გულკეთილობას.

წერეთლის ადგილი „რუსეთის რევოლიუციის პანთეონში“ და თვით უმაღლესი დადასტურება სახელისა—მისი სურათის და-

*) მიწისმფლობელობის ნორმა საქართველოში 1918-1921 წ.

წეპება მონპასიეს კოლოფებზე *)—უეჭველად უზრუნველყოფილია. მაგრამ მის კარიერაში იყო რაღაც განსაკუთრებული: უეცარი „მოვლინება“ მეორე სახელმწიფო სათათბიროში—სტოლიპინთან მჭერმეტყველობაში შეჯიბრება; ათის წლით ციმბირში მიმალვა; ისეთივე უეცარი, მაგრამ ტრიუმფით დაბრუნება პეტროგრადში—მაშინვე რევოლიუციის „საკურულო სავარძელში“ ჩაბრძანება; სიფიცხესთან უნაყოფო მისწრაფება ერთდაიმავე დროს ომისკენ, ზავისკენ, სოციალური წინააღმდეგობისკენ და ყველა ეს ბურჟუაზიასთან კავშირში, მარქსის მეთოდით რევოლიუციის მეცნიერულათ გატარების სახელით; დამფუძნებელ კრებაში უკანასკნელათ კასსანდრასებრი თავის დაჭერა სხვა რევოლიუციონერებისადმი, რომელნიც აგრეთვე მისდევდენ მეცნიერებას და მარქსს. და შემდეგ უეცრათ, მცირე სიჩუმის შემდეგ: „ამიერ-კავკასიის დემოკრატიანებას არ მისცემს ოსმალეთის იმპერიალიზმს“... და კიდევ ამის შემდეგ—„ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი საზღვრები საქართველოისა — ბორჩალოს მაზრაში“...

პირველად მას გავეცანი აქ, პარიზში. თუმცა 1917 წელს, პირველი დეპარტამენტის სენატორათ ყოფნის დროს, მე სამსახურის ვალდებულებით დავესწარი, როცა სენატის წინაშე აფიცებდენ დროებითი მთავრობის (მეორე მოწვევის) ახლად არჩეულ მინისტრებს და მათ შორის წერეთელსაც (სხვები იყვნენ: პროკოპოვიჩი, პეშეხონოვი, ჩერნოვი, სკობელევი).

სახე ტანჯული, ასკეტიური—პირდაპირ გრეკოს ტილოდან არის ჩამოსული; შესაფერი მოდელია წმინდა ფრანცისკოს სურათისათვის, როცა იგი ღებულობს სტიგმატებს ან და ვინმე წმინდა სებასტინესთვის ბიზანტიური სტილით, როცა მას ხვდება ისრები; მაგრამ როცა კარგად ჩაუკვირდებით, თქვენ ამჩნევთ თვალებს, რომელნიც გამოიყურებიან სულ ქვეშ-ქვეშ, მგლურათ.

ეს მეტად სიმპატიური მოლვაწეები, აშკარაა, ეკუთვნოდენ სახელმწიფო პირთა იმ სკოლას, რომელიც მეტათ არის გავრცელებული საქართველოში და მისი საზღვრების გარეშეთაც, და რომელიც სახეში ჰყავს ქართველ მწერალს, საბა სულხან ორბელიანს

*) მაგონდება, რომ 1904 წელს გამოშვებული იყო ტკბილისკელი—„კურო-პატკინი“, შოკოლადი „ლენევიჩი“ და სხვა!

თავისი „სიბრძნე-სიცრუის წიგნის“ ერთ-ერთ არაკში *). ძაღლი და მამალი დაძმობილდენ და სთქვეს: „სოფელი ავაშენოთო“. „როგორ ავაშენოთო?“—იკითხა ძაღლმა. მამალმა უპასუხა: „შენ იყეფებ, მე—ვიმღერებ, და სოფელი აშენდებაო“.

სამწუხაროთა და სავალალოთ, როცა წმინდა რუსეთზე, მრავალი წლის „მამლების ყივილის“ შემდეგ, რომელნიც გარიჟრაჟს წინასწარმეტყველებდენ, მართლაც ამოვიდა რევოლიუციის განთიადი, იგი ქვეყანას მოეფინა არა უცხო ფერადიან სინათლეთ, არამედ გააფთრებულ, კბილებ-დალესილ კუდიან დედაკაცათ, რომელსაც გასისხლიანებულ ხელში ეჭირა რკინით შემოქედილი კვეო! და მაშინ განთიადის მახარობელ მოუსვენარ მამლებსა და ძაღლებს, სასიკვდილოთ განწირულ წეს-წყობილების დაცემას რომ გულის შემზარავი ღმუილით შეხვდენ, შემდეგ კი გახარებული ყეფით მიესალმენ რევოლიუციის მზის ამოსვლას—ყველა მათ ერთიღა დარჩენოდათ: გზა დაეთმოთ პოლიტიკური სამხეცეთის უფრო მტაცებელ, უფრო შეგუებულ წარმომადგენლებისათვის!

აღსრულდეს დარვინისა და მარქსის ნათქვამი!

მაგრამ, ეყოფა ქების შესხმა რუსეთის რევოლიუციის ამ ორ დიდებულს, რომელთაც თავი იხსნეს იძულებით თავზე მოხვეულ საქართველოს სივიწროვისაგან და გამოვიდენ ევროპის ფართო სივრცეში.

„პრინკიპოს კონფერენცია“ რომ შემდგარიყო... და ამ „რუსეთის რევოლიუციის ლიდერებს“ (ასე უძახდენ მათ პარიზის ქრონიკორები) მასში მონაწილეობა მიეღოთ, მათ შეეძლოთ ჩვეულებრივ საზოგადოებაში ფრთა გაეშალათ. მაგრამ პარიზში იმ პირობებში, რომელშიაც ნამდვილათ მიმდინარეობდა მუშაობა, მე ვერ ვხედავდი, არსებითად როგორ შეიძლებოდა მათი ნიჭის პრაქტიკულად გამოყენება.

ჩხეიძე რომ დაიჭერდა უმოქმედობის **) და ბედის მორჩილების პოზიციას, ეს ადვილათ შეიძლებოდა წინდაწინვე გვეფიქრა.

---

*) არის ინგლისური თარგმანი; აგრეთვე რუსულიც (**Книга мудрости и лжи Грузинския басни и сказки XVII-XVIII стол. Саввы-Сулхана Орбелиани** Пер. проф. Цагарели Спб. 1878.)

**) ეს, რა თქმა უნდა, არ უშლიდა მას თავდადებულათ და გულმოდგინეთ ჩაბოეარა ყველა დელეგაცია და მნიშვნელოვანი პიროვნება, თავ-თავისდროზე ყოფილიყო საქართველოს დელეგაციის მრავალტანჯულ „თავმჯდომარეთ“ და სხვა.

წერეთლისაგან კი მოსალოდნელი იყო, რომ ევროპის სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელებთან პირად დაახლოებამ მეტს აქტივობას გამოიჩენდა (რასაც, რა თქმა უნდა, ექნებოდა თავისი მნიშვნელობა). სამწუხაროთ, მას არსებითად არ ჰქონდა არავითარი ინტერესი კავკასიის კითხვებისადმი, და საკმაოთ ვერ შეეგნო მათი საერთო მნიშვნელობა.

ორივე ადვილათ იხვეჭდა თავისთვის და საქართველოსთვის ევროპის პოლიტიკის დემოკრატიული წრეების მტკიცე სიმპატიას, მაგრამ გადამტერებულ იმპერიათა შეტაკებების დროს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მათთვის იყო მოულოდნელი და უცხო ამოცანა; ამისათვის მათ არც ძალა შესწევდათ.

## თავი მეოცდაორე

# რუსეთის აჩრდილი.

58

,,საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია'', როგორც ჩამოყალიბებული დაწესებულება, პარიზში მუშაობდა 1919 წლის მარტიდან 1920 წლის დამლევამდე. იგი იყო უმთავრესი წარმომადგენელი საქართველოისა საზღვარ-გარეთ და, გარდა პოლიტიკური კითხვებისა, აწარმოებდა აგრეთვე ზოგიერთ ეკონომიური ხასიათის საქმეებსაც; ფაქტიურათ იგი ასრულებდა საკონსულო მოვალეობებს, საკმაოდ ბევრს მუშაობდა პროპაგანდისა და ინფორმაციის სფეროში—ერთის სიტყვით, იგი იყო ერთი იმ ,,ირრეგულიალურ'' ეროვნულ-პოლიტიკურ დაწესებულებათაგანი, რომელნიც მაბეზარ მაკრატელათ ეხვეოდენ კონფერენციის ხეს; ზოგი მათგანი იყო სრულიად უსიცოცხლო, ზოგი ნელ-ნელა დასჭკნა, ზოგი კი გახდა პოლიტიკური წარმომადგენლობის კანონიერ დაწესებულებათ.

მე არ ვაპირებ, თუნდაც მოკლეთ, გადმოგცეთ საქართველოს დელეგაციის ისტორია პარიზში. მე შევჩერდები მხოლოდ უფრო თვალსაჩინო მის ნაბიჯებზე, რომელიც გადადგმული იყო იმ დროის საერთაშორისო პოლიტიკის მერყეობასა და ცვალებადობასთან შეფარდებით.

1919—1920 წელს მთელი კავკასიის მდგომარეობა საერთაშორისო პოლიტიკაში, თუ სავსებით არა, უმთავრესად მაინც დამოკიდებული იყო რუსეთის კითხვისაგან *), ე. ი. დამოკიდებული

---

*) განა არ არის გაოსაცვიფრებელი, რომ რუსეთის ეროვნული კითხვა, რომელიც ვლადიმერ სოლოვიოვისათვის იყო კითხვა ღ ი რ ს ე უ ლ ი არსებობის შესახებ, რევოლიუციის შემდეგ გადაიქცა ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ვითხვათ? მაგ-ამ ეს არის დროებითი მოვლენა!

იყო იმისგან, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა, რა შანსები ჰქონდა და როგორ შეიძლებოდა დამთავრებულიყო სამოქალაქო ომი რუსეთში და რა პოლიტიკას ადგა ამ კითხვაში დიდი სახელმწიფოები.

რაც შეეხება თვით საქართველოს, მისი შინაური სიმტკიცე თანდათან ხდებოდა ყველასათვის აშკარა. 1917 წლის მარტში დროებითმა პარლამენტმა ადგილი დაუთმო დამფუძნებელ კრებას. სამეურნეო კავშირი ევროპანთან იწყებდა განახლებას. მრავალრიცხოვან ნაკლულოვანებათა და შეცდომათა მიუხედავათ, როგორც ეტყობოდა, საქართველოში შეიძლებოდა გვარიანათ ცხოვრება.

რადგან თვით სახელმწიფოში დამოუკიდებლობის რეჟიმი განმტკიცებული იყო, პარიზის დელეგაციის ფორმალურ ამოცანას შეადგენდა, აშკარაა, მოემზადებინა მისი საერთაშორისო ცნობა,

ფაქტიურათ (ყოველ შემთხვევაში იმათთვის მაინც, ვინც კრიტიკულათ გაითვალისწინა საქართველოს დამოუკიდებლობის მომავალი, მთლიანი საერთაშორისო პოლიტიკის პირობებში) კითხვა არ ამოიწურებოდა, მარტო ევროპის სახელმწიფოების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალური ცნობით, არამედ ეს დამოუკიდებლობა უნდა შეფარდებულ ყოფილიყო (როგორც 1918 წლის ზაფხულში!) საერთაშორისო პოლიტიკის მომქმედ ფაქტორებთან, და ასეთის შეთანხმებით უნდა უზრუნველგვეყო და განგემტკიცებია იგი დამოუკიდებლობა.

ამ მხრით ზოგი რამ კეთდებოდა, ზოგი რამ უკვე გაკეთდა არა მარტო ლონდონში, არამედ პარიზშიაც. მუშაობის მეთოდები ხომ წინათაც ნაცადი და გამოყენებული გვქონდა ბერლინში.

პარიზის დელეგაცია 1919 წ. იძულებული იყო განეგრძო ის მუშაობა, რომლის საფეხურები იყო: ბათომი-ფოთი-ბერლინი-ლონდონი. შემთხვევით არ მომხდარა, რომ დელეგაციის თავმჯდომარემ, რომელსაც კონსტანტინოპოლში გარს ეხვია თვალსაჩინო სპეციალისტები და ბევრი დრო ჰქონდა, არ მიაქცია ყურადღება და პარიზის კონფერენციისათვის არ დაამზადა, საქართველოს მოთხოვნილებებისა და შეკითხვების თუნდაც მოკლე შინაარსი. შემთხვევით არ მოუნდვიათ ჩემთვის ეს საქმე: ასეთის მოქმედებით სწორეთ რომ უზრუნველი ხდებოდა მუშაობისთვის საჭირო თანამიმდევნობა. *)

---

*) მე ვიყავი დელეგაციის ერთად-ერთი წევრი, რომელმაც „გადავლახე“ ყველა ეს „საფეხური“. საქართველოს მოთხოვნილებათა შინაარსი მე აქ უძახი ჩვენს უმთავრესს მეორანდუმს, რომელიც მივრთვა პარიზის კონფერენციას 14 მარტს 1919 წელს. იხ. გვ. 246.

მეორეს მხრით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის გამოჩინებულ წარმომადგენლებს ჩხეიძესა და წერეთელს, რომელნიც ჩამოვიდენ პარიზში, არ შეეძლოთ არ შეეტანათ მუშაობაში თავისი პირადი, უფრო კი პარტიული ჰანგები; ეს გამომეღავნდა უფრო იმის გარეშე, რაც კეთდებოდა და უნდა გაკეთებულიყო პირდაპირი ჩვენი ამოცანისთვის—საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის. აუცილებელ შედეგათ ამას მოჰყვა წინააღმდეგობა წერილობით ან სიტყვიერათ დასავლეთის მთავრობებთან ოფიციალურათ განცხადებულსა და იმავე თემაზე სოციალისტურ ორგანიზაციების წრეებში ნათქვამს შორის. ამ წინააღმდეგობაში, შეიძლება დიდი უბედურება არ ყოფილიყო იმდენათ მიკროსკოპიული იყო იგი „ევროპიულის მასშტაბით". მაგრამ ამ გაორებაში, რა თქმა უნდა, თავს იჩენდა ის ორგანიული სენი, რომელიც კარგს რამეს არ უმზადებდა საქართველოს.

ეს დაიწყო ჩვენი ახლად ჩამოსული „ჩემპიონების" მუშაობის პირველ დღეებიდანვე. მოძრაობის დასაწყისის ბუნებრივ სიმკვირცხლით მათ თავიდანვე ოდნავ გადალახეს მათთვის გამზადებული კალაპოტი. განცხადებებში, რომელიც მათ მისცეს საფრანგეთის სოციალისტებს, და რომელიც გამოქვეყნებული იყო, ნათქვამია, მაგალითად, რომ საქართველოში პარლამენტი და დამფუძნებელი კრება იმყოფებიან მუშათა დეპუტატების საბჭოს კონტროლის ქვეშ, და რომ მთელი ძალა უკანასკნელს ეკუთვნის. გამოთქმული იყო აგრეთვე დებულება რომ საქართველო არის „სოციალისტური" რესპუბლიკა, რომ იგი დაუბრუნდება რუსეთის წიაღს, თუ იქ გაიმარჯვებს მენშევიზმის (sic) დოქტრინა და თან უმატებდენ, „ჩვენ წინააღმდეგობას გაუწევთ რუსეთის საქმეებში უცხოეთის ჩარევას" და სხვა. *)

ყველა ეს აზრი, რა თქმა უნდა, მშვენიერია. კერძოთ, „საბჭოსა" და „პარლამენტის" შესაზავების იდეა, შესაძლებელია ზოგიერთ პირობებში გამომდგარიყო თავ-დაცვის ფერათ, მაგრამ სულ სხვა ადგილას; მაგრამ არა პარიზში კონფერენციის დროს და არა ოფიციალური დეპუტატების ბაგეზე. „ჩვენ წინააღმდეგობას გაუწევთ" იძლეოდა საღი იუმორისთვის მასალას, მაგრამ იგი ეხებოდა რუსეთსა და ევროპის ურთიერთ-განწყობილებას, და რუსეთის სა-

---

*) იხ. Le Journal du Peuple, 13 მარტი 1919 წ., La France Libre, 13 მარტი; შეადარე Petit Parisien, 8 მარტი, იგივე წელი.

მოქალაქო ომს—ხოლო თანახმად საქართველოს მთავრობის ოფიციალური დოქტრონისა, საქართველოს ამ საქმეებში უნდა დაეცვა ნეიტრალიტეტი.

ამ ეპიზოდს მოკლეთ შევეხე უმთავრესად იმ მიზნით, რომ მეჩვენებინა, თუ თავიდანვე როგორ აიძულებდა საქართველოს მთავრობის პარტიული პოზიცია წარმომადგენლებს ისეთი გამოსვლები და მანევრები ეწარმოებიათ, რომელნიც ეწინააღმდეგებოდენ არა მარტო მთავრობისა და საქართველოს ინტერესებს, არამედ მათსავე ოფიციალურ საქმიანობას. ჩვენ კიდევ შევხვდებით ამ გაორების მაგალითებს, რომელნიც არსებულ პირობებში სრულიადაც არ ნიშნავდენ ერთი და იმავე მიზნისკენ სხვადასხვა გზით სიარულს, არამედ ორივე გზაზე ბადებდენ გაუგებრობას და გვიმზადებდენ სასოწარკვეთილებას.

1919 წელში ჩვენი მუშაობის უმთავრეს საგანს შეადგენდა, განყენებულათ რომ ვთქვათ, საქართველოს (და კავკასიის სხვა რეს-პუბლიკების) დამოუკიდებლობის დაცვა, რადგან დაწყებული იყო მ თ ლ ი ა ნ ი რ უ ს ე თ ი ს ა ღ დ გ ე ნ ა. ასეთის ბაირაღით დაიწყო მოქმედება დენიკინმა, კოლჩაკმა და ყველამ, ვინც იბრძოდა მოსკოვის წინააღმდეგ; ამ მოძრაობას სხვადასხვა მისწრაფებით და სხვადასხვა გვარათ თანაუგრძნობდენ ევროპის უმთავრესი კაბინეტები და ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა. პრაქტიკულათ ჩვენ უნდა დავხმარებოდით ტფილისის მთავრობის ცდას, როგორმე თავი დაეღწიათ რუსეთის ჯარების შესაძლებელ „შემთხვევით“ შემოსევიდან.

## 59.

საბჭოთა მთავრობის ოფიციალური მოძღვრება, ეგრედ წოდებულ, განაპირა, უცხო ტომთა შესახებ, არსებითად შეიცავდა ხალხთა თავისუფალ თვითგამორკვევის (რუსეთიდან სრულს გამოყოფამდე) უფლებას; ამ დოქტრინას ერთგვარი მსგავსება აქვს სამხრეთისა და ჩრდილოეთის ომის დროის, სამხრეთის შტატების იდეოლოგის კალგუნას ცნობილ მოძღვრებასთან, რომლის ძალით ამერიკის შტატებს თავისუფლად შეეძლოთ ფედერაციის შემადგენლობიდან გამოსვლა.

რუსის თეთრების შეხედულება გამოითქვა დეკლარაციაში, *) რომლითაც რუსული პოლიტიკური კონფერენცია პარიზში გამოვიდა სწორედ პრინკიპოს პროექტის ხანაში, ე. ი. 1919 წლის იანვარში. აქ სავსებით ნათლად იყო გამოცხაცებული, რომ ახალმა რუსეთმა ნება-ყოფლობით დაუბრუნა პოლონეთს იმსი ტერიტორია, მაგრამ მორჩა და გათავდა! შემდეგში ველარ შეუთანხმდება სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევას. იგივე საბუთი განმარტავდა, რომ „სახელმწიფოს ჩარჩოებში (ე. ი. მთლიანი რუსეთის სახელმწიფოს) ეროვნებათა პოლიტიკური მდგომარეობა განსაზღრული იქნება მათი კულტურული დონითა და მათი ისტორიული ტრადიციებით"; აქ არ იყო ნაჩვენები, თუ ვინ იქნებოდა კულტურის ამწონ-დამწონი („მოსამართლე ვინღა იქნება?") და რა ისტორიული ტრადიციებია ნაგულისხმევი (რაინდულ-გერმანელი წყობილება ბალტიის მხარეზე? გეტმანობა? საქართველოს სამეფო?). უეჭველი ხდებოდა მხოლოდ, რომ თვით ფინეთსაც კი არ სთვლიდენ დამოუკიდებლათ. დანარჩენი სახელმწიფოები, რომელიც ფაქტიურათ დაარსდენ ყოფილი იმპერიის საზღვრებში, არც იყო ნახსენები. ასეთი საბუთები უნებურათ უადვილებდენ განაპირა ადგილებს საკუთარი სახელმწიფოებრივი არსებობისათვის ბრძოლას.

როგორი იყო ევროპის სახელმწიფოების განწყობილება ამ კითხვისადმი? ინგლისელებთან, ფრანგებთან მუსაიფში მუდამ წამოიჭრებოდა კითხვა ახლად აღმოცენებულ განაპირა სახელმწიფოთა რუსეთთან ფედერატიულათ შეერთების შესახებ, რაც იქნებოდა საშუალო გადაწყვეტილება სრული ჩამოშორებისა და მთლიანი, ე ი. ერთი სრულიად რუსეთის სახელმწიფოს შორის.

აქ იყო რამდენიმე მიმართულება. ახალი რესპუბლიკები, თავისი არსებობის ფაქტით, თანდათან ხდებოდენ ერთგვარი მნიშვნელობის წევრათ, მათ შეეძლოთ ცოტაოდენი თანაგრძნობისა და დახმარების იმედი ჰქონოდათ; იკვრებოდა და შეიძლებოდა შეკრულიყო თვალსაჩინო ახალი ეკონომიური კავშირიც ამა თუ იმ დიდ სახელმწიფოსთან, და ამით შესაძლებელი ხდებოდა პოლიტიკური ყურადღების მიქცევაც.

---

*) სახელი „თეთრი" სიმოკლისთვის არის ნახმარი. დეკლარაციის ტექსტი იხ. Temps, 30,1. 1919.

ყოველ ამ მოსაზრების შესახებ არსებობდა იქვე და საწინააღმდეგო საბუთი; ევროპისათვის ძლიერი რუსეთის*) მნიშვნელობა, თუნდაც საერთო ქაოსის დასამშვიდებლათ, იქვს გარეშე იდგა; მისდამი სასიკეთოთ განწყობილი ტრადიცია მეტათ სიცოცხლის უნარიანი გამოდგა; სახელმწიფოთა წრეში მის დაბრუნებას, მართლაც, ელოდენ—და მაშასადამე ამ მხრით მიიწევდა ყველა. ამიტომ ეგონათ, რომ „ფედერაციის“ ფორმულა ყველას შეარიგებს.

ყველა ამ კითხვამ მწვავე მნიშვნელობა მიიღო იმ დროიდან, როცა ადმირალ კოლჩაკის და შემდეგ გენერალ დენიკინის სამხედრო წარმატებამ ბევრს საშვალება მისცა ეწინასწარმეტყველებინა საბჭოთა ძალა უფლების დაცემა და ახალი მთავრობით მისი შეცვლა.

ამ დროს ახალ რესპუბლიკებს (ბალტიისა და ამიერ-კავკასიისას) საკმაოთ კარგათ იცნობდენ სახელმწიფოები. პარიზის კონფერენციამ ნამდვილათ იცოდა, თუ რა სურდა და რისი იმედი ჰქონდათ მათ. რუსეთზე უფრო ადრე და უფრო კარგათ ამ რესპუბლიკებში მოხერხდა ხალხურ წარმომადგენლობაზე აშენებული სახელმწიფოებრივი წეს-რიგის მოწყობა. ევროპის სახელმწიფოთა აგენტებს ადგილობრივ შეეძლოთ თვალით ენახათ, შეედარებიათ, შეეფარდებიათ და დარწმუნებულიყვნენ.

ამ ახალი და ნამდვილი ხალხური რესპუბლიკების უგარანტიოთ, ვალდებულებათა მიუღებლათ, როგორც სამარადისო ქონების, „გადაცემა“ აღდგენის პროცესში მყოფ რუსეთის მთავრობისათვის,—ისეთი ზომა იქნებოდა, რომელიც უეჭველათ გამოიწვევდა დრტვინვასა და უკმაყოფილებას.

## 60.

არ დავიწყებ მსჯელობას, სამხედრო თვალსაზრისით, ვინ უფრო ახლოს იყო მიზანთან და ვინ მოქმედებდა მეტის პოლიტიკურის გონიერებით, კოლჩაკი (1919 წ. გაზაფხულზე), თუ დენიკინი (იმავე წლის შემოდგომაზე)—ამ მეთაურების პირად სახელებს ვხმარობ, რა თქმა უნდა, მთელი კრებულის აღსანიშნავათ: პარიზის

*) აზრი, რომ „ძლიერი რუსეთი“ შესაძლებელია საბჭოთა მოსკოვიდანაც აშენდეს, მნიშვნელობას ღებულობს ერთის წლის შემდეგ, ე. ი. 1920 წელს.

კონფერენციის ხანაში „რუსეთის კითხვის“ განვითარების უმაღლესი წერტილი და რუსეთის საქმეებში სახელმწიფოთა კოლლექტიური პოლიტიკის უმთავრესი მაჩვენებელი იყო — გამოთქმა იმ პირობებისა, რომელთა საფუძველზე თანხმდებოდენ სახელმწიფოები (ბრიტანეთის იმპერია, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, იაპონია, იტალია) ეცნოთ, ეგრედ წოდებული, ადმირალ კოლჩაკის მთავრობა. *)

1919 წ. მაისის დამლევს უმაღლესი საბჭოს მიერ დამუშავებული იგი პირობები, სხვათა შორის, წინათვე აღნიშნავდენ (მუხ. 5), რომ რუსეთსა და მის განაპირა ადგილებზე ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმთა შორის „ურთიერთი განწყობილება განსაზღრული იქნება“ ხელშეკრულებათა წესით, ჯერ დიდი სახელმწიფოების და შემდეგ ერთა ლიგის დახმარებით.

თუმცა ამ საგნის შესახები ტექსტები და განცხადებები **) ბუნდოვანი იყო, მაგრამ ჩემის აზრით, ახალგაზდა, განაპირა მთავრობებისათვის ეს იყო დიდი წარმატება და ნაბიჯის წინ გადაგმა: განაპირების კითხვა რუსეთის შინაური პოლიტიკისა და ნებისყოფის სფეროდან — საუკეთესო შემთხვევაში „რუსეთის სახელმწიფოს ხალხის“ ნებისა და პოლიტიკის სფეროდან — ხდებოდა საერთაშორისო კითხვათ. დიდი სახელმწიფოები ხელს უწყობდენ რუსეთის აღდგენას და თან ესმოდათ, რომ რუსეთის აღდგენის მეთაურთა სახელმწიფოებრივი განვითარება ვერ უზრუნველყოფს სიბრძნეს, სამართლიანობასა და მშვიდობის მოყვარეობას განაპირა ქვეყნების ამოცანის გადაწყვეტაში, და ურყევი შედეგების მისაღწევათ, სრულიად ახალ გზაზე დააყენეს მთელი საქმე.

სწორეთ ამ დროს ბრიტანეთის დელეგაციის ერთ-ერთმა ექსპერტმა მითხრა: „მე მგონია, საქართველო და სხვა ქვეყნები, რომელნიც ასეთსავე მდგომარეობაში არიან, კმაყოფილი იქნებიან ჩვენ მიერ დადებულ პირობებით.“ შევნიშნავ, რომ ეს სრულის აუცილებლობით არ იყო გამოთქმული მოკავშირეთა ზემომოყვანილ ნო-

---

*) ამას წინ უძღოდა ენერგიული „მხედრული“ დამზადება ნიადაგისა ევროპის პრესაში Times-ის მეთაურობით.

**) დიდი სახელმწიფოების „განაპირა“ პოლიტიკის კითხვის შესახებ 1919 წელში სასარგებლო ცნობები აქვს Gaston Gaillard-ს. Le Nouvement Panrusse et les Allogènes. P. 1919. იქვე აღნიშნულია განაპირა ქვეყნების დელეგაციების სხვადასხვა ზოგადი მოქმედება.

ტის ტექსტში, მაგრამ მხედველობაში სწორეთ რომ ჰქონდათ საერთაშორისო გარანტიით ახალი რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი ავტონომიის დამტკიცება. ასეთი იყო ინგლისელების განმარტება. ასეთივე შეხედულება ჰქონდათ ამერიკელებს. მთელი ამ კითხვის დაყენება ხომ, არსებითად, ეკუთვნოდა ინგლისსა და ამერიკას.

ამერიკის დელეგაციაში დამიდასტურეს, რომ კოლჩაკისადმი ნოტაში სახელმწიფოები შეჩერდენ განაპირა ქვეყნების არა სრულ დამოუკიდებლობაზე, არამედ ავტონომიაზე, ხოლო ურთიერთობა ავტონომიებსა და რუსეთს შორის იქნება საერთაშორისო კონტროლის ქვეშ. ნათქვამს, თითქოს დასამშვიდებლად, უმატებდენ: ,,შეუძლებელია უარისყოფა, რომ ამ გადაწყვეტილებას აკლია თანამიმდევნობა და იგი პრინციპიალურათ საეჭვოა, მაგრამ რა ექნათ! სახელმწიფოებმა ვერ გადასწყვიტეს რუსეთის დანაწილება''.

ამაზე წინეთ ჩვენ ვცდილობდით (ამაოთ), რომ კონფერენციასთან დაეარსებიათ ,,კავკასიის საქმეებისათვის'', ბალტიის მაგალისამებრ *), განსაკუთრებული კომისია. კოლჩაკის ხანამ ამ საქმეს ხელი შეუშალა — ყოველ შემთხვევაში, ასე მარწმუნებდენ ამერიკის დელეგაციაში.

,,ამ გვარათ, გადაწყვეტილია, რუსეთს უკანვე ,,მიეცეს განაპირები''—შევეკითხე ერთხელ ამერიკის ექსპერტს (რუსეთისა და პოლონეთის საქმეებში,) პროფესორ ლორდს. ,,თქვენ რატომ-ღა ფიქრობთ, რომ რუსეთის თვითნებობაზე იქნებით მიტოვებული? არა, თქვენ მარტო არ დაგტოვებენ: სახელმწიფოები და ერთა ლიგა მოაწესრიგებს თქვენსა და მის შორის ურთიერთ განწყობილებას''.

სჩანს, ასეთი იყო ჩვენი კითხვისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დელეგაციების ნამდვილი შეხედულება. ეს შეხედულება ბუნებრივათ იწვევდა მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ მომავალში, გაერთიანებულსა და გაძლიერებულს

---

*) უკვე აქ გამოირკვა მთელი უპირატესობა, რომელსაც ანიჭებდა ბალტიის რესპუბლიკებს-გერმანიასთან მეზობლობა. კონფერენციას არ შეეძლო მათი კითხვები არ განეხილა, რადგან გერმანიასთან ზავის დადება შეადგენდა კონფერენციის უმთავრეს საქმეს. გეოგრაფიული (და მაშასადამე პოლიტიკური) მდგომარეობა საქართველოისა კი სხვაგვარი იყო.

რუსეთს... რომ წინააღმდეგობა გაეწია გამონახულ გადაწყვეტილებისათვის.

აქვე დაუმატებ, რომ კოლჩაკის ხანამ დროებით შეაფერხა სომხეთზე (და კავკასიაზე) ამერიკის მიერ მანდატის მიღების კითხვაც.

---

განაპირა ქვეყნების მთავრობები უარყოფით შეხვდენ ზემომოყვანილ გეგმას, რომელიც საერთოდ რაღაც ჩანასახს წარმოადგენდა.

საქართველოს დელეგაციამ, ისე როგორც სხვებმა, ჯერ კიდევ 1919 წლის მარტში წარუდგინა კონფერენციას მემორანდუმი, რომელშიაც ფორმალურად იყო დასაბუთებული შუამდგომლობა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ და აღნიშნული იყო, თუ რა ტერრიტორიას მოითხოვდა იგი და სხვა. მომარანდუმს ხელს აწერდა საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს იყო პარიზის დელეგაციის თავმჯდომარეთ. დამფუძნებელი კრება ზეიმით გაიხსნა ტფილისში 12 მარტს და პირველი თავისი აქტით ერთხმად დაამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის დეკლარაცია. ყველგან, მთელს საქართველოში დიდის აღტაცებით გადაიხადეს დამოუკიდებლობის პირველი წლის თავი, 26 მაისი; დამოუკიდებლობის შანსები, როგორც სჩანდა, დღითი-დღე მრავლდებოდა და არა სუსტდებოდა. ამიტომ არ არის საკვირველი, რომ საქართველოს დელეგაციამ, როცა კონფერენციას აცნობა დამფუძნებელი კრების ზემოაღნიშნული აქტი, 1919 წლის 26 მაისის ნოტაში განაცხადა, რომ „თუ რუსეთის კითხვა გადაწყდება, საქართველოს რესპუბლიკის უფლებრივ არსებობას უნდა მიეცეს სათანადო ყურადღება“, და რომ „თუ სახელმწიფოები რომელიმე მთავრობას მიანიჭებენ რუსეთის წარმომადგენელის უფლებას, საქართველო ფორმალურად და განსაზღვრულის წესით უნდა იქნეს გამორიცხული ამ მომავალი რუსეთის სახელმწიფოს ტერრიტორიიდან“.

როცა გამოქვეყნდა საბუთები დიდი სახელმწიფოების მიერ ადმირალ კოლჩაკის მთავრობის ცნობის კითხვის შესახებ, „ახლად აღმოცენებული“ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა შეიტანეს კოლლექტიური განცხადება თავიანთი დამოუკიდებლობის დასაცა-

ვად. ეს 17 ივნისის 1919 წლის დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერდენ თოფჩიბაშევი (აზერბაიჯანი), პოსკა (ესტონეთი), ჩხეიძე (საქართველო), მეჰიეროვიცი (ლატვია), ჩერმოევი (მთიულთა რესპუბლიკა), დე-ლუტკევიჩი (ბელორუსია) და სიდორენკო (უკრაინა), უარყოფდა საერთო რუსეთის მთავრობის ავტორიტეტს ჩამოთვლილ რესპუბლიკების მიმართ და მოითხოვდა კონფერენციიდან მათი დამოუკიდებლობის ცნობას.

დასასრულ, კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებმა აზერბაიჯანის, საქართველოს და მთიულთა რესპუბლიკების სახელით (სომხეთი ამ გამოსვლებში მონაწილეობას არ იღებდა) კონფერენციას მიმართეს 20 ივნისს ცალკე დეკლარაციით, სადაც აღნიშნავდენ, რომ ისინი მხედველობაში ღებულობენ დიდი სახელმწიფოების მიერ „განაპირა" კითხვის გადასაწყვეტათ გამოქვეყნებულ წეს-რიგს და თან ადასტურებდენ, რომ ისინი მტკიცედ სდგანან დამოუკიდებლობის და რუსეთისაგან სრულ ჩამოშორების ერთხელვე დაჭერილ პოზიციიზე.

მაგრამ შედეგათ იმ უბედურებისა, რომელიც წილად ხვდა თეთრების მოძრაობას ჯერ კოლჩაკის და მერმე დენიკინის წინამძღოლობით, 1919 წლის გაზაფხულის დამლევს ჩასახული პროგრამა, პროგრამა რუსეთისა და განაპირების კითხვის გადასაჭრელად, პროგრამა, ესოდენ მნიშვნელოვანი ახალი ევროპის არხიტექტონური „ანსაბლის" გამოსარკვევათ, დარჩა განუხორციელებელი.

## თავი მეოცდასამე

## საქართველო და მოხალისეთა ლაშქარი.

### 61

რა რიგ საინტერესოც არ იყო პარიზის კონფერენციის აკადემიურ მწვერვალებიდან მომავალი შესაძლებლობების გაპვრეტა, მთელი 1919 წლის განმავლობაში ჩვენ მაინც გვქონდა საკუთარი პრაქტიკული მწვავე საგონებელი—როგორ გადაგვერჩინა საქართველო და ამიერ-კავკასია მოხალისეთა ჯარების თავდასხმიდან?

იმ ხანაში, რომელიც დაკავშირებული იყო დენიკინის სახელთან, ეს ლაშქარი სამართლიანად ითვლებოდა ერთ-ერთ უმთავრეს (1919 წლის შემოდგომაზე იგი უმთავრესი იარაღი იყო) ძალათ ახალი მოსკოვის (საბჭოთა) სახელმწიფოსთან ბრძოლაში. ეს არმია მრავალ მხრივ დამოკიდებული იყო მოკავშირეებისაგან, რომელნიც აწვდიდენ მას ყოველგვარ დოვლათს. სახელმწიფოებთან ამ კავშირის გამო თითქოს შესაძლებელი იყო დამყარებულიყო ერთგვარი modus vivendi „თეთრებსა“ და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის, მით უმეტეს, რომ „თეთრები“ მიისწრაფოდენ ჩრდილოეთისკენ, რესპუბლიკებს კი ჰფარავდა კავკასიის მთაგრეხილი, და ინგლისი, მოხალისეთა მეცენატი, იყო იმავე დროს რესპუბლიკათა ზედამხედველი, რომელსაც 1919 წლის პირველ ნახევარში ბაქოსა, ტფილისსა და ბათომში ჰყავდა თავისი ჯარის რაზმები. მაგრამ განსაზღვრული modus vivendi არას დროს არ დამყარებულა; მოხალისეთა ლაშქარი, თითქოს ემორჩილებაო თავისი არსებობის და დანიშნულების შინაგან კანონს—სტიქიურად მიისწრაფოდა, რომ (პირდაპირი თავისი მიზნისათვის სრულიად უსარგებლოთ) როგორმე „მოკლე დარტყმით“ ძირს დაეცა საქართველო და აზერბა-

ჯანი, რომელთა დამოუკიდებლობას იგი, რა თქმა უნდა, არა სცნობდა *).

ნე, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ მოვიყვანო თვით უმთავრესი ფაქტები ამ დახლართული, გაგრძელებული და მრავალმხრივ უაზრო ჩხუბის ისტორიიდან. მხოლოდ ვიტყვი, რომ მოხალისეებს გაუწიეს საკმაოთ ენერგიული წინააღმდეგობა. და გაფაციცებულმა ყურადღებამ, რომლითაც პარიზის კონფერენცია, პრესსა და ევროპის საზოგადოებრივი აზრი შეხვდა ამ კონფლიქტს, რა თქმა უნდა, არ გააღრმავა რუსეთის გამაერთიანებლებისადმი სიმპატია. მაგრამ ეხლა, მგონი, ყველამ შეიცნო გენერალ დენიკინის შეცდომები საერთოდ კავკასიის პოლიტიკაში.

მაგრამ, თუ მოხალისეთა ლაშქარს ემჩნეოდა სურვილი უეცრად დაეპირა საქართველო და აზერბაიჯანი იმ ანგარიშით, რომ ევროპა ქედს მოიხრის მომხდარი ფაქტის წინაშეო, საქართველოს მთავრობასაც მოსდიოდა შეცდომები, რომელთა თავიდან აცდენა არ იყო ძნელი.

აქ მე მხედველობაში მაქვს განსაკუთრებით სოჭის ოლქში შეჭრა და ტუაფსეს დაკავება (1918 წლის ზაფხული). რათ შვებოდენ ამას? რომ „მოეგოთ" ზედმეტი ტერრიტორია? ამ გზას აუცილებლივ მოჰყვებოდა დავა არა მარტო მოხალისეთა ლაშქართან და საერთოდ მის მოიმედე რუსულ ჯგუფებთან, არამედ ყუბანის ავტონომისტებთან, რომელთა მეგობრობა ქართველებისათვის განსაკუთრებულად ძვირფასი იყო და მთიულებთან, რომელთაც აგრეთვე ჰქონდათ (სხვა კითხვაა, თუ რა შანსებიო!) პრეტენზიები ამ მიწაწყალზე. ერთის სიტყვით, არა თუ ტუაფსეში, სოჭაშიდაც ქართველებს არაფერი ჰქონდათ გასაკეთებელი. ადგილობრივი სხვადასხვა ორგანიზაციების რეზოლიუციები „საქართველოსთან დროებით შეერთების" შესახებ ამ მხრივ მდგომარეობას არ სცვლიდა. კითხვა

*) 25 სექტემბერს, 1918 წელს საქართველოს რესპუბლიკის, ყუბანის მთავრობის და მოხალისეთა ლაშქრის წარმომადგენლების თათბირზე გენერალმა ალექსეევმა გადაჭრით განაცხადა: „მე საჭიროთ ვთვლი განვაცხადო, რომ მ ო ხ ა ლ ი ს ე თ ა ლ ა შ ქ ა რ ს ა რ ა ფ ე რ ი ა ქ ვ ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ა მ ო უ კ ი დ ებ ლ ო ბ ი ს ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო დ ა მ ა ს ს ა ვ ს ე ბ ი თ ს ც ნ ო ბ ს; დეე იცოდეს საქართველომ, რომ ამ მხრით იგი სავსებით უზრუნველყოფილია". „Документы и материалы" გვ. 391. ეს ანდერძი შემდეგში ღრმა დავიწყებას მიეცა.

რჩებოდა წმინდა პოლიტიკური: სოჭის ოლქის შემოერთება საქართველოს უმატემდა კიდევ ერთ შეხლა-შემოხლის სიპრტყეს და ასეთი სიპრტყეებით კი, საქართველო ისედაც საკმაოთ მდიდარი იყო *).

როცა თავხედობით მოექცენ ისეთს ადგილს, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ (ნ. რამიშვილის პრემიერობის დროს), შესაძლებელია, იფიქრეს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის სახელისთვის უკვე უხერხულია სოჭის დატოვება. 1918 წლის სექტემბრის დამლევს ამ უსიამოვნო საქმის მოხალისეთა ლაშქართან (გენერალი ალექსეევის სიცოცხლეში) და ყუბანის მთავრობასთან (თავმჯდომარე—ბიჩი) მოსაწესრიგებლად საქართველოდან ეკატერინოდარში გაემგზავრა ე. გეგეჭკორი გენერალი მაზნიაშვილის თანხლებით: ისინი იძულებული შეიქნენ დაეცვათ სრულიად უსამართლო საქმე („სოჭი დროებით უნდა დარჩეს საქართველოს ხელში) *).

მაშინ კითხვა გადუჭრელი დარჩა. უფრო გვიან, ინგლისელების დროს, საქმე შეტაკებამდის მივიდა. სხვადასხვა ხლაფორთის მერმე საქართველომ სოჭის ოლქში დაიკავა საზღვარი მდინარე მეხადირის პირათ, ე. ი. შეინარჩუნა გაგრის ოლქის მფლობელობა. გენერალი დენიკინი კი მოითხოვდა ამ ოლქის ქართველების მიერ დაცლას (მხოლოდ 1905 წელს იგი სოხუმის ოლქს ჩამოაშორეს და ყუბანის ოლქს შეუერთეს) ე. ი. აფხაზეთის იმ ნაკვეთის დაცლას, რომელიც ეხლა საქართველოს ეჭირა. ინგლისის მთავრობამ გაიყვანა დემარკაციული (გამყოფი) ხაზი, რომელსაც არ უნდა გადასცილებოდა გენერალ დენიკინის ჯარი და მოითხოვდა (11 ივნისი, 1919 წ.), რომ ქართველებს დაეხიათ მდინარე ბზიბის იქეთა ნაპირზე. „ამ პირობის შეუსრულებლობა—სწერდა ამის გამო გენერა-

---

*) ზოგიერთი აღნიშნავდა, რომ სოჭის ოლქი საჭირო იყო ქართველობის გადასასახლებლად. ასეთი მისწრაფება იქითკენ მართლაც ემჩნევა. მაგრამ ვიმეორებ; საქართველოს მაშინდელ მდგომარეობაში საჭირო იყო ასეთი გართულების თავიდან მოშორება, რომელიც არ იყო აუცილებლობით გამოწვეული.

**) მრავალმხრივ ძლიერ საყურადღებო ანგარიშები ამ და სხვა კითხვების შესახებ თათბირისა, რომელიც მოხდა 25 და 26 სექტემბერს 1918 წ., იხილ. „Документы и материалы". აღვნიშნავთ აქვე, რომ ე. შულგინი ერთ-ერთ სხდომაზე უსაყვედურებდა გეგეჭკორს, მესამე სახელმწიფო სათათბიროში წარმოებულ ოპოზიციონურ მუშაობისათვის და ივიწყებდა, რომ ნიკოლოზ მეორე ტახტიდან ჩამოაგდო არა გეგეჭკორმა, არამედ მან, შულგინმა.

ლი კორი საქართველოს მთავრობას—გამოიწვევს საქართველოსადმი დიდი ბრიტანეთის კეთილ განწყობილების შეწყვეტას, და აიძულებს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის მთავრობას, უარი განაცხადოს გენერალ დენიკინის ხელის შეშლაზე, თუ იგი აღნიშნული ხაზის სამხრეთით წაიწევს". ამ მოწოდებაზე საქართველოს მთავრობამ უპასუხა, გაგრის ოლქის დროებითი ნეიტრალიზაციის გეგმით: მეხადირზე და ბზიბზე (ეს იყო სადავო სივრცე) უნდა დამდგარიყვნენ მოკავშირეთა გუშაგები, სანამ საზღვრების კითხვას არ გადასწყვეტდა კონფერენცია (ისევ „კონფერენცია"!)

საქართველოს დაცვისათვის უფრო ხელსაყრელი საზღვრის დაჭერას ამართლებდა უცილობელი საშიშროება, რომელსაც ამ დროს წარმოადგენდა მთელი ამიერ-კავკასიისათვის მოხალისეთა ლაშქარი: სწორედ იმ ხანათ მოხალისეებმა დაიჭირეს პეტროვსკი და დერბენდი, გათელეს მთიულთა რესპუბლიკა ჩრდილო კავკასიაში და დაიწყეს აზერბაიჯანის ტერრიტორიის დაკავება. და თვით ის სივრცე, რომელიც ამ მიზნით უნდოდათ ქართველებს დაეჭირათ, არ აღემატებოდა სქართველოს ტერრიტორიალურ, გონიერ მოთხოვნილებას.

სადემარკაციო ხაზის გავლებით ბრიტანიის სარდლობა სცდილობდა დასასრული მიეცა მოხალისეების ამიერ-კავკასიაში შეჭრისათვის და მათი სურვილისათვის გვერდებიდან შემოეარათ ბუნებრივი საზღვრი—კავკასიის მთაგრეხილი. თუმცა მოკავშირეთა სამხედრო ხელისუფლებას დიდი მნიშვნელობა და განმავლობა ჰქონდა, მაგრამ თვით საქართველომ და აზერბაიჯანმაც მიიღეს, როგორც სჩანს, თავისი თავდაცვისათვის საკუთარი ზომები. კერძოთ, მათ შეჰკრეს სამხედრო—თავდაცვითი კავშირი (16 ივნისი, 1919 წ.).

მოსალოდნელმა საშიშროებამ არაჩვეულებრივი აღელვება გამოიწვია მთელს საქართველოში: იგი თავს იჩენდა მეტად თავდაუჭერლად პრესსაში, პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვებში, რეზოლიუციებში და სხვა.

ყველა ეს ფაქტი მე გავიხსენე იმის აღსანიშნავად, რომ საქართველოს დელეგაცია მიჰყვებოდა მთელი ხალხის მაჯისცემას და აკეთებდა, რაც კი რამ შეეძლო, რათა დაერწმუნებია ევროპის მთავრობები, უფრო სისწორით რომ ვთქვათ, უმაღლესი საბჭო, რომ საჭიროა შეზღუდული იქმნეს მოხალისეთა მისწრაფება ამიერ-კავკასიის საზღვრებისაკენ.

კავკასიის სამი რესპუბლიკის 20 ივნისის 1919 წლის კოლლექტიურ განცხადებაში (იგი მოხსენებული გვქონდა სხვა მიზეზით იხ. გვ. 247) განსაკუთრებულად არის ნათქვამი (მუხ. მე-6) იმ დაბრკოლებებზე, რომელსაც აყენებს სამხედრო ზაკვრობა და მუქარა გენერალ დენიკინის ლაშქრისა ამ რესპუბლიკათა შინაური საქმეების მოწესრიგებასა და ცხოვრების ნორმალურ პირობების დაბრუნებას.

როცა საქართველოს, აზერბაიჯანისა და მთიულთა რესპუბლიკების დელეგაციები პროტესტს უდგენდენ უმაღლეს საბჭოს მოხალისეთა აგრესსიულ მოქმედებისა და მუქარის შესახებ, ისინი თხოულობდენ, „ბრძანება მიეცეს მოხალისეთა ლაშქარს, რომელსაც ინახავენ და ამხნევებენ მოკავშირეები არა კავკასიის ხალხებთან საბრძოლველად, დასცალონ წართმეული ტერრიტორიები და პატივით მოეპყრან კავკასიის რესპუბლიკების უფლებებს“.

ამავე მიზნით, უშვალოთ გადადგმულ ნაბიჯებიდან აქ მოვიხსენიებ მხოლოდ ამერიკის დელეგაციაში პრეზიდენტ ვილსონის ცნობილი მრჩეველის პოლკოვნიკ ხაუზის (House) ნახვას, რომელიც სწორედ ამ შუამდგომლობას (შეეჩერებიათ მოხალისეები) სრულის თანაგრძნობით შეხვდა.

## 62

დემარკაციული ხაზი, რომლის გადატეხა ეკრძალებოდა გენერალ დენიკინს მოკავშირეთა სარდლობის მიერ, იყო ყველაზე უფრო ხელშესახები ნიშანი, რომ ამ დროს კავკასიაში არსებობდა უმაღლესი საბჭოს სამხედრო-პოლიტიკური კონტროლი.

როგორც წინათაც იყო მოხსენებული, საქართველოს მთავრობამ მდინარე ბზიბის უკან არ დაახევინა თავის ჯარს, როგორც ეს უნდა მომხდარიყო ინგლისის, ე. ი. მოკავშირეთა სიტყვა-სიტყვით გაგებულ წინადადების თანახმად. მაგრამ არსებითად ეს იყო მცირე შელახვა გენერალ კორის მიერ ნაჩვენებ სადემარკაციო ხაზისა. რაც შეეხება მოხალისეებს, ისინი იდგენ დერბენტში, ე. ი. ბეკრად უფრო სამხრეთით, ვიდრე დემარკაციული ხაზი იყო გავლებული, რომელიც ებჯინებოდა კასპიის ზღვას პეტროვსკიდან 5 კილომეტრის დაშორებით. 1919 წლის ივლისის დამდეგს გენერალმა დენიკინმა აცნობა აზერბაიჯანის მთავრობას, რომ, თუ უკანასკნელი არ დაიწ-

ყებს მის წინააღმდეგ საომარ მოქმედებას, მოხალისეთა ჯარები არ გადავლენ დაღესტნის საზღვრებს, ე. ი. მდინარე სამურს; მიუხედავათ ინგლისის სარდლობასთან აზერბაიჯანის ივნისის სადერმაკაციო ხაზის დარღვევის შესახებ მიწერ-მოწერისა, ახალი ხაზი—სამურზე ფორმალურათ იქმნა შემდეგ ცნობილი.

იმავე დროს, ე. ი. როცა გენერალი დენიკინი ატყობინებდა აზერბაიჯანის მთავრობას, რომ კასპიის სანაპიროებზე არ გადალახავს მდინარე სამურს, იგი აცხადებდა, რომ აზერბაიჯანს სთელის რუსეთის ნაწილათ, მაგრამ მის დამოუკიდებლობას სცნობს მანამდის, სანამ ამ კითხვას არ განიხილავს... სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება *). რა თქმა უნდა, დენიკინის აზრი არ ეთანხმებოდა უმაღლესი საბჭოს განზრახვებს, როგორც ისინი გამოთქმული და წარდგენილი იყო კოლჩაკის მთავრობის ცნობის პირობებში, მაგრამ ცოტაოდენი წარმატება მაინც სჩანდა უშვალო მოქმედების უარისყოფაში.

უფრო გვიან, საბჭოთა ჯარების საწინააღმდეგო მოქმედების გაცხოველების შემდეგ, გენერალ-დენიკინის განწყობილებას ამიერკავკასიის რესპუბლიკებისადმი რამოდენადმდე დაეტყო სიმშვიდე, რასაც აგრეთვე ხელს უწყობდა ბრიტანეთის მთავარ რწმუნებულის, ოლივერ უორდროპის ტფილისში ჩამოსვლა, და, საფიქრებელია, გენერალ ბარათოვის მისსია ბაქოსა და ტფილისში.

---

1919 წლის შუა რიცხვებში, პარიზის კონფერენციის გაცხარებულ მუშაობის დროს—ჩვენ, როგორც ზევით არის აღწერილი, მივაღწიეთ ზოგიერთ შედეგებს—ჩვენ შეგვეძლო იმედი დაგვემყარებია სახელმწიფოთა დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ზ ე, თუ სრული დამოუკიდებლობის არა, მეტად ფართო ავტონომიის უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ა შ ი.

რუსეთის გაერთიანება რომ განხორციელებულიყო იმ ძალებით, რომელნიც მხარს უჭერდენ კოლჩაკსა და დენიკინს, მაშინ განაპირა ავტონომიების უზრუნველყოფა მოკავშირეთა დიდი სახელმწიფოების დახმარებით იქნებოდა უკანასკნელი საზღვარი შესაძლებე-

---

*) ეს კიდევ უფრო შორეული გზა იყო, ვიდრე: „პარიზის კონფერენციი გადასწყვეტს“.

ლისა და მისაღწევისა. თუმცა რუსეთი ევროპისაგან ძლიერ იყო დამოკიდებული, მაგრამ როცა გაერთიანდებოდა და გაძლიერდებოდა, დაუშვებდა თუ არა იგი, სახელმწიფოთა კონტროლს ამ კითხვაში?

ამაზე მსჯელობა ეხლა უნაყოფო იქნებოდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ, თუ დენიკინის მთავრობას ისეთს რამეებზე, როგორიც არის ავტონომია და ფედერაცია, პრინციპიალურად არაფერი საწინააღმდეგო არ უთქვამს, („ოღონდ რუსეთის სახელმწიფოს ჩარჩოებში და სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ნებართვით"), უმთავრეს იმედს იგი მაინც ჯარზე და „ძალთა განწყობილებაზე" („ევროპა შლის ჯარებს, ჩვენ კი ვკრებთ") ამყარებდა,—რომელსაც საშვალება უნდა მიეცა რუსეთისთვის ყველა კითხვა, თავის სურვილისამებრ გადაეწყვიტა. ასეთი აზრი შევადგინე, მაგალითად, გენერალ დენიკინის ერთ-ერთ თვალსაჩინო თანამშრომელთან, პროფესორ კ. ნ. სოკოლოვთან ბაასიდან, რომელიც დენიკინის მთავარ დელეგატთან, გენერალ დრაგომიროვთან ერთად ჩამოვიდა პარიზში 1919 წლის ივლისში.

მე ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომ მომავალში საქმის სასურველად შეცვლის მოლოდინში გენერალ დენიკინის მთავრობა წინასწარ ეძლეოდა სიხარულს და სათანადოთ ვერ აფასებდა ყველა ასაწონ და აუწონელ ნაწილებს, რომელნიც შეადგენდენ საერთოდ კავკასიისა, საქართველოსა და სხვა განაპირების კითხვას.

ამ შფოთის გამწვავება, ყველა მუქარა და უსიამოვნება, რომელსაც აყენებდა მოხალისეთა ლაშქარი საქართველოსა (ბლოკადა!) და აზერბაიჯანს მე საერთოდ მეჩვენებოდა პოლიტიკურ შეცდომათ; შეცდომა იგი არსებითად ნაყოფი იყო „იმისა, რომ არ სურდათ უკუეგდოთ ძველი შეხედულება—უარი ეთქვათ განაპირების დამონებულ მდგომარეობაზე და შეეგნოთ ის ცვლილებები, რომელიც შეიტანა რევოლიუციამ ამ კითხვაში.

რადგან გენერალ დენიკინის მიერ დაწყებულ საქმეს, აშკარაა, კერძოთ საქართველოს მხრით არავითარი საშიშროება არ მოელოდა, და რადგან საქართველოს 1919 წელში უ ც ა ბ ე დ ა თ დაკავების ცდა, შეიძლებოდა მოხალისეებისთვის არა სასიამოვნოდ დამთავრებულიყო (თუნდაც იმიტომ რომ ისინი დამოკიდებული იყვნენ ევროპის სახელმწიფოებისაგან, რომელთანაც ერთგვარი განწყობილება საქართველოს წარმომადგენლებსაც ჰქონდათ), მე ვფიქრობდი, რომ ამ ორ მხარეს (ე. ი. ამიერ კავკასიის რესპუბლიკებსა და მოხალისეთა

ლაშქარს) შეუძლია საერთოდ შესწყვიტოს ერთმანეთში შეტაკება და უთანხმოება. მე იმ აზრისაც კი ვიყავი, რომ საჭირო იყო გვესარგებლნა დენიკინის დელეგაციის პარიზში ჩამოსვლით და მოგველაპარაკნა, წმინდა ფაქტიური მეზობლობის დამყარების შესახებ საქართველოსა და მისი ჩრდილოეთის მეზობლის შორის (ნეიტრალიტეტის პოზიციის შესაფერად). მაგრამ საქართველოს დელეგაცია ამ აზრს არ იზიარებდა; იგი ფიქრობდა, რომ ასეთი ლაპარაკი „რეაქციონულ ძალების" წარმომადგენლებთან არ შეეფერება საქართველოს დემოკრატიას. რამოდენიმე ხნით ადრე, როცა გამოქვეყნებული იყო კოლჩაკის *) მთავრობის ცნობის პირობები, დავაყენე კითხვა, წინდაწინვე გამოგვერკვია რუსული წრეებისა და ჩვენი ურთიერთი განწყობილება. „უკეთესია ეხლა, სანამ ადმირალ კოლჩაკის მთავრობა ჩანასახს წარმოადგენს, მოვაგვაროთ ეს საქმე, ვიდრე მაშინ, როცა ის გაძლიერდება. თუ კოლჩაკსა და დენიკინს კარგი მომავალი აქვთ, ჩვენ მხოლოდ მოვიგებთ, თუ ჩვენ ჩავიგდებთ ხელში ამ მოლაპარაკების ინიციატივას; თუ მათ მომავალი კარგს არაფერს უქადის, ჩვენ არაფერს წავაგებთ მდგომარეობის შესწავლის გამო: კონფერენციის თვალში ჩვენ მხოლოდ განვამტკიცებთ ჩვენს მდგომარეობას, რადგან ჩვენ ვიმოქმედებთ სწორეთ კონფერენციის მიერ გამოცხადებულ პრინციპების მიხედვით. ჩვენ დავეყრდნობით საქართველოს აშკარათ გამოთქმულის ნების ყოფას (საქართველოს დამფუძნებელი კრება) დამოუკიდებლობის შესახებ და ვეცდებით მეგობრულათ გაურკვიოთ ერთი-მეორეს მდგომარეობა". და სხვა.

მაგრამ წერეთელი და სხვები ამაზე არ დათანხმდენ. წერეთელი ფიქრობდა, რომ „ასეთის მოქმედებით, ჩვენ ასე ვთქვათ, ვიცნობდით კოლჩაკს, გავაძლიერებდით მას (sic) და ჩამოვშორდებოდით სრულიად რუსეთის დემოკრატიის დაფასებას კოლჩაკისას".

აზრთა ამ სხვადასხვაობას მაშინ, საბედნიეროთ, პრაქტიკული მნიშვნელობა არ მიეცა. მაგრამ ამ ამბავმა მაჩვენა, რომ ჩვენს პოლიტიკურათ მეტად გამოცდილ სოციალ-დემოკრატებს სრულიად არ სურთ დინჯი ანგარიში გაუწიონ მათ, ვინც ნამდვილად ჰქმნის მდგომარეობას (1919 წელს ეს იყო დენიკინი და კოლჩაკი; 1920— საბჭოები; მენშევიკების რუსეთი არ იყო მოსალოდნელი!)

---

*) ისტორიის დაუდგრომელობის გამო სწორეთამ დროიდან კოლჩაკს ზურგი შეაქცია ომის ბედმა. სამაგიეროთ ამაღლება დაიწყო გენერალმა დენიკინმა.

საქართველოს დამოუკიდებლობა მოითხოვდა თავდაცვის მრავალგვარსა და მოქნილს საშვალებას. ყოველად უვარგისი საშვალება კი იყო, დღეს „თეთრებთან“ და ხვალ „წითლებთან“ (ამ ფერების სიძულვილის გ. მო) დინჯ მოლაპარაკების თავიდან აცდენა; უვარგისი იყო, რომ ერთის მხრით ვერ ახერხებდენ დასავლეთ „იმპერიალისტებთან“ შეთანხმებას, რომელთაც შეეძლოთ რუსეთთან მოლაპარაკების გაადვილება,—და ამავე დროს სასოებას ამყარებდენ, ცოტათი თუ ბევრათ, ლეგენდარულ „ევროპის მთლიან დემოკრატიაზე“.

ამ თავის უმთავრეს საგნის დასასურათებლათ, ნებას მივსცემ ჩემ თავს, მოვიყვანო მუსაიფი, რომელიც მქონდა ერთ თვალსაჩინო რუს დიპლომატთან 1919 წლის ოქტომბერში, როცა დენიკინის საქმის წარმატება განსაკუთრებულათ მტკიცე ეგონათ.

ვლაპარაკობდით რუსეთის აღდგენის მიმდინარეობაზე. „ეხლა, —ამბობდა ჩემი თანამოსაუბრე—ყველა ასი თუ არა, ასიდან 90 შანსი მაინც არის, რომ რუსეთის აღდგენა სამხრეთიდან დაწყებული, წარმატებით დამთავრდება. („მეტი სიფრთხილე იქნებოდა 30 შანსი გვეანგარიშნა“—შევნიშნე მე).

— უკრაინის კითხვა როგორღაც ჰქრება—დამოუკიდებლობის იდეა იქ ნელ-ნელა იკარგება. ზოგიერთები დენიკინს უახლოვდებიან. ბელორუსიაზე ლაპარაკი არ ღირს. პოლონეთის საზღვარი? ეს მომავლის კითხვაა. ჯერ როგორმე მოუართ თავს. რუსეთი შეიკრებს ძალას და მაშინ ვნახავთ. ფინლიანდიის დამოუკიდებლობას, იმედი მაქვს, ეხლავე ვიცნობთ. რაც შეეხება ბალტიის სახელმწიფოებს, თუმცა ბევრი იქ ისე მოქმედებს, თითქოს რუსეთი სრულიად დაღუპულიყოს, მაგრამ იქაც არიან ადამიანები, რომელნიც იცნობენ ნამდვილ რუსეთს. ბესსარაბია? ჩვენ თანახმა ვართ პლებისციტი მოვახდინოთ სამხრეთ ნაწილში. რუმინელების შეხედულება აქ პარიზში მაინც ჩავშალეთ“.... „საქართველოში დაუშვებთ თქვენ პლებისციტს?“ „მე პირადათ ვერ ვპოულობ ვერაფერ საწინააღმდეგო საფუძველს?“ „ეს ძლიერ საინტერესოა“.

მე გამოვთქვი აზრი, რომ რუსეთის სახელმწიფოს აღდგენა არ მოხდება ერთბაშად, არამედ უფრო მოსალოდნელია იგი იქნება გრძელი, რთული, პროცესის ნაყოფი; რომ ნამდვილმა, რუსულმა რუსეთმა ჯერ უნდა გამონახოს თავის სოციალური წონასწორობა, თავისი ეროვნულ—ეთნიური მთლიანობა (არსებობს მთელი სამი რუსეთი!), და ამ აშკარა და ძლიერ ღრმა განხეთქილების შესაფერისი

პოლიტიკური ფორმა; რომ ყველაფერ ამაში „განაპირა“ რესპუბა ლიკებს, კერძოთ საქართველოს, ა რ ს უ რ ს, ა რ შ ე უ ძ ლ ი ა, დ ი ს ი ნ ი ა რ ც ა რ ი ა ნ მ ო ვ ა ლ ე ნ ი მონაწილეობა მიიღონ.

შემდეგ ვილაპარაკეთ, თუ რამდენათ სასურველი და შესაძლებელია არა ფორმალურათ, არა ოფეციალურათ აზრთა გაცვლა-გამოცვლა მომხდარიყო ჩ ვ ე ნ ს ა (ახალ რესპუბლიკებსა) და მ ა თ შორის ორივე მხარის კეთილმეზობლურ არსებობის შესახებ. მაგრამ ამ აზრს განხორციელება არ ღირსებია: თეთრების მოძრაობამ სწრაფათ დაიწყო მინელება.

## თავი მეოცდაოთხე.

## ინგლისი რუსეთსა და კავკასიის შუა.

### 63

საქართველოსა და რუსეთის „სამხრეთიდან რესტავრატორების“ ურთიერთი განწყობილება მჭიდროთ არის გადახლართული იმ კითხვასთან, თუ რა როლს ასრულებდა ინგლისი ყველა ამ საქმეებში—სამხრეთ რუსეთისა და კავკასიის საქმეებში.

იგლისი, როგორც ცნობილია, საკმაოთ ენერგიულათ მხარს უჭერდა გენერალ დენიკინის მიერ დაწყებულ საქმეს. თუ როგორ თვისდებოდა საბჭოთა საწინააღმდეგო („ჩერჩილის“) ხაზი მეორე მიმდინარეობასთან (პრინკიპო-ბალლეტის მისსია მოსკოვში *)—გამოცოცხლება „პრინკიპოს“ იდეებისა 1919 წლის ნოემბერში, რომელიც 1920 წელს ბ-ნ კრასინს ჩაიყვანს ლონდონში, და გამოიწვევს ინგლისს-რუსეთის შეთანხმების დადებას 1921 წელს)—ეს თემა მეტად საყურადღებოა, მაგრამ ჩვენ აქ არ გვეხება.

სამაგიეროთ, ჩვენთვის არსებითად საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ინგლისის პოლიტიკის მეორე „ბიფურკაცია“ (გაორება), საკმაოთ გასაგები, თუ არ დავივიწყებთ აღურიცხველ, მრავალგვარ ტრადიციებს, ინტერესებსა და მისწრაფებებს, რომელთაც შეიცავს ორი სიტყვა: „ბრიტანეთის იმპერია“.

ბოლშევიკებთან ბრძოლაში რომ მოხალისეებს ეხმარებოდენ—ამას უკარნახებდა დასავლეთის სახელმწიფოებსა და მათ

---

*) Mr. Bullitt-ი (ინგლისელებისა და ამერიკელების თანხმობით) 1919 წლის მარტში ჩავიდა მოსკოვში, რომ გაეგო, თუ რა საფუძველზე შეიძლება მოსკოვის მთავრობასთან ზავის პირობების დადება.

შორის ინგლისს ღრმა და საკმაოთ საერთო მისწრაფებები; განაპირა, ახალი რესპუბლიკების მხარის დაჭერა, თავის მხრით, შესაძლებელია შეესაბამებოდა ზოგიერთ სერიოზულ ინტერესებსა, ან და ჩვეულებრივ წარმოდგენებს.

დიდი ბრიტანეთი სხვა სახელმწიფოებთან ერთად გამოდიოდა რუსეთის განაპირების კითხვებში არა მარტო არბიტრსავით (მსაჯულსავით). ომის დამთავრების პირობებმა 1919 წლის ნოემბერში, ინგლისი გახადა მისსიებისა და საოკუპაციო რაზმების მეოხებით, ადგილობრივი მნიშვნელობის თვალსაჩინო ფაქტორათ, რომელსაც შეეძლო დიდი გავლენა ჰქონოდა 1918 წლის დასასრულს შექმნილ ფაქტიურ მდგომარეობაზე, თუნდაც იმავე კავკასიაში.

ყოველი მხარე, მაგალითად, საქართველოსა და მოხალისეთა უთანხმოებაში, მოელოდა დახმარებას ამ „ფაქტორიდან". დახმარებას, რომელსაც ინგლისი გაუწევდა მეორე მხარეს, პირველი უყურებდა, როგორც მოცემული დაპირების დარღვევას. ზოგიერთი აღშფოთებული იყო, მაგალითად იმით, რომ „აქეზებენ განაპირებს, ხელს უწყობენ რუსეთის, მოკავშირე რუსეთის, დაწეწას" და სხვა; სხვები გულის წუხილით აღნიშნავდენ, რომ „რუსეთში დემოკრატიის სურვილების წინააღმდეგ, აქეზებენ რუსულ რეაქციას, აქ კი, საქართველოში, ხელს უწყობენ თვით-გამორკვეულ ეროვნების მტრებს" და სხვა.

ამიტომ კავკასიაში ჩამოსული ინგლისის გენერლები ორ ცეცხლ შუა ჩავარდენ; რევოლიუციის მიერ წარმოშობილ ახალ დემოკრატიების პოლიტიკურ მანერებს ისინი ვერ ეგუებოდენ, ხშირად შეცდომაში შედიოდენ და მიზანს ხან გადააცილებდენ და ხან ვერ უწვდებოდენ; საერთოდ ისინი მოქმედებდენ კავკასიაში წინადმოხსენებულ ორმაგი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ორნაირი ინგლისური პოლიტიკის მიხედვით.

განსაკუთრებით პირველ ხანებში იყო მდგომარეობა არა სასიამოვნო. 1918 წლის დასასრულს ინგლისელების ბაქოში ჩამოსვლის შემდეგ, მაგალითად, გამოქვეყნებული იყო მოკავშირეთა ჯარების სარდლის, გენერალ ტომსონის პროკლამაცია, სადაც ნათქვამია: ამით კავკასიის მოსახლეობას ეძლევა ცნობა, რომ მოკავშირეთა ჯარების კავკასიაში გამოგზავნას მიზნათ აქვს საზოგადოებრივი უზრუნველყოფის დამყარება კასპიისა და შავ ზღვათა შორის მდებარე რუსეთის ამ ტერიტორიაზე" და სხვა.

განმარტება, რომ კავკასია კასპიისა და შავ ზღვათა შორის მდებარეობს, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას არ იწვევდა. მაგრამ აღნიშვნა, რომ ეს ტერრიტორია „რუსეთის“ არის იმ უბედურების მომასწავებლათ მიიღეს, რომ „ჩვენ გვიპირებენ რუსეთს მიგვცენ“. „ჩვენ“ კი სთვლიდენ თავის თავს დამოუკიდებელ, ხელ-დაუდებელ სახელმწიფოთ. გარდა ამისა, სადღაა თვითგამორკვევის უფლება, პრეზიდენტი ვილსონი, „ომი მცირე ერთა არსებობის“ უფლებისათვის“ და სხვა?

მოხსენებული პროკლამაციის გამოცხადება საქართველოში ვერ მოახერხეს. ჟორდანიას მთავრობამ განუცხადა ტფილისში ჩამოსულ ბრიტანეთის მისსიას, რომ საზოგადოებრივი წეს-რიგის დასაცავად საქართველოს არ სჭირდება ინგლისის ჯარის ჩამოსვლა, რადგან წეს-რიგს საკმაოთ იცავს თვით საქართველოს მთავრობა,— რაც სიმართლეს შეეფერებოდა. მაგრამ, როგორც ზევით იყო აღნიშნული (იხ. გვ. 212), ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილებში ინგლისის ჯარის ჩამოსვლის უფრო შესაფერი ახსნა ადვილი გამოსანახავი იყო. მას შემდეგ კი, რაც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ოფიციალურად განუცხადა თავისი სიმპატია საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს (იხ. ზევით, გვ. 209) განვითარება საქართველოსა და ბრიტანეთს შორის განწყობილებისა, საერთოდ გაადვილდა. ინგლისელებმა ფაქტიურათ, მაშინ იცნეს საქართველოს მთავრობა (ეგრედ წოდებულ „ფაქტიური ცნობის“ ბევრად უფრო ადრე). გენერალ მილნმა, მოკავშირეთა ძალების სარდალმა შავი ზღვის რაიონში, ტფილისში ყოფნის დროს, 1919 წლის მაისში „მოკავშირეთა სახელით“ განმეორებით მიმართა ნ. ჟორდანიას, როგორც საქართველოს მთავრობის მეთაურს.

მაგრამ ერთმანეთის სრული გაგება მაინც არ იყო.

შესაძლებელია, რომ ინგლისის გენერლები კავკასიაში სოციალურად და პოლიტიკურად უფრო ახლო გრძნობდენ თავის თავს სამხრეთ რუსეთის გენერლებთან, რომელნიც არას დროს არ ივიწყებდენ გაეხსენებიათ მათთვის ორ ზღვას შორის მდებარე რ უ ს ე თ ი ს ტ ე რ რ ი ტ ო რ ი ა. მეორეს მხრით, ის, რასაც ინგლისის გენერლები ლაპარაკობდენ, და განსაკუთრებით ის, როგორ ლაპარაკობდენ ისინი, შესაძლებელია, ზოგჯერ სრულიადაც არ შეეფერებოდა ინგლისის მთავრობის ნამდვილ განზრახვებს. მათ სხვადასხვაგვარ განცხადებაში ქართველებს ზოგჯერ უჭირდათ გარკვეუ-

ლიყვნენ. მათ აირჩიეს მარტივი მსჯელობა: გენერალი დენიკინი ემუქრება საქართველოს, და ინგლისი მხარს უჭერს გენერალ დენიკინს: აშკარაა, „ბრიტანეთის იმპერიალიზმი“ მოკავშირეა „სრულიად რუსეთის რეაქციისა“. და „სრულიად რუსეთის რეაქციისადმი“ თავდაუჭერელ სიძულვილის გამო, იქვით შეჰყურებდენ „ბრიტანეთის იმპერიალიზმსაც“.

საქართველოს მთავრობა ცდილობდა ხალხის თვალში დაეცვა თავისი ღირსება (რაც, რა თქმა უნდა, ძლიერ საქებურია!) და ავტორიტეტი; ამიტომ გადაჭარბებულის პირდაპირობით ყველას თვალში სჩრიდა თავის დამოუკიდებლობასა და ხელუხლებლობას; მთავრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, რომ დამოუკიდებლობისათვის საჭიროა საერთაშორისო წინასწარი მომზადება. საზოგადოებრივი აზრი და ქუჩა, რომელსაც დემაგოგიურად ხელმძღვანელობდენ, გადასროლილ ლოზუნგებს კიდევ უფრო უხეშად გამოსთქვამდა და ხშირად აშკარათ გამოდიოდა „ბრიტანეთის იმპერიალიზმისა და სრულიად რუსეთის რეაქციის“ წინააღმდეგ.

რომ ინგლისი საქართველოში (1919 წელს) მოხალისეთა ლაშქრის მიმართ და მოხალისეთა ლაშქრის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ასრულებდა იმავე როლს, რასაც გერმანია 1918 წ. ოსმალეთის მიმართ —ეს საკმაოთ ვერ შეეგნო ახალგაზრდა რესპუბლიკას. და, მგონი, შეცდომა არ იქნება ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატია 1919 წელს „ბავშურის სიცელქით“ უკვე „არყევდა კვარცხლბეკს“ უფრო რთული დიპლომატიური ანგარიშიანობისას და მისი მთავრობა კი შესაძლებელია უკვე არღვევდა მცნებას: „ნუ ჩაიფურთხებ ჭაში, დასალევ წყლისთვის გამოგადგებაო“.

## 64

მოხალისეთა ლაშქრის საქართველოზე შემოტევამ გამოიწვია ერთსულოვანი ყიჟინა: „ძირს რუსეთის რეაქცია ამიერ-კავკასიაში!“, რასაც აუცილებლივ თან სდევდა: „ძირს დასავლეთის იმპერიალისტები!“ საქართველოს ბუნებრივ მოკავშირეთ, როგორც ეტყობა, ამ მოძრაობაში იყო საერთაშორისო სოციალიზმი, რომელთანაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ჰქონდა მტკიცე პირადი კავშირი. ევროპის სოციალისტებმა, რა თქმა უნდა, უარი არ უთხრეს თავის ქართველ მეგობრებს—„რუსეთის რეაქციის“ წინა-

აღმდეგ (სიტყვიერ) დახმარებაში, მაგრამ ამასთანავე ისინი გამოდიოდენ „დასავლეთის იმპერიალისტების“ ე. ი. ინგლისის *) წინააღმდეგაც.

საქართველოში საერთაშორისო სოციალიზმზე სხვა, უფრო ზოგად, იმედებსაც ამყარებდენ. ფიქრობდენ, რომ ამ გზით გაადვილდებოდა დამოუკიდებლობის განმტკიცებაც.

იბადება კითხვა: შეეძლო თუ არა ინტერნაციონალს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საქმეში და ამ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პირობების შექმნაში სარგებლობა მოეტანა?

პარიზის კონფერენციის დროს არ იყო საჭირო არც გამოკვლევა და არც დიდი ფიქრი, რომ ადამიანს დაენახა, რომ ამ საქმეში ინტერნაციონალს სარგებლობის მოტანა არ შეუძლია, რადგან მისი გავლენა გამარჯვებულ, დიდი სახელმწიფოების მთავრობებზე ძლიერ მცირე იყო. ვერსალის ხელშეკრულება ამის დამამტკიცებელია.

„უსარგებლობას“ შეიძლებოდა შერიგებოდა კაცი—ოღონდ კი „ზიანი“ არ მოეტანა. სამწუხაროთ ზიანიც იყო. მე არ ვამბობ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა პატარა ეპიზოდზე, უფრო კომიკურზე, როგორიცაა, მაგალითად, პრესსაშიაც *) გამოქვეყნებული და საქართველოს საქმისათვის სრულიად ზედმეტი განცხადება „საქართველოს მინისტრის—ჩხენკელისა“ ლიუცერნის კონფერენციაზე (თებერვალი, 1919 წელი); „ჩვენ წავართვით მემამულეებს უსასყიდლოთ მიწა—ამიტომ ჩვენი დამოუკიდებლობა უნდა იქნეს ცნობილი“. შესაძლებელია სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო თავის წრეში ეთქვათ: „ასე კი ნუ ჰფიქრობთ—ჩვენშიაც ხომ... უსასყიდლოთაა“. კლემანსოს, ვილსონის და ლლოჰიდ-ჯორჯის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის ასეთი საშვალება თითქოს... სუსტია.

მაგრამ ავიღოთ უფრო მნიშვნელოვანი საგანი—წერეთლის თხოვნით 1919 წელს 28 აპრილს ამსტერდამის ყრილობაზე მიღებული რეზოლიუცია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

---

*) იხ. კრებული La Gèorgie independante Ed. du Parti Soc. Dèm. de Gèorgie ჟენევა 1919.

*) იხ. Echo de Paris, თებერვ. 1919.

იგი გადაჭრით ამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებლობას. მაგრამ მოითხოვს სრულ დამოუკიდებლობას, რომელიც „უარყოფს მზრუნველობას ერთის ანდა რამოდენიმე სახელმწიფოისას და უცხო ქვეყნის ყოველგვარ კონტროლს მისი დემოკრატიული დაწესებულებებისას“ *) ეს ნიშნავდა იმას, რომ ინტერნაციონალი უარყოფდა ყოველგვარ სისტემას, რომელიც უზრუნველჰყოფდა საქართველოსთან რომელიმე დიდი სახელმწიფოს თანამშრომლობას მანდატის (დროებითი) სახით—რაც განსაზღვრულის საზომით აუცილებლად შეიცავს მზრუნველობის ელემენტსაც. მაგრამ ძლიერ მალე საქართველოს მთავრობას (და თვით წერეთელსაც) მოუხდა მანდატის გამოთხოვა (იხ. ქვევით). აქ იყო, მაშასადამე, არა მარტო „უსარგებლობა“; აქ ზიანიც იყო, და, უმთავრესად, „მორალური ზიანი“.

ყოველ კითხვაში, რომელთაც თვალსაჩინო პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოს მომავლისათვის „ინტერნაციონალი“ და მისი მომხრე მუშათა გავლენიანი ორგანიზაციები აუცილებლად და საბედისწეროთ დგებოდა და უნდა დამდგარიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო გზაზე: ასე იქნება „ინტერვენციის“ (საერთოდ) კითხვაში, თავდაცვისათვის იარაღის მოცემის კითხვაში, საქართველოდან „სასწრაფოდ ჯარების (ინგლისის) გაყვანის“ კითხვაში.

ბოლოს, უფრო გვიან, როცა წინააღმდეგობა მეორე და მესამე ინტერნაციონალთა შორის გამწვავდება, ზომაზე მეტი კავშირი საქართველოს მთავრობისა მეორე ინტერნაციონალთან, საქართველოს გახდის მესამე ინტერნაციონალის ჯერ ნიშანში ამოსაღებ საგნათ და მერმე მსხვერპლათ. მაგრამ აქამდე ჯერ შორსაა.

საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე უფრო მაგარი გამოდგა, ვიდრე... არაკის მეუდაბნოეს შუბლი; მიუხედავათ იმისა, რომ დათვი—ინტერნაციონალი, ყოველთვის საუკეთესო განზრახვით, ისროდა ზოგჯერ მძიმე ლოდებს, საქართველოს დამოუკიდებლობა მაინც იქნა ცნობილი ევროპის სახელმწიფოთა მიერ.

---

*) ამ რეზოლიუციის ტექსტი მოიპოვება იმავე კრებულში: La Gèorgie indépendante.

## თავი მეოცდახუთე.

## სამი მეზობელი.

### 65.

საერთო გამოსვლებში—კავკასიის და სხვა „განაპირა“ დელეგაციების გამოსვლებში (ზემოთ § 60)-სომხეთი არ იღებდა მონაწილეობას. უშვალო საშიშროება ჩრდილოეთიდან ამ რესპუბლიკას ჯერ არ დატყდომია თავს; ერთად, განსაკუთრებით აზერბაიჯანთან, მოხალისეთა ლაშქრის წინააღმდეგ გამოსვლა არ შეეფარდებოდა მის გეგმებს. სულმოკლე ანგარიშიანობით, მას შეეძლო იმედი ჰქონოდა რომ დახმარებას მიიღებს იმათგან, ვისგანაც მეზობლები ელოდენ მხოლოდ დაქცევასა და არეულობას. გარდა ამისა სომხეთს იმედი ჰქონდა, დიდი სახელმწიფოების დახმარებით სწორეთ ეხლა შეესრულებია ოსმალეთში მრავალ საუკუნეების ზრახვანი, და ასეთს წამს მეზობლების დავიდარაბაში ჩარევა იმავე დიდ სახელმწიფოების მეორე „პროტეჟესთან“—გენ. დენიკინთან, სჩანს, მას არ ხიბლავდა. *)

პირიქით, აზერბაიჯანს, თუ მეტათ არა ისე მაინც ეშინოდა ჩრდილოეთის შემოსევისა, როგორც საქართველოს. ეს, რა თქმა უნდა, იწვევდა ამ ორი რესპუბლიკის პოლიტიკურ დაახლოვებას, რაც საერთოდ ბუნებრივია, რაც ახსნება მრავალი მიზეზით, ინტერესითა და მისწრაფებით, ხოლო 1919 წელს მით უფრო ადვილათ შესასრულებელი იყო ამ დაახლოვების განხორციელება, რომ ოსმალოების დაცემისა და მათი აზერბაიჯანიდან წასვლის შემდეგ უკანასკნელი უბრუნდებოდა თავის კავკასიის წრეს.

---

*) მოხალისეთა ლაშქართან ერევნის მთავრობის წარმომადგენლათ იყო მე-3-მე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი საგატელიანი.

16 ივნისს 1919 წელს თფილისში დადებულ იქმნა ორ მეზობელ რესპუბლიკათა შორის საკავშირო ხელშეკრულება, რომლის ძალით ისინი ვალდებულებას ღებულობდენ თავის თავზე (მუხ. 1) „ერთად წინააღუდგენ მთელი თავისი შეიარაღებული ძალით და ყოველი მათ ხელში მყოფი საშვალებით ყოველგვარ თავდასხმას, რომელიც ემუქრება დამოუკიდებლობას ანდა ტერრიტორიალურ მთლიანობას ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ ან ორივე რესპუბლიკისას“. ხელშეკრულება დადებული იყო 3-ის წლით (მუხ; 5). მხარეები ვალდებულათ ხდიდენ თავის თავს მორიგებით ანდა არბიტაჟის საშვალებით გადაეწყვიტათ მათ შორის საზღვრებზე შესაძლებელი აღძრული დავა (მუხ. 4). აქვე აღნიშნული იყო, რომ სომხეთს უფლება ეძლევა ორი კვირის განმავლობაში შეუერთდეს ამ ხელშეკრულებას (მუხ. 10). *)

როცა საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციამ პარიზის კონფერენციას აცნობა ზევით გადმოცემული ხელშეკრულების ტექსტი, მან გამოსთქვა იმედი, რომ „ეს კონვენცია, რომელსაც დასახული აქვს წმინდა თავდაცვითი მიზნები, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ომში შეერთებულ მოქმედებას, არავის დასჭირდება, და რომ ამიერ-კავკასია გარეშეთა ყოველივე თავდასხმისაგან უზრუნველი იქნება, გენერალ დენიკინის ოპერაციებზე მოკავშირეთა სახელმწიფოების კონტროლის წყალობით“. ამასთანავე დელეგაცია კონფერენციის ყურადღებას აქცევდა შეთანხმების მეოთხე მუხლზე, რომლის საშვალებით შესაძლებელი ხდებოდა საჩქაროთ გამიჯვნა საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერრიტორიებისა. **)

---

*) ხელშეკრულებას ხელს აწერენ საქართველოს მაგიერ გეგეჭკორი რამიშვილი, გენერლები ოდიშელიძე და გედევანიშვილი; აზერბაიჯანის მაგიერ—ჯაფაროვი, გენერლები მეხმანდაროვი და სულკევიჩი (უკანასკნელი მუსლიმანია, ტომით ლიტველი მურზა, მსახურებდა აზერბაიჯანში).

**) სამწუხაროთ „შესაძლებელი“ კიდევ არ ნიშნავს „შესრულებულს“. 16 ივნისის ხელშეკრულება კი „დასჭირდათ“ 1920 წელს, როცა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (და მაშასადამე საქართველოს წინააღმდეგაც!) წამოვიდა სხვა ძალა რომელიც არ იმყოფებოდა მოკავშირე დიდი სახელმწიფოების კონტროლის ქვეშ—დასჭირდათ, მაგრამ იგი არ გამოუყენებიათ!

1918 წლის დასასრულის შეტაკებანი, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობდენ სომხეთისა და საქართველოს დაახლოვებას,—რაც მეტად სასურველი და სრულიად ბუნებრივი იქნებოდა.

ფუქსავატი იმედი, რომ პარიზის კონფერენცია „ყველაფერს გაარჩევს და ყველაფერს გადაწყვეტს“, და სხვათა შორის, თავს შეიწუხებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოების საზღვრების დასადებათ—ეს იმედი ასუსტებდა თფილისშიაც და ერევანშიაც, აგრეთვე ბაქოში სტიმულს, საკუთარის საშვალებით ეცადნათ დაჩქარებით გადაეწყვიტათ საზღვრებისა და სხვა მიზეზების გამო ამტყდარი შფოთი; გარდა ამისა, სომხეთი შეიძლება ჰფიქრობდა (შეცდომა, იქნებ, სრულიად გულწრფელი იყო), რომ მისი მდგომარეობა განსაკუთრებულია; რომ მის მიმართ გამარჯვებულ სახელმწიფოებს ვალდებულება აქვთ ნაკისრები, სხვა მეზობლების მიმართ კი არ არსებობს ასეთი ვალდებულება; რომ მას, ამიტომ, ,,მისცემენ'' ხელსაყრელ საზღვრებსა და სხვა,

უნდა დავსძინოთ, რომ 28 მაისს 1919 წ. (ერევნის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლის თავზე) განსაკუთრებული აქტით გამოცხადებული იქნა ერთ მთლიანათ შეერთება სომხეთის ტერრიტორიებისა, რომელნიც მდებარეობენ ოსმალეთისა და ამიერ-კავკასიის სომხეთში. ამნაირათ, სომხეთის რესპუბლიკა ფორმალურათაც გადადიოდა წმინდა კავკასიის პოლიტიკის სფეროდან ოსმალეთის კითხვის საფრთხეებითა და წყალ ქვეშა კლდეებით სავსე ზღვაში, სადაც, ცხადია, ვერ შებედავდენ ვერც აზერბაიჯანი და ვერც საქართველო.

აი ეს მიზეზიც აბრკოლებდა ამიერ-კავკასიის გამიჯვნას. თუ სომხეთი ოსმალეთის ტერრიტორიაზე იქნებოდა საგრძნობლათ გაფართოებული, სომხეთის მეზობლები ვერ პოულობდენ საფუძველს იმავე დროს იგი გაფართოებულიყო აზერბაიჯანისა და საქართველოს მიწა-წყლითაც. და ეს გაურკვევლობა, დიდი გახდება სომხეთი, თუ პატარა დარჩება, სამივე რესპუბლიკის საუბედუროთ იწვევდა გამიჯვნის შეფერხებას.

არსებითად, საქართველოსა და მის მეზობელთ შორის საზღვრების დადების კითხვა არ შეიძლებოდა ან მეტათ რთულ ანდა ნაკლებათ შესწავლილ კითხვათ ჩათვლილიყო. რა თქმა, უნდა, არც კეთილი ზრახვებისა და მეტათ ლიბერალური განცხადებების ნაკლებობა ემჩნეოდა! მაგრამ საჭირო იყო სხვა რამ, სახელდობრ, და-

ჟინება, დიდი ჩაკირკიმატებული მუშაობა, მოთმინება, ერთის სიტყვით, დინჯი ნებისყოფა. იგი არ აღმოჩნდა. 1919 წელს არაფერი უშლიდა, პირიქით, ყველაფერი ხელს უწყობდა, მაგალითად, აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვრების დადებას. მაგრამ არაფერი გაკეთებულა. სომხეთთან შეთანხმების მიღწევა უფრო ძნელი იყო. მაგრამ აქაც, უდრეკი ნებისყოფა, უეჭველია, მოახერხებდა გონიერისა და სამართლიანი საზღვრის გაყვანას, მხოლოდ, რა თქმა უნდა, საქართველოს უარი უნდა ეთქვა „სტრატეგიული საზღვრებით“ *) უზრუნველყოფაზე, ხოლო სომხეთს უნდა უკუეგდო ისეთი არა სერიოზული აზრები, როგორიცაა, მაგალითად, „რადგან სომხებმა ქართველებს დაუთმეს ბორჩალოს მაზრის მესამედი (ქართული), ქართველებმა თავისი ტერრიტორიით უნდა დაკმაყოფილონ აზერბაიჯანი“. **) ერთიანულ პრინციპზე ზედ-მეტათ დაყრდნობაც (საქართველოს ტერრიტორიის მიმართ ეს ნიშნავდა: სადაც კი სომხები დაესახლენ, თუნდაც მეცხრამეტე საუკუნეში იგი სომხეთისთვის უნდა გადაეცათ) თვით სომხებისთვისვე იყო ყველაზე უფრო საშიშარი: ასეთის გზით კარგს ვერაფერს მიაღწევდენ ოსმალეთში! მათი დებულების შეცდომა—რომ გამარჯვებული მოკავშირეები სომხეთზე განსაკუთრებულათ იზრუნებენ—ძლიერ მოკლე დროში აშკარა უნდა გამხდარიყო.

სომხების მეთაურები არ შეიძლება ზომიერ გზაზე არ დამდგარიყვნენ, რადგან მეტად დაინტერესებული იყვნენ, კეთილგანწყობილი მშვიდობიანობა ჰქონოდათ საქართველოსთან, ერთადერთ მეზობელთან, რომლის მიწა-წყალი არ გასვრილა „ამოყლეტისა“ და „ამოწყვეტის“ სისხლით. ერთის სიტყვით, თუ არ ვცდები, აქაც შეიძლებოდა 1919 წელშივე მოგვარებულიყო გამიჯვნის საქმე, რომელიც მოსახერხებელი გახდებოდა, როგორც მაშინაც და წინათაც ბევრი ჰფიქრობდა იმ პირობით, რომ სომხეთისთვის დაეთმოთ ბორჩალოს მაზრის ყბად-

---

*) თავდაცვისთვის მომარჯვებული საზღვრები საქართველოს უნდა ეძებნა არა სომხეთის საწინააღმდეგოთ, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად. მაგრამ ამ კითხვის გარჩევა შორს წამიყვანდა.

**) იხ. კრებულში: Из истории армяно-грузинских отношений 1918 წელი. თფილისი 1919 გვ. 11.

აღებული სამხრეთი ნაწილი, და სომხეთს თავის მხრით უარი განეცხადებია იმდენადვე ყბად-აღებულ ახალქალაქის მაზრაზე.

## 66.

მაგრამ სომხებს რომ ემჩნეოდათ უკიდურესი ჯიუტობა-დაუჯერებლობა, ამაში დაგრწმუნდი პარიზში, როცა დავესწარი სოციალისტური საშვალებებით სომეხ-ქართველთა საზღვრების გამო დავის გადაწყვეტის ცდას.

1919 წლის მაისის დასაწყისში ინტერნაციონალის ბიურო (რომელიც შემდეგ მეორე ინტერნაციონალათ გახდა) არჩევდა მიქაელ ვარანდიანის *) საჩივარს, უფრო სწორათ რომ ვთქვათ, დაბეზღებას საქართველოს მთავრობაზე, რომელიც ვითომდა ავიწროებს სომხებს, „იმპერიალისტობას" იჩენს, და აშკარათ არღვევს ამის წინაზე ბერნის სოციალისტური კონფერენციის **) მიერ მიღებულ პრინციპებს. ამ საჩივრს გამო ბიურომ პასუხის საგებლათ მოიწვია ორივე მხარე, მოუსმინა ერთსა და მეორესაც, რის შემდეგ საქართველოს დელეგაციაში მოხდა თათბირი სომხებთან (10 მაისი), მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. აქ იყო ა გ ა რ ო ნ ი ა ნ ი, რომელიც

*) სომხეთის ცნობილი მოღვაწე და პატრიოტი, რომელიც დიდხანს ცხოვრებდა ევროპის სოციალისტურ წრეებში. შემდეგ სომხეთის წარმომადგენლათ იყო რომში.

**) ამ კონფერენციაზე ჩხეიძემ ხელი მოაწერა რეზოლიუციას, რომლის ა რით, სადაც ადგილების გამიჯვნის დროს არავითარი ეკონომიური, ისტორიული, სამხედრო და სხვა მოსაზრებანი არ უნდა იქმნეს მხედველობაში მიღებული. ყველაფერი წყდება ეროვნული საფუძვლითა და მოსახლეობის ხმის მიცემით. ამ დადგენილების სიტყვა-სიტყვით გაგების შედეგათ გამოდის, რომ, თუ სომხებმა დავა განაცხადეს, მაგალითად, თფილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრაზე, სადაც სომხების (ოსმალეთის სომხეთიდან გადმოსახლებულსა) შეადგენენ უმრავლესობას, და, მაშასადამე „ეროვნული" საფუძველი არსებობს, დარჩენილი მოსახლეობის დაკითხვა, და საქმე გადაწყვეტილია. თუ ამ დროს დაირღვევა სასიცოცხლო ინტერესები მეზობლისა, მით უარესი ამ მეზობლისთვის. თქმა არ უნდა, რომ საქმის ასე წაყვანა მომაკვდინებელი იქნებოდა თვით სომხებისთვის, როგორც ოსმალეთში ისე ამაერ-კავკასიის სხვადასხვა მხარეში, სადაც სომხები არეულნი ერიან მუსლიმანებთან. მაგრამ საქართველო-სომხეთის ჩარჩოებში,—ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების დავაში—ასეთი მოქმედება სასარგებლო იქნებოდა სომხებისათვის.

დავტოვე კონსტანტინოპოლში, ოგანჯანიანი, რომელიც კიდევ უფრო ადრე დავტოვე ბერლინში, ვარანდიანი და სხვა. სამივე თამამად შეიძლებოდა გამოქანდაკებული ყოფილიყო ასსირ-ბაბილონის რომელიმე ბარელიეფზე.

მათი შეხედულება იყო მეტათ მარტივი: ისინი მხოლოდ განცვიფრებას გამოსთქვამდენ, რომ ქართველები, სოციალ-დემოკრატები, საერთოდ ბედავენ მოითხოვონ ის ადგილები, სადაც ქართველები არც არიან და არც ოდესმე ყოფილან.

მეორე დღეს კამათი ხდებოდა „მოსამართლეთა" წინაშე; მომოსამართლეებათ იყვნენ: ა. გენდერსონი, რ. მაკდონალდი, *) კიდევ ერთი სახელოვანი სოციალისტი-ინგლისელი; კ. გიუსმანსი, რენოდელი, ჟ. ლონგე. **)

გაშმაგებულმა კამათმა დიდხანს გასტანა. სომხები თავისას იმეორებდნენ ქართველების ძალადატანებაზე, მათ მიერ გერმანელი ხიშტების დახმარებით სადავო პროვინციების დაპყრობაზე და სხვა. წერეთელი გაუმასპინძლდა გახსენებით, რომ სომხები ვერაგულათ დაეცენ საქართველოს დეკემბერში. ერთის სიტყვით, „კეთილმეზობლური" ლაპარაკი გამოვიდა.

შემდეგ საქართველოს მხრით სომხებს მისცეს წინადადება, ეხლავე აერჩიათ საარბიტრაჟო კომისია, რომელიც საფუძვლათ მიიღებდა ბერნის გადაწყვეტილებას და ხელს მოკიდებდა პლებისციტთან და სადაო ადგილებთან დაკავშარებულ ყველა კითხვისა და უთანხმოების გარჩევა-გადაწყვეტას. ამავე დროს ორივე დელეგაციას, საქართველოსას და სომხეთისას, ამ შეთანხმების შესახებ უნდა ეცნობებია პარიზის კონფერენციისათვის.

როგორც ეტყობოდა ეს აზრი მოეწონა „მოსამართლეებს". (ძლიერ გულგრილათ თავმჯდომარეობდა გენდერსონი და ოდნავის გაკვირვებით შეჰყურებდა უბრალო რამეზე „სამხრეთელ აპილპილეების" სურათებს). ფლამანდიელებისა და ვალლონების ჩხუბებს შეჩვეულმა გიუსმანსმა საქართველოს წინადადების საფუძველზე ბო-

---

*) ეხლა (1924 წ.) — დიდი ბრიტანეთის პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი.

**) ინტერნაციონალის ბიურო ამ დროს საერთოდ სარგებლობდა თავის მუშაობისთვის ქართული დელეგაციის ხტუმართ-მოყვარეობით. მაშინ ვერ მოვახერხე გამომერკვია, ვინ ვის მფარველობდა, ინტერნაციონალი საქართველოს, თუ საქართველო ინტერნაციონალს? 1919 წელს უკანასკნელის საქმე ცუდათ იყო-

ლოს შეიმუშავა შეთანხმების მუხლები და ცდილობდა დაეჯერებინა სომხები. ძნელი იყო რაიმე საწინააღმდეგო პასუხის გაცემა, და სომხებმა მოულოდნელათ დაიწყეს ლაპარაკი სომეხ-ქართველთა შეტაკების დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემის შესახებ და მოითხოვეს გიუსმანსის მიერ შემუშავებულ მუხლების გარდა, მიღება კიდევ ერთი მუხლისა, სახელდობრ, რომ პლებისციტის წინ სადავო ადგილებიდან გაყვანილი ყოფილიყო საქართველოს ჯარი და ადმინისტრაცია, ჩვენ და გიუსმანსი კი ვფიქრობდით, რომ ეს და სხვა ამგვარი კითხვა უნდა გადაწყვიტოს სწორეთ საარბიტრო კომისიამ.

მაგრამ სომხების ჯიუტობა (განსაკუთრებით ვარანდიანის) ისეთი გამოდგა, რომ გიუსმანმა პირდაპირ უსაყვედურა მათ, შეთანხმება არ გსურთო.

ამგვარად, ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა. მაგრამ საყურადღებო სანახაობას წარმოადგენდა ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის ბაირაღს ამოფარებული ეროვნული ენებათა ღელვის შეხლა-შემოხლა, რომელიც თავის თავად ჯანსაღი და, შეიძლება, მარტივიც კი იყო. *)

---

*) საერთოდ საქართველოსა და სომხეთს შორის 1919—1920 წლებში დამყარდა ასეტანი განწყობილება (თუმცა ამ ქვეყნებში გაბატონებული პარტიები— საქართველოს სოციალ-დემოკრატები და სომხების დაშნაკელები --არ წყალობდენ ერთმანეთს). 1918 წლის ნოემბრის კონფერენციის შემდეგ, რომელიც არ შესდგა (იხ. ზევით გვ. 214) საქართველოს მთავრობამ კავკასიის რესპუბლიკების საერთო საქმეების განსახილველათ ხელმეორეთ, 1919 წ. მაისში, მოიწვია კონფერენცია. პროგრამა საუცხოო იყო, მაგრამ მუშაობას ხელი შეუშალა მოხალისეთა ლაშქრის მუქარამ. უფრო გვიან 1919 წლის აგვისტოში, სომხებისა და მუსლიმანების სისხლიან შეტაკებების გამო კონფერენციის მუშაობა საქართველოს მთავრობის წინადადებით, განახლდა.

## თავი მეოცდაექვსე

## მანდატარის (ხელმდებელის) ძებნაში.

### 67

პარიზის კონფერენციის ყველაზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი კითხვა იყო—მანდატების კითხვა.

ერთა ლიგის დებულება უფრო სპეციალურად იხსენიებს ორ გვარ მანდატს: კოლონიებში გერმანიის ყოფილ სამფლობელოების თავის გამგებლობაში აღებას, და თანამშრომლობა-მზრუნველობას ზოგიერთი ქვეყნის მიმართ, რომელიც შედიოდა სრულიად დასანაწილებელ ოტომანთა იმპერიის ფარგლებში. მაგრამ ეს კატეგორიები, თანახმად The Covenant of the League of Nations-ის მე-22 მუხლისა, მხოლოდ კერძო, თუმცა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დამატებებია საერთაშორისო ზოგადი პროგრამისა, რომელიც გამოთქმულია ამგვარათ:

,,ომის მეოხებით ხელმდებელ სახელმწიფოთა გამგებლობისაგან გამოსულ კოლონიებისა და ტერრიტორიების მიმართ, რომელნიც დასახლებული არიან ისეთი ხალხებით, რომელთაც ქვეყნიერების დღევანდელ სამძიმო პირობებში (under the strenuous conditions of the modern world) დამოუკიდებლათ არსებობა არ შეუძლიათ, *) უნდა მიღებულ იქმნეს ის პრინციპი, რომ ასეთი ხალხების კეთილდღეობა და განვითარება შეადგენს ცივილიზაციის უწმინდესს ამოცანას, და რომ ამ ამოცანის შესრულების გარანტიები უნდა იქნეს შეტანილი ამ დებულებაში.

---

*) ,,To stand ly themselves'', ფრანგული ტექსტი მცირედით განსხვავდება ,,non encore capables de se diriger eux—mêmes''.

ამ პრინციპის პრაქტიკულათ ასრულებისათვის საუკეთესო საშვალება იქნება ის, რომ ასეთი ხალხების მზრუნველობა მიენდოს მოწინავე ერებს, რომელთაც თავისი გამოცდილებით, ქონებით ან გეოგრაფიული მდებარეობით საუკეთესოდ შეუძლიათ იკისრონ ასეთი პასუხისმგებლობა, და რომელნიც თანახმა არიან მიიღონ ვალდებულება; მზრუნველობას ისინი უნდა ასრულებდენ, როგორც მანდატარები (ხელმდებელნი) ლიგის სახელით.

მანდატის (ხელდების) ხასიათი სხვადასხვაგვარის უნდა იყოს, იმისდამიხედვით, თუ რა განვითარება აქვს ხალხს, როგორია ტერრიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა, ეკონომიური პირობები და სხვა ასეთივე მდგომარეობანი..!!“

ასეთი იყო კონფერენციის მიერ შეთვისებული ოფიციალური მოძღვრება მანდატების კითხვის შესახებ. იგი იყო კეთილშობილი განზრახვის ნაყოფი (თუ ჩავთვლით, რომ სიტყვებს სერიოზულათ ლაპარაკობდენ!), რომ მოწინავე (გამარჯვებული, მდიდარი, ძლიერი!) ერებს გაენაწილებიათ შრომა, რათა, რაც შეიძლება სასწრაფოთ, ზოგიერთ ხალხისათვის მიენიჭებიათ კარგი ადმინისტრაციის სიკეთე (კოლონიალური, „შავი“ მანდატები), ზოგიერთისათვის კი, —დამოუკიდებელი, თავისუფალი, კულტურული არსებობის სიკეთე („თეთრი“ მანდატები).

ამიერ-კავკასიას, რასაკვირველია, ახლო ეხებოდა ს ო მ ხ ე თ ი ს მანდატი. თუნდაც მანდატი მხოლოდ ოსმალეთის სომხეთზე ყოფილიყო გავრცელებული, იქ ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს როგორც მანდატარის გამოსვლა მაინც დიდი მნიშვნელობის იქნებოდა მეზობელ რესპუბლიკებისათვის. თუ ოსმალეთის სომხეთი და ერევნის რესპუბლიკა ე. ი. ყოფილი რუსეთის სომხეთი შეერთდებოდენ, მაშინ ხომ მანდატარი (ხელმდებელი) სრულიად ჩაერეოდა კავკასიის პოლიტიკის წრეში.

თუ რამდენათ ღრმათ აინტერესებდა საქართველოს ეს კითხვა, ამაზე შემდეგ ვიტყვით. ეხლა შესაფერი იქნება მხოლოდ აღინიშნოს, რომ გარდა მანდატების სპეციალურად შემოფარგლულ წრისა (გერმანიის ყოფილი ახალშენები და ყოფილი ოტტომანთა იმპერიის ნაწილები—სომხეთი, პალესტინე, მესოპოტამია) პარიზის კონფერენციის დროს სინამდვილეში რამდენჯერმე აღიძრა ლაპარაკი ს ხ ვ ა მანდატებზედაც, რაც ეთანხმებოდა კონფერენციის დედააზრს. მე მხედველობაში მაქვს სწორედ ამიერ-კავკასია. მაგრამ სანამ საქმის ამ მხარეს გამოვარკვევდეთ, საჭიროა რამდენიმე სიტყვა

ვთქვათ იმაზე, თუ როგორ უყურებდა საქართველო, ან და უფრო სისწორით, როგორ უყურებდა საქართველოს მთავრობა ამ კითხვას. ამას მით უფრო აქვს მნიშვნელობა, რომ საქართველოს მთავრობა თუ არ გამოიჩენდა განსაზღვრულ ინიციატივას, ისე მანდატის შესახებ კითხვა, რასაკვირველია, არც კი შეიძლებოდა პარიზში დასმულიყო.

ცხადია, რომ ოფიციალური შეხედულება გამოთქმული იყო 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში, რომელიც ერთხმად იქმნა დამტკიცებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 19 მარტს 1919 წელს. აქ გარკვევით იყო მიღებული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. საქართველოს საზოგადოებრივ აზრს მხოლოდ ასე ესმოდა კითხვა. მაგრამ ვინაც საქართველოს საქმეების გაძღოლა იკისრა, იგი ვერ დაკმაყოფილდებოდა, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ფორმალური ლოზუნგით. აუცილებელი იყო არა მარტო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წეს-რიგის შექმნა შინ, საქართველოში, არამედ როგორმე უნდა მოეხერხებიათ მიეღოთ რუსეთის თანხმობა მთელი იმპერიის შემადგენლობიდან საქართველოს უკვე მომხდარ გამოსვლის შესახებ და ეზრუნათ, რომ პირველ ხანებში, სანამ ქვეყანა მტკიცეთ მოეწყობოდა, მოეპოვათ გარეშე დახმარება, რომელიც გაამაგრებდა დამოუკიდებლობას.

1918 წელს იყო ცდა გადაეწყვიტათ სწორედ ეს ამოცანები გერმანიის დახმარებით. როგორც გამოცდილებამ დაამტკიცა, მართებული იქნებოდა ორივე ამოცანა დაეკავშირებიათ ერთმანეთისათვის: ვისაც სურს და შეუძლია დაეხმაროს საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს, მან, უპირველესად ყოვლისა, უნდა ხელი შეუწყოს რუსეთისაგან დამოუკიდებლობის ცნობის მიღებას. და ვისაც ამის ძალა შესწევს, მას შეეძლება პირველი კითხვაც მოაგვაროს.

1919 წელს, როცა დიდათ სწამდათ პარიზის კონფერენცია, ვილსონის საფუძვლები და სხვა, შეიძლება ვისმე ეფიქრა, რომ თავიდათავი საქმე ფორმალური ცნობის მიღებაა, დანარჩენი კი, როგორმე მოგვარდება. როგორც სჩანს, საქართველოშიაც ასე უყურებდენ მდგომარეობას. მაგრამ ეს, რასაკვირველია, შეცდომა იყო. საჭირო იყო წინდაწინვე ეფიქრათ ვისგანმე დახმარების მიღებაზე, იმ მოსაზრებით; რომ რუსეთი (თეთრი იქნება იგი, თუ წითელი), აუცილებლივ მოინდომებს აღადგინოს თავისი მდგომარეობა კავკა-

სიაში. გარეშეთა დამოუკიდებლათ ვერც ერთი ახალი სახელმწიფო ვერ მოეწყობოდა „დღევანდელი ქვეყნიერების სამძიმო პირობებში“: *) 1919 წლის დასაწყისში „თვითგამორკვეული ხალხები“ ყველა გამოუნაკლისოთ სარგებლობდენ ასეთის დახმარებით, თუმცა დახმარების ფორმებს ზოგჯერ ნიღაბს აფარებდენ.

თვით რუსეთს არ შეეძლო ზურგი შეექცია უფრო მდიდარ და უფრო ბედნიერი ერების დახმარებისათვის: ნუ თუ ბუნებრივი არ იქნებოდა მიგვემართა უმაღლეს ინსტანციისათვის, ევროპის მომწესრიგებელ სახელმწიფოებისათვის და გვეთხოვა არა მარტო ცნობა, არამედ დახმარება და დაცვა?

საერთოდ იმ აზრს უნდა დავდგომოდით—მე პირადათ ასე ვმოქმედებდი—რომ ქვეყანას, რომელსაც საქართველოს მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობა უჭირავს (რუსეთსა და ოსმალეთს შორის) და რომელსაც რევოლიუციამდე არ ჰქონებია სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (როგორც, მაგ., ფინლანდიას), უეჭველად სჭირდება გარდა ოფიციალური ცნობისა, რომელიმე დიდი სახელმწიფოს უფრო გარკვეული, უფრო სპეციალური დახმარება. დამარცხებულ გერმანიას აღარ შეეძლო ამ ამოცანის შესრულება. შეეძლო მისი მაგიერობა ვისმე გაეწია?

გასაგებია, რომ არც ჩხეიძესა და არც წერეთელს კითხვის ასე დაყენება არ შეეძლო; მათთვის ძალაში რჩებოდა დაპირისპირება იმპერიალიზმობისა და პროლეტარიატისა, რევოლიუციონური დემოკრატიისა. ისინი გაძაგრული იყვნენ ამ ფორმულებით, როგორც ევროპიელ ამხანაგების, ისე საქართველოში „სამწყსოს“ წინაშე, რომელიც აღზრდილი იყო სწორედ ამ უმწეო და გამარტივებულ ფორმულებზე. ამიტომაც ისინი იყვნენ, ყველა მათი ღირსების მიუხედავათ, ნაკლებათ შესაფერი პირები რომ მოეპოვათ საქართველოსთვის რომელიმე დიდი სახელმწიფოს თავგამოდებული დახმარება; და თუ რაიმე მიზეზის გამო—თუნდაც, მაგალითად, როცა ბუნებრივი გონიერება მოულოდნელად დასძლევდა გაზეპირებულ ფრაზებს—ისინი დაადგებოდენ „იმპერიალიზმთან შეთანხმების“ გზას, ისინი ყოველთვის ვარდებოდენ ყალბ, ორპოფულ მდგომარეობაში.

---

*) ამ მელანქოლიური შენიშვნის ღრმა და მრავალგვარი აზრი (იხ. გვ. 271) ყველასათვის არ შეიქნა ნათლად გასაგები.

„მანდატის“ კითხვა საქართველოს დელეგაციამ პირველად განიხილა შემდეგი გარემოების დროს. ჩვენი მემორანდუმი—საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შუამდგომლობით—წარდგენილი ჰქონდა კონფერენციას. დელეგატებმა (უმთავრესად ჩხეიძემ), ჩამოიარა „პიროვნებანი“ და ამ დარბაზობას აშკარათ ემჩნეოდა სავალდებულო და მოსაბეზრებელი ფორმალობის ხასიათი. დელეგაციაში *) მე არ მეჭირა ოფიციალური ადგილი, თუმცა სინამდვილეში თანამშრომლობას ვეწეოდი; (მე იმ ხანებში შევადგინე, მაგალითად, ზემორე აღნიშნული ძირითადი მემორანდუმი, რომელიც წარედგინა საქართველოს სახელით პარიზის კონფერენციას); ამიტომ, რასაკვირველია, მე მსურდა გამეგო საქართველოს რწმუნებულთა არსებითი გეგმები და აზრები. ამ მიზნით, 23 მარტს, 1919 წელს ჩხეიძემ მიმიწვია დელეგაციის კერძო თათბირზე, რომელზედაც მოხდა აზრთა შემდეგი გაცვლა-გამოცვლა.

ა ვ. აუცილებლად საჭიროა გამოვარკვიოთ უმთავრესი კითხვა: რა მიზანს ვემსახურებით აქ? დამოუკიდებლობის ფორმალურ ცნობას და „განათლებულ ერთა ოჯახში მიღებას“, როგორც ამას ცდილობენ ისეთი ახალი სახელმწიფოები, როგორიც არიან ჩეხია, სამხრეთი-სლავია? თუ ჩვენ პირველ ხანებში გვჭირდება გარეშე დახმარება და მას უნდა ველოდეთ „მანდატორისაგან“? როგორც სჩანს ყველა თანახმაა, რომ საქართველოს თავისი ძალებით ახლო მომავალში არ შეუძლია უზრუნველჰყოს თავისი თავი ყოველგვარი გარეშე საშიშროებისაგან. თუ მივიღებთ, რომ დახმარება რომელიმე დიდი სახელმწიფოსი საჭიროა, მაშინ არ გვაქვს საფუძველი ზურგი შევაქციოთ „მანდატს“, მით უმეტეს, რომ მანდატი სრულდება ერთა ლიგის, ე. ი. უმაღლესი ინსტანციის დავალებით და ზედამხედველობით, იგი მანდატი განსაზღვრული დროით იძლევა, ხოლო მისი შინაარსი წინასწარ შეიძლება შემოეფარგლოთ მანდატორთან პირდაპირი მოლაპარაკების საშვალებით. არსებითად, ეს „მანდატი“ შეიძლება შეეთანხმოს საქართველო-გერმანიის ურთიერთობის შარშანდელ ჩვენს სქემას. მაგრამ, რა თქმა უნდა, საქმის დამწყები უნდა ვიქნეთ ჩვენ და სხვა...

---

*) შემდეგ, 1919 წლის მაისში, მე „კოოპტაციის წესით“ შემიყვანეს დელეგაციის შემადგენლობაში.

ამას მიჰყვებოდა ნათქვამიდან გამომდინარე პრაქტიკული გეგმის განმარტება.

ი. წ ერ ე თ ე ლ ი. ჩვენ დამოუკიდებლობის თვალსაზრისზე ვდგევართ. ჩვენი ხალხი ისე შეეჩვია ამ აზრს, რომ ძნელია ეხლა სხვა რამ მიაწოდო. ყოველ შემთხვევაში მანდატით ან პროტექტორატით საქმის დაწყება არ უნდა იყოს მართებული. მოვითხოვოთ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა და შემდეგ, როცა ყოველივეს ავწონ-დავწონით, შევეთანხმებით, ვთქვათ, ინგლისს. დავეკითხოთ მას, რას უპირებს ჩვენში მყოფ ჯარებს, ვთხოვოთ არ გაიყვანოს იგი.

ჩ ხ ე ი ძ ე. დიპლომატია საერთოდ ძნელი საქმეა, ეხლა კი, სრულიად თავსამტვრევი გახდა. ავიღოთ თუნდაც ეს „მანდატი“,— შეიძლება დამოუკიდებლობასთან მისი შეერთება? და სხ.

რა თქმა უნდა, „მანდატისა“ და „ერთა ლიგის“ ტერმინებთან დაკავშირებით იბადებოდა მრავალი იქვი და ფიქრი; მაგრამ მე მაინც ,ის აზრის ვიყავი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, რომელმაც დაამტკიცა პოლიტიკური თვითმართველობის უნარი უფრო კარგად, ვიდრე სადმე სხვაგან, „მანდატი“ ასრულებს თავის დანიშნულებას—ს ა ნ ა მ ა ხ ა ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ ო ე წ ყ ო ბ ო დ ე ს, ი ყ ო ს დ რ ო ებ ი თ ი დ ა მ ხ მ ა რ ე თ.

„ნუ დაივიწყებთ უმთავრესს,—დავსძენდი მე: ჩვენ არ შეგვიძლია დავიგვიანოთ და ვიცადოთ—საჭიროა საქართველო წინდაწინვე უზრუნველვყოთ მოულოდნელობისაგან“.

## 68

საერთოდ, ჩვენი მთავარი დელეგატები, როგორც აღმოჩნდა, სრულიადაც არ იყვნენ „მანდატის“ პრინციპიალური მოწინააღმდეგენი. მაგრამ მათ სურდათ მოეცადნათ. ამ დროს კი, ‘ჩვეულებრივის ხერხით წერეთელმა „გაიყვანა“, 28 აპრილის 1919 წელს, ამსტერდამის რეზოლიუცია, რომელიც სრულიად აშკარად გამოდიოდა საქართველოს „სრული დამოუკიდებლობის“ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ შ ე ზ ღ უ დ ვ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, როგორიც არ უნდა იყოს კონტროლი თუ „მზრუნველობა“ ევროპის სახელმწიფოებისა (იხ. ზემოთ). შესაძლებელია, რომ ასეთი პოზიცია სჭირდებოდათ საქართველოს სოციალისტების მეთაურებს ინტერნაციონალში თავისი პი-

რადი მდგომარეობისათვის. საქართველოს საქმეს ამით ცუდ სამსახურს უწევდენ.

ამ პოზიციის ორჭოფობა ძლიერ მალე გამოაშკარავდა: მოხალისეთა ლაშქრის მუქარამ თვალსაჩინო გაკვეთილი მისცა საქართველოს მთავრობას ტფილისში და მის სრულუფლებიან რწმუნებულებს პარიზში, რომ მარტო ,,დამოუკიდებლობა'' არ კმარა თავდაცვისათვის, და დახმარება რომელიმე ,,იმპერიალისტური'' სახელმწიფოისა, არც თუ ისე უმნიშვნელოა.

ზევით ნათქვამი იყო, თუ თვით საქართველოში როგორ გართულდა განწყობილება ინგლისელებთან (მთავარ ,,იმპერიალისტებთან''). დენიკინის საწინააღმდეგო საქართველოს ფრონტი გაგებული იყო როგორც ,,სოციალისტური'' ფრონტი; საქართველოს მთავრობის წინამძღოლი ვერ ბედავდა ტფილისის სასახლეზე აფრიალებულ წითელ ბაირაღს გამოთხოვებოდა, როგორც ბავშვი ვერ იმეტებს საყვარელ სათამაშოს. ყველა ეს იყო ნიშნები, რომელნიც კეთილად ვერ იმოქმედებდენ რომელიმე დიდ სახელმწიფოსთან დაახლოებაზე!

ასეთი დაახლოების მოთხოვნილება კი მწვავეთ საგრძნობი გახდა. მაგრამ როცა წერეთელმა (ამ შემთხვევაში მისივე თხოვნით მე თან ვახლდი) ბრიტანეთის დელეგაციაში დაიწყო ლაპარაკი ,,დემოკრატიულ რესპუბლიკისა'' და ,,ბრიტანეთის იმპერიალიზმის'' შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების შესახებ, გაიგონა დაშორებულ პასუხზე კიდევ მეტი. იმ პირისაგან, რომლის ხელის მოწერით 1919 წლის დეკემბერში მივიღეთ საქართველოსადმი თანაგრძნობის განცხადება, ჩვენ მოვისმინეთ აღიარება, რომ ,,სიმპატიები იყო'', მაგრამ ეხლა იგი... ,,უფრო ცოტაა''. (მუსაიფი სერ ლუი მალლეტთან, 26 ივნისი 1919 წელი).

მაგრამ შეცდომა იქნებოდა ბრიტანეთის მთავრობის ჩვენდამი გულის გაგრილება მივაწეროთ მხოლოდ თვით საქართველოში არსებულ ,,შეუფერებელ, დასავლეთის იმპერიალიზმისადმი'' მტრულ სულიერ განწყობილებას.

იყო უფრო ზოგადი მიზეზები, რომელთა გამო 1919 წელში დიდმა ბრიტანეთმა უარყო აქტიური პოლიტიკა საქართველოში (და საერთოდ ამიერ-კავკასიაში), სახელდობრ: მთლიანი რუსეთის აღდგენის პოლიტიკასთან ერთად ამიერ-კავკასიიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის თავგამოდებული დაცვის სიძნელე (იმ მხრით, რომ საბოლოოთ ჩამოშორებოდენ რუსეთს); ბრიტანეთის ლომის

ზედმეტათ დატვირთვა ყოველგვარი საზრუნავითა და პასუხისმგებლობით და დასასრულ, ეკონომიის საჭიროება, რასაც ომის დამთავრების შემდეგ ძლიერ დაჟინებით მოითხოვდა ინგლისის საზოგადოებრივი აზრი *).

და საერთოდ, თუმცა ამიერ-კავკასიაში ინგლისის ისეთი პოზიციის შექმნა, რომელიც შეთანხმებული ყოფილიყო დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან, ბრიტანეთის იმპერიისთვის სხვადასხვა თვალსაზრისით წარმოადგენდა დიდ ინტერესს, მაგრამ მასარ ჰქონდა საარსებო მნიშვნელობა.

ნათქვამი საკმაოა რომ ავხსნათ, თუ ბრიტანეთის მანდატის იდეას რატომ არ მიეცა პრაქტიკული წარმატება 1919 წლის შუაში.

## 69

ამიერ-კავკასიიდან ინგლისის ჯარების წასვლით შეშფოთებულს საქართველოს მთავრობას სრულიადაც არ სურდა მოხალისეთა ლაშქართან სასიამო მარტოობაში პირის-პირ დარჩენა განეცადა და ზურგს არ აუხვევდა, თუ ინგლისელებს რომელიმე სხვა „იმპერიალისტები“ შესცვლიდენ. ინგლისელების მაგიერ ამიერ-კავკასიაში მოსვლის სურვილი განაცხადა იტალიამ, და იტალიის ჯარების მომავალი ჩამოსვლა ოფიციალურადაც იყო გამოცხადებული. ზოგიერთი მოსაზრებით იმის თქმაც კი შეიძლება, რომ ამიერ-კავკასიის ყელზე იტალიის, როგორც მანდატორის დამკვიდრება იქნებოდა. იმ დროისთვის (1919 წ.) ყველაზე უფრო პრაქტიკული, მრავალ-გვარ პირობებთან და ინტერესებთან შეთანხმებული ფორმა... ბრიტანეთის მანდატისა საქართველოზე და აზერბაიჯანზე!

იტალიას არა აქვს ნედლეული, და „ნედლეულის ძებნა“ ერთი უმთავრესი მიზანთაგანი იყო იტალიის საგარეო პოლიტიკისა უკანასკნელ წლებში. იტალიელების მხრით წამოყენებულიც კი იყო იდეა „ნედლეულის საერთაშორისო გადაყოფისა“, როგორც ერთა ლიგის ერთი ამოცანათაგანი. გონების ასეთი მიმართულების დროს ბუნებრივათ დაიბადა აზრი, იტალია მიეწვიათ კავკასიის სიმდიდ-

*) 1919 წლის ზაფხულიდან ინგლისი, დაკმაყოფილდა ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ბათომის დაკავებით; ამგვარათ იგი საკმაოთ უზრუნველყოფილი იყო იმ შემთხვევისათვის, თუ შემდეგ გადაწყვეტდა უფრო ახლო მონაწილეობა მიეღო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკაში.

რეთა დასამუშავებლად. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ ქვა-ნახშირს, იტალიის უმთავრეს საზრუნავ საგანს.

აქ არაფერს ვიტყვი, თუ რა კავშირი არსებობდა იტალიის „კავკასიაზე ორიენტაციისა“ და ევროპის პოლიტიკის გაყოფასა და კომპენსაციებთა შორის, რაც გარდუვალი იყო 1919 წლის პირობებში. იტალიის დაინტერესება ისე სერიოზული სჩანდა, რომ ერთ დროს შემხდური მიმართულებაც დაიბადა—სახელდობრ, საქართველოს მთავრობის იტალიაზე ორიენტაცია. ამ მიმართულებამ სიძლიერით იჩინა თავი, მაგრამ მალე გაჰქრა.

საქართველოს „ბუნებრივ სიმდიდრისადმი“ ინტერესი იტალიელებმა გამოამჟღავნეს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე ჩხეიძესთან პარიზში პირველ შეხვედრისთანავე. „როგორაა ქვა-ნახშირის საქმე თქვენში“?—ეს იყო მთავარი კითხვა, რომელიც დაუყენეს მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს იტალიის სრულუფლებიანმა დელეგატმა პარიზში მარკიზმა Salvago Raggi-მ და აგრეთვე მარკიზმა della Torretta-მ (მაშინ მრჩეველ დელეგატათ იყო) ჯერ კიდევ 1919 წლის მარტში. ამ შეხვედრის ცოტა ხნის შემდეგ ინგლისურ წყაროებიდან ცნობა მოვიდა, რომ აზრათ აქვთ ამიერ-კავკასიაში ინგლისური ჯარი შესცვალონ იტალიურით. აპრილის დამლევს, პოლკოვნიკ გაბბას მეთაურობით, ტფილისში გაემგზავრა იტალიის მისსია, რომელშიაც შედიოდენ სამხედრო და არა სამხედრო პირები. ამ შემთხვევის გამო მარკიზმა დელლა ტორრეტამ საქართველოს დელეგატებს მისცა (2 მაისს) განმარტება, რომ მისსია გაიგზავნა, ქვეყნის საღსრების გასაცნობათ და საწარმოო და საერთოდ ეკონომიური კავშირის მოსაგვარებლათო. „შესაძლებელია—დასძინა მან—ინგლისის ჯარები გამოყვანილი იქნეს საქართველოდან, და ისინი შესცვალონ იტალიელების ჯარებმა; ამ შემთხვევაში იტალიელები, რა თქმა უნდა, არ ჩაერევიან საქართველოს შინაურ საქმეებში და მათი იქ ყოფნა დაემორჩილება იმავე პირობებს, რა პირობებითაც იყვნენ ინგლისელები. საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას კონფერენციაზე იტალია ყოველგვარათ შეუწყობს ხელს“. ამ ოფიციალურმა განცხადებამ დაადასტურა ცნობები, რომელიც ჩვენ წინათ გვქონდა მიღებული.

10 მაისს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ (ჟორდანიამ) მიიღო გენერალ ტომსონისაგან (ბრიტანეთის ჯარების უფ-

როსი ამიერ-კავკასიაში) ცნობა ინგლისის ჯარების მომავალ წასვლისა, და იტალიელი ჯარების მიერ მათი შეცვლის შესახებ. ასეთივე განცხადება გამოსცეს ბაქოშიაც. *)

საქმე სახუმარო აღარ იყო, მით უმეტეს, რომ ამ ხანებში „დენიკინის მუქარა" უფრო და უფრო მწვავე ხდებოდა.

ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში ტფილისიდან პარიზში გაიწვიეს პოლკოვნიკი გაბბა. იტალიის მთავრობას დინჯათ უნდა გადაეწყვიტა საპასუხისმგებლო კითხვა, გაგზავნოს თუ არ გაგზავნოს ამიერ-კავკასიაში ჯარი? ეს კი უდრიდა კითხვას, მიიღოს თუ არა იტალიამ მანდატი ამიერ-კავკასიაზე და კერძოთ საქართველოზე.

იდეური დასაბუთება არ წარმოადგენდა რთულ საქმეს.—დახმარებოდენ ახალგაზრდა ერებს, რომელთაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, განემტკიცებიათ დამოუკიდებლობა—განა ეს არ შეესაბამებოდა გაერთიანებული იტალიის უკეთილშობილეს ტრადიციებს, გარიბალდის ანდერძს?

ასეთი განცხადებების რიცხვი, როგორც ქართველების, ისე იტალიელების მხრით, მრავალი იყო. მატერიალური სარჩულიც აშკარად სჩანდა: იტალია გზას პოულობდა მისთვის საჭირო ნედლეულისა და სათბობისაკენ, და ექსპედიციის ხარჯები საკუთარით იქნებოდა უზრუნველყოფილი კონცესიებით.

მაგრამ მხედველობაში მისაღები იყო რუსეთის აღდგენა, რაც მოახლოვებულათ ეჩვენებოდათ. ქრონოლოგიურათ იტალიის მანდატის „ყოფნა არ ყოფნის" კითხვა სწორედ იმ დროს წამოიჭრა, როცა არჩევდენ, თუ როგორ პოლიტიკას უნდა დასდგომოდა კონფერენცია რუსეთის საქმეში (კოლჩაკის მთავრობის ცნობის პირობები) და სწორედ იმ დროს, როცა დაიწყო კონფლიქტი კავკასიის რესპუბლიკებსა და მოხალისეთა ლაშქრის შორის.

კონფერენციის პროგრამა რუსეთის კითხვაში, არსებითად, არ უარყოფდა არც იტალიის ჯარების გაგზავნას (ინგლისელების მაგივრათ) საქართველოსა და აზერბაიჯანში და არც იტალიის „მანდატს". მაგრამ ამ ნიადაგზე მოხალისეთა ლაშქართან შეტაკების „ტაქტიური" შესაძლებლობა მაინც რჩებოდა. ამგვარათ, კითხვა

---

*) როგორც მაშინ ამერიკის დელეგაციაში გადმოგვცეს, ერთის მიერ მეორის შეცვლა კონფერენციაზე მოხდა მხოლოდ იტალია-ინგლისის შეთანხმებით.

ბოლოს და ბოლოს—როგორც ყოველთვის, ასეთ შემთხვევებში ხდება—წყდებოდა წაგება-მოგების შეფასებით.

იტალიის მანდატის მომხრეები ფიქრობდენ, რომ საკმაოა მოკავშირეთა ჯარების მარტოოდენ საქართველოში ყოფნა, რათა საქართველო და აზერბაიჯანი დაცულნი იქნენ გარეშეთა ყოველივე შემოტევისაგან, და დიდს იმედებს ამყარებდენ ამიერ-კავკასიაში იტალიელების გაგზავნაზე, რომელთა ოკუპაცია იქნებოდა დროებითი, სანამ საერთო „მშვიდობიანობა" დამყარდებოდეს და სანამ ადგილობრივი ძალები მოეწყობოდეს. დიდის საფუძვლიანობით გამოსთქვა ეს აზრი საქმის კარგათ მცოდნე პუბლიცისტმა—დ. ანდრიულლიმ „Corriere della Sera"-ში; იგი დასძენდა, რომ ერთადერთი, რაც იტალიას არ შეუძლია და არ შეეფერება—ეს გახდეს კავკასიაში ადმირალ კოლჩაკის გიპოტეტიურ რუსეთის „ფედერაციის" ჟანდარმათო.

სკეპტიკოსების აზრით კი, იტალია კაპიტალით არ იყო იმდენათ მდიდარი, რომ თავს ედვა თუნდაც მარტოოდენ საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარება, და რომ მანდატის მიღება გამოიწვევს რუსეთის იმპერიალიზმთან შეტაკებას და სხ.

ეს შეხედულება თვალსაჩინოთ იყო გამოთქმული ბ. ენრიკო ცელლის მიერ მილანის „Secolo"-ში.

---

როგორც ცნობილია, იტალიის მანდატის კითხვა უარყოფით *) გადასჭრა ნიტტის მთავრობამ. აქ თავისი როლი შეასრულა რუსეთში „თეთრგვარდიელთა" მოძრაობის გადაჭარბებულმა

*) იტალიის სამხედრო მისსიამ ტფილისში ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომ იტალიის ჯარები არ ჩამოვლენ 5 აგვისტოს 1919 წ. თავის ცნობილ წიგნში Europa senza pace თვით ნიტტი თავის დამსახურებათ სთვლის, რომ საქართველოში ექსპედიციის გაგზავნაზე უარი განაცხადა, როგორც კი გახდა იტალიის მთავრობის მეთაური (ივნისი, 1919 წ.). როგორც ის ამბობს, ამ დროს უკვე გასაგზავნათ მზათ იყო მთელი კორპუსი (მე-12-ტე) ორი ქვეითა დივიზიისა და ალპების ნაწილების შემადგენლობით. ამ ექსპედიციაზე უარის ყოფის გამო, ვითომც ნიტტის თავს დაატყდა მრავალი მტრობა, მაგრამ მან გადაარჩინა იტალია საშინელ ავანტიურასა და მოსკოვის მთავრობასთან გარდუვალ შეტაკებას. სად და როგორ მოხდებოდა—1919 წლის ზაფხულზე—ეს შეტაკება საბჭოთა ჯარებთან—ნიტტი არ განმარტავს. ეს არც არსებითია მისი დებულებისათვის. მის ვერსიაში სხვა შეუფერებლობაც არის. იხ. L' Europe sans paix გვ. 186-188.

შეფასებამ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იტალიის მაშინდელ მძაფრ სურვილს, საჩქაროო მოეხდინა დემობილიზაცია. საერთოდ 1919-1920 წლებში იტალია იყო მეტად მოდუნებული და შელახული, რომ ,,გაებედნა" საქართველოს მანდატის აღება; შესაძლებელია, რომ მუსსოლინის იტალია გაბედავდა.

იტალიის მისიის საქაროველოში ჩამოსვლისა და იქ მის ყოფნას მაინც ჰქონდა ერთგვარი მნიშვნელობა, როგორც საქმიანობის, ისე პოლიტიკის მხრით: ომის შემდეგ იტალიელებმა პირველად მოაწყვეს ზღვით მიმოსვლა ევროპასთან, გახსნეს ბანკი, ბეჯითად ვაჭრობდენ და სხვა. ევროპის სახელმწიფოების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ცნობის საქმეში, იტალიის თანაგრძნობა იყო, რა თქმა უნდა, სასარგებლო და იგი შეუმჩნეველათ მომზადდა 1919 წ.

## თავი მეოცდაშვიდე

## ამერიკის მირაჟი.

### 70

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის სომხეთზე ამერიკის მანდატის კითხვას. ამ ნაბიჯის სასარგებლოთ ეწეოდენ დიდ პროპაგანდას; მის განხორციელებას ერთ დროს უეჭველათ სთვლიდენ; ამიტომ ჩვენც უნდა გამოგვერკვია, თუ როგორი იქნება ამერიკელების განწყობილება საქართველოსა და საერთოდ კავკასიის რესპუბლიკების მიმართ. ამერიკის დელეგაციის ექსპერტებთან მუსაიფში (მაისი—ივნისი 1919 წ.) ამ კითხვას ხშირად დაწვრილებით ვარჩევდით.

იმ დროს ბევრი ამერიკელი მიდიოდა სომხეთში; გზათ უნდა გადაეარათ საქართველო; ჩრდილო-ამერიკის შტატებს ტფილისში და სხვა ადგილებზე ჰყავდა საკონსულო წარმომადგენლები; ამ აგენტებისა და ფილანტროპიულ ორგანიზაციების მოღვაწეთა საშვალებით, ამერიკის დელეგაციამ პარიზში კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა ამიერ-კავკასიაში.

ამერიკელებმა მალე დააფასეს, თუ რა კავშირი არსებობდა საქართველოს დამოუკიდებლობის კითხვასა და სომხეთზე ამერიკის მანდატის განხორციელების შორის.

„ამგვარათ, თქვენ გსურთ სრული დამოუკიდებლობა—მითხრა ერთხელ ერთმა ამერიკელმა ექსპერტმა,—თქვენმა ფინანსთა მინისტრმა კი ჩვენებს განუცხადა ტფილისში, რომ სხვების დაუხმარებლად თქვენ ვერაფერს გახდებით... ნუ თუ თქვენი დამოუკიდებლობის ცნობა მოგცემთ რაიმე საღსარს, რომელიც თქვენ არა გაქვთ?“

„დიაღ, ჩვენ გვჭირდება როგორც ფინანსიური ისე სხვაგვარი დახმარება. დამოუკიდებლობის ცნობა, რა თქმა უნდა, ერთბაშათ არ მოგვცემს სიმდიდრეს, მაგრამ თუ იმავე დროს საქართველო უზრუნველყოფილი იქმნა ნამდვილი დახმარებით, შესაძლებელი გახდება ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება დაიწყოს. ეს კი შემდეგ მოგვცემს საშვალებას. რა ფორმას მიიღებს დახმარება ეს სხვაა“— „მანდატი თუ? თქვენ ხომ ერთგვარი ზედამხედველობის წინააღმდეგ არ ხართ?“—„არა! ისეთი მანდატი, მაგალითად, როგორიცაა დროებითი დავალება, დახმარება გაგვიწიონ ფინანსების მოწესრიგებაში— სრულიად არ ეწინააღმდეგება დამოუკიდებლობას“.

განსაკუთრებულათ, რა თქმა უნდა, შეეხეთ, საჭიროებას პოლიტიკურათ ხელი შეეწყოთ საქართველოსთვის, რაც სომხეთში ამერიკის წარმატებით მუშაობის ერთ-ერთ პირობათ ჩავთვალეთ.

ამ ბაასის დასასრულს ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე: იმ შემთხვევაში, თუ ერთა ლიგის დებულებას რატიფიკაცია უყო (დაამტკიცა და მიიღო) ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა *), და თუ ამერიკამ მიიღო მანდატი სომხეთზე, მაშინ არ არის შესაძლებლობა მოსპობილი, რომ შეერთებული შტატები თავის თავზე მიიღებს აგრეთვე ზოგიერთ ვალდებულებას საქართველოს მიმართაც.

ასეთი მომზადების შემდეგ ერთმანეთს შეხვდენ საქართველოს დელეგატები და პოლკოვნიკი House (11 ივნისს 1919 წელს); თუმცა უმთავრესი თემიდან იძულებული ვიყავით გადაგვეხვია „ტაქტიური“ მუქარისაკენ—დენიკინის თავდასხმისაკენ (იხ. ზევით გვ. 251), მაგრამ ამერიკის მანდატის შესახებ კითხვა მაინც აღიძრა პრეზიდენტ ვილსონის მთავარ თანამებრძოლთან ამ შეხვედრის დროს **).

---

*) ვერსალის ხელშეკრულება 1919 წლის 23 ივნისისა, რომლის ორგანიულ ნაწილს შეადგენდა ერთა ლიგის დებულება, შეერთებულ შტატების სენატში განსახილველად შეტანილ იქმნა 1919 წელს 10 ივლისს. ყველას ახსოვს ტრაქტატის მიღების, თუ უარყოფისათვის ამერიკაში წარმოებული ისტორიული ბრძოლა, რომელმაც გათელა პრეზიდენტ ვილსონის სიცოცხლესთან ერთად მრავალთა იმედი ევროპასა და აზიაში. ვერსალის ხელშეკრულება საბოლოოდ უარყო სენატმა 1920 წლის 20 მარტს.

**) ცოტა ხნის წინათ (28 მაისს) აზერბაიჯანისა და მთიულთა რესპუბლიკების დელეგატები მიიღო პრეზიდენტმა ვილსონმა.

კითხვა პირობით ისმოდა: „თუ ამერიკა ხელს მოკიდებს სომხეთის საქმეებს, დაეხმაროს საქართველოსაც“. ამის მეტის გაკეთება, აშკარაა, ჩვენ არ შეგვეძლო. მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელი იყო: ჩვენ ანგარიში უნდა გაგვეწია შეერთებულ შტატების აღმოსავლეთში მოსალოდნელ გამოსვლისათვის; იგი გამოვიდოდა ხალხების თავისუფლებისა და საქმიანობის მასწავლებლათ და მშვიდობიანობისა და წეს-რიგის დამამყარებლათ.

სომხეთზე ამერიკის მანდატი რომ განხორციელებულიყო, საქართველოც, როგორც სომხეთში მიმავალი მთავარი გზა, შეიქნებოდა შეერთებული შტატების ყურადღების საგნათ. *) გაადვილდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობა, საერთოდ განმტკიცდებოდა მისი მდგომარეობა, და მას საშვალება მიეცემოდა პოლიტიკურ ზედმეტ დუღილიდან გადასულიყო უფრო ნაყოფიერ ეკონომიურ შრომაზე (ეს შეიძლება ითქვას ყოველ ქვეყანაზე, რომელიც კი ამ შემთხვევაში მოხვდებოდა ამერიკის საქმიანობის ზედგავლენის სფეროში). აღმოსავლეთ ანატოლიაში ოსმალეთისაგან დამოუკიდებელი სომხური ზოლის დაარსება, მოსპობდა ოსმალეთისა და საქართველოს უშვალო მეზობლობას, რაც საშვალებას მისცემდა საქართველოს უფრო მჭიდროთ შეეკავშირებია თავისი მუსლიმანური პროვინციები დანარჩენ ქრისტიანულ ნაწილთან.

„ორარსება“ სომხეთის თანდათანობით დამშვიდების შემდეგ კი მოსალოდნელი იყო, რომ თავიანთ სომხეთში დაბრუნდებიან საქართველოში მრავლათ შემოხიზნული ლტოლვილები, რომელნიც ხელოვნურათ ადიდებდენ ისედაც მრავალრიცხოვან რიგებს სომხების უმცირესობისას და სხვა.

სამწუხაროთ, სომხეთზე ამერიკის მანდატის იდეას ბევრი დაბრკოლება შეხვდა, თუმცა მართალია, სომხეთმა მიიღო ფილანტროპიული ხასიათის ძლიერ ფართო დახმარება. სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ განსაკუთრებულ კომისრათ დიდის და გაურკვეველი რწმუნებებით გაგზავნა ამერიკის პოლკოვნიკი ჰასკელი, რომელიც მოკავშირეთა სახელით განსაკუთრებულ ოფიციალურ დახმარებას უწევდა სომხეთში მომუშავე ყველა პიროვნებასა და ორგანიზაციას. უმთავრე-

---

*) ამერიკის დახმარება საქართველოს მიმართ წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც მხოლოდ დიპლომატიური მხარის დაჭერა და ფინანსიური ხელის შეწყობა. საქართველოში წესრიგის დასაცავათ, რა თქმა უნდა, არავის დახმარება არ იყო საჭირო. სრულიად სხვა ფერადებით იხატებოდა ამერიკის მანდატი სომხეთზე.

სად, მგონი, მას უხდებოდა ყოფილიყო უმაღლესად დანიშნულ „გამ-
დენათ“ რონოდებისა, რომელნიც ფქვილით, შესქელებული რძით და
სხვა დოვლათით დატვირთულნი მიდიოდენ ბათომიდან სომხეთში.

„შესქელებული რძე... მანდატის მაგიერ“—მგონი, ასე შეიძ-
ლება მოკლეთ დახასიათდეს ამერიკის ზრახვების და სომხეთის კითხ-
ვის ფარგლებში მასთან დაკავშირებული იმედების შედეგი! *)

აქვე მოვიხსენებ, რომ ერთად ერთი ოფიციალური ქაღალდი,
რომელიც მიიღო საქართველოს დელეგაციამ 1919 წლის განმავლო-
ბაში პარიზის კონფერენციის უმაღლესი საბჭოსაგან, კლემანსოს ხელ-
მოწერით, შეეხებოდა სწორეთ საქართველოზე სომხეთში საქონლის
გადატანის კითხვას, და იგი გამოწვეული იყო საჩივრით, ვითომცდა
საქართველო ხელს უშლიდეს ამ გადატანას.

1919 წლის ნოემბერში ჰასკელი თბილისიდან ჩამოვიდა პარიზ-
ში, რომ „მოხსენება გაეკეთებინა კონფერენციისათვის“ ამიერ-კავ-
კასიის საქმეებზე. შესაძლოა, ინტერესს არ იქნეს მოკლებული, რომ
მოვიყვანო ამ კომისრის ზოგიერთი განცხადება, რომელიც მისგან
გამიგონია (5 ნოემბერს). სადღეისო საჭირ-ბოროტო კითხვებათ იგი
სთვლიდა ამიერ-კავკასიის ეკონომიურ გაჭირვებას „დენიკინის სა-
შიშროებას“, დაღესტანის აჯანყებას. „უპირველესად ყოვლისა სა-
ჭიროა სავაჭრო კავშირის გაცხოველება“: ამისთვის უნდა მოეწყოს
ნედლეულის მოზიდვა ნავთსადგურებში და სხვა. პოლიტიკური პი-
რობები საქართველოში კარგია. ბოლშევიზმი არ არის. წეს-რიგი
დაცულია. საქართველოს მთავრობასთან საუკეთესო განწყობილება
მაქვს. ამერიკის ზოგიერთ მისსიონერს უყვარს მხოლოდ სომხებზე
ლაპარაკი... ჩვენ სამხედრო მისსიის წევრები თანაბარ სიმპატიას
ვგრძნობთ ამიერ-კავკასიის ყველა ერებისადმი.

.... მე დავრწმუნდი, რომ საქართველოს მართლაც სურს და-
მოუკიდებელი იყოს. მაგრამ იგი არ არის წინააღმდეგი, რომელიმე
კარგი მთავრობის დახმარება იქონიოს,—მაგალითად, ინგლისის ან
ამერიკის მთავრობის. 25—30 წლის შემდეგ საქართველოს, რა თქმა
უნდა, შეეძლება რაიმე კავშირი დაიჭიროს რუსეთთან.

.... აიღებს ამერიკა მანდატს თუ არა—ეს არ ვიცი; ეს დიპლო-
მატების საქმეა. ჩემს მოვალეობას შეადგენს—პრაქტიკული კითხვე-
ბის გადაწყვეტა, კავკასიის ხალხების დახმერების გაწევა“.

---

*) რა თქმა უნდა, ამერიკელების დაუვიწყარ დამსახურებას შეადგენს, რომ
მათ სომხების ობლები ათი-ათასობით შეივრდომეს და აღზარდეს.

71

რადგან მოახლოვდა დრო, როცა შეერთებულ შტატებს საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა სომხეთის მანდატის საპასუხისმგებლო კითხვა, პრეზიდენტმა ვილსონმა გადაწყვიტა, გაეგზავნა სპეციალური ექსპედიცია სომხეთისა და მომიჯნე ქვეყნების „ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ დ ა ს ა თ ვ ა ლ ი ე რ ე ბ ლ ა თ“; ექსპედიციას უნდა შეედგენა ანგარიში „პოლიტიკურ, სამხედრო, გეოგრაფიულ, ადმინისტრატიულ, ეკონომიურ და სხვა მოსაზრებათა შესახებ, რომელნიც დაკავშირებული არიან ამერიკის შესაძლებელ ინტერესებთან და ამ ქვეყანაში პასუხისმგებლობასთან“ (ასეთია პრეზიდენტის ინსტრუქციის ტერმინები).

ადმინისტრაციის და ეკონომიკის სხვადასხვა დარგების სპეციალისტთაგან შემდგარ (მარტო მთავარი მოხელე იყო 14) ექსპედიციის სათავეში დანიშნული იქმნა გენერალი ჯემს გ. ხარბორდი (გენერალი პერშინგის შტაბის ყოფილი უფროსი). სისწრაფით, რომელსაც უნდა გაეკვირვებია ,,მძინარე, მიხრწნილი აღმოსავლეთი'', ამ მისსიამ გადაჭრა ანატოლია კონსტანტინოპოლიდან ადანამდე, მოინახულა კილიკია, ჩრდილო სირია, და შემდეგ ავტომობილებით გადაიარა დიარბექირი, ხარფუთი, სივასი, ერზინჯანი, ერზერუმი და ყარსი, ჩავიდა ერივანში და ეწვია თფილისს, ბაქოსა და ბათომს. გარდა ამ მთავარი გზისა იყო დამატებითი გზებიც. დაეკითხენ ყველა შეხვედრილ ხალხებისა და სახელმწიფოების მთავრობებს, ჯგუფებს და ორგანიზაციებს. 30 დღე გაგრძელდა ეს არა ჩვეულებრივი გასინჯვა მეცენატ-მანდატარის მომლოდინე ჩამორჩენილ ქვეყნებისა. განსაცვიფრებელი ექსკურსიის ნაყოფათ გამოვიდა გენერალ ხარბორდის ამერიკაში დაბრუნების დროს, გემ ,,მართა ვაშინგტონის'' ბაქანზე შედგენილი და 1919 წლის 16 ოქტომბრით ხელმოწერილი ანგარიში.

გენერალ ხარბორდს პარიზში ჩვენ ვერ შევხვდით (მისი წამოსვლის წინ) სრულიად შემთხვევითი მიზეზების გამო; მაგრამ მისი მისსიის წევრები ჩვენთან ხშირად შემოდიოდენ სხვადასხვა ცნობებისათვის. თფილისში ამერიკელები მიიღეს შესაფერისად, და შემდეგ გენერალი ხარბორდი ამერიკის პრესაში განსაკუთრებულათ იხსენიებდა ქართველების სუფრაზე გალობას და მათ დახელოვნებას საზეიმო ბანკეტების მოწყობაში. იგივე ხარბორდი დიდის ქათინაურებით ამკობს—დ. ღამბაშიძეს.

.... მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაფერ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია მისი უკვე მოხსენებული ანგარიში და დასკვნები *). ანგარიში მეტათ საყურადღებოა. ბევრია მასში შეცდომა და გაუგებრობა, მაგრამ საერთოდ, საკმაოთ მიუდგომელი დაფასებაა მთელი რიგი ღარიბი, ჩამორჩენილი, ომით, გადატრიალებებით და ცუდი მართველობით დაქცეული ქვეყნებისა ძლიერი, მდიდარი, განათლებული, საქმიანი და მოვაჭრე რესპუბლიკის შვილების მიერ.

სივასში ამერიკის მისსია შეხვდა მუსტაფა-ქემალს და ოსმალეთის ეროვნულ მოძრაობის სხვა მოღვაწეებს, რომელიც მაშინ—სექტემბერს 1919 წელს, მხოლოდ იწყებოდა. მუსტაფა-ქემალს მაშინ ევროპაში იშვიათად თუ ვინმე იცნობდა. ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გენერალ ხარბორდის დასკვნების დამუშავებაში.

... მაგრამ მე უნდა დავკმაყოფილდე ჩვენი რესპუბლიკების შესახებ ამერიკელების მიერ შედგენილ უმთავრეს დასკვნებით. საშივე რესპუბლიკის მთავრობები დასავლეთის თვალსაზრისით მათ სრულიად უვარგისათ ეჩვენებათ. კერძოთ საქართველოში აღნიშნულია „ბოლშევიზმის ზედგავლენა“—„რევოლიუციის წითელი დროშა, რომელიც ეროვნულ დროშის ზევით არის აღმართული“, მეპატრონეთაგან უსასყიდლოთ მიწების ჩამორთმევა და გლეხებისადმი ფულათ მიყიდვა. აზერბაიჯანს არა ჰყავს მმართველობისათვის საკირო განათლებული კაცები; სომხეთი—ნანგრევებს წარმოადგენს.

---

*) გენერალი ხარბორდის ძირითადი ანგარიში გამოაქვეყნა, როგორც საბუთი, შეერთებული შტატების სენატმა 1920 წ. ვაშინგტონში შემდეგის სათაურით: „ახლო აღმოსავლეთის ვითარებანი“. (Conditions in the Near Fast. Report of the American Military Mission to Armenia. by Maj. Gen. James G. Harbord. U. S. Army). თუ არ ვცდები, ჯერ გამოუქვეყნებელი დარჩა ცალ-ცალკე სპეციალისტების მიერ შედგენილი 11 დამატება, რომლის შინაარსი შემდეგია: 1) პოლიტიკური ფაქტორები და პრობლემები, 2) მთავრობები ოსმალეთში და ამიერ-კავკასიაში, 3) სახელმწიფო და კერძო ფინანსები ოსმალეთში და ამიერ-კავკასიაში, 4) ვაჭრობა და მრეწველობა იქვე, 5) საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და სანიტარია, 6) მოსახლეობა; სამრეწველო და სხვა თვისებები; ცხოვრების ყოფა-ქცევა, 7) ჰავა, ბუნებრივი სიმდიდრე, მესაქონლეობა, მეურნეობა, 8) გეოგრაფია, სამთო-მადნო საქმე და საზღვრები; 9) ბეჭვდითი სიტყვა ოსმალეთში და ამიერ-კავკასიაში; 10) მანდატარის სამხედრო ამოცანები, 11) ტრანსპორტი და მიმოსვლა მცირე აზიასა და ამიერ-კავკასიაში, მე-12-ტე დამატება—ბიბლიოგრაფია.

მაგრამ ეს დაფასებანი, უნდა ითქვას, საკმაოთ პიროპითია, და შავი ფერადები უფრო შესქელებულია, ვიდრე სხვა უცხოელებს 1918 – 1921 წლების მრავალრიცხოვან და სხვადასხვაგვარ მსჯელობებში, რომელთაც მე ვიცნობ.

ამ სამი ქვეყნის პოლიტიკური მიმართულება ასეა დახასიათებული: საქართველო დაჟინებით მოითხოვს დამოუკიდებლობას; რუსეთის სომხეთი, საფიქრებელია, ხმას მისცემდა რუსეთის მანდატს *). აზერბაიჯანს იზიდავს ოსმალეთი და იგი არ ენდობა ქრისტიანებს, თუმცა განათლებულ ნაწილს გარეშე ზედამხედველობის აუცილებლობა ესმის და სხვა.

ერთის სიტყვით, ყველას სჭირდება მანდატარი, მაგრამ საჭიროა, რომ „მ ა ნ დ ა ტ ი ე რ თ ი ი ყ ო ს მ თ ე ლ ა მ ი ერ-კ ა ვ კ ა ს ი ა ზ ე.

უმთავრესი კითხვის შესახებ, შესახებ ოსმალეთის სომხეთისა,—გენერალ ხარბორდის დასკვნები მეტათ უიმედოა. ზოგჯერ შეიძლება იფიქრო, რომ იგი სპეციალურათ გაგზავნეს სომხეთის მანდატის მოსაშალათ. იგი ამტკიცებს (თუმცა აქ ახალი არაფერია), რომ განზრახულ სომხეთში, ოსმალოთა რიცხვი ჯერ კიდევ სომპეპის იძულებით გადასახლებამდე შეადგენდა უმეტესობას, და უმეტესობათ დარჩება, თუნდაც დაბრუნებულ იქნეს ყველა ლტოლვილი. სომეხმა არ იცის მეზობელთან შეგუება. ხარბორდი ქებას უძღვნის სომხების კეთილ თვისებებს; მაგრამ დასძენს, ამერიკელ მისსიონერებს ოსმალოები ურჩევნიათ სომხებსო.

მთავარი დასკვნა გენერალ ხარბორდისა არის: ახლო აღმოსავლეთში დადებითი შედეგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ერთი სახელმწიფოს ხელში იქნება მანდატი მთელი ამიერ-კავკასიისა, ოსმალეთის მთელი სომხეთისა, საერთოდ მცირე აზიისა, კონსტანტინოპოლისა და რუმელიისა—ერთის სიტყვით მთელი ოსმალეთისა და ამიერ-კავკასიისა!

ეს გეგმა სავსებით ეთანხმებოდა ჩვენს იდეას („თუ სომხეთი, მაშინ საქართველოც"); მაგრამ იგი „თანამიმდევნო" მანდატების იდეას უკიდურესობამდი აფართოვებდა... თითქმის უგნურებამდი მიჰ-

*) ხარბორდს ავიწყდება დაუმატოს, რომ 1919 წელს რუსეთი, ისეთა როგორც მას ესმის, რომ ყოფილიყო, მას თვითონ არ მოუხდებოდა სომხეთის ნახვა.

ყავდა (აღმოსავლეთში დიდი სახელმწიფოების ინტერესების განმტ-კიცებული თვალსაზრისით).

მანდატის განხორციელების თვით გეგმა გენერალ ხარბორდს შედგენილი აქვს საინტერესოთ. თავის მოხსენებას ასრულებს იმით, რომ მას მოჰყავს შეერთებული შტატების მიერ მანდატის მ ი ღ ე ბ ი-ს ა თ ვ ი ს 14 მოსაზრება და მანდატის უ ა რ ყ ო ფ ი ს ა თ ვ ი ს 13 მოსაზრება.

კითხვის მეტათ ფართო დაყენებამ სომხეთის მანდატის საქმე წინდაწინვე დასაღუპავათ განამზადა; თვით შეერთებულ შტატებ-ში უკვე დიდი ხნის წინ თავი იჩინა პრეზიდენტ ვილსონის გეგმე-ბისა და ზრახვების მიმართ მტრულმა სულიერმა განწყობილებამ; ეს-იყო მეტათ სამწუხარო სომხეთისა და მისი მეზობლებისათვის. საქ-მე თავიდანვე იყო გაფუჭებული სომხეთის სრულიად შეუსა-ბამო სქემით, რომლის მიხედვით ერევნის რესპუბლიკაში შეტანილ-იყო ოსმალეთის მთელი შვიდი ვილაიჰეტი და კილიკია. თუ აქედან-დაიწყებდენ მსჯელობას, მაშინ აუცილებელ შედეგათ გამოვიდოდა-გენერალ ხარბორდის დასკვნა—რომ საჭიროა მანდატში შეტანა ერ-თიანად მ თ ე ლ ი ოსმალეთისა; მაგრამ ხომ შეიძლებოდა უფრო თავ-დაჭერილი (და საჭიროც იყო!) პროგრამის შედგენა ე. ი. ერევნის სომხეთი და ნაწილი მომიჯნე ვილაჰიეტებისა.

გენერალ ხარბორდის დასკვნებს ჯერ მაინც საიდუმლოთ ინახავდენ. მანდატის კითხვას პირდაპირ უკავშირებდენ უფრო ზო-გად კითხვებს—ამერიკის მიერ ვერსალის ზავის რატიფიკაციას და-მის მიერ „ერთა ლიგის“ მიღებას. დიდი გზა რჩებოდა კიდევ გა-სავლელი.

მაგრამ უკვე 1919 წლის 20 ნოემბერს, პარიზიდან ამერიკის-დელეგაციის წასვლის *) ცოტათი უფრო ადრე, ერთ-ერთი დელე-გატთაგანი მარწმუნებდა, რომ გენერალ ხარბორდის აზრი საქართ-ველოს შესახებ სავსებით კეთილ-მოყვარულია, და თუ შეერთებულ-

---

*) შეუმჩნეველი, ჩვეულებრივი წასვლა! რაღა დარჩა 1918 წლის დასასრუ-ლისა და 1919 წლის დასაწყისის პრეზიდენტ ვილსონის პარიზში, ინგლისში და სხვ. გან სახალხო ტრიუმფებიდან, რომლის მოწმე მილიონ თანამედროვეებთან ერთად მეც ვიყავი!

მა შტატებმა აიღო სომხეთის მანდატი, ის ყურადღებას მიაქცევს ამიერ-კავკასიასაც და სხვა.

ცოტა ხნის წინათ სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარემ აგარონიანმა სიტყვა-სიტყვით იგივე მითხრა. „ოლონდ კი — მისის აზრით — რამეფერათ მოვახერხოთ მალე მოვაწყოთ სომხეთის მთავრობის ზედამხედველობა, თუნდაც მარტოოდენ ვანზე და ალაშკერტის ველზე, რომ ამით საფუძველი ჩაუყაროთ გაერთიანებულ სომხეთს. ამერიკაში გაგზავნილი ჩვენი მისსია ვაშინგტონში ჩასვლის დღესვე მიიღო ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების სენატის კომიტეტმა. ყოველი მხრიდან მიიღო ჩვენმა დელეგაციამ დარწმუნება, რომ სომხეთის ბედი ყ ო ვ ე ლ შ ე მ მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი იქნება უზრუნველყოფილი. ხარბორდმა და ჰასკელმა ასეთივე აზრი გამოსთქვეს. მუსტაფა-ქემალის ეროვნული მოძრაობა რამოდენადმდე არის bluff (გაბერილი ამბავი) და სხვა“.

უნდა გამოვტყდეთ, რომ მეტათ, ფრთხილი ადამიანიც კი დაიჯერებდა ამერიკელების დარწმუნებებს. მაგრამ განა გასაკვირველია, რომ ეს „მანდატი“ სამწუხარო გაუგებრობათ გახდა, როცა „გაუგებრობა“ გამოდგა ვაშინგტონში ვერსალის ხელშეკრულება და კერძოთ ერთა ლიგის დებულება და საფრანგეთის ხელშეუხლებლობის გარანტიების პროექტი ინგლისს—ამერიკისა?

და უმთავრესი კი ის არის, რომ როგორც რუსული ანდაზა ამბობს—სანამ მზე ამოვა ნამი თვალს ამოგჭამს (რაც ქართულ ანდაზას უდრის „პეტრეს მოსვლამდი, პავლეს ტყავი გააძვრესო“). მზე არ ამოვიდა.

1919 წლის დასასრულს რომელიმე დიდი სახელმწიფოს მიერ მ ა ნ დ ა ტ ი ს მიღებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მატერიალურ და პოლიტიკურ დახმარების კითხვამ უკვე დაჰკარგა უშვალო, პრაქტიკული შესაძლებლობის მნიშვნელობა: ძლიერ ბევრი დაბრკოლება უშლიდა ხელს ამ აზრის შესრულებას; დიდი ბრიტანეთისა და იტალიის გაუბედავი პოლიტიკა, რაც გამოწვეული იყო ფიქრით, რომ შესაძლებელია რუსეთის აღდგენა, როგორც „მოკავშირე სახელმწიფოისა“, და აგრეთვე თვით მომავალი „მანდატარების“ შინაგანი შეევიწროებული მდგომარეობა; უთანხმოება და სხვადასხვაობა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მოქმედებისა;

სიახლე და მოულოდნელობა კითხვისა; ევროპის მთავრობების ამ კითხვისთვის მოუმზადებლობა; ევროპის ზედ-მეტი დატვირთვა უფრო ნაცნობ, უფრო დიდ და არა ნაკლებ თავსაბტერეევი ამოცანებით; დასასრულ, ამერიკის გაჭიანურებული მანდატი, რომელიც ყველაფერს აფერხებდა და არაფერს იძლეოდა—აი მიზეზები, რომელნიც 1919 წელში შეუძლებლათ ხდიდენ ამიერ-კავკასიის კითხვების საერთაშორისოთ გადაწყვეტას.

---

## თავი მეოცდარვე.

## წ ლ ი ს ბ ო ლ ო (1919).

### 72

როგორც წინათ ნათქვამიდან სჩანს, ამიერ-კავკასიის რესპუბ-ლიკათა დამოუკიდებლობის განმტკიცების საშვალებათა კითხვა, და ამ დამოუკიდებლობის გამარჯვებულთა ევროპისა და აზიის პოლი-ტიკის საერთო მიმდინარეობასთან შეთანხმების კითხვა, მაინც რამ-დენადმდე იპყრობდა ინგლისის, იტალიის და შეერთებული შტა-ტების ყურადღებას.

რაც შეეხება ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს, საერთოდ, იგი უფრო მტკი-ცედ და უფრო გარკვევით იდგა, რაც შეიძლება მალე, რუსეთის აღდგენის აუცილებლობის ნიადაგზე („თეთრების" მიერ საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებით).

ეს მოძღვრება აიძულებდა საფრანგეთს, მეტის სკეპტიციზმით და მეტის სიფრთხილით მოპყრობოდა ახალ რესპუბლიკებს. საქარ-თველოს დელეგაცია პარიზში საკმაოთ მუყაითად მუშაობდა სხვა-დასხვა პოლიტიკურ წრეში, რომ გაეფანტა ყალბი რწმენა, რომე-ლიც თითქმის ურყევი სჩანდა. ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ დიდ შედეგს მივაღწიეთ, რაც ქვევით მოყვანილ შემთხვევიდან სჩანს.

საფრანგეთსა და ამიერ-კავკასიის შორის საქონლის გაცვლის გაძლიერების პრაქტიკულმა კითხვამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ საჭირო შეიქნა გამ-ორკვეულიყო საფრანგეთის მთავრობის ოფი-ციალური შეხედულება ამ ორ მოკავშირე რესპუბლიკაზე. საქარ-თველოსა და აზერბაიჯანის *) დელეგაცია პარიზში ამ საქმეს ერ-

*) თავმჯდომარე თოფჩიბაშევის გარდა დელეგაციის წევრები იყვნენ: გა-ჯინსკი (1919 წელში), მეხტიევი, შეიხ-ულ-ისლამ-ზადე, გაჯიბეკოვი, მა-გერამოვი.

თად აწარმოებდა. სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელიც შეიძლება აქ არ მოვიხსენიოთ, აღნიშნული შეხედულების გამოსარკვევათ არჩეულ იქმნა წერილობითი შეკითხვა, რომელიც დაუსვა საგარეო საქმეთა მინისტრს მაშინ ცნობილმა დეპუტატმა (ეხლა კი—სენატორმა) დ ე - მ ო ნ ზ ი მ.

1919 წლის 6 სექტემბრის Journal Officiel-ში ბატ. პიშონის გამოქვეყნებული პასუხი თანახმად დასმულ კითხვებისა, შეიცავდა შემდეგ ოთხ მუხლს:

1. კავკასიის რესპუბლიკები საფრანგეთის მთავრობის მიერ არ არიან იურიდიულად ცნობილნი.

2. საფრანგეთის მთავრობას ეს რესპუბლიკები არ უცვნია ფაქტიურად. მდგომარეობა კავკასიაში არის საკმაოთ არეული და დაუდგრომელი. ამგვარად, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის არსებობა ამ ხანად მერყეევათ გვეჩვენება. რაც შეეხება საქართველოს, იგი რუსებთან და სომხებთან ბრძოლაში იმყოფება;

3. თანახმად საფრანგეთის ტრადიციებისა და ინტერესებისა ამ ქვეყნებში, საფრანგეთის მთავრობა განუწყეტლივ უცხადებდა სიმპატიას კავკასიის მცხოვრებთ. კავკასიის სხვადასხვა ხალხების დელეგაციებს ნება მიეცათ ჩამოსულიყვნენ პარიზში. საფრანგეთის მთავრობას ეხლაც ჰყავს თავისი წარმომადგენელი ბაქოში, ბათომში და ტფილისში. ტფილისშივე იმყოფება სამხედრო მისსია, რომელიც გაგზავნილი იყო, ს ა ნ ა მ დაიწყებოდა სეპარატისტული მოძრაობა.

დასასრულ მე-4 მუხლში ნათქვამია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა მზათ არის ხელი შეუწყოს საფრანგეთისა და კავკასიის ქვეყნების შორის საქონლის გაცვლას.

პიშონის პასუხში ყველაზე უფრო საყურადღებო იყო განმარტება, რომ საფრანგეთის სამხედრო მისსია გაგზავნილი იყო ტფილისში „ს ა ნ ა მ დაიწყებოდა სეპარატისტული მოძრაობა", რაც გულისხმობდა განსხვავებას ინგლისის, იტალიის და სხვების მისიებთან შედარებით, რომელნიც, მართლაც, გაგზავნილნი იყვნენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლად გამოცხადების შემდეგ. პიშონის პასუხის კილოს მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მაშინდელი პოლიტიკა რუსეთის მიმართ ხელს არ უწყობდა „სეპარატიზმებს".

საფრანგეთის მინისტრის განმარტებებს განსაკუთრებული წერილით უპასუხა საქართველოს დელეგაციამ, რომელშიაც, უპირველ-

ლესად ყოვლისა, აღნიშნული იყო, რომ „ამიერ-კავკასიის რესპუბ-ლიკა", რომლის მდგომარეობაც, პიშონის აზრით, ესოდენ „მერყევია", საერთოდ ბუნებაში არ არსებობს (ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისიდან!); რომ „საქართველოსა და სომხეთის შორის არსებულ ზოგიერთ უთანხმოების მიუხედავად, ეს ქვეყნები არ იმყოფებიან ბ რ ძ ო ლ ა შ ი (!); რომ, როგორც ყოველთვის, საქართველო არის თავშესაფარი ადგილი სომხებისთვის, რომელთაც სდევნიან სხვა ქვეყნებში, და საქართველოს გზით აქვს სომხეთს მიმოსვლა ევროპასთან; რომ სომხეთის მეზობელთა შორის, ყოველ შემთხვევაში, არ არის ერი, რომელთანაც სომხებს ჰქონდეთ ისეთი კეთილგანწყობილება, როგორც ქართველებთან".

ჩვენის აზრით, დახასიათება „არეული და დაუდგრომელი" არ შეიძლებოდა ერთგვარად გავრცელებული ყოფილიყო ამიერ-კავკასიაზე და ჩრდილო-კავკასიაზე, რადგან უკანასკნელი მაშინ წარმოადგენდა ან სამოქალაქო ომის ასპარეზს, ან მოხალისეთა ლაშქრის დასაპყრობ მიზანს. შემდეგ ვემყარებოდით ფაქტებს, რომელნიც ადასტურებდენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების თანდათან მოწესრიგებას, პირობებს, რომელშიაც მართლაც მიმდინარეობდა საფრანგეთთან საქონლის დაწყებული გაცვლა-გამოცვლა და აღვნიშნავდით, თუ რა უარყოფითი მნიშვნელობა ექნებოდა საფრანგეთის საქმიანობაზე საფრანგეთის მთავრობის განწყობილებას საქართველოს მიმართ, მთავრობის უარის-თქმას ფაქტიურათ, ან იურიდიულათ იცნოს საქართველო.

დასასრულ, მაინც იყო გამოთქმული რწმენა, რომ „უარყოფილი არ იქნება ცნობა დემოკრატიისა, რომელმაც მეტად მძიმე პირობებშიაც კი გამოიჩინა თავისი სიმტკიცე".

უახლოესმა მომავალმა გვიჩვენა, რომ ჩვენ არ ვცდებოდით.

## 73

საქართველოს დელეგაციის მრავალგვარ მუშაობას პარიზში თავისი მნიშვნელობა ჰქონდა კონფერენციის „დერეფნების" რთულ და მრავალსახიან აუდიტორიის წინაშე საქართველოსა და კავკასიის კითხვის პროპაგანდისათვის; საერთოდ ყველა განაპირა დელეგაციების შრომა წინააღმდეგობას უმზადებდა რუსეთის არა-ოფიციალური დიპლომატიის ყოველივე დათმობის უარისმყოფელ ცენტრა-

ლიზმს. გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ფაქტებს რჩებოდა, რომელნიც უფრო და უფრო ხმამაღლა ღაღადებდენ კოლჩაკისა და დენიკინის საომარ-სახელმწიფოებრივ წამოწყების დამარცხებას. მეორეს მხრივ, მრავლდებოდა სხვადასხვაგვარი მეთვალყურეთა მოწმობანი საქართველოს სახელმწიფოს სიმტკიცისა და სიცოცხლის უნარიანობის შესახებ.

1919 წლის ზაფხულის დამლევს ამიერ-კავკასიაში უკვე აღარსად იყო, გარდა ბათომისა, ინგლისის ჯარი. ინგლისის სარდლობის წარმომადგენელნი ძლიერ მეგობრულათ გამოეთხოვენ საქართველოს მთავრობას; ოლიეერ უორდროპის (ეხლა სერ ო. უ.) დიდი ბრიტანეთის მთავარ კომისრათ თფილისში ჩამოსვლამ ხომ მეტათ კეთილი გავლენა იქონია ინგლისისა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ურთიერთს განწყობილებაზე. თვით დანიშვნა ამ თანამდებობაზე საქართველოში ესოდენ პატივცემულ ადამიანისა, რომელიც ამასთანავე წინათაც ცნობილი იყო როგორც რუსეთის მეგობარი, ამტკიცებდა, რომ ინგლისი ყურადღებით ეპყრობა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნების საზოგადოებრივ აზრსა და თან ცდილობს, რამდენათაც კი შესაძლებელია, შეამციროს რუსეთთან უსიამოვნება. შეხვედრამ, რომელიც მოუწყვეს ო. უორდროპს თფილისში, სადაც იგი ჩამოვიდა 1919 წლის აგვისტოს დამლევს, გამოაშკარავა, თუ როგორ აუღეს ალღო ამ დანიშვნას საქართველოში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცოტა ხნის შემდეგ მიღწეულ შეთანხმებას სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის; ეს შეთანმება იყო ცდა სამუდამოთ მოესპოთ საზღვრების გამო მომხდარი მწვავე უსიამოვნება. ბევრი იშრომეს ბრიტანეთის კომისარმა და სპეციალურათ ამერიკის პოლკოვნიკმა რეჰიმ ამ შეთანხმებისთვის, რასაც ხელი მოაწერეს 1919 წლის 17 ნოემბერს ხატისიანმა და უსუბეკოვმა. ამ საქმეში მხურვალე თანამშრომლობას ეწეოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები ამ შემთხვევაში ადგენ ერთად-ერთ სწორ გზას; გამოსაცნობი იყო მხოლოდ, მოეპოვება თუ არა მათ მთავრობებს საკმაო სიმტკიცე, ხერხი და... შრომის უნარი, რომ მოაგვარონ აუცილებლათ გადაუდებელი კითხვები: ტერრიტორიალური გამიჯვნა და დამყარება მართლაც კეთილმეზობლურ განწყობილებისა სამ რესპუბლიკათა შორის, როგორც დასაწყისი მათი პოლიტიკური მისწრაფებების შეთანხმებისა და ეკონომიური კავშირისა. ამის გარეშე მათი მომავალი შეუძლებელი იყო.

მაგრამ 1919 წლის დამლევს ყველა წინასწარი ნიშანი კეთილი იყო, და შეუძლებელი ხდებოდა ფაქტიურათ არ მიღება იმისი, რაც უკვე ფაქტიური იყო. როგორც კი თვალსაჩინო შეიქნა, რომ რუსეთის იმპერიის აღსადგენათ მოწყობილი და დასავლეთ სახელმწიფოების მიერ გამაგრებული რუსეთის საომარი ექსპედიციები დამარცხდა, აღარ შეიძლებოდა ამას არ მოყოლოდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფ ა ქ ტ ი უ რ ი ც ნ ო ბ ა, რასაც აგვიანებდენ მხოლოდ რუსეთის მთლიანობის აღდგენის მოლოდინის გამო. დამაბრკოლებელი პირობის ჩამოშორებასთან ერთად „ცნობა“ გამომდინარეობდა ბუნებრივათ, თითქმის ავტომატიურათ ნამდვილი ფაქტების, დღის ინტერესების და ჩვენი მიზნების—ყველაფრის ერთად დაჟინებულის მოთხოვნით.

## თავი მეოცდაცხრე.

## „ფ ა ქ ტ ი უ რ ი“ ც ნ ო ბ ა.

### 74.

„მალე აპირებს კონფერენცია დასასრული მისცეს ჩვენს მოლოდინს? ეხლა 20 ნოემბერს (1919 წ.) რუსეთის ბოლშევიკები სრულის ძლევა-მოსილებით მიიწევენ მოხალისეთა ლაშქარზე. მათი გამარჯვება უკვე მრავალი წლით გადაწყვეტს სამოქალაქო ომს არა მარტო რუსეთში, არამედ, უეჭველია, ცეცხლითა და მახვილით ისინი დაამყარებენ „საბჭოებს“ მთელს ქვეყანაზე, და უპირველესად ყოვლისა, რა თქმა უნდა, შემოგვესევიან ჩვენ... ამგვარათ, ჩვენ გვემუქრება ბოლშევიკების დაპყრობა. თუ ბედმა თავისი სისხლიანი პირი დენიკინს მოუბრუნა და დენიკინმა შესძლო კომუნიზმის დაჩოქება, მაშინაც უეჭველია, რომ იგი თავის ძლევა-მოსილ ხმალს ჩვენკენ შემოატრიალებს და ძალით დაგვიპყრობს, რამდენი გავლენაც არ უნდა მოახდინონ მაზე მოკავშირეებმა! და ა ი ჩ ვ ე ნ ა რ გ ვ ე ს მ ი ს, რ ა ს უ რ ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა ს“?

ასე მწერდა კერძო წერილში დაკვირვებული მეთვალყურე, კეთილშობილი, ნიჭიერი, უდროოთ დაღუპული 1923 წელს, თავადი კონსტანტინე აფხაზი. *)

---

*) მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეროვნული შეგნების უმთავრესი გამომხატველის, თავადი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს (1837—1909) დისწულმა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ა ფ ხ ა ზ მ ა, სახელმწიფო საბჭოს არჩეულმა წევრმა, პატიოსნათ და ღირსეულათ დაასრულა 1917 წელს აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლთა წრე, რომელიც ასზე მეტის წლის წინათ დაიწყო თავადმა ჯ ა ო ს ე ვ ა ნ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ (1801 წლამდე იყო საქართველოს მეფეთა მინისტრათ რუსეთის სასახლეში).—1923 წლის მაისში საბჭოთა საწინააღმდეგო შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში ბრალდებული, იგი, 15 სხვა სახელოვან მეომართა და მამულიშვილებთან ერთად, მოკვდა ვაჟ-კაცურის სიკვდილით.

მართლაც: რა სურდა კონფერინციას?

1919 წლის დამლევს კომუნისტების ბატონობისაგან „თეთრების“ შეიარაღებული ძალებით რუსეთის განთავისუფლების საქმე თითქმის წაგებული იყო. გენერალ იუდენიჩის ცდა აეღო პეტროგრადი სწორეთ იმ დროს სრულის დამარცხებით დამთავრდა; ადმირალი კოლჩაკი გადაგდებულ იქმნა შუა ციმბირში. გენერალ დენიკინსაც უმტყუნა ომის ბედმა; მის ჯარებს უფრო და უფრო მირეკდენ სამხრეთისაკენ.

მართალია, 18 დეკემბერსაც კი, ლლოჰიდ-ჯორჯი, როცა ლაპარაკობდა რუსეთის საქმეებზე, გამოთქვამდა, რომ თეორეტიულათ შესაძლებელია ბედი ისევ სამხრეთის ჯარების სასარგებლოთ შეტრიალდეს, მაგრამ იგი მოაგონებდა თემთა პალატას, რომ „ამჟამად არ არსებობს არც ერთი მთავრობა, რომელსაც შეეძლოს რუსეთის სახელით ილაპარაკოსო“.

ბევრი რამ შეიცვალა, მართლაც, მას შემდეგ, რაც იხილავდენ პირობებს ევროპის მიერ გენერალ კოლჩაკის, როგორც რუსეთის მთავრობის, ცნობის შესახებ!

მოვლენათა სწრაფმა მიმდინარეობამ ხელი შეუშალა, მეორეს მხრით, ახალ ცდას ყოფილი რუსეთის ყველა ფაქტიურ მთავრობების კონფერენციის მოწვევისას, რაც დარცხვენილი გადაკვრით განზრახული იყო 1919 წლის ნოემბერში *).

„ჩარევის უარყოფის პოლიტიკა“—ასეთი იყო ოფიციალური აღნიშვნა პროგრამისა, რომელიც შეითვისეს მოკავშირეებმა რუსეთის კითხვის შესახებ ლონდონში 1919 წლის დეკემბრის პრემიერთა თათბირზე.

მისი დამატება იყო „მავთულიანი ჯებირის“ სისტემა, ე. ი. პრინციპიალური მიღება იმისა, რომ დახმარება მიეცეს დიდ სახელმწიფოთაგან იმ განაპირა სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ და შეუძლიათ თავი დაიცვან საბჭოთა ჯარების თავდასხმისაგან. დაიწყო უფრო ნათლად გარჩევა ორი საგნისა: შინაური სამოქალაქო ომისა თვით რუსეთში (ომი წითლებსა და თეთრებს შორის), რომელშიაც გადაწყვეტილი იყო არ ჩარეოდენ, და თავის-თავის დაცვა ახალი რესპუბლიკების მიერ, რომელნიც დაარსდენ მსოფლიო ომის

---

*) იხ. ლლოჰიდ-ჯორჯის მიერ 8 ნოემბერს ლონდონის ლორდ-მერის ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვა, და ამ სიტყვით გამოწვეული მითქმა-მოთქმა.

შემდეგ, (ეროვნულათ არა რუსული), და რომელსაც დაპყრობის მიზნით თავს ესხმოდენ საბჭოთა ხელისუფალნი.

მაგრამ ამის შემდეგ ამაოთ დავიწყებდით გარკვეულობისა და თანამიმდევნობის ძებნას მოკავშირეთა პოლიტიკაში. რუსების გენერლების მარცხით სასოწარკვეთილმა და მრავალი სხვა საზრუნავით დატვირთულმა დიდმა სახელმწიფოებმა სისწორით არ იცოდენ, თუ როგორ ემოქმედნათ. ჯერ კიდევ არ კარგავდენ იმედს, რომ როგორმე მოახერხებდენ გენერალ დენიკინისა და განაპირა სახელმწიფოების მოქმედების შეთანხმებას.

ბრიტანეთის კომისრათ, სამხრეთ რუსეთში, პარლამენტის წევრის—მაკინდერის გაგზავნა, როგორც სჩანდა, ამ საქმეს უნდა დახმარებოდა. მაგრამ გენერალ დენიკინის მთავრობა წინანდებურად ვერ ურიგდებოდა განაპირა ქვეყნების დამოუკიდებლობას. თუ მან თანხმობა განაცხადა (17 დეკემბ. 1919 წ.), დაეწყო მოლაპარაკება, მხოლოდ ყოველ „ახლადაღმოცენებულთან" ცალკე, და უ ც ხ ო სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ი ს დ ა უ ს წ რ ე ბ ლ ა დ. (იხ. The Times, 22, XII).

... მოხალისეთა ლაშქრის საქმე განუწყვეტლივ უკან-უკან მიდიოდა. 1920 წლის იანვრის დასაწყისში საბჭოთა მთავრობამ მიმართა საქართველოსა (და აზერბაიჯანს) ფორმალური წინადადებით, შეეკრათ სამხედრო კონვენცია მოხალისეთა წინააღმდეგ საერთო მოქმედების შესახებ. ე. გეგეჭკორმა უპასუხა (12 იანვარს), რომ საქართველოს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო ომში, რომელიც სწეწს რუსეთს.

ასე გადიხლართა წითელი რუსეთის სურვილი, ამიერ-კავკასიის სიმპატიები თავისაკენ გადაებირებია და ევროპის ცდა გაემაგრებია სამხრეთ რუსეთში შერყეული „თეთრი" ფრონტი.

საქართველო და აზერბაიჯანი რომ არ დაიწყებდენ გენერალ დენიკინთან ე რ თ ა დ ბრძოლას—ეს იქვს არ ბადებდა *) მაგრამ ეს რესპუბლიკები ბოლშევიკებიდან თავის-თავის დაცვას მოჰკიდებენ ხელს თუ არა? ახლა სწორეთ ეს კითხვა წამოიჭრა, რომელსაც ჰქონდა არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა.

---

*) 1919 წლის დეკემბერში უკვე გაჩაღდა კონფლიქტი მოხალისეთა და საქართველოს შორის; ეხლა მიზეზათ გახდა საქართველოს ბაირაღით მყოფ გემების გატაცება.

წითელი ჯარებით ამიერ-კასპიის მხარის დაპერისა და ჩრდილო-კავკასიაში მათი წარმატების შემდეგ ამიერ-კავკასიას ემუქრება საბჭოთა ძალები, რომელთაც ამიერ-კავკასიიდან ეღება კარი სპარსეთისაკენ და სხვა. მთელ წინა აზიაში დაიწყება მოძრაობა. პირიქით, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გამაგრება, მათთვის საშველების მიცემა, რომ გაუმკლავდენ საბჭოთა შემოტევას, დაიფარავს საშიშროებისაგან მეზობელ ქვეყნებსაც სამხრეთში.

საქართველო და აზერბაიჯანი წუთით იპყრობენ საერთო ყურადღებას. ვინ იცის, იქნებ, კავკასიით დაფარულმა ამ რესპუბლიკებმა გაუწიონ ყველასათვის სასურველი და სასარგებლო წინააღმდეგობა. მაგრამ ისინი ხომ... როგორ მოხდა? ისინი ხომ ჯერ ცნობილნიც არ არიან! ცნობამ, ეგებ, გაამხნეოს, წააქეზოს! ეს პრაქტიკულადაც აუცილებელია: როგორ შეიძლება დახმარების გაწევა არა ცნობილ მთავრობების? გარდა ამისა, მათი ცნობა—de facto —იქნება არსებითად იმის ცნობა, რაც მართლაც არის...

ვინ რა უნდა სთქვას ასეთის ცნობის საწინააღმდეგო? რუსეთის მთლიანობისა და განუყოფელობის დოქტრინიორებმა? მათი ავტორიტეტი მეტათ შერყეულია მას შემდეგ, რაც მოხდა 1917 წ.

12 ივნისს 1920 წელს მოკავშირეთა დიდი სახელმწიფოების უმაღლესმა საბჭომ დაადგინა იცნოს საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები de facto მთავრობებათ. ამბავი მეორე დღესვე დილით მე კერძოდ შემატყობინა დიდი ბრატანეთის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა. *) წერილობითი, ოფიციალური ცნობა ჩვენ მაშინ არ მიგვიღია. ცოტათი უფრო გვიან, 15 იანვარს, საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაცია ტელეფონით მიიპატიჟეს ორსეის ნაპირზე ბ-ნ კამბონთან. უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს ხდებოდა მეტად სასწრაფოთ და ურიგოთ. ჩვენ არსებითად არც კი ვიცოდით, თუ რისთვის გვიწვევდენ.

ამგვარათ, ამ ადგილზე პირველად ყოფნის (როცა „არა ცნობა“ საკმაოთ გარკვეეთ ვიგრძენით (იხ. ზევ. გვ. 227) სწორედ ერ-

---

*) ამბავი de facto ცნობის მიღების შესახებ ძლიერ სასწრაფოთ იქმნა გადაცემული ტფილისში. 12 იანვარს ბატ. ო. უორდროპმა უკვე შეატყობინა ლორდ კერზონის სახელით საქართველოს მთავრობას, რომ კერზონის ინიციატივით უმაღლეს საბჭოში შეტანილია წინადადება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების de facto ცნობის შესახებ და რომ ამ წინადადებას ერთსულოვანი თანაგრძნობით შეხვდენ საფრანგეთი და იტალია.

თის წლის შემდეგ მოგვიხდა ისევ მოსვლა, ეხლა ირაკლი წერეთელთან და აზერბაიჯანის დელეგატებთან, თოფჩიბაშევთან და მაგერამოვთან ერთად, რომ მოგვესმინა ჩვენი ცნობის შესახებ კონფერენციის სახელით გადმოცემული ჩვენდამი ამბავი.

ბ-ნმა ჟიულ კამბონმა მიგვიღო ერთგვარის ზეიმით; მარჯვნივ მას ჰყავდა ბ. ფილლიპე კერრი (მას სთვლიდენ ლლოჰიდ-ჯორჯის უმთავრეს შთამგონებლათ) და მარცხნით — მარკიზი დელა ტორრეტა.

ბ. კამბონი მიესალმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დელეგატებს და განაცხადა, რომ უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობები არიან ცნობილნი დამოუკიდებლათ de facto. დღეიდან კონფერენციას საშვალება ექნება მოწესრიგებული განწყობილება დაიჭიროს აღნიშნულ რესპუბლიკათა დელეგაციებთან, დელეგაციებს კი თავის მხრით... შეუძლიათ წარმოუდგინონ კონფერენციას საჭირო მასალები, ნოტები და სხვა. *) დასასრულ, ბ. კამბონმა წინადადება მისცა ბატონ დელეგატებს, გამოეთქვათ თავისი შენიშვნები, თუ ასეთი რამ აქვთ.

წერეთელმა დელეგაციების მადლობა გამოუცხადა უმაღლეს საბჭოს ცნობის ყოვლად მოწყალე მონიჭებისათვის და იმედი გამოსთქვა, რომ სახელმწიფოები საჭირო პოლიტიკურსა და ფინანსიურ დახმარებას გაუწევენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. კერძოთ საქართველოს ძლიერ სჭირდება სურსათით დახმარება, რადგან იგი დიდი ხანია მოწყვეტილია მსოფლიოს.

თოფჩიბაშევმა ყურადღება მიაპყრო, რომ აზერბაიჯანმა პირველად განახორციელა მუსლიმანურ ნიადაგზე რესპუბლიკის დაარსების ცდა, აღნიშნა მისი დაწესებულებების დემოკრატიზმი და საარჩევნო უფლების ქალთათვის მინიჭება.

ამის შემდეგ რამდენიმე შენიშვნა მე გამოვთქვი. უმთავრესი მათგანი შეეხებოდა საჭიროებას, უფრო გარკვეულათ განგვემარტა იმ ცნობის აქტის დედა-აზრი, რომელიც უმაღლეს საბჭოს სახელით გადმოგვცა მაშინ ბ. კამბონმა. „მთავრობების de facto ცნობა, აშკარაა, აღნიშნავს არა მარტო აზერბაიჯანისა და საქართველოს

---

*) ჩვენ მთელი 1919 წელი გართული ვიყავით ასეთი „ნოტების, მასალების გაგზავნაში“ და სხვა, ისე რომ მონიჭებული უპირატესობა არაფერს გვმატებდა!

მთავრობების ფაქტიურ მთავრობებათ ცნობას; არა, ეს ცნობა შეეხება თვით სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს, ე. ი. ახალ რესპუბლიკებს, რომლის ორგანოებიც არიან აღნიშნული მთავრობები. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, უმაღლესმა საბჭომ de facto იცნო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ახალი რესპუბლიკები, რომელთა ტერრიტორიები წინათ შედიოდენ, ეხლა კი აღარ შედიან, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. აქედან გამომდინარეობს ფაქტიური ცნობა ყოველივე იმისი, ყველა იმ ორგანიული მოქმედების, რომლის საშვალებით ხორციელდება და მტკიცდება დამოუკიდებელი არსებობა საქართველოსა და აზერბაიჯანის.

ჩემს შენიშვნაზე ბ. კამბონმა მიპასუხა „მთავრობების de facto ცნობის“ პირველი დეკლარაციის განმარტებით და გამოსთქვა ის აზრი, რომ ჩემი განმარტება უმაღლესი საბჭოს აქტისა, სწორია, რომ მართლაც ცნობას მხედველობაში აქვს ახალი რესპუბლიკები, რომელთა დამოუკიდებელი არსებობა დღეიდან de facto ცნობილია დიდი სახელმწიფოების მიერ.

მიღებული ცნობის მნიშვნელობის, როგორც აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობათ განმარტება, მით უფრო საჭირო იყო, რომ საქმის ეს მხარე მიჩქმალული რჩებოდა, რადგან მაშინ მეომარ კომმუნიზმის წინა აზიის ქვეყნებში შეკრის მეტად ეშინოდათ.

უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან ჩვენი შეხვედრის დანარჩენი ნაწილი დაეთმო ძლიერ ელემენტარული ხასიათის კითხვებსა და პასუხებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების თავდაცვის უნარიანობის შესახებ. კითხვების მთავარი მომცემი იყო ბ. ფ. კერრი.

## 75

ეხლა, რაღაც უეცრად, ყველამ იგრძნო, რომ საჭიროა დახმარება გაეწიოს საქართველოსა და აზერბაიჯანს, რომ ისინი მსხვერპლი არ გახდენ ჩრდილოეთიდან შემომტევ და აღმოსავლეთიდან (ამიერ-კასპიის მხარიდან) დამუქრებულ ბოლშევიკებისა.

გონება დამჯდარი Temps 1920 წლის 14 იანვარს სწერდა:

> შეუძლებელია, მოკავშირეები შეურიგდენ, რომ თავდასხმით ან ბოლშევიკური შეთქმულებებით მოსპობილ იქნეს ფაქტიური დამოუკიდებლობა, რომელიც უკვე ორი წელიწადია,

რაც მოიპოვეს ძირითადი რუსეთის ირგვლივ მცხოვრებმა ხალხებმა. ეს შეეხება არა მარტო ბალტიის მხარის ერებს. ეს დებულება შეეხება აგრეთვე კავკასიის ხალხებსაც, რომელთა პოზიცია მეტათ მნიშვნელოვანია და მეტათ გახსნილია იმ დროს, როცა თვალსაჩინო ხდება ბოლშევიკების მისწრაფება ოსმალეთისა, სპარსეთისა და ინდოეთისაკენ. სიამოვნებით გავიგეთ, რომ უმაღლესმა საბჭომ იცნო ფაქტიური დამოუკიდებლობა სომხეთისა, *) საქართველოისა და აზერბაიჯანისა"...

მეორე დღეს (15 იანვარს) თითქმის ოფიციალურათ შეატყობინეს ლონდონს, აღმოსავლეთის სახიფათო მდგომარეობა, რადგან ბოლშევიკებმა თურქესტანში საომარი მარაგი დაიწყეს, კასპიის იქეთა მხარეში კი მოიმაგრეს ფეხი. განსაკუთრებით სახიფათო მდგომარეობაში მყოფათ სთვლიდენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს; მთავრობაც და მოსახლეობაც წინააღმდეგია ბოლშევიკებისო. მაგრამ საკმაო შეიარაღებული ძალა არ ჰყავთ დამცემთა უკუგასადევნათო.

იმავე დღეს, საღამოს, ლონდონიდან მოულოდნელათ გამოიწერეს და პარიზში წავიდენ, სადაც უმაღლეს საბჭოს ჰქონდა მორიგი სხდომა ბრიტანიის სამხედრო მინისტრი ჩერჩილი, ფელდმარშალი სერი გენრი ვილსონი, საზღვაოსნო საქმეთა პირველი ლორდი უ. ლანგი და ადმირალი ლორდი ბიტტი. მეორე დღეს საფრანგეთისა და ინგლისის მთელი პრესა აღნიშნავდა ამ ცნობებით გამოწვეულ არევ-დარევასა და შეშფოთებას.

„ამ ამბებთან დაკავშირებით უმნიშვნელო არ არის ცნობა, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ—შენიშნავდა The Times-ი 16 იანვარს, —რომ მოკავშირეებმა იცნეს de facto რესპუბლიკები საქართველოსა და აზერბაიჯანისა. ბათომი, შავ-ზღვაზე, ერთად-ერთი ადგილია ამიერ-კავკასიაში, სადაც დგას ბრიტანეთის ჯარი; ის არის საქართველოს ნავთ-სადგური, ხოლო ბაქო, კასპიის ზღვაზე, არის ნავთ-სადგური და სატახტო ქალაქი აზერბაიჯანასა" და სხვა.

ამის შემდეგ შეიქნა ლაპარაკი კავკასიაში მოკავშირეთა ჯარების ახლო-მომავალში გაგზავნის შესახებ (200,000-მდეო, ამბობდენ!), საერთოდ სერიოზულ და გადამწყვეტ სამხედრო ხასიათის ზომებზე. კიდევ უფრო გვიან, აგრეთვე მოულოდნელათ დაიწყეს უკან დახევის განგაში: შეშფოთება და მუქარა გადაჭარბებულათ იქმ-

---

*) ნამდვილათ სომხეთის ცნობა მოხდა ცოტათი უფრო გვიან, 18 იანვარს 1920 წელს.

ნა გამოცხადებული, ჯარების გაგზავნის შესახებ აღარ ლაპარაკობდენ, და ყველაფერი ჩადგა ჩვეულებრივ კალაპოტში.

ნებას მივსცემ ჩემს თავს, გაგაცნოთ ამ ისტორიისა—ალიაქოთის რამოდენიმე წვრილმანი, რომელიც ბევრს კიდევ ახსოვს და რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენი წონასწორობა-დაკარგულ დროისა, როცა ნერვებ-აშლილობა და თავქარიანობა ზოგჯერ შეეპარება სავსებით ჯანსაღ და მტკიცე სახელმწიფოთა ხელმძღვანელ წრეებშიაც კი.

უბრალოდ არ არის, რომ ჩვენს დროში ხშირათ გაგახსენდება კაცს ძველის კანცლერის ოქსენშტიერნის მიზანტროპიული შენიშვნა: nescis, mi fili, quantilla prudentia homines regantur. რაც თავისუფლათ რომ გადავთარგმნოთ ნიშნავს: ვერ წარმოიდგენ შვილო, თუ რამდენათ უგნურათ ხელმძღვანელობენ ადამიანებს. *)

შაბათს, 17 ივნარს, დილით მიგვიწვიეს სათათბიროთ ფელდმარშალ სერ. გ. ვილსონთან, **) სასტუმრო კლარიჯში, რომელიც მდებარეობს ელისეს ველზე. აზერბაიჯანის დელეგაციას აქვე ჰქონდა თავისი მდიდრულათ მორთული ბინა.

გარდა ფელდმარშალისა თათბირს დაესწრენ ადმირალი ბიტტი და ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ბ. რობერტ ვანსიტტარტი. იქვე იყვნენ მეზღვაურთა და ხმელეთის ჯარის შტაბის რამოდენიმე ოფიცერი.

ხანგრძლივი მსჯელობის საგანი იყო გამორკვევა, თუ რა მატერიალურათ დახმარება დასჭირდებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანს საბჭოთა ჯარების შემოტევის დროს.

კავკასიაში მოკავშირეთა ჯარების გაგზავნის შესახებ ლაპარაკი არ ყოფილა; არც არაფერი თქმულა საქართველოსა და აზერბაიჯანის სხვა რაიმე მოქმედებაზე გარდა მარტოოდენ მათ თავდაცვაზე. ჩვენის მხრით აღნიშნული იყო მნიშვნელობა სასურსათო დახმარებისა.

---

*) ანდა: quam parva sapientia regitur mundus. ოქსენშტიერი-სახელოვანი თანამშრომელია გუსტავ-ადოლფისა.

**) ამ გენერალმა, რომელსაც ბრიტანეთის იმპერიის ერთ-ერთ უდიდეს სამხედრო მოღვაწეთ სთვლიან, შემდეგ სამსახურს თავი დაანება, პარლამენტის წევრათ გახდა, და 1922 წელს მოკლულ იქმნა პოლიტიკური მკვლელის მიერ.

ჩვენ ვცდილობდით განგვემარტებია საერთო პოლიტიკური მდგომარეობაც; უსათუოდ, ეს განმარტებები ჩვენი თანამოსაუბრეთათვის უფრო საინტერესო იყო, ვიდრე წმინდა სამხედრო ცნობები, რაც, უეჭველია, მათ უფრო კარგათ იცოდენ, ვიდრე ჩვენ.

პოლიტიკურის მხრით ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით სამი რესპუბლიკის საკავშირო შეერთებას, და ამიტომ გამოვთქვით აზრი, რომ აუცილებელია სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლათ დაუყონებლივ ცნობა სახელმწიფოთა მიერ. არსებითად, ჩვენ გამოვდიოდით ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკის მჭიდრო კავშირის გეგმიდან იმ აუცილებელი პირობით, რომ მათ დიდი სახელმწიფოები მართლაც გაუწევენ მატერიალურ დახმარებას. ჩვენ გამოვთქვამდით იმედს, რომ, თუ ასეთი მთლიანი ფრონტი შესდგა, შესაძლებელია მოხდეს ერთგვარი შეთანხმება საბჭოთა რუსეთთან; ასეთს შეთანხმებას ჩვენ ვთვლიდით ერთად-ერთ ალტერნატივათ მეორე ე. ი. „ინტერვენციით“ კითხვის გადაჭრისას (ამიერ-კავკასიაში ევროპის შეიარაღებული დიდი ჯარების გაგზავნა).

როცა ადმირალმა ბიტტიმ კითხვა მისცა, შეუძლია თუ არა აზერბაიჯანს სხვისდა დაუხმარებლათ მოაწყოს თავისი სამხედრო-საზღვაოსნო თავდაცვაო (კასპიის ნაპირებზე), თოფჩიბაშევის პასუხი იყო: არა, არ შეუძლია.

19 იანვარს ჩვენ ისევ მიგვიწვიეს ორსეის ნაპირზე, ეხლა უმაღლეს საბჭოს პლენარულ სხდომაზე. თავმჯდომარეობდა კლემანსო— ეს იყო უკანასკნელი დღეები მთავრობაში მისი ყოფნისა. ირგვლივ „დიდი“ ომში გამარჯვებულთა და მშვიდობიანობაში კი ძლიერ დამარცხებულთა სულ ნაცნობი („ილლიუსტრაციებით“) სახეებია: ლლოჰიდ-ჯორჯი, ლორდ კერზონი, ჩერჩილი, ჟიულ კამბონი, ნიტტი, ფოში, ბიტტი, სერ გენრი ვილსონი და მრავალი სხვა.

მარშალი, ფელდმარშალი და „ზღვის პირველი ლორდი“ სხედან ჩვენს უკან, ცალკე მაგიდაზე. რამდენი ზარბაზნის ტუჩი, ხიშტი, ხრმალი, ნალმი და სხვა მოგვექცა ზურგში?—ვეკითხები მეზობელს.

„ახალგაზრდა რესპუბლიკების“ *) დელეგატები დასვეს თავმჯდომარის პირდაპირ. ჩხეიძესა და წერეთელს ეხლა შეეძლოთ პირის-პირ ეცქირათ ევროპის საქმეების გადამწყვეტი დიდი სახელ-

*) საქართველოდან ვიყავით: ჩხეიძე, წერეთელი და მე; აზერბეჯანიდან— თოფჩიბაშევი და მაგერამოვი.

მწიფოების „ინტერნაციონალისთვის“, რომელიც რამოდენადმდე განსხვავდებოდა მათი ქართულ-რუსული ოცნების სათნო „ინტერნაციონალიდან!“

მოხუცმა კელტმა, რომელიც ასეთის ნიჭით და ცეცხლით ანსახიერებდა მრავალრიცხოვან თაობას ხანში შესულ ჩასკვნილ ფრანგებისას, რომელნიც 1914—1918 წლების ომს უყურებდენ, როგორც 1870—1871 წლების ომის ეპილოგს, ამ კელტმა წარმოსთქვა რამდენიმე მისასალმებელი სიტყვა.

ლაპარაკი იმავე საგანზე იყო: როგორია კავკასიის რესპუბლიკების ძალა, რა დახმარება სჭირდებათ თავდაცვის გაძლიერებისათვის, თუ მოხდა თავდასხმა. „სამხედრო“ განმარტებებს ნაქართველოს მხრით იძლეოდა წერეთელი, აზერბაიჯანის მხრით—მაგერამოვი. თავმდებლობას ვერ ვიკისრებ, მათი ამ საქმეში მომზადების შესახებ. მაგრამ კითხვები მარტივი იყო.

სხდომა, სანამ ჩვენ იქ ვიყავით, არ წარმოადგენდა რაიმე საინტერესოს. ხელახლავ განცხადებულ იქმნა, რომ აუცილებელია სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობა; მეტი, ვიდრე შეეფერებოდა, გამოთხოვნილ იქმნა დახმარება ყუბანისა და მთიულთათვის და სხვა. არავითარი სამხედრო-პოლიტიკური წინადადება საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებისთვის არ მიუციათ.

პრესსაში კიდევ უფრო დაჟინებით დაიწყეს ლაპარაკი კავკასიაში მოკავშირეთა დიდი ჯარის გაგზავნისა და იქაური რესპუბლიკების საბჭოთა ჯარების საწინააღმდეგო საღვთო ომში მონაწილეობისათვის მოწოდების შესახებ და სხვა. საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციები იძულებულიც კი გახდენ წერილობით უარეყოთ ეს ხმები (იხ. Temps, 31 იანვარი 1920 წ.)

მაგრამ ძლიერ მალე მას შემდეგ, რაც უეცრათ განგაში ატყდა აღმოსავლეთში ახალი ექსპედიციის გაგზავნის კითხვის შესახებ, ინგლისის გაზეთებმა ნახევრათ ოფიციალურათ მიიღეს ცნობა, რომ არავითარი ჯარის ამიერ-კავკასიაში გაგზავნა არ არის განზრახული (27 ისნვარი). ხმაურობა ატყდა უბრალო რამიდან.

მთელი ალიაქოთი (მისი დაყენებით, მოსკოვის დაშინება ხომ არ უნდოდათ?) გამოწვეული იყო, მგონი, ინგლისის ზოგიერთი მოღვაწის სურვილით („სამხედრო გადაწყვეტის“ მომხრეების) შეეფერხებინა ინგლისელი სხვა მოღვაწეების ცდები მშვიდობიან შეთანხმების გზას დადგომოდენ საბჭოთა მთავრობის მიმართ. „შემრიგებ-

ლებმა" აჯობეს „სამხედრო პარტიას". პირველნიც და მეორენიც დაინტერესებულნი იყვნენ უმთავრესად რუსული კითხვით და თითქმის იჭვის თვალით უყურებდენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. მაგრამ ამ უკანასკნელებზედაც საჭირო შეიქნა ლაპარაკი—ვერაფერს მოუხერხებ გეოგრაფიას! სამაგიეროთ მცირე რიცხოვანმა წრემ, რომელსაც ესმოდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ნამდვილი მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის საქმეების მტკიცე ნიადაგზე დაყენებისათვის, ეხლა საშვალება მიიღო ესარგებლნა კეთილგანწყობილ „ტაქტიურ" ვითარებით და აეძულებინა უმაღლესი საბჭო ბოლოს და ბოლოს ეცნო de facto დამოუკიდებლობა საქართველოსი, აზერბაიჯანისა და ყოფილი რუსეთის სომხეთისა. *)

ლორდი კერზონი **) თითქოს მოწოდებული იყო ამ საქმის წამომწყებათ, მისი განხორციელება კი, უეჭველია, გააადვილა მთავავარი დაბრკოლების ჩამოშორებამ: დაიკარგა იმედი რომ მთლიანი რუსეთი მალე იქნება აღდგენილი მარჯვნივ. ამასთანავე, იტალიაში ცოტათი უფრო ადრე პარლამენტმა გამოთქვა სურვილი ურთი-ერთი განწყობილება დაეჭირათ ყოფილ რუსეთის ყველა ფაქტიურ მთავრობებთან; საფრანგეთიც კი სხვებთან ერთად იმ აზრს დაადგა, რომ ეხლა დამოუკიდებლობის ცნობას ექნება ზნეობრივი და პოლიტიკური გამაგრების მნიშვნელობა ახალი რესპუბლიკებისათვის, რომელთაც არ გაიზიარეს საბჭოთა ხელისუფლება.

ეს de facto ცნობა, უეჭველია, იყო დიდი მოვლენა როგორც საქართველოსა და მეზობელ რესპუბლიკების ხალხთა სახელმწიფოებრივ შეგნების ისტორიაში ისე რუსეთის მთლიანობის კითხვის ევროპიელთა პოლიტიკის ისტორიაშიდაც. ამ მთლიანობის მოძღვრებაში მოვლენებს შეჰქონდათ კიდევ ერთი შესწორება, რომელიც შეეფერებოდა საქმის ვითარებას, სამართლიანობას და სახელმწიფოთა პრაქტიკულ ინტერესებს.

76

„იმ რუსულ წრეებში, სადაც მომავალი რუსეთი ვერ წარმოედგინათ, თუ არა „ძველებურათ" ცენტრალისტურ სახელმწიფოთ,

---

*) საქართველომ და აზერბაიჯანმა რომ სომხეთზე უფრო ადრე მიიღეს ცნობა—ეს მხოლოდ მოეჩვენება ადამიანს ისტორიის პარადოქსათ.

**) მან მიიღო საგარეო საქმეთა პორტფელი ბალფურის შემდეგ, 24 ოქტომბერს 1919 წ., ლლოიდ-ჯორჯის კაბინეტის უკანესკნელათ გადაკეთების დროს

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა მიიღეს, რა თქმა უნდა, უარისყოფითა და მტრულათ.

მაგრამ ამ იდეების მთავარ მებრძოლს, გენერალ დენიკინს მაინც ანგარიში უნდა გაეწია დიდი სახელმწიფოების გადაწყვეტილებისათვის (მგონი, ზოგი რამ როლი შეასრულა ინგლისის კომისარის რჩევამაც).

ეკატერინოდარში მოწყობილ ყაზახთა კონფერენციაზე (1920 წლის იანვრის დამლევს) გენერალმა განაცხადა, რომ იგი იბრძვის უპირველესად ყოვლისა, მთლიანი რუსეთისათვის; მაგრამ მან განცხადება მისცა მოკავშირეებს შესახებ განაპირა ხალხებისა, იმ აზრით, რომ, პირველი, იგი სცნობს განაპირა მთავრობების დამოუკიდებლობას de facto, მთავრობებისას, რომელნიც ბრძოლას აწარმოებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, და მეორე, მომავალი ურთიერთობის განსაზღვრა რუსეთსა და განაპირა ხალხთა შორის მოხდება ტრაქტატის საშვალებით, რომელსაც ისინი შეჰკრავენ სრულიად რუსეთის მთავრობასთან, ხოლო დიდი სახელმწიფოები იმოქმედებენ როგორც შუამავლები *).

შედარებით დეკემბრის განცხადებასთან (სადაც, მართალია, ორმხრივი პირობითი ურთიერთობის დამყარება მიღებულია რუსეთსა და განაპირა ქვეყნებთა შორის, მაგრამ უარყოფილი იყო დასავლეთის სახელმწიფოთა შუამავლური მოქმედება (იხ. ზევ. გვ. 300) ეს სერიოზული ნაბიჯი იყო წინ იმავე აზრისკენ, რასაც ამბობდა პარიზის კონფერენციის 1919 წლის მაისის დამლევის მოსაზრებები (ეგრედ-წოდებული პირობები ადმირალ კოლჩაკის მთავრობის ცნობისა; იხ. ზემოთ თავი მეოცდაორე).

მაგრამ გენერალმა დენიკინმა აქვე გაუკეთა შენიშვნა, რომელიც ზემომოყვანილ აზრს უკარგავდა ყოველივე გარკვეულობას: „რადგან—ამბობს იგი—პოზიცია, რომელიც დაიჭირა კონფერენციამ საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ 14 იანვარს, საბაბს აძლევს უკანასკნელთ იფიქრონ, რომ სიტყვა ეხება ახალი ორგანიზმების დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ ცნობას, მე განვაცხადე პროტესტი; მაგრამ დღეს მივიღე ოფიციალური განმარტება, რომ სახელმწიფოებმა იცნეს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა მ თ ა ვ რ ო ბ ე ბ ი ს ა de facto, და არა დამოუკიდებლობა განაპირა სახელმწიფოებისა, სწორედ ჩემის წინადადებისამებრ. ეს არ არის შეურიგებლობა—ეს არის

*) The New Russia, № 4. 1920. 1,157.

რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესების დაცვა, და ჩემი წინააღმდეგობა სრულიად არ სპობს შესაძლებლობას ამ ნიადაგზე დავამყაროთ მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა. *)

12 იანვრის აქტით საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები ნაცნობი იყვნენ de facto სწორედ იმ აზრით, რომ ახალი რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი ფაქტიური დამოუკიდებლობა იქმნა ნაცნობი.

როცა საქართველოს ერთ-ერთმა დელეგატმა, 15 იანვარს, ბ. ჟიულ კამბონს სთხოვა, უფრო დაწვრილებით გადაეცა კონფერენციის დადგენილება და დაედასტურებია, რომ დადგენილება ეხება სწორეთ ახალი რესპუბლიკების რუსეთისაგან დამოუკიდებლობას, ეს ხდებოდა, რა თქმა უნდა, იმ წინააზრით, რომ იქნება ისეთი „განმარტებებიც", რომლითაც შესაძლებელი გახდება ცნობის მნიშვნელობის შესუსტება. ეს სიფრთხილე, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, არ იყო ზედმეტი.

იაპონიის მთავრობამ არ დააყოვნა შეერთებოდა უმაღლესი საბჭოს 12 იანვრის დადგენილებას;**) შეერთებული შტატების მიერ ამ აქტის უარისყოფა გენერალ დენიკინს, მისდა ღრმა სანუგეშოთ, აცნობა მოხალისეთა ლაშქართან დანიშნულმა ამერიკის ადმირალმა Mr Cully-მ 6 თებერვალს 1920 წელს.

ეს დაშორება „ატლანტიის იქეთ მდებარე დიდი რესპუბლიკისა" ძველი ქვეყნის ოთხ მესაჭე სახელმწიფოსთან იყო მხოლოდ ახალი და სამწუხარო ნიშანი, რომ მთლიანი პოლიტიკა „დიდებს" არ მოეპოვებათ. პრაქტიკული მნიშვნელობა ამ უარისყოფას არ ჰქონია.

11 თებერვალს, 1920 წელს, „სამხრეთ რუსეთის ლაშქრის მთავარ-სარდლის მიერ ამიერ-კავკასიაში მოკავშირეთა სარდლობასთან დანიშნულმა წარმომადგენელმა" პოლკოვნიკმა

---

*) იხ. The Times, Fel. 17, 1920. შეადარე The New Russia v. 1, 126-7.

**) საქართველოს დელეგაციამ პარიზში ეს ცნობა მიიღო კონფერენციის სამდივნოდან 7 თებერვალს 1920 წელს.

დ ე ნ მ ა აცნობა ე. პ. გეგეჭკორს ტფილისში, რომ „მთავარი სარ-დალ... გენერალი დენიკინი სცნობს ფაქტიურ არსებობას საქარ-თველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობებისას". სამწუხა-როდ ეს ცნობა (აშკარაა აქ „მოკავშირეთა სარდლობისადმი" დათ-მობას აქვს ადგილი) იმ დროს და იმ პირობებში მოხდა, რომ მას უსათუოდ შესუსტებული ჰქონდა მორალური ფასიც და პოლიტი-კური მნიშვნელობაც: მოხალისეთა ლაშქარი სრულ გაცამტვერების საზღვარზე იდგა.

---

## თავი მეოცდაათე.

# უმაღლესი საბჭო ლონდონში.

(თებერვალი—მარტი 1920)

### 77

მოხალისეთა ლაშქრის სულის ღაფვა გრძელდებოდა 1920 წლის გაზაფხულამდე; საბჭოთა ხელისუფლების წარმატება იყო განუწყვეტელი და საკმაოთ მტკიცე—თუმცა არც ისე ელვისებური, როგორც ეს ეხატებოდათ პარიზსა და ლონდონში იანვრის შუა-რიცხვებში (იხ. ზემოთ). ევროპის უმთავრეს კაბინეტებს დრო მიეცათ, რომ უფრო კარგათ (ვიდრე 1919 წლის დეკემბერში) ჩამოეყალიბებიათ ახალი პოლიტიკა რუსეთის კითხვაში, რომელიც შედეგი იყო რუსეთის საქმეებში პირდაპირი თუ არა პირდაპირი ჩარევის და თეთრების ჯარების დახმარების მარცხისა.

„მოკავშირეთა" ამ ახალი პოლიტიკის ხასიათი ირკვევა იმ ცნობაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო ლონდონში 24 თებერვალს, 1920 წელს (უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის დროს). აქ ნათქვამია, რომ მოკავშირეთათვის შეუძლებელია დიპლომატიური ურთიერთობის დაჭერა საბჭოთა მთავრობასთან, სანამ იგი არ მიატოვებს ტერორს და სხვა; თანაც, რომ ისინი მზათ არიან ყოველგვარათ ხელი შეუწყონ ვაჭრობას რუსეთსა და ევროპის შორის. ერთა ლიგის საბჭოს მიმართავდენ მოწოდებით, ხელში აეღო მას პირუთვნელი შესწავლა რუსეთის ცხოვრების ნამდვილი პირობებისა იქ განსაკუთრებული კომისიის გაგზავნით *)...

---

*) როგორც ცნობილია, ეს აზრი არ განხორციელებულა.

განაპირა სახელმწიფოებს, რომელთა დამოუკიდებლობა ცნობილი იყო სახელმწიფოთა მიერ, ურჩი,ს, თავი შეეკავებიათ საბჭოთა რუსეთის მიმართ შეტევითი მოქმედებისაგან; იმ სახელმწიფოებს კი, რომელნიც საომარ განწყობილებაში იყვნენ საბჭოებთან, აუხსნეს, რომ მოკავშიოეთა მთავრობებს არ შეუძლიათ ურჩიონ ამ ომის გაგრძელება (და თან ჩასჩურჩულებდენ: „შეკარით ზავი!“).

მაგრამ, თუ საბჭოთა რუსეთი შემოესია განაპირა რესპუბლიკებს მათ კანონიერ საზღვრებში, მოკავშირეები ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ უკანასკნელთ, *) ე. ი. ცნობის იმედის ფერადებში („თუ“ და სხვა) და ლლოჰიდ-ჯორჯის საგაჭრო შეთანხმებაში წინანდებურად ბრჭყვიალებდა „მავთულიანი ჯებირი“.

ყველაფერს ამას დეკორატიული ხასიათი ჰქონდა. მაგრამ არა ორჭოფულათ იყო განცხადებული, რომ განსაზღვრულ პირობებში ყოველ ცნობილ განაპირა სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველჰყოს ნამდვილი დახმარება თავდაცვის ორგანიზაციაში. ამ პირობების გარკვევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით რუსეთ-პოლონეთის განწყობილების გამო 1920 წლის დამდეგს. პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ათ დახმარების მიღება შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, მხოლოდ დახმარების მიმღებ „განაპირა“ მთავრობისა და დახმარების მიმცემ სახელმწიფოს გარკვეულ ურთიერთ განწყობილების ნიადაგზე. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ასეთი მზრუნველობის (ბოლშევიკები რომ არ შესეოდენ) პოლიტიკური მოტივები შეიძლებოდა სხვადასხვაგვარი ყოფილიყო. მაგალითად, ბუქარესტში და ვარშავაში შეეძლოთ მტკიცე იმედი ჰქონოდათ საფრანგეთის დახმარებისა, რადგან პოლონეთი და რუმინეთი შეადგენენ მნიშვნელოვან ნაწილს ევროპის ახალი საერთაშორისო წეს-რიგისას. ბალტიის სახელოვან რესპუბლიკების მიერ 1919—1920 წლებში საბჭოთა ჯარებისაგან თავდაცვისათვის ინგლისისაგან მიღებული დახმარება კიდევ უფრო ნათლად ადასტურებს, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში ზემოთ მოყვანილ 24 თებერვლის მემორანდუმის სქემატიურ წინადადებაში ნაგულისხმევი ან მოსალოდნელი იყო რთული, შეუწყვეტელი, ერთმანე-

*) ეს მემორანდუმი სათაურით; მ ო კ ა ვ შ ი რ ე თ ა პ ო ლ ი ტ ი კ ა რ უ ს ე თ ში. უ მ ა ღ ლ ე ს ს ა ბ ჭ ო ს მ ი ე რ 24 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ს 1920 წ ე ლ ს მ ი ღ ე ბ უ ლ ი დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი მ ა შ ი ნ ვ ე ი ქ ვ ნ ა გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ უ ლ ი პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს პ ა ლ ა ტ ებ ში.

თის ნდობაზე დამყარებული მუშაობა განსაზღვრული მთავრობისა და მისი ხელის შემწყობი დიდი სახელმწიფოისა *).

შესაძლებელი იყო თუ არა სხვა გზით თავისთავის უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, თუ შემოგვესეოდა ისეთი საშიშარი, შედარებით ძლიერი და ყოველ შემთხვევაში დახელოვნებული მტერი, როგორიც იყო საბჭოთა ხელისუფლება მოსკოვში?

ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკის de facto ცნობის გარემოება გვიჩვენებდა, რომ დახმარების იმედი მათ უნდა ჰქონოდათ მხოლოდ ინგლისისაგან; მაგრამ ასეთი დახმარების მიღების გარდუვალ პირობას შეადგენდა მეგობრული თანამშრომლობა ამ რესპუბლიკებისა, რომელთა თვით ცნობა შეიძლება ითქვას იყო „ჯგუფობრივი"; ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებისადმი კეთილ-განწყობილი, შომქმედი პოლიტიკა არ შეადგენდა ინგლისის მთელი მთავრობის გაერთიანებულ პროგრამას, არამედ უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ იგი შეესაბამებოდა მხოლოდ ერთ-ერთ მიმდინარეობას, რომლის წარმომადგენელი იყო კოალიციურ კაბინეტში ლლოჰიდ-ჯორჯი.

მაგრამ ფაქტი თვალ წინ იდგა: ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მისწრაფებას დამოუკიდებლობის განმტკიცებისადმი ხელს უწყობდენ; ხოლო ამ ხელის შეწყობის გაფართოება და გამაგრება დამოკიდებული იყო თვით რესპუბლიკებისაგან. ინგლისის ინიციატივა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შესახებ იმედს იძლეოდა, რომ ინგლისს გაუადვილდებოდა მომავალში რუსეთსა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთა შორის მშვიდობიანი შეზობლობის დამყარებისათვის შუამავლის როლის ასრულება. (mutatis mutandis ეს იქნებოდა 1920 წელს 1918 წლის გერმანიისა და 1919 წლის ინგლისის „დემარკაციული ხაზის" პოლიტიკის თავისებური გაგრძელება!).

ასეთი როლი, რა თქმა უნდა, 1920 წლის პირობებში მეტათ გაძნელებული იქნებოდა, თუ ინგლისს ამიერ-კავკასიაში არ ექნებო-

---

*) მე საშუალოთ მოკლებული ვარ საშვალებას ამ წიგნში მოვიყვანო პარალელები და ანალოგიები ბალტიის ხალხების განმტკიცების ისტორიიდან. ბევრი რისამე თქმა შეიძლება იმისდა ასახსნელად, თუ რატომ შეიქნა 1921 წლის დამდეგიდან საქართველოსა და ესტონეთ-ლატვიის ბედი ასე სხვადასხვაგვარი. ზანაპირა ქვეყნების ამ ორი „კარიერის" შესახებ საერთო კარგი მიმოხილვა იხილე, მაგალითად, ბრიტანეთის ენციკლოპედიის ახალ ორ ტომში (1922), ბარონ ა. შეპიენდორფის წერილები.

და ფეხ-დასაყრდნობი ადგილი (ბაზა). ასეთი ადგილი იყო ბათომი, რომელიც ფორმალურათ 1919 წლის 17 ოქტომბრიდან ეჭირა ბრიტანეთს. 1919 წლის დამლევს გამოვიდა ცნობა, რომ განზრახვა აქვთ ბათომიდან ბრიტანეთის ჯარები გაიყვანონ (ლლოიდ-ჯორჯის განცხადება თემთა პალატაში 18 დეკემბერს 1919 წ.) 1920 წლის თებერვალში მცირე ყოყმანის შემდეგ ბრიტანეთის გარნიზონის გაყვანა უარყოფილ იქმნა (23 თებერვალი 1920 წ.). *) ეს, საფიქრებელია, რომ მოხდა რუსეთის ყოფილი განაპირების დაცვის 24 თებერვალს განზრახული პოლიტიკისა და უსათუოდ აგრეთვე აღმოსავლეთის კითხვის მოსალოდნელ (როგორც მაშინ ფიქრობდენ) გადაწყვეტის გამო. ინგლისელები ბათომში დარჩენ. **)

## 78

ეგრედ წოდებულ „რუსეთის კითხვის გადაწყვეტისა თვის“ კონფერენციას ხელი მაინც არ მოუკიდნია. ახლო ხანში მისი დასმის ყოველივე იმედი ჰქრებოდა.

სამაგიეროთ ჯერი მოვიდა სწორედ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის კითხვაზე: კითხვა ოსმალეთთან ზავისა და ახლო-აღმოსავლეთის „მოწყობისა“. ამ თემის გამო დიდი სახელმწიფოები კიდევ უფრო მეტ ყურადღებას აქ-

---

*) 10 თებერვალს ახალი განცხადება ლლოიდ-ჯორჯისა „სასწრაფო ევაკუაციის“ შესახებ; 13 თებერვალს ნახევრათ ოფიციალური ცნობა ევაკუაციაზე; 18 თებერვალს თემთა პალატაში განმარტება საზღვაო საქმეთა პირველი ლორდისა; „ევაკუაცია დაიწყო, მაგრამ დამთავრებული არ არის“; 22 თებერვალს შეშფოთებული დეპეში კონსტანტინოპოლიდან The Times-ში, რომ ბათომიდან წასვლა დროსთან შეუფარდებელია, რადგან სწორეთ ეხლა მშვიდობიანათ ეწყობა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ურთიერთობა და სხვა; 23 თებერვალს—ცნობა ევაკუაციის მოხსნის შესახებ.

*) ინგლისელების მიერ (1918 წლის ნოემბრიდან 1920 წლის ივლისამდე) ბათომისა და მისი ოლქის დაპერის ხანის ისტორია წარმოადგენს საკმაო ინტერესს და ღირსია მონოგრაფიული გამოკვლევისა. საქართველოს მთავრობა ცდილობდა, რაც შეიძლება მალე შემოერთებია ბათომი საქართველოსთვის; რუსები ამას ხელს უშლიდენ და ამტკიცებდენ, რომ ბათომი—რუსეთის შექმნილია (თითქოს საქართველო არ ყოფილიყოს ნაწილი იმ რუსეთისა და იმ რუსეთში პაის ჭქონე!). ქართველების აზრით, ინგლისელები საქართველოს ხაზიანათ მე-

ცევდენ ჩვენს რესპუბლიკებს, როგორც მოსაზღვრეებს, ამ შემთხვევაში არა რუსეთისას, არამედ ყოფილი ოსმალეთის იმპერიისას.

უმაღლეს საბჭოს კონფერენციაზე ლონდონში (თებერვალი—მარტი 1920 წ.) ამ კითხვას გულმოდგინეთ იკვლევდენ. სამი რესპუბლიკის დელეგაციები ამ ხნის განმავლობაში პარიზიდან ლონდონში გადავიდენ.

სომხეთი გულის ფანცქალით ელოდა თავისი ბედის გადაწყვეტას. მაგრამ საქართველო და აზერბაიჯანიც ძლიერ დაინტერესებულნი იყვნენ საერთოდ ოსმალეთის ზავის მზადებით და განსაკუთრებით კი სომხეთის სტატუტის შემუშავებით, რადგან ასეთი მუშაობის დროს გვერდს ვერ აუვლიდენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ურთიერთ შორის საზღვრების კითხვასაც. შემდეგ ნათქვამიდან გამოირკვევა, რომ ოსმალეთთან საზავო ტრაქტატის (სევრის მომავალი ხელშეკრულება) დამზადების დროს დიდი სახელმწიფოები, თუმცა გადაკვრით, მაგრამ მაინც შეეხენ საქართველოს: ამ საქმისთვის ჩვენმა დელეგაციამ ყოველი ღონე იღონა, რადგან მეტად მნიშვნელოვანი იყო, რომ მისი კითხვის საერთაშორისო გადაწყვეტა, ე. ი. საქართველოს ფორმალური ცნობა მიღებული ყოფილიყო თუნდაც აღმოსავლეთის კითხვასთან დაკავშირებით.

---

ტათ კარგათ ეპყრობოდენ რუსებს! რუსები კი ფიქრობდენ, რომ რუსეთის უფლებებს სავსებით არ იცავდენ ინგლისელები და სხვა. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ზაზილი: „გაუმარჯოს საქართველოს ბათომს!“ განსაკუთრებით მოხალისეთა დაცემის შემდეგ „საყოველთაო, სახალხო“ შეიქმნა, და მთავრობა, რომელმაც ამ მხრივ გააღიზინა „ქუჩა“, თვით გახდა ქუჩისაგან დამოკიდებული (ასე ემართებოდათ სხვა მრავალ კითხვაშიაც).

ყოველდღიურ ბრძოლასა და ხმაურობაში, და ინგლისის მართვა-გამგეობის სხვადასხვაგვარი ნაკლის მიუხედავათ, საკმაოთ ნათლად და ღრმად ჰქონდათ არა შეგნებული საქართველოს მთავრობას, რომ ბათომში ინგლისელების ბაზის შენარჩუნება, ნაკარნახევი იქნებოდა საქართველოს ინტერესების სრულიად ელემენტარულ წინდახედულობითა და მზრუნველობითმ ეს საეჭვოა. საქართველოს ყველა ნაწილების, და განსაკუთრებით კი ესოდენ მათთვის მნიშვნელოვან ბათომის, თავისი ძალა-უფლების ქვეშ დაჩქარებით შეერთების ცდუნება უფრო ძლიერი გამოდგა, კიდრე მომავლის, თუნდაც უახლოესი მომავლის, წინათ-გაპვრეტა.

ბათომის კითხვაში საქართველოს მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ზრდილობიანათ ეუბნებოდა ინგლისელებს („იმპერიალისტებს“, „გარეშე ძალას“); „გაგვშორდით ბათომიდან“ ამაგრებდა ინგლისში ბათომის დაჩქარებით დატოვების მომხრეებს.

მომავალი სომხეთის საზღვრების გამოსარკვევათ, კონფერენციასთან შეადგინეს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის წარმომადგენლებისგან განსაკუთრებული კომისსია *).

კომისიის შესასწავლ საგანთა შორის იყო ფრიად მნიშვნელოვანი კითხვა—სომხეთისათვის ზღვაზე გასავალი გზის, ე. ი. სწორეთ შავ-ზღვაზე გასავალი გზის უზრუნველყოფა **).

სომხეთის დელეგაციის აზრით, გასავლელი გზა უნდა მისცემოდა სომხეთს ტრაპიზონის ვილაჰიეტში, და თან სომხეთს უნდა მიმატებოდა მცირე აზიის სანაპიროები ტირებოლიდან (ტრაპეზონის დასავლეთით მდებარეობს) ხოფამდე (ე. ი. თითქმის რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლამდე ყოფილ საზღვრამდი). ამგვარათ, მომავალ სომხეთში შევიდოდა თითქმის მთელი ლაზისტანის სანჯაყი, რომელზედაც თავის უფლებები განაცხადა საქართველომ პარიზის კონფერენციის წინაშე 1919 წელს (როცა ბერძნებმა წამოაყენეს პროექტი ცალკე პონტოის რესპუბლიკის დაარსების შესახებ) და რამოდენიმე ხნის შემდეგ, კონფერენციისადმი წარდგენილ ძირითად მემორანდუმში.

25 თებერვალს ჩვენ მიგვიწვიეს ზემოთ მოხსენებულ კომისიაში, რომ განმარტებები მიგვეცა ლაზისტანისა და ბათომის ოლქის შესახებ.

---

*) მონაწილეებიდან დავასახელებ ბ. ბ. ვანსიტტარტს (ინგლისი) და კამმერერს (საფრანგეთი), აგრეთვე ბრიტანეთის სამსახურის პოლკოვნიკს გრიბბინს (საზვერავი დეპარტამენტის მთავარი შტაბის ახლო-აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი). პოლკოვნიკი შარდინი, რომელიც ჯერ კიდევ დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის დროს შედიოდა კავკასიაში მყოფ საფრანგეთის სამხედრო მისიის შემადგენლობაში და თფილისში დაბრუნდა 1918 წლის დამლევს, აგრეთვე მიწვეულ იქმნა ლონდონში, როგორც მცოდნე პირი.

**) რადგან წინასწარ ფიქრობდენ, რომ შესაძლებელია საფრანგეთმა აიღოს მანდატი კილიკიაზე (რომელიც საერთოდ გამორიცხეს მომავალი სომხეთის საზღვრებიდან), კითხვა ხმელთა-შუა ზღვაზე (ალექსანდრეტტა) გასავალი გზის მიცემის შესახებ სულ სხვაგვარათ ისმებოდა. ცოტა ხნის წინათ კილიკიაში მოხდა სომხების დარბევა. ამ შემთხვევის გამო თვით სომხების დელეგაციის თავმჯდომარემ აგარონიანმა განუცხადა რეპიტერის კორრესპონდენტს, რომ ოსმალეთის მავნებლობისაგან თავის დასაღწევათ და დანარჩენი აზიის მისგან ჩამოშორებისათვის ერთად-ერთი საშვალება იმაში მდგომარეობს, რომ კილიკია მიენდოს საფრანგეთის მზრუნველობას, როგორც მანდატარს, და რომ მანდატის გავლენის წრე აღწევდეს თვით დიდ სომხეთის საზღვრამდე. იხ. The Times, 23 თებერვალი, 1920 წ.

საჭიროა ავხსნათ, რომ საქართველოს პრეტენზიები ლაზისტანის სანჯაყზე (ტრაპეზონის ვილაჰიეტი) და ბაიბურთის (ერზერუმის ვილაჰიეტი) სანჯაყის ნაწილზე ემყარებოდა ისტორიისა და ეთნოგრაფიის გარკვეულ ცნობებსა და ქართველ საზოგადოებაში გავრცელებულ შეხედულებებს; იგი წამოყენებული იყო თავიდანვე პ ი რ ო ბ ი თ ა დ იმ აზრით, რომ იგი დამოკიდებული იყო აღმოსავლეთ ანატოლიაში ოსმალეთის ხელისუფლების მოშლისა და ახალი სომხეთის დაარსებისაგან. თუ კი ზოგიერთი ტერიტორია ყოფილი ოსმალეთის იმპერიისა სამართლიანობისა და მიზანშეწონილების მიხედვით იქნებოდა განაწილებული, და საქართველო-სომხეთს შორის საზღვარი დადებულ იქნებოდა ჭოროხ-შავი-ზღვის მიდამოებში, მუსლიმანურ პროვინციების ფარგლებში, მაშინ ბუნებრივი ხდებოდა მოთხოვნილება, რათა სწორეთ საქართველოს შემოერთებოდა ლაზისტანის სანჯაყი, რომელიც ბათომის ზღვისპირების პირდაპირი გაგრძელებას წარმოადგენს თავისი თუმცა მეტათ გამახმადიანებულ, მაგრამ სისხლით და ენით საქართველოს, განსაკუთრებით სამეგრელოს, ახლობელ მონათესავე მოსახლეობით. აგრეთვე ბუნებრივი იყო გვეთხოვნა, შეესწორებინათ საზღვრები შუა ჭოროხზე, და გადაეტანათ საზღვარი ისპირის ცოტა დასავლეთიო. საქართველოსთვის გამოთხოვნილ ყოფილ ყარსის ოლქის დასავლეთის ორ ნაწილთან (არდაგანის და ოლთისის) ერთად ეს გეგმა ნიშნავდა, თუ იგი განხორციელდებოდა, მთელი სამუსლიმანო ანუ ოსმალეთის საქართველოს შემოერთებას.

კომისიის თავმჯდომარეთ მყოფმა, ბ. კამერერმა საკმაოთ დამაჯერებლათ ჩასთვალა სხდომაზე წარმოთქმული ჩემი დასაბუთება, მაგრამ აღნიშნა, რომ ლაზებს სრულიადაც არ განუცხადებიათ სურვილი შეუერთდენ საქართველოს, და მაგალითად, 1918 წელს ოსმალოებმა ბათომი დაიჭირეს სწორეთ ლაზების დახმარებით. (ბ. კ-დაიმოწმა სხდომის მეორე მონაწილე, პოლკოვნიკი შარდინიი). ჩემი პასუხი არსებითად შეიცავდა იმას, რომ, სანამ ამ მხარეში ისტორიული ბრძოლა წარმოებდა რუსეთისა და ოტტომანთა იმპერიების შორის, არა თუ ლაზების, არამედ, შესაძლებელია, ყოფილი რუსეთის ყველა ქართველი მუსლიმანის სიმპატიები ეკუთვნოდა მათ თანამორწმუნეთ. ეხლა კი, როცა დიდმა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს შექმნან დამოუკიდებელი სომხეთი, და ოსმალეთის ხელისუფლება მის სამფლობელოს ამ ნაწილში არ იქნება შენახული, დგება კითხვა, ვის უნდა მიეკუთვნონ სამართლიანობის მიხედვით ლაზები, და ვისთან შეერთებას ირჩევენ ისინი: დამოუკიდებელ საქართ-

ველოს თუ სომხეთს?—კითხვის ასე დაყენება—უკვე ნიშნავს მის გადაწყვეტას.

უდიდესი ყურადღება კომისიამ მიაპყრო ბათომის კითხვას. „კომისია იმ დედა-აზრზე სდგასო,—სთქვა ბ. კამმერერმა—რომ არც ერთი ახალი სახელმწიფო არ უნდა იყოს მოკლებული ზღვაზე მიმავალ თავისუფალ გზას; როცა ვქმნით დამოუკიდებელ სომხეთს, ჩვენ იგი უეჭველად უნდა უზრუნველვყოთ გასავალი გზით; მეორეს ხ̀ბრით, ანგარიში უნდა გაუწიოთ იმასაც, რომ ბათომს დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების სპარსეთთან სატრანზიტო ვაჭრობისათვის. ბათომი არის აგრეთვე ბაქოს ნავთის ნაწარმოების გასაზიდი ნავთსადგური და სხვა. ამიტომ ბათომის კითხვა უნდა გადასწყდეს ყველა ჩამოთვლილ მრავალფერ ინტერესებთა შესაფერისადო“.

კომისიის წინაშე მე დაწვრილებით განვმარტე საქართველოს აზრი ბათომზე და ბათომის ოლქზე, როგორც საქართველოს მიწაწყლის განუშორებელ ნაწილზე, და საქართველოს სრული თანხმობა ყოველგვარი საჭირო გარანტია დასდოს, რომ მეზობელ რესპუბლიკების ინტერესებსა და საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობის მოთხოვნილებებს ბათომში იგი სავსებით უზრუნველჰყოფს. ბ.-ბ. კამმერერი და ვანსიტარტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ, რომ ქალაქ ბათომის მოსახლეობა არეულია, რომ იქ ქართველობა უმრავლესობას არ შეადგენს და სხვა; ჩემთან ერთად სხდომაზე მყოფმა ჩხეიძემ, რომელიც კარვათ იცნობდა ბათომს, ჩემის თხოვნით, ამ საგნის შესახებ დაწვრილებითი ცნობები მოგვცა.

ადვილად შეემჩნეოდა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები იჭვის თვალით უყურებდენ ბათომზე საქართველოს ხელისუფლების ცნობის შესაძლებლობას; ასეთი მათი პოზიცია სხვათა შორის დაკავშირებული იყო ზრუნვასთან, მიეცათ სომხეთისთვის ზღვაზე გასავალი თავისუფალი გზა. რომ ასეთი გასავალი წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც სომხეთის რკინის გზა,—ყარსი-ართვინი-ბათომი,—ამის შესახებ 25 თებერვლის სხდომაზე არაფერი ყოფილა თქმული.

1 მარტს ჩვენ ნოტით მივმართეთ უმაღლეს საბჭოს, რომელშიაც 1) ჩვენ მოვითხოვდით ბათომის ოლქის საქართველოზე შემოერთებას; 2) ვამბობდით, რომ მზათა ვართ მეზობელ რესპუბლიკებთან შეთანხმება დავდვათ, რომლითაც საკმაო გარანტიების მიცემით უზრუნველყოფილი

იქნებიან არა მარტო აზერბაიჯანი და სომხეთი (რო-შელნიც დაინტერესებულნი იყვნენ თავისუფლად ეწარმოებინათ თავისი ვაჭრობა ბათომიდან *) არამედ თავისუფალი საერთაშორისო ტრანზიტიც; 3) ვადასტურებდით, 25 თებერვალს კომისიაში გამოთქმულ რწმენას, რომ საჭიროა საქართველოს სასარგებლოდ შესწორებული იქნეს საზღვრები, ე. ი. ლაზისტანის სანჯაყი და ჭოროხის ზოგიერთი სანაპირო ადგილები მიეკრას საქართველოს; დასასრულ აღვნიშავდით, რომ საზღვრების შესწორების კითხვას, ჩვენ ვაყენებთ ტრაპეზონის ვილაჰიეტში შავ-ზღვაზე სომხეთის გასავალი გზის მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

ერთის სიტყვით, ჩვენ მარტო ბათომის კითხვის გადასაწყვეტ საშვალებას კი არ ურჩევდით (უპირველესად ყოვლისა ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკის შეთანხმება უნდა მომხდარიყო ბათომისა და ბათომის ოლქის საქართველოს ნაწილათ ცნობის ნიადაგზე), არამედ ერთმანეთს უკავშირებდით სომხეთ-საქართველოს გამიჯვნასა და სომხეთის შავ-ზღვაზე გამოსვლას.

## 79

უმაღლესმა საბჭომ გაიზიარა თავისი კომისიის აზრი, და მოიწონა სრულიად სხვა გეგმა ბათომთან დაკავშირებულ მრავალგვარ ინტერესების შერიგებისა.

გახზრახული იყო: ბათომში დაეწესებიათ არა მარტო პორტო-ფრანკო (თავისუფალი ვაჭრობა), არამედ ბათომი თავისუფალ ქალაქათ გამოეცხადებიათ და გარდა თვით ბათომისა, მისთვის გადაეცათ ერთი (მცირე) ნაწილი გარემო ტერრიტორიისა; ბათომის ოლქის დანარჩენი ნაწილი უნდა გაეყოთ სომხეთსა და საქართველოს შუა; სახელდობრ საქართველოს შეუერთდებოდა ჩრდილო და აღმოსავლეთი ნაწილი ოლქისა, სომხეთს კი მიეცემოდა სამხრეთში, ართვინის რაიონი. სომხეთ-საქართველოს დანარჩენი საზღვრების გამიჯვნა რჩებოდა ამ რესპუბლიკების საკუთარ საქმეთ. ლაზისტანი ცხადდებოდა ავტონომიურ ერთეულათ, სომხეთის სუვერენიტეტის ქვეშ.

---

*) შემდეგ (პარიზში და სენ-რემოში) ინგლისმა ამიერ-კავკასიის კითხვის ზოგადათ გადასაწყვეტად სწორედ ეს საშვალება,—ე. ი. სამი რესპუბლიკის შეთანხმება-წამოაყენა.

უნდა დაეწესებიათ თავისუფალი ტრანზიტი ამიერ-კავკასიაზე. ბათომს დაიჭერენ შერეული რაზმები (ინგლისი-საფრანგეთი-იტალია). იქ უნდა ყოფილიყო ბინა საერთაშორისო კომისრისა, რომელიც, როგორც ემჩნეოდა, უნდა დაენიშნა ერთა ლიგას.

ბათომის კითხვის ამ გვარად გადაწყვეტაზე (თავისუფალი ქალაქი), როგორც მაშინ მატყობინებდა ცნობის მომცემი, გაელენა იქონია ამ ნავთსადგურში თავმოყრილმა რუსეთისა და საერთაშორისო საზღვაო ფართო ინტერესებმა.

ადვილი ასახსნელი ხდებოდა ბათომის ოლქის სამ ნაწილად დაყოფაც: ამ შემთხვევაში შესაძლებელი ხდებოდა მომავალი ყარსი-ბათომის რკინის გზის (სომხეთის გასასვლელი გზა შავ-ზღვაზე!) ლიანდაგი საქართველოს მიწა-წყალს ასცდენოდა, რადგან ყოფილი ბათომის ოლქის საზღვრებში გზა იგი ჯერ გაივლიდა სომხეთის ნაწილზე (ართვინის რაიონი) და შემდეგ ბათომისკენ წავიდოდა თავისუფალი ქალაქის ტერრიტორიაზე (ესე იგი ჭოროხის შესადენის რაიონზე).

ყარსი-ართვინი-ბათომის ვარიანტზე იმიტომ შეჩერდენ, რომ ერზერუმ-რიზეს მიმართულება წინანდელი გამოკვლევების თანახმად, თითქოს განუხორციელებლად ეჩვენებოდათ.

ამ სქემის უმთავრეს ღირსებას,—გარდა ნუგეშისა, იმ ფაქტით, რომ უმაღლესმა სამსჯავრომ ამ კითხვისთვისაც ბოლოს მაინც მოიცალა,—ჩემის აზრით, შეადგენდა ბათომში ნამდვილად საერთაშორისო კონტროლის დაარსება, და ამიერ-კავკასიის საქმეებით ნამდვილი საერთაშორისო დაინტერესება. ერთა ლიგის მფარველობა პრაქტიკულად უზრუნველყოფდა ჩვენი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის თანამგრძნობ სახელმწიფოების მხურვალე ხელისშეწყობას ამიერ-კავკასიისადმი; ამავე დროს ამ თვალსაჩინო შედეგს აღწევდენ ისეთის ფორმით, რომ შეუძლებელი ხდებოდა ერთი რომელიმე დიდი სახელმწიფოსთვის რაიმე ანგარების ბრალი დაედოთ.

მეორეს მხრით კი, არაფერიც რომ არ ითქვას ისეთი გადაწყვეტილების აშკარა არა ბუნებრივობაზე, როგორიც არის „ლაზისტანი სომხეთის ხელდების ქვეშ“, მაინც საშიში იყო, რომ ბათომის ოლქის განზრახული დაყოფა, სომხეთისთვის ჭოროხის მარცხენა ნაპირის ქალაქ ართვინიანათ დათმობა, საქართველოსაგან ბათომის ჩამორთმევასთან და მუსლიმანური მოსახლეობის ახალ-

ჯგუფებზე სომხეთის ხელისუფლების გავრცელებასთან დაკავშირებით, დააბრკოლებდა სომხეთისა და მის მეზობლებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ხოლო თუ სამ რესპუბლიკათა შორის არ დამყარდებოდა მუდმივი და მტკიცე შეთანხმება, როგორც საზღვრების, ისე ბათომის შესახებ, მაშინ არავითარი იმედი არ იყო, რომ გადაწყდებოდა ამიერ-კავკასიის კრიზისი ანდა რომელიმე დიდი სახელმწიფო დახმარებას გაიღებდა!

მაშასადამე, საჭირო იყო ჩაფიქრება, თუ როგორის უფრო შესაფერისის საშუალებით შესრულებულიყო უმაღლესი საბჭოს მიერ დაყენებული კეთილი მიზნები.

არ შეიძლებოდა უმთავრესის დავიწყებაც, რისთვისაც არსებითად უმაღლესმა საბჭომ ეხლა ლონდონში თავისი ყურადღება მიაქცია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს; ეს იყო სახელდობრ მჭიდრო კავშირი, რომელიც აქვს „ჩვენს“ კითხვებს. აღმოსავლეთის მშვიდობიანობის საქმესთან, და დამოუკიდებელი სომხეთის დაარსება: ოსმალეთთან ზავის პროგრამის მართლაც განხორციელებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, გაემაგრებინათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური და სამხედრო მხარეები. მხოლოდ ამგვარად შეიძლებოდა შეექმნათ „შუაკედელი“ საბჭოთა რუსეთისა და მუსტაფა-ქემალის ოსმალეთის შორის; მხოლოდ ამ პირობით შეიძლებოდა უზრუნველყოფა კავშირისა ევროპასა და სომხეთს შორის, და ბათომი გახდებოდა დასაყრდნობ ნიადაგათ, რომ აღმოსავლეთიდან გავლენა მოეხდინათ ანატოლიაზე.

ამ მოსაზრებათა გამო, საქართველოს დელეგაციამ, ჩემის წინადადებით, ბათომის კითხვის შესახებ, მიმართა უმაღლესს საბჭოს ახალის ნოტით (16 მარტი), რომლის მუხლების მოყვანას ჩემს თავს ნებას მივცემ.

1. ბათომის ოლქი, ბათომის და ართვინის მაზრების შემადგენლობით, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა ქართველი მუსლიმანები არიან, უნდა შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერრიტორიას.

2. ბათომის ოლქის დაყოფა, და რომელიმე მისი ნაწილის სხვა, და არა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შეტანა უსათუოდ გამოიწვევს უღრმესს უთანხმოებას და გაამწვავებს ურთიერთობას ამიერ-კავკასიის ძეზობელ ხალხებთა შორის.

3. თუ იქნება დამტკიცებული, რომ გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული თუ სხვა რაიმე პირობების გამო ზღვაზე გამოსავალმა სომხეთის გზამ უსათუოდ უნდა ჩაიყოლიოს იმ ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც ქართველი ხალხი თავის ეროვნულ კუთვნილებათ სთვლის და რომლის მიღებას ამ საბუთით სცდილობს,—ქართველი ხალხის უფლებები უნდა იქნეს შეწყნარებული. ზღვისაკენ ზემორემოხსენებული გასავალი, ე. ი. სომხეთის რკინის გზების მიბჯენა შავ-ზღვაზე განზრახულ გასავალზე შესაძლებელია მოეწყოს სპეციალური შეთანხმებებების საფუძველზე, და ვნება არ მიეცეს ამ ტერრიტორიების მიმართ საქართველოს სუვერენობას.

4. ბათომის აეტონომიური რესპუბლიკის დაარსება, რომელშიაც შევა აგრეთვე ბათომის ოლქის ნაწილი, აუცილებლად გამოიწვევს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შორის ისედაც საკმაო რთულ ურთიერთობის კიდევ მეტს გართულებას. ეს გადაწყვეტილება სასოწარკვეთილებას მოჰგვრის ქართველ ხალხს, რომელსაც ჩამოართმევენ მისი საუკეთესო ნავთსადგურის მფლობელობას; სრულიად არ არის იგი აუცილებელი არც საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების ვაჭრობისა და ეკონომიური მოთხოვნილებების თვალსაზრისით, არც საერთაშორისო სავაჭრო ტრანზიტის საჭიროებით, განსაკუთრებით სპარსეთთან; ვინაიდან ყველა ეს ინტერესები, რომელთა მნიშვნელობას საქართველოს მთავრობა სავსებით აფასებს, შესაძლებელია დაკმაყოფილდეს, და საჭირო გარანტიები უზრუნველყოფილი იქნეს სპეციალური შეთანხმებებით, რომელსაც შეკრავენ დაინტერესებული მხარეები უშვალოთ, ანდა უმაღლესი საბჭოს ან ერთა ლიგის დახმარებით.

ამ საფუძველზე აგებული ბათომის ნავთსადგური, საქართველოს ხელდების ქვეშ, მართლაც გახდებოდა ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკის გასავალათ (débouché) და ამავე დროს საერთაშორისო სავაჭროების საწყობ ადგილათ,—ამ შემთხვევაში ქალაქი ხელოვნურად არ იქნებოდა თავის Hinteland-ს (შიდა ქვეყანას) ჩამოშორებული და საქართველოს უფლებები ბათომზე არ იქნებოდა დარღვეული.

5. საქართველოს მთავრობა ადასტურებს თავის წინანდელ პრეტენზიებს... ყარსის ოლქის ორ ნაწილზე: არდაგანისა და ოლთისისაზე.

6. შესაძლებელია, რომ საერთო პოლიტიკის მოსაზრებით და სამშვიდობო ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველსაყოფად დიდი სახელმწიფოები შესაფერისად ჩასთვლელიან იქონიონ ბათომის ნავთსადგურში სამხედრო და საზღვაო ბაზა. ამ მიზნისათვის ხელისშეწყობა უზრუნველი უნდა ჰქონდეს

დიდ სახელმწიფოებს და ყველაზე უფრო ადვილი გზა კი არის საქართველოსთან საჭირო შეთანხმებების და კონვენციების დადება.

მე მგონია, რომ ზევით მოყვანილი ამონაწერი საკმაოთ ნათელს ყოფს საქართველოს დელეგაციის ოფიციალურად გამოთქმულ შეხედულებას ბათომის კითხვაზე და სომხეთის შავ-ზღვასთან რკინის-გზით მიმოსვლაზე. „საერთაშორისო მოცულობით" ეს კითხვები ეხლა ხდებოდენ ამიერ-კავკასიის პოლიტიკის საცად-ქვათ.

## 80

საქართველოს დელეგაციამ გამოიჩინა ინიციატივა, როცა მან წამოაყენა სამი მეზობელი რესპუბლიკის შეთანხმება, როგორც საფუძველი ბათომის ფუნქციის—ზღვისკენ საერთო გასავლის—უზრუნველყოფისა და როცა ამტკიცებდა, რომ ადვილათ შესაძლებელია სომხეთს უზრუნველ ეყოს რკინის-გზის გასავალი შავ-ზღვაზე ბათომით, ბათომის ოლქის გაუნაწილებლად, და თუნდაც ბათომზე საქართველოს სუვერენობა იქნეს ცნობილი.

ეს თემები, როგორც შემდეგ დავინახავთ, წარმოადგენდენ ზღურბლს, რომლის ირგვლივ ტრიალებდენ მოლაპარაკებები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებსა და ინგლისის მთავრობის შორის, სევრის ხელშეკრულების საბოლოო პროექტის შემუშავების ხანაში.

ეხლა მოკლეთ შევეხები, თუ რა ურთიერთი განწყობილება არსებობდა ლონდონში (მარტი, 1920 წ.) სამი რესპუბლიკის დელეგაციებს შორის დასმული კითხვის გამო; ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ მაშინ დაიწყო აზრთა მართებული გაცვლა-გამოცვლა, რომლის დაბოლოვებას ადგილი ჰქონდა უკვე სენ-რემოში (1920 წლის აპრილის დამლევს).

დელეგაციათა მუშაობაში რაიმე შეთანხმების მიღწევა მეტად ძნელდებოდა, რადგან პოლიტიკური მათი ამოცანები, ყველაზე უფრო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, ერთმანეთს არსებითად არ ეგუებოდა. აქ საქმე ეხებოდა არა მარტო საზღვრებზე უთანხმოებას, რაც არ უნდა რთული ყოფილიყო იგი; ბევრათ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტაგონიზმს (შეურიგებლობას) ძირითადს, ურყევს, მეტ წილად ქვე-შეგნებიდან გამოსულს, რომელიც საფუძვლად ედვა მრავალხლართიან, ხანგრძლივ ბრძოლას, და რომლის სხვა-

დასხვა გამოხატულება უკანასკნელ ათეულ წლებში მთლიანათ, ერთმანეთთან დაკავშირებით უნდა განიხილოს. სომხების ელეტა ოსმალეთში; სომეხ-თათართა „ხოცვა“ (ორთავიანი არწივის კალთის ქვეშ!), რომელიც არსებითად იყო სახელმწიფოებრივ მოუწყობელ ხალხების „მცირე ომი“, სომხების როლი მსოფლიოს ომში (მოკავშირეთა მხარეზე) და სისხლიანი რეაქცია მათ წინააღმდეგ ოსმალეთში; სომეხ-ოსმალური და სომეხ-თურქული რეპრესიები ომის ასპარებზე ოსმალეთში, ამიერ-კავკასიაში სხვადასხვა შეერთებით, ომის ბედის ცვალებადობით, პოლიტიკური წეს-რიგის შეცვლით და სხვა —ყველაფერი ეს ნაწილებია ერთი და იმავე დრამის: სომხეთის ერის ბრძოლისა თავის მიწა-წყალზე არსებობისათვის და საკუთარი სახელმწიფოს შექმნისათვის—და ოსმალოების ბრძოლისა დაპყრობილის შენარჩუნებისა და ბატონობის სფეროს გაფართოებისათვის მოსახლეობით მონათესავე კასპიის ზღვის მიდამო ტერრიტორიისაკენ.

მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ, 1918 წლის დამლევიდან, სომხებმა ისევ, როგორც 1914 წელს, მთელი თავისი მომავალის ბედი დაამყარეს ოსმალეთის პოლიტიკურათ განადგურებაზე (იხ. ზემოთ თავი XIX). 1920 წლის დამდეგს ისინი უკვე იძულებულნი შეიქმნენ ბევრი რამ ჩამოეკლოთ თავის მოთხოვნილებებისათვის. მაგრამ იმედი არათუ თავისი ძლიერი, ფართო სომხეთის დაარსებისა, არამედ ოსმალეთის საკმაოთ გაძაგვრისა მაინც შერჩათ. წინათ მოყვანილ განცხადებებში (გვ. 317) სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარე ავეტის აგარონიანი მწუხარებასთან ერთად, რომ გადაწყდა ოსმალოები არ გარეკონ კონსტანტინოპოლიდან, ამტკიცებდა, რომ ოსმალოების დატოვება არ შეიძლება არც კილიკიაში და არც სხვაგან, სადაც ცხოვრებენ ქრისტიანები. „ახალგაზრდა თურქების“ მიზანს შეადგენს სომხეთის მოსპობა და ოსმალეთის აზერბაიჯანის საზღვართან დაახლოვება. ამიტომ აუცილებელია სომხეთში ერზინჯანისა და ერზერუმის შეტანა და ოსმალოების შეჩერება, რომ ისინი არ შევიდენ ყარაბახის მთიან ნაწილში, საიდანაც ადვილათ ჩამოვლენ ერევანშიო.

სომხების ასეთს დავალებას აზერბაიჯანლები პირნათლათ იხდიდენ: თავის ინტერესებსაც არ უთმობდენ, და სომეხთა მოთხოვნილებებიდან ოსმალეთის დაცვასაც არ ივიწყებდენ. ასეთი იყო ნამდვილი, ძირითადი, დედა-აზრი მათი მისწრაფებისა აზერბაიჯანთან დაეკავშირებიათ და მასში გამოეხატათ ამიერ-კავკასიის ყველა მუს-

ლიმანური ნაწილები. 1919 წელს, შესაძლოა, მათ თავში გაურბინა აზრმა „ვილსონის მუხლების თანახმად" ე. ი. მუსლიმანთა თვით გამორკვევის მეოხებით მიეღოთ ის, რაც ოსმალეთმა მიიღო ბოლშევიკებისაგან 1918 წელს და, რაც დაჰკარგა იმავე წლის დამლევს. პარიზის კონფერენციის წინაშე წარდგენილ მემორანდუმში აზერბაიჯანმა თავის საზღვრებში მოათავსა ამიერ-კავკასიის ყველა მუსლიმანური პროვინცია,—ბათომის ოლქიც კი არ გამოუკლია! უეჭველია, რომ, როცა ამ მოთხოვნილებას არდგენდა, აზერბაიჯანი არ ფიქრობდა მარტოოდენ თავის თავზე!

ამ განზრახვის შესრულება არ იყო მთლად ადვილი საქმე, და პრაქტიკულათ მისი დაცვა 1919 წელს არ შეიძლებოდა.

აზერბაიჯანისდელეგაცია ახლა (ლონდონი თებერვალი-მარტი 1920 წ.) პრინციპიალურათ საწინააღმდეგოს არაფერს ამბობდა, რომ სომხეთისთვის მიეცათ ოსმალეთის ზოგიერთი ტერიტორია, ხოლო უსამართლოდ და არა სასურველათ სთვლიდა (მუსლიმანთა მოსახლეობის ინტერესების თვალსაზრისით), რომ ბათომის ან ყარსის ოლქების რაიმე ნაწილი შესულიყო სომხეთის შემადგენლობაში. ეს გამოაშკარავდა საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციის მიერ უმაღლეს საბჭოსადმი წარსადგენ პროექტის ერთად განხილვის დროს; საქართველოს დელეგაციის აზრით იმ პროგრამას უნდა ეცნობებია უმაღლეს საბჭოსათვის, რომ ორივე მოკავშირე რესპუბლიკა მიზანშეუწონლათ სთვლის ბათომის ოლქის დანაწილებას, და რომ აზერბაიჯანი წინააღმდეგი არ არის ბათომის ოლქი ქალაქი ბათომით შევიდეს საქართველოს საზღვრებში; საქართველო თავის მხრით საესებით უზრუნველყოფს აზერბაიჯანის ინტერესებს ბათომში (როგორც ზღვაში გასავალი ადგილისას).

ეს განცხადება, რომელსაც საქართველოს დელეგაცია დიდს მნიშვნელობას მიაკუთნებდა ბათომზე საქართველოს უფლებების დაცვის დროს, ვერ წარედგინა უმაღლეს საბჭოს, რადგან აზერბაიჯანის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვდა, რომ განცხადებაში შეგვეტანა მოთხოვნილება, რათა საქართველოს შეერთებოდა ყარსის მთელი ოლქი. *) ჩვენ კი, აშკარაა, ვერ ვახერხებდით ასეთი მოთხოვნის წარდგენას, რადგან ძირითად მემორანდუმში (1919) მოვითხოვ-

*) აზერბაიჯანელების შეხედულებით, რადგან ეს პროვინცია შეუძლებელი შეიქნა ოსმალეთის ყოფილიყო, უფრო სასურველი გახდა იგი არა სომხეთის, არამედ საქართველოს შემადგენლობაში შესულიყო.

დით ყარსის ოლქის ოთხი მაზრიდან მხოლოდ ორს (არდაგანისას და ოლთისისას), რომ არაფერი ვთქვათ ასეთი მოთხოვნილების ძირითადათ ჩვენთვის მიუღებლობის შესახებ.

ასეთივე უნაყოფო გამოდგა ცდა წინ წაწეულიყო საერთოდ კითხვა სამი რესპუბლიკის ურთიერთ შორის გამიჯვნისა; ეს კითხვა დაისვა (ლონდონში 1920 წლის მარტის დამლეგს), რადგან კონფერენცია შეუდგა სომხეთის კითხვის გარჩევას. ერთხელ როცა აგარონიანი დაუბრუნდა ძველ თემას, მეზობელ რესპუბლიკათა შორის საჩქაროთ მიჯნების დადების შესახებ, მან წინადადება მოგვცა გამიჯვნის საქმე გადმოეტანათ აქ, ევროპაში და მიენდოთ დელეგაციებისთვის, რადგან ადგილობრივ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს. ეს აზრი უსათუოდ ყურადღების ღირსი იყო. ჩვენ იგი გულდასმით განვიხილეთ, ბოლოს ნუბარ-ფაშასთან და სხვა სომეხ დელეგატებთან ერთად, აგრეთვე აზერბაიჯანლებთან. სომხები, ჩვენთან ლაპარაკის დროს, სასტიკ განსხვავებას ჰპოულობდენ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის: პირველთან ადვილია უთანხმოების მოსპობა, მეორის მოთხოვნილება კი ყოვლად შეუთანხმებელია სომხების მოთხოვნილებასთანო! ისინი ფიქრობდენ, რომ მათთვის შეუძლებელია ენდონ აზერბაიჯანს, მას მერმე, რაც გამოქვეყნდა ცნობები აზერბაიჯანსა და ოსმალეთს შორის ვითომდა შეკრულ საიდუმლო, სამხედრო კონვენციის შესახებ. *) ამიტომ სომხები არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდენ სამ რესპუბლიკათა შორის აღძრულ დავის გადაწყვეტის წეს-რიგის თფილისში (1919 წ. ნოემბერი) ხელმოწერილ შეთანხმებას (იხ. ზემოთ გვ. 297); აზერბაიჯანლები კი ფიქრობდენ, რომ გამიჯვნის მთელი კითხვის ევროპაში გადმოტანის სურვილი სომხებს მხოლოდ იმიტომ აქვთ, რომ დარწმუნებული არიან კონფერენციის მათდამი კეთილ განწყობილებაში; რომ აქ, დიდ ცენტრებში ისინი, სომხები, უფრო ძლიერნი არიან ჩვენზე საშვალებითაც, ნაცნობობითაც, რიცხვითაც, მაშინ როდესაც კითხვის იქ, ადგილობრივ, განხილვის დროს სომხების მტკიცების უსამართლობა და გადაჭარბება ყოველთვის ადვილათ აშკარავდება. ამიტომ აზერბაიჯანლებიც ან ქართველებიც უნდა დაჟინებით მოითხოვდენ, რომ დავა გადაწყვეტილ იქნეს ამიერ-კავკასიაში რესპუბლიკების საკუთარი ძალებით, და არა პარიზში ან ლონდონში.

---

*) ამის შესახებ ცნობები იხ. 20 მარტის 1920 წ. The Times-ში.

რადგან სომხებს აზერბაიჯანლებთან ამ კითხვის უშვალოთ გარჩევა არ სურდათ, საქართველოს დელეგაცია ცდილობდა უთანხმოება თავიდან აეცილებინა, და ამ მიზნით წინადადება მისცა მათ თფილისში, ბაქოში და ერევანში სამივე დელეგაციის სახელით გაეგზავნათ დეპეში, რომლითაც მთავრობებს მოიწვევდნენ დაუყონებლივ დაენიშნათ კონფერენცია გამიჯვნის, საარბიტრო კომისიის დაარსების და სხვა კითხვების გასარჩევათ, და თუ კონფერენცია უნაყოფო გამოვიდოდა, ან მის მოწვევას შეუძლებლათ ჩასთვლიდენ, საქმე გადაეცათ დელეგაციებისთვის. დეპეშის ტექსტი სომხებმა მოიწონეს; აზერბაიჯანლებს არსებითად საწინააღმდეგო არაფერი უთქვამთ, მაგრამ ისინი ფიქრობდენ, რომ ყოველი დელეგაცია თავისუფალი უნდა იყოს „სასწრაფო გამიჯვნის" შესახებ ფორმისა და აზრის გამოთქმის არჩევაში. ამიტომაც, განზრახული ნაბიჯი არ ყოფილა გადადგმული.

მომყავს ეს ეპიზოდი, რომ აღვნიშნო, თუ რა სიძნელე აფერხებდა დელეგაციების ურთიერთ განწყობილებას. მაგრამ სიძნელე არ იყო გადაულახავი, რასაც შემდეგი დაგვანახებს.

## თავი მეოცდათერთმეტე.

### ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები და სენ-რემოს კონ-ფერენცია.

(აპრილი 1920 წელი).

81

13 აპრილს 1920 წელს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე თათბირზე მიიწვიეს ბ. რობერტ ვანსიტტარტთან Campbell's Hotel-ში. მე და ჩხეიძე ერთად წავედით. ასეთივე მოწვევა მიელოთ აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციებს, ისე რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელთან შეხვედრას ჩვენთან ერთად დაესწრენ: ალი-მარდან-ბეგ თოფჩიბაშევი, ბოღოს-ნუბარი და ავეტის აგარონიანი.

რ. ვანსიტტარტმა მოგვმართა შემდეგის განცხადებით: „ჯერ კიდევ ლონდონში გეძიეთ, მაგრამ თქვენ უკვე წასულიყავით: მაშინ მე თავს ვიდეე ჩემზე მონდობილ ამოცანის ასასრულებლათ ჩამოვსულიყავ პარიზში, რომ აქ შეგხვედროდით და თქვენთან კერძოთ, მეგობრულათ მომელაპარაკნა თქვენს ზოგიერთ საერთო საქმეზე; ნება მიბოძეთ, როგორც ადამიანს, რომელიც კარგათ იცნობს თქვენ ქვეყნებს და რომელსაც თქვენთვის კეთილი სურს, გულახდილი ვიყო.

უმაღლესი საბჭოს წრეებში ბევრი იმ შეხედულობის არის, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს არავითარი მომავალი არ აქვთ, რადგან მათ სრულიად არ აქვთ შეთანხმების რაიმე უნარი, და ერთმანეთთან ჩხუბში სისხლიდან იცლებიან... მართლაც, ბევრი რამ ამტკიცებს ასეთს დაფასებას. ჩვენ მაგალითად, ვიცით, რომ ბ ა თ ო მ ი ს

მომავლის კითხვა ამიერ-კავკასიის სამ რესპუბლიკას სულ სხვადასხვაგვარათ წარმოუდგენია. სადავო კითხვა სხვაც ბევრია.

ცოტა ხნის წინათ, როცა გავეცანი ბ. თოფჩიბაშევის მიერ ლონდონში წარდგენილ მემორანდუმს, მე ვიფიქრე, რომ იქ არის სახელმწიფო მოღვაწის შესაფერი დედა-აზრი, სახელდობრ, აზრი დაარსებულ იქნეს სადაო ტერიტორიებზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საერთო კონტროლი"...

ვანსიტტარტის მიერ გადმოცემულმა უკანასკნელმა ცნობამ გამოიწვია გამოკითხვა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა: გამოირკვა, რომ თოფჩიბაშევის აზრი არ იყო მართებულათ გაგებული. მაგრამ ეს იყო გზის წუთიერი ახვევა.

მე ვისარგებლე, რომ ბ. ვანსიტტარტმა ბათომი მეზობელთა შორის განხეთქილების მიზეზათ დასახა, და განვაცხადე, რომ ასეთი შეხედულება არ არის სწორი: არც აზერბაიჯანლები, არც სომხები არ უარყოფენ საქართველოს უფლებას ბათომზე და ბათომის ოლქზე. ,,დარწმუნებული ვარ – დავძინე მე—არც აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარე და არც ბბ. სომხეთის დელეგატები, რომელნიც აქ არიან, უარს არ იტყვიან დაადასტურონ ჩემი მტკიცების სისწორე.

თოფჩიბაშევმა, აგარონიანმა და ბ.—ნუბარმა გადაჭრით სთქვეს, რომ საქართველოს უფლებებს ბათომზე და ბათომის ოლქზე ისინი სადაოთ არ ხდიან. ეს მათი განცხადება, რომელსაც ლონდონში ვერ ველირსეთ, შემდეგი მოლაპარაკებისათვის მშვენიერი შესავალი გამოდგა.

,,შეურიგებლობის უფრო ნათლად გამომჩინარე ილლიუსტრაციები, უფრო ღირსშესანიშნავი მაგალითები ,,განხეთქილების მიზეზისა" შეიძლება—განვაგრძნობდი მე—გვენახა ამიერ-კავკასიის სხვა რაიონებში; მაგრამ ტერიტორიალურ ყველაზე უფრო მწვავე კითხვების გადასაწყვეტათაც ჩნდება გამოსავალი. რაც შეეხება ბათომს, საქართველოს სუვერენობის ცნობა, მეზობელთა ინტერესების ბათომის ნავთსადგურში მტკიცეთ დაცვის პირობით ისეთი ფორმულაა, რომელიც ყველასათვის მისაღებია, და რომელსაც შეუძლია საძირკვლათ დაედვას შეთანხმებას". *)

---

*) როგორც მაშინ სხვათა შორის შენიშნა ბ. ვანსიტტარტმა ბათომზე საქართველოს სუვერენიტეტის ცნობას ძლიერ ცოტა შანსი აქონდა.

დაიწყო ამ თემებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა; საერთო თანხმობით გადაწყვეტილ იყო დაუყონებლივ ხელი მოგვეკიდნა ჩემ მიერ წამოყენებულ კითხვებისათვის: 1) ბათომი და ბათომის ოლქი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ ინტერესებთან დაკავშირებით, 2) ამ რესპუბლიკათა შორის ტერრიტორიალურ დავის გადაწყვეტის საშვალებები. ეს იყო სამშაბათს; შეეთანხმდით ისევ შეეკრებილიყავით ბ. ვანსიტტარტთან ხუთშაბათს დილით (15 აპრილს) დ ა მ ზ ა დ ე ბ უ ლ ი  დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი თ.

გამოთხოვების დროს მე ველაპარაკე ბ-ნ. ვ—ს, თუ შეთანხმების რა ელემენტები მოიპოვება კავკასიაში, რომელნიც ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან, როგორც მასვე შეეძლო შეენიშნა; რომ საჭიროა ამის დახმარება და რამდენათ კეთილშობლურია და საინტერესოა მისი ამ საქმეში მონაწილეობა.

დაუყონებლივ დაიწყო ზევით მოყვანილი ორი კითხვის შესწავლა სამი დელეგაციის შეერთებულ სხდომებზე (უფრო ხშირათ ჩვენთან). თავიდანვე შეფერხებას წავაწყდით, როცა ვარკვევდით, თუ რა გარანტიები უნდა შეგვექმნა საქართველოს მეზობლების, განსაკუთრებით სომხების მიერ ბათომის ნავთსადგურის სარგებლობისათვის. ამიტომ ჩვენ გადავედით მეორე (არბიტრაჟის) კითხვაზე, მხოლოდ აღვნიშნეთ, რომ არც წესი და არც შინაგანი მჭიდრო კავშირი კითხვებისა ამითი არ ირღვევა და არც იცვლება.

როგორც პირველის, ისე მეორე საგნის მსჯელობის საფუძვლათ დადებული იყო ჩემ მიერ შედგენილი პროექტები. სისტემატიურათ განვიხილეთ პროექტი, რომ არბიტრაჟი მიგვეღო ტერრიტორიალური დავის გადაწყვეტის საშვალებათ. უთანხმოება, როგორც იქნა დავძლიეთ და შეთანხმებას მივაღწიეთ.

რაც შეეხება ბათომის კითხვას, თუმცა დიდ ბრიტანეთის დელეგატთან დაპირებული შეხვედრა გადიდვა ხუთშაბათიდან პარასკევზე (16 აპრილი—დღე, როცა ინგლისის დელეგაცია უნდა გამგზავრებულიყო სენ-რემოში) ჩვენმა დელეგაციებმა ჩემი პროექტი. საკვლევით მაინც ვერ განიხილეს და უთანხმოებანი ვერ შეათანხმეს.

მიღებული იყო შესავალი, § ბათომის ოლქზე საქართველოს სუვერენობის ცნობის შესახებ, და § ამ სუვერენობის ბათომზე ცნობის შესახებ იმ პირობით კი რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის ინტერესები უზრუნველ ყოფილიყვნენ. თვით უზრუნველყოფათა აღნუსხვამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. პირველი, ჩვენ არსებითად არ

შეგვეძლო დავთანხმებოდით სომხეთის სახელით გაბრიელ-ეფენდი ნარადუნგიანის *) მიერ ამ კითხვების გამო წამოყენებულ ხუთი მუხლის ზოგიერთ ნოთხოვნილებას; (სახელდობრ, რომ სომხეთს გადაცემოდა ბათომის ნავთსადგურის ნაწილი, და რომ, როგორც ეს ნაწილი, ისე სომხეთის რკინის-გზისთვის საჭირო ზოლი ბათომამდე, ცნობილი ყოფილიყო ექსტერრიტორიალურად). მეორე, თავიდანვე ჩვენ აღვნიშნავდით, რომ უმჯობესია მიღებულ იქნეს პრინციპიალური, დეკლარატიული შეთანხმება; რაც შეეხება ტეხნიკურ წვრილმანებს, ისინი შესწავლილი იქნებოდა შემდეგ, როცა დადებულ საფუძვლებზე დაიწყებდენ სპეციალურ შეთანხმებებისა და კონვენციების შეკვრას; ამას მე ვაძლევდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რადგან ჩვენი მოლაპარაკება უნდა დამთავრებულიყო სასწრაფოთ, რომ მიგვეღწია მიზანს ე. ი. უმაღლეს საბჭოს წინაშე დაუყონებლივ გამოგვექვეყნებია ჩვენი შეთანხმება. გარდა ამისა, ოდნავ სპეციალური კითხვის გარჩევა ძლიერ ფერხდებოდა ჩვენი შემადგენლობის მოუქნელობით (რჩევაში მონაწილეობას იღებდა სამივე დელეგაციის ყველა წევრი, რაც იწვევდა მრავალ რიცხოვანობას, სხვადასხვაობას, აფორიაქებას!), დროის უქონლობით და მონაწილეთა უმრავლესობის მოუმზადებლობით.

რადგან ზევით აღნიშნული უთანხმოების თავიდან მოშორება პარასკევისთვისაც (16 აპრილისთვისაც) ვერ მოხერხდა, ჩვენ გადავეცით ცნობები მიღწეულ შეთანხმებისა (ტერიტორიალური დავის გადაწყვეტის წეს-რიგისა) და ბათომზე „გარანტიების" კითხვაში დარჩენილ უთანხმოების შესახებ ბ. ვანსიტტარტს, როცა იმავე დღეს მას შევხვდით. პირველათ ბოღოს-ნუბარმა გამოთქვა, თუ როგორ წარმოედგინათ კითხვა სომხურის თვალსაზრისით; შემდეგ მე დაწვრილებით განვმარტე მოლაპარაკების მდგომარეობა, აღვნიშნე რომ სამ რესპუბლიკათა დელეგაციებს შორის მიღწეულია პრინციპიალური თანხმობა, როგორც ბათომის და მისი ოლქის საქართველოზე გადაცემის, ისე საერთოდ მეზობლების გარანტიების შესახებ; მე მივაქციე ბ. ვანსიტტარტის ყურადღება, რომ საჭიროა ამ ხანად

*) დიდათ გამოცდილი, ოსმალეთის კანონებში დახელოვნებული, ოტტომანთა იმპერიის მიერ დადებულ ტრაქტატებს ცნობილ კრებულის რედაქტორი. 1914—1918 წლების ომამდე ოსმალეთის ადმინისტრაციაში მას უმაღლესი ადგილები ეპირა. იყო საგარეო საქმეთა მინისტრითაც.

მთელ ჩვენს შეთანხმებას მიეცეს ზოგადი, დეკლარაციული და არა ტეხნიკური ხასიათი.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელმა სიხარული გამოთქვა სავალდებულო არბიტრაჟზე შეთანხმების გამო და ერთხელ კიდევ გაგვახსენა, რომ ჩვენი ერთმანეთისადმი დათმობისა და შეთანხმების ყოველი უნარის გამოჩენა საშვალებას აძლევს ჩვენს მეგობრებს დაიცვან ჩვენი დამოუკიდებლობის ინტერესები უმაღლეს საბჭოში. „ნუთუ თქვენთვის აშკარა არ არის—მეუბნებოდა იგი—რომ, მაგალითად, იარაღისა და სამხედრო სურსათის *) თქვენდამი გადმოგზავნა შეფერხდა სწორეთ თქვენი უთანხმოების გამო? იყო შიში, რომ იარაღს თქვენ მოიხმარდით ერთმანეთთან დავის დროს; პირიქით, თქვენი ერთმანეთში მორიგება თქვენთვის დიდს სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს. განსაკუთრებით ქართველებმა უნდა გვიჩვენონ მაგალითი დათმობისა და ლიბერალიზმისა მეზობლების საარსებო ინტერესების უზრუნველყოფაში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება მათი მისწრაფების – ბათომზე და მის ოლქზე საქართველოს სუვერენიტეტის—სისრულეში მოყვანა“.

ამ განცხადების პასუხათ მე წაუკითხე ჩემ მიერ ქართველი დელეგაციისთვის შედგენილი და მის მიერ დადასტურებული სქემა ბათომის კათხვის შესახებ შეთანხმებისა; ბ. ვანსიტტარტმა იგი საესებით მოიწონა და დაბეჯითებით გვირჩია სწორეთ ამ საფუძველზე შევთანხმებულიყავით. მისის აზრით, მართლაც არ მოიპოვებოდა რაიმე საჭიროება უფრო დაწვრილებით აღნიშნული ყოფილიყო, თუ რა უფლებები უნდა მინიჭებოდა სომხეთსა და აზერბაიჯანს ბათომში, რადგან ამ რიგის კითხვები გადაწყდებოდა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების საკეთილდღეოთ „თავისუფალი ნავთსადგურის“ წესდებით, რომელსაც გადაწყვეტილია ყოველ შემთხვევაში დაუქვემდებარონ ბათომი. პირადათ თვითონ ლორდ კერზონის რწმუნებულმა დასძინა ერთი რჩევა: ერთა ლიგის წინაშე აღგვეძრა კითხვა, რომ ბათომში დაარსებული ყოფილიყო ნავთსადგურის ზედამხედველის (ერთა ლიგის დანიშვნით) თანამდებობა, რომელიც თვალყურს ადევნებდა საერთაშორისო წეს-რიგის კანონიერ ასრულებას ნავთსადგურში, და დაგვეარსებია სავალდებულო არბიტრაჟი ჩვენი შეთანხმების შესრულების დროს ყოველივე წარმომდგარი უთანხმოე-

*) რაც დაპირებული გვქონდა 1920 წლის იანვრიდან.

ბის გასარჩევათ.*) ბ. ვანსიტტარტმა გაგვაფრთხილა—ეს იყო უმთავრესი—რომ შესაძლებელია ყველა ჩვენთან დაკავშირებული კითხვაზე უმაღლესმა საბჭომ იქონიოს მსჯელობა ს.-რემოს პირველსავე სხდომაზე და გვთხოვა, ჩვენი შეთანხმება სათანადო ხელის მოწერით დამტკიცებული, დიდი ბრიტანეთის დელეგაციას ს.-რემოში მიეღო არა უგვიანეს სამშაბათისა, ე. ი. 20 აპრილისა. შემდეგი ჩვენი შეხვედრა უნდა მომხდარიყო უკვე ს.-რემოში.

იმავე დღეს (ე. ი. 16 აპრილს) დელეგატები ისევ ერთმანეთს შეხვდენ, ეხლა კი ბოლოს-ნუბარ-ფაშასთან, Avenue Prèsident Wilson-ზე.**) პირველათ არბიტრაჟის შეთანხმების საბოლოოდ შემუშავებას შეუდეგით და კიდეც დავამთავრეთ. შემდეგ ბათომის შესახებ შეთანხმების პროექტზე გადავედით. ბ.-ნუბარ-ფაშამ იგი აქვე, ჩემის კარნახით, ჩასწერა; მეტათ სასწრაფო მუშაობის გამო მე ასლიც კი არ მქონდა ამ პროექტისა, რომელსაც ეხლა მიემატა საერთაშორისო ზედამხედველის, არბიტრაჟისა და სომხეთის რკინის-გზის სისტემის ბ ა თ ო მ თ ა ნ შ ე მ ა ე რ თ ებ ე ლ ი ც ა ლ კ ე შ ტ ო ი ს პრინციპიალურათ მიღების მუხლები; უკანასკნელი შეეთანხმებოდა არა მარტო სომხების მოთხოვნილებას, არამედ ლონდონში ჩვენს საკუთარ განცხადებასაც (იხ. გვ. 323).

მაგრამ უთანხმოებამ თავი იჩინა უკვე პირველი მუხლის გამო, რომელიც შეეხებოდა სომხებისა და აზერბაიჯანელების მიერ „ბათომის ოლქზე, ბათომისა და ართვინის უბნების მოცულობით", საქართველოს სუვერენიტეტის იდეის მხარის დაჭერას. სომხები ამტკიცებდენ, რომ საქართველოსადმი გადასაცემ „ბათომის ოლქში" ისინი ყოველთვის გულისხმობდენ ტერრიტორიას მდინარე ჭოროხამდე. (მართლაც, ნუბარ-ფაშამ რაღაც ასეთი აზრი გამოსთქვა წინათ); ამიტომ სომხებმა განაცხადეს, რომ ისინი თუმცა სცნობენ საქართველოს სუვერენიტეტს ბათომსა და ბათომის ოლქზე, მაგრამ უნდა შეიტანონ გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრათ მიღებულ იქნეს მდინარე ჭოროხი. ჩვენის მხრით შეტანილ იქმნა განცხადება, რომ შეუძლებლად მიგვაჩნია მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირის სომხეთისათვის დათმობის შესახებ ლა-

*) ეს დედა აზრები ჩვენ წინათაც გამოვთქვით.

**) დავესწარით: ბ.—ნუბარი, აგარონიანი, ჩხეიძე, თოფჩიბაშევი, ნარადუნგიანი და მე.

პარაკიც კი. ამ სხდომაზე უთანხმოების თავიდან მოშორების ყოველივე ცდა უნაყოფოთ დარჩა. აშკარა შეიქნა, რომ შეუძლებელია ჩვენი შეთანხმების ჩამოყალიბება ს ე ნ-რ ე მ ო მ დ ე, სადაც ჩვენი დაპირებისამებრ, იგი უნდა მიგვეტანა დამზადებული და ხელმოწერილი!

მეორე დღეს (17 აპრილს) მე ვცდილობდი დამეჯერებინა საქართველოს დელეგაცია გვეცნო, რომ სომხეთის განმარტება ჭოროხის მარცხენა ნაპირის შესახებ, თუმცა საწყენი და უადგილოა, მაგრამ იგი ვერ ჰქმნის ისეთს მდგომარეობას, რომელიც სპობდეს ჩვენი პროექტის განხილვის გაგრძელების შესაძლებლობას. ასეთი განმარტება—ვამტკიცებდი მე—არ ნიშნავს ბათომის ტერრიტორიის ნაწილზე სომხეთის უფლებების ცნობას. პირიქით, სომხებს განმარტება სწორედ იმიტომ შემოაქვთ, რომ დანარჩენი ორი დელეგაცია საქართველოს ერთნაირად აკუთვნებს ჭოროხის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებს. დასასრულ, შეთანხმებაზე ხელისმოწერასთან ერთად ჩვენ აუხსნით უმაღლეს საბჭოს, რომ დაბეჯითებით მოვითხოვთ მთელი ოლქის საქართველოზე შეერთებას (რაც ჩვენ ლონდონშივე გვქონდა განცხადებული). კითხვას პრაქტიკული მნიშვნელობა მიეცემოდა შავი-ზღვის პირათ საქართველო-სომხეთის საზღვრების გამორკვევის დროს, და იგი გადაწყდებოდა არბიტრაჟის საშვალებით.

მაგრამ საქართველოს დელეგაციის წევრები იმ აზრს ადგნენ, რომ სომხების „განმარტებას" შეუძლია ისეთი შთაბეჭდილება შეჰქმნას, თითქოს ჩვენ, მაინცა და მაინც არ ვეწინააღმდეგებოდეთ, სომხეთს დაეთმოს ჭოროხის მარცხენა ნაპირი (ბათომის ოლქში!). არავითარი საშვალება არ იყო მათთვის დაგვემტკიცებინა, რომ ეს შემცდარი აზრია! ამიტომ საჭირო შეიქნა მეორე წინადადების მიცემა, სახელდობრ: „შეთანხმების ტექსტში „ბათომის ოლქი, ბათომისა და ართვინის უბნების მოცულობით" შეგვეცვალა სიტყვებით—„ბათომზე მიკრული ტერრიტორია"..ამ შემთხვევაში (ვფიქრობდი მე) სომხებს აღარ დასჭირდებათ მათი „განმარტება", რომელიც ემყარებოდა უმაღლეს საბჭოს (ლონდონში) თებერელის განზრახვას (იხ. ზემოთ)—ბათომის ოლქის დაყოფასა და სომხეთთან ჭოროხის სწორეთ მარცხენა ნაპირის შეერთებას!

ახალი წინადადება დელეგაციამ მოიწონა. მაგრამ პროექტის განხილვის გაგრძელება, რომ ისევ პარიზში მომხდარიყო შეთანხმება, რომლის პოლიტიკური მნიშვნელობა და დაჩქარების საჭიროება

ყველა ჩვენგანს საკმაოდ არ ჰქონდა გათვალისწინებული—შეუძლებელი შეიქნა, რადგან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დელეგაციები პარიზიდან სენ-რემოში უნდა გადასულიყვნენ.

82

მოლაპარაკება სამ დელეგაციათა შორის ბ. ვანსიტტარტის თანდასწრებით განახლდა ს.-რემოში, სადაც ჩვენ ჩავედით სამშაბათს, 20 აპრილს, საღამოთი. ოფიციალური ცნობებიდან ჩვენ შევიტყვეთ რომ უმაღლესი საბჭო ამ დროს უკვე არჩევდა, სხვათა შორის, ბათომის კითხვასაც.

დელეგაციების მოლაპარაკება ინგლისის მთავრობის წარმომადგენელთან დანიშნული იყო 21 აპრილს საღამოსთვის. დღისით ჩვენ განვაგრძობდით დავას ჭოროხის მარცხენა ნაპირის შესახებ სომხეთის მიერ წარდგენილ შენიშვნაზე. ვსინჯავთ, ბათომის ოლქის ტერრიტორიალურ შემადგენლობის დაწვრილებით აღწერაზე უარი გვეთქვა, რომ უთანხმოება როგორმე თავიდან აგვეცდინა (იხ. ზემოთ). ჩვენ უჩვენებდით სომხებს, რომ მათი ახალი ტერრიტორიალური მოთხოვნილება მოულოდნელი და დაუსაბუთებელია. თუმცა ისინი აქაც გვეკამათებოდენ, მაგრამ ეტყობოდათ, რომ ამ მოთხოვნილებას ისინი მაინცდამაინც არ ჩასჭიდებდენ ხელს, და რომ მათი ყურადღების ცენტრს ეხლა შეადგენდა სომხეთის ბათომში (ბათომის ოლქზე) გასასვლელი რკინის-გზის გარანტიების კითხვა. ამ სხდომაზე ჩხეიძემ, ჩემთვის მოულოდნელათ, დაიწყო დაცვა გარანტიების ისეთი ფორმისა, რომელიც გულისხმობდა სომხეთის შავ-ზღვაზე გასასვლელი გზის ორგანიზაციის მხოლოდ იმ გვარათ მოწყობას, რომ ესარგებლათ უკვე არსებული ხაზით (ყარსი-(ერივანი)-თფილისი-ბათომი), ე. ი. სომხეთიდან ქვედა ჭოროხზე ბათომამდე ახალი ლიანდაგის გაუყვანელათ. ამაზე სომხები, რა თქმა უნდა, ვერ დათანხმდებოდენ; ქართულ დელეგაციის წრეში მე აღვნიშნავდი, რომ პრინციპიალურათ ჩვენ ჯერ კიდევ ლონდონში თანხმობა გავნაცხადეთ (იხ. ზემოთ გვ. 323) სომხეთის შავ-ზღვასთან შემაერთებელი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი რკინის-გზის გაყვანაზე და შემდეგაც სომხებთან პარიზში შეხვედრის დროს საწინააღმდეგო არაფერი გვითქვამს. *) უმთავრესი ხომ ის

*) გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია, რომ ყარსი-ბათომის ლიანდაგის დაგება სჩანდა საერთოდ ყოველ მხრივ სასურველათ, სომხეთის მიმართ კი—სამართლიანათ.

არის, რომ უმაღლეს საბჭოს მიერ სომხეთს ზღვაზე ს ა უ თ ა რ ი გასასვლელი გზა უკვე დაპირებული აქვს!

ბ. ვანსიტტარტთან თათბირი მოხდა გვიან ღამით ბ. ბოღოს ნუბართან, Royal Hotel-ში. ვანსიტტარტმა პარიზში ნათქვამის ზოგი რამ გაიმეორა და გვაცნობა, რომ, როგორც წინათაც მოელოდა და როგორც ჩვენ გაგვაფრთხილა, უმაღლესმა საბჭომ თავიდანვე ჩვენი რესპუბლიკების კითხვას მოჰკიდა ხელი. სამშაბათს (20 აპრილს) დაპირების მიუხედავათ ჩვენ ვერ მიუტანეთ მას ხელმოწერილი შეთანხმებების ტექსტი. იგი სრულიად გულახდილათ გვეუბნება, რომ: თ უ ე ხ ლ ა ვ ე ა რ მ ო ხ დ ა შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ა მ ი ე რ-კ ა ვ კ ა ს ი ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა თ ა შ ო რ ი ს, რ ო ც ა ა მ ა ს უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ა ბ ჭ ო მ ო ე ლ ი ს, პ ა ს უ ხ ი ს გ ე ბ ა შ ე დ ე გ ე ბ ი ს გ ა მ ო მ ხ ო ლ ო დ ჩ ვ ე ნ უ ნ დ ა მ ი ვ ი ღ ო თ თ ა ვ ი ს თ ა ვ ზ ე. ჩვენი შეთანხმებული, მეგობრული მოქმედება განსაკუთრებით ეხლაა საჭირო, როცა საშიშროება გვემუქრება ჩრდილოეთიდან. ყოველი წუთი ძვირფასია: გაივლის ცოტა ხანი, და უმაღლესი საბჭო ჩვენთვის ველარ მოიცლის!

„მართალია—განაგრძობს ბ. ვანსიტტარტი—მე არ მაქვს მონდობილი გადავწყვიტო კითხვები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემს უფროსებთან ნდობა მაქვს დამსახურებული, და ჩემი აზრი მათთვის უმნიშვნელო არ უნდა იყოს. და თუ ეხლავე არ განხორციელდა, რასაც ვცდილობ, მე უნდა გამოვტყდე ჩემს სისუსტეში და გამოვითხოვო, რომ გამანთავისუფლონ ჩემზე დაკისრებულ ამოცანისაგან. მე ხელს დავიბან და განზე გავდგები...

თქვენ უეჭველია მოგეხსენებათ, რომ თავის დროზე უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ბათომის კითხვის გადაწყვეტის ისეთი გეგმა, რომლითაც ბათომი და მისი მცირე ზოლი ნეიტრალურათ ცხადდებოდა, ოლქის ერთი ნაწილი ეძლეოდა სომხეთს და მხოლოდ დანარჩენი მესამედი უერთდებოდა საქართველოს. პირადათ მე ასეთი გეგმა უსამართლოდ და უმართებულოთ მეჩვენებოდა; და თუ ეხლა მოხერხდება საქართველოს სუვერენიტეტი მ თ ე ლ ოლქზე და ქალაქზე შეგუებულ იქნეს საქართველოს მეზობელთა ინტერესებთან, მე ვკისრულებ, უმაღლეს საბჭოს ყურადღება მივაქცევინო ამ ახალ გეგმაზე. მე იმედი მაქვს, რომ ასეთ გეგმას მოიწონებენ. ამით ყველაზე უფრო დაინტერესებული უნდა იყოს საქართველო, რადგან ყველაზე მეტს ამ შემთხვევაში მოიგებს იგი.

პირდაპირ ვამბობ: მე ვერ გამიგია, გადაჭრით უარს ვამბობ ოდესმე გავიგო, რატომ ამდენს ხანს ვერ შეთანხმდით ისეთ მარტივ, ასე გარკვეულ კითხვაში! რა ამბავია? რატომ არ გინდათ ერთმანეთს დაუთმოთ, როცა ამ დათმობის ნაყოფი თქვენთვის ესოდენ ძვირფასი და კეთილი უნდა იქნეს? ერთხელ კიდევ, უკანასკნელათ მოგმართავთ ასეთის რჩევით, მერწმუნეთ, იგი მეგობრობით არის ნაკარნახევი!"

ჩვენ დავპირდით... რომ „ვეცდებით" მოხდეს შეთანხმება—და დავიშალენით.

22 აპრილს საქართველოს დელეგაციამ მოიწონა სომხეთის ბათომთან სარკინისგზო ყმად-აღებული შეერთების ძირითად დებულებათა ჩემი შედგენილი პროექტი (ამ კითხვამ, როგორც ზევით ნათქვამი იყო, ეხლა მიიღო განსაკუთრებული მნიშვნელობა). იმ შემთხვევისთვის, თუ პროექტი დიდ დაბრკოლებებს შეხვდებოდა, მე დამზადებული მქონდა სრულიად მოკლე, წმინდა პრინციპიალური მოსაზრებანი ამ გზის შესახებ.

შემდეგ დელეგაციის საერთო სხდომა შეიკრიბა აზერბაიჯანლებთან და შეუდგა წარდგენილი ტექსტის გასინჯვას, რომლის შესახებ ყველა საჭირო განმარტება იყო მიცემული. სომხები ეხლა აღარ მოითხოვდენ „ჭოროხის მარცხენა ნაპირს"; ასეთი მოთხოვნილების უნიადაგობის გარდა, მათ დაინახეს, რომ ბათომის ოლქის „დაწეწის" იდეა უკვე მოძველდა და საეჭვოა, რომ ვინმემ მხარი დაუჭიროს უმაღლეს საბჭოში; საქართველოს მხრივ დაშვებული იყო, ეხლა უკვე გადაჭრით, სომხეთის რკინის-გზის გაყვანა ბათომისაკენ ჭოროხის ველზე. კინკლაობა მიებჯინა რკინის-გზის ლიანდაგისთვის დატოვებულ ზოლზე „სუვერენიტეტის" კითხვას. დიდი კამათისა და განმარტების მიცემის შემდეგ, რომ კითხვა ეხება მხოლოდ სამოქალაქო და სისხლის სამართლის იურისდიქციას, პოლიციას და სხვა, სომხები, როგორც იქნა, დათანხმდენ დაეტოვებინათ აღნიშნულ ზოლზე საქართველოს სუვერენიტეტი. მათ მიერ წარმოდგენილ შეთანხმების პროექტში შესაფერისი შესწორება შეიტანა ბატონმა ნარადუნგიანმა.

მით უფრო მეტის დაჟინებით მოითხოვდენ სომხები ტექსტში აღნიშვნას, რომ საკუთრების უფლება რკინის გზაზე, ლიანდაგზე, მოწყობილობაზე და სხვა მინიჭებული აქვს სომხეთს. დავა კიდევ უფრო გაამწვავა სომხების მოთხოვნილებამ, რომ მათ მისცემოდათ უფლება რკინის-გზის შტოის გაყვანისა შეღავათიან პირობე-

ბით საქართველოს ტერიტორიაზე ლაზისტანის სანაპიროებამდე (ეს უსათუოდ იქნებოდა რიზე), სადაც სომხეთს ექნებოდა საკუთარი ნავთსადგური. ამ მოთხოვნილებამ გამოიწვია პასუხი, რომ მოლაპარაკება სწარმოებდა სომხეთის ბათომთან შეერთებაზე, რომ კითხვა ეხებოდა ზღვაზე ერთს და არა ორს გასავალს და სხვა. ჩხეიძემ კატეგორიულათ განაცხადა რომ ჩვენ მიერ წარდგენილ პროექტში ნათქვამი არის მაქსიმუმი იმისა, რაზედაც საქართველოს შეუძლია დასთანხმდეს.

იმავე დღის საღამოს (ე. ი. 22 აპრილს) ისევ შევხვდით ბ. ვანსიტტარტს და შევატყობინეთ ჩვენი უთანხმოებანი. ის მეტად შეძრწუნდა და უარს ამბობდა საერთოდ გაეგო დელეგაციების მოქმედება. ნუთუ ვერ ხედვენ რამდენად ვნებენ თავიანთ თავს? რატომ არ თანხმდებიან ქართველები მცირე მსხვერპლი გაიღონ, როცა ამდენს მოიგებენ შედარებით იმ პირველ პროექტთან, რომელიც განზრახული ჰქონდა უმაღლეს საბჭოს ბათომის მოწყობის შესახებ? „მართალია, საქართველო უნდა დასთანხმდეს ბათომზე გავრცელებული იქნეს თავისუფალი ნავთსადგურის რეჟიმი (წყობილება), რომელიც აგრეთვე სავსებით უზრუნველყოფს ბათომში აზერბაიჯანის ინტერესებსაც; მერწმუნეთ, რომ იგი რეგლამენტი (წესდება) მისაღები იქნება ყველასათვის!“ და ბ. ვანსიტტარტმა აქვე გაგვაცნო საერთაშორისო მნიშვნელობის ნავთსადგურების დებულებანი, რომელნიც შემდეგ სევრის ხელშეკრულებაში შევიდენ *).—დარჩა კითხვა რკინის გზის შესახებ. თქვენ გაქვთ ორი ტექსტი ქართული და სომხური: სომხებმა გამოსთქვან, თუ რა არის მათთვის მიუღებელი ქართულ ტექსტში და პირიქით, ქართველებმა აღნიშნონ, თუ რა არის მიუღებელი სომხურ ტექსტში. შევეცადოთ ეს ტექსტები შევათანხმოთ“. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ წინადადებაზე უფრო მარტივი და გონიერი? მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, არ იქმნა მიღებული. ბატონმა დელეგატებმა აირჩიეს განეახლებიათ უსარგებლო კამათი ტერმინებზე და საგნებზე, რომელთა შესახებ ბევრ მათგანს საკმაოთ ნათელი წარმოდგენაც არ ჰქონდა.

დელეგაციები რომ გამომეყვანა იმ ჭაობიდან, რომელშიაც კისრამდი ჩაეფლენ, და რადგან მათ შორის ოდნავ არსებითი უთანხმოება არ მოიპოვებოდა, მე წინადადება მივეცი მსჯელობის საფუ-

*) მუხლები 335—345.

ძვლად მიეღოთ სრულიად მარტივი ტექსტი, რომელიც შეიცავდა საქართველოს მეზობლებისადმი ბათომში მიცემულ გარანტიების მუხლის შემდეგ განმარტებას (სხვა მხრივ ეს მუხლი დავას არ იწვევდა):

„აქ ნაგულისხმევია, რომ ზემო მოყვანილი გარანტიები შეიცავენ აგრეთვე სომხეთის მთავრობის მეოხებით საქართველოს სუვერენიტეტის დაურღვეველად აშენებულ რკინის გზას, რომელიც შეაერთებს სომხეთის რკინის გზებს ბათომთან საქართველოს ტერრიტორიაზე, ბათომის ოლქის საზღვრებზე გადარებით".

ბ. ვანსიტტარტი დაჟინებით ურჩევდა დელეგაციების თავმჯდომარეებს—ბ. ბ. აგარონიანსა და ჩხეიძეს (უთანხმოება მათ შორის იყო) ამ ტექსტზე შეთანხმებულიყვნენ.

რადგან წინათ თავს იჩენდა უთანხმოება და მომავალი კინკლაობიდან გამკურვნელი საშუალების ძიებაში, საერთო თანხმობით, გადაწყვეტილი იყო, წარმოდგენილ ტექსტს დამატებოდა, რომ, თუ რკინის გზის გამო აღიძრება რაიმე უთანხმოება და დავა, სავალდებულოა ერთა ლიგისადმი მიმართვა *).

ეხლა სომხებმა მოითხოვეს მხოლოდ ტექსტში აღნიშვნა, რომ რკინის გზა შეადგენს მათ სრულ საკუთრებას. მხოლოდ ამ პირობით თანხმდებოდენ ისინი ტექსტში დარჩენილიყო საქართველოს სუვერენიტეტის დადასტურება. თუმცა აღნიშვნა „შეადგენს სრულ საკუთრებას" (en tonte propriètè) არაფერს მატებდა უფლებათა მოცულობას, რომელიც ისედაც მინიჭებული ჰქონდა სომხეთს, და, მაშასადამე ამ სიტყვების აღნუსხვით ადვილად შეიძლებოდა საქმის გათავება, მაგრამ, რადგან ამ შესწორებას მოითხოვდენ სომხები, არ იყო არავითარი საბუთი—ჩემის აზრით—უარი გვეთქვა სომხეთის დელეგაციისათვის ჩემ მიერ წარდგენილ ტექსტს მიმატუბოდა ეს სიტყვები („სრული საკუთრების უფლებით"). მაგრამ ნ. ჩხეიძემ (სრულ-უფლებიანი რწმუნებული იყო მხოლოდ ის) განაცხადა, რომ იგი არ დაუშვებს წარდგენილი ტექსტის სულ მცირე შეცვლასაც კი.

---

*) ამ მიზნით აქვე შესდგა და ყველამ მოიწონა შემდეგი მუხლი: „თუ ორ მთავრობათა შორის არ მოხერხდა შეთანხმება რკინის გზის ზოლისა და მისი ექსპლოატაციის პირობების შესახებ, ეს კითხვები გადაწყვეტილი იქნება ადგილობრივ კომისიის მიერ, რომელსაც დანიშნავს ერთა ლიგა. აგრეთვე ყოველივე დავა, რომელიც კი შეიძლება აღიძრეს ამ შეთანხმების მთელი მოცულობის განმარტებისა და გამოყენების დროს, გადაწყვეტილი იქნება საარბიტრაჟო კომისიის მიერ, რომელსაც დანიშნავს ერთა ლიგა".

ამის შემდეგ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას გულმოდგინება დაეკარგა, იგი იბანს ხელს და შორდება ამ საქმეს.

თათბირი გათავდა გვიან, ღამით. რამდენათ სამწუხარო არ იყო, როცა უცქეროდი და ვრწმუნდებოდი, რომ უნაყოფო და ამაოა ჩემი მრავალგვარი და განუწყვეტელი ცდა *), როგორათაც ნათელი არ იყო ჩემთვის, რომ გამოუკეთებელია და სულის შემხუთველია ჩვენი დელეგაციების მიერ დაშვებული შეცდომები, მაინც შეუძლებელი გახდა გონებაში არ აღმებეჭდა უკანასკნელი ტრაგიკომიკური სცენა ამ თავისი უთავბოლობით იშვიათი მოლაპარაკებისა, რომელშიაც ვითომცდა პროფესიონალი „პოლიტიკოსები", რომელთაც გონება არ ჰყოფნიდათ, რომ შეეგნოთ და დაეფასებიათ დროის სწორედ პოლიტიკური მნიშვნელობა, იბნეოდენ, უნაყოფოთ და სასოწარკვეთით სიტყვებზე და წინადადებებზე კინკლაობაში, რომელთა ნამდვილი მნიშვნელობა არც კი ესმოდათ.

ამ სცენის შუაში სდგას ბ. ვანსიტტარტი და იმეორებს პონტელი პილატეს პოზას. სახეზე ეტყობა დაღლილობა, მოწყენა და განცვიფრება, რომ თორმეტიოდე სმოკინგში გამოწყობილი კაცი, სამი სრულიად ზედმეტ, მაგრამ უვნებელ სიტყვისთვის—en toute propriété—ვერ შეთანხმებულა კითხვაზე, რომელიც არსებითად აღარ იწვევს მათ შორის უთანხმოებას! მის გვერდით ჩხეიძე, თავაღერილი, თვალები გადმოვარდნაზე აქვს, სახეზე სისხლ-მოწოლილი—მისთვის არა სავსებით გასაგები ფრანგული ტექსტებისა და ფორმულების სრიალით გაცოფებული, მოთმინებიდან გამოსული; წონასწორობა-დაკარგული, სდგას, ვით მიყრუებული უბნიდან გამოსული პოლონელი შლიახტიჩი (აზნაური), რომელიც შლის სეიმის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას! ჩხეიძის პირდაპირ—აგარონიანი: იგი უდრეკათ მოითხოვს თავის „სრულ საკუთრებაში", და არარატის ყველა ღრუბლები იკრიბებიან მის სახეზე. ოთახის კუთხეში ნუბარ-ფაშა სრულიად მოქანცული, სახეზე თავდაუღწევი სასოწარკვეთილების გამომეტყველება; დაღალვისაგან ფეხები ეკეცება, და ვერსად გაქცევია, ვერ დამალვია საქართველოს დელეგატის (სოც.-რევოლ.)

---

*) ყველაზე უფრო შეუსაბამო ის იყო, რომ სენ-რემოში საქართველოს დელეგაციამ უარყო სწორედ ის, რასაც 1918 წლის დამლევიდან ლონდონში და პარიზში საქართველოს სახელით სისტემატიურად ვამტკიცებდით და მოვითხოვდით.

იოსებ გობეჩიას ეულკანიურ შემართებას, რომელიც განუმარტებს ეგვიპტის დიდებულს საერთაშორისო საქმეებში ხალხის ნებისყოფის მნიშვნელობას. გობეჩიას თვალები ცეცხლს აფრქვევენ, და გაჭაღარავებული გრძელი თმა ამდგარა ყალყზე ან გამდგარა განზე. აზერბაიჯანელები ხმის ამოუღებლივ, დინჯათ, ნამდვილის მუსლიმანურის თავდაჭერილობით შესცქერიან ამ ქარიშხალს. მთელი რიგი ნიღაბებისა, სხვადასხვაგვარათ რომ გამოხატავენ ამ ამბების გაუგებრობას, სრულჰყოფენ სცენას.

---

შაბათს, 24 აპრილს—საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციები მიიწვიეს ბ. ვანსიტტარტთან Hotel Royal-ში. ერთმანეთს შევხვდით საღამოს 10 ½ საათზე. დამსწრეთ მოისმინეს ბრიტანეთის წარმომადგენელის შემდეგი განცხადება:

„მე ყველაფერი ვცადე, რომ თქვენს შორის მომხდარიყო შეთანხმება, რომ შეთანხმება იგი თავის დროზე მოხსენებოდა უმაღლესს საბჭოს. ჩემმა მეგობრულმა რჩევამ ვერ გამოიღო ნაყოფი. მე იძულებული შევიქენი დამებანა ხელი და განზე გავმდგარიყავი. ეხლა, თუმცა ეს ჩემთვის მეტად საძნელოა, უნდა განვაცხადო ლორდ კერზონის სახელით, რომლის თქვენი ქვეყნებისადმი მეგობრობა თქვენ იცით და რომელიც იანვარში ესოდენ დაგეხმარათ თქვენი de facto ცნობის საქმეში, რომ სომხეთისათვის ბათომის ოლქზე რკინის გზისა და მისი დასავლეთის შტოის სრულ საკუთრებათ გადაცემის შეთანხმება, მისის აზრით, უნდა იქმნეს ხელმოწერილი; და თუ ეს ეხლავე არ იქნა შესრულებული, შედეგების პასუხის მგებლობა თქვენ უნდა იდვათ თავზე. მე ამ შემთხვევაში მივმართავ საქართველოს დელეგაციას.

რასაც მე გამოვსთქვამ, ეს არის ბრიტანეთის მთავრობის შეხედულება, მაგრამ, მგონია, რომ ამავე შეხედულებას დაადგება უმაღლესი საბჭოც. ეხლა დაგტოვებთ, და დანარჩენი თქვენგან არის დამოკიდებული“.

ბოღოს-ნუბარის წინადადებით ჩვენ ერთმანეთს დავპირდით, მეორე დღეს დილით შევკრებილიყავით აზერბაიჯანის დელეგაციის ბინაზე.

საერთო კრება, რომელიც დანიშნული იყო კვირას, 25 აპრილს 11 საათისათვის, იძულებული შევიქენით გადაგვეტანა 4 საათამდე. დილით კი, ჩვენ ვეთათბირეთ აზერბაიჯანელებს. „საერთო კრებამდე" საქართველოს დელეგაციის სხდომაზე, მე უკანასკნელად შევეცადე დამერწმუნებია ჩხეიძე, რომ საქართველოს ინტერესების დასაცავათ საჭიროა სომხებთან შეთანხმებას ხელი მოვაწეროთ. რა ენერგიული ზომები არ მივიღე, რომ მორალური ზედგავლენა მომეხდინა ჩხეიძეზე, მაგრამ მან საბოლოოდ გადასწყვიტა ერთი ასოც კი არ შეეცვალა მიღებულ ტექსტში და მოეცადნა, თუ რა ინსტრუქციები მოვიდოდა ტფილისიდან. ამ დამღუპველ ჯიუტობაში ჩხეიძეს მხარი დაუჭირა საქართველოს დელეგაციის ყველა დანარჩენმა წევრმა *).

ამის შემდეგ სენ-რემოში უკანასკნელად შეხვდა ერთმანეთს სამი დელეგაცია. შეხვედრამ მშვიდათ, მეგობრულად ჩაიარა. ჩხეიძემ განაცხადა, რომ იგი მზათ არის ეხლავე ხელი მოაწეროს შეთანხმებას იმ მუხლებში, რომელიც წინად იყო მიღებული; რაც შეეხება იმ მუხლს, რომელიც იწვევდა უთანხმოებას („სრული საკუთრება" და „დასავლეთის შტო") მოითხოვდა მიეცათ მისთვის საშვალება—დაკითხებოდა საქართველოს მთავრობას, მაგალითად, გაეგზავნა დელეგაციის რომელიმე წევრი ტფილისში. ყველაფერი ეს არაფერს საინტერესოს არ წარმოადგენდა, რადგან „მომენტის" პოლიტიკურ ამოცანას ის კი არ შეიცავდა, თუ რა და როგორ იქნებოდა ნათქვამი რკინის გზის შესახებ შეთანხმებაში (მით უმეტეს, თვით რკინის გზაც ხომ პრობლემატიური რამ იყო!), არამედ უმაღლეს საბჭოს წინაშე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სოლიდარობის გამომჟღავნება, და გამომჟღავნება სწორეთ ეხლა, ამ წუთში და არა მაშინ, როცა ჩხეიძე ტფილისიდან მიიღებდა მისთვის თავსამტვრევ კითხვებზე პასუხს! **).

---

*) ე. ი. დ-რმა გვარჯელაძემ, გობეჩიამ და გენერალმა ოდიშელიძემ.

**) მთელი ეს დრო მე ვცდილობდი დამეთანხმებია ნ. ჩხეიძე მეტ დათმობაზე; ვარწმუნებდი რომ, რაკი ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ სომხეთის რკინის გზის გაყვანაზე განსაზღვრული პირობებითა და საერთაშორისო დადასტურებით, „საკუთრებაზე" დავას დაკარგული აქვს მნიშვნელობა.

პარასკევს, 23 აპრილს, აზერბაიჯანის დელეგაციასთან ერთად, ჩვენ წარუდგინეთ უმაღლესს საბჭოს წერილობითი მოხსენება მთელი ჩვენი მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ, რომ გამოგვეაშკარავებია, რომ ჩვენ მზათა ვართ ყოვე-

ერთის სიტყვით შეთანხმების ხელის მოწერა შეუძლებელი შეიქნა და ვერაფერი, რაზედაც შემდეგ კრებაზე იყო ლაპარაკი, ვერ იმოქმედებდა ამ გარემოებაზე. სომხებს, რომელთაც ჯერ კიდევ სწამდათ, რომ ოსმალეთი უსათუოდ და საბოლოოდ იქნება დანაწილებული (ქალალდზე ეს უეჭველია მზადდებოდა) და რომელნიც გულდამშვიდებით უცქეროდენ, თუ ჩხეიძე (ინტერნაციონალისტი! სოციალისტი! დემოკრატი!) როგორი შეურიგებელის, მოკლე ჭკუის მქონე არსების რეპუტაციას უკეთებდა საქართველოს, სომხებს არ ესმოდათ, რომ მოსალოდნელი შეთანხმების ხელმოუწერლობა გარდაუვალათ იწვევდა ინგლისის გულის გაგრილებას და ინტერესის დაკარგვას ამიერ - კავკასიისადმი, და, მაშასადამე თვით სომხეთისადმი.

ნარადუნგიანი განაგრძობდა განყებულ კრიტიკას სუვერენიტეტის „წარღვნის დროინდელ" ცნებისას, რომელსაც ასე მხურვალეთ ეკიდება საქართველოს დელეგაციაო. მე უპასუხე, რომ სომხეთის დელეგაცია არ ჩამორჩენია საქართველოს დელეგაციას, როცა იგი მოითხოვს არა ნაკლებ წარღვნის დროინდელ „სრულ საკუთრებას". მაგრამ იგი გამოთქვამდა თავის გულწრფელ მწუხარების, რომ არ შესდგა შეთანხმება; მით უმეტეს რომ, როგორც იგი ამბობდა, მას ჯიბეში დამზადებული ედვა სომხეთსა და მის ორ მეზობელთა შორის საკავშირო ხელ-შეკრულების პროექტი.

ბოლოს-ნუბარმა საჭიროდ დაინახა განეცხადებია, რომ ეხლა ისინი იძულებული არიან დაუბრუნდენ ჰოროხის მარცხენა ნაპირის წინანდელ მოთხოვნას. („რათ გინდათ? ის ნაპირი ქვა და კლდეა" —შევნიშნე მე გელიოპოლისის მშენებელს).

ჩხეიძემ განაცხადა, რომ მეტად დიდია ავტორიტეტი ლორდ კერზონისა, უმაღლეს საბჭოსა და სხვ..., მაგრამ ჩვენ გვიხდება ანგარიში გაუწიოთ საზოგადოებრივ აზრს, მკვიდრთა სურვილებს და

---

ლივე მოვიმოქმედოთ „ზღვაზე გასავლელი გზის" საქმეში. რა თქმა უნდა, ასეთს მარტო ქაღალდით მოქმედებას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. საქართველოს დელეგაციაში ჩვენს კერძო ბაასის დროს, ჩემს მოსაზრებებს, რომ მეტის-მეტი შეურიგებლობა ხიფათს უმზადებს მთელს ჩვენს საქმეს, რომ ეხლა უკვე ჩვენი სომხებთან უთანხმოება სრულიად უმნიშვნელოა, ყოველთვის წინ ეღობებოდა ჩხეიძის ღონე-მიხდილი დებულება (რას იტყვის საქართველოს მთავრობა? რ.ს იტყვიან ბათომიის ოლქის მცხოვრებლები? არ იფიქრებენ, რომ ისინი „სომხებს მიპყიდეს"?).

სხვა. ამ საუბედურო ნათქვამმა სიტყვამ თოფჩიბაშევს საშვალება მისცა სიტყვა ჩამოეგდო, რომ საქართველო ვალდებულია ყურადღება მიაქციოს ბათომის ოლქის მუსლიმანური მოსახლეობის აზრს, რომელსაც წარმოადგენს ადგილობრივი მ ე ჯ ლ ი ს ი. (აგარონიანი: „ეს ჩვენთვის სრულიად ახალი ამბავია“).

პოეტი არშაკ ჩობანიანი მოგვიწოდებდა, მიუხედავათ დღევანდელი უთანხმოებისა, მიუხედავათ ყველაფრისა, მეგობრობის, სოლიდარობისა და კეთილ მეზობლობისაკენ.

გობეჩია ჩვეულებრივის აღგზნებით ლაპარაკობდა, რომ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მერყევი და სათუოა, რომ ხალხური მოძრაობაა სტიქიური, და რომ სწორეთ ხალხის ნების-ყოფას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა. (აგარონიანი: „თქვენ რატომ არ გაუწიეთ ანგარიში ხალხის ნების-ყოფას ლორეში და ახალქალაქში?“).

აშკარათ სჩანდა, რომ მოლაპარაკება ჩვენი დასრულდა. ჩემ მიერ დამზადებული ორი შეთანხმებიდან (ბათომსა და რკინის გზაზე; ტერრიტორიალური დავის გადაწყვეტაზე) არც ერთი არ იქმნა ხელ-მოწერილი.

„ჩხეიძეს ეშინია თავს იდვას პასუხისმგებლობა, და ამას ვერაფერს მოუხერხებ. ასეთს გრძნობას პატივისცემა მართებს“—კერძოთ მითხრა მე ნარადუნგიანმა, რომელიც შეტათ კეთილად აფასებდა მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის უძლურებას. სხდომა გათავდა, ჩვენ ერთმანეთს ჩამოვართვით ხელი, და სრულიად მეგობრულათ დავშორდით ერთმანეთს.

ორშაბათს, 26 აპრილს (ეს იყო სენ-რემოს კონფერენციის უკანასკნელი დღე) რომიდან ჩამოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. საბახტარაშვილი, რომელიც ეხლა ბრუნდებოდა თფილისში და სენ-რემოში შემოიარა, რომ მიეღო ცნობები ჩვენი მოლაპარაკების შედეგების შესახებ. ამაოთ ვცდილობდი ამ ახალგაზდა კაცისთვის მეგრძნობინებინა შეშფოთება, რომელიც ჩემში გამოიწვია მომხდარმა ამბებმა. მაგრამ იგი დაუყონებლივ წავიდა, რომ განეგრძო გზა საქართველოსკენ ირაკლი წერეთელთან ერთად, რომელიც ამაგრებდა საქართველოს პროლეტარიატის კავშირს იტალიის პროლეტარიატთან და ეხლა დროებით ბრუნდებოდა თფილისში.

რაც შეეხება კავკასიის ყელს, აქ მოსკოვმა და ანგორამ თავიანთი საქმე მოიგეს.

83

ამგვარათ, უნაყოფო გამოდგა ეს პირველი, და არსებითად ერთად-ერთი ცდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა წესრიგში სერიოზულათ დაესვათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მომავალის კითხვა და გადაეწყვიტათ იგი მათი დამოუკიდებლობის საფუძველზე.

ვცადოთ თანამიმდევნობით აღვნუსხოთ მაშინ განზრახული პოლიტიკის საფუძვლები.

ამიერ-კავკასიის ახლად აღმოცენებული სახელმწიფოების გამაგრების საჭიროებამ, რომელიც წარშოიშვა, როგორც ვნახეთ 1920 წლის იანვარში, მხოლოდ ეხლა სენ-რემოში მიიღო მოფიქრებული, ხელშესახები ფორმა...

დახმარება საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, განსაკუთრებით გარეშეთა თავდასხმისაგან დასაცავათ შესაძლებელია მიეცეს მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის არსებობს მტკიცე მშვიდობიანობა და სოლიდარობა—ასეთია ძირითადი, დასავლეთის „იმპერიალისტების" მიერ წამოყენებული დებულება; ეს დებულება უცვლელი რჩება, სიტყვა შეეხება ამიერ-კავკასიის ჩრდილოეთისაკენ მიმართულ ფრონტს (ასე იყო 1920 წ. იანვარში, პარიზში; იხ. ზემოთ თავი XXIX), თუ როგორც ეხლა, სენ-რემოში, მორიგ მნიშვნელობას ღებულობს (იმ სახელმწიფოთა თვალში, რომელნიც ემზადებოდენ ოსმალეთთან ზავის შესაკრავათ) ამიერ-კავკასიის ის ფრონტი, რომელიც მიმართულია სამხრეთ-დასავლეთით, ანატოლიის მხრით.

მაგრამ აქაც, როგორც წინათ, განზრახულია მხოლოდ იმისი გამაგრება, რაც არსებობს.

კითხვა სომხეთის საზღვრების შესახებ ოსმალეთის მიმართ ჯერ გადუწყვეტელი რჩება. მით მეტს ყურადღებას იპყრობს ურთიერთი განწყობილება სომხეთსა და ამიერ-კავკასიის მეზობელ რესპუბლიკათა შორის; მაგრამ ამასთან დაკავშირებულია უფრო ზოგადი მნიშვნელობის საერთაშორისო ინტერესები.

სომხეთი არ შეიძლება ზღვას მოწყვეტილი იქნეს; მისავალი უნდა ჰქონდეს... ამ ხანად ბათომში; და ეს ნავთსადგური, საქართველოს ბუნებრივი კუთვნილება, ესოდენ მნიშვნელოვანი აზერბაიჯანისთვისაც, ხდება თითქოს სიმბოლო სამი რესპუბლიკის ერთობისა. ეს კიდევ ცოტაა. ბათომი დასაწყისი ადგილია

ევროპიდან სპარსეთში და სპარსეთთან ევროპაში თავისუფალი ტრანზიტისა. მას უდიდესი პოლიტიკური და კომერციული მომავალი აქვს. აქ იქნება ახლო აღმოსავლეთის ამ ნაწილისა და დასავლეთის სახელმწიფოების შემაერთებელი კვანძი; და საერთაშორისო ინტერესები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ბათომთან, უნდა დაცულ იქმნენ ერთა ლიგის საშვალებით.

სომხეთ-ოსმალეთის საზღვრები მალე იქნება დადებული: უმთავრესად სომხების საქმეს შეადგენს დასავლეთის დახმარებით, იმ პროვინციების მტკიცეთ დაპერა, რომელსაც მას დაუთმობენ. მაგრამ ესეც, როგორც სომხეთის ზღვისკენ გასავალი გზა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ამიერ-კავკასიაში სუფევს მშვიდობიანი, მეგობრული განწყობილება.

როცა წყდება ოსმალეთის კითხვა, სტამბოლისა და ანგორის შონათესავე აზერბაიჯანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს, სწორეთ ეს დაახლოვება სომხეთთან და საქართველოსთან... სამთა შეთანხმება — განამტკიცებდა აზერბაიჯანის ორიენტაციას „დასავლეთზე“ და უზრუნველყოფდა სომხეთის ზურგს, როცა ირკვეოდა სომხეთ-ოსმალეთის საზღვრები. „დასავლეთზე“ მიმხრობა აზერბაიჯანისა ასეთს გარემოებაში უდრიდა მის ერთგულებას ეგრედ წოდებულ კავკასიის ორიენტაციისადმი (რაც წინათ იყო გამოთქმული საქართველოსთან 16 ივნისს 1919 წელს დადებულ ხელ-შეკრულებაში) წინააღმდეგ ოსმალეთისა და საბჭოების ცდუნებისა.

რა თქმა უნდა, კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა, 1920 წლის დამდეგს, სამი რესპუბლიკის ფაქტიური ცნობის შემდეგ, შეუძლებელი იყო. დაეცვათ და განემტკიცებიათ, თუ ერთგვარი მშვიდობიანი და მეზობლური განწყობილება არ დამყარდებოდა რუსეთის საბჭოთა სახელმწიფოსთან. ეს ამოცანა — საკვესე სიძნელით და ხიფათით, არ უნდა ჩაითვალოს საკვესებით შეუსრულებლათ 1920 წლის აპრილის ვითარების მიხედვით. რუსეთი იძულებული იყო ყველა ძალები მოეკრიბა დასავლეთის საზღვრებზე ბრძოლისათვის, სამხრეთიდან კი ამავე დროს საბჭოებს ემუქრებოდა ვრანგელი; მოსკოვი ხომ სწორეთ ამ დროს დაადგა ინგლისთან ეაკრობის მოლაპარაკების გზას — ამას მოსკოვი სხვადასხვა მიზეზის გამო მეტად ენერგიულათ ცდილობდა. ყველაფერი ეს და გარდა ამისა ის, რომ „სლავიანთა ტომების ერთმანეთში დავის დროს“ ინგლისი, წანაალმდეგ საფრანგეთისა, უფრო თანაგრძნობით ეპყრობოდა რუსეთს, ვიდრე პოლონეთს, აძლევდა სწორეთ ინგლისის მთავრობას

საშვალებას, თუკი სენ-რემოს პოლიტიკა განხორციელდებოდა, დიპ-ლომატიური დახმარება გაეწია საბჭოთა რუსეთისა და ამიერ-კავკა-სიის რესპუბლიკების შორის რაიმე modus vivendi-ს შექმნაში.

ამ შესაძლებლობას უეჭველია აძლიერებდა ინგლისის ფაქტიუ-რი ბაზის ბათომში არსებობა. ბათომის კითხვის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც ჩვენ მოგვაწოდეს, შესაძლებლათ ხდიდა, პრინციპიალუ-რათ, დასავლეთის ფაქტორისა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ისეთს თანამშრომლობას, რომლის მეოხებით მხოლოდ იმედი უნდა გვქონებოდა საერთოდ ჩვენი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისა.

მაგრამ ეს მიზანი მოითხოვდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მთელი ძალის დაძაბრვას და უპირველესად ყოვლისა, მათი პოლი-ტიკის განსაზღვრულ შეთანხმებას. მაგრამ, როცა სენ-რემოს საუკე-თესო პირობებში გამოააშკარავეს ასეთი შეთანხმების უნარის უქონ-ლობა, ამით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა თვით განაცხადეს უა-რი იმაზე, რაც ბუნებრივათ გამომდინარეობდა 1918 წლიდან დაწ-ყებული მათივე მხურვალე ცდებიდან.

## თავი მეოცდათორმეტე

## ევროპის წასვლა და რუსეთის დაბრუნება.

### 84

ამიერ-კავკასიის დელეგაციებმა ვერ მოასწრეს სენ-რემოდან პარიზში დაბრუნება, როცა მოვიდა ცნობა, რომ დაეცა აზერბაიჯანის მთავრობა, ბაქოში გამოცხადდა საბჭოთა წყობილება და იგი დაიკავა წითელმა ჯარმა. ეს მოხდა 28 აპრილს, 1920 წელს. 1918 წლის დამლევიდან „ევროპის ორიენტაციის" სასარგებლოთ კავკასიაში შექმნილი ზეგავლენის წონასწორობა ძირითადათ ირღვეოდა. საბჭოთა რუსეთმა ისარგებლა დიდი სახელმწიფოების ზოზინით, სამი რესპუბლიკის შინაგანი უთანხმოებით და ძლიერის დარტყმით —როგორც ეტყობა, უსისხლოთ—დაიკავა ამიერ-კავკასიის (და საერთოდ ახლო-აღმოსავლეთის) ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი; ამგვარათ, რუსეთმა მარჯვენა ფრთით შემოუარა კავკასიის ჯებირს, რომლის მოდარაჯეობა მხოლოდ საშვალებას აძლევდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს მოეწყოთ თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

ბაქოს აღება გააადვილა იმ თავდავიწყებულ გაცოფებამ, რომლითაც სწორედ 1920 წლის გაზაფხულზე ერთმანეთს მიესივნენ სომხები და თურქები ტერრიტორიალური დავის გამო (ყარაბაღში); მასვე ხელი შეუწყო ბაქოს წარმოების მრავალრიცხოვანმა პროლეტარიატმა და ნავთის სატახტო ქალაქის გეოგრაფიულმა მდებარეობამ კასპიის ზღვაზე. მაგრამ, აღნიშნულ გარემოებას, მგონი ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე აზერბაი ანის ოსმალეთისადმი მასსიურ თანაგრძნობას, რომელიც საერთოდ ბევრათ უფრო ძლიერი და ცოცხალი იყო, ვიდრე მისი „ევროპის ორიენტაცია". აზერ-

ბაიჯანი თითქოს ცოცხალ შემაერთებლად შეიქნა იმათ შორის, ვისაც ისტორია საკმაოთ მოულოდნელად აკავშირებდა ე. ი. რუსეთსა და ოსმალეთს შორის.

ეს არ არის გადაჭარბება: 1920 წელს აზერბაიჯანის ოსმალეთისადმი სიყვარულმა—წინააღმდეგ 1918 წლისა—მიიღო ფორმა.... რუსეთის სიყვარულისა; ამან გაუადვილა საბჭოთა ხელისუფლებას ბაქოს დაჭერა!

„დიდი სახალხო ყრილობის“ ოსმალეთი საბრძოლველად იწვევდა დასავლეთის ყველა დიდ სახელმწიფოს; მომავალ განსაცდელის დროს ოსმალეთს ხვალინდელი იმედი უნდა დაემორჩილებია სადღეისო მოთხოვნილებისათვის და მსხვერპლად შეეწირა ახლობელი, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტი მონათესავენი შორებელ და შემთხვევითს, მაგრამ მომქმედ მოკავშირეებისათვის! „შორებელი“ ხომ მახლობელი ხდებოდა: ბაქოს დაჭერა მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო რუსეთისა და ოსმალეთის უშვალო მეზობლობის აღდგენაში. დასავლეთთან ბრძოლაში მომავალი მეზობლები ერთმანეთს ამაგრებდენ.

დასასრული მოელოდა პოლიტიკას, რომელიც კავკასიას უყურებდა, როგორც შუა კედელს ან და „ახლად დაარსებულ ბუფერულ სახელმწიფოებს“. ბაქოს დაცემა თავის თავად ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ამ დასასრულს. წინად ყოფილი მდგომარეობის აღდგენა, უეჭველია, კიდევ შეიძლებოდა, თუ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები გამოიჩენდენ ნიჭს სოლიდარული პოლიტიკა ეწარმოებიათ, და, თუ მრავალგვარი დეკლარაციების, შეთანხმებების და სხვათა მალალი ფრაზები არ იქნებოდენ წინათგაჭვრეტის, სიმტკიცისა და მამულიშვილობის უქონლობის მხოლოდ ნიღაბნი!

საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო საკავშირო ხელშეკრულება გამოდგა უბრალო „ქაღალდის ნახევი“. ასეთივე გამოდგა სომხეთ-აზერბაიჯანის 1919 წლის დამლევის შეთანხმება მშვიდობიან გამიჯვნის შესახებ და სხვა.

ბაქოს დაცემა და სენ-რემოში ჩვენი მოლაპარაკების სავალალო დასკვნა არსებითად იყო აშკარა და თითქმის ერთდაიმავე დროს გამომეღავნებული დამტკიცება, რომ დამოუკიდებლობის დედა-აზრი, რომელიც თითქოს საერთო იყო ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკისათვის, სრულიად არ შეესაბამება მათ მთავრობათა ნამდვილ პოლიტიკას. და სანამ სომხეთი თავის იმედებს ამყარებდა ატლანტიის აქეთა და იქეთა მხარის გულჩვილ მოსარჩლეებზე, და სა-

ნამ საქართველო არწმუნებდა თავის-თავსა და სხვებს თავის შუმ დემოკრატიზმში,—საბჭოთა იმპერიამ დაიკავა ბაქოში მთელი ამიერ-კავკასიის დასაპყრობათ საჭირო მეტათ ხელსაყრილი „გამოსავალი მდგომარეობა", და ნავთით გამდიდრებული უაღრესად გაძლიერდა 1920 წელს ინგლისთან „კომმერციულ" მოლაპარაკებაში.

---

ı

სენ-რემოს შემდეგ საქართველოს დელეგაციას აღარ შეხვედრია ოდნავ რთული ამოცანა. მე პირადათ სრულიად აღარ მაინტერესებდა მისი შემდეგი მუშაობა და, ბოლოს, ვემზადებოდი თფილისში დასაბრუნებლათ. მაგრამ სწორეთ ამ დროს მე დამნიშნეს საქართველოს რესპუბლიკის განსაკუთრებული ეკონომიური მისსიის წევრათ, რომლის ამოცანებზე მე ემუშაობდი 1920 წლის მაისის დამდეგიდან ნოემბრამდე ლონდონში, პარიზში და რომში. ამ მისსიას სათავეში უდგა საქართველოს ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი, მის შემადგენლობაში კი შედიოდა სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი; ორივე მრავალი სათნოებით შემკული პიროვნება, მაგალითად, თავმდაბლობითა და შრომის მოყვარეობით, რაც იშვიათია საქართველოს მოხელეების მაღალ ფენებში.

ეკონომიურმა მისსიამ თავისი ამოცანა საკმაო წარმატებით შეასრულა. უმთავრესი იყო ლონდონში მრავალმხრივ საინტერესო სესხის მიღება. იტალიის კაპიტალს, რომელიც მაშინ გაცხარებით ეძებდა სათბობ მასალას, დაეთმო კონცესსია სოხუმის ოლქში, ზღვის პირათ, ტყვარჩელის ქვანახშირის დასამუშავებლათ. *) საფრანგეთის კაპიტალისტების ჯგუფთან ხელშეკრულება დაიდვა საქართველოში მეაბრეშუმეობის გასავრცელებლათ გეგმიანი თანამშრომლობისა და პარკის საფრანგეთში გასაღების შესახებ და სხვა.

მაგრამ ჩემს ამოცანას არ შეადგენს ამ მისსიის მოღვაწეობის აქ აღწერა. მე მხოლოდ დამრჩა მოვიხსენიო რამდენიმე ფაქტი, რომელნიც შეეხებიან საქართველოს დამოუკიდებლობას, ფაქტები არა ეკონომიურის, არამედ პოლიტიკურის ხასიათისა.

---

*) ახირებული შემთხვევათ, დავა სამთო-მადნო უფლებების შესახებ ტყვარჩელის აგარაკში (მეტათ რთული) უკანასკნელი საქმე იყო, რომელიც 1917 წელს მომანდო მე, როგორც მომხსენებელ-სენატორს, უმართებულესმა სენატმა.

ბაქოს დაკავების შემდეგ მალე გამოირკვა, რომ მთელმა აზერბაიჯანმა „შეითვისა“ საბჭოთა მთავრობის ფორმა. საქართველოს მთავრობა დაადგა „ბოროტების არა წინააღმდეგობის“ გზას. 30 აპრილს 1920 წელს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანია დამფუძნებელ კრებაზე ნათქვამ სიტყვაში განმარტავდა, რომ... „თუ თვით ხალხი (აზერბაიჯანლები) თანაუგრძნობს უცხო ძალის მის ქვეყანაში შემოსევას, მაშინ ამ ძალის წინააღმდეგ ჩვენი გალაშქრება იქნებოდა ამ ხალხის უფლების დარღვევა (sic) და ამასთანავე გამოიწვევდა ჩვენ მიერ იქ გაგზავნილი ჯარის დაღუპვას. *) ვისაც „კანდიდი“ წაუკითხავს, უეჭველია, მას, ამის გამო, გაახსენდება დოქტორი პანგლოსსი!

ცოტათი უფრო გვიან მოვიდა ცხობები საქართველო აზერბაიჯანის საზღვრებზე შეტაკებებისა და საბჭოთა აზერბაიჯანთან და რუსეთთან საქართველოს მოლაპარაკების შესახებ.

იქვს არ იწვევდა, რა თქმა უნდა, რომ საერთოდ საჭიროა მოსკოვის მთავრობასთან საჩქაროთ შეთანხმება. „შეთანხმებას“ გვიჩვენებდა, როგორც წინათაც ვნახეთ (იხ. გვ. 313), დიდი სახელმწიფოები. ინგლისი ყველაზე უფრო ემხრობოდა 1920 წელს რუსეთის ყოფილი განაპირებისა და მოსკოვის შორის საკომპრომისსო მშვიდობიანი მეზობლობის დამყარებას. თავის მხრით საქართველოს დელეგაციამ ჯერ კიდევ ლონდონში 1920 წლის მარტში სთხოვა ინგლისის მთავრობას დახმარება ასეთი კომპრომისისათვის.

მაგრამ, აშკარაა, ეს საქმე უპირველესად ყოვლისა ეხებოდა თფილისის მთავრობას. გამონახავს იგი მოსკოვის დიქტატორებთან საერთო ენას? საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მეთაურებს უჭირდათ თუ უძნელდებოდათ დენიკინთან და ინგლისის გენერლებთან შეთანხმება, ბოლშევიკებთან ხომ მათ ბევრი რამ იდეურათ აახლოვებდა, რომ არაფერი ვთქვათ, ყოფილ თანამებრძოლთა პირად ნაცნობობაზე.

ვაღიარებ, სენ რემოში მე ზოგჯერ მეგონა, რომ ჩხეიძის მიერ მაშინ დაჭერილ პოზიციას (დაუშვებელსა და უაზროს იმ პოლიტიკის მიხედვით, რომელსაც ევროპაში ვაწარმოებდით 1918 წლიდან

---

*) ამ სიტყვის ტექსტი იხ. წიგნში: Paul Gentizon. La Rèsurrection Gèorgienne. P. 1921 დამატება მე-4. წიგნი შედგენილია წერილებიდან, რომელნიც დაბეჭდა ავტორმა გაზეთ „Le Teimps“. ავტორი სპეციალურათ იყო გაგზავნილი საქართველოში 1920 წელს.

დაწყებული საქართველოს სახელთა და მისი დამოუკიდებლობის ინტერესებისათვის) შესაძლოა საფუძველათ ჰქონდა საიდუმლო, ჩემთვის უცნობი, თფილისიდან მოსული ინსტრუქცია, რომელიც დაკავშირებული იყო სწორეთ რუსეთ-საქართველოს შეთანხმების რაიმე გეგმასთან. ნამდვილათ კი ასეთი რამ სრულიად არ ყოფილა. მაგრამ უეჭველია, რომ, რაკი სენ-რემოს შემდეგ შეუძლებელი გახდა ევროპისგან რაიმე მიზანშეწონილი დახმარების მიღება, დარჩა ერთი-ღა გზა-უშვალოთ რუსეთთან და ოსმალეთთან შეთანხმებისა. გზა იგი იყო ძნელი, საეჭვო, მაგრამ აუცილებელი. საქართველოს მთავრობის მოვალეობას შეადგენდა ამ გზით გადაედგა საჭირო ნაბიჯები.

...მე სისწორით არ ვიცი, თუ რა ხდებოდა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების კულესების უკან; შედეგი კი ის იყო, რომ უკვე 7 მაისს 1920 წელს (მოსკოვში) დაიდვა ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის შორის; ცოტათი უფრო გვიან (16 ივნისს 1920 წ.) საქართველოსა და საბჭოთა აზერბაიჯანის შორის; როცა ტექსტებს გავეცანი, გასაცვიფრებელი იყო, რა ადვილათ, რა სისწრაფით იცნო საქართველოს მთავრობამ ბაქოში მომხდარი სახელმწიფოებრივი გადატრიალება და, მაშასადამე, უარი განაცხადა 1919 წელს დადებულ საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულებაზე, განსაცვიფრებელი იყო, როგორის სიჩქარით მოიწვია მან საბჭოთა ხელისუფლება საბჭოთა აზერბაიჯანთან საზღვრებზე დავის მოსამართლეთ. *)

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების ყველაზე უფრო დამახასიათებელი დებულება ის იყო, რომლის ძალითაც საქართველო კისრულობდა „მიეღო ზომები, რათა განედევნა თავის, ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლით განსაზღრული, ტერრიტორიიდან ყოველი ჯარი და ჯარის ნაწილები, რომელნიც არ ეკუთვნოდენ საქართველოს ეროვნულ ჯარს'' (მე-V-ე მუხლის § 5); დღეიდან აღეკრძალათ მათთვის საქართველოში ცხოვრება (§ 6); ამ ჯარში შემავალ ცალ-

*) რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ტრაქტატის ტექსტი იხ. საბჭოთა მთავრობის მიერ დადებულ ხელშეკრულებათა ოფიციალურ კრებულში. ამ ხელშეკრულების ფრანგული თარგმანი და აგრეთვე თარგმანი 14 ნოემბრის 1920 წლის შეთანხმებისა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ტრანზიტისა და ვაჭრობის შესახებ გამოცემული იყო ცალკე წიგნათ პარიზში 1922 წელს.

კე პირებისთვის აღეკრძალათ შესულიყვნენ საქართველოს ჯარში. რაიმე ადგილზე, სხვათა შორის მოხალისეთ (მე-V მუხლის § 7).

ამგვარათ, საქართველო თავის თავს პირდაპირ ვალდებულათ ხდიდა ხელი შეეწყო, რათა ბათომსა და ბათომის ოლქში მოხსნილიყო ინგლისის ოკუპაცია, და წინდაწინვე უარს უცხადებდა, რომ ვინმე დახმარებოდა მას შეიარაღებული ძალების მოწყობაში. ეს იყო აშკარა ცნობა მოსკოვის მთავრობის პოლიტიკური გავლენისა და უპირატესობისა, და პრაქტიკულათ ნიშნავდა „ევროპის ორიენტაციაზე" უარის თქმას. რითი აიხსნება ასეთი შებრუნება? საქართველოს მთავრობის სოციალისტური გრძნობებით, რომელნიც სძლევდენ „დასავლეთ-ევროპის დემოკრატიებისადმი" მიმზიდველობას მათი იმპერიალისტური მთავრობებით? შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მეთაური 7 მაისის ხელშეკრულების დადების გამო მოსკოვის კომისრებისადმი მიმართულ ტელეგრამაში რაღასაც ამბობდა „სოციალიზმის დასამყარებლათ" საერთო მუშაობის შესახებ. ან და შესაძლებელია წითელი ჯარების მიერ 1920 წლის ზაფხულზე პოლონეთის დანგრევისა და შემდეგ „ბურჟუაზიულ" ევროპაში წითელი ჯარების შესვლის მოლოდინში, საქართველოს მთავრობა წინდაწინვე იმზადებდა შესაფერ პოზიციას?

ყოველ შემთხვევაში, რაღაც შინაგანი შეთანხმება სჩანდა სენ-რემოში ჩხეიძის თავდაჭერილობასა (მან უარყო პრაქტიკულათ დაემთავრებია საქართველოს პოლიტიკის ევროპაში ორი წლის მხურვალე ცდა) და 7 მაისის 1920 წლის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების ძირითად ტენდენციის შორის. უფრო სისწორით რომ ვთქვათ, აღნიშნული ხელშეკრულება სპობდა შესაძლებლობას განეგრძოთ ცდები იმ პროგრამის შესასრულებლად, რომელიც, როგორც პირადათ მე მეგონა, შედგენილი იყო საქართველოს ინტერესებისა და მისი მთავრობის სურვილების მიხედვით, და რომლის უმთავრეს მხარეს შეადგენდა: ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკის კავშირი თავდაცვისათვის, მათი გამაგრება დასავლეთის დიდი სახელმწიფოების შემწეობით, „ინტერნაციონალიზაცია" ბათომისა, და იქ მოკავშირეთა ჯარების დროებით შენარჩუნება.

## 85

ეხლა, ამიერ-კავკასიის ბლოკის იდეის ჩაშლისა და კავკასიის მთაგრეხილის იქეთ საბჭოთა ჯარების გადასვლის შემდეგ, ბათომში,

მოკავშირეთა (ე, ი. ბრიტანიის) საგუშაგო რაზმის დარჩენის კითხვა მალე გადაწყდა. არავინ ემზადებოდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობისათვის საბჭოებთან საომარი შეტაკება გაემართა. და, რადგან ეს რესპუბლიკები მოახლოვებულ საფრთხის წინაშე შეერთებულის ძალებით შეთანხმებულ, მტკიცე თავდაცვის სურვილს ვერ იჩენდენ, და რადგან სენ-რემოში ლორდ კერზონის პოლიტიკა კავკასიის შესახებ დამარცხდა, ბათომსა და ბათომის ოლქში ინგლისის ჯარების დაყოვნება ზედ-მეტი გახდა; ჯარები გადიყვანეს; ამასთანავე საქართველოს მთავრობის მოუთმენელმა ცდამ, რომ ბათომი ოლქითურთ მალე ჩაეგდო ხელში, ძლიერ გაუადვილა ინგლისელებს ამოცანა, სახელოვნათ გასულიყვნენ ბათომიდან. ეს წასვლა აღარ ჰგავდა დაჭერილი იმპერიალისტური პოზიციის ვისიმე ძალდატანებით დაცლას, არამედ დროებით დაჭერილის მეპატრონისათვის კუთვნილებისამებრ დაბრუნებას. თავისი ფორმით ეს იყო არსებულ მდგომარეობიდან სავსებით მოქნილი გამოსავალი. ბათომის დატოვებას თანაც მოითხოვდა ლონდონში ეკონომიის ყველა მომხრე, რომელთაც უხაროდათ კიდევ ერთი ოკკუპაციის მოხსნა; ამ ზომას იწონებდა საერთოდ ყველა ამიერ-კავკასიაში ინგლისის აქტიური პოლიტიკის მოწინააღმდეგე (ე. ი. კერზონის მოწინააღმდეგენი და ლლოჰიდ-ჯორჯის მომხრეები). გადატრიალებამ აზერბაიჯანში თავის მხრით ხელი შეუწყო იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მხედველობაში ჰქონდათ უკვე 1920 წლის მაისის დასაწყისში.

11 ივნისს ჩვენ (საქართველოს ეკონომიური მისსის წევრებს) ლონდონში საიდუმლოთ შეგვატყობინეს, რომ ინგლისის მთავრობამ დაადგინა დასტოვოს ბათომი, და მთელი ოლქი გადასცეს საქართველოს მთავრობას. გადაცემის ფორმალობისა და აგრეთვე ზოგიერთ მნიშვნელოვან „თანდაყოლილ" კითხვების გამო (მაგ., „დენიკინელების" ბათომიდან ყირიმში გადაგზავნა) საქართველოში იგზავნებოდა პოლკოვნიკი სტოკსი, დიდი ბრიტანიის ახალი კომისარი; ინგლისის მთავრობის თხოვნით, სტოკსს თან უნდა გაჰყოლოდა დ. ღამბაშიძე.

ბათომის ოლქის შემოერთება დიდ ზნეობრივ და პოლიტიკურ დაკმაყოფილებას აძლევდა საქართველოს. მაგრამ ამასთანავე ეს იყო, თუ გნებავთ, დანაელების საჩუქარი.

ბათომის ოლქის შემოერთება ხომ არ დაასუსტებს საქართველოს შემოსევისათვის გაშლილ აღმოსავლეთის საზღვარზე? მოახერ-

ხებს საქართველო გაუმკლავდეს ოსმალეთის ნაციონალიზმს, რომელიც უეჭველია თავს იკავებდა ბათომში ინგლისელების ყოფნის გამო? აი რა იქვები იბადებოდა უნებურათ და რატომ იყო, რომ ამიერ-კავკასიიდან ევროპის წასვლა, რაც ბუნებრივი შედეგი იყო სენ-რემოში ჩვენი უთანხმოებისა, და რაც კიდევ უფრო დაჩქარდა უკანასკნელი ამბებით, მე სრულიადაც არ მომწონდა. იმ მოსაზრებებით, რომელთაც აქ არ გავიმეორებ, მე ვფიქრობდი, რომ ძლიერ უნდა დაგვეფასებია... „ინგლისის მოსახლეობის" ბათომში ყოფნა. *)

... ეს იქვები და შეშფოთება, რა თქმა უნდა, ვერ გაფანტა ცნობამ, რომ 4 ივლისს 1920 წელს საქართველოს ჯარი ზეიმით შევიდა ბრიტანიის საგუშაგო რაზმის მიერ დატოვებულ ბათომში, რომ ბათომის სიმაგრეებზე აღიმართა საქართველოს ბაირაღი და სხვა **).

მოვლენათა „ფილოსოფია" მეტად მარტივი იყო: საქართველო განცალკევებული დარჩა მიყრუებულ ჯვარედინზე, ევროპისა და აზიის შუა, უშვალო მეზობლათ საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთისა: ეს ორი ფილაკვანი ემზადებოდა საფუძვლიანათ ამოეგდოთ კავკასიის შუაკედელი.

---

ეხლა რამოდენიმე სიტყვა სევრის ხელშეკრულებაზე,—დასავლეთ ევროპის თვითმპყრობელობითი კოლლექტიური აზრის ყველაზე უფრო ბოროტებით სავსე ნამოქმედარზე.

ოსმალეთის სულთანის რწმუნებულებს იგი წარედგინა 9 მაისს და ხელ მოწერილი იქმნა 10 აგვისტოს 1920 წელს; ამ ხელშეკრულებამ არა თუ შექმნა დამოუკიდებელი სომხეთი, არამედ ევროპის

---

*) ინგლისის ჩანაკმა, რომელმაც 1922 წელს თითქმის კონსტანტინოპოლის კარებთან შეაჩერა მუსტაფა ქემალის ძლევამოსილი და იერიშით მიმავალი ჯარი, დამიმტკიცა სისწორე ჩემი დაფასებისა ბათომის კითხვისა და იქ ინგლისელების ყოფნის შესახებ.

**) ინგლისის ჯარები ბათომიდან წავიდენ 10 ივლისს. გამოსათხოვარი ბანკეტი საუცხოოთ ჩატარდა. ბათომის გადაცემის ხელმოწერილ ოქმში საქართველოს მთავრობა თანხმობას აცხადებდა ყარსი-ბათომის რკინის გზის გაყვანაზე, რასაც უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

საერთაშორისო სამართალში პირველად შეიყვანა, როგორც ფორმალურად ცნობილი პირი, საქართველო და აზერბაიჯანი.

პროექტის მე-92 მუხლი წინადვე იღებს მხედველობაში სომხეთსა და მის მეზობელ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის საზღვრების დადების წეს-რიგს. საზღვრები ორივე მხარის თანხმობით უნდა იქმნეს დადებული. თუ ეს არ მოხერხდა იმ დროისთვის, როცა დაიდება საზღვარი ოსმალეთსა და სომხეთს შორის, ამ შემთხვევაში სამიჯნო ხაზი სომხეთსა და საქართველოს, აგრეთვე აზერბაიჯანს შორის, დადებულ იქნება უმთავრეს მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ (ე. ი. ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მიერ), რომელნიც აგრეთვე იზრუნებენ ადგილობრივ გაიყვანონ იგი.

ბათომი ცხადდებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის ნავთსადგურათ, რომელიც ღია იქნებოდა თავისუფალი ვაჭრობისათვის და ერთა ლიგაში შემავალ ყველა სახელმწიფოს ბაირაღებისათვის. თავისუფალი ნავთსადგურის წესდება (რეჟიმი) ლიგის ზედამხედველობით, რომელიც აწერილია სევრის ხელშეკრულებაში (მუხ. 335-346) შეეხება ბათომს ისე როგორც კონსტანტინოპოლს, გაჰიდარ-ფაშას, სმირნას, ალექსანდრეტტას, ხაიფას, ბასრას, ტრაპიზონს. მაგრამ ბათომის შესახებ არის განმარტება „პირობების შესახებ, რომელნიც შემდეგში იქნებიან დაწესებული" (მუხ. 335).

კითხვა სუეერენიტეტის შესახებ რჩება გადუწყვეტელი (ib.). მე-351 მუხლის რედაქციას („თავისუფალი მისასელელი შავ-ზღვაზე ბათომის ნავთსადგურის საშვალებით ეძლევა საქართველოს, აზერბაიჯანს და სპარსეთს, და აგრეთვე სომხეთს") ჯერ კიდევ ლონდონელი იდეები (თებერვალი—მარტი 1920 წ.) ეტყობა, რომელნიც საქართველოს აშორებდენ ბათომს. ასეთივე „ჩამორჩენილია" მუხლი 352, რომელიც შეეხება სომხეთის ტრაპიზონზე გასავალს. ყველაფერ ამაში ბევრია დაუმთავრებელი და ბუნდოვანი, რაც აიხსნება სენ-რემოში ჩვენი მოლაპარაკების უნაყოფობით **).

---

*) თანახმად მე-89 მუხლისა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დაეკისრა გადაეწყვიტა კითხვა საზღვრების შესახებ ოსმალეთსა და სომხეთს შორის ერზერუმის, ტრაპიზონის, ვანის და ბითლისის ვილაიეთებში. პრეზიდენტმა ვილსონმა ეს დავალება შეასრულა 22 ნოემბერს 1920 წელს.

**) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შეთანხმების პროექტი ხელმოწერილი რომ ყოფილიყო, იგი არსებითად სევრის ხელშეკრულების რამოდენიმე მუხლის ნამდვილი დამატება იქნებოდა.

10 აგვისტოს, 1920 წელს, ავეტის აგარონიანმა სომხეთის სახელით ხელი მოაწერა სევრის ხელშეკრულებას, რომლითაც, როგორც იქნა, მოინათლა სომხეთის სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა. რა უთანაზომო ნაბიჯის წინ გადადგმა არის 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის ცნობილ მე-61 მუხლთან შედარებით! სამწუხაროთ, ეს გამარჯვება იყო მხოლოდ ქაღალდზე, მხოლოდ სიტყვიერი! ტყუილად კი არ არის სევრის სახელი მისი ნაწარმოები ფაიფურის სისუსტესთან მჭიდროთ დაკავშირებული!

1920 წლის 10 აგვისტოსთვის საქართველოსა და სომხეთის პასუხისმგებელმა გამგეებმა და რწმუნებულმა წარმომადგენლებმა, რაც კი შეეძლოთ, ყოველივე მოიმოქმედეს, რომ ამიერ-კავკასიის მხრით უზრუნველეყოთ სევრის ხელშეკრულების საწინააღმდეგო რუსეთ-ოსმალეთის ოპოზიციის გამარჯვება. არც სენ-რემოში, არც თფილისში, არც ერივანში, ბაქოზედაც რომ არაფერი ვთქვათ, ვერ გამოიჩინეს ვერც ერთობის უნარი, რომელიც საჭირო იყო ამიერ-კავკასიის ბლოკის შესაქმნელად, ვერც მისი საჭიროების შეგნება, თუნდაც იმ აზრით, რომ იგი ერთობა საჭიროა, როგორც სევრის ხელშეკრულების განხორციელების ერთ-ერთი პრაქტიკული პირობა. სამაგიეროთ რუსეთმა და ოსმალეთმა იმდენათ შეუთანხმეს ერთმანეთს თავიანთი მუშაობა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში აღარაფერი დარჩა ამიერ-კავკასიის „ფრონტიდან". დიდი სახელმწიფოების უთანხმოებამ, საბერძნეთის საქციელმა, შეერთებული შტატების სომხეთის დახმარებაზე გადაჭრილმა უარმა საქმე მიიყვანეს ახლო აღმოსავლეთში ისეთს ცვლილებებამდე (1920 — 3 წ.) რომელნიც უდრიდენ სევრის სუსტი ქმნილების სრულს განადგურებას.

## 86

საქართველოში ბათომის ოლქის საქართველოს მთავრობაზე გადაცემა უკანასკნელის დიდ გამარჯვებათ ჩასთვალეს ამაში პოულობდენ იმპერიალიზმზე დემოკრატიის გამარჯვებასა და სხვა.

1920 წლის შემოდგომაზე, როცა საბჭოთა რუსეთი ოსმალეთთან ერთად გამოდიოდა ამიერ-კავკასიის საქმეებში გადამწყვეტ ფაქტორათ, დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა კი, უმთავრესად ინგლისმა, უარი განაცხადეს აქ მომქმედი პოლიტიკის წარმოებაზე, ე. ი., როცა ამიერ-კავკასიაში ომი და მყუდროება და ამიერ-კავკა-

სიის რესპუბლიკების მომავალი დამოკიდებული იყო არა ლონდონსა და პარიზისაგან, არამედ მოსკოვსა და ანგორისაგან, საქართველოს მთავრობა ყურადღებას არ ათხოვებდა ანგორა-მოსკოვს და თავის უმთავრეს ძალებს თავს უყრიდა დასავლეთში: სამი მინისტრი (გეგეჭკორი, გოგიჩაიშვილი, კანდელაკი) და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე (ჩხეიძე), განსაკუთრებული, განსხვავებული, უნივერსალური რწმუნებული (წერეთელი) იღეწოდენ დასავლეთ სახელმწიფოთა სატახტო ქალაქებში მაშინ, როცა საერთო ვითარებამ, რომელმაც საქართველოსადმი წუთით კეთილ-განწყობილი სახე მიიბრუნა, ეხლა კი ზურგი უჩვენა საქართველოს. ასეთი მოქმედება დემონსტრაციის შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს საქართველო ახლო იყო დასავლეთ სახელმწიფოებთან, რაც სრულიად არ შეეფერებოდა სინამდვილეს, და საბაბი ეძლეოდა მოსკოვის თვალთმაქცურ შიშს „ევროპის ჩარევის ბაზის“ შესახებ, რასაც აგრეთვე ადგილი არ ჰქონდა სინამდვილეში.

მდგომარეობასთან სრულიად შეუფარდებელ დიპლომატიურ პოზიციის სიყალბეს ემატებოდა საუბედურო და უდროვო ჩარევა საქართველოისა, როგორც ვითომდა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკისა, სოციალ-დემოკრატიულ და კომუნისტურ ინტერნაციონალთა ბრძოლაში.

„საქართველო, ოდესღაც „ღვთის-მშობლის ხვედრი“ ეხლა ხდებოდა მე-2 ინტერნაციონალის ხვედრათ. 1920 წლის სექტემბერში „ადგილობრივათ საქართველოს დათვალიერება“ მე-2 ინტერნაციონალის მოღვაწეების მიერ (რ. მაკდონალდი, ვანდერველდე, ქ-ნი ე. სნოუდენი, რენოდელი, კაუცკი, გიუსმანსი და სხვები) ღებულობდა რაღაც იდეური დემონსტრაციის მნიშვნელობას, რომელიც მიმართული იყო მე-3, ე. ი. კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ. ევროპიელ ცნობილ სოციალისტების ამ მოგზაურობას (მათ შორის მე-2 ინტერნაციონალის სამი სტატს-დამა ქ-ნნი კაუცკისა, ვანდერველდესა და სნოუდენისა, რომელნიც ლორნეტებით ცნობის მოყვარეობით უცქერდენ „ამ ტურფა სურათოვან საქართველოს“), რომელსაც საქართველოში შეხვდენ ოფიციალური პატივდებით და რასაც ისინი სამშობლოში არც თუ ისე იყვნენ მიჩვეული, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ გონებაში საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი, როგორც დემოკრატიული „ოაზისის“, ჩასანერგათ.*)

*) ამ მოგზაურობის სახსოვარია 1921 წელში პარიზში გამოცემული წიგნი: „L'Jnternationale socialiste et la Géorgie“.

„ჩვენი დროის გაჭირვებულ მდგომარეობაში“-in the strenuous conditios of our time—ამ დამოუკიდებლობის განსამტკიცებლათ კი ექსკურსიას, რა თქმა უნდა, არაევითარი მნიშვნელობა არ ჰქონია; მან გამოიწვია ან გააძლიერა მეტად უდროოთ ილლიუზიები შესახებ „დასავლეთის დემოკრატიის დახმარებისა“, სრულიად აურია ანგარიში ხალხს, რომლისთვისაც, რა თქმა უნდა, გაუგებარი დარჩა ნამდვილი მიზეზი ბათომიდან ინგლისელების წასვლისა, ისე როგორც გაუგებარი იყო მისთვის, შედარებითი მნიშვნელობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის 1920 წელს „მოკავშირე დიდი სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოსი“ და „ამსტერდამის ინტერნაციონალისა“. მაგრამ ამ მხრივ, ე. ი. გაუგებრობის მხრივ, სამწუსო და მწყემსები ერთსულოვანი იყვნენ.

ამ დროს საქართველოს მეზობლათ საბჭოთა მთავრობა არა თუ მტკიცეთ გამაგრდა აზერბაიჯანში, არამედ ამზადებდა სომხეთის იარაღის დაყრევინებასაც წინადადებით, რომ იგი მთავრობა სომხეთს დახმარებას გაუწევს შეეიწროებულ მდგომარეობაში და „კორრიდორის“ პოლიტიკით ყარაბაღის გზით დააახლოვებს მას ოსმალეთთან. 1920 წლის ზაფხულში რუსეთ-პოლონეთის ომისა და ბათომში ინგლისელების ყოფნის გამო, ბოლშევიკებმა ზედ-გავლენა მოახდინეს სპარსეთის და არა შავი-ზღვის მიმართულებით.

თვით თფილისშიაც საბჭოთა მისსიის წინასწარი მუშაობა დაჩქარებით მიდიოდა: გარდა აგიტაციისა და სოციალ-დემოკრატიასთან კომმუნიზმის იდეური ბრძოლისა, შეუმჩნეველად სწარმოებდა დაზვერვა და „შინაგანი გაშუქება“ ძველის საშვალებებითა და გამოცდილი სპეციალისტების მიერ.

ხოლო ევროპაში მყოფი საქართველოს დიდი კაცები იმაზე მსჯელობდენ, თუ როგორ მოეწყოთ საუკეთესოდ საქართველოს სამზღვარგარეთ წარმომადგენლობა (პარიზის დელეგაცია უნდა გაუქმებულიყო 1920 წლის ოქტომბრის დამლევიდან); საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც დაეტოვებია საქმეები შემთხვევითი. პირების მზრუნველობაზე, დროს ჰკარგავდა იმაზე რომ, დელეგაციის გაკვალული გზით, განაგრძობდა „ჩამორებას“ საქართველოს იურიდიული ცნობის გამო. ლონდონში მას ლაპარაკი ჰქონდა ბათომის შესახებაც—მაგრამ 1920 წლის აპრილიდან ამ კითხვას დაეკარგა პრაქტიკული მნიშვნელობა; მაზე კიდეე ლაპარაკობდენ, რადგან „შედგენილი იყო“ შესაფერი „საქმე“.

ხოლო საქართველოს ფორმალურად ცნობის კითხვა ეხლა თავის თავად მიდიოდა გათელილ გზაზე-იგი თან მიჰყვებოდა ბალტიის რესპუბლიკების ცნობის კითხვას.

რუსეთ-პოლონეთის შეტაკება დამთავრდა რუსეთის დამარცხებით, მას შემდეგ, რაც რუსეთი თითქმის გამარჯვებული სჩანდა.

საბჭოთა მთავრობის უმთავრესს ამოცანას ეხლა შეადგენდა ზღვაში გადაეგდო გენერალ ვრანგელის ჯარი: ეს იყო ევროპის რუსეთში უკანასკნელი „ფრონტი".

ინგლისმა საბოლოოდ აირჩია რუსეთთან ვაჭრობის განახლებაზე მოლაპარაკების გზა და ემზადებოდა რუსეთისთვის მიენებებია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში თავისუფალი მოქმედების საშვალება. ინგლისმა საფრანგეთს დაუთმო საბჭოთა ლაშქრის შემოტევის საწინააღმდეგოთ პოლონეთის გამაგრებაზე ზრუნვაც, გენერალ ვრანგელის მარცხით გამოწვეული მწუხარებაც და საერთოდ საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგეთა ამა თუ იმ ფორმით პატრონობა.

მაგრამ საფრანგეთს არც მდგომარეობა და არც მისი ინტერესები საშვალებას არ აძლევდენ ეფექრა ამიერ-კავქასიაში აქტიური პოლიტიკის წარმოებაზე. საბჭოთა იმპერიის ძალდატანების საწინააღმდეგო ძალის აქ პოვნა აღარ შეიძლებოდა: სომხეთი და საქართველო დღეიდან უკვე განწირული იყვნენ.

# თავი მეოცდაცამეტე.

## ერთა ლიგა ანუ „დასტოვეთ ყოველი იმედი“.

### 87

1920 წლის ნოემბრის დასაწყისში სამშვიდობო კონფერენციასთან მყოფმა საქართველოს პოლიტიკურმა დელეგაციამ, აგრეთვე განსაკუთრებულმა ეკონომიურმა მისსიამ, შესწყვიტეს თავისი არსებობა: უკანასკნელმა მუშაობის დამთავრების გამო, პირველმა კი, რადგან საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა მისი განსაკუთრებული წარმომადგენლით შეცვლა. უკანასკნელის მოვალეობას დროებით, სანამ პარიზში ჩავიდოდა სპეციალურათ დანიშნული პირი, ასრულებდა საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი.

ეხლა ჩემს საზრუნავ საქმეთ დარჩა საქართველოს შესვლა ერთა ლიგაში, რომლის პირველი ს ა ე რ თ ო კ რ ე ბ ა, მოწვეული იყო 1920 წლის 15 ნოემბრისთვის. კრების სამუშაო პროგრამაში შედიოდა აგრეთვე მთელი რიგი სახელმწიფოების შუამდგომლობის გარჩევა ერთა ლიგაში მიღების შესახებ, იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც ჯერ არ ითვლებოდენ ლიგის წევრებათ *).

---

*) ლიგის დამფუძნებელი აქტის ძალით (იმითი იწყება ყველა ტრაქტატი, რომელიც 1919 წლიდან, ვერსალის ხელშეკრულებიდან დ-წყებული, პარიზის ირგვლივ იქმნა ხელმოწერილი) ლიგაში შედიან, პირველი, ძირითადი წევრები, რომელნიც დასახელებული არიან აქტის დამატებაში (რიცხვით—32; ესენი არიან 1914-1918 წლების ომში გამარჯვებული მოკავშირენი, რომელთაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას); მეორე, სახელმწიფოები, რომელნიც მიიპატიჟეს განსაზღვრულ დროში გაეზიარებიათ ლიგის აქტი (იმავე დამატებაში არიან დასახელებული) და რომელთაც ისარგებლეს ამ უფლებით (ეს არის 13 სახელმწიფო, რომელთაც ომის დროს დაიცვეს ნეიტრალიტეტი). და-

ერთა ლიგის პირველ საერთო კრებას ყველა დიდის ცნობის მოყვარეობით ელოდა, თუმცა ამ ახალი საქმით გამოწვეული აზრები და გრძნობები სრულიად არ იყო გარკვეული და ერთგვარი. დაუსწრებლობა შეერთებული შტატების წარმომადგენელისა იმ საქმეში, რომელიც პრეზიდენტ ვილსონის ქმნილებათ ითვლებოდა, ახდენდა საკვირველ, თითქმის კომიკურ, შთაბეჭდილებას. რუსეთის, გერმანიის და ოსმალეთის დაუსწრებლობასთან ერთად ეს ამბავი უკარგავდა ამ დაჯგუფებას მისთვის საჭირო მსოფლიო ხასიათს.

მაინც გასაგებია ერთა ლიგისადმი ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს რუსეთის ტერრიტორიაზე დაარსებულმა ახალმა სახელმწიფოებმა. როგორ არ მიექციათ ამ მხრისკენ თავისი გაუბედავი იმედები?

ისინი არც თუ გადაჭარბებულის ნდობით უცქეროდენ ლიგის ცნობილ მე-10 მუხლს, რომელიც შესახედავათ ესოდენ დამამშვიდებელი იყო ყველა ლიგაში წევრათ შემავალ, სუსტ, ძლიერი და გაუმაძღარი მეზობლებით გარშემორტყმულ სახელმწიფოებისათვის: „ლიგის წევრები თავის თავს მოვალედ ხდიან პატივით მოეპყრან და ყოველივე გარეშე თავდასხმისაგან დაიცვან ტერრიტორიალური მთლიანობა და სახელმწიფოს ეხლანდელი დამოუკიდებლობა ლიგის ყველა წევრისა. თუ ადგილი ექნა თავდასხმას, მუქარას ან თავდასხმის საშიშროებას, საბჭო მოისაზრებს იმ საშვალებებს, რომელნიც უზრუნველყოფენ მიღებულ მოვალეობის სისრულეში მოყვანას“.

ლიგის მოწყობის პირობებისა და ევროპაში პოლიტიკური ურთიერთობის გამო, ეს მუხლი, თავისი შინაარსით ესოდენ მნიშვნელოვანი, თავიდანვე ბევრათ მეტ დაჭირებას იძლეოდა, ვიდრე ლიგას ნამდვილად შეეძლო მიეცა, რაც 1920 წლის დასასრულისთვის საკმაოთ გამოირკვა.

მაგრამ, თეორეტიული შესაძლებლობა ერთა ლიგისაგან დახმარების მიღებისა, პრინციპიალური ღირებულება ასეთი ფართო საერთაშორისო ერთობისა, მისი მნიშვნელობა, როგორც საშვალებისა, შეეძინათ და გაეფართოვებიათ ახალი სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვანი კავშირი, პერსპექტივა უცხო ერებთან თანამშრომლობისა სხვა მრავალმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ დარგებში,—

---

ნარჩენ სახელმწიფოებისათვის, დომინიონებისა და კოლონიებისათვის უაწესებულია განსაკუთრებული რიგი ლიგის საერთო კრების მიერ არჩევისა (ხმების ორი მესამედით).

ყველაფერი ეს ლიგისაკენ იზიდავდა რუსეთის განაპირებზე ახლად დაარსებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმებს. უმთავრესი და უშვალო მიზეზი კი ლიგის წევრათ ჩაწერის სურვილისა იყო, რა თქმა უნდა, სურვილი განემტკიცებიათ თავიანთი საერთაშორისო მდგომარეობა, დაეჩქარებიათ ევროპის სახელმწიფოების მიერ მათი დამოუკიდებლობის ფორმალურათ ცნობა და ყველა სახელმწიფოების, დამოუკიდებელ ერებთა მთელი ფართო „ოჯახის“ ყურადღება მიექციათ თავიანთ დამოუკიდებლობისათვის.

ერთა ლიგის საერთო კრების პირველი სესსია მეტად საინტერესო იყო სიმრავლით და სხვადასხვაობით მაშინ ჟენევაში მყოფ სახელმწიფო მოღვაწეებისა და კრების ირგვლივ შექმნილ ატმოსფერით, რომელშიაც ერთმანეთში ირეოდა ზოგიერთის აღტაცებული მოლოდინი, ზოგის კეთილგანწყობილი სკეპტიციზმი და ზოგიერთის აწონ-დაწონილი სიფრთხილე.

მაგრამ მე არ მაქვს განზრახვა აქ დავასურათო ეს ისტორიული „საერთო კრება“, რომლის ცხოვრებასაც ჩვენ, უცნობი სახელმწიფოების წარმომადგენლებს, შეგვეძლო დაწვრილებით თვალყური გვედევნებია. არც იმაზე ვილაპარაკებ, თუ როგორ მომზადდა ლიგის სამდივნოსთან მოლაპარაკებით, საქართველოს კითხვის დასმა ამ პირველ სესსიაში. დავკმაყოფილდები მხოლოდ საგანის „გარეგანი ისტორიის“ გადმოცემით, რომელსაც საფუძვლათ დაუდებ საქართველოს მთავრობისადმი ჩემ მიერვე 20 დეკემბერს 1920 წელს გაგზავნილს მოხსენებას *).

ლიგის წევრობაზე განცხადებულ კანდიდატურის გასარჩევათ შეადგინეს საერთო კრების განსაკუთრებული კომისია (მე-5), 36 პირისაგან შემდგარი, ჩილის დელეგატის Don Antonio Huneeus-ის თავმჯდომარეობით. კითხვა საქართველოს შესახებ : (აგრეთვე სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის და კოსტა-რიკასი) გადაეცა მე-3 ქვეკომისსიას, რომლის თავმჯდომარეთ იყო ფ რ ი ტ ი ო ფ ნ ა ნ ს ე-

*) გეგეკორისა და ჩემ მიერ ხელმოწერილი ერთა ლიგის წინაშე წარდგენილი მემორანდუმი საქართველოს კანდიდატურის შესახებ დამატებებით (რომელშიაც შევიდა: 1919 წელს პარიზის კონფერენციისთვის წარდგენილი ძირითადი მემორანდუმი საქართველოს დელეგაციისა, მოხსენება უმაღლესი საბჭოსათვის სპაში და სხვა საპუთები) დაბეჭდილია ლონდონში გამოცემულ კრებულში შემდეგი სათაურით: Documents présentés par le Gouvernement de la République de Géorgie à la première Assemllée de la S. des N. etc. Londres. ასეთივე გამოცემაა ინგლისურ ენაზე.

ნი, ხოლო წევრებათ: პროფ. ტომა იონესკუ (რუმინეთი), ე. დ. მილლენი (ავსტრალია), ე. დე პელასიოსი (ესპანია), ნ. პოლიტისი (საბერძნეთი), სპალაჰიკოვიჩი (სამხრეთ სლავია) და ტსან-ტსაჰი-ფუ (ჩინეთი).

ქვე-კომისსიას ევალებოდა ლიგის მოსახსენებლად შეესწავლა ყველა კანდიდატურა შემდეგი კითხვების თვალსაზრისით:

a) ფორმალური კანონიერება ლიგაში მიღების შუამდგომლობისა;

b) შუამდგომლობის აღმძერელი მთავრობა ცნობილია თუ არა de jure ან de facto და სახელდობრ რომელი სახელმწიფოს მიერ;

c) კანდიდატი არის თუ არა მტკიცე მთავრობისა და გარკვეული საზღვრების მქონე ერი? მდებარეობა და მოსახლეობა;

d) თავისუფალი მართვა-გამგეობა აქვს სახელმწიფოს თუ არა?

e) როგორია მისი განწყობილება თანახმად აქტებისა და დეკლარაციებისა: 1) საერთაშორისო მოვალეობისადმი და 2) ლიგის შესაძლებელ დადგენილებებისადმი შეიარაღების შესახებ.

25 ნოემბერს მე და თ-დმა მ. ა. სუმბათაშვილმა მივეცით ამ ქვე-კომისიას განმარტებები. აქ ბ. პოლიტისმა (საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვენეზილოსის მთავრობაში, რომელიც სწორედ ამ დროს ეცემოდა) იჩივლა, რომ საქართველოს მთავრობამ თამბაქოს მრეწველობაში და ვაჭრობაში დაარღვია უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების უფლება. მას მხედველობაში ჰყავდა სოხუმის მეთამბაქოები და ბერძენი—ვაჭრები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ გარემოებას არ ჰქონია.

ქვე-კომისიის მოხსენება კეთილგანწყობილი გამოდგა საქართველოს კანდიდატურისადმი. საქართველოს მთავრობა მტკიცე მთავრობათ იქნა ცნობილი და სხვა. აღნიშნული იყო მხოლოდ უქონლობა საბოლოო საზღვრებისა აზერბაიჯანსა და სომხეთთან.

კომისიის წინასწარ სხდომაზე (2 დეკემბერს), ნანსენისა და სვენების ცდის მიუხედავათ, საქართველოს ლიგაში მიღების კეთილგანწყობილმა დასკვნამ ვერ მოიპოვა უმრავლესობა. ფ ი შ ე რ ი ს (დიდი ბრიტანეთი) წინადადებით გადაწყდა, კითხვა საქართველოს შესახებ გაერჩიათ ყოფილი რუსეთის იმპერიის დანარჩენ სახელმწიფოების კითხვასთან ერთად. ამიტომ 1-ლ ქვე-კომისიას (თავმჯდომარე—პულლე, ბელგია) დაავალეს, გამოენახათ სპეციალურათ საქართველოსა და ბალტიის სამი რესპუბლიკის მდგომარეობისათვის

შესაფერისი ფორმულა: გადაედვათ ამ სახელმწიფოების ლიგაში მიღება, მაგრამ იმავე დროს ხელი არ ეკრათ მათთვის, ,ერამედ ეხლავე მოეწვიათ ლიგაში პრაქტიკული თანამშრომლობისათვის.

მე-5 კომისიამ ეს ფორმულა მიიღო შემდეგი საბოლოო სახით:

„კომისია ურჩევს კრებას, შეატყობინოს საქართველოს მთავრობას:

a) რომ მისი შუამდგომლობა განხილულ იქმნა თანაგრძნობით (ovec faveur—with sympathy), მაგრამ მდგომარეობა (sic) კრებას ნებას არ აძლევს გამოიტანოს საბოლოო დადგენილება.

b) რომ კრების შემდეგი გადაწყვეტილებების მოლოდინში ამ სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიგის საერთო მნიშვნელობის ტეხნიკურ ორგანიზაციებში.

ასეთი იყო ძირითადი მუხლები დასკვნისა, რომელიც წარედგინა ასსამბლეას განსახილველად.

ასსამბელეამ ბალტიის სახელმწიფოებისა და საქართველოს კითხვა გაარჩია 1920 წელს, 16 დეკემბერს, საღამოს სხდომაზე. იმავე დღეს, დილით, სომხეთის მიღება უარყოფილ იქმნა 21 ხმით, წინააღმდეგ 8 ხმისა (მას შემდეგ, რაც მიღებულ იქმნენ ავსტრია, ბულგარეთი, კოსტა-რიკა, ფინლიანდია და ლიუქსემბურგი).

კამათი, რომელიც წინ უძღოდა ოთხი კანდიდატის—რუსეთის ყოფილი განაპირების—კენჭის ყრას, იყო მეტათ გაცხარებული. კოლუმბიის დელეგატი რ ე ს ტ რ ე პ ო ეკამათებოდა კომისიის დასკვნას: „ეს სახელმწიფოები– განაცხადა მან—აკმაყოფილებენ ყ ვ ე ლ ა მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს, რომელთაც ჩვენ წარვუდგენთ ხოლმე ახალ წევრებს; თვით კომისია სცნობს ამას! იგი კომისია ემყარება რაღაც „მდგომარეობას“, რომელიც ხელს უშლის ამ კანდიდატების მიღებას. მაგრამ ლიგის ხელშეკრულებაში არ არის დაშვებული მიუღებლობა „მდგომარეობის“ გამო. მიუღებლობა იქნება ლიგის სისუსტის დამტკიცება!“

პორტუგალელი შ ა გ ა ს ი მოითხოვდა კანდიდატების მიღებას და თან ყოველი სახელმწიფოსათვის თავისუფლების დატოვებას, ეცნოთ ან არ ეცნოთ ლიგის ახალი წევრები de jure დამოუკიდებლათ.

სპარსეთის დელეგატი ზ ო კ ა-ე დ-დ ა უ ლ ე მხურვალეთ იცავდა მიღებას და განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობოდა საქართველოს...

პ ა დ ე რ ე ვ ს კ ი ს სიტყვით, პოლონეთის სიმპატიები, რა თქმა უნდა, კანდიდატების მიღების მხარეზეა, მაგრამ... პოლონეთმა იცის, ვ ი ს ი მადლობელი უნდა იყოს, რომ თვითონ გახდა დამოუკიდებელი; პოლონეთი ხედავს, რომ მათ მიღებას ნ ა ა დ რ ე ვ ა თ ს თ ვ ლ ი ა ნ. ამიტომ პოლონეთი იძულებულია ხმის მიცემაზე თავი შეიკავოს.

იმავე აზრს გამოსთქვამს რუმინეთის დელეგატი პროფესორი ი ო ნ ე ს კ უ.

ვ ი ვ ი ა ნ მ ა (საფრანგეთი) პირდაპირ აღნიშნა, რომ უხერხულია რუსეთთან დაკავშირებული კითხვების ნაწილობრივ გადაწყვეტა (!) და რომ ლიგას მეტად გაუძნელდება, ახალი წევრების ტერიტორია, თანახმად ლიგის ხელშეკრულების მე-10 მუხლისა, თავდასხმებისაგან უზრუნველჰყოს *).

ბ რ ა ნ ტ ი ნ გ ს (შვეიცია) იგივე სიძნელეები ჰქონდა მხედველობაში, როცა ღრმა თანაგრძნობით მოიხსენია ბალტიის სახელმწიფოები, მაგრამ მაინც წინადადება შეიტანა მათი მიღება გადაედოთ შემდეგ კრებამდე (1921 წ.).

ამის შემდეგ მომხდარ კენჭის ყრის დროს, რ. სესილისა (სამხრეთი აფრიკა) და ნანსენის (ნორვეგია) წინადადებით **) საქართველოს კითხვა გამოყოფილ იქმნა.

---

*) აი ვივიანის ნამდვილი სიტყვები: „ლიგის ხელშეკრულებაში არის ერთი მუხლი, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობენ და რომელსაც მე-10 მუხლი ეწოდება. ეს მუხლი ვალდებულად გვხდის დამხმარეთ ამოუდგეთ გვერდში იმ ჩვენს თანაწევრს, რომელიც ჩავარდება საფრთხეში—თანახმად მე-10 მუხლის ფორმულისა,—მაშინვე, როგორც კი ამას გავიგებთ. და რადგან ყველაზე უეარგისი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყო ხალხთა გონებაში სიცრუისა და მოტყუების განმტკიცებას, რომ ხალხი დაარწმუნო, თითქოს მას დაეხმარებიან, მაშინ როდესაც მათ ვერ დაეხმარებიან—ამიტომ, ვინც ფიქრობს, რომ არ შეუძლია თავისი დახმარება მიაწვდინოს ევროპის განაპირას, იგი ისე მისცემს ხმას, როგორც მისცა საფრანგეთმა და როგორც მე მივცემ ეხლა, ე. ი. კომისიის პროექტის თანახმად, ეს სახელმწიფოები დაშვებულ იქმნენ მხოლოდ ტეხნიკურ ორგანიზაციებში“. ერთა ლიგის პირველი კრების მე-27 წინასწარი სხდომის ანგარიშიდან.

**) პირველთან კავკასიის საქმეების შესახებ ჩვენ შემთხვევა გვქონდა დაწვრილებით გვუბაასნა ჯერ კიდევ 1918 წლის დეკემბერში. რაც შეეხება ნანენს, მე და მ. სუმბათაშვილმა ადვილათ მოვიზიდეთ ამ კეთილშობილი მოღვაწის, თავისი სამშობლოს სახელოთ და ყველასათვის საკეთილდღეოთ კაცთმოყვარეობისათვის ენერგიულად მებრძოლის სიმპატიები საქართველოს საქმეებისადმი.

ესტონიის, ლატვიის და ლიტვის მიღების მომხრე აღმოჩნდა ხუთ-ხუთი ხმა, წინააღმდეგ—27, 24, 24 ხმისა. ეს სახელმწიფოები ლიგაში არ ყოფილან მიღებული.

ამის შემდეგ საქართველოს დაშვებისათვის მეტათ გულმხურვალეთ ილაპარაკა ნანსენმა; მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს—არა მარტო საქართველოსთვის, არამედ თვით ლიგისათვის—საქართველოს ხელის შეწყობას. სიტყვა დიდის სიძლიერით წარმოთქმული იყო ინგლისურათ. ნანსენის შემდეგ, იმავე აზრის დასაცავად, გამოვიდა ლორდი რობერტ სესილი, რომელმაც კრებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევინა იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ექნება საქართველოს ლიგაში მიღებას, იმ ვალდებულებების თვალსაზრისითაც, რომელიც ლიგას ნაკისრები აქვს სომხეთის მიმართ *).

ამ სიტყვების გათავებისთანავე დაუყონებლივ სიტყვა ისევ მოითხოვა ფიშერმა (დიდი ბრიტანია), რომელმაც განაცხადა, რომ რასაც ნანსენი და სესილი ამტკიცებენ, სწორია, მაგრამ სიძნელე საქართველოს დაცვისა (გარეშეთა თავდასხმისაგან) რჩება სიძნელეთ; რომ ვივიანის მოსაზრებანი ვერ შეარყიეს; რომ არ არის საფუძველი საქართველოს მიენიჭოს უპირატესობა ბალტიის სახელმწიფოების წინაშე; რომ არ არის სასურველი გრძნობით გატაცება, არამედ უნდა განვსაჯოთ, როგორც შეჰფერის სახელმწიფოს პასუხისმგებელ პირებს **).

---

*) ერთა ლიგა სწორედ ამ დროს ეძებდა საშვალებას შუამავლობა მოეწყო სომხეთსა და მუსტაფა-ქემალის შორის, რომლის ჯარებმა დაიკავეს ყარსი და ალექსანდროპოლი.

**) ინგლისის სახალხო განათლების მინისტრის ამ სიტყვიდან მოვიყვან მხოლოდ შემდეგს: „მე სეიოიზულად ვთხოვ ამ კრების დელეგატებს, რომელთაც მოელისთ სერიოზული კენჭის ყრა, დაუფიქრდენ, მზათ არიან ისინი თუ არა, მართლაც ურჩიონ თავ-თავიანთ მთავრობებს, გაუგზავნონ მატერიალური დახმარება ამ გულად, პატარა სახელმწიფოს რუსეთის განაპირაზე, თუ ჟამი განსაცდელისა მოუახლოვდა მას“. წინააღმდეგ ლორდ რ. სესილისა და ნანსენისა, რომელნიც ვერ პოულობენ ლიგისათვის საშიშროებას საქართველოს მიღებაში, ფიშერი ფიქრობდა, რომ საჭიროა „ნგარიში გაუწიოთ საქართველოს მდგომარეობის საშიშროებისა. რაც შეეხება საქართველოს შესახებ საქებარ სიტყვებს, ნათქვამს ფიშერისა („this gallant small State“) და ნანსენის („a splendid small nation“) მიერ, რომელი სიტყვებიც შეესაბამება ამ წიგნის 122

მთელი დარბაზი გაფაციცებით ადევნებდა თვალს; საესე იყო ტრიბუნები; დაიწყო ხმის მიცემა. ხმას აძლევდა სულ 24 სახელმწიფო. არჩევისთვის საჭირო იყო ხმების ორი მესამედი, ესე იგი 16 ხმა.

მიღებისათვის ხმა მისცა 10; წინააღმდეგ—13; ამგვარად, საქართველო არ იქმნა ლიგის წევრათ არჩეული. *)

მოულოდნელი აქ არაფერი იყო, რადგან ისეთი პოზიცია დაიჭირა ინგლისმა და საფრანგეთმა; განსაკუთრებით პირველმა (რაც აუცილებლათ გამომდინარეობდა მისი პოლიტიკის შებრუნებიდან სენ-რემოს შემდეგ და ლლოჰიდ-ჯორჯის კერზონზე გამარჯვებიდან.)

როგორც აგვიხსნა მე და სუმბათაშვილს კუბის დელეგატმა აგუერომ, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ყოველგვარ კენჭის ყრის მომზადებაში, „შუა და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ თავისი ხმების რაოდენობით ლიგაში მიეღოთ საქართველო და ბალტიის მხარის სახე-მწიფოები, რასაც მოითხოვდა სამართლიანობა! მაგრამ თქვენ კარგათ იცით, რომ ასეთ საქმეებს სწყვეტს არა სამართლიანობა! ამერიკის რესპუბლიკებისთვის უხერხულია წინააღმდეგობა გაუწიონ ევროპის დიდ სახელმწიფოებს იმ კითხვაში, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნიერების სწორეთ ამ ნაწილისათვის! ინგლისმა და საფრანგეთმა, მარტო ინგლისმა მოგცესთ ხმა, ჩვენ, როგორც ერთი კაცი, შეუერთდებით მას“.

კენჭის ყრის უარყოფითმა შედეგმა გულწრფელათ შეაწუხა ყველა, ვინც ფიქრობდა, რომ ერთა ენენვის „ასსამბლეა“ ხალხების ცხოვრებაში ახალ თავს იწყებს. ასეთები მრავლათ იყო ბეჭვ-

---

გვერდზე მოყვანილ კიულმანის ნათქვამს,—ეს რეპუტაცია ვერ გაამართლეს მაშინ (ე. ი. 1921 წლის დამდეგს). მაგრამ ბევრი რამ შეიძლება ითქვას იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ ქმნიდა ამ სახელს და ვინ აქარწყლებდა მას. მაგრამ ამის შესახებ იხ. წინასიტყვაობა.

*) საქართველოს მიღებისათვის ხმა მისცა 10 სახელმწიფომ; ესენი არიან: სამხრეთ-აფრიკა, ბოლივია, კოლუმბია, იტალია, ნორვეგია, პარაგვაი, სპარსეთი, პორტუგალია, შვეიცარია და ჩილი. წინააღმდეგ ხმა მისცა ცამეტმა: ავსტრალია, კანადა, კუბა, დიდი ბრიტანია, ესპანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ინდოეთი, ახალი ზელანდია, ნიდერლანდები, სახმრეთ-სლავია, ჩეხო-სლოვაკია, დანია. თავი შეიკავა და არ დაესწრო 18 სახელმწიფო; თავშეკავებულთა შორის: ბელგია, პოლონეთი, რუმინეთი, შვეცია.

დითი სიტყვის წარმომადგენელთა (განსაკუთრებით ანგლო-საქსთა და ნეიტრალურ ქვეყნებიდან) და კრების დერეფნებში მყოფ საერთაშორისო დამოკიდებულებაში კეთილ-სინდისიერების მრავალრიცხოვან მომხრეთა შორის:

მეორეს მხრით, დიდმა ყურადღებამ, რომელიც მიიპყრო საქართველოს კითხვამ 40 სახელმწიფოს დელეგატების ყრილობაზე, ყრილობაზე, რომელსაც თვალყურს ადევნებდა მთელი მსოფლიოს ბეჭვდითი სიტყვა, დიდი პროპაგანდა გასწია საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის გასავრცელებლად. ერთა ლიგაში საქართველოს კანდიდატურის წამოყენება კარგ საშვალებათ გამოდგა, რომ ეს, უმრავლესობისათვის სრულიად ახალი, იდეა აღბეჭდილიყო მთელი მსოფლიოს სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკურ შემეცნებაში *).

ამ ისტორიის პოლიტიკური მორალი სრულიად ძალდაუტანებლივ გამოდიოდა; მაგრამ ხომ იმასვე გვიკარნახებდენ ჟენევის კრებაზე გაბატონებული სახელმწიფოები, სახელდობრ, რომ, თუ საქართველოს გარედან ვინმე თავს დაესხა, არც ერთა ლიგა, არც მისი ნიღაბით მომქმედნი სახელმწიფოები, არ დაიცავენ და მათ არ შეუძლიათ დაიცვან საქართველო. ასე განაცხადა საფრანგეთმა, ასე განაცხადა ინგლისმა; მათი ხმა უფრო დამაჯერებელი იყო, ვიდრე ნორვეგიისა და სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლების მოწოდება.

88

რომ ეს დასკვნა უფრო აშკარა ყოფილიყო, და რომ არაფერი იქვი არ დარჩენილიყო, მსოფლიო ისტორიის უსახელო რეჟისორმა ისე მოაწყო, რომ ერთა ლიგის პირველი საერთო კრების სხდომის დროს, სომხეთის დამოუკიდებლობას მიაყენეს ყველაზე უფრო მწვავე ტკივილი. მუსტაფა-ქემალის ჯარებმა დაიკავეს ყარსი და ალექსანდროპოლი 1920 წლის ნოემბრის დამდეგს. „დაშნაკცუტიუნის რევოლიუციონური ფედერაციის“ ერევნის მთავრობა, რომლის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა სევრის ხელშეკრულებას, დაეცა; მის მაგიერ დაარსდა სომხეთის საბჭოთა მთავრობა, და მოსკოვის

*) თანახმად მაშინვე, 16 დეკემბერს, მიღებულ რეზოლიუციისა, საქართველოს და ბალტიის რესპუბლიკებს, საშვალება მიეცათ დაუყონებლივ მიეღოთ მონაწილეობა ლიგის პრაქტიკულ ორგანიზაციებში (როგორიცაა კონფერენციები და კომიტეტები ფინანსიური და ეკონომიური კითხვებისა, საერთაშორისო სანიტარიისა და პიგიენის კითხვებისა; მიმოსვლისა და ტრანზიტისა; შრომის ბიუროსა) საერთო დებულებით ლიგის წევრ სახელმწიფოებთან ერთად.

მთავრობამ ენერგიულათ დაიწყო ოსმალოებთან მის მორიგების საქმეს, ე. ი. იმ საქმეს, რომლის ხელის მოკიდება სურდა სწორეთ ერთა ლიგას. მართლაც, 22 ნოემბერს საერთო კრებამ ვ ი ვ ი ა ნ ი ს წინადადებით მიანდო ლიგის საბჭოს, დაეწყო მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა მ თ ა ვ რ ო ბ ე ბ თ ა ნ რ ო მ ე ლ ი მ ე ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ზ ე შ უ ა მ ა ვ ლ ო ბ ი ს დ ა კ ი ს რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ, რაც აუცილებლად საჭირო იყო ქემალისტებსა და სომხეთს შორის საომარ მოქმედების შესაწყვეტად.

ამ ჩიხში შეგნებულათ მიმართული ლიგის კაცთმოყვარე გატაცება, რა თქმა უნდა, უნაყოფო გამოდგა. ყველა მთავრობისადმი მიმართვასა და საპასუხოთ მოცემულ ზოგიერთის გაკვირვებულ კითხვებს, მაგალითად, ავსტრალიისას, თუ რა სურთ მისგან და როგორ გადაარჩინოს მან სომხეთი, ანდა სალვადორისა და გონდურასის „მორალური დახმარების“ დაპირებას კომიკური ელემენტი შეჰქონდათ სრულიად ტრაღიკულ მდგომარეობაში.

1 დეკემბერს უმაღლესმა საბჭომ პრეზიდენტ ვილსონისაგან ტელეგრაფით მიიღო ცნობა, რომ კონგრესსის ნება-რთვის უქონლობის გამო, შეერთებულ შტატებს არ შეუძლია სომხეთს დაეხმაროს ჯარით ან მატერიალური საშვალებით. ვილსონი მხოლოდ აღუთქვამდა თ ა ვ ი ს პირად შუამდგომლობას—თავისი წარმომადგენელის საშვალებით—სომხეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების შესაწყვეტათ, იმ პირობით, რომ დიდი სახელმწიფოები დიპლომატიურსა და მორალურ დახმარებას გაუწევენ, და ერთა ლიგა უჩვენებს, თუ ვის და რა გზით მიმართოს შემრიგებელი წინადადებებით. ამავე დროს ლიგას მოუვიდა ესპანიისა და ბრაზილიისაგან გულკეთილი შემწეობის წინადადებები. არავის იქვს არ იწვეედა, რომ ეს მიწერ-მოწერა და პროცედურა უიმედოა. *)

ენენევაში იყვნენ ისეთი პირებიც, რომელთაც სერიოზულათ უნდოდათ სომხეთს დახმარებოდენ. მათ წინამძღოლათ ითვლებოდა

---

*) პირველი საერთო კრების ჟურნალ-დღიურში და მისთვის დაბეჭდილ საბუთებში მოიპოვება ყველა დეპეშა და მასალები შესახებ სომხეთის დახმარებისათვის ერთა ლიგის მიერ გაწეულ სავალალო ცდების ისტორიისა.

კერძოთ იხ. Soc. des Nat. Situation en Arménie Tel. reçus et envoyés par le Conseil. გარდა აღნიშნულ Journal de la première Assemlèe de la S. d. N (სულ 36 №-№) არსებობს სხდომების ანგარიშები.

რ. სესილი. ნანსენმა კიდეც სცადა, საერთო კრებაში დაესვა კითხვა სამხედრო ექსპედიციის გაგზავნის შესახებ. მისი სიტყვით საჭირო იყო მ ხ ო ლ ო დ 60.000 კაცი და ამდენი და ამდენი გირვ. სტერლინგი! ამ აზრს განვითარება არ ღირსებია; და რ. სესილსა და ბელგიელ სენატორის ლაფონტენის წინადადებით არჩეულმა სპეციალურმა კომისიამ *) ვერ მოახერხა, გამოენახა პრაქტიკული საშვალება დავაში ჩარევისა, რომელშიაც ეხლა საბჭოთა რუსეთსაც ეჭირა განსაკუთრებული მდგომარეობა.

ნანსენთან ჩვენს ერთ-ერთ ბაასის დროს ლაპარაკი ჩამოვარდა, რა განწყობილება არის მოსალოდნელი საქართველოს მთავრობის მხრით საკითხისადმი, თუ სომხეთს მართლაც გაუწიეს დახმარება. ხოლო 26 ნოემბერს სომხეთის საქმეების „ექვსთა კომისიის“ მდივანმა ლუიჯი ვილლარიმ (ცნობილმა იტალიელმა ჟურნალისტმა) შეგვატყობინა, რომ მეორე დღეს ჩვენთან სადარბაზოდ მოვა ინგლისის გენერალი სერი ფრედერიკ მორისი **), რომელსაც „სურს მოგველაპარაკოს ამიერ-კავკასიის შესახებ ზოგიერთ კითხვებზე“. გენერალი, ვილლარის თანხლებით, მოვიდა ჩვენთან Gd Hotel de la Paix-ში და ლორდ რობერტ სესილის სახელით დაგვეკითხა, მისცემს თუ არა საქართველოს მთავრობა ერთა ლიგას საშვალებას დახმარება გაუწიოს სომხეთს საქართველოდან? ასე ვთქვათ, იქნება თუ არა ამ საქმისათვის გაღებული კარი საქართველოში?

ჩემი პასუხი იყო, რომ საქართველოს მთავრობა ყოველთვის, რამდენათაც კი შეეძლო, დახმარებას უწევდა სომხებს მათი უბედურების დროს; ეხლაც ერთა ლიგას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ საქართველო ყოველგვარათ ხელს შეუწყობს ლიგის ჰუმანურ

*) ლიგის საერთო კრებამ 22 ნოემბრის სხდომაზე მიიღო ო რ ი წინადადება: ბ. ვივიანის, ლიგის საბჭოს მისცემოდა დავალება მოეძებნა სომხეთისა და „ქემალისტებს“ შორის სახელმწიფო-შუამავალი (იხ. ზემოთ ტექსტში) და ლორდ რ. სესილისა და ლაფონტენის, აერჩიათ კომისია 6 კაცისაგან შემდგარი, რომელიც მოახსენებდა საერთო კრებას „იმ ზომების შესახებ, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს, სომხეთსა და ქემალისტებს შორის სამტრო მოქმედების შეწყვეტის მიზნით“. ამ „ექვსთა კომისიის“ ამოცანა, ამგვარათ, იყო ბევრათ უფრო ფართო, ვიდრე სიბჭოზე დაკისრებული ამოცანა. კომისიაში შევიდა: ლორდი რობერტ სესილი, ნანსენი, ბელგიის სენატორი ლაფონტენი, არგენტინის მინისტრი პერრედონი (Pueyrredon), იტალიის მინისტრი შანცერი და რ. ვივიანი.

**) მწერლობაშიაც მოღვაწეობდა.

დახმარებას სომხეთის ტანჯულ მოსახლეობისადმი (სურსათი, ლტოლვილნი, ობლები, საექიმო დახმარება, და სხვა). თუ საქმე სამხედრო დახმარებას, თუნდაც დაფარულს, შეეხო, მაშინ საქართველომ კითხვა უნდა განიხილოს, როგორც რუსეთისა და ოსმალეთის მიმართ ნეიტრალურმა ქვეყანამ.

,,თუ ერთა ლიგა უზრუნველგყოფთ ,,ქემალისტების'' ბათომზე თავდასხმის საფრთხისაგან?''—იკითხა გენერალმა.

,,ეს ძლიერ კარგი იქნებოდა. მაგრამ საქმე მარტო ბათომს არ შეეხება—კითხვა უფრო რთული და ფართოა''.

შემდეგ მუსაიფში სერ ფ. მორისმა შენიშნა. რომ ამ საქმეში ლიგის ხელის შეწყობა საქართველოს გაუადვილებს ლიგის წევრათ შესვლას.

მე უპასუხე, რომ საქართველო თავის მოვალეობას (იმ ფარგლებში, რომელნიც არ წარმოადგენენ ქვეყნისათვის საფრთხეს) დატანჯულ მეზობლისადმი შეასრულებს იმის და მიუხედავათ, მიიღებენ მას ლიგაში თუ არა.

მაგრამ, რადგან ასეთი კითხვების შესახებ ლაპარაკის რწმუნებულება მე არ მქონდა, მე დასასრულ განუცხადე გენერალს, რომ ამ კითხვების გადაწყვეტა ყველაზე უკეთ შეიძლება ლონდონში, სადაც სწორეთ იმ დროს მიმდინარეობდა ,,დიდი მოკავშირეების'' მორიგი კონფერენცია, და სადაც იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი.

როგორც ამ ახირებული მუსაიფიდან სჩანს, სომხეთის საქმეებზე მზრუნველათ ასსამბლეის მიერ არჩეულ კომისიას კიდევ ჰქონდა იმედი, რომ შესაძლებელია სომხეთისთვის მოეწყოს სამხედრო დახმარება, თუნდაც ,,გარიბალდის'' წესით. მაგრამ გარეშე სამი დიდი სახელმწიფოსა, რომელნიც ლონდონში თათბირობდენ, და შეერთებული შტატების გარეშე (1 დეკემბრის მათი პასუხი უდრიდა უარს) ლიგა უმწეო იყო; იგი უმწეო გამოდგა, რადგან სახელმწიფოებმა სომხეთის სასარგებლოთ საქმეში ჩარევა, შეუძლებლად ჩასთვალეს; კერძოდ, გადაწყდა სომხეთისთვის უარი ეთქვათ ლიგაში მიღებაზედაც, რაც მორალურ დახმარებაზე უარის თქმას უდრიდა, და რამაც ძლიერ გააკვირვა სომხეთის მეგობართა მრავალრიცხოვანი წრე ევროპაში.

ამ ამბების გამო მაგონდება კიდევ ერთი შემთხვევა: 4 დეკემბერს ჩვენ გვეწვია ბელგიის დელეგატი, „ექვსთა კომისიის“ თავმჯდომარე, სენატორი—სოციალისტი ლაფონტენი. მან აღელვებით

განაცხადა: ,,სომხების დელეგატებმა შემატყობინეს, რომ საქართველოს ჯარებმა დაიკავეს ნეიტრალური ზოლი ბორჩალოს მაზრაში და ძირითად სომხეთშიაც კი შეიჭრენ. მე—თქვენი მეგობარი ვარ, მაგრამ თუ ეს ამბავი მართალია, მე უნდა გამოვიდე საქართველოს ლიგაში მიღების წინააღმდეგ!'' რადგან არ მქონდა გარკვეული ცნობა ნეიტრალური ზოლის სომხეთთან (ე. ი. უკვე დაცემულ მთავრობასთან) შეთანხმებით საქართველოს მთავრობის მიერ დაკავების შესახებ, მე ვცდილობდი დამემშვიდებია პატივცემული სენატორი, როგორათაც კი შემეძლო *). ლიგაში სომხეთის მიღება მისთვის უეჭველი რამ იყო. როცა ჩემგან გაიგო, რომ საფრანგეთმა და ინგლისმა ეს კითხვა უარყოფით გადასწყვიტეს, ლაფონტენი ისე აღელდა, რომ სრულიად დაავიწყდა საქართველოს ჯარების მიერ სომხეთის ტერრიტორიის დაკავება და აღშფოთებას გამოსთქვამდა დიდ სახელმწიფოების მიმართ.

ეს სახელმწიფოები კი, მართალი რომ ვთქვათ, ჩავარდენ ისეთს მდგომარეობაში, რომელიც ნაკლებათ შეეფერებოდა მათ ,,სიდიადეს''. ბრიტანიის მთავარმა დელეგატმა ბალფურმა თავის სიტყვაში 22 ნოემბერს ხმა-მაღლა გამოაცხადა მუსტაფა-ქემალი ,,შეკავშირებულ უაჩაღთა ბრბოის მეთაურათ", რომელთანაც „რა შუამავლობა უნდა შეიძლებოდეს''! ერთი სიტყვით, ინგლისს თითქოს ეს ამბავი აღარ ეხებოდა. საფრანგეთსა და იტალიას კი არავითარი სურვილი არ ჰქონდათ დაეცვათ სევრის ხელშეკრულება, განსაკუთრებით ,,სომხეთის შესახებ'' ნაწილში—პირიქით.

პრეზიდენტმა ვილსონმა სწორეთ ეხლა—1920 წლის 22 ნოემბერს—მოხაზა სომხეთის საზღვარი ტრაპიზონის, ერზერუმის, ბითლისისა და ვანის ვილაჰიეტებში; მაგრამ ეს იყო მისი საკუთარი ძღვენი, ახლო-აღმოსავლეთის გეოგრაფიაში შეტანილი! საქმით ოსმალოები ისხდენ ყარსსა და ალექსანდროპოლში; სომხეთის კითხვა ეხლა გადავიდა ყოფილ რუსეთის სომხეთში, და რუსეთის ჩარევამ ოსმალეთ-სომხეთის დავაში მიიღო პრაქტიკული მნიშვნელობა არა მარტო იმიტომ, რომ რუსეთის მეზობლათ, აზერბაიჯანში, ჰყავდა თავისი ჯარი, არამედ იმიტომაც, რომ სევრის ტრაქტატის პოლიტიკამ შექმნა სიმპატიები მოსკოვსა და ანგორას შუა, და აქედან მოსალოდნელი იყო, რომ სომხეთს იმედი მიეცემოდა რუსეთის დახმარებისა.

---

*) თვით ამ ახალ „ბორჩალოს ისტორიას" შეიძლება აქ არც კი შევეხოთ.

ამგვარათ, მუდროსის კაპიტულიაციის შემდეგ, ოსმალოები დაბრუნდნენ ყარსში: ბრესტ-ლიტოვსკმა სავსებით გაიმარჯვა სევრზე!

შუამავლის როლი რუსეთმა თავის თავზე მიიღო, რაც ჩიჩერინმა ტელეგრაფით შეატყობინა კრასინს ლონდონში 11 ნოემბერს სწორედ იმ დროს, როცა დიდმა სახელმწიფოებმა აღარ იცოდენ რა ექნათ სომხეთისთვის; ამ ამბავმა ზოგიერთ სახელმწიფოს აგრძნობინა ტვირთის შემსუბუქება, რასაც თან ერთვოდა იმედი, რომ „საბჭოთა იმპერიალიზმი“ უეჭველად შეეტაკება, თუნდაც ყარსის გამო, მუსტაფა-ქემალის „ნაციონალიზმს“,—ეს კი სევრის პროგრამას დიდ სარგებლობას მოუტანდა. ასეთი იმედი არ გამართლდა. მაგრამ საომარი მოქმედება ოსმალეთსა და სომხეთს შორის მართლაც შეწყდა (ოსმალოებმა წაიღეს ყველაფერი, რასაც იჩემებდენ). ერევნის რესპუბლიკა დაუბრუნდა რუსეთის პოლიტიკის კალაპოტს —ეხლა უკვე „ნამგლისა და ჩაქუჩის“ ნიშნით. რუსეთის დახმარების იმედი ისეთივე ამაო გამოდგა, როგორც ამერიკისა და ინგლის-საფრანგეთის დაპირებების შესრულების რწმენა.

ასეთი აუცილებელი შედეგები იქონია პოლიტიკურმა თავდავიწყებამ, რომელიც სომხეთს უკარნახებდა ტერრიტორიალურ მოთხოვნილებებს, განზრახულ მიზნებსა და საკუთარ ძალთა შორის შეუსაბამობამ და მოვლენებისა და გარემოების დაფასებაში საბედისწერო სიბეცემ.

## თავი ოცდამეთოთხმეტე.

## საქართველოს DE IURE ცნობა.

89

1920 წლის დასაწყისში ყოფილი რუსეთის განაპირა ადგილების დამოუკიდებლობის ფორმალური ცნობის კითხვა ე. ი. დამოუკიდებლათ გამხდარ ესტონიის, ლიტვის, ლატვიის და საქართველოს რესპუბლიკების ცნობა საკმაოთ მომზადებული შეიქნა, არა მარტო ამ ქვეყნებში დაარსებულ მთავრობების სიმტკიცისა და წარმატებით მოქმედების გამო, არამედ იმედის დაკარგვითაც, რომ რუსეთში საბჭოთა წეს-წყობილება მალე დაეცემა და მის მაგიერ იქ[1] გაიმარჯვებს ძალა, რომელსაც შეეძლება უკანვე „მოითხოვოს“ ეს განაპირები, როგორც ვითომცდა კანონიერი საკუთრება.

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ წინანდებურის შეურხეველობით იმ შეხედულობას იზიარებდა, რომ საჭიროა დაცულ იქმნეს რუსეთის მთლიანობა. ნოტაში, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და რომელიც შეიცავდა რომში ამერიკის ელჩის კითხვის პასუხს (აგვისტო 1920 წ.), სახელმწიფო მდივანი ბენბრიჯ კოლბი ამბობდა, რომ მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობათა გამო აუცილებლათ უნდა იქნეს გადადებული ყველა გადაწყვეტილება, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძლება ექნეთ რუსეთისათვის, კერძოთ, ყველა გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერრიტორიალურ სუვერენიტეტს. აი რატომ არისო, ამბობდა ნოტა, რომ ამერიკის მთავრობა ჯიუტათ უარს ამბობს იცნოს ბალტიის სახელმწიფოები რუსეთისაგან დამოუკიდებელ ცალკე ერებათ. გამონაკლისს ამერიკის მთავრო-

ბა აკეთებს მხოლოდ ფინლანდიის; ეტნოგრაფიული პოლონეთისა და სომხეთის შესახებ. *)

„გამონაკლისებზე“ ლაპარაკით ამერიკის მთავრობამ, რა თქმა უნდა, შეარყია თავისი თვალსაზრისის სიმტკიცე, ბაგრამ საერთოდ ასეთი შეხედულება ევროპის საერთაშორისო პოლიტიკის განვითარებაზე ჩამორჩენილი იყო, და როგორც სიტყვებს პრეზიდენტ ვილსონის მთავრობისას, რომელსაც უთავდებოდა რწმუნებულობის ვადა, აღარ ჰქონდა ყოფილი ავტორიტეტი.

პოლონეთისა და რუსეთის გამიჯვნა სრულიადაც არ მომხდარა ეროვნული საზღვრით. ეს ახალი საზღვარი-რიგის ზავის საზღვარი-ღებულობდა დიდ მნიშვნელობას როგორც ხაზი, რომელიც ჰყოფდა საბჭოთა დიქტატურისა და კლასსობრივი ტერორორის სფეროს, კერძო საკუთრებისა და წარმომადგენლობითი წყობილების მომხრე ქვეყნებიდან. ამ საზღვრის მარცხენა ფრთაზე უდიდეს მნიშვნელობას ღებულობდა ბალტიის სახელმწიფოთა ჯგუფი; მისი გაურკვეველ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელი იყო, თუნდაც ზემოთ დასახელებულ ხაზის სიმტკიცისათვის, რომ არაფერი ვთქვათ ოდესღაც გაგერმანელებულ ბალტიის მხარეში დაბანდულ ინტერესებისა და იქ ვერსალის ხელშეკრულების შესრულების შესახებ, ან და ბალტიის ზღვაში საზღვაო ინტერესებზე. ბესსარაბიაზე რუმინიის ხელისუფლების მოსალოდნელ ცნობასთან ერთად (1923 წ.)—იმავე ხაზის მარჯვენა ფრთაზე-აქ იქმნებოდა ახალი ევროპის ერთი იშვიათი „არხიტექტურული ანსამბლი“, რომელიც წარმოადგენდა აზრის

*) ამერიკის ნოტაში ერთგვარის აგდებით ნახსენები არ ან „ეგრედ წოდებული რესპუბლიკები აზერბაიჯანისა და საქართველოსა“. დიდ სახელმწიფოთა მთავრობების წინაშე წარდგენილ მემორანდუმში საქართველოს დელეგაციამ ამ შემთხვევის გამო მისცა განმარტება, რომ „საქართველოს მთავრობამ მიიღო ხელისუფლება წარმომადგენლობითი ყრილობიდან, რომელიც იყო რეგულიარულათ არჩეული მთელი მოსახლეობის საყოველთაო კენჭის-ყრით; ყველა საჯარო თავისუფლება, მათ შორის ბეჭდის თავისუფლება უზრუნველყოფილია საქართველოში: მართლმსაჯულება, ადგილობრივი თვითმმართველობა, ნაციონალურ უმცირესობათა პრივილეგიები იქ მოწესრიგებულია ფართო ლიბერალურ საფუძვლებზე; ერთის სიტყვით, ყველაფერი, რის უკონლოდ აყვედრიან რუსეთის საბჭოთა რეჟიმს სავსებით განხორციელებულია საქართველოს დაწესებულებებში. ყველგან, მთელ ქვეყანაში ის ფორმა და სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელნიც მოქმედებენ საქართველოში, ცნობილია, როგორც რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ნ უ რ ი. იხ. 1920 წელს ერთა ლიგისადმი საქართველოს შესახებ წარდგენილი საბუთების კრებული. Documents etc. p. 56).

ერთგვარ მთლიანობას და რომლის ღირებულება და სიმტკიცე დამოკიდებულია საერთოდ თვით ამ „ახალ ევროპის“ ღირებულებიდან.

მეორეს მხრით, ინგლის-რუსეთის შეთანხმების 1921 წლის დამდეგს მოსალოდნელი ხელის მოწერა, აიძულებდა სახელმწეფოებს დაეჩქარებიათ, წინასწარ ეცნოთ ახალი რესპუბლიკები, რომელთაც გადაიტანეს 1917—1921 წლების ყველა ქარიშხალი.

ბალტიის ახალ სახელმწიფოებთან ერთად საქართველოს მდგომარეობა იყო თავისებური. ისიც გამოდიოდა კავკასიის შესაძლებელ „ანსამბლის“ ნაწილათ, რომელსაც უნდა დაეფარა ანატოლია და სპარსეთი „სარმატთა ველების“ გრიგალისაგან. ევროპის დიდი კონცერტის არევამ და სპეციალურათ კავკასიის კონცერტის უთანხმოებამ დაშალა ის, რაც ერთ დროს შესაძლებლათ სჩანდა. დაბრკოლება მრავალი იყო; მათ დასაძლევათ ადგილობრივმა ენერგიამ არ იკმარა; „მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს“ კი არც ღონე ჰქონდა და არც სურვილი განსაზღრულ მერიდიანის უფრო აღმოსავლეთით გაეკეთებია რამე, ან მხურვალეთ დახმარებოდა ასეთს კეთებას.

კავკასიის რესპუბლიკებიდან მხოლოდ საქართველომ მიაღწია de jure ცნობის დღეს. მთიულთა რესპუბლიკა ფაქტიურათაც არ ყოფილა ცნობილი. აზერბაიჯანი და სომხეთი ეზიარენ კომმუნიზმის მადლს, იცხეს საბჭოთა მირონი, და ევროპის თვალსაზრისით 1920 წელს წყობიდან გამოვიდენ.

საქართველოს, რომელიც საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ფორმალურათ იყო ცნობილი (7 მაისის 1920 წლის ხელშეკრულება) და რომელმაც 16 ნოემბერს რუსეთთან და აზერბაიჯანთან დადვა ხელშეკრულება ტრანზიტის შესახებ, რაიც უკანასკნელებს საშვალებას აძლევდა ბათომში თავისუფლად ვაჭრობისას, თითქოს არაფერი ემუქრემოდა. ჟენევაში საქართველოს ლიგაში მიღების ყველა მომხრე სწორეთ 7 მაისის ხელშეკრულებასა და მოსკოვის მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას ეყრდნობოდა, როგორც ძლიერ საბუთს, რომ საქართველო უნდა იქმნეს ერთა ლიგაში მიღებული. უფრო გამოცდილნი იქვით აქნევდენ თავს („და მაინც რომ თავს დაესხენ... მაშინ?“).

საერთოდ ჟენევაში ყველა იმ აზრს იზიარებდა, რომ საჭიროა სასწრაფოთ იყოს ცნობილი de jure ოთხი რესპუბლიკა, რაშაც თავის მხრით ხელი შეუწყო ამ ცნობის დაჩქარებას.

ეს მოხდა დიდი სახელმწიფოების მორიგ კონფერენციაზე 26 იანვარს 1921 წელს, პარიზში. ესტონია და ლატვია სავსებით და უპირობოთ იცნეს de jure დამოუკიდებლათ. ლიტვის შესახებ კითხვა (პრინციპიალურათ დადებითი) გადადებულ იქმნა, სანამ ეროთა ლიგა გადაწყვეტდა ვილნოს კითხვას. რაც შეეხება საქართველოს „კონფერენცია“ 27 იანვარს გაზეთში გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობის მიხედვით, სავსებით კეთილგანწყობილათ შეხვდა საქართველოს იურიდიულათ ცნობას, თუ საქართველო შემოიტანს ფორმალურ თხოვნას. ამის შესახებ დაუყონებლივ შეეკითხებიან საქართველოს წარმომადგენელს პარიზში“.

„თუ საქართველო ფორმალურათ შემოიტანს თხოვნას“... ეს წინადადება (გაზეთ Times-ის შენიშვნით გულუბრყვილო) ჩამაფიქრებელი იყო. 1919—1920 წლის განმავლობაში აღძვრა და განმეორება შუამდგომლობისა de jure ცნობის შესასებ შეადგენდა ჩვენი პარიზში მყოფი დელეგაციის უმთავრეს საქმეს. 1920 წლის დამლევს გეგეჭკორი განაგრძობდა ამავე მუშაობას.

27 იანვარს საქართველოს მისსიის ბინაზე იგი ვნახე ისეთივე განცვიფრებული, როგორც ვიყავი მე. ბუნდოვანათ იყო საგრძნობი, რომ ფორმალურ ცნობაში იმალებოდა რაღაც საშიშროება საქართველოსთვის, ყოველ შემთხვევაში იმის ან იმათ თვალში, ვისაც აზრი გამოიხატებოდა კონფერენციის ცნობებში. კითხვა მაინც სასწრაფოთ უნდა გადაგვეწყვიტა; აღგვეძრა თუ არ აღგვეძრა ასეთი „ფორმალური თხოვნა“? ყოყმანს რა თქმა უნდა, ადგილი არ ექნებოდა: არ ცნობა, ან და ცნობის გადადება არ გვიხსნიდა საფრთხისაგან, ხოლო ფორმალური ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა, ყოველ შემთხვევაში იქნებოდა ფასდასადები მიღწევა. გეგეჭკორმა მაშინვე გაუგზავნა უმაღლესს საბჭოს „ფორმალური თხოვნა“ და დიდ სახელმწიფოთა მიერ დადგენილ იქმნა იურიდიული ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა იმავე დღეს ე. ი. 27 იანვარს 1921 წელს (14 იანვარი ძველ. სტილ. მოციქულთა სწორის, წმ. ნინოს დღე— ეროვნული უქმი ქრისტიანულ საქართველოისა), რის შესახებ გეგეჭკორმა მიიღო კონფერენციის თავმჯდომარის არისტიდ ბრიანის ხელმოწერილი ქაღალდი.

როცა 1920 წლის დამდეგს ლორდ კერზონის წინადადებით კავკასიის სამი რესპუბლიკა de facto დამოუკიდებლათ იყო ცნო-

ბილი, ამ ცნობასთან დაკავშირებული იყო განსაზღრული პოლიტიკური გეგმა, რომელიც დაწვრილებით ზემოთ მოყვანილ მიზეზების გამო არ განხორციელდა. ეხლა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე ფორმალურათ მთავრდება ლლოჰიდ ჯორჯი (ზემოთ მოყვანილი შენიშვნა: „თუ შემოიტანს“... და სხვა კონფერენციას ურჩია ინგლისის პრემიერმა) განსაკუთრებულის მზრუნველობით ცდილობს მოიმზადოს პოზიცია, რომ, თუ საჭიროება მოითხოვს, რასაც ის შესაძლებლათ სთვლის ან მოელის, უთხრას საქართველოს: vous l'avez voulu George Dandin!

არსებობს გადმოცემა, რომლის სისწორის შემოწმება ძნელია, მაგრამ რომელიც ცხადჰყოფს იმასაც რაც ზემოთ არის ნათქვამი და რაც შემდეგ მოხდა, თითქოს ლონდონში მოლაპარაკების დროს, კრასინს შეამჩნევინეს, რომ ბაქოს ნავთი, დახლზე გადმოდებული მისი უმთავრესი საქონელი, ძლიერ ჰკარგავს ფასს, თუ სრულ განკარგულებაში არ ექნება ნავთსადენი და ბათომი. ამავე დროს—წინააღმდეგ წინანდელი (ლორდ კერზონის) პოლიტიკისა, და თანახმად ლლოჰიდ ჯორჯის გამარჯვებულ პოლიტიკურ განზრახვებისა, ინგლისმა იწყო გამომჟღავნება, რომ მას პოლიტიკურათ არ აინტერესებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები. ძნელი არ იყო დასკვნა გამოეყვანათ, რომ საჭიროა „საქონლის“ შეკეთება. დასკვნას მოჰყვა მოქმედება, რომელსაც, რა თქმა უნდა, ამოძრავებდა სხვა ყველასათვის ცნობილი მისწრაფებებიც.

de jure ცნობით დაგვირგვინდა და ფორმალურათ დამთავრდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ევროპაში მისი ინტერესების დაცვისათვის მუშაობა.

## 90

ცნობის შემდეგ საქართველოს მთავრობას საშვალება მიეცა რეგულიარული დიპლომატიური წარმომადგენლობა მოეწყო ევროპის დედა-ქალაქებში, და დააჩქარა უმთავრესს სახელმწიფოებში ელჩათ დაენიშნა აკაკი ჩხენკელი, რომელიც 1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებში პარიზში ჩამოვიდა, და 20 თებერვალს უკვე დაჩოქილი გვირგვინს ადებდა გამარჯვების თაღთან „უცნობი ჯარის-კაცის“ საფლავს.

ამ დროს დაიწყო ტელეგრამებმა მოსვლა წითელ რაზმებთან, განსაკუთრებით საქართველოს სამხრეთ საზღვარზე, შეტაკებების შესახებ. 1920 წლის უკანასკნელ თვეებში და შემდეგაც არა ერთხელ მოვიდა ცნობა ბათომის, თფილისის დაცემაზე და სხვა—ეს იყო მოახლოვებულ ამბების თითქოს წინ ნასროლი ჩრდილი. ეხლა, 20-სა და 21 თებერვალს, სიტყვა ეხებოდა ნამდვილ ფაქტებს. ცოტა უფრო გვიან, მოვიდა ცნობა თფილისთან ქართველების გამარჯვეებისა და თითქმის ერთდა იმავე დროს ცნობა ართვინისა და ბათომის ოსმალოთაგან დაჭერის გადაწყვეტილების შესახებ. ეს იყო ,,ტაქტიური'' გარს შემოვლა საქართველოისა, მას შემდეგ, რაც პოლიტიკურათ იგი გარიყული და შიგნით მოუმზადებელი შეიქმნა.

25 თებერვალს 1925 წელს საქართველოს ელჩი, მესტუმრეთ-უხუცესის თანხლებით, ელისეს სასახლის ეტლში, ზეიმით გაემგზავრა, ცხენოსანი საპატიო რაზმით გარს შემორტყმული, საქართველოს მისსიის ბინიდან საფრანგეთის პრეზიდენტის სასახლისაკენ, რომ მიერთმია ბ. მილიერანისათვის რწმუნების სიგელი.

საელჩოს წინ, ხალხში გარეული, მე უცქერდი პარიზისთვის ჩვეულებრივსა, და საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვან სანახაობას, ვიმეორებდი ჩემს ,,აწ განმისვენეს''... მაგონდებოდა, თუ ორასი წლის წინათ, მეფე ვახტანგ მე-VI-ის ელჩი, თავადი საბა-სულხან ორბელიანი, ლიუდოვიკ მე-XIV-ეს მიერ ვერსალის სასახლეში მიღებული, როგორ გამოითხოვდა საქართველოსთვის დახმარებას. *) მის ცდას არ გამოუღია ნაყოფი: მზე-მეფე (მზე თითქმის უკვე ჩასული) სრულიად უძლიერი გამოდგა რაიმე გაეკეთებია.

იმავე დღეს, 25 თებერვალს 1921 წ., საბჭოთა ჯარები შედიოდენ თფილისში; წინ მიუძღოდა წითელი ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველ - კომისართაგანი. მას გვერ-

---

*) ეს მოხდა 1714 წლის მაისში. ორბელიანის მიერ წარმოთქმული „კომპლიმენტი" დაბეჭდილია Nouveau Journal Asiatique-ში T. IX P. 1832. იქვეა სხვა ცნობები მის მისსიაზე. საბა-სულხანი—ცნობილი ქართველი მწერალი და ლექსიკოგრაფი—გარდაიცვალა მოსკოვში. სხვადასხვა „ორიენტაციების" ცვალებადობამ აიძულა მრავალი ქართველი თავშესაფარი რუსეთში ეძებნათ; ეხლა ზოთ უხდებათ რუსეთისაგან სადმე თავი დაიფარონ.

დით უხილავათ მოჰყვებოდა, გაძვალტყავებულ ჯახრიკაზე, ძონ-ძებში გახვეული ჩონჩხი, და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი.

საქართველოს დემოკრატიის მთავრობა გაიქცა ევროპაში მას შემდეგ, რაც ეროვნული კატასტროფით დაამთავრა მოღვაწეობა იმ ქვეყანაში, რომელმაც მას ყველაფერი ანდო, რომელიც მას ერწმუნა სავსებით.

მაგრამ მეხსიერება დაშორდეს პიროვნებებს; დავიწყების ფერფ-ლით დაიფარება მათი შეცდომები... ცოცხალის წყლით ნასხურები აღსდგა ძველი საქართველო, და მისი ჩაკვლა შეუძლია მხოლოდ მი-სი შვილების სულმოკლეობას.

დასასრული.

# ს ა თ ა უ რ ი.


| | |
|---|---|
| | გვერდი |
| **საყურადღებო წიგნი—შ. ელიავა** | VII |
| Post-Scriptum, წინასიტყვაობის ნაცვლად . | 7 |
| შესავალი . . . . | 21 |
| თავი I. — რუსეთთან ერთად! | |
| 1. თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში . . . . . | 23 |
| 2. რუსეთის ფედერალიზმის ისტორიისათვის | 25 |
| 3. დროებითი მთავრობის დროს . | 26 |
| თავი II. — ქართ. კომიტეტი პეტროგრადში. | |
| 4. ოჯახური საქმეები | 30 |
| 5. სამხედრო საქმეები . . . . . | 31 |
| 6. ზოგი-რამ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შესახებ . | 33 |
| თავი III. — სანიტარული მატარებელი № 133. | |
| 7. მისი გამარჯვება | 36 |
| 8. გაჭირვება . . . | 38 |
| 9. დასვენება პიატიგორსკში | 43 |
| თავი IV. — კავკასიაში. | |
| 10. ისევ გზაზე . . . . . | 45 |
| 11. საქართველოს სამხედრო გზაზე . | 47 |
| 12. ტფილისში 1918 წლის გაზაფხულზე . | 48 |
| თავი V. — ბათომში ოსმალოებთან. | |
| 13. როგორ მოხდა . . . . . | 52 |
| 14. „დელეგატების“ მატარებლით | 56 |
| 15. გრძნობები და პიროვნებანი | 58 |
| თავი VI. — ბათომის კონფერენცია. | |
| 16. 11 მაისის სხდომა | 64 |

| | | |
|---|---|---|
| | | გვერდი |
| | 17. ოსმალეთის წინადადებები | 66 |
| | 18. როგორ მოვიქცეთ? | 67 |
| | 19. მელნით ომი . | 70 |
| თავი VII. | — ამიერ-კავკასიის დაშლა. | |
| | 20. ისტორიის მუხრუჭში | 73 |
| | 21. ბათომის დღიურიდან | 75 |
| | 22. რუსეთი სადღაა? . | 77 |
| თავი VIII. | ახალი გზა. | |
| | 23. საქართველოს დამოუკიდებლობა | 79 |
| | 24. გადაწყვეტის დღეები | 82 |
| თავი IX. | — გეზი გერმანიაზე. | |
| | 25. ბათომიდან ფოთში . . . . . | 90 |
| | 26. 28 მაისის 1918 წ. ფოთის შეთანხმება . | 92 |
| თავი X. | — Quo vadis Georgia? | |
| | 27. ფოთიდან ბერლინში | 98 |
| | 28. ჩვენი ამოცანები | 102 |
| თავი XI. | — ბერლინში 1918 წლის ზაფხულში. | |
| | 29. პირველი შეხვედრები . . | 106 |
| | 30. მიღწევები, დაბრკოლებანი . | 114 |
| თავი XII. | — ოსმალეთი ზეიმობს. | |
| | 31. 4 ივნისის 1918 წლის ბათომის აქტები | 124 |
| | 32. ბერლინში მათი ძირის გამოთხრა . . . . | 129 |
| | 33. სამკუთხედში: ბერლინი—მოსკოვი—კონსტანტინოპოლი . | 132 |
| თავი XIII. | — გერმანიის იმედით. | |
| | 34. „გერმანიის ორიენტაციის“ საფუძვლები . | 134 |
| | 35. „შავ-ქვაზე“ . . . . . | 139 |
| | 36. 1918 წლის 27 აგვისტოს გერმანია-რუსეთის შეთანხმება . | 144 |
| | 37. ოსმალეთის ხლართი | 147 |
| თავი XIV. | — სიფრთხილეს თავი არ სტკივა. | |
| | 38. ლუწი თუ კენტი? | 150 |
| | 39. ქრისტიანიაში . | 152 |

| | | |
|---|---|---|
| | | გვერდ. |
| თავი XV. — მოსახვევში. | | |
| | 40. თალაათ-ფაშა ბერლინში . . . . . | 158 |
| | 41. საქართველო - გერმანიის ხელშეკრულების გეგმა | 162 |
| | 42. გადატეხა | 165 |
| თავი XVI. — ნგრევის შუაში. | | |
| | 43. უკანასკნელ „ბალკანეთის მატარებლით“ . | 168 |
| | 44. კონსტანტინოპოლი, 1918 წ. ოქტომბერი | 173 |
| | 45. „შუა ევროპის“ ნანგრევებზე . | 187 |
| თავი XVII. — „გერმანიის ორიენტაციის“ დასასრული. | | |
| | 46. ბერლინში, ნოემბერი 1918 წ. | 196 |
| | 47. მუდროსის დროებითი ზავი | 199 |
| თავი XVIII. — გეზი დასავლეთზე! | | |
| | 48. ბერლინ-ლონდონი . . | 203 |
| | 49. ახალ ლიანდაგზე | 206 |
| თავი XIX. ძველი თემის ახალი ვარიაცია. | | |
| | 50. ამიერ-კავკასიის დავიდარაბა | 211 |
| | 51. დიდი სომხეთის გეგმა . . . | 215 |
| | 52. ბუფერული სახელმწიფოს თეორია | 217 |
| თავი XX. — ლონდონში პარიზის კონფერენციის წინა-დღით. | | |
| | 53. ევროპა და კავკასია . | 220 |
| | 54. ყალბი კანდელი | 222 |
| თავი XXI. — კონფერენციის მზეზე. | | |
| | 55. პირველი სიხარული . | 226 |
| | 56. პრინკიპო . . . | 229 |
| | 57. ჩხეიძე და წერეთელი | 231 |
| თავი XXII. რუსეთის აჩრდილი. | | |
| | 58. საქართველოს დელეგაცია პარიზში | 238 |
| | 59. ერთობლივი რუსეთი და განაპირები . . | 241 |

| | | |
|---|---|---|
| | | გვერდი |
| | 60. დიდი სახელმწიფოები და ერთობლივი რუსეთი | 243 |
| თავი XXII. — საქართველო და მოხალისეთა ლაშქარი. | | |
| | 61. ცუდ მშვიდობიანობიდან კეთილ შეტაკებამდე . . . . | 248 |
| | 62. „სადემარკაციო ხაზი“ . | 252 |
| თავი XXIV. — ინგლისი რუსეთსა და კავკასიის შუა. | | |
| | 63. ყველას თავისი . . . . . | 258 |
| | 64. ინტერნაციონალი და იმპერიალისტები . | 261 |
| თავი XXV. — სამი მეზობელი. | | |
| | 65. საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი . . . | 264 |
| | 66. ბორჩალოს კითხვა ინტერნაციონალის სამსჯავროს წინაშე | 268 |
| თავი XXVI.—მანდატარის (ხელმდებელის) ძებნაში. | | |
| | 67. მანდატი და დამოუკიდებლობა . | 271 |
| | 68. ინგლისი? . . | 276 |
| | 69. იტალია? | 278 |
| თავი XXVII. — ამერიკის მირაჟი. | | |
| | 70. იმედები და განზრახვები | 283 |
| | 71. გენერალ ხარბორდის მისსია | 287 |
| თავი XXIII. — წლის დასასრულს (1919). | | |
| | 72. უკანასკნელი იქვები . | 293 |
| | 73. ცნობის წინა-ღლით . | 295 |
| თავი XXIX. — „ფაქტიური“ ცნობა (იანვარი 1920 წ.) | | |
| | 74. უმაღლესი საბჭო და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები | 298 |

| | | |
|---|---|---|
| | | გვერდი |
| | 75. „წითელ“ საშიშროების წინაშე | 303 |
| | 76. მოხალისეთა ლაშქრის მიერ ცნობა . . | 308 |
| თავი XXX. — | უმაღლესი საბჭო ლონდონში. | |
| | 77. დიდი სახელმწიფოების „რუსული პოლიტიკა“ (თებერვალი-მარტი 1920 წ.) | 312 |
| | 78. სომხეთის საზღვრების კომისიაში . | 315 |
| | 79. ბრძოლა ბათომის გამო და სომხეთის ზღვაზე გასავალი გზა | 320 |
| | 80. მეზობელთა შორის | 324 |
| თავი XXXI. — | ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები და კონფერენცია სენ-რემოში. | |
| | 81. პარიზის წინასიტყვაობა . . | 328 |
| | 82. ინგლის-კავკასიის მოლაპარაკება და კავკასიის შეთანხმებულობის გამოცდა . | 336 |
| | 83. ბრიტანეთის გეგმის ჩაფუშვა . | 346 |
| თავი XXXII. — | ევროპის წასვლა და რუსეთის დაბრუნება. | |
| | 84. ბაქოს დაცემა; საქართველო-რუსეთის შეთანხმება . . . . | 349 |
| | 85. საქართველოს ბათომი და სევრის ხელშეკრულება . . | 354 |
| | 86. დასავლეთზე ოცნებები და აღმოსავლეთის სინამდვილე | 358 |
| თავი XXXIII. — | ერთა ლიგა ანუ „დასტოვეთ ყოველი იმედი“. | |
| | 87. „ხალხთა პირველ ასსამბლეაზე“ (ნოემბერ-დეკემბერი 1920 წ.) | 362 |
| | 88. სომხეთის დაცემა . | 370 |

| | |
|---|---|
| | გვერდი |
| თავი XXXIV. — საქართველოს de jure ცნობა (იანვარი 1921 წ.) | |
| 89. „აწ განუტევე მონა შენი“. | 376 |
| 90. საქართველოს დაცემა. | 380 |
| **ხათაური.** | 383 |
| **წიგნში დასახელებულ პირთა სია** | 389 |
| **შეცდომების გასწორება** | 400 |

# ვინ სად არის მოხსენებული.


აბაშიძე ივანე (კიტა) 27, 28
აბაშიძე ზია-ბეგი . . 149
აბდულ-აზიზი, სულთანი . . 178
ავალიშვილი ზურაბ VII-XIII 21, 118-9-20
ავგუსტოსი . . . 8
აგარონიანი ავეტისი . 175, 183, 268, 291, 317, 325-7-9, 330, 4, 340-1-5, 358
აგუერო . . . . 369
ალექსეევი გენერ. . 249, 250
ალლენბი გენერ. 159
ანდერსი კონ. 90
ანდრიულლი დ. . 281
ანდრონიკაშვილი თ-დი ი. მ.. 57
არნავონი 227
ახმეტელი ლადო . . . 98
აფხაზი თ-დი კონსტანტინე 298

ბალლეტი (Bullit) 229, 258
ბალფური ა. . . 204, 374
ბამმატი გაიდარ-ბეი 64-5, 174, 178
ბიჩი . . . . 250
ბაპსტი ედმონდი . 153-4-6, 203
ბარათოვი ნ. გენ. . 253
ბისმარკი . . 106, 167
ბერნშტეინი ერ. 110
ბენუა . . 35
ბეჟანიძე ახმეტ-ბეგი 92
ბარტოლდი . 35
ბიტტი ადმირალი 304 5-6

ბოდუენ დე კურტენე 26
ბრანტინგი . 367
ბრიანი არისტიდი 379
ბუტკოვი 127
ბუშე ფ. 115

გაბაშვილი XI
გაბბა პოლკ. . . . 279
გაჯიბეკოვი ჯეიხუნი . . . . 293
განჯინსკი მაჰომეტ-ჰასანი 56, 62, 77, 79
128, 293
განი კ. . . . 8, 114
გარდენი მაქსიმილიანი . 120
გვაზავა გიორგი . . 116, 124, 173
გვარჯალაძე კონსტანტინე . . . 343
გეგეჭკორი ევგენი . 49, 54-5, 71, 116-7, 197, 209,
213, 214, 233, 250, 265, 296, 300, 311, 359,
364, 373-9
გედევანიშვილი გენ. 265
გელლატი დ-რ . 26
გელოვანი ვარლამი 26, 27
გენდერსონი ა. . . . 269
გეპპერტი დ-რ . . 106, 110, 115, 141, 162, 198
გეპპერტი დ-რი უფროსი . 141
გენტიცენი პაული . . 352
გერტლინგი გრაფი ფონ. 109, 164
გესსენი ი. ვ. . . . 26
გინდენბურგი ფონი . . . 109, 167
გინცე ფონი 146, 156, 164, 173
გიუსმანსი კ. 269, 270, 359
გიტლერი . . 61
გლაზბერგი ნ. ბ. 35
გლაზენაპი ფონი . 114
გობეჩია იოსები . . 342-3-5
გოგიჩაიშვილი ფილიპე 351-9
გოგოლაშვილი იოსები . 91
გოლოვინი ფ. ა. . 28, 29
გოლუშევი . . . 180-1
ვრიბბინი პოლკოვნიკი 317

გრიგოლ ხანძელი 83
გრობერი . . 122
გუნეუსი ანტონიო 364
გუსტავ-ადოლფი 305

დავით ალმაშენებელი 9
დავიდ სოც.-დემოკრ. . . . . 107, 122
დენიკინი გენერ. . 241-3-7-8, 251-2-3-4-5-8, 261-4-5, 277, 286, 296-9, 300-9, 352
დენ პოლკოვ. 311
დოლჩი ანჯელო . . 185
დრაგომიროვი გენერ. 254
დუბროვინი ნ. . . 21
დუნსტერვილლი გენერალი 104

ეკატერინე მე-III-ე 127, 146
ენვერ-ფაშა 60, 148, 176
ენუქიძე აბელი . . 32
ერცბერგერი მ. 107
ესპერე დე გენერალი 191-3
ესსად-ფაშა . 114

ვაგნერი რიჰარდ 61
ვანდერველდე ე. 359
ვანდერველდე ქ-ნი , 359
ვანსიტტარტი რობერტი . 305, 317, 319, 329, 330, 331-2-3-4-6-7-8-9, 340-1-2
ვარანდიანი მიქაელი 268-9,270
ვახტანგ მეექვსე, მეფე 381
ვეიცი . 98
ვეზენდოკი ოტტო ფ. 61, 85, 98, 100, 110
ვეზენდოკი მატილდა . . . . . 61
ვეჰიბ-ფაშა . . . . . 60, 65, 71, 76, 87, 90, 114, 126, 128
ვერნერი დ-რი 122
ვესტარპი . 122
ვეშაპელი . . . . . XI
ვივიანი რენე . . 367, 372
ვიზიროვი ფარუხ-ბეგი 186

ვილლარი ლუიჯი 372
ვენეზილოსი . 365
ვილჰელმ მეორე 106, 108, 120, 166-7, 175, 187,195
ვილსონი პრეზ. 182, 252, 262, 273, 284, 287, 290, 326, 363, 371-4-7
ვილსონი, სერ გენრი 304-5-6
ვოლფი თეოდორე 120
ვორონცოვები 62
ვრანგელი გენ. 361

ზელინსკი 35
ზოკა-ედ-დაულე 366
ზოჰრაბი . 77
ზურაბოვი არშაკი 98

თალაათ-ფაშა 60, 158-9, 160-1-5, 172-3
თევფიკ-ფაშა 172, 179
თამარ 9, 47
თაყაიშვილი . XI
თოფჩიბაშევი 176, 247, 293, 302, 306, 329, 330-4, 345

იბნ-მისანი . 9
იზზეთ-ფაშა 175, 181-2-3
ირაკლი მეორე 126, 146
იოჰანნესი 110
იონესკუ თომა 365-7
იოფფე 107, 132, 146
იუდენიჩი, გენერალი 299

კალგუნა 241
კამინკა ა. ი. , 26
კამბონი ჟიული 302-3-6-10
კამბონი პოლი 227-8, 301
კამერერი . . 317,-8-9
კანდელაკი კონსტანტინე 351-9
კაროლიი 193
კარსავინი 35

კაჩაზნუნ რუბენი 56, 62, 88, 128
კაუცკი კარლოსი 359
კაუცკისა ქ-ნი . 259
კვინიტაძე გიორგი 85
კედია სპირიდონი 41, 114
კერენსკი ა. ფ. . 27
კერზონი ლორდი 301-6-8, 333, 342-4 355, 369, 379, 380
კერრი ფილიპე 302-3
კოანდა გენერალი 192
კობახიძე XI
კოლბი ბენბრიჯ 376
კოლტორპი არტური 200
კოლჩაკი, ადმირალი 241-3-4-5-6-7, 253-5, 280-1, 296, 299, 309
კორნილოვი 38
კ ო რ ი გენ. 251
კრასინი . 375, 380
კრუპპი ფრიდრიხი 140
კლემანსო ჟორჟი . 262, 286, 306-7
კრესს ფ.-კრესსენშტეინ, ბარონი 109, 116, 120, 144, 190, 198
კრიგე დ-რ 107-8, 110, 117-8-9-20, 145, 162, 167
კიულმანი რ. ფონი 106, 110-1-2, 120-3, 131-2-3, 144, 151, 173, 369

ლაბანდა პროფ. 112
ლაჯი (Lodge) სენატორი 202
ლაფონტენი სენატორი 372, 373-4
ლანგი უ. 304
ლერუა-ბოლიე . 62
ლედნიცკი ა. ი. 26
ლენბახი 106
ლენინი 9, 55
ლეისტი არტური 86
ლერმონტოვი 47
ლიმანი ფ. სანდერსი 109, 159

ლისტი პროფ. 145-6
ლლოჰიდ-ჯორჯი . 229, 230, 262, 299, 302-6-8, 313, 314-15, 355, 369, 380
ლონგე ჟანი . 269
ლოსსოვი ფ. გენ. . VIII, 61, 79, 80, 82, 86, 90, 92, 93, 96-7-8, 100-1, 106, 108-9-10, 114, 117, 120, 129, 175, 183, 185
ლიაცკი ე. ა. 35
ლიუდენდორფი . 61, 109-10, 120, 187
ლიუდოვიკო მეთოთხმეტე 381
ლორდი პროფ. . 245
ლუტკევიჩი დე 247
ლუშერი მინისტრი XII

მაგერამოვი მაჰომეტი 293, 302-6-7
მაზნიაშვილი გიორგი 250
მაკდონალდი რამზეი 269, 359
მაკინდერი გენერ. 300
მალვი 152
მალლეტი სერ-ლუისი 209, 277
მარრი აკადემ. 47
მაჩაბელი გიორგი თავ. 110, 112
მაჰუმუდ-ფაშა 179
მდივანი სისიკო XI, 214
მეხმანდაროვი გენერ. 265
მეჰიენდორფი ა. ბარონი 314
მეჰიეროვიცი 247
მეხტიევი მირ-იაკუბი 293
მილიერანი 381
მილლენი 365
მილნი გენერ. 260
მირბახი გრაფი . 78
მიტრიდატი ევპატორი 8
მონზი, დე 294
მონტენი . 16
მორისი, ფრედ. გენერ. 372-3
მორგილომანი 192

მუსსოლინი 282
მუსტაფა ქემალი 288, 356, 368, 370, 374-5
მუციუსი ფონი 156

ნაბი-ბეი 182
ნაბოკოვი ვ. დ. 29
ნანსენი ფ. 364-5-7-8, 372
ნარადუნგიანი გაბრიელი ეფენდი 332-4, 344-5
ნაუმანი ფ. . 107
ნიკოლაძე ნიკოლოზ XI,56, 62, 77, 82, 83-4, 86-7, 92, 98-9, 110, 112, 114, 116, 120, 134, 139, 143, 152, 160-1
ნიკოლოზ მეორე . 250
ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დიდი მთავარი 99, 211, 317
ნიკოლოზ მიხეილის ძე დიდი მთავარი 111
ნიტტი ფ. 281, 306
ნინო წმინდა 279
ნოლდე ბარ. ბ. ე. 33
ნორრეგორი ბ. . 157
ნუბარი ბოღოსი 215, 222, 327, 329, 330-2-4, 340-1-2-4
ნური-ფაშა 176
ნუსრეტ-ბეი 65, 91

ოვეიჰ ე. 154, 203
ოგანჯანიანი ამაზასპი 98, 161, 269
ოდიშელიძე ილია . 84, 86, 88, 116, 124, 128, 343
ოკსენშტიერნი გრ. აქსელი . 305
ორბელიანი საბა-სულხანი 235-6, 381
ორხან-ბეი 64, 126

პადერევსკი 367
პაიჰერი ფონი . 142
პაპაჯანოვი მიხეილი . 28, 128, 175
პელასიოსი . 365
პეპინოვი 83

პერევერზევი პ. 27
პერრედონი 372
პეტრე პატრი 185
პიიპი . 26
პიო პატრი . 175, 188
პიშონი ს. 156, 221, 229, 294-5
პოლიტისი ნ. 365
პოსკა 247
პრესნიაკოვი 35
პულლე 365

ჟორდანია ნოე . . 50, 55, 81-2-3-4, 88, 144, 172, 211, 214, 233, 260, 279, 352

რაგგი (Raggi) სალვაგო 279
რაიკროპტი გენერ. . 214
რამიშვილი ნოე XI, 88, 90-1-2, 124-5, 129, 214, 233, 250
რასულ-ზადე მაჰომეტ-ემინი . 56, 63, 128, 174, 177
რაუფ-ბეი 184, 199
რახმი-ბეი 184
რეი (Rea) პოლ. 296
რენოდელი პიერი 269, 359
რესტრეპო 366
რეშად-ხიკმეტი 182, 200
როზანოვი 64
როზენბერგი ფონი 106, 110, 115
რორბახი პ. 116
როსტოვცევი 35
რცხილაძე გრიგოლი 124

საბახტაოაშვილი კონსტანტინე 345
საგატელიანი გენ. გ. დ. 264
საზონოვი ს. დ. . 226
სანდერსი ლიმან ფონ 109, 159
საფიკურდსკი . . . 83
სესილი ლორდ-რობერტი 367-8, 372
სიდორენკო 247

სიმონსი დ-რ IX,110, 112-3
სნოუდენი ქ-ნი ე. 359
სპალაპიკოვიჩი 365
სოკოლოვი კ. ნ. 254
სომოვი . 35
სოლოვიოვი ვლადიმერი 238
სტოკსი პოლკ. 355
სტრუვე პ. ბ. . 22
სუმბათაშვილი მიხეილი თავ. 197, 365-7
სულკევიჩი 265
სურგულაძე პეტრე 83-4, 91

ტაკი-ზადე 107
ტევფიკ-ფაშა . . . 172, 179
ტემპერლეი (Temperley) 210
ტიგრანოვი, ლ. ფ. გენერ. 31-2
ტიგრანი, სომხეთის მეფე 56
ტისსა-გრაფი 189
ტისსენი ფრიცი 140
ტომსონი გენ. 259, 279
ტორრეტა მარკიზი 279, 302
ტუნდუტოვი თავ. 99, 106, 108
ტსან-ტსაჰი-ფუ 365

უორდროპი სერ ოლივერი . 154, 204-5, 253, 296, 301
უორდროპი მარჯორი 204
უსუბეკოვი ნასიბ-ბეი 83, 296

ფარმაკოვსკი . 35
ფარრუხი ეფენდი 160
ფერდინანდი ბულგარელი 169, 171
ფინდლეი სერ. მ. კ. 153-4-5-6, 203
ფიშერი . 365-8
ფოში . . . 152, 306
ფრანკენშტეინი ბარონ-ფონი 115
ფრიდრიხი, კრონ პრინცი 108

ქორქია ალექსანდრე . 30

ღამბაშიძე ვახტანგი . 90, 126
ღამბაშიძე დავითი 140, 204, 206, 209, 224, 232, 287, 355

ყორღანოვი გაბრიელი 84

შაგასი 366
შამილი . 178
შანცერი 372
შარდინიი პოლკ. 214, 317-8
შეიდემანი . 107
შეიხ-ულ-ისლამ-ზადე-აგბერი 293
შერვაშიძე კადირ ბეგი 149
შონაიხ-კაროლატი 122
შტეინი ბარ. ფონი 114, 140. 142
შულენბურგი გრაფი . 61, 65, 90-1-2
შულგინი ვ. 250

ჩერქეზიშვილი ალექსანდრე 30
ჩერმოევი აბდულ-მეჯიდ ბეი 64, 247
ჩერჩილი უ. 304-6
ჩიჩერინი სახ. კომ. 79, 375
ჩობანიანიანი არშაკი 345
ჩხეიძე ნიკოლოზი XI, 225, 228, 232-3-4-6, 240, 247, 268, 274-5-6-9, 306, 319, 329, 334-6, 340-1-3-4-5, 352-4-9
ჩხენკელი აკაკი VIII, XI, XII, 28, 46, 50, 55-6-7, 61-2-5, 71, 74, 76-7, 83-4-5-6, 88, 90-1-2-3, 98, 100, 107, 110, 114-5-6-7-8, 120, 142, 145, 152, 161-2, 164, 185-7, 197, 224, 262, 380-1

ცაგარელი პროფ. 236
ცელლი ენრიკო 281

წერეთელი ირაკლი X, 54, 225, 228, 232-3-4-5-7, 240, 255, 269, 274-6, 302-6-7, 359

წერეთელი მიხეილი 110, 112, 116, 122, 197

ჭავჭავაძე გარსევანი თ-დი 298
ჭავჭავაძე ილია თ-დი 298

ხალილ-ბეი 60, 64-5, 76, 87-8, 114, 125-6, 129
ხარბორდ გენ. 287-8-9-10
ხარლამოვი 28
ხასმამედოვი ხალილ ბეგი 83, 186
ხატისიანი ალექსანდრე 56, 62. 77, 88, 128, 296
ხაუზი (House) პოლკოვ. 252, 284
ხელთუფლიშვილი მ. 21
ხოისკი პატალი-ხანი 83
ხოშტარია აკაკი 40

ჯავახიშვილი ივანე 24
ჯაფარიძე XI
ჯაფაროვი მამედი 28, 83, 265
ჯემალ ფაშა 60, 76-7, 109
ჯულელი ვალიკო 51

ჰაეტესი 7, 9
ჰასკელი პოლკ. 285
ჰელმღოლცი 61
ჰერცენი 62

# შემჩნეული უმთავრესი შეცდომების გასწორება.

| გვერდი | სტრიქონი ზევიდან | სტრიქონი ქვევიდან | | უნდა იყოს |
|---|---|---|---|---|
| 9 | 21 | | | დაახლოვებით |
| 14 | 2 | | | კარაბაზე |
| 17 | 14 | | | კავკასიური რუსულ |
| ,, | 19 | | | სექ. |
| 24 | | 1 | | თავმჯდომარეთ |
| ,, | | 8 | | ასეთი |
| 25 | | 11 | | თათბირის |
| | | 16 | | შეიძლება |
| ,, | | 18-19 | | ნასკვის |
| 27 | | 9 | | რევოლიუციონური |
| ,, | | 11 | | წარმომადგენელი |
| 37 | | 4 | | საბჭოთა |
| 45 | | 16 | | ეშელონები |
| 48 | 13 | | | შემოტევის |
| 60 | | 8 | | დამპყრობელებს |
| 69 | 12 | | | შეექმნათ |
| ,, | 13 | | | საფუძვლები (წერტილი) |
| 70 | | 6 | | თქვენ |
| 75 | 17 და 18 შუა | | | 21 |
| 78 | | 4 | | მოსკოვში , (მძიმე) |
| ,, | | 12 | | მიმთვისებელია |
| 79 | 12 | | | კლიტე |
| 82 | | 7 და 8 შუა | | 24 |
| 87 | | 4 | | ბეისაგან |
| 88 | | 13-12 | | უხერხემალო, ვეებერთელა, რბილკანიანი. |

| გვერდი | სტრიქონი ზევიდან—ქვევიდან | | | უნდა იყოს |
|---|---|---|---|---|
| 91 | 5 | | | იურისკონსულტ» |
| 92 | 4 | | | ჩამოკიდებულ |
| 96 | | 10 | | კონფედერაცია, და ამ კონფედერაციაში |
| 98 | 3 და 4 შუა | | | 27 |
| 100 | | 9 | | შეაჩეჩოს |
| 103 | 5 | | | ბათომში. |
| ,, | 14 | | ალიარება | ცნობა |
| 106 | 2 | | იანვარი | ივნისი. |
| ,, | 2-3 | | გაშვებულია | 29 |
| 107 | 4 | | | დაეცემა |
| | 12 | | | ფ. ნაუმანი |
| ,, | 20 | | | იოფფე (წერტილი) |
| 108 | 7 | | | ტუნდუტოვი. |
| 109 | | 1 | | ინგლისელებისაგან |
| 110 | 3 | | | როგორ |
| | 17 | | | Deutsche |
| ,, | | 1 | | მინისტრი |
| 114 | | 21 | | მოსანელებელ |
| 115 | 4 | | | ბაქოსაგან |
| 116 | | 8 | | ოდიშელიძე |
| 117 | 6 | | არ | (!ამოაგდეთ!) |
| | 18 | | | დავიწყეთ |
| | 23 | | უფლებების | სამართლის |
| ,, | | 8 | | თავლიდან |
| 119 | | 2 | უფლება | სამართალი. |
| 126 | | 2 | არის, არის | არის |
| 127 | | 15 | | მუსლიმანთა |
| 128 | | 12 | | სომხეთიდან |
| 134 | | 14 | | დაბოლოვება |
| 147 | 7 | | | გაუსწრებ |
| 151 | 15 | | | თვალუწვდენ |
| 155 | | 7 | | აუცილებელი |
| 157 | | 3-4 | | სასწრაფოთ |
| 158 | 4 | | | ბერლინს |

| გვერდი | სტრიქონი ზევიდან—ქვევიდან | | დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|---|---|---|
| 168 | 9 | | | სამსახურს |
| ,, | 13-14 | | | რეშადის |
| 170 | 5 | | | ნიშიდან |
| 175 | 2 | | აძ | აქ |
| 176 | 4 | | | ნიშში |
| 182 | | 7 | | აწ უკვე გადაცვალებულ |
| 183 | 4 | | | აგარონიანიც |
| 186 | 7 | | | განსხვავება არის |
| ,, | | 5 | | კიდევ |
| 190 | | 17 | | გამოვედი |
| 192 | | 8 | | რუმინიას |
| 196 | | 5 | | ავსტრო- |
| 197 | 2 | | | გამარჯვებულ |
| 211 | | 6 | | კავკასიის |
| 213 | 12 | | | მოითხოვეს |
| 215 | | 1 | | სპარსეთის |
| ,, | | 2 | | მივიღებთ |
| 218 | | 5 | | იყო უმთავრესი |
| 220 | | 12 | | თავდასხმისაგან |
| ,, | 3-4 შუა | | | 53 |
| 232 | 15 | | | უანექსიო |
| 235 | | 9 | | სებასტიანესთვის |
| 236 | 4 | | ვიმღერებ | ვიყივლებ |
| 242 | 6 | | იმსი | (!ამოაგდეთ!) |
| 248 | | 19 | | თავდასხმისაგან |
| 250 | 16 | | ხლაფორთის | დავიდარაბის |
| 256 | 15 | | | ამბობდა |
| 265 | | 12-11 | | საქართველოსა |
| 268 | | 9 | | ოსმალეთის |
| ,, | 14 | | | საჩივრის |
| 270 | 11 | | | გიუსმანსმა |
| 281 | | 5 | | მოსკოვის |
| 298 | | 3 | | მაისში |
| 323 | | 11 | | Hinterland |
| 333 | | 16 | | კითხვის |
| 337 | 1 | | | საკუთარი |
| 344 | | 2 | | რას |
| ,, | | 19 | | მწუხარებას |

| გვერდი | სტრიქონი ზევიდან | —ქვევიდან | დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|---|---|---|
| 378 | | 4 | | დაესხან |
| 380 | 4 | | | მთავრდება, |
| ,, | 11 | | | იმასაც, |
| 381 | | 10 | | უძლური |
| XI | | 15 | | უცვლელნი |

ყველგან უნდა იყოს სხვადასხვა, ტრაპიზონი, უშუალოდ...